აკაკი ურუშაძე

ძველი ბერძნული ენა

სახელმძღვანელო უმაღლესი სკოლებისათვის
მესამე შესწორებული გამოცემა

თბილისი
2018

სახელმძღვანელო ქვეყნდება პროგრამის
დიონისოს ვარელასი ბიზანტინისტიკის განვითარებისათვის
მხარდაჭერით

Το εγχειρίδιο εκδόθηκε με την υποστήριξη του προγράμματος
Διονύσιος Βαρελάς για την ενίσχυση της διδασκαλίας των βυζαντινών σπουδών

The textbook is published with the support of the programme
Dionysios Varelas for the Development of Byzantine Studies

გამომცემელ-რედაქტორი: თინათინ გიორგობიანი
Tinatin Giorgobiani

ტექნიკური რედაქტორი: ეკატერინე კვირკველია
Ekaterine Kvirkvelia

დაკაბადონება: ალექსანდრე ჯიქურიძე
Alexander Jikuridze

ISBN 978-9941-468-61-2

© პროგრამა „ლოგოსი“, 2018

შინაარსი

წინათქმა 9
წინასიტყვაობა 10
ბერძნული ენა 14

ნაწილი პირველი – გრამატიკა

ფონეტიკა

ანბანი 24
ბგერათა კლასიფიკაცია 26
1. ხმოვნები 26
2. თანხმოვნები 27
მთავარი ფონეტიკური კანონები 31
უმახვილო სიტყვები 43

მორფოლოგია

მეტყველების ნაწილები 47
არსებითი სახელი 48
პირველი კანკლედობა 52
მეორე კანკლედობა 63
პირველი რიგის ზედსართავი სახელები 70
მესამე კანკლედობა 82
1. თანხმოვანფუძიანი სახელები 87
2. ხმოვანფუძიანი სახელები 109
მეორე რიგის ზედსართავი სახელები 122
1. სამბოლოკიდურიანი სახელები 122
2. ორბოლოკიდურიანი სახელები 127
3. ერთბოლოკიდურიანი სახელები 131
თავისებური ზედსართავები 133
ზედსართავ სახელთა ხარისხები 134
ხარისხთა სუპლეტური წარმოება 141
ხარისხთა აღწერილობითი წარმოება 144
ზმნიზედა 146
ნაცვალსახელი 152
რიცხვითი სახელი 165
ზმნა 171

უღლება 179
პირველი უღლება 195
ხმოვანფუძიანი ზმნები 199
თანხმოვანფუძიანი ზმნები 239
ბერძნულ ზმნათა კლასიფიკაცია (I-IV კლასი) 240
თანხმოვანფუძიან ზმნათა უღლება 245
მეორე ანუ ძლიერი დროები 267
ნაზმნარი ზედსართავი სახელი 277
მეორე უღლება 280
ბერძნულ ზმნათა კლასიფიკაცია (V-VIII კლასი) 309
ფორმანაკლი ზმნები 318
ზმნის გვარის ხმარების თავისებურებანი 319
წინდებული 322
კავშირები და ნაწილაკები 328
სიტყვაწარმოება 329

სინტაქსი

ქვემდებარე და შემასმენელი 339
ართრონი (არტიკლი) 340
ბრუნვები და ბრუნვათა ფუნქციები 343
სიტყვების რიგი წინადადებაში 348
დრო-კილოთა ხმარება წინადადებაში 349
ინფინიტივის ხმარება 350
Accusativus cum infinitivo 351
Nominativus cum infinitivo 353
მიმღეობის ხმარება 354
მყოფადის „დაკავშირებული მიმღეობა“ 355
დამოკიდებულ წინადადებათა სახეები 356

დამატება

1. ბერძნული მეტრიკა 363
დაქტილური ჰექსამეტრი 364
ელეგიური დისტიქი 369
იამბიკური ტრიმეტრი 370
ტროქეული ტეტრამეტრი 371
სოპფოური სტროფი 371

2. წარმოთქმა ბიზანტიური პერიოდისა და მომდევნო ხანის ბერძნულში 372

ნაწილი მეორე ქრესტომათია

სავარჯიშო კითხვასა და წერაში 376
მთავრული და ნუსხური ასოები 376
საკუთარი სახელები 377
პირველი კანკლედობა 381
მეორე კანკლედობა 383
შერწყმული ბრუნება 385
ატიკური ბრუნება 385
მესამე კანკლედობა 386
მეორე რიგის ზედსართავი სახელები 391
ზმნიზედა 392
ნაცვალსახელი 393
რიცხვითი სახელი 393
ზმნა 395
I -ω უღლება 395
II –μι უღლება 401
III თავისებური ზმნები 404
ბაბმული ტექსტები 407
ნაკვესები 417
ესოპეს იგავ-არაკები 419
ჰეროდოტე: უძველესი ხალხისა და ენის შესახებ 422
სტრაბონი: ცნობები საქართველოს შესახებ 423
კოლხეთი 423
სვანები 424
იბერია 424
ხალიბები 425
კოლხთა ჩვეულება 426
პეტრა პოლისი 426

ეპოსისა და ლირიკის ნიმუშები

ეპოსი

ჰომეროსი - „ილიადა“ (I, 1-611) 427

ლირიკა

კალინე ეფესოელი – ელეგია 443
არქილოქე პაროსელი – ელეგიური დისტიქები 443
სემონიდე ამორგოსელი – იამბი ყრმისადმი 444
მიმნერმე – დისტიქები 444
სოლონი – ელეგია „სალამინი“, ტეტრამეტრები ფოკოსისადმი 444
საპფო – ჰიმნი აფროდიტეს 445
თეოგნიდე მეგარელი – დისტიქები 445
პლატონი – დისტიქები – ეპიგრამები 446
ანაკრეონტული 446
სიტყვების ახსნა (პარაგრაფების მიხედვით) 447
ბერძნულ-ქართული ანბანური ლექსიკონი 488

წინათქმა

აკაკი ურუშაძის წინამდებარე სახელმძღვანელო – „ძველი ბერძნული ენა“ გამოიცა დღეს, მისი დაბადების მე-100 წლისთავზე და, ამგვარად, საიუბილეოა.

პირველად ეს წიგნი 1969 წელს გამოვიდა, ხოლო მეორედ – 1987 წელს. ვინაიდან ეს სახელმძღვანელო ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, ჩვენთვის საჭირო და აუცილებელი გახდა ამ სახელმძღვანელოს ხელახლა გამოცემა. ამისათვის კი უპირველესად დაგვჭირდა ამ მასალის ელექტრონული ვერსიის მომზადება, რასაც დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ მომავალში ჩვენი კოლეგები, ამჟამად კი კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის მაგისტრანტები და დოქტორანტები: ციცინო გულედანი, ეკატერინე კვირკველია, ნინო მღებრიშვილი, თამარ ლეჟავა, ლანა რამიშვილი და ანა ცანავა. მათ დიდ მადლობას მოვახსენებ.

ასევე მადლიერებას გამოვთქვამ „ლოგოსის“ თანამშრომლების – გოჩა კევლიშვილის, დავით მუჯირისა და ალექსანდრე ჯიქურიძის მიმართ.

აკაკი ურუშაძის „ძველი ბერძნული ენა“ მესამე შესწორებული გამოცემაა. ამ წიგნში წინა ორი გამოცემა ერთმანეთს შეჯერებულია და წარმოდგენილია როგორც სასწავლო პარაგრაფების ლექსიკონი, რაც მხოლოდ პირველ გამოცემაში იყო, ასევე ანბანური ლექსიკონი, რაც მხოლოდ მეორე გამოცემაშია (გრამატიკული ტერმინები და საკუთარი სახელები ისეთი ფორმითაა წარმოდგენილი, როგორც პროფ. აკაკი ურუშაძის სახელმძღვანელოშია, ამ მხრივ ჩვენ არაფერი შეგვიცვლია).

ვიმედოვნებ, რომ ამ სახელმძღვანელოს ხელახალი გამოცემით ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდებისთვის კარგი საქმე გაკეთდა. მიუხედავად იმისა, რომ მეც ვარ ავტორი „ძველი ბერძნული ენის გრამატიკისა“, ყოველთვის მიმაჩნდა, რომ აკაკი ურუშაძის, ჩემი მასწავლებლის, ეს წიგნი კიდევ ერთხელ უნდა გამოცემულიყო, რადგან მას მინიჭებული აქვს უნივერსიტეტის სამეცნიერო პრემია და დღესაც ჩვენთვის უპირველესი სახელმძღვანელოა.

თინათინ გიორგობიანი
2018 წ. 27 ოქტომბერი

ძველი ბერძნული ენა, როგორც სავალდებულო საგანი, თბილისის უნივერსიტეტში მისი დაარსების დღიდან ისწავლება. ამ ენის შესწავლას უმაღლესი სკოლის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ამ ბოლო დროს მეტი ყურადღება ექცევა: მას სწავლობენ მომავალი ფილოლოგები და ისტორიკოსები, ფილოსოფოსები და ხელოვნებათმცოდნენი. გარდა იმისა, რომ ბერძნული ენის ცოდნას ზოგადსაგანმანათლებლო მნიშვნელობა აქვს და ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს ანტიკური და ბიზანტიური კულტურის ასათვისებლად, იგი უაღრესად საჭიროა ფილოლოგიისა და საისტორიო დარგებში მომუშავე ქართველოლოგისათვის. საქართველოს კულტურული წარსულის მკვლევარს ბერძნული ენის კარგი ცოდნა საშუალებას მისცემს მთელი სისრულით გაითვალისწინოს ელინური სამყაროსა და ქართველ ტომთა მრავალსაუკუნოვანი მჭიდრო ურთიერთობა და ღრმად შეისწავლოს საქართველოს შესახებ არსებული ის ფასდაუდებელი ცნობები, რომლებიც უხვადაა დაცული ანტიკური ეპოქისა თუ ბიზანტიური ხანის მწერალთა თხზულებებში.

თბილისის უნივერსიტეტში კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტინოლოგიის შემსწავლელი ჯგუფების შექმნამ სტუდენტობას მეტი ინტერესი აღუძრა ბერძნულენოვანი სამყაროსადმი, ხოლო ძველი ქართული მწერლობის ისტორიის შესწავლისას ბერძნული ენის ცოდნის საჭიროება კიდევ უფრო თვალსაჩინოდ იგრძნობა.

ბერძნულ ენას ლათინური ენასთან ერთად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სპეციალურ ლინგვისტურ დისციპლინას. ბერძნული და ლათინური ენების ცოდნა აფართოებს ზოგად ლინგვისტურ თვალსაწიერს და ხელს უწყობს ამა თუ იმ ენის და, უწინარეს ყოვლისა, მშობლიური ენის მეცნიერული შესწავლის საქმეს.

მრავალსაუკუნოვანი ბერძნულ-ქართული კულტურული ურთიერთობის კვალი აღბეჭდილია როგორც ბერძნული, ისე ქართველური ენების ლექსიკაში.

ბოლო ხანებში თანდათან ფეხს იკიდებს ჰიპოთეზა ქართველური ენების ტ ო პ ო ლ ო გ ი ურ ი ს ი ა ხ ლ ო ვ ი ს ა ინდოევროპულ ენებთან. ამ ვარაუდს მტკიცედ უჭერს მხარს უკვე დადგენილი და უეჭვო ხანგრძლივი

და მჭიდრო კონტაქტები მცირეაზიულ-კავკასიურ-ქართველურ ტომებსა და ბერძნულ ენაზე მოლაპარაკე ტომებს შორის.

ქართველურ ენებში დაცულია მეტად საყურადღებო ენობრივი მასალა, რომელსაც პარალელები უხვად დაეძებნება ბერძნულ ენაში.

უნიკალური სიმდიდრის ბერძნულმა ლექსიკამ, როგორც ცნობილია, უაღრესად დიდი გავლენა მოახდინა სხვა ენების ლექსიკურ შედგენილობაზე. ამ ენათა შორისაა ქართველური ენები. უშუალოდ ბერძნულიდანაა შეთვისებული ქართულში, მაგალითად, ისეთი სიტყვები, როგორიცაა: „ეკლესია“, „კლიტე“, „ბოქლომი“, „პატრიარქი“, „დეკანოზი“, „ეპისკოპოსი“ და სხვ.; მრავლადაა შეთვისებული საკუთარი სახელები: ანდრია, თეოდორე, ელენე და სხვ.; პარალელებიდან აღსანიშნავია სიტყვები: „ღვინო“, „პური“, „გალია“, „კანაფი“, „კალათი“, „წაღები“ და სხვ.

ბერძნულიდან მომდინარეობს ქართულში ხმარებული მრავალი სიტყვა: ესენია – მეცნიერებათა აღმნიშვნელი სახელები: ისტორია, ფილოსოფია, ფილოლოგია, ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, გეოგრაფია და სხვ., სამეცნიერო ტერმინები: ჰიპოთეზა, მეთოდი, თეორია, იდეა, ატომი და მისთ.; სპეციალური და პოლიტიკური მნიშვნელობის სიტყვები: დემოკრატია, არისტოკრატია, პლუტოკრატია, ოლიგარქია, მონარქია, ანარქია და მისთ.; ლიტერატურასა და ხელოვნებაში ხმარებული ლექსიკა: ეპოსი, ლირიკა, დრამა, პოეზია, პოემა, ტრაგედია, კომედია, მეტრიკა, კრიტიკა, თეატრი, სიმფონია, მელოდია, რითმა და სხვ.; სამედიცინო ტერმინოლოგია: პედიატრია, ფსიქიატრია, ქირურგია, თერაპევტი, აფთიაქი და მისთ. ბერძნულ მორფემათა საფუძველზეა აგებული საერთაშორისო სიტყვები: ტელეფონი, მიკროფონი, მიკროსკოპი, კოსმონავტი და მისთ.

* * *

წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს ძველი ბერძნული ენის ატიკური დიალექტის გრამატიკის სისტემურ კურსს. ბერძნული ენის შესწავლა ამ დიალექტით იწყება იმიტომ, რომ იგი ბერძნული ენის ყველაზე უფრო დახვეწილ და მნიშვნელოვან დიალექტად ითვლება და ამას გარდა, სწორედ ამ დიალექტზეა შექმნილი ანტიკური მწერლობის ძეგლთა უდიდესი ნაწილი. ატიკური დიალექტის დაუფლების შემდეგ ბერძნული ენის შემსწავლელს ძალუძს ადვილად შეითვისოს ძველი ბერძნული ენის სხვა დიალექტებიც და ატიკური დიალექტის საფუძველზე ჩამოყალიბებული ელინური კოინე (κοινὴ διάλεκτος), ხოლო შემდეგ ბიზანტიური ხანის ბერძნულიც.

წიგნში თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი. სინტაქსის ნაწილი შედარებით სქემატურია და გადმოცემულია მხოლოდ ძირითადი ცნობები. დიდი ადგილი დავუთმეთ მორფოლოგიას. აქ ყველაზე უფრო დაწვრილებით ზ მ ნ ა არის განხილული. გრამატიკული მოვლენების ახსნას თან ახლავს, რაც შეიძლება მეტი საილუსტრაციო, სავარჯიშო მასალა. ესა თუ ის გრამატიკული მოვლენა ხშირადაა შედარებული ან შეპირისპირებული სხვა ენებთან (ლათინურთან, რუსულთან, ქართულთან...).

გრამატიკული მოვლენის აღწერას ასევე ხშირად ერთვის თან ამ მოვლენის ახსნა ბერძნული ენის ისტორიული გრამატიკის თვალსაზრისით.

საგრამატიკო ნაწილს დამატების სახით ერთვის: 1. ძირითადი ცნობები ბერძნული მეტრიკიდან და 2. წარმოთქმა ბიზანტიური პერიოდისა და მომდევნო ხანის ბერძნულში.

წიგნის მეორე ნაწილი ქრესტომათიაა. აქ ჯერ წარმოდგენილია ცალკეული წინადადებებისგან შედგენილი 51 პარაგრაფი. მათი მიზანია დაეხმაროს ენის შემსწავლელს ამა თუ იმ გრამატიკული მასალის პრაქტიკულად ათვისებაში. შემდეგ მოდის გაბმული ტექსტები. აქ შევიტანეთ ბერძნული პროზის (ესოპე, ჰეროდოტე, სტრაბონი და სხვ.), ეპოსის (ჰომეროსი) და ლირიკის (კალინე, აქრილოქე, სემონიდე ამორგოსელი, მიმნერმე, სოლონი, თეოგნიდე, პლატონი, ანაკრეონტული ლექსი) ნიმუშები.

ტექსტის შედგენის დროს ვხელმძღვანელობდით ბერძენ ავტორთა უკეთესი კრიტიკული გამოცემებით.

ქრესტომათიის ყველა მასალა არ გენეკუთვნება ატიკურ დიალექტს, მაგრამ მასწავლებლის დახმარებით ამ მასალის დაძლევა ენის შემსწავლელს არ გაუჭირდება, თუ ამ წიგნის გრამატიკულ ნაწილს კარგად აითვისებს. გრამატიკის მტკიცე ცოდნა არის conditio sine qua non ამა თუ იმ ავტორის შეგნებულად კითხვის დროს.

* * *

ძველი ბერძნული ენის ეს ახალი – მეორე გამოცემა[1] საგრძნობლად არის გადამუშავებული. გასწორდა ნებსითი თუ უნებლიე შეცდომები, გადამუშავდა და შეივსო საქრესტომათიო ნაწილი. წიგნს ერთვის ბერძნულ-ქართული ანბანური ლექსიკონი. ლექსიკონის შედგენაში აქტიურად დაგვეხმარა თბილისის უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის უფროსი ლაბორანტი დარეჯან ხუროშვილი, რომელსაც მადლობას მოვახსენებთ.

აკაკი ურუშაძე
1987 წელი

[1] I გამოცემას (თბილისი, 1969) თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს 1971 წლის 29 მარტის დადგენილებით მიენიჭა უნივერსიტეტის სამეცნიერო პრემია.

ბერძნული ენა

ბერძნული ენა (ἡ Ἑλληνικὴ γλῶσσα ანუ τὰ Ἑλληνικά არის ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილისა და მიმდებარე მხარეებში ანუ ელადაში (ἡ Ἑλλάς) მოსახლე დიდი კულტურის შემქმნელი ხალხის ენა. ეს ხალხი ისტორიული ხანიდან მოკიდებული თავის თავს უწოდებს ელინებს (Ἕλληνες), ხოლო რომაელებმა შეარქვეს გრეკები (Graeci – Graici). ეს სახელწოდება ლათინური ენის მეშვეობით (via Latina) გავრცელდა ინდოევროპულ ენებში.

ბერძნული ენის მრავალსაუკუნოვანი ისტორია კარგად არის შესწავლილი. ახალმა სამეცნიერო დარგმა – მიკენოლოგიამ დიდი წვლილი შეიტანა ბერძნული ენის სიღრმისეული კვლევის საქმეში. მიკენური წარწერების გაშიფვრის შემდეგ ძველი ბერძნული ენა ხელშესახები გახდა ძვ.წ. მეორე ათასეულის თითქმის შუახანებიდან (ძვ.წ. XIII საუკუნიდან).

ბერძნული ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახის განკერძოებული წევრია. მისი განვითარების ისტორიაში პირობითად მიღებული ქრონოლოგიური საზღვრებით სამი მთავარი პერიოდი გამოიყოფა: 1. ძველი ბერძნული ენისა (ძვ.წ. მეორე ათასეულის შუახანებიდან ახ.წ. 330 წლამდე – კონსტანტინეპოლის დაარსებამდე), 2. შუა საუკუნეების ანუ ბიზანტიური ბერძნულისა (IV ს-დან 1453 წლამდე – თურქების მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობამდე) და 3. ახალი ბერძნული ენისა (XV საუკუნიდან დღემდე).

ძველი ბერძნული ენა, რომელიც მომდევნო პერიოდების ბერძნული ენის განვითარებას დაედო საფუძვლად, ამჟამად „მკვდარ ენად“ მიიჩნევა; უკეთ რომ ვთქვათ: იგი ჩვენამდე მოღწეულ წერილობით ძეგლებში ცოცხლობს. მისი უძველესი ნიმუში დადასტურებულია მიკენური, ე.წ. B-ხაზოვანი დამწერლობის ძეგლებში, რომლებიც ძვ.წ. XIII საუკუნეს განეკუთვნება.

ბერძნულ ენაზე მოლაპარაკე ტომები ჩრდილოეთიდან ჩამოსახლდნენ ძვ.წ. მეორე ათასწლეულში ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში და მცირე აზიის სანაპიროებზე რამდენიმე ტალღისებურ ნაკადად. უმნიშვნელოვანესი იყო აქაველ ტომთა მიგრაცია, რის შედეგადაც შეიქმნა მძლავრი მიკენური კულტურა (ძვ.წ. XVI-XVII სს.) და დორიელთა ჩამოსახლება, რაც ხსენებული კულტურის დაცემის ერთ-ერთი მიზეზი გახდა. ბერძნულმა ენამ დროთა განმავლობაში შეავიწროვა უაღრესად

მაღალი კულტურის მქონე აბორიგენული მოსახლეების, ე.წ. „ეგეოსური მოსახლეობის“ (პელასგების, ლელეგების და სხვ.) ენები. ამასთანავე, მნიშვნელოვნად გაიმდიდრა საკუთარი ლექსიკური შედგენილობა ავტოქთონთა ენების საფუძველზე. ეგეოსურ ნასესხობებად მიაჩნიათ მაგალითად, -s(s)- და -nth-სუფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები.

* * *

ბერძნული კულტურის კლასიკურ პერიოდში (ძვ.წ. IX-IV სს.) ბერძნულ ენას მრავალი დიალექტი და კილოკავი ჰქონდა. საერთო-სალიტერატურო ენა ამ პერიოდში არ არსებობდა. უმთავრესი იყო ოთხი დიალექტი: იონიური (გავრცელებული იყო მცირე აზიის სანაპიროზე სმირნიდან ჰალიკარნასამდე), ატიკური (იონიურის განშტოება, გავრცელებული იყო ცენტრალურ საბერძნეთში – ატიკაში), დორიული (იხმარებოდა პელოპონესში და ეგეოსის ზღვის სამხრეთ კუნძულებზე, მაგალითად, კუნძულ როდოსზე) და ეოლიური (ფეხმოკიდებული იყო მცირე აზიის ჩრდ.-აღმოს. სანაპიროზე, სმირნიდან მოყოლებული სხვადასხვა კუნძულებსა და კ. ლესბოსზე, აგრეთვე თესალიასა და ბეოტიაში).

დიალექტები საკმაოდ ახლოს იყვნენ ერთმანეთთან და ამ დიალექტებზე დაწერილი თხზულებები საერთო-ბერძნულ საკუთრებას წარმოადგენდა. დამკვიდრდა ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ამა თუ იმ ჟანრის ნაწარმოებები იწერებოდა იმ დიალექტზე, რომელზედაც ეს ჟანრი ჩაისახა. ეპოსის ენა იონიური დიალექტია. ამ დიალექტზეა შეთხზული ჰომეროსის პოემები „ილიადა“ და „ოდისეა“, ჰესიოდეს პოემები „სამუშაონი და დღენი“ და „თეოგონია“, პირველ ფილოსოფოსთა ფილოსოფიური პოემები და სხვ. იონიურ დიალექტს თან ახლავს ძველი ეოლიური და კიდევ უფრო ძველი სამხრულ-აქეური დანაშრევები. ე.წ. ჰომეროსის ენა, რომელიც „ენობრივ ტიპს“ უფრო წარმოადგენს, ეპიკური პოეზიის ენად დარჩა ანტიკური ეპოქის დასასრულამდე და ზოგჯერ ადრებიზანტიურ პერიოდშიც იჩენს თავს. ელეგიური და იამბიკური პოეზიის ენაც იონიური დიალექტი იყო. ეს დიალექტი გამოიყენა უძველესმა ბერძნულმა პროზამ, ადრეულმა ისტორიოგრაფიამ (უფროსმა ლოგოგრაფოსებმა, „ისტორიის მამად“ წოდებულმა ჰეროდოტე ჰალიკარნასელმა და სხვ.). მონოდური ლირიკა (ალკეოსისა და საფოს პოეზია) ეოლიურ დიალექტს იყენებდა ეპიკურ-იონიური შენაზავებით, ხოლო საგუნდო

ლირიკა ანუ ქორიკა დორიულ დიალექტზე იქმნებოდა უმველეს საერთო-აქეურ დიალექტზე დაყრდნობით.

ძვ.წ. V საუკუნიდან, როცა ათენის სახელმწიფოს პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური აღმავლობა დაიწყო, პროზაულ მწერლობაში მტკიცედ დამკვიდრდა იონიურ დიალექტთან მჭიდროდ დაკავშირებული ატიკური დიალექტი. ათენის პოლიტიკურმა ჰეგემონიამ ხელი შეუწყო ამ დიალექტის ელემენტთა შეღწევას ბერძნული ენის სხვა კილოკავებში. ატიკურ დიალექტზეა დაწერილი ბერძნული იდეოლოგიის აყვავებისდროინდელი საისტორიო, ფილოსოფიური და რიტორიკული პროზის უბრწყინვალესი ნიმუშები: თუკიდიდესა და ქსენოფონტის ისტორიული თხზულებები, პლატონის ფილოსოფიური დიალოგები და ტრაქტატები, ლისიასა და დემოსთენეს სიტყვები და სხვ. ამ დიალექტზე წერდნენ ბერძნული კლასიკური დრამის – ტრაგედიისა და კომედიის დიდი წარმომადგენლები ესქილე, სოფოკლე და ევრიპიდე, არისტოფანე და მენანდრე.

ელინისტურ ხანაში, ძვ.წ. IV-III საუკუნეებიდან, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა შედეგად, ბერძნული ენა გავრცელდა აღმოსავლეთის ქვეყნებში: დაიწყო ბერძენ ტომთა კონსოლიდაცია და დიალექტურ სხვაობათა მოშლის პროცესი. ამ დროს ატიკური დიალექტის საფუძველზე ჩამოყალიბდა ე.წ. საერთო ბერძნული ენა ანუ ელინური კოინე (κοινὴ διάλεκτος). კოინეზე განვითარდა ელინისტური მწერლობა, რომლის ცენტრებიც იყო ალექსანდრია (ეგვიპტეში), პერგამონი (მც. აზიაში), ანტიოქია (სირიაში). ხსენებულ დიალექტზე წერდნენ არისტოტელე, ისტორიკოსები – აპიანე, არიანე, დიოდორე სიცილიელი, პოლიბიოსი, პლუტარქე, სატირიკოსი ლუკიანე სამოსატელი, რიტორი დიონ ქრისოსტომოსი, გეოგრაფოსი სტრაბონი, ფილოსოფოსთა ცხოვრების აღმწერი დიოგენე ლაერტელი და სხვ. ამ დიალექტზეა შეთხზული „ახალი აღთქმის“ წიგნები და გვიანანტიკური ხანის სხვა მრავალი ნაწარმოები.

ელინურ კოინეში წარმოიშვა ლინგვისტური დუალიზმი (διγλωσσία). სამწერლობო ენაში, რომელიც ცდილობდა აღედგინა ატიკური დიალექტის ძველი ნორმები, გაჩნდა საკმაოდ მძლავრი სტილისტური მიმართულება – ატიციზმი. მას დაუპირისპირდა უკვე მტკიცედ ფეხმოკიდებული სალაპარაკო კოინე.

* * *

საერთო ბერძნულ ენაში მომხდარმა ცვლილებებმა საფუძველი დაუდო ბერძნული ენის განვითარებაში ახალ საფეხურს – ბიზანტიურ პერიოდს, რომელიც XV საუკუნის შუახანებამდე გაგრძელდა. IV-VI საუკუნეთა ბერძნული ენა გარდამავალი ხასიათისაა და ადრებიზანტიური ბერძნული ენის სახელით მოიხსენიება. ამ ენაში საგრძნობია ახალი – უცხოური ელემენტები. განსაკუთრებით – ლათინიზმები და სემიტიზმები. ამ ხანის მწერალთაგან აღსანიშნავნი არიან: ე.წ. „ეკლესიის მამანი" – ათანასე ალექსანდრიელი, ბასილი კესარიელი, გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ ნოსელი, იოანე ოქროპირი; ისტორიკოსები – პროკოპი კესარიელი, აგათია, თეოფილაქტე სიმოკატა და სხვ.

ბიზანტიური პერიოდის სალაპარაკო ბერძნულ ენას ფონეტიკასა და მორფოლოგია-სინტაქსში დიდი ცვლილებები ახასიათებს. უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია ფონეტიკაში მომხდარი პროსოდიული ცვლილებები: მუსიკალური მახვილი შეიცვალა დინამიკურით; თანდათან გაქრა ხმოვანთა კვანტიტატური ბუნება – მოიშალა სხვაობა გრძელ და მოკლე ხმოვანთა შორის; დიფთონგები მონოფთონგებად იქცა (αι გამოითქმის როგორც e, ხოლო ει, οι როგორც i); დამკვიდრდა „იტაციზმი" (გრძელი e (η) გამოითქმის როგორც i). თანხმოვანთაგან აღსანიშნავია β, რომელიც გამოთქმაში v-ს დაემსგავსა, მორფოლოგიაში ფლექსიურობა თანდათან შეცვალა ანალიზურმა წყობამ. ნაწილობრივ მოიშალა ბრუნვის სისტემა; მიმართებები გამოიხატება არა ბრუნვათა დაბოლოებებით, არამედ წინდებულებით; ზმნაში თავი იჩინა აღწერილობითმა უღლებამ (ἔχω + infinitivus). გამარტივდა დრო-კილოთა ფორმები; გაქრა მედიალური გვარი და სხვ. სინტაქსში მომხდარ ცვლილებათაგან მნიშვნელოვანია ზმნის მიერ ბრუნვათა ახლებური მართვა: უპირატესობა ენიჭება პირდაპირი დამატების ბრუნვას – აკუზატივუსს, რომელიც მიცემითი ბრუნვის ნაცვლად იხმარება (ἔδωκα αὐτόν).

ლინგვისტური დუალიზმი გრძელდება ბიზანტიური პერიოდის ბერძნულშიც. ბიზანტიური მწერლობის დარგები კვლავ ატიკურ დიალექტსა და ელინურ კოინეს ეყრდნობა. სამწერლობო ენას მკვეთრად უპირისპირდება სალაპარაკო ენა, რომელიც ნელი ტემპით, მაგრამ მაინც ახერხებს მწერლობაში შეღწევას.

საქართველოსა და ბიზანტიას შორის ადრევე დამყარდა კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა. ბიზანტიური კულტურის, კერძოდ, მწერლობის შექმნასა და განვითარებაში ბერძნებთან, სირიელებსა და კოპტებთან, სლავებსა და სომხებთან ერთად ქართველებიც აქტიურად მონაწილეობდნენ. XI-XII საუკუნეების ქართულ მწერლობაში განსაკუთრებით გამოიკვეთა მძლავრი ელინოფილური მიმართულება, რომლის სახელოვანი წარმომადგენლები იყვნენ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, ეფრემ მცირე და არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი და სხვები. ქართულ ენაზე ითარგმნა მრავალი სასულიერო და საერო წიგნი. ბიზანტიურ-ქართული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა ცალმხრივი არ ყოფილა. აღსანიშნავია, რომ ბიზანტიურ პერიოდში ქართული ენიდან ბერძნულზე გადაითარგმნა რამდენიმე მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლი, ხოლო ზოგიერთ თხზულებას ელინოფილი ქართველი მწიგნობრები ბერძნულ ენაზე წერდნენ.

I-III საუკუნეებში, როცა ელინისტური ქვეყნები რომის იმპერიის გამგებლობაშია, ბერძნული ენა ლათინურ ენასთან ერთად სახელმწიფოს ოფიციალური და კულტურული ცხოვრების წამყვანი ენაა. რომის იმპერიის გაყოფის შემდეგ (395 წლიდან) ბერძნული ენა აღმოსავლეთ რომის იმპერიის ანუ ბიზანტიის ოფიციალური სახელმწიფო ენა გახდა. ბიზანტიის იმპერიის ქვეშევრდომები ამ დროს „რომაელებად“ (ῥωμάνοι ძველქართულად „ჰრომნი“) იწოდებიან. „რომეი“ ანუ „რომი“ სახელი ბერძნებს დღემდე შემორჩათ, ხოლო ახალბერძნულ ენას ჩვეულებრივ „ტა რომეიკას“ (τὰ ῥωμαίκα) უწოდებენ.

* * *

ახალი ბერძნული ენის, უკეთ რომ ვთქვათ, მისი ტერიტორიული დიალექტების წარმოშობა ადრე შუასაუკუნეებში დაიწყო და თურქთა ბატონობის მთელ პერიოდში (1453-1821) გაგრძელდა. ამ დიალექტთა საფუძველი ძირითადად ელინური კოინე იყო. კოინე ანუ „κοινή“ ენა ახალ ბერძნულში თავს იჩენს როგორც „კათარევსა“ ანუ „წმინდა ბერძნული ენა“. ახალი ბერძნული ენის დიალექტთა შორის გამოირჩევა ე.წ. **ცაკონური დიალექტი** ანუ **ცაკონური ენა**, რომელსაც ძველი დორიული დიალექტის უშუალო მემკვიდრედ თვლიან.

თანამედროვე საბერძნეთში დღესაც არ დამთავრებულა ბრძოლა ერთი მთლიანი სახალხო-სალიტერატურო ენის საბოლოოდ ჩამოყალიბებისათვის. თანდათანობით უპირატესობა ენიჭება „სახალხო ენას“, რომელსაც „დიმოტიკი“ (δημοτική) ანუ „ომილუმენი“ ეწოდება. „სახალხო ენის“ პარალელურად მოქმედებენ არქაული ტრადიციების დამცველი „წმინდა ენა“ ანუ „კათარევუსა“ (καθαρεύουσα) და ადგილობრივი დიალექტები და კილოკავები. გარდა ამისა, არსებობს ე.წ. „ნარევი ენა“ – „მიქტი“ (μηκτή).

ახალ ბერძნულ ენაზე საბერძნეთისა და კვიპროსის რესპუბლიკის მოსახლეობის გარდა ლაპარაკობენ თურქეთში (უპირატესად სტამბოლში), სამხრეთ იტალიაში, რუმინეთში, ყოფილ სსრკ-სა და სხვა ქვეყნებში დასახლებული ბერძნები. ახალი ბერძნული ენის ე.წ. პონტოურ დიალექტზე ლაპარაკობენ უკრაინასა და კავკასიაში მოსახლე ბერძნები.

* * *

ძველი ბერძნული ენა ტიპოლოგიურად სინთეზური, ფლექსიური აღნაგობის ენაა. მას ახასიათებს ლექსიკური სიმდიდრე, ზმნის ფორმათა უაღრესი სიუხვე და დიდი მოქნილობა სიტყვათწარმოებასა და სინტაქსურ სტრუქტურაში. ამ ენის სემანტიკური მხარის მრავალფეროვნება ძველი ბერძნული მწერლობის უმაღლესმა დონემ განაპირობა.

ძველი ბერძნული ენის ხმოვანთა სისტემაში ნიშანდობლივია მარტივი და რთული ხმოვნების (დიფთონგების) არსებობა, გრძელი და მოკლე ხმოვნების დაპირისპირება (ე.წ. კვანტიტეტი) და ისეთი მნიშვნელოვანი პროსოდიული თავისებურება, როგორიცაა მუსიკალური მახვილი. ხმოვანთა ასეთი სისტემა ძველი ბერძნული მეტრული ლექსწყობის საფუძველთა საფუძველია.

ძველი ბერძნული ენის უნიკალურმა ლექსიკურმა სიმდიდრემ დიდი გავლენა მოახდინა ცივილიზებული სამყაროს ენებზე, მათ შორის ქართულ ენაზეც.

ბერძნული დამწერლობა. ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთში ჩამოსახლებულმა ბერძენმა ტომებმა „ეგეოსური“ ანუ წინაბერძნული მოსახლებისაგან შეითვისეს მიკენის სილაბური ანუ მარცვლოვანი დამწერლობა (ე.წ. B-ხაზოვანი დამწერლობა), რომლის ნიმუშიც ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში გაშიფრა მ. ვენტრისმა.

მიკენური კულტურის დაცემის შემდეგ ეს დამწერლობა დავიწყებას მიეცა (იგი კარგა ხანს შემორჩა ბერძნული ენის მხოლოდ კვიპროსულ დიალექტს). ძვ.წ. X-IX საუკუნეებში, ან შესაძლოა უფრო ადრეც, ბერძნებმა შექმნეს საკუთარი ანბანური დამწერლობა. დამწერლობის ვოკალიზებული სისტემა, რომელიც მომდინარეობს ფინიკიური კონსონანტური დამწერლობიდან. ბერძნული ტრადიციის მიხედვით, ბერძნული დამწერლობის შემოღება მიეწერება ფინიკიის მეფის აგენორის ძეს კადმოსს (ასეთი გადმოცემა დაცულია ჰეროდოტეს „ისტორიაში“, ტეოსის წარწერასა და სხვა ძეგლებში).

ბოლო ხანებში ზოგიერთმა მეცნიერმა (მაგალითად, ბულგარელმა ენათმეცნიერმა ვ. გეორგიევმა) წამოაყენა ჰიპოთეზა ბერძნული ანბანის მინოსური დამწერლობიდან წარმოშობის თაობაზე. ამ ჰიპოთეზას მეცნიერთა უმრავლესობა არ იზიარებს იმის გამო, რომ ბერძნული ფონემატური ანუ ასო-ბგერითი წერა პრინციპულად განსხვავდება მინოსური მარცვლოვანი დამწერლობისაგან.

ბერძნული დამწერლობის პირველი ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებშიც ვოკალიზაცია ჯერ კიდევ სუსტია, იმეორებს წერის მიმართულების ფინიკიურ წესს – იწერება მარჯვნიდან მარცხნივ. მოგვიანებით (განსაკუთრებით სოლონის დროს) გავრცელდა ბუსტროფედონი (წერა სტრიქონშენაცვლებით მარჯვნიდან მარცხნივ და მარცხნიდან მარჯვნივ), ხოლო ძვ.წ. V ს-ის დასაწყისიდან დამკვიდრდა ერთადერთი მიმართულება მარცხნიდან მარჯვნივ. არსებითი ცვლილებები, რაც ბერძნებმა შეიტანეს ფინიკიურ დამწერლობაში, შემდეგია: 1. ზოგ ასოს (მაგალითად, ფშვინვიერი თანხმოვანი ფონემის შესაბამისს) დააკისრეს ხმოვანი ფონემის გადმოცემის ფუნქცია; 2. უარყვეს ის ასოები, რომელთა შესაბამისი ბგერები ბერძნულში არ იყო; 3. საგანგებო ნიშნები შემოიღეს ბერძნული ენის სპეციფიკური ბგერებისათვის (როგორც ხმოვნების, ისე თანხმოვნებისათვის); 4. ასოებს მკაფიო გეომეტრიული მოხაზულობა შესძინეს; 5. გადმოღებულ ასოთა ფინიკურ სახელწოდებებს სახე უცვალეს (მაგალითად, alef-ს დაარქვეს alpha, bet-ს – beta, gimmel-ს – gamma და ა.შ.).

ამრიგად შევსებული და დახვეწილი ბერძნული ანბანი შედგებოდა 24 ასოსაგან.

ბერძნულმა ანბანმა განვითარების რამდენიმე საფეხური გაიარა. უძველესია ე.წ. არქაული დამწერლობა, რომელიც ორი სახისა იყო:

აღმოსავლური და დასავლური. დასავლური დამწერლობა, რომელიც აღმოსავლურმა განდევნა ხმარებიდან, საფუძვლად დაედო ეტრუსკულსა და ლათინურ დამწერლობას. აღმოსავლური დამწერლობის საფუძველზე V საუკუნის დასაწყისში ათენში ჩამოყალიბდა კლასიკური ბერძნული ანბანი. ძვ.წ. 403 წელს, ევკლიდეს არქონტობაში აღმოსავლურ-იონიური ანბანი ოფიციალურ, საერთო-ბერძნულ ანბანად აღიარეს. ეს ანბანი შემორჩა ბიზანტიური პერიოდის ბერძნულსა და ახალ ბერძნულ ენას. აღმოსავლურ-ბერძნული (კლასიკური) ანბანი საფუძვლად უდევს სლავურ ანბანს. ბერძნული დამწერლობის საკმაოდ მძლავრი კვალი ამჩნევია ქართულ დამწერლობასაც (გა ნსაკუთრებით მის ვოკალურ ნაწილს).

ჩვენამდე მოღწეული უძველესი ბერძნული წერილობითი ძეგლები ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებს განეკუთვნება და ეპიგრაფიკული ხასიათისაა; საწერ მასალად გამოყენებულია ქვა, ლითონი, თიხის ფირფიტები, კერამიკული ნაწარმი და მისთ. მაგარ მასალაზე შესრულებულ წარწერებს სწავლობს ეპიგრაფიკა; ხოლო პალეოგრაფია და პაპიროლოგია შეისწავლის შედარებით მოგვიანო ხანებში შემოღებულ რბილ საწერ მასალაზე – პაპირუსსა და პერგამენტზე (ჭილსა და ეტრატზე) შესრულებულ ხელნაწერებს. ეგვიპტეში მრავლად აღმოჩენილი პაპირუსების უძველესი ნიმუშები ბერძნული ტექსტებით ძვ.წ. IV-III საუკუნეებს განეკუთვნება.

ნაწილი პირველი

გრამატიკა

ფონეტიკა

ანბანი

ბერძნული ანბანი შეიცავს 24 ასოს: 17 – თანხმოვანი ბგერის გამომხატველი ნიშანია, 7 კი – ხმოვანი ბგერისა.

მოხაზულობა		ასოთა სახელწოდება	გამოთქმა
მთავრული	ნუსხური		
Α	α	ἄλφα ალფა	ა (მოკლე ან გრძელი)
Β	β	βῆτα ბეტა	ბ
Γ	γ	γάμμα გამა	გ
Δ	δ	δέλτα დელტა	დ
Ε	ε	ἒ ψιλόν ე ფსილონ	ე (მოკლე)
Ζ	ζ	ζήτα ძეტა	ძ
Η	η	ἦτα ეტა	ე (გრძელი)
Θ	θ	θῆτα თეტა	თ
Ι	ι	ἰῶτα იოტა	ი (მოკლე ან გრძელი)
Κ	κ	κάππα კაპა	კ
Λ	λ	λάμβδα ლამბდა	ლ
Μ	μ	μῦ მჳ	მ
Ν	ν	νῦ ნჳ	ნ
Ξ	ξ	ξῖ ქსი	ქს
Ο	ο	ὂ μικρόν ო მიკრონ	ო (მოკლე)
Π	π	πῖ პი	პ
Ρ	ρ	ῥῶ რო	რ
Σ	σ, ς	σίγμα სიგმა	ს
Τ	τ	ταῦ ტაუ	ტ
Υ	υ	ὗ ψιλόν ჳ ფსილონ	ჳ (მოკლე ან გრძელი), ი, U
Φ	φ	φῖ ფი	ფ
Χ	χ	χῖ ხი	ხ
Ψ	ψ	ψῖ ფსი	პს (ფს)
Ω	ω	ὦ μέγα ო მეგა	ო (გრძელი)

შენიშვნა: 1. მთავრული ასოებით იწერება საკუთარი სახელები, ხალხთა და თვეთა სახელები და ამ სახელთაგან ნაწარმოები ზედსართავი სახელები: Ὅμηρος (ჰომეროსი), Ἑλλάς (ჰელადა – საბერძნეთი), Ἑλληνικός

(ელინური – ბერძნული), Σκυθία (სკვითია), Σκυθικός (სკვითური), Κολχίς (კოლხეთი), Κολχικός (კოლხური), Ἑκατομβαιών (ჰეკატომბეონი – პირველი თვის სახელი ატიკურ კალენდარში).

2. სიგმისათვის ნუსხურ წერაში ორი ნიშანი იხმარება: σ – სიტყვის დასაწყისში და შუაში, ς – სიტყვის ბოლოში. ორივე ნიშანი გამოითქმის როგორც ქართული ს: σοφός (ბრძენი), ἦσαν (იყვნენ), πόνος (შრომა). რთულ სიტყვაში პირველი შემადგენელი სიტყვის ბოლოს სიგმა შეიძლება დაიწეროს ნებისმიერად თანხმოვანთა წინ, ხმოვანთა წინ კი σ უნდა დავწეროთ: δύςβατος და δύσβατος (გაუვალი), მაგრამ προσάγω (მიმყავს).

3. γ-ს ბგერითი შესატყვისია ქართული გ, მაგრამ თუ γ-ს მოსდევს γ, κ, χ, ξ ნიშნები, იგი ნაზალურ გამად (nasalis gamma) გადაიქცევა და გამოითქმის როგორც ნ, ე.ი. კომპლექსები -γγ-, -γκ-, -γχ-, -γξ- უნდა წარმოვთქვათ როგორც -ნგ-, -ნკ-, -ნხ-, -ნქს-: ἄγγελος [ანგელოს] „მაცნე“, „მახარობელი“, ἄγκυρα [ანკჳრა] „ღუზა“, λόγχη [ლონხე] „შუბი“, Σφίγξ [სჶინქს] „სფინქსი“.

4. ნიშანი ι (იოტა) ყოველთვის ხმოვანი ბგერის აღმნიშვნელია და გამოითქმის როგორც ქართული ი; ἰατρός [იატროს], „ექიმი“, Ἰωνία [იონია] „იონია“.

5. ნიშანი υ (ჳ ფსილონი) თავდაპირველად გამოხატავდა იმ ბგერას, რომელსაც ძველ ქართულში ჳ ნიშნით გადმოსცემდნენ (მაგ., ღჳნო); გერმანულში მისი შესატყვისია [ü], ფრანგულში [u]. შემდეგ თვით ბერძნულ ენაში υ ნიშნის შესატყვისი ბგერა თანდათან დაუახლოვდა გამოთქმაში ი-ს. ამგვარად, ბერძნული υ ქართულში ი ნიშნით გადმოიცემა (Λυκία – ლიკია; σύνταξις – სინტაქსი), გარდა ტრადიციით დამკვიდრებული შემთხვევებისა, როცა υ-ს შესატყვისად გვაქვს ვი კომპლექსი (Σκυθία – სკვითია, Αἴγυπτος – ეგვიპტე და სხვ.).

6. ანბანში წარმოდგენილი ასოების გარდა უძველეს ბერძნულში ხმარობდნენ ასეთი მოხაზულობის ასოსაც F, რომელსაც ფორმის გამო დიგამას (δίγαμμα – ორმაგი გამა), ხოლო წარმოთქმის მიხედვით ვაუ-ს (Faŭ) უწოდებდნენ. ამ ნიშნის შესატყვისია ლათინური v, ქართული ვ (Foῖνος, ლათ. Vinum, ქართ. ღვინო). დიგამა ძველი ბერძნული ენის დიალექტებში ადრევე გაქრა. შემოინახა იგი მხოლოდ ეოლიურ და დორიულ დიალექტებში. დიგამის კვალი კარგად ჩანს ჰომეროსის პოემებში. დაცულია ნიშანი F ბერძნულ წარწერებში.

ბგერათა კლასიფიკაცია

I. ხმოვნები. ძველ ბერძნულ ენაში მოქმედებდა კვანტიტეტის (quantitas) კანონი: განირჩეოდა გრძელი და მოკლე ხმოვნები. ანბანში წარმოდგენილი 7 მარტივი ხმოვანი ბგერის გამომსახველ ასოთაგან ε და ο მუდამ მოკლე ხმოვნებია, η და ω – მუდამ გრძელი, α, ι და υ კი დიქრონებია და ხან გრძელ ხმოვანს გამოხატავს, ხან – მოკლეს. სამეცნიერო გამოკვლევებში, ლექსიკონებსა და სასწავლო ლიტერატურაში ხმოვნის სიგრძეს აღნიშნავენ ასეთი ნიშნით ¯, სიმოკლეს კი ამ ნიშნით ˘ . ეს ნიშნები ხმოვნის გამომხატველ ასოს (დიქრონულს) თავზე დაესმის: ᾱ, ᾰ, ῑ, ῐ, ῡ, ῠ. ხმოვანი ბგერის გამომხატველ ასოზე დასმული ნიშანი ⏑. ხმოვნის დიქრონიულობის მაუწყებელია (ე.ი. ეს ხმოვანი შეიძლება გრძელიც იყოს და მოკლეც).

ბერძნულ ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლეს წარმოთქმაში ამჟამად აღარ ვარჩევთ, მაგრამ ხმოვნის კვანტიტეტური ბუნების ცოდნას არსებითი მნიშვნელობა აქვს ძველი ბერძნული ენის გრამატიკული მახვილისა და მეტრიკისათვის.

მარტივ ხმოვნებში მაგარი ხმოვნებია α, ε, η, ο, ω, ι და υ კი – რბილი.

მარტივი ხმოვნების გარდა ძველ ბერძნულში არის რთული ხმოვნებიც ანუ დიფთონგები (δίφθογγοι). დიფთონგს ქმნის მაგარი და რბილი ხმოვნის შეხვედრა. ასეთი შეხვედრის შედეგად მიღებული რთული ხმოვანი სიტყვაში წარმოითქმის როგორც ერთი მარცვალი.

დიფთონგები ორი ჯგუფისაა: საკუთრივ დიფთონგები და შეკუმშული დიფთონგები.

ა) საკუთრივ დიფთონგები. საკუთრივ დიფთონგს ქმნის მოკლე მარტივი ხმოვანი + ι ან υ. საკუთრივ დიფთონგებია:

αι = აი	αυ = აუ
ει = ეი	ευ = ევ
οι = ოი	ου = უ (შდრ. ქართ. ჷ [ოჳ], საიდანაც მივიღეთ უ).

მაგალითები:

αἰτία [აიტია] „მიზეზი“, παῖς [პაის] „ბავშვი“, Νεῖλος [ნეილოს] „ნილოსი“, Δαρεῖος [დარეიოს] „დარიოსი“, εἶναι [ეინაი] „ყოფნა“, οἶνος [ოინოს] „ღვინო“, οἴει [ოიეი] „ფიქრობს“, αὐτός [აუტოს] „თვითონ“,

Γλαῦκος [გლაუკოს] „გლავკოსი“, οὐρανός [ურანოს] „ცა“, Μοῦσα [მუსა] „მუზა“.

ბერძნული ენის დიალექტებში გვხვდება აგრეთვე შემდეგი სახის საკუთრივ დიფთონგები: ηυ – ηϋ, ωυ – ωϋ (ე.წ. გრძელხმოვნიანი დიფთონგები) და υι, რომელიც მხოლოდ ხმოვნის წინაა მოსალოდნელი. მაგალითად ηὗξον [ეუქსონ] „გავადიდე“, αὐτός [ოუტოს] „თვითონ“, (=αὐτός), μυῖα [მგა] „ბუზი“ (შდრ. ლათ. musca, რუს. муха).

ბ) შეკუმშული ანუ არასაკუთრივ დიფთონგები. შეკუმშულ დიფთონგებს ქმნის სამი გრძელი ხმოვანი ᾱ, η, ω მომდევნო ι-თი, რომელიც ნუსხურ ასოს ქვეშ მიეწერება (iota subscriptum): ᾳ, ῃ, ῳ, ხოლო მთავრულს გვერდით დაესმის (iota adscriptum): Αι, Ηι, Ωι. არც ქვეშ მიწერილი და არც გვერდით დასმული ι არ გამოითქმის. მაგალითები: ᾄδω – Ἄιδω [ადო] „ვმღერი“, ᾑτουν – Ἤιτουν [ეტუნ] „ვთხოვდი“, ᾠδή – Ὠιδή [ოდე] „სიმღერა“, ζῷον [ძოონ] „ცხოველი“, ᾧόν [ოონ] „კვერცხი“.

შენიშვნები: 1) თუ ι და υ დიფთონგს ვერ ქმნის წინამდებარე ხმოვანთან, მათ დაესმით ორი გამყოფი წერტილი (puncta diaeresis): ὄϊς [ოის] „ცხვარი“, ἄϊπνος [აიპნოს] „უძილო“.

2) დიფთონგები, როგორც წესი, გრძელი ხმოვნებია. αι და οι დიფთონგები ზოგჯერ მოკლე ხმოვნად ითვლება (პირველსა და მეორე კანკლედობაში სიტყვის ბოლოს, ზოგ ზმნისართსა და ზმნაში).

II. თანხმოვნები. ბერძნულ თანხმოვანთა სისტემა წარმოდგენილია ამ ტაბულაში:

წარმოთქმის ადგილის მიხედვით	წარმოთქმის ხარისხის მიხედვით		
	ხშულნი (mutae)		
	ყრუ-მკვეთრნი (tenues)	მჟღერნი (mediae)	ფშვინვიერნი (aspiratae)
ბაგისმიერნი (labiales)	π	β	φ
ხორხისმიერნი (gutturales)	κ	γ	χ
კბილისმიერნი (dentales)	τ	δ	θ

სონორნი (continuae)		სპირანტი (spirans)
ნარნარნი (liquides)	ნაზალურნი (nasales)	
λ (ლატერალური) ρ (ვიბრანტი)	μ ν (γ)	σ

რთული ანუ ორმაგი თანხმოვანებია: ζ, ξ, ψ.

ζ-ს გვაძლევს σ + δ (δ + σ) ან δ + ι.

ξ გამოითქმის როგორც ქს. მას გვაძლევს ხორხისმიერი + σ: κσ, γσ, χσ.

ψ გამოითქმის როგორც ფს (პს). მას გვაძლევს ბაგისმიერი + σ: πσ, βσ, φσ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : φ, χ, θ თანხმოვნები უძველეს ბერძნულში, როგორც ჩანს, გამოხატავდნენ იმავეს, რასაც ქართული ფ, ქ, თ. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ ამ ბერძნული ბგერების გადმოსაცემად რომაელებმა მიმართეს ლათინურ ასოთა შეზავებას: p, c, t ასოებს დაურთეს ფშვინვიერობის აღმნიშვნელი ნიშანი h (ჰ) და ამრიგად მიიღეს: ph (ფ), ch (ქ), th (თ). φ, χ ასოებმა გვიან მოგვცეს გამოთქმაში ֆ, ხ.

ასპირაცია (aspiration) ანუ ფშვინვა. ხმოვნით დაწყებულ ყოველ სიტყვას ბერძნულში აქვს ასპირაციის (ფშვინვის) ნიშანი. ეს ნიშანი ორგვარია: [ʽ] ძ ლ ი ე რ ი ფ შ ვ ი ნ ვ ი ს ნ ი შ ა ნ ი (spiritus asper), რომელიც გამოთქმაში უდრის ქართულ ჰ-ს და [ʼ] ს უ ს ტ ი ფ შ ვ ი ნ ვ ი ს ნ ი შ ა ნ ი (spiritus lenis), რომელიც არ გამოითქმის. ეს ნიშნები დაესმის ყოველ ხმოვანს, თუ ამ ხმოვნით სიტყვა იწყება. მარტივ ნუსხურ ხმოვანს ასპირაციის ნიშანი დაესმის თავზე, მთავრულს – მარცხენა გვერდზე. დიფთონგს ასპირაციის ნიშანი დაესმის მეორე შემადგენელ ელემენტზე. თუ შეკუმშული დიფთონგი მთავრულითაა წარმოდგენილი, ასპირაციის ნიშანი დაესმის ისევე, როგორც მარტივ მთავრულ ხმოვანს, ე.ი. მარცხენა გვერდზე. თუ ხმოვანს ასპირაციის ნიშანთან ერთად მახვილიც მოუდის, ჯერ ასპირაციის ნიშანი დაისმება, შემდეგ კი მახვილი, თუ ეს მახვილი მკვეთრი ან მძიმეა, ხოლო თუ მახვილი შემოსილია, ჯერ იგი დაისმის, ხოლო მის ქვეშ – ასპირაციის ნიშანი.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

ἡμέρα [ჰემერა] „დღე“, ἁρπάζω [ჰარპაძო] „ვიტაცებ“, Ἑρμῆς [ჰერმეს] „ჰერმესი“, αἱρέω [ჰაჱრეო] „ვიღებ“, ἅγιος [ჰაგიოს] „წმინდა“, ᾅδης [ჰადეს] „ჰადესი“, „საიქიო“, Ἅιδης [ჰადეს] ჰადესი (საიქიოს სამეფოს ღმერთი), οὗτος [ჰუტოს] „იგი“, αἷμα [ჰაემა] „სისხლი“. ἀγαπῶ [აგაპო] „მიყვარს“, Ἀπόλλων [აპოლლონ] აპოლონი, αἴσθησις [აისთესის] „შეგრძნება“, ᾄδω [ადო] „ვმღერი“, Ὠιδή-ᾠδή [ოდე] „სიმღერა“.

შენიშვნები: 1. ῠ-ს სიტყვის დასაწყისში მუდამ ძლიერი ფშვინვა ახლავს: ὕδωρ [ჰიდორ] „წყალი“, ὕπνος [ჰიპნოს] „ძილი. და სხვ.

2. ῥ-ს სიტყვის დასაწყისში ყოველთვის ძლიერი ფშვინვის ნიშანი აქვს, მაგრამ იგი არ გამოითქმის: ῥήτωρ [რეტორ] „მჭევრმეტყველი“, „ორატორი“, ῥεῦμα [რევმა] „მდინარება“ და სხვ.

3. თუ სიტყვაში ერთადაა ორი ῥ, ორივეს დაესმის ფშვინვის ნიშანი. პირველს – სუსტი, მეორეს – ძლიერი, მაგრამ არ გამოითქმის. ორი ῥ-ს მატარებელ სიტყვაში ეს ნიშნები შეიძლება არც დაისვას: Πύῤῥος ან Πύρρος [პირროს] პიროსი, Καλλιῤῥόη ან Καλλιρρόη [კალირროე] კალიროე. ἐπιῤῥώννυμι და ἐπιρρώννυμι [ეპირონნიმი] „ვამაგრებ“.

მახვილის ნიშნები. ბერძნულში მახვილს (προσῳδία – accentus) სამი ნიშანი აქვს: [́] მკვეთრი მახვილი (ὀξεῖα προσῳδία – accentus acutus). [̀] მძიმე ანუ ბლაგვი მახვილი (βαρεῖα προσῳδία – accentus gravis) და [͂] შემოსილი მახვილი (περισπωμένη προσῳδία – accentus circumflexus).

მახვილის ნიშანი ხმოვანს დაესმის თავზე: λόγος „სიტყვა“, ἀπὸ τούτου „ამისაგან“, σῦκον „ლელვი“.

თუ ხმოვანს მახვილის ნიშანიც მოუდის და ასპირაციისაც (ცხადია, ეს სიტყვის დასაწყისში იქნება), ჯერ ასპირაციის ნიშანი დაისმის, შემდეგ – მახვილისა, თუ მახვილი მკვეთრი ან ბლაგვია: ἅγω „მიმყავს“, ἥν „თუ“; თუ მახვილი შემოსილია, იგი ასპირაციის ნიშანს თავზე დაესმის: ἅθλον „ჯილდო“.

თუ მახვილისა და ასპირაციის ნიშნები მთავრული ასოთი დაწყებულ სიტყვას ამ ასოთი გამოხატულ ხმოვანზე მოუდის, ნიშნები დაისმის მთავრული ასოს მარცხენა გვერდზე: Ἄγω. Ἆθλον.

თუ მახვილი საკუთრივ დიფთონგს მოუდის, ეს მახვილი (ისევე როგორც ასპირაციის ნიშანი) დაესმის დიფთონგის შემადგენელ მეორე ხმოვანს: αἴσθησις – Αἴσθησις, μοῦσα.

შეკუმშულ დიფთონგზე მახვილის დასმის წესი ისეთივეა, როგორც მარტივ ხმოვანზე: ᾄδω – Ἄιδω.

მახვილის ნიშნებს ძველ ბერძნულ გამოთქმაში ერთმანეთისაგან განსხვავებული ტონალობა ახასიათებდა, მაგრამ ამჟამად ამას ყურადღებას აღარ ვაქცევთ და მახვილიან ხმოვანს, მახვილის როგორი ნიშანიც არ უნდა ჰქონდეს, ერთნაირი სიძლიერით წარმოვთქვამთ.

შენიშვნა: თუ ხმოვანს ერთდროულად გამყოფი წერტილებიც ძლიერის და მახვილის ნიშანიც, მკვეთრი მახვილი წერტილთა შუა დაისმის, შემოხაზული მახვილი კი – ამ წერტილთა ზემოთ: ἀΐδιος [აიდიოს] „მარადიული", πραΰνω [პრაჰუნო] „დამშვიდება".

სასვენი ნიშნები: ა) წერტილსა და მძიმეს იგივე დანიშნულება აქვს ბერძნულში, რაც ქართულში. ბ) სტრიქონში წერტილი ზემოთ [·] არის ე.წ. კ ო ლ ო ნ ი და მნიშვნელობით უდრის წერტილ-მძიმეს ან ორ წერტილს: ἑσπέρα ἦν· τότε ἦλθεν ἄγγελος „საღამო იყო; მაშინ მოვიდა მაცნე". ἐρωτῶ ὑμᾶς· τί ἐποιήσατε; „გეკითხებით თქვენ: რა მოიმოქმედეთ?" გ) წერტილ-მძიმე ბერძნულში კითხვის ნიშანია τίς; „ვინ?" τί ἐποιήσατε; „რა მოიმოქმედეთ? τί λέγεις; „რას ამბობ?"

სიტყვის დამარცვლა. 1) სიტყვაში იმდენი მარცვალია, რამდენიც ხმოვანი: ἄν-θρω-πος „ადამიანი" სამმარცვლიანი სიტყვაა, αἰ-τί-α „მიზეზი" ასევე სამმარცვლიანი სიტყვაა, λό-γος „სიტყვა" ორმარცვლიანია, νοῦς „გონება" – ერთმარცვლიანი.

2) თუ თანხმოვანი ორი ხმოვნის შუა მდებარეობს, დამარცვლის დროს იგი მომდევნო მარცვალს განეკუთვნება: λό-γος „სიტყვა", φέ-ρω „მომაქვს", στρα-τη-γός „სარდალი", ἐ-λεύ-θε-ρος „თავისუფალი", ψυ-χή „სული", ἱ-κα-νός „საკმაო".

3) თუ ორი ხმოვნის შუა რამდენიმე თანხმოვანია, მომდევნო მარცვალს ის თანხმოვანი განეკუთვნება, რომლებითაც შეიძლება ბერძნული სიტყვა დაიწყოს: ὀ-στέ-ον „ძვალი", ἐ-σθής „ტანსაცმელი", ἰ-χθύς „თევზი", ὄ-γδο-ος „მერვე".

4) თუ ორი ხმოვნის შუა ორი ისეთი თანხმოვანია, რომელთაგან პირველი სონორია და მეორე ხშული, ასეთი თანხმოვნები მარცვალთა შორის განაწილდება: Ἀρ-τα-ξέρ-ξης. ასევე განაწილდება ორი ერთნაირი თანხმოვანი: ἵπ-πος „ცხენი", βάλ-λω „ვისვრი". ასევე დაიშლება მკვეთრი შესაბამის ფშვინვიერთან: Ἀτ-θίς, Βάκ-χος, Σαπ-φώ.

5) რთული სიტყვა დაიშლება შემადგენელ ნაწილებად: ἐξ-άγω „გამომყავს", περι-γράφω „აღვწერ".

ხმოვანთა შეხვედრა. ორი ხმოვნის უშუალო მეზობლობა სიტყვის შიგნით ანდა სიტყვის ბოლო ხმოვანსა და მომდევნო სიტყვის თავკიდურ ხმოვანს შორის (თუ სიტყვები სასვენი ნიშნით არაა გამიჯნული) ქმნის ეგრეთ წოდებულ ჰიატუსს (ლათ. hiatus „ღიაობა“). ქართულში, მაგალითად, ჰიატუსის შემთხვევებია: დააწერა, დაუწერა, არა აქვს და სხვ. ბერძნული ენის იონიური დიალექტი ჰიატუსს არ გაურბოდა, ატიკური დიალექტი კი სხვადასხვა საშუალებით ცდილობდა თავიდან მის აცდენას.

1. კონტრაქცია (συναίρεσις – contractio „შეკუმშვა“). კონტრაქცია ეწოდება სიტყვის შიგნით ორი ზედიზედ მოსული ხმოვნის შერთვას ანუ შერწყმას ერთ ხმოვნად: დედოფალი < დედაუფალი, нет < не есть და მისთ[1]. ასეთი შერწყმის შედეგად მიღებულ ხმოვანს კონტრაჰირებული ხმოვანი ეწოდება.

ბერძნულში სიტყვის შიგნით შემხვედრ ხმოვანთა შერწყმის შედეგად ვიღებთ მარტივ გრძელ ხმოვანს ან დიფთონგს:

α + α = ᾱ	ε + α = η	ο + α = ω
α + ε = ᾱ	ε + ε = ει	ο + ε = ου
α + η = ᾱ	ε + η = η	ο + η = ω
α + ι = ᾳ	ε + ι = ει	ο + ι = οι
α + ει = ᾳ	ε + ει = ει	ο + ει = οι
α + η = ᾳ	ε + η = η	ο + η = οι
α + ο = ω	ε + ο = ου	ο + ο = ου
α + ω = ω	ε + ω = ω	ο + ω = ω
α + οι = ῳ	ε + οι = οι	ο + οι = οι
α + ῳ = ῳ	ε + ῳ = ῳ	ο + ῳ = ῳ
α + ου = ω	ε + ου = ου	ο + ου = ου

2. ელიზია (ἔκθλιψις – elisio). ელიზია არის წინამდებარე სიტყვის ბოლოკიდური მოკლე ხმოვნის ამოვარდნა სიტყვის თავკიდურ ხმოვანთან. დაკარგულ ხმოვანს ეწოდება ელიდირებული ხმოვანი და მის ადგილზე დაისმის აპოსტროფი [’].

ელიზიას ჩვეულებრივ ექვემდებარება წინდებულებისა და კავშირების ბოლოკიდური ხმოვანი.

[1] იხ. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი. თბილისი, 1956, გვ. 179.

ისე ბრუნვაც ხდება სიტყვის ბოლოკიდური ხმოვნის ამოვარდნასთან წარმოდგენილი, ელიზიის ნიშანი სიტყვის ბოლოკიდური ფონ თანხმოვნის ხმოვნად ქცევის (κ → χ, π → φ, τ → θ).

ელიზიის მაგალითები: ἐπ' αὐτῷ = ἐπὶ αὐτῷ, ἀλλ' ἐγὼ = ἀλλὰ ἐγώ, εἰμ' ἄνθρωπος = εἰμὶ ἄνθρωπος, ὅτ' ἦλθε = ὅτε ἦλθε, παρ' ἐκείνῳ = παρὰ ἐκείνῳ, ἀφ' ἑαυτῷ = ἀπὸ ἑαυτῷ, οὔθ' οὗτος οὔτ' ἐκεῖνος = οὔτε οὗτος οὔτε ἐκεῖνος, ὑφ' ἡμῶν = ὑπὸ ἡμῶν, καθ' ὅλον = κατὰ ὅλον, μεθ' ἡμῶν = μετὰ ἡμῶν, ὁ δ' ἀγαθός = ὁ δὲ ἀγαθός, ἐπ' ἀριστερᾷ = ἐπὶ ἀριστερᾷ.

შენიშვნები: 1) ელიზიის მოვლენა რთულ სიტყვებში აპოსტროფით არ აღინიშნება: ἐπέρχομαι = ἐπὶ – ἔρχομαι; ἀφίστημι = ἀπο-ίστημι.

2) ელიზია იშვიათია სახელთა და ზმნათა დაბოლოებებში: οἱ πάντ' εἰσαγγέλοντες = οἱ πάντα εἰσαγγέλοντες, οἶδ' ὅτι = οἶδα ὅτι, φήμ' ἔγωγε = φημὶ ἔγωγε, γένοιτ' ἄν = γένοιτο ἄν.

3) ელიზიას განიცდის სიტყვის ბოლოს მდებარე ხმოვნები ᾰ, ῐ, ε, ο.

4) ელიზიას არასდროს არ ექვემდებარება ῠ. ასევე არ მოუდით ელიზია ᾰ და ο ხმოვნებს ერთმარცვლიან სიტყვებში და ι-ს სიტყვებში: περί, ἄχρι, μέχρι, τί, τι, ὅτι.

5) თუ ელიზიას სახელი ან ზმნა განიცდის, დაკარგული ხმოვნის მახვილი წინამდებარე ხმოვანს გადაეცემა: φημὶ ἔγωγε → φήμ' ἔγωγε, δεινὰ ἔπαθον → δείν' ἔπαθον, πολλὰ εἶδον → πόλλ' εἶδον.

3. კრასისი (κρᾶσις „შერევა"). კრასისი არის სიტყვის ბოლოკიდური მარტივი ხმოვნის ან დიფთონგის შერწყმა მომდევნო სიტყვის თავკიდურ ხმოვანთან, რაც იწვევს ორი სიტყვის შერევას. ასეთი შერწყმის შედეგადაც ვიღებთ გრძელ ხმოვანს ან დიფთონგს. კრასისის ნიშანია კორონისი (Κορωνίς), რომელიც ჰგავს სუსტი ფშვინვის ნიშანს [']. იგი დაისმის შერწყმის შედეგად მიღებულ ხმოვანზე: τὸ ὄνομα → τοὔνομα, τὰ ἀγαθά → τἀγαθά, τὸ αὐτό → ταὐτό, καὶ ἐν → κἄν, καὶ εἶτα → κᾆτα, ἐγὼ οἶμαι → ἐγᾦμαι, ὁ ἀνήρ → ἀνήρ, τῇ ἡμέρᾳ → θἠμέρᾳ, ὅτου ἕνεκα → ὁθούνεκα, δοῦνα[ι] ἄν → δουνᾶν.

შენიშვნები: 1) კრასისს ყველაზე უფრო ხშირად ექვემდებარებიან: არტიკლები (ὁ, ἡ, τό – οἱ, αἱ, τά), რელატიური ნაცვალსახელის საშუალო სქესის ფორმები ὅ და ἅ, წინდებული πρό, კავშირი καί, ნაცვალსახელი ἐγώ, შორისდებული = ὦ.

2) ხმოვანთა შერწყმა კრასისის დროს ისეთივე წესით ხდება, როგორც კონტრაქციის შემთხვევაში, მაგრამ ხშირია გამონაკლისები. მომდევნო სიტყვის თავკიდური ხმოვანი მძლავრობს ბოლომე და იგი განსაზღვრავს

შერწყმის შედეგს. თუ მომდევნო სიტყვის თავკიდური ხმოვანი არის α, კრასისის დროს იგი შთანთქავს წინამდებარე სიტყვის ყოველგვარ ბოლოკიდურ ხმოვანს: ὁ ἀνήρ → ἀνήρ (კონტრაქციის წესის მიხედვით კი ο + α გვაძლევს ω-ს. აქვე შევნიშნავთ, რომ იონურსა და დორიულ დიალექტებში ეს წესი დაცულია. ὁ ἀνήρ ამ დიალექტებში კრასისის შედეგად ὠνήρ ფორმას გვაძლევს); τοῦ ἀνδρός → τἀνδρός (მოსალოდნელი იყო τοὐνδρός), οἱ ἄνδρες (მოსალოდნელი იყო ὠνδρες).

3) თუ წინამდებარე სიტყვის ბოლოკიდური ხმოვანია ι, ჯერ ხდება ელიზია, შემდეგ კი – კრასისი: κα[ὶ] ἐπὶ = κἀπί.

4) თუ მომდევნო სიტყვის თავკიდურ მარცვალში არის ι, კრასისის შემდეგ მიღებულ ხმოვანს ეს ι ქვეშ მიეწერება: καὶ εἶτα → κᾆτα (მაგრამ καὶ ἔπειτα → κἄπειτα, καὶ ἐν – κἀν), ἐγὼ οἶμαι → ἐγᾦμαι.

5) არტიკლისა და რელატიური ნაცვალსახელის ძლიერი ფშვინვა კრასისის შემდეგ მომდევნო სიტყვის თავკიდურ ხმოვანს გადაეცემა. ასეთ შემთხვევაში კრასისის ნიშანი (კორონისი) აღარ დაისმის: ὁ ἀνήρ = ἀνήρ.

მომდევნო სიტყვის თავკიდური ხმოვნის ძლიერი ასპირაცია აფშვინვიერებს τ-ს (τ → θ): τὸ ἱμάτιον → θοἱμάτιον; τὸ ἕτερον → θάτερον.

6) კრასისის დროს წინამდებარე მახვილი იკარგება: τὰ ἀγαθά → τἀγαθά.

7) კრასისი ჰომეროსის პოემებში იშვიათია. იგი ხშირია ატიკურ პოეზიაში, პროზაში კი მისი შემთხვევები არცთუ ისე ხშირად გვხვდება.

4. ა ფ ე რ ე ს ი ს ი (ἀφαίρεσις „წართმევა“). აფერესისი კრასისის მსგავსი მოვლენაა. ეს არის სიტყვის თავში ბგერის დაკარგვა (ქართ. რკო < კრკო; ინგლ. I'm < I am). აფერესისი არის elisio inversa – შებრუნებული ელიზია, როცა მომდევნო სიტყვის თავკიდური მოკლე ხმოვანი იკარგება წინამდებარე სიტყვის ბოლოკიდურ გრძელ ხმოვანთან: κα[ὶ] ἄλλως → κἄλλως; μὴ ἔλασσον → μἤλασσον (μὴ 'λασσον).

5. ე ვ ფ ო ნ ი ურ ი თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი ს ი ტ ყ ვ ი ს ბ ო ლ ო ს. სიტყვათა შორის ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად ბერძნები მიმართავდნენ აგრეთვე თანხმოვან ν-ს (ν ἐφελκυστικόν „მოთრეული ν“). ε და ι ხმოვნებზე დაბოლოებულ ზოგიერთ ბრუნვათა და ზმნათა ფორმებს მომდევნო სიტყვის თავკიდური ხმოვნისაგან გასათიშად და აგრეთვე სასვენი ნიშნების წინ ემატებათ თანხმოვანი ν. ასეთ ν-ს დაირთავენ:

1) მრავლობითი რიცხვის მიცემითი ბრუნვა σι, ξι, ψι ბოლოკიდურებით: πᾶσιν Ἀθηναίκοις, πᾶσιν ἔδωκα; 2) ზმნის მესამე პირი ε და σι ბოლო-

ადგილებით: ἔλεγεν ἐμοι = ἔλεγε ἐμοί; σῴζουσιν Ἀθηναίους = σῴζουσι Ἀθηναίους; 3) სიტყვები: εἴκοσι(ν), ἐστί(ν), εἰσί(ν); 4) ადგილის მაჩვენებელი სუფიქსი თ: Ἀθήνησιν ἦν = Ἀθήνῃσι ἦν „ათენში იყო“.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი: 1) ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად ς-ს დაირთავს ზ ბ ნ ი ზ ე დ ა οὕτω ხმოვნით დაწყებული მომდევნო სიტყვის წინ.

2) წინდებული ἐκ ევფონიისათვის ხმოვანთა წინ გვაძლევს ფორმას ἐξ: ἐκ τῆς πόλεως, მაგრამ ἐξ ἀκροπόλεως; ἐκλέγω, მაგრამ ἐξέλεγον.

3) უარყოფა οὐ „არა“, თუ მომდევნო სიტყვა ხმოვნით იწყება, დაირთავს κ-ს, რომელიც ძლიერი ასპირაციის შემთხვევაში გვაძლევს χ-ს: οὐ φησι მაგრამ οὐκ αὐτός, οὐχ οὗτος, οὐκ αἰσχρός, οὐχ ἡδύς.

ხმოვანთა მონაცვლეობა. ბრუნებისა და უღლების ფორმათა წარმოებისა და სიტყვათა წარმოქმნის დროს ხმოვნები ხშირად განიცდიან ცვალებადობას:

1) იცვლება ხ მ ო ვ ნ ი ს რ ა ო დ ე ნ ო ბ ა (მოკლე ხმოვანი გრძელდება):

აწმყო:		მყოფადი:	
τιμάω „პატივს ვცემ“,		τιμήσω	
ποιέω „ვაკეთებ“,		ποιήσω	
μισθόω “ვაქირავებ“,		μισθώσω	

2) ხდება შ ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ი თ ი დ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა. ამ მოვლენას მაშინ აქვს ადგილი, როცა სიტყვაში თანხმოვანი ამოვარდება: πᾶς < πᾰ-ντ-ς; εἰμί < ἐσ-μί; δίδους < διδο-ντ-ς; δεικνῦς < δεικνυ-ντ-ς.

3) იცვლება ხ მ ო ვ ნ ი ს თ ვ ი ს ე ბ რ ი ო ბ ა. ხმოვნები α, ε, ο ხშირად ენაცვლებიან ერთმანეთს ერთნაირი წარმომავლობის სიტყვებში. ძირითად ხმოვნად ითვლება ε: აწმყო τρέπω „ვაბრუნებ“, აორ. ἔτραπον, არს. სახელი τρόπος. ფუძეა γενεσ-, სახელ. ბრ. γένος; აწმყო φλέγω „ვწვავ“, არს. სახ. φλόξ „ალი“; აწმყო λείπω „ვტოვებ“, აორ. ἔλιπον, ნამყ. სრ. λέλοιπα, ზედს. სახ. λοιπός.

ძირეული ხმოვნის ასეთ ცვლას ა ბ ლ ა უ ტ ი ეწოდება.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ზოგჯერ η ხმოვანს ენაცვლება ω: ἀρήγω „ვეხმარები“, არს. სახ. ἀρωγή „დახმარება“.

რედუქცია (reductio). ესაა მოკლე ხმოვნის ამოვარდნა სიტყვის შიგნით: γιγένομαι → γίγνομαι „ვიქმნები“; ἦλυθον → ἦλθον „მოვედი“; οἴομαι → οἶμαι „ვფიქრობ“.

თანხმოვანთა შეხვედრა. თანხმოვანთა შეხვედრის დროს ადგილი აქვს ისეთ ფონეტიკურ მოვლენებს, როგორიცაა ასიმილაცია (გაგერათდამსგავსება), დისიმილაცია (გაგერათგანმსგავსება), თანხმოვანთა ამოვარდნა (რედუქცია).

1. ხორხისმიერ (γ, κ, χ) და ბაგისმიერ (β, π, φ) თანხმოვანთა შეხვედრა სიტყვის შიგნით კბილისმიერ თანხმოვნებთან (τ, δ, θ) შედეგად გვაძლევს მკვეთრს მკვეთრთან, მჟღერს მჟღერთან და ფშვინვიერს ფშვინვიერთან:

ხორხისმიერი + კბილისმიერი	ბაგისმიერი + კბილისმიერი
$\left.\begin{matrix}\kappa+\tau\\ \gamma+\tau\\ \chi+\tau\end{matrix}\right\} = \kappa\tau$	$\left.\begin{matrix}\pi+\tau\\ \beta+\tau\\ \varphi+\tau\end{matrix}\right\} = \pi\tau$
$\left.\begin{matrix}\kappa+\delta\\ \gamma+\delta\\ \chi+\delta\end{matrix}\right\} = \gamma\delta$	$\left.\begin{matrix}\pi+\delta\\ \beta+\delta\\ \varphi+\delta\end{matrix}\right\} = \beta\delta$
$\left.\begin{matrix}\kappa+\theta\\ \gamma+\theta\\ \chi+\theta\end{matrix}\right\} = \chi\theta$	$\left.\begin{matrix}\pi+\theta\\ \beta+\theta\\ \varphi+\theta\end{matrix}\right\} = \varphi\theta$

მაგალითები: λεγ-τος → λεκτός; λεγ-θηναι → λεχθῆναι; δεχ-τος → δεκτός; ὀκδοος → ὄγδοος; τυπ-θηναι → τυφθῆναι; γραφ-τος + γραπτός; γραφ-δην → γραβδήν.

2. ხორხისმიერი (κ, γ, χ) და ბაგისმიერი (π, β, φ) თანხმოვნების შეხვედრა σ-სთან შესაბამისად გვაძლევს κσ და πσ კომპლექსებს, რაც წერაში გამოიხატება ξ და ψ ასოებით:

$$\left.\begin{matrix}\kappa+\sigma\\ \gamma+\sigma\\ \chi+\sigma\end{matrix}\right\} = \xi \qquad \left.\begin{matrix}\pi+\sigma\\ \beta+\sigma\\ \varphi+\sigma\end{matrix}\right\} = \psi$$

მაგალითები:

φυλακ-σ → φύλαξ „დარაჯი“; λεγ-σ-ω → λέξω „ვიტყვი“; ὀνυχ-ς → ὄνυξ „ფრჩხილი“, „ბრჭყალი“; γυπ-ς → γύψ „ძერა“; βλαβ-σ-ω → βλάψω „დავაზიანებ“; γραφ-σ-ω → γράψω „დავწერ“.

3. ხორხისმიერი κ, γ, χ + μ გვაძლევს γμ-ს: διωκ-μο-ς → διωγμός „დევნა“; βεβρεχ-μαι → βέβρεγμαι „დავასველე“. δεδεχ-μαι → δέδεγμαι „მივიღე“.

4. კბილისმიერნი τ, δ, θ + μ გვაძლევს σμ-ს: ἡνυτ-μαι → ἧνυσμαι „შევასრულე“ (ἀνύω, ἀνύτω „ვასრულებ“); ἰδ-μεν → ἴσμην „ვიცით“ (οἶδα „ვიცი“); πεπειθ-μαι → πέπεισμαι „დავრწმუნდი“ (πείθω „ვარწმუნებ“).

5. ბაგისმიერნი π, β, φ + μ გვაძლევს μμ-ს: κοπ-μος → κόμμος „დარტყმა“ (κόπτω „ვარტყამ“); τετριβ-μαι → τέτριμμαι „დავსრისე“ (τρίβω „ვსრეს“); γραφ-μα → γράμμα „ასო“ (γράφω „ვწერ“).

6. კბილისმიერნი τ, δ, θ σ-სა და κ-ს წინ უკვალოდ ამოვარდებიან: ἀνυτ-σις → ἄνυσις „შესრულება“ (ἀνύτω „ვასრულებ“); λαμπαδ-ς → λαμπάς „ჩირაღდანი“, მრ. რიცხვ. მიცემ. ბრ. λαμπαδσιν → λαμπάσιν; πειθ-σ-ω → πείσω „დავარწმუნებ“, πεπειθ-κ-α → πέπεικα „დავარწმუნე“ (πείθω „ვარწმუნებ“).

7. კბილისმიერნი τ, δ, θ კბილისმიერთა წინ გვაძლევს σ-ს: πεπειθ-ται → πέπεισται, ἐπειθ-θην → ἐπείσθην (πείθω „ვარწმუნებ“); οἰδ-θα → οἶσθα (οἶδα „ვიცი“); ἀνυτ-τος → ἀνυστός (ἀνύτω „ვასრულებ“).

8. σ-ს ამოვარდნა: ორი σ-ის თავმოყრის შემთხვევაში წინამდებარე σ ამოვარდება: τειχεσ-σι → τείχεσι (τεῖχος „კედელი“); ἐσ-σ-ομαι → ἔσομαι „ვიქნები“ (εἰμί „ვარ“).

თუ σ ორი ხმოვნის შუა აღმოჩნდება, იგი ამოვარდება: γενε-σ-ος → γένεος → γένους (γένος „გვარი“); παιδεύ-ε-σ-αι → παιδεύ-ε-αι → παιδεύῃ ან παιδεύει „იზრდები“, „იზრდი“.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი: 1) σ-ის წინამდებარე σ ხშირ შემთხვევაში არ ამოვარდება: θάλασσα „ზღვა“, γλῶσσα „ენა“, μέλισσα „ფუტკარი“;

ბ) ორი ხმოვნის შუამდებარე მეორეული წარმოშობის σ არ ამოვარდება: λύ-σ-ω „გავხსნი“ (λύω „ვხსნი“).

გ) კბილისმიერთა წინ σ უცვლელი რჩება: ἐστίν „არის“, εὐγενέστατος „უკეთილშობილესი“; მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ σ-ს წინ თანხმოვანია, σ ამოვარდება: πεφυλακ-σθε → πεφύλαχθε, აქ σ ამოვარდა, ხოლო κ ფშვინვიერი θ-ს წინ χ-დ იქცა.

დ) ნარნარა და ცხვირისმიერ თანხმოვანთა მომდევნო σ ამოვარდება, სამაგიეროდ მის წინ მდებარე ხმოვანი დაგრძელდება: ἐφθερσα → ἔφθειρα „მოვსპე“ (φθείρω „ვსპობ“); ἐτενσα → ἔτεινα „გავჭიმე“ (τείνω „ვჭიმავ“).

ე) სიტყვის დასაწყისში ხმოვნის წინ σ ზოგჯერ ძლიერ ასპირაციაში გადადის: σεπομαι → ἕπομαι „მივდევ“; σεδος → ἕδος „სავარძელი“.

თუ სიტყვის დასაწყისში ხმოვნის წინ σ შენარჩუნებულია, იგი მეორეული წარმოშობისაა.

9. თანხმოვანი ν კბილისმიერთა წინ უცვლელი რჩება: συντείνω, συνδέω, συνθέω; ხორხისმიერთა წინ გამოისახება როგორც γ: συγγενής, συγκοινωνός, συγχέω, συγξέω; ბაგისმიერთა წინ გვაძლევს μ-ს: συν + βουλος → σύμβουλος, συν + πολιτης → συμ πολίτης, συν + φοιτητής → συμφοιτητής, συν + ψηφος → σύμψηφος, ἐν + πειρος (ἐν და πεῖρα) → ἔμπειρος, ἐν + ψυχος (ἐν და ψυχή) → ἔμψυχος.

λ, ρ და μ თანხმოვანთა წინ ν განიცდის სრულ ასიმილაციას: συν + λεγω → συλλέγω, συν + ῥαπτω → συῤῥάπτω, συν + μενω → συμμένω.

σ-ის წინ ν ამოვარდება წინამდებარე ხმოვნის დაუგრძელებლად: μειζονσι → μείζοσι, δαιμονσι → δαίμοσι.

შენიშვნა: σ-ის წინ ν ამოვარდება, მაგრამ წინამდებარე ხმოვანი დაგრძელდება სიტყვებში: εἷς ← ἑν-ς „ერთი“, τάλᾶς ← τάλανς „საბრალო“ (შდრ. ποὺς ← ποδς „ფეხი“).

10. ντ, νδ, νθ თანხმოვნები σ-ის წინ ამოვარდებიან, სამაგიეროდ ამ თანხმოვანთა წინ მდებარე ხმოვნები დაგრძელდება: ε → ει, ο → ου, ᾰ, ῐ, ῠ → ᾱ, ῑ, ῡ. ამგვარად: εντσι, ενδσι, ἐνθσι კომპლექსები მოგვცემს εισι; οντσι კომპლექსი მოგვცემს ουσι, ἄντσι კი ᾶς:

τιθεντς → τιθείς, ἐσπενδσα → ἔσπεισα, πενθσομαι → πείσομαι, λεοντσι → λέουσι, ὀδοντς → ὀδούς, ἱστᾰντσι → ἱστᾶσι, γιγᾰντς → γίγᾶς, δεικνῦντσι → δεικνῦσι.

11. ყრუ-მკვეთრი თანხმოვანი რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილის ბოლოს შესაბამის ფშვინვიერად იქცევა, თუ ამ სიტყვის მეორე შემადგენელი ნაწილის თავკიდურში ძლიერი ასპირაციის მქონე ხმოვანია (κ → χ, π → φ, τ → θ): δέκα + ἡμέρα → δεχήμερος (δέκα-ში α ელიდირებულია), ἀπο+ἵστημι → ἀφίστημι, κατα + ἵστημι → καθίστημι (ἀπο-ში ο, ხოლო κατα-ში α ელიდირებულია).

12. სიტყვის ბოლოს ყრუ-მკვეთრი თანხმოვანი ფშვინვიერად იქცევა, თუ მომდევნო სიტყვა ძლიერი ასპირაციის მქონე ხმოვნით იწყება:

οὐκ οὗτος → οὐχ οὗτος „არა ეს“.

ἀπ’ ἑστίας → ἀφ’ ἑστίας „კერიდან“.

κατ’ ἡμέραν → καθ’ ἡμέραν „დღისით“.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თუ მომდევნო სიტყვის თავკიდური ხმოვნის ძლიერი ასპირაციის გავლენით ფშვინვიერად გადაქცეული ყრუ-მკვეთრი თანხმოვანის წინ ასეთივე თანხმოვანია, ისიც გაფშვინვიერდება:

ἑπτ[ά]+ἡμέρα → ἑφθήμερος „შვიდდღიური“

νύκτ[α]+ ὅλην → νύχθ’ ὅλην „მთელ ღამეს“

13. ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში ბერძნული ენა გაურბის ერთი-მეორის მომდევნო ორი მარცვლის დაწყებას ფშვინვიერი თანხმოვნით:

ა) გაორმაგების (reduplicatio) დროს პირველი ფშვინვიერი შესაბამის ყრუ-მკვეთრ თანხმოვნად იქცევა:

χε-χωρη-κα → κε-χώρη-κα (χωρέω „მივდივარ“)

θι-θη-μι → τί-θη-μι „ვდებ“

φε-φυ-κα → πέ-φυ-κα (φύομαι „ვიბადები“).

ბ) ზმნები τίθημι „ვდებ“ და θύω „მსხვერპლს ვწირავ“ აორისტის ვნებით გვარში გვაძლევენ ἐ-τέ-θην (← ἐ-θε-θην) და ἐ-τύ-θην (← ἐ-θυ-θην) ფორმებს.

გ) სუსტი აორისტის ვნებითი გვარის ბრძანებითი კილოს II პირის მხოლობით რიცხვში მომდევნო მარცვლის θ → τ-ს: σώθη-τι (← σώ-θη-θι).

დ) ცალკე სიტყვები: ἐκεχειρία ← ἐχεχειρια (← ἔχειν + χείρ) „დაზავება“, ἀμπέχω ← ἀμφέχω „ვეხვევი“ და სხვ.

ე) ზოგჯერ ძლიერი ასპირაცია სუსტად იქცევა იმის გამო, რომ მომდევნო მარცვალი ფშვინვიერი თანხმოვნით იწყება: ὄφρα ← ὀ-φρα „ვიდრე“, ἔχω ← ἐ-χω ← σε-χω „მაქვს“.

ვ) ზმნებში:

ფუძე	აწმყო	მყოფადი	აორისტი	არს. სახელი
ταφ-	θάπτω „ვმარხავ“	θάψω	ἐτάφην	τάφος „საფლავი“
τρεφ-	τρέφω „ვკვებავ“	θρέψω		θρέμμα „ნაშიერი“
τρεχ-	τρέχω „დავრბივარ“	[θρέξομαι]	ἔθρεξα	
τρυφ-	θρύπτω „ვძლევ“	θρύψω		
τυφ-	τύφω „ვაკმევ“	θύψω		

ბოლოკიდური ბგერები. ბერძნულში სიტყვა ბოლოვდება მარტივი ხმოვნით ან დიფთონგით. სიტყვის ბოლოკიდურად თანხმოვანთაგან შეიძლება იყოს მხოლოდ ν, ρ, σ (ξ, ψ). გამონაკლისებია: უარყოფითი ნაწილაკი οὐκ, οὐχ „არა“ და წინდებული ἐκ „დან“.

უარყოფითი ნაწილაკი თანხმოვანთა წინ გვხვდება ფორმით οὐ, სუსტი ასპირაციის მქონე ხმოვანთა წინ იგი მიიღებს ფორმას οὐκ, ძლიერი ასპირაციის მქონე ხმოვანთა წინ კი მისი ფორმაა οὐχ: οὐ βλέπω „ვერ ვხედავ“, οὐκ οἶδα „არ ვიცი“, οὐχ οὗτος „არა ეს“.

წინდებული ἐκ ამ ფორმით გვხვდება თანხმოვანთა წინ, ხმოვანთა წინ იგი მიიღებს ფორმას ἐξ: ἐκ τοῦ ἄστεως, მაგრამ ἐξ ἄστεως „ქალაქიდან“.

ზმნიზედა οὕτως („ასე“, „ამგვარად“) ასეთი ფორმით იქნება ხმოვანთა წინ, თანხმოვანთა წინ კი ς მოსცილდება (οὕτω): οὕτως ἀγαθός, οὕτω κακός „ასე კარგი, ასე ცუდი“.

მოკლე და გრძელი მარცვლები. მარცვალი შეიძლება იყოს მოკლე ან გრძელი წარმომავლობით (φύσει – naturā) და მდებარეობით (θέσει – positione).

1. მარცვალი მოკლეა წარმომავლობით, თუ მისი შემადგენელი ხმოვანი არის მოკლე (ε, ο, ᾰ, ῐ, ῠ). მაგალითად, ყველა მარცვალი მოკლეა სიტყვებში: φιλόσοφος, θάνατος, ἕτερος, ἑνόμισα.

2. მარცვალი გრძელია წარმომავლობით, თუ მისი შემადგენელი არის მარტივი გრძელი ხმოვანი (η, ω, ᾱ, ῑ, ῡ) ან დიფთონგი. მაგალითად, ყველა მარცვალი გრძელია სიტყვებში: ἥρως, κρίνω, ᾄδω, λαῷ, ὑμεῖσ, δουλεύω, ἀήρ.

შენიშვნა: საკუთრივ დიფთონგები αι და οι სიტყვის ბოლოს მოკლე ხმოვნად ითვლება და მათ მიერ შედგენილი მარცვლებიც მოკლეა. სიტყვაში μοῦσαι, მაგალითად, σαι მოკლე მარცვალია. გამონაკლისებით ბოლოკიდური მარცვლები გრძელია სიტყვებში: οἶκοι, πάλαι, Φαληροῖ, Πειραιοῖ, παιδεύσαι, πεπαιδεύκοι.

3. მარცვალი გრძელია მდებარეობით, თუ მოკლე ხმოვანს ორი ან მეტი თანხმოვანი, ანდა რთული თანხმოვანი (ζ, ξ, ψ) მოსდევს. მაგალითად, მდებარეობით გრძელია ბოლოდან მეორე მარცვალი სიტყვებში: στέλλω, μέγιστος, ἐχθρός, ὀργή, τράπεζα, ὀξύς, ὄψον. გრძელია ბოლოდან პირველი მარცვალი სიტყვაში κόρᾰξ (მაგრამ κόρᾰκος).

შენიშვნა: ბერძნულ მეტრიკაში (ლექსთწყობაში) ეს წესი დაცულია ქვემოთ აღნიშნულ სამივე შემთხვევაში:

ა) როცა ხმოვნის მომდევნო თანხმოვნები ან რთული თანხმოვანი ერთ სიტყვაშია: χάρμα (⏑ –) Κάστωρ (– –);

ბ) როცა ხმოვნის მომდევნო თანხმოვნები განაწილებულია ორ სიტყვაში (წინამდებარესა და მომდევნოში): θεὸς δέ (⏑ –), ἐν τούτῳ (– – –);

გ) როცა ხმოვნის მომდევნო თანხმოვნებით ან რთული თანხმოვნით მეორე სიტყვა იწყება: τὰ κτήματα (– – ⏑ ⏑) ὁ ζῶν (– –)

4. მარცვალი გრძელია წარმომავლობით, თუ მისი შემადგენელი ხმოვანი კონტრაქციის შედეგადაა მიღებული: ἄκων ← ἀέκων, ἰχθῦδιον ← ἰχθυΐδιον, ἱρός ← ἱερός.

5. თუ მოკლე ხმოვანს ორი ისეთი თანხმოვანი მოსდევს, რომელთაგან ერთი ხშულია, ხოლო მეორე ნარნარა – λ, ρ, ν, μ (muta cum liquida), ასეთი ხმოვნის შემცველი მარცვალი შეიძლება მოკლეც იყოს და გრძელიც (syllaba anceps): τέκνον (⏑ ⏑), τυφλός (⏑ ⏑), κύκλος (⏑ ⏑), τί δρᾷς (⏑ ⏑).

შენიშვნა: მარცვალი უთუოდ გრძელია, თუ ხშული თანხმოვანი პირველი სიტყვის ბოლოკიდურია, ხოლო ნარნარა მეორე სიტყვის თავკიდური: ἐκ νηῶν (– – –). ასეთივე ვითარებაა რთულ სიტყვებში (მაგალითად, ἐκλέγω (⏑ –) და ისეთ შემთხვევებში, როცა β, γ, δ თანხმოვნებს მოსდევს λ, μ, ν თანხმოვნები: βίβλος (⏑), τάγμα (⏑) ἔχιδνα (⏑ ⏑)

მახვილის წესები. ბერძნულ ენაში მახვილის დასმის შემდეგი წესებია:

1. მკვეთრი მახვილი დაისმის სიტყვის ბოლო სამ მარცვალთაგანზე (ბოლოდან პირველ, მეორე ან მესამე მარცვალზე); ეს მარცვალი შეიძლება იყოს გრძელი ან მოკლე.

თუ სიტყვას მკვეთრი მახვილი აქვს ბოლოდან პირველ მარცვალზე, მას ეწოდება ოქსიტონი (ὀξύτονον – oxytonon): τιμή „პატივი“, οὐρανός „ცა“, στρατιά „ჯარი“, βασιλεύς „მეფე“, ποταμός „მდინარე“.

თუ სიტყვას მკვეთრი მახვილი აქვს ბოლოდან მეორე მარცვალზე, მას ეწოდება პაროქსიტონი (παροξύτονον – paroxytonon): βουλεύω „ვურჩევ“, αἰτία „მიზეზი“, χώρα „ქვეყანა“, χρόνος „დრო“, γράφω „ვწერ“.

თუ სიტყვას მკვეთრი მახვილი აქვს ბოლოდან მესამე მარცვალზე, მას ეწოდება პროპაროქსიტონი (προπαροξύτονον – proparoxytonon): ἄνθρωπος „ადამიანი“, πόλεμος „ომი“, τράπεζα „მაგიდა“.

2. როცა მკვეთრი მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზეა, ბოლოდან პირველი მარცვალი უთუოდ მოკლეა. ბოლოდან პირვე-

ლი მარცვლები მოკლეა სიტყვებში: ἄνθρωπος, πόλεμος, τράπεζᾰ, ἔχιδνᾰ, τίθημῐ და სხვა.

თუ სიტყვის ფორმის ცვალებადობის დროს ბოლოდან პირველი მარცვალი დაგრძელდება, მკვეთრი მახვილი ადგილს შეიცვლის და მესამე მარცვლიდან ბოლოდან მეორე მარცვალზე გადმოინაცვლებს, ე.ი. მივიღებთ პაროქსიტონონს. მაგალითად, ἄνθρωπος „ადამიანი“ სახელობითი ბრუნვაა, მკვეთრი მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე ზის, მაგრამ გენეტივში გვექნება ἀνθρώπου; აქ მახვილმა ბოლოდან მეორე მარცვალზე გადმოინაცვლა, ვინაიდან ბოლოდან პირველი მარცვალი (που) დაგრძელდა.

3. შემოსილი მახვილი (ცირკუმფლექსი) დაისმის ბოლოდან ორ მარცვალთაგანზე (ბოლოდან პირველზე ან მეორეზე) და ამასთან – უთუოდ გრძელ მარცვალზე.

თუ სიტყვას შემოსილი მახვილი აქვს ბოლოდან პირველ გრძელ მარცვალზე, მას ეწოდება პერისპომენონი (περισπώμενον – perispomenon): φιλῶ „მიყვარს“, ποιεῖ „აკეთებს“, Ἀθηνᾶ – ათენა (ქალღმერთი), βασιλεῖς „მეფენი“.

თუ სიტყვას შემოსილი მახვილი აქვს ბოლოდან მეორე გრძელ მარცვალზე, მას ეწოდება პროპერისპომენონი (προπερισπώμενον – properispomenon): σῶμα „სხეული“, σῦκον „ლეღვი“, δῶρον „საჩუქარი“.

4. როცა შემოსილი მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზეა, ბოლოდან პირველი მარცვალი უთუოდ მოკლეა. ბოლოდან პირველი მარცვალი მოკლეა სიტყვებში: σῶμᾰ, σῦκον, δῶρον, πρᾶξῐς, μοῦσᾰ, χῶραι.

თუ სიტყვის ფორმის ცვალებადობის დროს ბოლოდან პირველი მარცვალი დაგრძელდა, ბოლოდან მეორე მარცვლის შემოსილი მახვილი მკვეთრი მახვილით შეიცვლება, ე.ი. მივიღებთ პაროქსიტონონს. მაგალითად, δῶρον სახელობითი ბრუნვაა, შემოსილი მახვილი ბოლოდან მეორე გრძელ მარცვალზეა, მაგრამ გენეტივში გვექნება δώρου; აქ მახვილმა ფორმა შეიცვალა – შემოსილის ნაცვლად მკვეთრია, ვინაიდან ბოლოდან პირველი მარცვალი (ρου) დაგრძელდა.

შენიშვნები: ა) ბოლოდან პირველი მარცვლის სიგრძე მდებარეობით ბოლოდან მეორე გრძელი მარცვლის შემოსილ მახვილს მკვეთრად ვერ შეცვლის. მაგალითად, სიტყვაში αὖλαξ „კვალი“ α

გრძელია მდებარეობით, მაგრამ წარმომავლობით არის მოკლე, ამიტომ ბოლოდან მეორე მარცვალს შემოსილი მახვილი აქვს.

თუ ბოლოდან პირველი მარცვლის წარმომავლობითი სიგრძე მდებარეობით სიგრძეს ემთხვევა და მახვილი ბოლოდან მეორე გრძელ მარცვალს მოუდის, ცხადია, ეს მახვილი მკვეთრი იქნება. მაგალითად, სიტყვაში θάρᾳξ „აბჯარი“ α წარმომავლობითაც გრძელია და მდებარეობითაც.

ბ) თუ ბოლოდან მეორე მარცვალზე შემოსილი მახვილის მქონე სიტყვას ფორმის ცვალებადობისას (ბრუნების ან უღლების) დროს ერთი მოკლე მარცვალი დაემატა, მახვილიანი მარცვალი ბოლოდან მესამე აღმოჩნდება და შემოსილი მახვილი მკვეთრი მახვილით შეიცვლება. მაგალითად, სიტყვა σῶμα „სხეული“ გენეტივში მიიღებს ფორმას σώματος.

5) მძიმე ანუ ბლაგვი მახვილი სიტყვას დაესმის ბოლოდან პირველ გრძელ ან მოკლე მარცვალზე მკვეთრი მახვილის ნაცვლად, თუ ამ სიტყვას უშუალოდ მოსდევს სხვა სიტყვა: βασιλεὺς ἐγένετο „გამეფდა“, ἐμὸς πατήρ „ჩემი მამა“, ἀγαθὸς ἀνήρ „კარგი კაცი“, παρὰ τὸν ποταμόν „მდინარესთან“.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: გამონაკლისით კითხვითი ნაცვალსახელები τίς და τί ყოველთვის ინარჩუნებენ მკვეთრ მახვილს: τίς ἥκει; „ვინ მოდის?“, τί λέγεις; „რას ამბობ?“

6. კ ო ნ ტ რ ა ქ ც ი ი ს დროს თუ შერწყმულ ხმოვნებს მახვილი არა აქვთ, არც შერწყმის შედეგად მიღებულ ხმოვნებს ექნებათ იგი: πόλεες → πόλεις. თუ ორ შესარწყმელ ხმოვანთაგან მახვილი აქვს პირველს, შერწყმის შედეგად მიღებულ ხმოვანს შემოსილი მახვილი დაესმის: τιμάω → τιμῶ, πλόος → πλοῦς, χωράων → χωρῶν. თუ ორ შესარწყმელ ხმოვანთაგან მკვეთრი მახვილი აქვს მეორეს, შერწყმის შედეგად მიღებულ ხმოცანსაც მკვეთრი მახვილი შერჩება: ἐάν → ἤν, τιμαόμενος → τιμώμενος, τιμαόντων → τιμώντων.

7. ე ლ ი ზ ი ი ს შემთხვევებში წინდებულები და კავშირები მახვილს კარგავენ, თუ მახვილი ბოლოდან პირველ მარცვალზე ჰქონდათ; მეტყველების სხვა ნაწილებში კი მახვილი ბოლოდან წინმდებარე მარცვალზე გადაინაცვლებს: παρ’ αὐτόν = παρὰ αὐτόν, ἀλλ’ εἶπεν = ἀλλὰ εἶπεν, მაგრამ πόλλ’ εἶδον = πολλὰ εἶδον, δείν’ ἔπαθον = δεινὰ ἔπαθον. ამიტომაა,

რომ ἄλλ' ყოველთვის = ἄλλο-ს ან ἄλλα-ს („სხვა"), ხოლო ἀλλ' = ἀλλά-ს („მაგრამ", „არამედ").

8. რთულ სიტყვებში, რამდენადაც შესაძლებელია, მახვილი ბოლოდან მოშორებულ მარცვალზე ზის: εὔνους, φιλόπολις, ἄφιλος, ὑποστράτηγος, κατάλυε, εὐδαίμων, εὔδαιμον, εὐήθης, εὔηθες და სხვ.

9. ორმარცვლიანი წინადებულები (გარდა წინდებულებისა ἀμφί, ἀντί, ἀνά და διά) მახვილს ბოლოდან მეორე მარცვალზე გადაიტანენ, თუ სახელისა და ზმნის მომდევნო სიტყვად დაისმიან: τούτων πέρι (= περὶ τούτων), მახვილის ასეთ გადაწევას ა ნ ა ს ტ რ ო ფ ე ეწოდება.

10. ისეთ სიტყვას, რომელსაც მახვილი ბოლოდან პირველ მარცვალზე არა აქვს (პაროქსიტონონი, პროპაროქსიტონონი, პროპერისპომენონი) ბ ა რ ი ტ ო ნ ო ნ ი (βαρύτονον – barytonon) ეწოდება.

უმახვილო სიტყვები

პროკლიტიკები. ზოგიერთი ერთმარცვლიანი სიტყვა ისე მჭიდროდ უკავშირდება მომდევნო სიტყვას, რომ საკუთარი მახვილი არ გააჩნია. ასეთ სიტყვებს ეწოდებათ ἄτονα (atona) „უმახვილონი" ანუ προκλιτικαί (procliticae) „პროკლიტიკები". ასეთია ათიოდე სიტყვა:

1) ართრონის (არტიკლის) ფორმები: ὁ, ἡ, οἱ, αἱ,

2) წინდებულები: εἰς (ἐς) „-კენ", ἐν „-ში", ἐκ (ἐξ) „-გან",

3) კავშირები: εἰ „თუ", ὡς „როგორც" (ზოგჯერ = „თან"),

4) უარყოფითი ნაწილაკი οὐ (οὐκ, οὐχ) „არა".

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი: ა) გაძლიერებული οὐ ფორმით οὐχί მუდამ მახვილიანია.

ბ) უარყოფითი ნაწილაკი οὐ წინადადების ბოლოს მახვილიანია: φῂς ἢ οὔ; „იტყვი, თუ არა?"

გ) შედარების გამოხატვისას კავშირი ὡς მახვილიანია: θεὸς ὥς „ვითარცა ღმერთი".

პ რ ო კ ლ ი ტ ი კ ე ბ ი ს მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი: ὁ ποταμός „მდინარე", ἡ στρατιά „ჯარი", οἱ ποταμοί „მდინარეები", αἱ στρατιαί „ჯარები", εἰς τὴν οἰκίαν „სახლისკენ", ἐν τῇ οἰκίᾳ „სახლში", ἐκ τῆς οἰκίας „სახლიდან", εἰ λέγεις „თუ ამბობ", ὡς ἐγώ „როგორც მე", ὡς ἐμέ „ჩემთან".

ენკლიტიკები. ზოგიერთი ერთმარცვლიანი და ორმარცვლიანი სიტყვა ისე მჭიდროდ უკავშირდება გამოთქმაში წინამდებარე სიტყვას, რომ თავის მახვილს ან სულ კარგავს, ან გადასცემს წინამდებარე სიტყვას, რომელსაც ამ შემთხვევაში ორი მახვილი გაუჩნდება და გამოთქმისთვის მთავარი მახვილი შეეძენილი იქნება. მახვილის თვალსაზრისით ასეთ არამყარ ერთ- და ორმარცვლიან სიტყვებს ენკლიტიკები (ἐγκλιτικαὶ λέξεις, encliticae), ე.ი. „მიკედლებული სიტყვები“ ეწოდებათ. ენკლიტიკური სიტყვებია:

1) განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები: τίς „ვინმე“, τί „რამე“ ყველა ფორმაში, გარდა ფორმისა ἄττα (=τινά);

2) პირიანი ნაცვალსახელები:

პირველი პირისა ფორმებში: μοῦ, μοί, μέ

მეორე პირისა ფორმებში: σοῦ, σοί, σέ

მესამე პირისა ფორმებში: οὗ, οἷ, ἕ; σφωΐν, σφίσι (ν);

3) εἰμί „ვარ“ და φημί „ვამბობ“ ზმნების თხრობითი კილოს აწმყო დროის ფორმები, გარდა მხოლობითი რიცხვის მეორე პირის εἶ და φῄς ფორმებისა;

4) განუსაზღვრელობითი ზმნიზედები: πού (პოეტ. ποθί) „სადღაც“, ποί „საითკენღაც“, ποθέν „საიდანღაც“, πῇ და πῶς „როგორღაც“, ποτέ „როდესღაც“;

5) ნაწილაკები: γέ, τέ, τοί, νύν (νύ), κέν (κέ), ῥά (ἄρα), θήν, πέρ, δέ, πώ (κώ).

შენიშვნა: მიმართულების აღმნიშვნელი ნაწილაკი δέ („-კენ“) შეზრდილია წინამდებარე სიტყვასთან (οἴκόνδε „სახლისკენ“) და უნდა გავარჩიოთ კავშირისაგან δέ, რომელიც ცალკე იწერება.

დასამახსოვრებელია შემდეგი წესები:

1. ენკლიტიკური სიტყვა კარგავს თავის მახვილს, თუ წინამდებარე სიტყვას მკვეთრი მახვილი აქვს ბოლოდან პირველ მარცვალზე (ოქსიტონონი). ამ შემთხვევაში მკვეთრი მახვილი ბლაგვით არ შეიცვლება: δός μοι „მომეცი მე“, ἀνήρ τις „კაცი ვინმე“, ὁ πατήρ μου „მამა ჩემი“, σοφός ἐστιν „ბრძენია“, αὐτός φησιν „თვითონ ამბობს“, ἀγαθόν τι „კარგი რამე“;

2. ენკლიტიკური სიტყვა უკვალოდ კარგავს თავის მახვილს, თუ წინამდებარე პერისპომენონია: ἦν ποτε παῖς τις „იყო ოდესღაც ბავშვი

ვინმე“, εὖ ἐστιν „კარგია“, τιμῶ σε „პატივს გცემ შენ“, ὁρῶ τινας „ვხედავ ვიღაცებს“, ποιῶ τι „ვაკეთებ რაღაცას“, καλῶ σε „გეძახი შენ“;

3. თუ წინამდებარე სიტყვა პაროქსიტონონია, ერთმარცვლიანი ენკლიტიკები კარგავენ საკუთარ მახვილს, ორმარცვლიანები კი ინარჩუნებენ: χώρα τις „რომელიღაც ქვეყანა“, φίλος μου „ჩემი მეგობარი“, οἱ φίλοι εἰσὶ πιστοί „მეგობრები ერთგულები არიან“, ῥητόρων τινῶν „ზოგიერთ მჭევრმეტყველთა“, λόγοι τινές „რომელიღაც სიტყვები“, λόγοι τινῶν „ზოგიერთთა სიტყვები“;

4. ენკლიტიკური სიტყვა თავის მახვილს გადასცემს წინამდებარეს, თუ ეს არის პროპაროქსიტონონი ან პროპერისპომენონი. ასეთ შემთხვევაში წინამდებარე სიტყვას ექნება ორი მახვილი – ერთი თავისი და მეორე – მკვეთრი, ენკლიტიკური სიტყვისაგან შეძენილი. ხმის ამაღლება შეძენილ მახვილზეა: ἄνθρωπός τις „კაცი ვინმე“, ἄνθρωποί τινες „რომელიღაც კაცები“, πλεών ἐστιν „მოწყალეა“, πόλεώς τινος „რომელიღაც ქალაქის“, βέβαιοί εἰσιν „მტკიცენი არიან“, δῶρόν τι „საჩუქარი რამე“, δῶρά τινα „რომელიღაც საჩუქრები“, οἰκός μου „ჩემი სახლი“, τὸ σῶμά μου „ჩემი სხეული“.

შენიშვნა: თუ წინამდებარე სიტყვა პროპერისპომენონია და ბოლოვდება ξ ან ψ თანხმოვნებზე, მომდევნო ერთმარცვლიანი ენკლიტიკური სიტყვა მას თავის მახვილს გადასცემს, ორმარცვლიანი კი – არა! მაგალითად: κῆρύξ τις „მაცნე ვინმე“, κῆρυξ ἐστί „მაცნე არის“, κλῖμάξ τις „კიბე რამე“, λαῖλαψ ἐστίν „ქარბუქია“.

5. ენკლიტიკური სიტყვა თავის მახვილს გადასცემს წინამდებარეს, თუ იგი არის ატონა (უმახვილო სიტყვა): ἔν τινι τόπῳ „რომელიღაც ადგილზე“, οὔ φησιν „არ ამბობს“, ὥς τε „და როგორც“, εἴ τις „თუ ვინმე“, εἴς τινα „ვიღაცისაკენ“.

6. თუ წინადადებაში რამდენიმე ენკლიტიკური სიტყვა მისდევს ერთმანეთს, ყოველი მათგანი თავის მახვილს გადასცემს წინამდებარეს და უმახვილოდ დარჩება უკანასკნელი: φίλοί μοί εἰσι „მე მყავს მეგობრები“, εἴ τίς μοί φησί ποτε „თუ ვინმე ოდესმე მეუბნება“, εἴ πού μοί ἐστι „თუ სადმე მაქვს“.

7. ენკლიტიკური სიტყვები ინარჩუნებენ თავის მახვილს შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ ენკლიტიკური სიტყვა წინადადების თავშია: τινὲς λέγουσι „ზოგიერთები ამბობენ“, ἔστι θεός „არსებობს ღმერთი“;

ბ) თუ ენკლიტიკურ სიტყვაზე ლოგიკური მახვილია: διὰ σέ „შენი მეშვეობით“, ὁ πατὴρ σοῦ „შ ე ნ ი მამა“, σὲ λέγω „შ ე ნ ზ ე ვამბობ“, ἢ σοὶ ἢ τῷ πατρί σου „ან შ ე ნ, ან მამაშენს“.

გ) თუ ენკლიტიკური სიტყვა ელიდირებულ სიტყვას მოსდევს: πολλοί δ’ εἰσίν = πολλοὶ δέ εἰσιν „ბევრნი არიან“, καλὸς δ’ ἐστίν = καλὸς δέ ἐστιν „მშვენიერი არის“, ταῦτ’ ἔστι ψευδῆ = ταῦτά ἐστι ψευδῆ „ეს არის ტყუილი“;

დ) ენკლიტიკური ἐστί (ν) მახვილს მიიღებს ბოლოდან მეორე მარცვალზე (ე.ი. პაროქსიტონონი ხდება) წინადადების დასაწყისში, თუ აღნიშნავს ცნებებს: „არსებობს“, „შეიძლება“ და თუ წინ უძღვის სიტყვები οὐκ, μή, καί, εἰ (οὐκ ἔστιν, εἰ ἔστιν), ასევე გამოთქმებში: τοῦτ’ ἔστιν „ესე იგი“, ἀλλ’ ἔστιν „არამედ არის“.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი: 1. ზოგიერთ ერთმარცვლიან სიტყვასთან (უპირატესად ატონებთან) ენკლიტიკური სიტყვები ხშირად შერწყმულია: ὥστε = ὡς + τέ „ასე რომ“, εἴτε = εἰ + τέ „ანუ“, οὔτε = οὐ + τέ „არც“, μήτε = μή + τέ „არც“, „ნურც“, οἵόστε = οἷος + τέ „შემძლე“, ὅστις = ὅς + τίς „ვინც“, ἤτοι = ἤ + τοί „ნამდვილად“, καίτοι = καί + τοί „თუმცა“, ὥσπερ = ὡς + πέρ „ვითარცა“, καίπερ = καί + πέρ „თუმცა“, οἵοσπερ = οἷος + πέρ „სახელდობრ რომელი“ და სხვ.

ასეთი შერწყმით აიხსნება მოჩვენებითი გადახვევები მახვილის წესებიდან.

2. ერთმანეთისაგან მახვილით განსხვავდებიან: ἤ „ვით“ და ἦ „ცხადია“, „ნამდვილად“; ἄρα „ამგვარად“ და ἆρα „განა“; νῦν „ახლა“ და νύ(ν) „ამგვარად“; ὡς „ვით“ და ὥς „ასე“; οὐκοῦν „ასე, ამგვარად“ და οὔκουν „ამგვარად არ“.

3. პროკლიტიკები და ენკლიტიკები ქართულ ენაშიცაა: „შესიტყვებაში ზოგჯერ მოკლე (ჩვეულებრივ ერთმარცვლიანი) სიტყვები უმახვილოა, რის გამოც ისინი ეკედლებიან მომდევნოს ან წინმდგომ მახვილიან სიტყვებს. მაგ.. ასეთია კავშირები, ნაწილაკები, თანდებულები, ზოგიერთი ნაცვალსახელი და სხვა... თ ან მ ო ჰ ყ ვ ე ბ ო დ ა (თან პროკლიტიკაა); მ ა ს კ ი ს ხ ვ ა ს ურ დ ა (კი ენკლიტიკაა)“. ასეთი შესიტყვება ფონეტიკური მთლიანობაა (იხ. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი. თბილისი, 1956. გვ. 136).

მეტყველების ნაწილები

ბერძნულ ენაში მეტყველების შემდეგი ნაწილებია:

1. არსებითი სახელი – ὄνομα οὐσιαστικόν, nomen substantivum
2. ზედსართავი სახელი – ἐπίθετον, nomen adiectivum
3. რიცხვითი სახელი – ἀριθμετικόν, nomen numerale
4. ნაცვალსახელი – ἀντωνυμία, pronomen
5. ზმნა – ῥῆμα, verbum
6. ზმნიზედა – ἐπίῤῥημα, adverbium
7. წინდებული – πρόθεσις, praepositio
8. კავშირი – σύνδεσμος, coniunctio
9. შორისდებული – ἐπιφώνημα, interiectio.

ბერძნულ ენაში გვაქვს აგრეთვე სქესის მაუწყებელი ართრონი (არტიკლი) – ἄρθρον, articulus და სხვადასხვა ნაწილაკი – μόριον, particula.

მეტყველების ამ ნაწილთაგან სახელები, სახელის მხლებელი ნაწევარი (ართრონი) და ზმნა ფორმაცვალებადი სიტყვებია, დანარჩენი – ფორმაუცვლელი. ფორმაცვალებადი სიტყვები ორ ჯგუფად იყოფა: 1. ბრუნებადი სიტყვები (სახელები) და 2. უღლებადი სიტყვები (ზმნები).

ბრუნებადი სიტყვები. ბრუნებადი სიტყვები (სახელები) სხვა სიტყვებთან ურთიერთობაში ფორმას იცვლის ბრუნვასა და რიცხვში.

გრამატიკული სქესი (γένος – genus) სამია:

მამრობითი – ἀρσενικόν, masculinum

მდედრობითი – θηλυκόν, femininum

საშუალო – οὐδέτερον, neutrum

რიცხვი (ἀριθμός – numerus) სამია:

მხოლობითი – ἑνικός, singularis

მრავლობითი – πληθυντικός, pluralis

ორობითი – δυϊκός, dualis

ბრუნვა (πτῶσις – casus) ხუთია:

1. სახელობითი – ὀνομαστική, nominativus
2. ნათესაობითი – γενική, genetivus

3. მიცემითი – δοτική, dativus

4. აკუზატივუსი – αἰτιατική, accusativus

5. წოდებითი – κλητική, vocativus

ორობით რიცხვს ბრუნვის ორი ფორმა აქვს: ერთი – სახელობითის, აკუზატივუსისა და წოდებითისთვის, მეორე – ნათესაობითისა და მიცემითისათვის.

სახელობითი და წოდებითი პირდაპირი ბრუნვებია (ὀρθαί – casūs recti), დანარჩენები – ირიბი (πλάγιαι – casūs oblique). სახელობითი ბრუნვა, ნომინატივი, ქვემდებარის ბრუნვაა, ამიტომ ქართულად იგი გადმოიცემა სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვებით.

მრავლობითი რიცხვის წოდებითი ბრუნვის ფორმა ყოველთვის = სახელობითს, ანუ: ვოკატივი უდრის ნომინატივს.

საშუალო სქესის სახელთათვის დამახასიათებელია შემდეგი:

1. სახელობითი ბრუნვა ანუ ნომინატივი ყოველთვის წარმოდგენილია ბრუნვის ნიშნის გარეშე და, რამდენადაც შესაძლებელია, – ფუძით.

2. სახელობითი, აკუზატივუსი და წოდებითი ბრუნვის ფორმები ერთნაირია. მრავლობით რიცხვში ბრუნვათა ეს ფორმები ყოველთვის ბოლოვდება ă-ზე.

არსებითი სახელი

არსებითი სახელის სქესი. გრამატიკული სქესი გამოიცნობა სიტყვის მნიშვნელობით და ბოლოკიდურით.

მამრობითი სქესისაა: მამრობითი სქესის ცოცხალ არსებათა სახელები, მდინარეთა, ქართა და თვეთა სახელები.

მდედრობით სქესისაა: მდედრობითი სქესის ცოცხალ არსებათა სახელები, ხეების, ქვეყნების, კუნძულების სახელები და მეტი ნაწილი ქალაქთა სახელებისა, აგრეთვე – განყენებულ ცნებათა გამომხატველ სახელთა უმრავლესობა.

საშუალო სქესისაა: კნინობითი სახელები, განყენებულ ცნებათა გამომხატველი სახელების ნაწილი, ნაყოფთა სახელები.

ართრონი (არტიკლი). პრაქტიკულად არსებითი სახელის სქესი გამოიცნობა ნაწევარით ანუ ართრონით (τὸ ἄρθρον), რომელიც წინ უძღვის არსებით სახელს. იგი ზოგჯერ მეტყველების სხვა ნაწილსაც ახლავს თან.

მამრობითი სქესის მაჩვენებელია ართრონი ὁ (შდრ. გერმ, der, ფრანგ. le): ὁ πολίτης „მოქალაქე“, ὁ ἄνθρωπος „ადამიანი“, ὁ ποταμός „მდინარე“.

მდედრობითი სქესის მაჩვენებელი ართრონია ἡ (გერმ. die, ფრანგ. la): ἡ στρατιά „ჯარი“, ἡ πόλις „ქალაქი“.

საშუალო სქესის მაჩვენებელია ართრონი τὸ (გერმ. das): τὸ ὕδωρ „საჩუქარი“, τὸ σῶμα „სხეული“.

ართრონის ფუნქციაა გამოხატოს სახელის გრამატიკული კატეგორია (სქესი, რიცხვი, ბრუნვა), წარმოქმნას არსებითი სახელი მეტყველების სხვა ნაწილისაგან (ე.ი. გაასუბსტანტივოს მეტყველების ნებისმიერი ნაწილი) და აღნიშნოს სახელის ზოგიერთი აზრობრივი იერი (მაგალითად, გვიჩვენოს, განსაზღვრულია თუ არაა განსაზღვრული საგანი, რომელსაც სახელი აღნიშნავს).

ართრონი იბრუნვის შემდეგნაირად:

მხოლობითი რიცხვი

ბრუნვები	მამრ. სქესი	მდედრ. სქესი	საშ. სქესი
სახელობითი	ὁ	ἡ	τό
ნათესაობითი	τοῦ	τῆς	τοῦ
მიცემითი	τῷ	τῇ	τῷ
აკუზატივუსი	τόν	τήν	τό

მრავლობითი რიცხვი

სახელობითი	οἱ	αἱ	τά
ნათესაობითი	τῶν	τῶν	τῶν
მიცემითი	τοῖς	ταῖς	τοῖς
აკუზატივუსი	τούς	τάς	τά

ორობითი რიცხვი

სახ., აკუზატივ. წოდ.	τώ	τώ [τά]	τώ
ნათ., მიც.	τοῖν	τοῖν [ταῖν]	τοῖν

წოდებით ბრუნვას სამივე სქესის სახელთა სამივე რიცხვში წინ უძღვის მიმართვის შორისდებული ὦ: ὦ ἄνθρωπε „ადამიანო!“

მდედრობითი სქესის არტიკლები ორობითი რიცხვისა τά და ταῖν, რომლებიც კავებშია მოთავსებული, იშვიათად ხმარებული ფორმებია.

არსებით სახელთა ბრუნება (κλίσις – declinatio). უძველეს ბერძნულში ერთი ბრუნება უნდა ყოფილიყო. შემდეგ ჩამოყალიბდა არსებით სახელთა ბრუნების სამი ჯგუფი ანუ სამი კანკლედობა. ბერძნული არსებითი სახელები სამ კანკლედობად დაყოფილია ფუძეების მიხედვით:

I კანკლედობას ეკუთვნიან ის სახელები, რომელთა ფუძის ბოლოკიდურია α (გრძელი ან მოკლე);

II კანკლედობაში შედიან ის სახელები, რომელთა ფუძეც ბოლოვდება ο ხმოვანზე;

III კანკლედობის სახელთა ფუძის ბოლოკიდურებია: თანხმოვნები, მარტივი ხმოვნები ι და υ (იშვიათად ο და ω) და დიფთონგები.

სახელის ფუძე კანკლედობაში ხშირად შეცვლილი სახითაა წარმოდგენილი. ფუძის ცვალებადობას სხვადასხვა მიზეზი იწვევს (ფუძის ბოლოკიდური ხმოვნისა და ბრუნვის ნიშნის ხმოვნის შერწყმა, ბგერათა გადაადგილება, ბგერათა დაკარგვა და სხვ.). ამიტომ იმის განსაზღვრისთვის, თუ რომელ კანკლედობას განეკუთვნება სახელი, ჩვეულებრივ უნდა დავეყრდნოთ სახელობითი ბრუნვის, ნომინატივის, ბოლოკიდურს. ამასთან საჭიროა, გავითვალისწინოთ რომ სახელი სახელობით ბრუნვაში ხშირად წარმოდგენილია ბრუნვის ნიშნის გარეშე შეცვლილი ფუძით, რის გამოც სხვადასხვა კანკლედობის სახელები ზოგჯერ ერთნაირ დაბოლოებას ატარებენ; ამიტომ უმჯობესია, სახელობით ბრუნვასთან ერთად სახელის ნათესაობითი ბრუნვაც ვიცოდეთ. ასე, მაგალითად, სახელები: πρᾶγμα „საქმე“ და σφαῖρα „ბურთი“ ორივე სახელი სახელობით ბრუნვაშია და ბოლოკიდურად ორივეს α აქვს, მაგრამ πρᾶγμα მესამე კანკლედობის სახელია (მისი ნათესაობითი ბრუნვაა, ანუ გენეტივია πράγματ-ος), σφαῖρα კი – პირველისა (ამის ნათესაობითია σφαίρας); ასევე სახელები πόλεμος „ომი“ და ἔθνος „ტომი“ სახელობით ბრუნვაში დგანან და ბოლოკიდურიც ერთნაირი აქვთ, მაგრამ πόλεμος მეორე კანკლედობის სახელია (ნათესაობითშია πολέμου), ἔθνος კი – მესამისა (ნათესაობითშია ἔθνους).

ბოლოკიდურთა აღნიშნული მსგავსება ფორმალური ხასიათისაა და არა მორფოლოგიურისა. მორფოლოგიური თვალსაზრისით πρᾶγμα და σφαῖρα, πόλεμος და ἔθνος სხვადასხვა ოდენობას წარმოადგენენ (πρᾶγμα სახელობითი ბრუნვის ფორმაა იმ სახელისა, რომლის ფუძეცაა πραγματ-, σφαῖρα კი სუფთა ფუძითაა წარმოდგენილი სახელობით ბრუნვაში;

სიტყვაში πόλεμος πολεμο – ფუძეა, -ς სახელობითი ბრუნვის ნიშანი, ἔθνος- ში კი -ος ბოლოკიდური მთლიანად ფუძის კუთვნილებაა: ἐθνεσ → ἐθνος).

ძველი ბერძნული ენის ატიკურ დიალექტში თითოეული ფუძისათვის (α ფუძე, ο ფუძე, თანხმოვანი ფუძეები...) ჩამოყალიბდა ბრუნვათა თავისე- ბური ბოლოკიდურები, რომლებშიც ზოგჯერ სიტყვის ფუძის დაბოლო და ბრუნვის ნიშანი შეერთებულია.

ბრუნვათა ბოლოკიდურები:

I კანკლედობისთვის

	მხოლობითი		ორობითი	მრავლობი
	მდედრობითი	მამრობითი	მდ. და მამრ.	მდ. და მამრ.
სახ.	α α η	ας ης	α	αι
ნათ.	ας ης ης	ου ου	αιν	ων
მიც.	ᾳ ῃ ῃ	ᾳ ῃ	αιν	αις
აკუზ.	αν αν ην	αν ην	α	ας
წოდ.	α α η	α η ან α	α	αι

II კანკლედობისთვის

	მამრ.მდედრ.	საშუალო	მამრ., მდ., საშ.	მამრ. მდ.	საშ.
სახ.	ος	ον	ω	οι	α
ნათ.	ου	ου	οιν	ων	ων
მიც.	ῳ	ῳ	οιν	οις	οις
აკუზატ.	ον	ον	ω	ους	α
წოდ.	ε(ος)	ον	ω	οι	α

III კანკლედობისთვის

	მამრ.და მდედრ.	საშუალო	სამივე სქესისა	მამრ. მდ.	საშ.
სახ.	ნაირგვარი	ნაირგვარი	ε	ες	α
ნათ.	ος	ος	οιν	ων	ων
მიც.	ι	ι	οιν	σι(ν)	σι(ν)
აკუზატ.	α ან ν	= სახ.	ε	ας	α
წოდ.	= სახ. ან ფუძეს	= სახ.	ε	ες	α

მახვილის წესი კანკლედობებში: 1. მახვილი რჩება იმ მარცვალზე, რომელზეც იყო მხოლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში, თუ ამის

შესაძლებლობას იძლევა მახვილის საერთო წესები. ὁ ἄνθρωπος წოდ. მხ. ὦ ἄνθροπε, τὸ δῶρον სახ. მრ. τὰ δῶρα, ὁ φύλαξ ნათ. მხ. τοῦ φύλακος.

2. თუ ბრუნვის რომელიმე ფორმაში ბოლოდან პირველი მარცვლის რაოდენობა (კვანტიტეტი) შეიცვალა, ანდა სიტყვა ერთი მარცვლით გაიზარდა, პირველი მახვილი შეიცვლის მოხაზულობას, ანდა ერთი მარცვლით ბოლოსკენ გადაინაცვლებს:

θάλαττα → θαλάττης, δίκαιος → δικαία
γλῶττα → γλώττης, δῆλος → δήλη
ῥήτωρ → ῥῆτορ, μείζων → μεῖζον
θήρ → θῆρες, ἀγών → ἀγῶνες
ὄνομα → ὀνόματος, σῶμα → σώματος
φύλαξ → φυλάκων, σῶμα → σωμάτων

3. αι და οι ბოლოკიდურები მახვილის ადგილისა და ნიშნისთვის (სახელობითსა და წოდებითში მრავ. რიცხვისა) მოკლე ხმოვნებად ითვლებიან: οἱ ἄνθρωοι, αἱ χῶραι, πολίτης → πολῖται, γνώμη → γνῶμαι.

4. თუ სახელს სახელობითსა და წოდებით ბრუნვებში მახვილი უწევს ბოლოდან პირველ მარცვალზე და ამ მარცვლის შემცველი ხმოვანი შერწყმის შედეგად არაა მიღებული, მახვილი მკვეთრი იქნება (ოქსიტონონი).

5. თუ სახელს ნათესაობითსა და მიცემით ბრუნვებში მახვილი უწევს ბოლოდან პირველ მარცვალზე და ეს მარცვალი გრძელია, მახვილი შემოსილი იქნება (პერისპომენონი): სახ. ποταμός, ნათ. ποταμοῦ, მიც. ποταμῷ; სახ. τιμή, ნათ. τιμῆς, მიც. τιμῇ; სახ. πούς, ნათ. ποδῶν; სახ. μήν, ნათ. მიც. ორ. რიცხვ. μηνοῖν, ნათ. მრ. რიცხვ. μηνῶν.

6. მესამე კანკლედობის ერთმარცვლიან სახელებს მახვილი გენეტივსა და დატივში ბოლოდან პირველ მარცვალზე აქვთ (მოკლე მარცვალზე - მკვეთრი მახვილია, გრძელზე - შემოსილი).

პირველი კანკლედობა

პირველ კანკლედობას განეკუთვნებიან მდედრობითი და მამრობითი სქესის ის სახელები, რომელთა ფუძეც ბოლოვდება α-ზე.

მდედრობითი სქესის სახელები მხოლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში წარმოდგენილია ბრუნვის ნიშნის გარეშე შემდეგი ბოლოკიდურებით: α (გრძელი ან მოკლე), α (მოკლე), η.

მამრობითი სქესის სახელებს მხ. რიცხვის სახელობით ბრუნვაში აქვთ ნიშანი ς, რომელსაც წინ უძღვის α ან η; ამრიგად, მხ. რ. სახ. ბრუნვის ბოლოკიდურები მამრ. სქესის სახელებისა არის ας ან ης.

პირველი კანკლედობის სახელთა ფუძის ბოლოკიდური α ორგვარია: ძლიერი ანუ წმინდა (α p u r u m) და სუსტი ანუ არაწმინდა (α i m p u r u m).

α ძ ლ ი ე რ ი ა, თუ მას წინ უძღვის ხმოვანი (ჩვეულებრივ ε ან ι) და თანხმოვანი ρ. ასეთი α უპირატესად გრძელია და მხოლობითი რიცხვის ყველა ბრუნვაში უცვლელად გაჰყვება სახელს. ასეთ შემთხვევაში მდედრობითი სქესის სახელს მხოლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში ბოლოკიდურად ექნება α (გრძელი) ან α (მოკლე), მამრობითს – ας.

α ს უ ს ტ ი ა, თუ მას წინ უძღვის რომელიმე თანხმოვანი ρ-ს გარდა, ასეთი α მოკლე ხმოვანია.

თუ სუსტ α-ს წინ უძღვის σ, σς (ττ), λλ, ζ, ξ, ψ, αιν, ასეთი α უცვლელი დარჩება მხოლობითი რიცხვის სახელობითში, აკუზატივუსსა და წოდებითში, ნათესაობითსა და მიცემითში კი შეიცვლება და მოგვცემს η-ს. დანარჩენ შემთხვევებში ფუძისეული α მხოლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში გადაიქცევა η-დ (ე.ი. მდედრობითი სქესის სახელთა ბოლოკიდური იქნება η, მამრობითისა – ης). ეს η მხოლობითი რიცხვის ყველა ბრუნვაში უცვლელად გაჰყვება სახელს.

მრავლობითსა და ორობით რიცხვში პირველი კანკლედობის ყველა სახელი ერთნაირად იბრუნვის განურჩევლად იმისა, თუ როგორია ფუძისეული α – ძლიერი თუ სუსტი.

მდედრობითი სქესის სახელთა ბრუნების ნიმუშები. ტაბულებში წარმოდგენილია პირველი კანკლედობის მდედრობითი სქესის სახელთა ყველა შესაძლებელი ტიპი ფუძისეული α-ს ბუნებისა და მახვილის ადგილისა და მოხაზულობის გათვლისწინებით:

α PURUM

1) სახელობითში ბოლოკიდურია ᾱ ან ᾰ

	ბრუნვები	ოქსიტონონი	პაროქსიტონონი (ბოლოდან მეორე მარცვალი მოკლეა)	პაროქსიტონონი (ბოლოდან მეორე მარცვალი გრძელია)	პროპაროქსიტონონი (ბოლოდან პირველი მარცვალი მოკლეა)	პროპერისპომენონი (ბოლოდან მეორე მარცვალი გრძელია, ბოლოდან პირველი მოკლე)
მხოლობითი	სახელობითი	ἡ ἀγορά მოედანი	ἡ ἡμέρα დღე	ἡ χώρα ქვეყანა	ἡ μάχαιρα დანა	ἡ σφαῖρα ბურთი, სფერო
	ნათესაობითი	τῆς ἀγορᾶς	τῆς ἡμέρας	τῆς χώρας	τῆς μαχαίρας	τῆς σφαίρας
	მიცემითი	τῇ ἀγορᾷ	τῇ ἡμέρᾳ	τῇ χώρᾳ	τῇ μαχαίρᾳ	τῇ σφαίρᾳ
	აკუზატივუსი	τὴν ἀγοράν	τὴν ἡμέραν	τὴν χώραν	τὴν μάχαιραν	τὴν σφαῖραν
	წოდებითი	ὦ ἀγορά	ὦ ἡμέρα	ὦ χώρα	ὦ μάχαιρα	ὦ σφαῖρα
მრავლობითი	სახელობითი	αἱ ἀγοραί	αἱ ἡμέραι	αἱ χῶραι	αἱ μάχαιραι	αἱ σφαῖραι
	ნათესაობითი	τῶν ἀγορῶν	τῶν ἡμερῶν	τῶν χωρῶν	τῶν μαχαιρῶν	τῶν σφαιρῶν
	მიცემითი	ταῖς ἀγοραῖς	ταῖς ἡμέραις	ταῖς χῶραις	ταῖς μαχαίραις	ταῖς σφαίραις
	აკუზატივუსი	τὰς ἀγοράς	τὰς ἡμέρας	τὰς χώρας	τὰς μαχαίρας	τὰς σφαίρας
	წოდებითი	ὦ ἀγοραί	ὦ ἡμέραι	ὦ χῶραι	ὦ μάχαιραι	ὦ σφαῖραι
ორობითი	სახელ. აკუზ. წოდ.	τὼ ἀγορά	τὼ ἡμέρα	τὼ χώρα	τὼ μαχαίρα	τὼ σφαίρα
	ნათ. მიც.	τοῖν ἀγοραῖν	τοῖν ἡμέραιν	τοῖν χώραιν	τοῖν μαχαίραιν	τοῖν σφαίραιν

α IMPURUM

2) სახელობითში ბოლოკიდურია ᾰ

	ფუძე:	ῥιζα	θαλασσα ან θαλαττα	ἀμιλλα	γλωσσα ან γλωττα
რიცხ	ბრუნვები	პაროქსიტონონი	პროპაროქსიტონონი	პროპაროქსიტონონი	პროპერისპომენონი
მხოლობითი	სახ.	ἡ ῥίζα ძირი, ფესვი	ἡ θάλασσα ზღვა	ἡ ἄμιλλα დავა, მეტოქეობა	ἡ γλῶσσα ენა
	ნათ.	τῆς ῥίζης	τῆς θαλάσσης	τῆς ἀμίλλης	τῆς γλώσσης
	მიც.	τῇ ῥίζῃ	τῇ θαλάσσῃ	τῇ ἀμίλλῃ	τῇ γλώσσῃ
	აკუზ.	τὴν ῥίζαν	τὴν θάλασσαν	τὴν ἄμιλλαν	τὴν γλῶσσαν
	წოდ.	ὦ ῥίζα	ὦ θάλασσα	ὦ ἄμιλλα	ὦ γλῶσσα
მრავლობითი	სახ.	αἱ ῥίζαι	αἱ θάλασσαι	αἱ ἄμιλλαι	αἱ γλῶσσαι
	ნათ.	τῶν ῥιζῶν	τῶν θαλασσῶν	τῶν ἀμιλλῶν	τῶν γλωσσῶν
	მიც.	ταῖς ῥίζαις	ταῖς θαλάσσαις	ταῖς ἀμίλλαις	ταῖς γλώσσαις
	აკუზ.	τὰς ῥίζας	τὰς θαλάσσας	τὰς ἀμίλλας	τὰς γλώσσας
	წოდ.	ὦ ῥίζαι	ὦ θάλασσαι	ὦ ἄμιλλαι	ὦ γλῶσσαι
ორობითი	სახ. აკუზ. წოდ.	τὼ ῥίζα	τὼ θαλάσσα	τὼ ἀμίλλα	τὼ γλώσσα
	ნათ. მიც.	τοῖν ῥίζαιν	τοῖν θαλάσσαιν	τοῖν ἀμίλλαιν	τοῖν γλώσσαιν

3) სახელობითში ბოლოკიდურია η

რიცხვი	ბრუნვები	ფუძე: τιμα	μαχα	νικα
		ოქსიტონონი	პაროქსიტონონი (ბოლოდან მეორე მარცვალი მოკლეა)	პაროქსიტონონი (ბოლოდან მეორე მარცვალი გრძელია)
მხოლობითი	სახ.	ἡ τιμή პატივი	ἡ μάχη ბრძოლა	ἡ νίκη გამარჯვება
	ნათ.	τῆς τιμῆς	τῆς μάχης	τῆς νίκης
	მიც.	τῇ τιμῇ	τῇ μάχῃ	τῇ νίκῃ
	აკუზ.	τὴν τιμήν	τὴν μάχην	τὴν νίκην
	წოდ.	ὦ τιμή	ὦ μάχη	ὦ νίκη
მრავლობითი	სახ.	αἱ τιμαί	αἱ μάχαι	αἱ νῖκαι
	ნათ.	τῶν τιμῶν	τῶν μαχῶν	τῶν νικῶν
	მიც.	ταῖς τιμαῖς	ταῖς μάχαις	ταῖς νίκαις
	აკუზ.	τὰς τιμάς	τὰς μάχας	τὰς νίκας
	წოდ.	ὦ τιμαί	ὦ μάχαι	ὦ νῖκαι
ორობითი	სახ. აკუზ. წოდ.	τὼ τιμά	τὼ μάχα	τὼ νίκα
	ნათ. მიც.	τοῖν τιμαῖν	τοῖν μάχαιν	τοῖν νίκαιν

სავარჯიშო მაგალითები:

ἡ στρατιά ჯარი	ἡ δόξα აზრი, სახელი (დიდება)
ἡ σκιά ჩრდილი	ἡ Μοῦσα მუზა
ἡ μητρυιά დედინაცვალი	ἡ μέλισσα ფუტკარი
ἡ γενεά წარმოშობა, მოდგმა	ἡ τράπεζα მაგიდა
ἡ ἑσπέρα საღამო	ἡ ἀρετή სათნოება, სიმტკიცე
ἡ θύρα კარი	ἡ φυγή ლტოლვა
ἡ βία ძალა	ἡ ψυχή სული
ἡ οἰκία სახლი	ἡ πύλη ჭიშკარი
ἡ ἀνδρεία მამაცობა	ἡ εἰρήνη მშვიდობა
ἡ δουλεία მონობა	ἡ λύπη სევდა, დარდი
ἡ γέφυρα ხიდი	ἡ τέχνη ხელოვნება

გეოგრაფიული სახელები, რომელთაც მხოლოდ მრავლობითი რიცხვი აქვთ (pluralia tantum): αἱ Ἀθῆναι ათენი; αἱ Θῆβαι თებე.

შენიშვნები: 1. პირველი კანკლედობის ყველა არსებით სახელს, სადაც არ უნდა ჰქონდეს მახვილი მხოლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში, მრავლობითი რიცხვის ნათესაობითში აქვთ შემოსილი

ბოლოდან პირველ მარცვალზე (პერისპომენონი). ამის მიზეზია კონტრაქცია: χώρα მრ. რიცხვის ნათესაობითში იქნება χωρῶν, რაც მიღებულია გაშლილი ფორმიდან χωράων; θάλασσα მრ. რიცხვ. ნათ. θαλασσῶν ← θαλασσάων.

2. მრავლობითი რიცხვის ბოლოკიდური αι მახვილის ადგილისა და ნიშნისათვის მოკლე ხმოვნად ითვლება.

3. პირველ კანკლედობაში ბოლოკიდური ας (მხ. რიცხ. ნათ. და მრავ. რიცხვ. აკუზატივ.) ყოველთვის გრძელია, ასევე გრძელია ბოლოკიდური α ორობითი რიცხვის სახელობითში, აკუზატივუსსა და წოდებითში.

კვანტიტეტის წესები. ტაბულებში დამოწმებული მაგალითებიდან ჩანს, რომ მახვილის ადგილისა და მოხაზულობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბოლოდან პირველი მარცვლის რაოდენობას (კვანტიტეტს), ამიტომ I კანკლედობის სახელთა ბრუნების დროს მტკიცედ უნდა გვახსოვდეს შემდეგი წესები:

1) მხოლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში (აგრეთვე აკუზატივუსსა და წოდებითში) ბოლოკიდური α გ რ ძ ე ლ ი აქვთ:

ა) ზედსართავ სახელებს, რომელთა მამრობითი და საშუალო სქესის ფორმები მეორე კანკლედობისაა:

δίκαιος, δικαία, δίκαιον (სამართლიანი)

βέβαιος, βεβαία, βέβαιον (მტკიცე)

ბ) ორმარცვლიან ρα ბოლოკიდურიან სიტყვებს, რომელთაც მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე აქვთ და ამ მეორე მარცვალში მარტივი ხმოვანია:

χώρα (ქვეყანა), ὥρα (დრო, ხანი)

πήρα (ჩანთა), θήρα (ნადირობა)

გამონაკლისია: χύτρα (ქოთანი),

σφῦρα (ურო)

გ) ორმარცვლიან εια ბოლოკიდურიან სიტყვებს:

μνεία (მეხსიერება)

λεία (ნადავლი)

დ) მრავალმარცვლიან εια ბოლოკიდურიან სიტყვებს, რომელთაც მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე აქვთ:

ἀνδρεία (სიმამაცე)

κολακεία (პირფერობა)

πολιτεία (სახელმწიფო წყობილება, მოქალაქეობა)
σιδηρεία (რკინის წარმოება)
βασιλεία (სამეფო, მეფობა)
δουλεία (მონობა).

ე) მრავალმარცვლიან სახელებს, რომელთაც მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე აქვთ:

ἐλευθερία (თავისუფლება), σοφία (სიბრძნე)
εὐτυχία (ბედნიერება), μηλέα (ვაშლის ხე)
οἰκία (სახლი), ἐλαία (ზეთის ხილის ხე, ზეთისხილი)

3) ყველა სახელს, რომელთაც მახვილი ბოლოდან პირველ მარცვალზე აქვთ:

ἀγορά (მოედანი), μητρυιά (დედინაცვალი)
στρατιά (ჯარი), χαρά (სიხარული)
σκιά (ჩრდილი), λαλιά (ყბედობა)
γενεά (წარმოშობა), συμφορά (შემთხვევა)

2) მხოლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში (აგრეთვე აკუზატივუსსა და წოდებითში) ბოლოკიდური α მოკლე აქვთ:

ა) ზედსართავ სახელებს, რომელთა მამრობითი სქესის ფორმა მესამე კანკლედობისაა:

εὐθύς, εὐθεῖα (სწორი, პირდაპირი)
βραχύς, βραχεῖα (მოკლე)
γλυκύς, γλυκεῖα (ტკბილი)
ταχύς, ταχεῖα (სწრაფი)
πᾶς, πᾶσα (ყველა)

ბ) მიმღეობებს, რომელთა მამრობითი სქესის ფორმა მესამე კანკლედობისაა:

λέγων, λέγουσα
λέξας, λέξασα
λυθείς, λυθεῖσα

გ) იმ სახელებს, რომელთაც α-ს წინ აქვთ თანხმოვანი (ρ-ს გარდა):

ῥίζα (ძირი) γλῶσσα (ენა)
δόξα (აზრი, სახელი) πεῖνα (შიმშილი)
μοῦσα (მუზა) μέλιττα (ფუტკარი)
τόλμα (გამბედაობა)

დ) ორმარცვლიან ρα ბოლოკიდურიან სიტყვებს, რომელთაც მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე მოუდით და ამ მარცვალში რთული ხმოვანი (დიფთონგი) არის:

μοῖρα (ბედი, ხვედრი, ბედისწერა)

πεῖρα (ცდა)

σφαῖρα (ბურთი, სფერო)

გამონაკლისია:

αὖρα (სიო)

λαύρα (შუკა, ქუჩა)

σαύρα (ხვლიკი)

საკუთარი სახელები:

Φαίδρα (ფედრა)

Αἴθρα (ეთრა)

ე) მრავალმარცვლიან სიტყვებს, რომელთაც მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე აქვთ (პროპაროქსიტონონი):

ἀλήθεια (ჭეშმარიტება)	βοήθεια (დახმარება)
θάλασσα (ზღვა)	βασίλεια (დედოფალი)
μάχαιρα (დანა, მახვილი)	διάνοια (განსჯა)
γέφυρα (ხიდი)	εὐσέβεια (ღვთისნიერობა)
τράπεζα (მაგიდა)	ἀσέβεια (უღვთოობა)

ვ) ორმარცვლიან სიტყვებს ბოლოკიდურით αια:

γραῖα (დედაბერი)

μαῖα (ბებია ქალი, ძიძა)

ზ) υια ბოლოკიდურიან სიტყვებს (ოქსიტონონების გარდა):

μυῖα ბუზი

გამონაკლისები ფუძისეული α-ს თვალსაზრისით: 1) α impurum გრძელი აქვს მრავალ საკუთარ სახელს, რომლებიც ამ α-ს შეინარჩუნებენ ყველა გრუნვაში. ასეთი სახელებია, მაგალითად: Λήδα (ნათ. Λήδας), Ἀνδρομέδα (ნათ. Ἀνδρομέδας), Φιλομήλα (ნათ. Φιλομήλας), Γέλα (ნათ. Γέλας – ქალაქი სიცილიის სამხ. სანაპიროზე).

2) α purum სახელობითში გვაძლევს η-ს სიტყვებში: κόρη (ქალწული), κόῤῥη (საფეთქელი), δείρη (კეფა).

3) α impurum სახელობითში გვაძლევს η-ს სიტყვაში ἔρση (ცვარი).

4) α impurum უცვლელი რჩება მხ. რიცხვ. სახელობით ბრუნვაში მდედრობითი სქესის სახელებში, რომელთა ბოლოკიდურია (αι)να; მაგალითად: δέσποινα (ქალბატონი), λέαινα (ძუ ლომი); ასევე უცვლელია სახელობითში α სიტყვებში: τόλμα (გამბედაობა), δίαιτα (ცხოვრების ნირი).

შერწყმული კანკლედობა (მდედრობითი სქესის შ ე რ წ ყ მ უ ლ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი): მდედრობითი სქესის რამდენიმე სახელს ფუძის ბოლოკიდურად აქვს ხმოვნები αα ან εα. ბრუნების დროს ხდება ამ ხმოვანთა შერწყმა: αα → α, εα → η. შერწყმის შედეგად მიღებული ხმოვანი გრძელია და აქვს შემოსილი მახვილი (პერისპომენონი).

რიცხვი	ბრუნვები	ფუძე			
		μναα	Ἀθηναα	γεα	συκεα
მხოლობითი	სახ.	ἡ μνάα μνᾶ მნა	Ἀθηνᾶ ათენა	ἡ γέα-γῆ მიწა	συκῆ ლეღვის ხე
	ნათ.	τῆς μνάας – μνᾶς	Ἀθηνᾶς	τῆς γέας-γῆς	συκῆς
	მიც.	τῇ μνάᾳ – μνᾷ	Ἀθηνᾷ	τῇ γέᾳ-γῇ	συκῇ
	აკუზ.	τὴν μνάαν-μνᾶν	Ἀθηνᾶν	τὴν γέαν-γῆν	συκῆν
	წოდ.	ὦ μνάα – μνᾶ	Ἀθηνᾶ	ὦ γέα – γῆ	συκῆ
მრავლობითი	სახ.	αἱ μνάαι – μναῖ	იხ. ზემოთ	იხ. ზემოთ	συκαῖ
	ნათ.	τῶν μνάων – μνῶν			συκῶν
	მიც.	ταῖς μνάαις – μναῖς			συκαῖς
	აკუზ.	τᾶς μνάας – μνᾶς			συκᾶς
	წოდ.	ὦ μνάαι – μναῖ			συκαῖ
ორობითი	სახ. აკუზ. წოდ.	τὼ μνάα – μνᾶ	იხ. ზემოთ	იხ. ზემოთ	συκῆ
	ნათ. მიც.	τοῖν μνάαιν – μναῖν			συκαῖν

ἡ συκῆ-ს მსგავსად იბრუნვის ἡ λεοντῆ ლომის ტყავი (ფუძე λεοντεα).

მამრობითი სქესის სახელთა ბრუნების ნიმუშები: ტაბულებში წარმოდგენილია პირველი კანკლედობის მამრობითი სქესის სახელთა ყველა ტიპი ფუძისეული α-ს ბუნებისა და სიტყვის მახვილის ადგილისა და მოხაზულობის გათვალისწინებით:

1) ας ბოლოკიდური

რიცხვი	ბრუნვები	ფუძე: νεανια პაროქსიტონონი (ბოლოდან მეორე მარცვალი მოკლეა)	ὀρνιθοθηρα – პაროქსიტონონი (ბოლოდან მეორე მარცვალი გრძელია)	Αἰνελιας –
მხოლობითი	სახ.	ὁ νεανίας ჭაბუკი	ὁ ὀρνιθοθήρας მეჩიტბადე	Αἰνείας ენეასი
	ნათ.	τοῦ νεανίου	τοῦ ὀρνιθοθήρα	Αἰνείου
	მიც.	τῷ νεανίᾳ	τῷ ὀρνιθοθήρᾳ	Αἰνείᾳ
	აკუზ.	τὸν νεανίαν	τὸν ὀρνιθοθήραν	Αἰνείαν
	წოდ.	ὦ νεανία	ὦ ὀρνιθοθήρα	Αἰνεία
მრავლობითი	სახ.	οἱ νεανίαι	οἱ ὀρνιθοθῆραι	
	ნათ.	τῶν νεανιῶν	τῶν ὀρνιθοθηρῶν	
	მიც.	τοῖς νενίαις	τοῖς ὀρνιθοθήραις	
	აკუზ.	τοὺς νιανίας	τοὺς ὀρνιθοθήρας	
	წოდ.	ὦ νιανίαι	ὦ ὀρνιθοθῆραι	
ორობითი	სახ. კუზ. წოდ.	τὼ νεανία	τὼ ὀρνιθοθήρα	
	ნათ. მიც.	τοῖν νεανίαιν	τοῖν ὀρνιθοθήραιν	

2) ης ბოლოკიდური

რიცხვი	ბრუნვები	არტიკლი	ფუძე: μαθητα- ოქსიტონონი	τοξοτα- პაროქსიტონონი (ბოლოდან მეორე მარცვალი მოკლეა)	πολιτα- პაროქსიტონონი (ბოლოდან მეორე მარცვალი გრძელია)	Σκυθα- პაროქსიტონონი (ბოლოდან მეორე მოკლეა)	Ἀτρειδα- პაროქსიტონონი (ბოლოდან მეორე გრძელია)	
მხოლობითი	სახ.	ὁ	μαθητής მოსწავლე	τοξότης მშვილდოსანი, მოისარი	πολίτης მოქალაქე	Σκύθής სკვითი	Ἀτρείδης ატრიდი (ატრევსის ძე)	
	ნათ.	τοῦ	μαθητοῦ	τοξότου	πολίτου	Σκύθου	Ἀτρείδου	
	მიც.	τῷ	μαθητῇ	τοξότῃ	πολίτῃ	Σκύθῃ	Ἀτρείδῃ	
	აკუზ.	τὸν	μαθητήν	τοξότην	πολίτην	Σκύθην	Ἀτρείδην	
	წოდ.	ὦ	μαθητά	τοξότα	πολῖτα	Σκύθα	Ἀτρείδη	
მრავლობითი	სახ.	οἱ	μαθηταί	τοξόται	πολῖται	Σκύθαι	Ἀτρεῖδαι	
	ნათ.	τῶν	μαθητῶν	τοξοτῶν	πολιτῶν	Σκυθῶν	Ἀτρειδῶν	
	მიც.	τοῖς	μαθηταῖς	τοξόταις	πολίταις	Σκύθαις	Ἀτρείδαις	
	აკუზ.	τούς	μαθητάς	τοξότας	πολίτας	Σκύθας	Ἀτρείδας	
	წოდ.	ὦ	μαθηταί	τοξόται	πολῖται	Σκύθαι	Ἀτρεῖδαι	
ორობითი	სახ.აკ. წოდ.	τὼ	μαθητά	τοξότα	πολίτα	Σκύθα	Ἀτρείδα	ატრიდები (ორნი): აგამემნონი და მენელაოსი
	ნათ. მიც.	τοῖν	μαθηταῖν	τοξόταιν	πολίταιν	Σκύθαιν	Ἀτρείδαιν	

სავარჯიშო მაგალითები

ὁ ταμίας მსაჯული, ხაზინადარი
Λεωνίδας ლეონიდა
Νικίας ნიკია
Γοργίας გორგია
ὁ ποιητής პოეტი
ὁ γυμνήτης მსუბუქად შეიარაღებული ჯარისკაცი, გიმნეტი
Ξέρξης ქსერქსე
Ἀλκιβιάδης ალკიბიადე
ὁ Σπαρτιάτης სპარტელი
ὁ Πέρσης სპარსელი
ὁ προδότης მოღალატე, გამცემი
ὁ ναύτης მეზღვაური
ὁ τεχνίτης ხელოვანი, ხელოსანი
ὁ ὁπλίτης მძიმედ შეიარაღებული ჯარისკაცი, ჰოპლიტი
ὁ δικαστής მოსამართლე
ὁ κριτής მსაჯული
ὁ στρατιώτης ჯარისკაცი
ὁ ἀδολέσχης ყბედი
ὁ κλέπτης ქურდი

შენიშვნები: 1) პირველი კანკლედობის მამრობითი სქესის სახელთა ბრუნება მდედრობითი სქესის სახელთა ბრუნებისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ მამრობითი სქესის სახელებს მხოლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში აქვთ ნიშანი ς, ხოლო ნათესაობითში ბოლოკიდურია ου (ეს ბოლოკიდური აქვთ მხ. რ. ნათ. ბრუნვაში II კანკლედობის სახელებს).

2) მხ. რ. ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი მამრ. სქესის სახელთათვის არის ο, რომელიც ფუძეზე დართვით გვაძლევს კომპლექსს -αο (ჰომეროსთან, მაგალითად: სახ. Ἀτρείδης, ნათ. Ἀτρείδαο). -αο კომპლექსი იონურ დიალექტში მოგვცემდა -*ηο-ს; რაოდენობრივი გადასმით (metathesis quantitatis) მივიღეთ εω (ჰომეროსთან გვხვდება ფორმა Ἀτρείδεω, ჰეროდოტესთან – Πέρσεω, Μιλτιάδεω...); ატიკურ დიალექტში αο → εο; ε + ο კონტრაქციით გვაძლევს დიფთონგს ου.

3) ზოგიერთ საკუთარ სახელს, რომლებიც დორიული ან არაბერძნული წარმომავლობისა არიან, მხ. რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში ბოლოკიდური აქვთ გრძელი α (ე.წ. დორიული ნათესაობითი): Φοιβίδας, ნათ. Φοιβίδα; Ὀρόντας – Ὀρόντα; Ὕλας – Ὕλα; Ἀννίβας (ჰანიბალი) – Ἀννίβα; Σύλλας (Sulla) – Σύλλα. ჩრდილოეთის ქარის სახელი გვხვდება შეურწყმელად ὁ βορέας, τοῦ βορέου და შერწყმული ფორმითაც ὁ βορᾶς, τοῦ βορᾶ, τῷ βορᾷ, τὸν βορᾶν.

მხ. რიცხვ. ნათესაობითში α ბოლოკიდური აქვს საზოგადო სახელსაც: ὁ ὀρνιθοθήρας – ὀρνιθοθήρα (მეჩიტბადე), ὁ μητραλοίας – μητραλοία (დედის მკვლელი).

4) მხოლობითი რიცხვის წოდებით ბრუნვაში: ας ბოლოკიდურიან სახელებს აქვთ გრძელი α; της ბოლოკიდურიან სახელებს, ხალხთა სახელებს -ης -ზე, რთულ სახელებს დაბოლოებით – μέτρης, -ώνης, -τρίβης, -πώλης, -άρχης აქვთ მოკლე α (Αἰνείας – Αἰνεία; κριτής – κριτά; Πέρσης – Πέρσα; γεωμέτρης – γεωμέτρα მიწისმზომელი, τελώνης – τελῶνα ხარკის ამკრეფი, παιδοτρίβης – παιδοτρίβα აღმზრდელი, βιβλιοπώλης – βιβλιοπῶλα წიგნით მოვაჭრე, σχολάρχης – σχολάρχα სკოლის მეთაური).

ης ბოლოკიდურიან სხვა სახელებს წოდებითში აქვთ η: Ξέρξης – Ξέρξη; Ἀριστείδης – Ἀριστείδη; Κρονίδης – Κρονίδη.

სიტყვას ὁ δεσπότης (ბატონი) მხ. რიცხვ. წოდებით ბრუნვაში მახვილი გადააქვს ბოლოდან მესამე მარცვალზე: ὦ δέσποτα!

5) მრ. რიცხვის ნათესაობითში გამონაკლისით მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზეა სიტყვებში: ὁ χρήστης – τῶν χρήστων (მევახშე); ὁ χλούνης – τῶν χλούνων (გარეული ტახი).

მამრობითი სქესის შერწყმული სახელები:

ფუძეა: Ἑρμεα-

მხოლობითი რიცხვი

სახ. Ἑρμέας – Ἑρμῆς ჰერმესი
ნათ. Ἑρμέου – Ἑρμοῦ
მიც. Ἑρμέᾳ – Ἑρμῇ
აკუზ. Ἑρμέαν – Ἑρμῆν
წოდ. ὦ Ἑρμέα – Ἑρμῆ

მრავლობითი რიცხვი

სახ. οἱ Ἑρμέαι – Ἑρμαῖ ჰერმესის ქანდაკებიანი
ნათ. τῶν Ἑρμέων – Ἑρμῶν
მიც. τοῖς Ἑρμέαις – Ἑρμαῖς
აკუზ. τοὺς Ἑρμέας – Ἑρμᾶς
წოდ. ὦ Ἑρμέαι – Ἑρμαῖ

ორობითი რიცხვი

სახ. აკუზ. წოდ. τὼ Ἑρμέα – Ἑρμᾶ
ნათ. მიც. τοῖν Ἑρμέαιν – Ἑρμαῖν

ასევე იბრუნვის საკუთარი სახელი ὁ Ἀπελλῆς.

მეორე კანკლედობა

მეორე კანკლედობას ეკუთვნის ο ფუძიანი სახელები, რომელთაგან დიდი ნაწილი მამრობითი სქესისაა, ნაწილი მდედრობითისა და ნაწილიც – საშუალოსი.

მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელები ერთნაირად იბრუნვიან (სხვაობა მხოლოდ არტიკლშია).

საშუალო სქესის სახელებს ერთნაირი ბოლოკიდური აქვთ სახელობითში, აკუზატივუსსა და წოდებით ბრუნვებში, როგორც მხოლობით რიცხვში, ისე მრავლობითში; მრავლობით რიცხვში ამ ბრუნვებში სახელებს ბოლოკიდურად აქვთ α (მოკლე).

მეორე კანკლედობაში გამოიყოფა ბრუნების სამი სახე: მარტივი ბრუნება, შერწყმული ბრუნება და ატიკური ბრუნება.

მარტივი ბრუნება

მამრობითი და მდედროითი სქესის სახელები მხოლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვას აწარმოებენ სიგმატურად: ფუძის ο ბოლოკიდურს დაერთვის ς და მივიღებთ დაბოლოებას ος. საშუალო სქესის ბოლოკიდური მხ. რიცხვის სახელობით ბრუნვაში (ასევე აკუზატივუსსა და წოდებითში) არის ον.

მხ. რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ბოლოკიდური საერთოა სამივე სქესის სახელთათვის. ეს ბოლოკიდურია ου, რომელიც მიღებულია ფუძისეულ ο-ზე ι̯ο ნიშნის დართვით და ამით გამოწვეული კონტრაქციით: ο + ο → ου.

მახვილის წესები მეორე კანკლედობაში ისეთივეა, როგორიც პირველში.

მრავლ. რიცხვის სახელობითი ბრუნვის οι ბოლოკიდური მახვილის ადგილისა და ნიშნისათვის მოკლე ხმოვნად ითვლება.

მრავლ. რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში ბოლოდან პირველ მარცვალზე შემოსილი მახვილი მხოლოდ მაშინ იქნება, თუ სიტყვას თავიდანვე მახვილი ბოლოდან პირველ მარცვალზე აქვს. მრ. რიცხვის ნათ. ბრუნვის ბოლოკიდურში ων ω მიღებულია ფუძისეული ο-ს დაგრძელებით და არა შერწყმის შედეგად (როგორც ეს I კანკლედობაშია).

ქვემოთ წარმოდგენილია მეორე კანკლედობის სახელთა ტიპები მახვილის ადგილისა და მოხაზულობის ყველა შესაძლებელი შემთხვევის გათვალისწინებით:

ა. მამრობითი სქესი

რიცხვი	ბრუნვები	არტიკლი	ფუძე: ποταμο ოქსიტონონი	ἵππο პაროქსიტონონი (ბოლოდან მეორე მოკლეა)	δουλο პროპერისპომენონი (ბოლოდან მეორე გრძელია)	ἀνθρωπο პროპაროქსიტონონი
მხოლობითი	სახ.	ὁ	ποταμός მდინარე	ἵππος ცხენი	δοῦλος მონა	ἄνθρωπος ადამიანი
	ნათ.	τοῦ	ποταμοῦ	ἵππου	δούλου	ἀνθρώπου
	მიც.	τῷ	ποταμῷ	ἵππῳ	δούλῳ	ἀνθρώπῳ
	აკუზ.	τὸν	ποταμόν	ἵππον	δοῦλον	ἄνθρωπον
	წოდ.	ὦ	ποταμέ	ἵππε	δοῦλε	ἄνθρωπε
მრავლობითი	სახ.	οἱ	ποταμοί	ἵπποι	δοῦλοι	ἄνθρωποι
	ნათ.	τῶν	ποταμῶν	ἵππων	δούλων	ἀνθρώπων
	მიც.	τοῖς	ποταμοῖς	ἵπποις	δούλοις	ἀνθρώποις
	აკუზ.	τοὺς	ποταμούς	ἵππους	δούλους	ἀνθρώπους
	წოდ.	ὦ	ποταμοί	ἵπποι	δοῦλοι	ἄνθρωποι
ორობითი	სახ.აკუზ	τὼ	ποταμώ	ἵππω	δούλω	ἀνθρώπω
	წოდ.	τοῖν	ποταμοῖν	ἵπποιν	δούλοιν	ἀνθρώποιν

ბ. მდედრობითი სქესი

რიცხვი	ბრუნვები	არტიკლი	ფუძე: ὁδο ოქსიტონონი	παρθενο პაროქსიტონონი (ბოლოდან მეორე მოკლეა)	νησο პროპერისპომენონი (ბოლოდან მეორე გრძელია)	κελευθο პროპაროქსიტონონი
მხოლობითი	სახ.	ἡ	ὁδός გზა	παρθένος ქალწული	νῆσος კუნძული	κέλευθος გზა,ბილიკი
	ნათ.	τῆς	ὁδοῦ	παρθένου	νήσου	κελεύθου
	მიც.	τῇ	ὁδῷ	παρθένῳ	νήσῳ	κελεύθῳ
	აკუზ.	τὴν	ὁδόν	παρθένον	νῆσον	κέλευθον
	წოდ.	ὦ	ὁδέ	παρθένε	νῆσε	κέλευθε
მრავლობითი	სახ.	αἱ	ὁδοί	παρθένοι	νῆσοι	κέλευθοι
	ნათ.	τῶν	ὁδῶν	παρθένων	νήσων	κελεύθων
	მიც.	ταῖς	ὁδοῖς	παρθένοις	νήσοις	κελεύθοις
	აკუზ.	τὰς	ὁδούς	παρθένους	νήσους	κελεύθους
	წოდ.	ὦ	ὁδοί	παρθένοι	νῆσοι	κέλευθοι
ორობითი	სახ.აკუზ	τὼ	ὁδώ	παρθένω	νήσω	κελεύθω
	ნათ. მიც	τοῖν	ὁδοῖν	παρθένοιν	νήσοιν	κελεύθοιν

გ. საშუალო სქესი

რიცხვი	ბრუნვები	არტიკლი	ფუძე: πτερο	ἔργο	δωρο	φαρμακο
			ოქსიტონონი	პაროქსიტონონი (ბოლოდან მეორე მოკლეა)	პროპერისპომენონი (ბოლოდან მეორე გრძელია)	პროპაროქსიტონონი
მხოლობითი	სახ.	τὸ	πτερόν	ἔργον	δῶρον	φάρμακον
			ფრთა	საქმე	საჩუქარი	წამალი
	ნათ.	τοῦ	πτεροῦ	ἔργου	δώρου	φαρμάκου
	მიც.	τῷ	πτερῷ	ἔργῳ	δώρῳ	φαρμάκῳ
	აკუზ.	τὸ	πτερόν	ἔργον	δῶρον	φάρμακον
	წოდ.	ὦ	πτερόν	ἔργον	δῶρον	φάρμακον
მრავლობითი	სახ.	τὰ	πτερά	ἔργα	δῶρα	φάρμακα
	ნათ.	τῶν	πτερῶν	ἔργων	δώρων	φαρμάκων
	მიც.	τοῖς	πτεροῖς	ἔργοις	δώροις	φαρμάκοις
	აკუზ.	τὰ	πτερά	ἔργα	δῶρα	φάρμακα
	წოდ.	ὦ	πτερά	ἔργα	δῶρα	φάρμακα
ორობითი	სახ. აკუზ წოდ.	τὼ	πτερώ	ἔργω	δώρω	φαρμάκω
	ნათ. მიც	τοῖν	πτεροῖν	ἔργοιν	δώροιν	φαρμάκοιν

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი: 1) მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელებს მხოლობითი რიცხვის წოდებით ბრუნვაში ბოლოკიდურად აქვთ ε, რომელიც მიღებულია ο-საგან ხმოვანთმონაცვლეობის წესით. ზოგჯერ წოდებითი ემთხვევა სახელობითი ბრუნვის ფორმას (იხმარება, მაგალითად, ὦ φίλος და ὦ φίλε სიტყვიდან ὁ φίλος მეგობარი). სიტყვა ὁ θεός (ღმერთი) წოდებით ბრუნვაში კლასიკურ ბერძნულში მხოლოდ სახელობითი ბრუნვის ფორმით გვხვდება – ὦ θεός (ღმერთო!). ფორმა ὦ θεέ ახალი აღთქმის წიგნებში ჩნდება.

არსებით სახელს ὁ ἀδελφός ძმა, წოდებით ბრუნვაში მახვილი გადააქვს ბოლოდან მესამე მარცვალზე: ἄδελφε (იშვიათად გვხვდება ἀδελφέ ფორმაც).

2) გამქრალი ადგილობრივი ბრუნვის (locativus) ფორმა ზმნისართთა სახით შემოინახეს მეორე კანკლედობის სიტყვებმა: ὁ οἶκος სახლი – οἴκοι სახლში, ὁ Ἰσθμός კორინთოს ყელი – ისთმოსი – Ἰσθμοῖ – ისთმოსზე.

3) მხოლოდ მრავლობითია სიტყვა τὰ βασίλεια (სასახლე).

4) მ დ ე დ რ ო ბ ი თ ი ს ქ ე ს ი ს ა ა მეორე კანკლედობის ος ბოლოკიდურიანი ის სახელები, რომლებიც გამოხატავენ:

ა) მდედრობითი სქესის ცოცხალ არსებით სახელებს: ἡ παρθένος (ქალწული), ἡ ἄνθρωπος (ადამიანი – ქალი), ἡ θεός (= θεά ქალღმერთი);

ბ) ქვეყნების, ქალაქებისა და კუნძულების სახელებს: ἡ Αἴγυπτος (ეგვიპტე), ἡ Κόρινθος (კორინთო), ἡ Νάξος (ნაქსოსი), ἡ Μίλητος (მილეტი);

გ) ნიადაგისა და ქვების სახელებს: ἡ ψάμμος (ქვიშა), ἡ γύψος (ცარცი), ἡ πλίνθος (აგური), ἡ ψῆφος (კენჭი), ἡ κόπρος (ნაკელი), ἡ σποδός (ფერფლი), ἡ βάσανος (ერბოქვა, სალესი ქვა);

დ) გზის სახელებს: ἡ ὁδός (გზა), ἡ ἀτραπός (ბილიკი), ἡ κέλευθος (გზა, ბილიკი), ἡ ἁμαξιτός (საურმე გზა);

ე) მოცულობის მქონე საგანთა სახელებს: ἡ χηλός (ყუთი), ἡ κιβωτός (კიდობანი), ἡ σορός (აკლდამა, საფლავი, სორო), ἡ κάμινος (ბუხარი, ღუმელი), ἡ ληνός (საწნახელი), ἡ κάρδοπος (ვარცლი, გობი), ἡ τάφρος (თხრილი), ἡ γνάθος (ყბა);

ვ) ხეთა, მცენარეთა სახელებს: ἡ μύρτος (მირტა, ტვია), ἡ φηγός (წიფელი), ἡ ἄμπελος (ვაზი).

ზ) არსებით სახელად ქცეულ იმ ზედსართავ სახელებს, რომელთა საზღვრულებიც მდედრობითი სქესისაა და იგულისხმება: ἡ διάμετρος დიამეტრი (← ἡ διάμετρος γραμμή შუა ხაზი), ἡ σύγκλητος კრება, საბჭო (← ἡ σύγκλητος βούλη მოწვეული, მოხმობილი საბჭო), ἡ διάλεκτος დიალექტი, კილო (← ἡ διάλεκτος φωνή), ἡ ἤπειρος ხმელეთი (← ἡ ἤπειρος γῆ);

თ) ცალკე საზოგადო სახელებს: ἡ βίβλος (წიგნი), ἡ νόσος (ავადმყოფობა), ἡ νῆσος (კუნძული), ἡ δρόσος (ცვარი), ἡ ῥάβδος (კვერთხი), ἡ γέρανος (წერო), ἡ ἔλαφος (ირემი), ἡ δοκός (კოჭი, დირე) და სხვ.

სავარჯიშო მაგალითები:

ὁ θεός ღმერთი

ὁ χρυσός ოქრო

ὁ νόμος კანონი

ὁ σάκκος ტომარა (შდრ. მეგრ. საკი, სვან. ჟäჴ'გ', აფხაზ. ასაკϥ)

ὁ πυρός პური, ხორბალი

τὸ σῦκον ლეღვი

τὸ πεδίον მინდორი, ველი, ვაკე

τὸ ἱμάτιον სამოსი, ლაბადა

ὁ ταῦρος ხარი

ὁ βίος ცხოვრება

ὁ θάνατος სიკვდილი

τὸ στρατόπεδον ბანაკი

τὸ ᾠόν კვერცხი

ἡ Πελοπόννησος პელოპონესი

ἡ ἔλαφος ირემი

ὁ οἶνος ღვინო

შერწყმული ბრუნება

შერწყმულ ბრუნებას განეკუთვნება მამრობითი და საშუალო სქესის ის არსებითი სახელები, რომელთა ფუძეც ბოლოვდება οο ან εο ხმოვნებზე. ბრუნების დროს ხდება ამ ხმოვანთა შერწყმა: ο + ο → ου-ს, ε + ο → ου-ს. მხ. რიცხვის სახელობით ბრუნვაში მამრობითი სქესის სახელებს აქვთ ბოლოკიდური – ους, საშუალოსას – ουν.

ο და ε ხმოვნები მომდევნო გრძელი ხმოვნებისა და დიფთონგების მიერ შთაინთქმებიან: ε + α → α-ს.

მარტივ შერწყმულ სახელებს შემოსილი მახვილი აქვთ შერწყმის შედეგად მიღებულ ხმოვანზე (პერისპომენონი), გარდა ორობითი რიცხვის სახელობითი, აკუზატივუსი და წოდებითი ბრუნვებისა, სადაც მკვეთრი მახვილი გვაქვს გამონაკლისით.

რთული სიტყვები, რომელთა მეორე ნაწილს შეადგენენ სიტყვები πλοῦς (ცურვა), νοῦς (გონება), ῥοῦς (დინება), მახვილს ინარჩუნებენ ბოლოდან მეორე მარცვალზე, თუმცა ეს ეწინააღმდეგება მახვილის წესებს.

შერწყმული ბრუნების ნიმუშები

რიცხვი	ბრუნვები	ὁ νοῦς გონება ფუძე νοο	τὸ ὀστοῦν ძვალი ფუძე ὀστεο	ὁ περίπλους ზღვით შემოვლა ფუძე περιπλοο
მხოლობითი	სახ.	ὁ νόος-νοῦς	τὸ ὀστέον-ὀστοῦν	ὁ περίπλοος – περίπλους
	ნათ.	τοῦ νόου-νοῦ	τοῦ ὀστέου-ὀστοῦ	τοῦ περιπλόου – περίπλου
	მიც.	τῷ νόω-νῷ	τῷ ὀστέῳ-ὀστῷ	τῷ περιπλόῳ – περίπλῳ
	აკუზ.	τὸν νόον-νοῦν	τὸ ὀστέον-ὀστοῦν	τὸν περίπλοον – περίπλουν
	წოდ.	ὦ νόε-νοῦ	ὦ ὀστέον-ὀστοῦν	ὦ περίπλοε – περίπλου
მრავლობითი	სახ.	οἱ νόοι-νοῖ	τὰ ὀστέα-ὀστᾶ	οἱ περίπλοοι-περίπλοι
	ნათ.	τῶν νόων-νῶν	τῶν ὀστέων-ὀστῶν	τῶν περιπλόων-περίπλων
	მიც.	τοῖς νόοις-νοῖς	τοῖς οστέοις-ὀστοῖς	τοῖς περιπλόοις-περίπλοις
	აკუზ.	τοὺς νόους-νοῦς	τὰ ὀστέα-ὀστᾶ	τοὺς περιπλόους-περίπλους
	წოდ.	ὦ νόοι-νοῖ	ὦ ὀστέα-ὀστᾶ	ὦ περίπλοοι-περίπλοι
ორობითი	სახ. აკუზ. წოდ.	τὼ νόω-νώ	τὼ ὀστέων-ὀστώ	τὼ περιπλόω-περίπλω
	ნათ. მიც.	τοῖν νόοιν-νοῖν	τοῖν ὀστέοιν-ὀστοῖν	τοῖν περιπλόοιν-περίπλοιν

ასევე იბრუნვიან:

ὁ πλόος-πλοῦς (ცურვა)

ὁ ῥόος-ῥοῦς (დინება)

ὁ θρόος-θροῦς (ხმაური)

ὁ ἀδελφιδέος-ἀδελφιδοῦς (ძმისწული, დისწული)

ὁ ἀνεψιαδέος-ἀνεψιαδοῦς (ბიძაშვილის შვილი)

ὁ θυγατεριδέος-θυγατεριδοῦς (შვილიშვილი ქალისაგან)

τὸ κάνεον-κανοῦν კალათი (მახვილი თავისებურია!)

ატიკური ბრუნება. მეორე ატიკურ ბრუნებას განეკუთვნება მამრობითი, მდედრობითი და საშუალო სქესის რამდენიმე არსებითი სახელი, რომელთა ფუძეც ბოლოვდება ω-ზე(ჩვეულებრივ წინამდებარე ε-ით, ბრუნების დროს ეს ω უცვლელი რჩება (ο-სა და ου-ს ნაცვლად იქნება ω, οι-ს ნაცვლად – ῳ). მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელებს მხ. რიცხვის სახელობით ბრუნვაში ბოლოკიდურად აქვთ -ως, საშუალო სქესის სახელებს – -ων.

კომპლექსი εω მახვილისათვის ითვლება ერთ მარცვლად. თუ εως ბოლოკიდურიანი სიტყვა ოქსიტონონია, მახვილი ყველგან მკვეთრი დარჩება:

რიცხვი	ბრუნვები	ფუძე – νεω	ფუძე – Μενελεω	ფუძე – ἀνωγεω
მხოლობითი	სახ.	ὁ νεώς ტაძარი	Μενέλεως მენელაოსი	τὸ ἀνώγεων დარბაზი
	ნათ.	τοῦ νεώ	Μενέλεω	τοῦ ἀνώγεω
	მიც.	τῷ νεῴ	Μενέλεῳ	τῷ ἀνώγεῳ
	აკუზ.	τὸν νεών	Μενέλεων	τὸ ἀνώγεων
	წოდ.	ὦ νεώς	Μενέλεως	ὦ ἀνώγεων
მრავლობითი	სახ.	οἱ νεῴ		τὰ ἀνώγεω
	ნათ.	τῶν νεών		τῶν ἀνώγεων
	მიც.	τοῖς νεῴς		τοῖς ἀνώγεῳς
	აკუზ.	τοὺς νεώς		τὰ ἀνώγεω
	წოდ.	ὦ νεῴ		ὦ ἀνώγεω
ორობითი	სახ. აკუზ. წოდ.	τὼ νεώ		τὼ ἀνώγεω
	ნათ. მიც.	τοῖν νεῴν		τοῖν ἀνώγεῳν

სხვა მაგალითები:

ὁ λεώς ხალხი

ὁ λαγώς კურდღელი

ὁ ἔως განთიადი, აისი

ὁ ταώς ფარშევანგი

ὁ κάλως (ბაგირი)

ἡ ἅλως კალო

ὁ Ἄθως ათონი (მთა)

ἡ Κέως კეოსი (კუნძული)

ἡ Τέως ტეოსი (კუნძული)

Ἀνδρόγεως ანდროგეოსი (მინოსის ძე)

შენიშვნები: 1. -εω კომპლექსი ატიკურ დიალექტში მომდინარეობს საწყისი კომპლექსიდან *ηο (metathesis quantitatis), -εω კომპლექსის ბადალია ჰომეროსის (იონური) დიალექტის -αο: νεώς-ναός, λεώς-λαός, Μενέλεως-Μενέλαος.

2. -ως ბოლოკიდურიანი ზოგიერთი სახელი მხ. რიცხვის აკუზატივუსში ν-ს ხან დაირთავს, ხან არა: ὁ Ἄθως τὸν Ἄθω (Ἄθων), ἡ ἅλως τὴν Ἄλω (Ἄλων). არასდროს არ დაირთავს ν-ს სიტყვა ἡ ἕως τὴν ἕω; ასევე – ἡ Κέως τὴν Κέω, ἡ Τέως τὴν Τέω.

3. სახელი ὁ λαγώς (კურდღელი) გვხვდება პერისპომენონითაც ὁ λαγῶς.

პირველი რიგის ზედსართავი სახელები

პირველი და მეორე კანკლედობით, გარდა ზემოთ განხილული არსებითი სახელებისა, იბრუნება აგრეთვე ზედსართავი სახელების (τὰ ἐπίθετα) პირველი რიგი. ამ რიგის ზედსართავი სახელები ორი ჯგუფისაა: სამბოლოკიდურიანი ზედსართავები და ორბოლოკიდურიანი ზედსართავები.

სამბოლოკიდურიანი ზედსართავი სახელები (τὰ ἐπίθετα τρικατάληκτα) წარმოდგენილია სამივე სქესის ფორმით: მხ. რიცხვის სახელობითში მამრობით სქესს აქვს ბოლოკიდური ος, მდედრობითს – α ან η, საშუალოს – ον. მდედრობითი სქესის ფორმა იბრუნება პირველი კანკლედობით, ხოლო მამრობითი და საშუალო სქესებისა – მეორე კანკლედობით. ყველა ეს ფორმა იბრუნება იმავე სახით, როგორც შესაბამისი ბოლოკიდურიანი არსებითი სახელები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი: 1. მხ. რიცხვის სახელობით ბრუნვაში მდედრობითი სქესის ზედსართავ სახელებს აქვთ ბოლოკიდური α, თუ მას წინ უძღვის ε, ι და ρ, სხვა შემთხვევებში კი ბოლოკიდურია η: νέος, νέα, νέον (ახალი), δίκαιος, δικαία, δίκαιον (სამართლიანი), μακρός, μακρά, μακρόν (გრძელი), მაგრამ: ἀγαθός, ἀγαθή, ἀγαθόν (კარგი), δῆλος, δήλη, δῆλον (ცხადი, აშკარა), σοφός, σοφή, σοφόν (ბრძენი).

2. თუ ზედსართავი სახელის ფუძეში გვაქვს მარცვალი -ρο, მდედრობითი სქესის ფორმაში ბოლოკიდური იქნება: ροα: ἁθρόος, ἁθρόα, ἀθρόον (შეკრებილი).

3. მდედრობითი სქესის ბოლოკიდური α მ უ დ მ ი ვ ა დ გ რ ძ ე ლ ი ა.

4. მახვილის წესი ზედსართავ სახელებში იგივეა, რაც არსებითებში, ოღონდ მდედრობითი სქესის ზედსართავ სახელებში მრავლობითი რიცხვის სახელობითში, ნათესაობითსა და წოდებითში მახვილი იქნება იმ მარცვალზე, სადაც მახვილი აქვთ მამრობითი სქესის ზედსართავებს ამავე ფორმებში (მაგალითად: δίκαιοι – δίκαιαι და არა δικαῖαι, δικαίων, δικαίων და არა δικαιῶν, როგორც, თითქოს, მოსალოდნელი იყო):

მოდელი: -ός, -ά, -όν

რიცხვი	ბრუნვა	მამრ.	მდედრ.	საშ.	მამრ.	მდედრ.	საშ.	მამრ.	მდედრ.	საშ.
მარტივი	სახ.	φανερός	φανερά	φανερόν	νέος	νέα	νέον	δίκαιος	δικαία	δίκαιον
	ნათ.	φανεροῦ	φανερᾶς	φανεροῦ	νέου	νέας	νέου	δικαίου	δικαίας	δικαίου
	მიც.	φανερῷ	φανερᾷ	φανερῷ	νέῳ	νέᾳ	νέῳ	δικαίῳ	δικαίᾳ	δικαίῳ
	ყკ.	φανερόν	φανερᾶν	φανερόν	νέον	νέαν	νέον	δίκαιον	δικαίαν	δίκαιον
	წოდ.	φανερέ	φανερά	φανερόν	νέε	νέα	νέον	δίκαιε	δίκαία	δίκαιον
მრავლობითი	სახ.	φανεροί	φανεραί	φανερά	νέοι	νέαι	νέα	δίκαιοι	δίκαιαι	δίκαια
	ნათ.	φανερῶν	φανερῶν	φανερῶν	νέων	νέων	νέων	δικαίων	δικαίων	δικαίων
	მიც.	φανεροῖς	φανεραῖς	φανεροῖς	νέοις	νέαις	νέοις	δικαίοις	δικαίαις	δικαίοις
	ყკ.	φανερούς	φανεράς	φανερά	νέους	νέας	νέα	δικαίους	δικαίας	δίκαια
	წოდ.	φανεροί	φανεραί	φανερά	νέοι	νέαι	νέα	δίκαιο	δίκαιαι	δίκαια
ორობითი	სახ. ყკ. წოდ.	φανερώ	φανερά	φανερώ	νέω	νέα	νέω	δικαίω	δικαία	δικαίω
	ნათ. მიც.	φανεροῖν	φανεραῖν	φανεροῖν	νέοιν	νέαιν	νέοιν	δικαίον	δικαίαιν	δικαίοιν
		ნათელი, ცხადი			ახალი, ახალგაზრდა			საშინელი		

რიცხვი	ბრუნვა	მამრ.	მდედრ.	საშ.
მხოლობითი	სახ.	ἀναγκαῖος	ἀναγκαία	ἀναγκαῖον
	ნათ.	ἀναγκαίου	ἀναγκαίας	ἀναγκαίου
	მიც.	ἀναγκαίῳ	ἀναγκαίᾳ	ἀναγκαίῳ
	აკუზ.	ἀναγκαῖον	ἀναγκαίαν	ἀναγκαῖον
	წოდ.	ἀναγκαῖε	ἀναγκαία	ἀναγκαῖον
მრავლობითი	სახ.	ἀναγκαῖοι	ἀναγκαῖαι	ἀναγκαῖα
	ნათ.	ἀναγκαίων	ἀναγκαίων	ἀναγκαίων
	მიც.	ἀναγκαίοις	ἀναγκαίαις	ἀναγκαίοις
	აკუზ.	ἀναγκαίους	ἀναγκαίας	ἀναγκαῖα
	წოდ.	ἀναγκαῖοι	ἀναγκαῖαι	ἀναγκαῖα
ორობითი	სახ.აკუზ.წოდ.	ἀναγκαίω	ἀναγκαία	ἀναγκαίω
	ნათ. მიც.	ἀναγκαίοιν	ἀναγκαίαιν	ἀναγκαίοιν
		აუცილებელი		

რიცხვი	ბრუნვა	ბოლოკიდური: ος, η, ον					
მხოლობითი	სახ.	καλός	καλή	καλόν	φίλος	φίλη	φίλον
	ნათ.	καλοῦ	καλῆς	καλοῦ	φίλου	φίλης	φίλου
	მიც.	καλῷ	καλῇ	καλῷ	φίλῳ	φίλῃ	φίλῳ
	აკუზ.	καλόν	καλήν	καλόν	φίλον	φίλην	φίλον
	წოდ.	καλέ	καλή	καλόν	φίλε	φίλη	φίλον
მრავლობითი	სახ.	καλοί	καλαί	καλά	φίλοι	φίλαι	φίλα
	ნათ.	καλῶν	καλῶν	καλῶν	φίλων	φίλων	φίλων
	მიც.	καλοῖς	καλαῖς	καλοῖς	φίλοις	φίλαις	φίλοις
	აკუზ.	καλούς	καλάς	καλά	φίλους	φίλας	φίλα
	წოდ.	καλοί	καλαί	καλά	φίλοι	φίλαι	φίλα
ორობითი	სახ.აკუზ.წოდ.	καλώ	καλά	καλώ	φίλω	φίλα	φίλω
	ნათ. მიც.	καλοῖν	καλαῖν	καλοῖν	φίλοιν	φίλαιν	φίλοιν
		ლამაზი, მშვენიერი			საყვარელი, ძვირფასი		

მხოლობითი	სახ.	ἀνθρώπινος	ἀνθρωπίνη	ἀνθρώπινον	δῆλος	δήλη	δῆλον
	ნათ.	ἀνθρωπίνου	ἀνθρωπίνη	ἀνθρωπίνου	δήλου	δήλης	δήλου
	მიც.	ἀνθρωπίνῳ	ἀνθρωπίνῃ	ἀνθρωπίνῳ	δήλῳ	δήλῃ	δήλῳ
	აკუზ.	ἀνθρώπινον	ἀνθρωπίνην	ἀνθρώπινον	δῆλον	δήλην	δῆλον
	წოდ.	ἀνθρώπινε	ἀνθρωπίνη	ἀνθρώπινον	δῆλε	δήλη	δῆλον
მრავლობითი	სახ.	ἀνθρώπινοι	ἀνθρώπιναι	ἀνθρώπινα	δῆλοι	δῆλαι	δῆλα
	ნათ.	ἀνθρωπίνων	ἀνθρωπίνων	ἀνθρωπίνων	δήλων	δήλων	δήλων
	მიც.	ἀνθρωπίνοις	ἀνθρωπίναις	ἀνθρωπίνοις	δήλοις	δήλαις	δήλοις
	აკუზ.	ἀνθρωπίνους	ἀνθρωπίνας	ἀνθρώπινα	δήλους	δήλλας	δῆλα
	წოდ.	ἀνθρώπινοι	ἀνθρώπιναι	ἀνθρώπινα	δῆλοι	δῆλαι	δῆλα
ორობითი	სახ.აკუზ.წოდ.	ἀνθρωπίνω	ἀνθρωπίνα	ἀνθρωπίνω	δήλω	δήλα	δήλω
	ნათ. მიც.	ἀνθρωπίνοιν	ἀνθρωπίναιν	ἀνθρωπίνοιν	δήλοιν	δήλαιν	δήλοιν
		ადამიანური			ცხადი, ნათელი		

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : სამბოლოკიდურიან ზედსართვთა მსგავსად იბრუნვის მიმღეობები ბოლოკიდურებით -μενος -μένη -μηνον (მაგალითად: λυόμενος, λυομένη, λυόμενον; γραφόμενος, γραφομένη, γραφόμενον) და რიგობითი რიცხვითი სახელი (მაგალითად: ὄγδοος, ὀγδόη, ὄγδοον).

ო რ ბ ო ლ ო კ ი დ უ რ ი ან ზ ე დ ს ა რ თ ავ ს ა ხ ე ლ ებ ს (τὰ ἐπίθετα δικατάληκτα) მამრობითი და მდედრობით სქესის ფორმები საზიარო აქვთ: ორივე სქესისთვის ბოლოკიდურია ος, საშუალო სქესის ბოლოკიდურია ον.

ორბოლოკიდურიან ზედსართავ სახელთა ბრუნებას არავითარი თავისებურება არ ახასიათებს.

ორბოლოკიდურიანი ზედსართავი სახელი შეიძლება იყოს მარტივი, მაგრამ ჩვეულებრივ ორბოლოკიდურიანი ზედსართავი სახელები შედგენილი, რთული სახელებია. ასე მაგალითად: ἀθάνατος მამრ. და მდედრ. სქესში, ἀθάνατον საშ. სქესში (უკვდავი) ორი ელემენტისაგან შედგება: პირველია უარყოფის α (α privativum), მეორე – არს. სახელი ὁ ἀθάνατος „სიკვდილი“; ანდა: καρποφόρος, καρποφόρον „მოსავლიანი“ შეიცავს ორ სიტყვას: ὁ καρπός „ნაყოფი“ და φέρω „მომაქვს“.

ლექსიკონში ზედსართავ სახელებს გვერდით უზით რიცხვი 3 ან 2, რაც შესაბამისად სამ-და ორბოლოკიდურიანობის მაუწყებელია.

პირველი რიგის ზედსართავ სახელთა მაგალითები

სამბოლოკიდურიანები:

βαιός, βαιά, βαιόν პაწაწა, მცირე
αἰσχρός, αἰσχρά, αἰσχρόν სამარცხვინო
μικρός, μικρά, μικρόν პატარა
ἱερός, ἱερά, ἱερόν წმიდათა წმიდა
καθαρός, καθαρά, καθαρόν წმინდა, სუფთა
ἅγιος, ἁγία, ἅγιον წმინდა
ἄξιος, ἀξία, ἄξιον ღირსეული
θεῖος, θεία, θεῖον ღვთაებრივი
ῥᾴδιος ῥᾴδία ῥᾴδιον ადვილი
βέβαιος, βεβαία, βέβαιον მტკიცე
Ἀθηναῖος, Ἀθηναία, Ἀθηναῖον ათენური
ὅμοιος, ὁμοία, ὅμοιον მსგავსი
πιστός, πιστή, πιστόν ერთგული
χαλεπός, χαλεπή, χαλεπόν ძნელი
δεινός, δεινή, δεινόν საშიში
δειλός, δειλή, δειλόν მხდალი
κακός, κακή, κακόν ცუდი
κοῦφος, κούφη, κοῦφον მსუბუქი
θνητός, θνητή, θνητόν მოკვდავი

ორბოლოკიდურიანები:

ἄπιστος, ἄπιστον ორგული, უნდო
ἀθάνατος, ἀθάνατον უკვდავი
ἄτεκνος, ἄτεκνον უშვილო
ἐπι-κίνδυνος, ἐπικίνδυνον საშიში
παρά-δοξος, παράδοξον მოულოდნელი
ἥσυχος, ἥσυχον მშვიდი, წყნარი
βάρβαρος, βάρβαρον უცხოელი, არაელინი
ἥμερος, ἥμερον თვინიერი, დინჯი
μάχιμος, μάχιμον მეომარი, მებრძოლი
βάσκανος, βάσκανον შურიანი, ცილისმწამებელი
κίβδηλος, κίβδηλον ყალბი
λάλος, λάλον ყბედი

შერწყმული ზედსართავი სახელები (adiectiva contracta): თუ ზედსართავი სახელის ფუძე ბოლოვდება εο და οο ხმოვნებზე, ბრუნების დროს ხდება ისეთივე შერწყმა ამ ხმოვნებისა, როგორიც შერწყმულ არსებით სახელებში:

1. მხოლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში შერწყმის შედეგად გვაქვს შემდეგი ბოლოკიდურები: ους მამრობითი სქესისათვის, α ან η მდედრობითი სქესისათვის და ουν საშუალო სქესისთვის. მდედრ. სქესის ბოლოკიდური α მაშინ გვაქვს, როცა შერწყმულ ხმოვნებს წინ უძღვის ε ან ρ, სხვა შემთხვევებში კი ბოლოკიდურად η იქნება.

ამ ზედსართავი სახელით ჩვეულებრივ აღინიშნება ნივთიერება, რომლისგანაც საგანი შედგება და ფერი.

2. შერწყმული ზედსართავი სახელები მახვილის მიხედვით პ ე რ ი ს პ ო მ ე ნ ო ნ ე ბ ი ა; შემოსილი მახვილი აქვთ შერწყმის შედეგად მიღებულ ბოლოდან პირველ მარცვალზე; ზოგჯერ მაშინაც კი, როცა შესარწყმელ ხმოვნებს გაშლილ ფორმებში მახვილი არ მოუდით. მაგალითად: χρύσεος შერწყმის შედეგად გვაძლევს ფორმას χρυσοῦς (და არა χρύσους, როგორც მოსალოდნელი იყო).

ორობითი რიცხვის სახელობითსა და აკუზატივუსში მამრობითი და საშუალო სქესის ზედსართავებს მახვილი აქვთ მკვეთრი ბოლოდან პირველ მარცვალზე.

ორობითი რიცხვი შერწყმულ ზედსართავებში შესაძლებელი ფორმაა.

3. ის რთული სახელები, რომელთა შემადგენელი ელემენტებია სიტყვები: πλοῦς (← πλόος), νοῦς (← νόος) და ῥοῦς (← ῥόος), მახვილს ინარჩუნებენ იქ, სადაც ჰქონდათ მხოლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში (ე.ი. მკვეთრს ბოლოდან მეორე მარცვალზე).

მრავლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვა პერისპომენონია, მიუხედავად იმისა, რომ ბოლოდან პირველი მარცვალი ხმოვნების შერწყმის შედეგადაა მიღებული და გრძელი უნდა ყოფილიყო (εὖνοι ← εὔνοοι).

საშუალო სქესის მრავლობით რიცხვში οα შეურწყმელი რჩება (εὔνοα).

ეს ზედსართავები ორბოლოკიდურიანებია.

4. შერწყმულ ბრუნებაში შემოდის ის ზედსართავი სახელები, რომლებიც შედგენილია რიცხვითი სახელისა და სამრავლი სუფიქსისაგან πλοῦς (← πλο-ος), -πλῆ, -πλοῦν: διπλοῦς, διπλῆ, διπλοῦν (ორწყება, ორმაგი), τριπλοῦς, τριπλῆ, τριπλοῦν (სამწყება, სამმაგი), ἁπλοῦς, ἁπλῆ, ἁπλοῦν (მარტივი sim-plex).

		χρυσοῦς, χρυσῆ, χρυσοῦν ოქროსი		
მხოლობითი	სახ.	χρύσεος = χρυσοῦς	χρυσέα = χρυσῆ	χρύσεον = χρυσοῦν
	ნათ.	χρυσέου = χρυσοῦ	χρυσέας = χρυσῆς	χρυσέου = χρυσοῦ
	მიც.	χρυσέῳ = χρυσῷ	χρυσέᾳ = χρυσῇ	χρυσέῳ = χρυσῷ
	აკუზ.	χρύσεον = χρυσοῦν	χρυσέαν = χρυσῆν	χρύσεον = χρυσοῦν
მრავლობითი	სახ.	χρύσεοι = χρυσοῖ	χρύσεαι = χρυσαῖ	χρύσεα = χρυσᾶ
	ნათ.	χρυσέων = χρυσῶν	χρυσέων = χρυσῶν	χρυσέων = χρυσῶν
	მიც.	χρυσέοις = χρυσοῖς	χρυσέαις = χρυσαῖς	χρυσέοις = χρυσοῖς
	აკუზ.	χρυσέους = χρυσοῦς	χρυσέας = χρυσᾶς	χρύσεα = χρυσᾶ
ორობითი	სახ. აკუზ.	χρυσέω = χρυσώ	(χρυσέα = χρυσᾶ)	χρυσέω = χρυσώ
	ნათ. მიც.	χρυσέοιν = χρυσοῖν	(χρυσέαιν = χρυσαῖν)	χρυσέοιν = χρυσοῖν

		ἀργυροῦς, ἀργυρᾶ, ἀργυροῦν ვერცხლისა		
მხოლობითი	სახ.	ἀργύρεος = ἀργυροῦς	ἀργυρέα = ἀργυρᾶ	ἀργύρεον = ἀργύροῦν
	ნათ.	ἀργυρέου = ἀργυροῦ	ἀργυρέας = ἀργυρᾶς	ἀργυρέου= ἀργύροῦ
	მიც.	ἀργυρέῳ = ἀργυρῷ	ἀργυρέᾳ = ἀργυρᾷ	ἀργυρέῳ = ἀργύρῷ
	აკუზ.	ἀργύρεον = ἀργυροῦν	ἀργυρέαν = ἀργυρᾶν	ἀργύρεον = ἀργύροῦν
მრავლობითი	სახ.	ἀργύρεοι = ἀργυροῖ	ἀργύρεαι = ἀργυραῖ	ἀργύρεα = ἀργυρᾶ
	ნათ.	ἀργυρέων = ἀργυρῶν	ἀργυρέων = ἀργυρῶν	ἀργυρέων = ἀργυρῶν
	მიც.	ἀργυρέοις = ἀργυροῖς	ἀργυρέαις = ἀργυραῖς	ἀργυρέοις = ἀργυροῖς
	აკუზ.	ἀργυρέους = ἀργυροῦς	ἀργυρέας = ἀργυρᾶς	ἀργύρεα = ἀργυρᾶ
ორობითი	სახ. აკუზ.	ἀργυρέω = ἀργυρώ	(ἀργυρέα = ἀργυρᾶ)	ἀργυρέω = ἀργυρώ
	ნათ. მიც.	ἀργυρέοιν = ἀργυροῖν	ἀργυρέαιν = ἀργυραῖν	ἀργυρέοιν = ἀργυροῖν

		ἁπλοῦς, ἁπλῆ, ἁπλοῦν მარტივი		
მხოლობითი	სახ.	ἁπλόος = ἁπλοῦς	ἁπλόη = ἁπλῆ	ἁπλόον = ἁπλοῦν
	ნათ.	ἁπλόου = ἁπλοῦ	ἁπλόης = ἁπλῆς	ἁπλόου= ἁπλοῦ
	მიც.	ἁπλόῳ = ἁπλῷ	ἁπλόῃ = ἁπλῇ	ἁπλόῳ = ἁπλῷ
	აკუზ.	ἁπλόον = ἁπλοῦν	ἁπλόην = ἁπλῆν	ἁπλόον =ἁπλοῦν

მრავლობითი	სახ.	ἁπλόοι = ἁπλοῖ	ἁπλόαι = ἁπλαῖ	ἁπλόα = ἁπλᾶ
	ნათ.	ἁπλόων = ἁπλῶν	ἁπλόων = ἁπλῶν	ἁπλόων = ἁπλῶν
	მიც.	ἁπλόοις =ἁπλοῖς	ἁπλόαις = ἁπλαῖς	ἁπλόοις = ἁπλοῖς
	აკუზ.	ἁπλόους = ἁπλοῦς	ἁπλόας = ἁπλᾶς	ἁπλόα = ἁπλᾶ
ორობითი	სახ. აკუზ.	ἁπλόω = ἁπλώ	ἁπλόα = ἁπλᾶ	ἁπλόω = ἁπλώ
	ნათ. მიც.	ἁπλόοιν = ἁπλοῖν	ἁπλόαιν = ἁπλαῖν	ἁπλόοιν = ἁπλοῖν

		მამრ. მდედრ. εὔνους, საშ. εὔνουν კეთილგანწყობილი	
მხოლობითი	სახ.	εὔνους	εὔνουν
	ნათ.	εὔνου	εὔνου
	მიც.	εὔνῳ	εὔνῳ
	აკუზ.	εὔνουν	εὔνουν
მრავლობითი	სახ.	εὔνοι	εὔνοα
	ნათ.	εὔνων	εὔνων
	მიც.	εὔνοις	εὔνοις
	აკუზ.	εὔνους	εὔνοα

მაგალითები საბრუნებლად:

στδηρεῦς, ᾶ, εῦν რკინისა
χαλκεῦς, ῆ, εῦν სპილენძისა
ἐρεεῦς, ᾶ, εῦν შალის, მატყლისა
ἄνους, ἄνουν უგუნური
πορφυρεῦς, ᾶ, εῦν მეწამული

ატიკური ბრუნების ზედსართავი სახელებია: მეორე კანკლედობის ზოგიერთი ორბოლოკიდურიანი ზედსართავი სახელი, რომელთა ფუძეც ბოლოვდება εω-ზე, ატიკური კანკლედობით იბრუნება. მხოლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში მამრობითი და მდედრობითი სქესის ზედსართავებს აქვთ ბოლოკიდური (ε)ως, საშუალო სქესისას – (ε)ων. ეს სახელები ფუძისეულ ω-ს ინარჩუნებენ ყველა ბრუნვაში, გარდა საშუალო სქესის მრავლობითი რიცხვის სახელობითი, აკუზატივუსი და წოდებითი ბრუნვებისა, სადაც ბოლოკიდური არის α. εω მახვილისათვის ერთ მარცვლად მიიჩნევა.

		მამრ. მდედრ.	საშ.
მხოლობითი	სახ.	πλεως მოწყალე	πλεων
	ნათ.	πλεω	πλεω
	მიც.	πλεῳ	πλεῳ
	აკუზ.	πλεων	πλεων
	წოდ.	πλεως	πλεων
მრავლობითი	სახ.	πλεῳ	πλεα
	ნათ.	πλεων	πλεων
	მიც.	πλεῳς	πλεῳς
	აკუზ.	πλεως	πλεα
	წოდ.	πλεῳ	πλεα
ორობითი	სახ. აკუზ. წოდ.	πλεω	πλεω
	ნათ. მიც.	πλεῳν	πλεῳν

მაგალითები:

ἀξιόχρεως, ἀξιόχρεων ღირსეული, მნიშვნელოვანი

ἔμπλεως, ἔμπλεων სავსე

πλέως, πλέα, πλέον სავსე (ეს ზედსართავი სამბოლოკიდურიანია!)

ἀγήρως, ἀγήρων დაუბერებელი

თავისებური ზედსართავები. სამბოლოკიდურიანი ზედსართავები μέγας, μεγάλη, μέγα „დიდი“ და πολύς, πολλή, πολύ „მრავალი“ ატიკურ დიალექტში თავისებურებას იჩენენ ბრუნების დროს. ამ ზედსართავთა თავისებურება ისაა, რომ ბრუნვათა ფორმებს აწარმოებენ ორ-ორი ფუძიდან. ეს ფუძეებია: μεγα- **I** μεγαλο- და πολυ- **I** πολλο-. ფუძეებიდან μεγα- და πολუ- იწარმოება მამრობითი და საშუალო სქესის მხოლობითი რიცხვის სახელობითი, აკუზატივუსი და წოდებითი ბრუნვები III კანკლედობით; ფუძეებიდან μεγαλο- და πολλο- მამრობითი და საშუალო სქესის დანარჩენი ფორმები იწარმოება II კანკლედობით; მდედრობითი სქესის ყველა ფორმა იწარმოება ამავე ფუძეებიდან I კანკლედობით.

πολλο- ფუძეში ორი λ ექსპრესიული გაორკეცების შედეგია.

		მამრ.	მდედრ.	საშ.
მხოლობითი	სახ.	μέγας	μεγάλη	μέγα
	ნათ.	μεγάλου	μεγάλης	μεγάλου
	მიც.	μεγάλῳ	μεγάλῃ	μεγάλῳ
	აკუზ.	μέγαν	μεγάλην	μέγα
	წოდ.	μέγας ან μεγάλε	μεγάλη	μέγα
მრავლობითი	სახ.	μεγάλοι	μεγάλαι	μεγάλαι
	ნათ.	μεγάλων	μεγάλων	μεγάλων
	მიც.	μεγάλοις	μεγάλαις	μεγάλοις
	აკუზ.	μεγάλους	μεγάλας	μεγάλα
	წოდ.	μεγάλοι	μεγάλαι	μεγάλα
ორობითი	სახ. აკუზ. წოდ.	μεγάλω	μεγάλα	μεγάλω
	ნათ. მიც.	μεγάλοιν	μεγάλαιν	μεγάλοιν

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მამრ. სქეს. მხ. რიცხვ. წოდ. ბრუნვაში μέγας და μεγάλε პარალელური ფორმებია. μέγας, მაგალითად, გვხვდება სოფოკლესთან (Oed. Col. 1471), μεγάλε – ესქილესთან (Sept. 822).

		მამრ.	მდედრ.	საშ.
მხოლობითი	სახ.	πολύς	πολλή	πολύ
	ნათ.	πολλοῦ	πολλῆς	πολλοῦ
	მიც.	πολλῷ	πολλῇ	πολλῷ
	აკუზ.	πολύν	πολλήν	πολύ
	წოდ.	πολύ	πολλή	πολύ
მრავლობითი	სახ.	πολλοί	πολλαί	πολλά
	ნათ.	πολλῶν	πολλῶν	πολλῶν
	მიც.	πολλοῖς	πολλαῖς	πολλοῖς
	აკუზ.	πολλούς	πολλάς	πολλά
	წოდ.	πολλοί	πολλαί	πολλά

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სიტყვიდან πολύς ორობითი რიცხვი არ იწარმოება მნიშვნელობის („მრავალი“) გამო.

ზედსართავი სახელის შეწყობა არსებით სახელთან. თანამედროვე ქართულ ენაში მსაზღვრელისა (ზედსართავი სახელის) და საზღვრულის (არსებითი სახელის) რიგი ჩვეულებრივ ასეთია: მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს – „მაღალი მთა“. ასეთი რიგის დროს ზედსართავ სახელს ბრუნვის ნიშნები ან სულ ეკარგება, ანდა ზოგიერთ ბრუნვაში ახლავს:

სახ.	მწვანე მინდორ-ი	მაღალ-ი მთა
მოთხრ.	მწვანე მინდორ-მა	მაღალ-მა მთა-მ
მიც.	მწვანე მინდორ-ს	მაღალ მთა-ს
ნათ.	მწვანე მინდვრ-ის	მაღალ-ი მთ-ის
მოქ.	მწვანე მინდვრ-ით	მაღალ-ი მთ-ით
ვით.	მწვანე მინდვრ-ად	მაღალ მთ-ად
წოდ.	მწვანე მინდორ-ო	მაღალ-ო მთა-ო

მრავლობით რიცხვში მსაზღვრელი – ზედსართავი იმგვარადვე იბრუნვის, როგორც მხოლობითში:

სახ.	მწვანე მინდვრებ-ი	მაღალ-ი მთებ-ი
მოთხრ.	მწვანე მინდვრებ-მა	მაღალ-მა მთებ-მა

და ა.შ.

ძველ ქართულში ჭარბობდა ისეთი რიგი, როცა საზღვრული წინ უსწრებს მსაზღვრელს. ასეთ შემთხვევაში არსებითი სახელისა და ზედსართავის შეთანხმება სრულია როგორც მხოლობით, ისე მრავლობით რიცხვში (მთა მაღალი – მთანი მაღალნი).

რაც შეეხება ბერძნულ ენას, ზედსართავი სახელისათვის აქ აუცილებელია ბრუნვის სრული დაბოლოების ხმარება – ზედსართავი სახელი არსებით სახელს სრულად უთანხმდება სქესში, რიცხვსა და ბრუნვაში:

	ἡ ἀγαθὴ ἀρχή „კეთილი საწყისი“	
	მხოლობითი	მრავობითი
სახ.	ἡ ἀγαθὴ ἀρχή	αἱ ἀγαθαὶ ἀρχαί
ნათ.	τῆς ἀγαθῆς ἀρχῆς	τῶν ἀγαθῶν ἀρχῶν
მიც.	τῇ ἀγαθῇ ἀρχῇ	ταῖς ἀγαθαῖς ἀρχαῖς
აკუზ.	τὴν ἀγαθὴν ἀρχήν	τὰς ἀγαθὰς ἀρχάς
წოდ.	ὦ ἀγαθὴ ἀρχή	ὦ ἀγαθαὶ ἀρχαί
	ორობითი	
სახ. აკუზ. წოდ.	τὼ ἀγαθὰ ἀρχά	
ნათ. მიც.	τοῖν ἀγαθαῖν ἀρχαῖν	

		ἡ θάλλουσα ἄμπελος აყვავებული ვაზი	**ὁ καλὸς ποταμός** ლამაზი მდინარე	**τὸ μέγα δῶρον** დიდი საჩუქარი
მხოლობითი	სახ. ნათ. მიც. აკუზ. წოდ.	ἡ θάλλουσα ἄμπελος τῆς θαλλούσης ἀμπέλου τῇ θαλλούσῃ ἀμπέλῳ τὴν θάλλουσαν ἄμπελον ὦ θάλλουσα ἄμπελε	ὁ καλὸς ποταμός τοῦ καλοῦ ποταμοῦ τῷ καλῷ ποταμῷ τὸν καλὸν ποταμόν ὦ καλὲ ποταμέ	τὸ μέγα δῶρον τοῦ μεγάλου δώρου τῷ μεγάλῳ δώρῳ τὸ μέγα δῶρον ὦ μέγα δῶρον
მრავლობითი	სახ. ნათ. მიც. აკუზ. წოდ.	αἱ θάλλουσαι ἄμπελοι τῶν θαλλούσων ἀμπέλων ταῖς θαλλούσαις ἀμπέλοις τὰς θαλλούσας ἀμπέλους ὦ θάλλουσαι ἄμπελοι	οἱ καλοὶ ποταμοί τῶν καλῶν ποταμῶν τοῖς καλοῖς ποταμοῖς τοὺς καλοὺς ποταμούς ὦ καλοὶ ποταμοί	τὰ μεγάλα δῶρα τῶν μεγάλων δώρων τοῖς μεგάλοις δώροις τὰ μεγάλα δῶρα ὦ μεγάλα δῶρα
ორობითი	სახ. აკუზ. წოდ. ნათ. მიც.	τὼ θαλλούσα ἀμπέλω τοῖν θαλλούσαιν ἀμπέλοιν	τὼ καλὼ ποταμώ τοῖν καλοῖν ποταμοῖν	τὼ μεγάλω δώρω τοῖν μεγάλοιν δώροιν

სავარჯიშო მაგალითები:

τὸ χαλκοῦν ὅπλον სპილენძის იარაღი
τὸ ἀναγκαῖον ἔργον აუცილებელი საქმე
ἡ χαλεπὴ νόσος ძნელი (მძიმე) ავადმყოფობა
ἡ ἀθάνατος θεά უკვდავი ქალღმერთი
ὁ ἄτεκνος ἄνθρωπος უშვილო კაცი
ὁ ἀνδρεῖος στρατηγός მამაცი სარდალი
τὸ χρήσιμον πότον სასარგებლო სასმელი
ὁ καλὸς κόσμος მშვენიერი წესი
ὁ νήδυμος ὕπνος ტკბილი ძილი
ἡ πολύφλοισβος θάλασσα მრავალხმაურა ზღვა
ὁ μέγας οὐρανός დიადი ზეცა
ἡ φωσφόρος ἕως შუქმფენი (ნათლისმცემელი) აისი
ὁ λεπτὸς νοῦς მახვილი გონება
ὁ δίκαιος δικαστής სამართლიანი მოსამართლე
ὁ βέβαιος φίλος მტკიცე მეგობარი
ἡ βεβαία φιλία მტკიცე მეგობრობა
ὁ παλαιὸς οἶνος ძველი ღვინო

მესამე კანკლედობა

1. მესამე კანკლედობით იბრუნება სამივე სქესის სახელები, მეორე რიგის ზედსართავი სახელები და მიმღეობათა ზოგიერთი ფორმა. ამ კანკლედობაში ყველაზე კარგადაა შემონახული ბერძნულ სახელთა ბრუნების არქაული ვითარება.

2. მესამე კანკლედობის სახელთა ფუძე ბოლოვდება თანხმოვნებზე (-κ, -γ, -χ, -π, -β, -φ, -τ, -δ, -θ, -λ, -ν, -ρ, -σ) და ხმოვნებზე (მარტივ ხმოვნებზე: -ι, -υ, -ο, -ω და დიფთონგებზე: -αυ, -ευ, -ου).

3. მესამე კანკლედობის სახელთათვის დამახასიათებელია ის, რომ მხოლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში მათ არა აქვთ ერთი გარკვეული ბოლოკიდური. იმ დროს, როდესაც პირველი და მეორე კანკლედობის სახელებს სახელობითში სულ რამდენიმე ბოლოკიდური აქვთ, მესამე კანკლედობის სიტყვები ნაირნაირი ბოლოკიდურითაა წარმოდგენილი (ξ, ψ, ς, ν, ρ, α, ι, υ, ω). სახელის ფუძე მხ. რიცხვის სახელობით ბრუნვაში ხშირად შეცვლილია; ფუძის ცვალებადობას სახელობითი ბრუნვის წარმოება იწვევს.

4. მესამე კანკლედობით რომ სიტყვა ვაბრუნოთ, მხ. რიცხვის სახელობითი ბრუნვის ფორმის გარდა, უთუოდ უნდა ვიცოდეთ სიტყვის ფუძე. ფუძის მისაღებად სახელს ჩავსვამთ მხოლ. რიცხვის ნათესაობით ბრუნ-

ვაში, ჩამოვაშორებთ ამ ბრუნვის დამახასიათებელ ნიშანს (-ος) და დარჩენილ ნაწილს (ფუძეს) დავურთავთ ბრუნვათა ბოლოკიდურებს[1]:

	მხოლობითი		მრავლობითი		ორობითი
	მამრ. და მდედრ.	საშ.	მამრ. და მდედრ.	საშ.	მამრ. მდედრ. საშ.
სახ.	-ς ან ფუძე (სუფთა ან შეცვლილი	(სუფთა ან შეცვლილი)	-ες	-α	-ε
ნათ.	-ος	-ος	-ων	-ων	-οιν
მიც.	-ι	-ι	-σι(ν)	-σι(ν)	-οιν
აკუზ.	-α ან ν	=სახელობითს	-ας	-α	-ε
წოდ.	=სახელობითს ან ფუძეს	=სახელობითს	-ες	-α	-ε

5. მხ. რიცხვის სახელობითი ბრუნვა მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელებისათვის ორი გზით იწარმოება.

ა) სიგმატურად -სახელობითი ბრუნვის ნიშნის ς დართვით ფუძეზე (სიგმიანი ბრუნვა); მაგალითად: ფუძეა πολι-, სახელობითი ბრუნვა იქნება ἡ πόλις -ქალაქი; ფუძეა ἐλεφαντ -, სახელობითი ბრუნვა იქნება ὁ ἐλέφας -სპილო

ბ) ასიგმატურად – სახელობითი ბრუნვის ნიშნის ς დაურთველად (უსიგმო ბრუნება); ამ შემთხვევაში სახელობითი ბრუნვა წარმოდგენილია ან სუფთა ფუძის სახით, ანდა ჩვეულებრივად შეცვლილი ფუძით: მაგალითად: ფუძეა κρατηρ- სახელობითი ბრუნვა იქნება ὁ κρατήρ – თასი; ფუძეა ῥητορ-, სახელობითი ბრუნვა იქნება ὁ ῥήτωρ – ორატორი, მჭევრმეტყველი

6. სიგმიანი სახელობითი აქვთ მამრ. და მდედრ. სქესის იმ სახელებს, რომელთა ფუძე ბოლოვდება ხორხისმიერ (-κ, -γ, -χ), ბაგისმიერ (-π, -β, -φ) და კბილისმიერ (-τ, -δ, -θ) თანხმოვნებზე, აგრეთვე ხმოვნებზე -ι, -υ, -ω, -αυ, -ευ, -ου.

7. უსიგმო სახელობითი აქვთ საშუალო სქესის სახელებს და მამრობითი და მდედრობითი სქესის იმ სახელებს, რომელთა ფუძე ბოლოვდება -ν, -ρ, -σ, -ο-ზე (აქვე შემოვა ზოგიერთი სახელი -ντ ბოლოკიდურებით ფუძეში).

---

[1] ლექსიკონებში ჩვეულებრივ მოცემულია მხ. რიცხვის როგორც სახელობითი, ისე ნათესაობითი ბრუნვის ფორმები; მაგალითად: *σῶμα, σώματος τό* სხეული; *λέων, λέοντος ὁ* ლომი

8. საშუალო სქესის სახელთა სახელობითი, აკუზატივუსი და წოდებითი ბრუნვები მხ. რიცხვისა წარმოდგენილია სუფთა ფუძით, რამდენადაც ეს შესაძლებელია ფონეტიკური კანონებით: ბერძნულში სიტყვა შეიძლება დაბოლოვდეს ან ხმოვნით, ანდა -ν, -ρ, -σ, (-ξ, -ψ) თანხმოვნებით. მაგალითად, თუ საშუალო სქესის სიტყვა ბოლოვდება τ-ზე (σωματ-), სახელობით ბრუნვაში τ- მოიკვეცება: τ-ზე არ შეიძლება სიტყვის ფუძე დამთავრდეს (τὸ σῶμα), ანდა შესაძლებელია ზოგჯერ მოგვცეს σ (τερατ → τὸ τέρας – სასწაული, ურჩხული. აქ ς τ-ს მონაცვლეა და არა სახელობითი ბრუნვის ნიშანი!).

9. მხ. რიცხვის აკუზატივუსში მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელებს აქვთ ბოლოკიდური ν, თუ ფუძე ბოლოვდება ხმოვნებზე ι და υ. იგივე ბოლოკიდური აქვთ ις და υς ბოლოკიდურიან ბარიტონონ-სახელებს, ე.ი. ისეთ სახელებს, რომელთაც მახვილი არ მოუდით ბოლოდან პირველ მარცვალზე.

10. მრავლობითი რიცხვის აკუზატივუსში მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელთა ბოლოკიდური ας მომიდნარეობს პირვანდელი *νς დაბოლოებისგან.

11. მხ. რიცხვის წოდებითი ბრუნვას უძველეს ხანებში ახასიათებდა ნულოვანი დაბოლოება (სახ. ἄναξ – წინამძღოლი, მეუფე, წოდ. ἄνα). ატიკურ დიალექტში მამრ. და მდედრ. სქესის სახელების წოდებითი ბრუნვა ან მსგავსია სახელობითი ბრუნვისა, ანდა წარმოდგენილია სუფთა ფუძით, რამდენადაც ეს შესაძლებელია ფონეტიკური კანონებით.

12. მახვილი მესამე კანკლედობის სიტყვებშიც ცდილობს შეუცვლელად დარჩეს იმ მარცვალზე, სადაც მხოლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში იყო, რამდენადაც ეს მახვილის საერთო წესებით შეიძლება. გამონაკლისს წარმოადგენს ერთმარცვლოვანი სიტყვები: ერთმარცვლოვან სიტყვებს ყველა რიცხვის ნათესაობითსა და მიცემითში მახვილი აქვთ ბოლოდან პირველ მარცვალზე; ეს მახვილი მოკლე მარცვალზე მკვეთრია (ოქსიტონონი), გრძელზე – შემოსილი (პერისპომენონი)[1]. ამ გამონაკლისს თავისი გამონაკლისებიც აქვს, რაც ქვემოთ იქნება ნაჩვენები ლექსიკური ერთეულების განხილვის დროს.

---

1 შდრ. რუსულ ენაში: стол ნათ. столá; враг – врагá მახვილის ეს წესი არ ვრცელდება ერთმარცვლოვან მიმღეობებსა და ნაცვალსახელზე τίς.

მესამე კანკლედობის არსებითი სახელები **სახელობითი ბრუნვის წარმოების მიხედვით** შეიძლება ოთხ ძირითად ჯგუფად დაიყოს:

1. არსებითი სახელები, რომელთაც სახელობით ბრუნვაში დაცული აქვთ სახელის ფუძეც და სახელობითი ბრუნვის ნიშანიც: ამ ჯგუფში შემოვა მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელთა ნაწილი:

ἡ πόλι-ς, ნათ. πόλεως ქალაქი

ὁ βασιλεύ-ς – βασιλέως მეფე, ბასილევსი

ὁ φύλαξ (= φυλακ + ς) – φύλακ-ος დარაჯი

ὁ ἥρως – ἥρω-ος გმირი

ὁ ἅλ-ς – ἁλ-ός მარილი და სხვა.

2. არსებითი სახელები, რომელთაც სახელობით ბრუნვაში დაცული აქვთ სახელის ფუძე სუფთად, მაგრამ არა აქვთ სახელობითი ბრუნვის ნიშანი (ასიგმატური სახელები). აქ შემოვა მამრობითი, მდედრობითი და საშუალო სქესის სახელთა ნაწილი:

ὁ κρατήρ, ნათ. κρατῆρ-ος თასი

ὁ θήρ – θηρ-ός ნადირი

ὁ ἀγών – ἀγῶν-ος შეჯიბრი, ბრძოლა

ὁ ἔαρ – ἔαρ-ος გაზაფხული

ἡ χείρ – χειρ-ός ხელი და სხვ.

3. არსებითი სახელები, რომელთაც სახელობით ბრუნვაში დაცული აქვთ ბრუნვის დაბოლოება, მაგრამ ფუძეში განუცდიათ ცვლილება. აქ შემოვა მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელთა ნაწილი:

ὁ γίγας, ნათ. γίγαντ-ος გოლიათი

ὁ φυγάς – φυγάδ-ος ლტოლვილი

ἡ ἐσθής – ἐσθῆτ-ος ტანისამოსი

ἡ ἀσπίς – ἀσπίδ-ος ფარი

ὁ πούς – ποδ-ός ფეხი

ὁ, ἡ παῖς – παιδ-ός ბავშვი

ἡ νύξ (← νυκτ-ς) – νυκτ-ός ღამე და სხვ.

4. არსებითი სახელები, რომელთაც სახელობით ბრუნვაში არ აბლავთ ბრუნვის ნიშანი (ასიგმატური სახელები) და ფუძეც შეცვლილი აქვთ. აქ შემოვა სამივე სქესის სახელთა დიდი ნაწილი:

ὁ γέρων, ნათ. γέροντ-ος მოხუცი

ἡ μήτηρ – μητρ-ός დედა

ὁ, ἡ κύων – κυν-ός ძაღლი
ἡ γυνή – γυναικ-ός ქალი
τὸ σῶμα – σώματ-ος სხეული
τὸ μέλι – μέλιτ-ος თაფლი
τὸ γάλα – γάλακτ-ος რძე და სხვ.

მესამე კანკლედობის არსებით სახელთა სქესი. არსებითი სახელის სქესს ჩვეულებრივ არტიკლი გვაუწყებს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში სახელის სქესის გამოცნობა შეიძლება მხოლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის დაბოლოების მიხედვითაც.

1) მამრობითი სქესისაა ის სახელები, რომელთაც მხ. რიცხვის სახელობითი ბრუნვაში აქვთ ბოლოკიდურები: ευς, τηρ, (ნათ. τηρ-ος), τωρ, (ნათ. τορ-ος), ας (ნათ. αντ-ος), αν, ην, ους (ნათ. οντ-ος), ων, (ნათ. οντ-ος ან ωνος).

მაგალითები:

ὁ ἱππεύς მხედარი
ὁ σωτήρ (σωτῆρ-ος) მხსნელი
ὁ ῥήτωρ (ῥήτορ-ος) მჭევრმეტყველი, რიტორი
γίγας (γίγαντ-ος) გოლიათი
ὀδούς (ὀδόντ-ος) კბილი
λέων (λέοντ-ος) ლომი

გამონაკლისით მდედრობითი სქესისაა: ἡ γαστήρ (γαστρός) კუჭი, სტომაქი, ἡ μήτηρ, (μητρ-ός) დედა, ἡ θυγάτηρ (θυγατρ-ός) ასული, ქალიშვილი.

2) მდედრობითი სქესისაა ის სახელები, რომელთაც მხ. რიცხვის სახელ. ბრუნვაში აქვთ ბოლოკიდურები: ας (ნათ. Αδ-ος), ις (ნათ. εως), ω და ως (ნათ. ο-ος → ους), της (ნათ. τητ-ος).

მაგალითები:

ἡ λαμπάς (λαμπάδ-ος) სანათი, ლაპმარი
ἡ ἐλπίς (ἐλπίδ-ος) იმედი
ἡ πόλις (πόλεως) ქალაქი
ἡ πειθώ (πειθόος → πειθοῦς) დარწმუნება
ἡ φιλότης (φιλότητος) მეგობრობა

შენიშვნა: ις ბოლოკიდურიან სახელთაგან მამრობითი სქესისაა:
ὁ ὄφις (ὄφεως) გველი
ὁ πόσ(σ)ις (πόσ(σ)εως) ქმარი
ὁ τρόχις (τρόχεως) მალემსრბოლი
ὁ πόρτις (πόρτιος) მოზვერი

ὁ ἔχις (ἔχεως) გველგესლა

3) საშუალო სქესისაა ის სახელები, რომელთაც მხ. რიცხვის სახელ. ბრუნვაში აქვთ ბოლოკიდური: μα (ნათ. ματ-ος), ος (ნათ. ους), ας (ნათ. ατ-ος და α-ος), ι, υ, ρ (წინამდებარე მოკლე ხმოვნით).

მაგალითები:

τὸ ὄνομα (ὀνόματ-ος) სახელი	τὸ σέλας (σέλαος) შუქი, ნათელი
τὸ γένος (γένους) გვარი	τὸ μέλι (μέλιτος) თაფლი
τὸ κέρας (κέρατ-ος) რქა	τὸ ἄστυ (ἄστεως) ქალაქი
τὸ γῆρας (γήραος → γήρως) სიბერე	τὸ ἦτορ (ἤτορ-ος) გული

საერთო სქესისაა (communia generis) არსებითი სახელები:

ὁ, ἡ ἀλεκτρυών (ἀλεκτρυόν) მამალი, დედალი – ქათამი

ὁ, ἡ σῦς = ὗς (συ-ός, ὑ-ός) ღორი

ὁ, ἡ αἴξ (αἰγ-ός) თხა

ὁ, ἡ βοῦς (βο-ός) ხარი, ძროხა

ὁ, ἡ παῖς (παιδ-ός) ბავშვი: ბიჭი, გოგო

ὁ, ἡ δαίμων (δαίμον-ος) დემონი

ὁ, ἡ μάντις (μάντεως) წინასწარმეტყველი, მისანი

ὁ, ἡ κύων (κυνός) ძაღლი და სხვ.

I. თანხმოვანფუძიანი სახელები

ხორხისმიერი (გუტურალური) და ბაგისმიერი (ლაბიალური) თანხმოვნები. 1. თუ სახელი ბოლოვდება ხორხისმიერ (κ, γ, χ) ან ბაგისმიერ (π, β, φ) თანხმოვანზე, ასეთი სიტყვის სახელობითი ბრუნვა სიგმატურია – ფუძეზე ς დართვით იწარმოება. ხორხისმიერი თანხმოვანი და ς შეერთებისას იძლევა ξ-ს, ბაგისმიერი და ς კი – ψ-ს. მაგალითად: ὁ φύλαξ მიღებულია ფუძიდან φυλακ + ς; ὁ Ἄραψ მიღებულია ფუძიდან Ἀραβ + ς; იგივე ხდება მრავლობითი რიცხვის მიცემით ბრუნვაში:

φυλακ + σι → φύλαξι; Ἀραβ + σι → Ἄραψι.

2. ხორხისმიერ და ბაგისმიერ თანხმოვანფუძიან სახელთა ნაწილი მამრობითი სქესისაა, ნაწილი – მდედრობითისა.

3. წოდებითი ბრუნვა = სახელობითს.

მხოლობითი	სახ.	ὁ κόραξ ყორანი	ἡ σῦριγξ სალამური	ὁ ὄνυξ ფრჩხილი / ბრჭყალი	ἡ λαῖλαψ ქარბორბალა	ὁ Ἄραψ არაბი	ἡ κατῆλιψ დორე
	ნათ.	τοῦ κόρακ-ος	τῆς σύριγγ-ος	τοῦ ὄνυχ-ος	τῆς λαίλαπ-ος	τοῦ Ἄραβ-ος	τῆς κατήλιφ-ος
	მიც.	τῷ κόρακ-ι	τῇ σύριγγ-ι	τῷ ὄνυχ-ι	τῇ λαίλαπ-ι	τῷ Ἄραβ-ι	τῇ κατήλιφ-ι
	აკუზ.	τὸν κόρακ-α	τὴν σύριγγ-α	τὸν ὄνυχ-α	τὴν λαίλαπ-α	τὸν Ἄραβ-α	τὴν κατήλιφ-α
	წოდ.	ὦ κόραξ	ὦ σῦριγξ	ὦ ὄνυξ	ὦ λαῖλαψ	ὦ Ἄραψ	ὦ κατῆλιψ
მრავლობითი	სახ.	οἱ κόρακ-ες	αἱ σύριγγ-ες	οἱ ὄνυχ-ες	αἱ λαίλαπ-ες	οἱ Ἄραβ-ες	αἱ κατήλιφ-ες
	ნათ.	τῶν κοράκ-ων	τῶν συρίγγ-ων	τῶν ὀνύχ-ων	τῶν λαιλάπ-ων	τῶν Ἀράβ-ων	τῶν κατηλίφ-ων
	მიც.	τοῖς κόραξι(ν)	ταὶς σύριγξι(ν)	τοῖς ὄνυξι(ν)	ταῖς λαίλαψι(ν)	τοῖς Ἄραψι(ν)	ταὶς κατήλιψι(ν)
	აკუზ.	τοῦς κόρακ-ας	τὰς σύριγγ-ας	τοῦς ὄνυχ-ας	τὰς λαίλαπ-ας	τοῦς Ἄραβ-ας	τὰς κατήλιφ-ας
	წოდ.	ὦ κόρακ-ες	ὦ σύριγγ-ες	ὦ ὄνυχ-ες	ὦ λαίλαπ-ες	ὦ Ἄραβ-ες	ὦ κατήλιφ-ες
ორობითი	სახ. აკ. წოდ.	τὼ κόρακ-ε	σύριγγ-ε	ὄνυχ-ε	λαίλαπ-ε	Ἄραβ-ε	κατήλιφ-ε
	ნათ. მიც.	τοῖν κοράκ-οιν	συρίγγ-οιν	ὀνύχ-οιν	λαιλάπ-οιν	Ἀράβ-οιν	κατηλίφ-οιν

ერთმარცვლოვანი სახელები. ერთმარცვლოვან სიტყვებს, როგორც აღვნიშნეთ, ყველა რიცხვის ნათესაობითსა და მიცემითში მახვილი აქვთ ბოლოდან პირველ მარცვალზე (მოკლეზე – მკვეთრი, გრძელზე – შემოსილი):

მხოლობითი	სახ.	ἡ γλαῦξ ბუ	ἡ αἶξ თხა	ὁ γύψ ძერა	ἡ φλέψ ძარღვი
	ნათ.	τῆς γλαυκ-ός	αἰγ-ός	τοῦ γυπ-ός	τῆς φλεβ-ός
	მიც.	τῇ γλαυκ-ί	αἰγ- ί	τῷ γυπ-ί	τῇ φλεβ-ί
	აკუზ.	τὴν γλαῦκ-α	αἶγ-α	τὸν γῦπ-α	τὴν φλεβ-ά
	წოდ.	ὦ γλαῦξ	αἶξ	ὦ γύψ	ὦ φλέψ
მრავლობითი	სახ.	αἱ γλαῦκ-ες	αἶγ-ες	οἱ γῦπ-ες	αἱ φλέβ-ες
	ნათ.	τῶν γλαυκ-ῶν	αἰγ – ῶν	τῶν γυπ-ῶν	τῶν φλεβ-ῶν
	მიც.	ταῖς γλαυξί(ν)	αἰξί(ν)	τοῖς γυψί(ν)	ταῖς φλεψί(ν)
	აკუზ.	τὰς γλαῦκ-ας	αἶγ-ας	τοῦς γῦπ-ας	τὰς φλέβ-ας
	წოდ.	ὦ γλαῦκ-ες	αἶγ-ες	ὦ γῦπ-ες	ὦ φλέβ-ες
ორობითი	სახ. აკუზ. წოდ.	τὼ γλαῦκ-ε	αἶγ-ε	γῦπ-ε	φλέβ-ε
	ნათ. მიც.	τοῖν γλαυκ-οῖν	αἰγ-οῖν	γυπ- οῖν	φλεβ-οῖν

სავარჯიშო მაგალითები:

ὁ μύρμηξ (μύρμηκ-ος) ჭიანჭველა
ἡ μάστιξ (μάστιγ-ος) შოლტი
ἡ φόρμιγξ (φόρμιγγ-ος) ფორმინგი (სიმებიანი საკრავი)
ἡ σάλπιγξ (σάλπιγγ-ος) საყვირი
ὁ λάρυγξ (λάρυγγ-ος) ხორხი
ἡ ἅρπαξ (ἅρπαγ-ος) მოტაცება
ὁ, ἡ ἧλιξ (ἥλικ-ος) ტოლი
ὁ κόλαξ (κόλακ-ος) პირმოთნე
ὁ τέττιξ (τέττιγ-ος) ჭიჭინობელა
ὁ ὄρτυξ (ὄρτυγ-ος) მწყერი
ὁ φέναξ (φένακ-ος) თაღლითი
ἡ ὄψ (ὀπ-ός) ხმა (ლათ. vox)
ἡ ὦψ (ὠπ-ός) სახე (მრავ. თვალი)
ἡ βήξ (βηχ -ός) ხველა
ὁ Θρᾷξ (Θρᾳκ-ός) თრაკიელი

თავისებური სახელები

1. ფუძიდან τριχ – მხოლ. რიცხვის სახელობითი ბრუნვაა ἡ θρίξ (თმა) მრავლ. რიცხვ. მიცემითია θριξί(ν). ამ ბრუნვებში ფუძის ბოლოკიდური χ σ-თან პოზიციაში კარგავს ფშვინვიერობას (χ + σ → ξ); ამის გამო დისიმილაციით ფუძის თავკიდური τ გვაძლევს θ-ს:

მხოლ:	მრავლ.
სახ. ἡ θρίξ	αἱ τρίχ-ες
ნათ. τῆς τριχ-ός	τῶν τριχ-ῶν
მიც. τῇ τριχ-ί	ταῖς θριξί(ν)
აკუზ. τὴν τρίχ-α	τὰς τρίχ-ας
წოდ. ὦ θρίξ	ὦ τρίχ-ες

ორობითი:

სახ. აკუზ. წოდ. τὼ τρίχ-ε

მიც. ნათ. τοῖν τριχ-οίν

2. სახელობით ბრუნვას ς დართვით და ამასთანავე ფუძისეული ბოლოკიდური ხმოვნის დაგრძელებით აწარმოებს სიტყვა ἡ ἁλώπηξ „მელა“ (ნათ. ἁλώπεκ-ος).

3. სიტყვებში ὁ ან ἡ κῆρυξ (მაცნე, შიკრიკი), ὁ ან ἡ φοῖνιξ ფინიკი ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი სახელობით ბრუნვაში დამოკლებულია (ფუძეა: κηρυκ, φοινικ). ზოგჯერ გვხვდება ფორმა κήρυξ (ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის დაუმოკლებლად!).

კბილისმიერი (დენტალური) თანხმოვნები

ა) ფუძეები τ, δ, θ ბოლოკიდურით

1. τ, δ, θ ფუძიანი სახელები მამრობითი და მდედრობითი სქესისაა, საშუალო სქესის სახელთა ფუძე კბილისმიერ თანხმოვანთაგან შეიძლება იყოს მხოლოდ τ ბოლოკიდურით.

2. მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელები სახელობით ბრუნვას სიგმატურად აწარმოებენ – ფუძეზე დაირთავენ ς-ს. ς-ის დართვით ფუძის ბოლოკიდური კბილისმიერი თანხმოვანი (τ, δ, ან θ) უკვალოდ ამოვარდება და ς-ს წინ რჩება ხმოვანი (ας, ις, υς, ως, ης) . მაგალითად: ფუძეა λαμπαδ, სახელობითი – ἡ λαμπάς (ნათ. λαμπάδ-ος) „ლამპარი“, „ჩირაღდანი“; ფუძეა πατριδ, სახელობითი – ἡ πατρίς (ნათ. πατρίδ-ος) „სამშობლო“; ფუძეა κορυθ, სახელობითი – ἡ κόρυς (ნათ. κορύθ-ος), „მუზარადი“; ფუძეა ἐρωτ, სახელობითი – ὁ ἔρως (ნათ. ἔρωτ-ος) „სიყვარული“; ფუძეა νεοτητ, სახელობითი – ἡ νεότης (νεότητ-ος) „ახალგაზრდობა“, „სიყმაწვილე“.

კბილისმიერი თანხმოვანი ამოვარდება მრავლობითი რიცხვის მიცემითი ბრუნვის σι ბოლოკიდურის წინაც: λαμπά-σι (← λαμπάδ-σι).

3. ις და υς ბოლოკიდურიან სიტყვებს მხოლობითი რიცხვის აკუზატივუსში აქვთ დაბოლოება α (ιδ-α, υδ-α), თუ ეს სიტყვები ოქსიტონონებია და ν (ιν, υν), თუ – ბარიტონონებია (ე.ი. თუ მახვილი არა აქვთ ბოლოდან პირველ მარცვალზე).

4. წოდებითი ბრუნვა = სახელობითს, გარდა სიტყვებისა ις (ნათ. ιδος) ბოლოკიდურით. ამ სიტყვების წოდებითი ბრუნვა ჩვეულებრივ წარმოადგენს თანხმოვანმოკვეცილ ფუძეს. მაგალითად: ἡ ἐλπίς (ნათ. ἐλπίδ-ος), წოდ. ὦ ἐλπί („იმედი“).

5. საშუალო სქესის სახელები, რომელთა ფუძის ბოლოკიდურად კბილისმიერთანხმოვანთაგან მხოლოდ τ აქვთ, სახელობით ბრუნვას (და აგრეთვე აკუზატივუსსა და წოდებით ბრუნვებს) წარმოდგენენ τ მოკვეცილი ფუძით, ვინაიდან სიტყვის ბოლოს არ შეიძლება τ იყოს. τ დაიკარგება მხ. რიცხვის მიც. ბრუნვაშიც. მაგალითად: ფუძეა σωματ, სახელობითია τὸ σῶμα (ნათ. σώματ-ος), მრ. რიცხ. მიც. σώμασι(ν). საშუალო სქესის სახელებს ჩვეულებრივ, ფუძის τ ბოლოკიდურის წინ უძღვით მარცვალი μα (მისი შესატყვისია ლათინური men. ბერძნ. τὸ ὄνομα, ლათ. nomen). ძველ ბერძნულში μα ბოლოკიდურიანი სიტყვები მრავლადაა.

6. თუ საშუალო სქესის სახელს ფუძისეული τ ბოლოკიდურის წინ სხვა ისეთი თანხმოვანი უზის, რომლითაც ბერძნული სიტყვა ვერ დამთავრდება, τ-თან ერთად ისიც მოიკვეცება: ფუძეა γαλακτ, სახელობითია τὸ γάλα (ნათ: γάλακτ-ος) „რძე“. სახელობით ბრუნვაში მოიკვეცა κτ კომპლექსი. აქვე შევნიშნავთ, რომ სიტყვა ოდენ მხოლობითია (singularia tantum), რადგან ნივთიერებას აღნიშნავს.

7. კბილისმიერ თანხმოვანფუძიან არს. სახელთა მსგავსად იბრუნვიან შესაბამისი ფუძის მქონე მეორე რიგის ერთ-და ორბოლოკიდურიანი ზედსართავი სახელები (მაგ., πένης, ნათ. πένητ-ος «ღარიბი“; ἄχαρις, ἄχαρι, ნათ. ἀχάριτ-ος «უმადური“ და მისთ.). და ნამყო სრულის (პერფექტუმის) მოქმედებითი გვარის მიმღეობის მამრ. და საშ. სქესის ფორმები (მაგ. λελυκώς, ნათ. λελυκότ-ος (მამრ.); λελυκός, ნათ. λελυκότ-ος (საშ.).

მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელები

	ფუძე:	λαμπαδ ჩირაღდანი	ἐρωτ სიყვარული	ἐσθητ ტანისამოსი	ἐλπιδ იმედი	ἐριδ შური, დავა
მხოლობითი	სახ.	ἡ λαμπάς	ὁ ἔρως	ἡ ἐσθής	ὁ ἐλπίς	ἡ ἔρις
	ნათ.	λαμπάδ-ος	ἔρωτ-ος	ἐσθῆτ-ος	ἐλπίδ-ος	ἔριδ-ος
	მიც.	λαμπάδ-ι	ἔρωτ-ι	ἐσθῆτ-ι	ἐλπίδ-ι	ἔριδ-ι
	აკუზ.	λαμπάδ -α	ἔρωτ-α	ἐσθῆτ-α	ἐλπίδ-α	ἔριν
	წოდ.	λαμπάς	ἔρως	ἐσθής	ἐλπί	ἔρι
მრავლობითი	სახ.	αἱ λαμπάδ-ες	οἱ ἔρωτ-ες	οἱ ἐσθῆτ-ες	αἱ ἐλπίδ-ες	ἔριδ-ες
	ნათ.	λαμπάδ-ων	ἐρώτ-ων	ἐσθήτ-ων	ἐλπίδ-ων	ἐρίδ-ων
	მიც.	λαμπάσι(ν)	ἔρωσι(ν)	ἐσθῆσι(ν)	ἐλπίσι(ν)	ἔρισι(ν)
	აკუზ.	λαμπάδ-ας	ἔρωτ -ας	ἐσθῆτ-ας	ἐλπίδ-ας	ἔριδας
	წოდ.	λαμπάδ-ες	ἔρωτ-ες	ἐσθῆτ-ες	ἐλπίδ-ες	ἔριδ-ες
ორობითი	სახ. აკუზ.	λαμπάδ-ε	ἔρωτ-ε	ἐσθῆτ-ε	ἐλπίδ-ε	ἔριδ-ε
	წოდ.					
	ნათ. მიც.	λαμπάδ-οιν	ἐρώτ-οιν	ἐσθῆτ -οιν	ἐλπίδ-οιν	ἐρίδ-ιον

	ფუძე:	ὀρνιθ ფრინველი	κορυθ მუზარადი	νυκτ ღამე	ἀνακτ წინამძ- ღოლი, მეუფე	φωτ ვაჟკაცი
მხოლობითი	სახ.	ἡ ან ὁ ὄρνις	ἡ κόρυς	ἡ νύξ	ὁ ἄναξ	ὁ φώς
	ნათ.	ὄρνιθ-ος	κόρυθ-ος	νυκτ-ός	ἄνακτ-ος	φωτ-ός
	მიც.	ὄρνιθ-ι	κόρυθ-ι	νυκτ-ί	ἄνακτ-ι	φωτ-ί
	აკუზ.	ὄρνιν	κόρυ-ν	νύκτ-α	ἄνακτ-α	φῶτ-α
	წოდ.	ὄρνις	κόρυ-ς	νύξ	ἄναξ	φώς
მრავლობითი	სახ.	ὄρνιθ-ες	κόρυθ-ες	νύκτ-ες	ἄνακτ-ες	φῶτ -ες
	ნათ.	ὀρνίθ-ων	κορύθ-ων	νυκτ-ῶν	ανάκτ-ων	φωτ-ῶν
	მიც.	ὄρνισι(ν)	κόρυσι(ν)	νυξί(ν)	ἄναξι(ν)	φωσί(ν)
	აკუზ.	ὄρνιθ-ας	κόρυθ-ας	νύκτ-ας	ἄνακτ-ας	φῶτ-ας
	წოდ.	ὄρνιθ-ες	κόρυθ-ες	νύκτ-ες	ἄνακτ-ες	φῶτ-ες
ორობითი	სახ. აკუზ.	ὄρνιθ-ε	κόρυθ-ε	νύκτ-ε	ἄνακτ-ε	φῶτ-ε
	წოდ.					
	ნათ. მიც.	ὀρνίθ-οιν	κορύθ-οιν	νυκτ-οῖν	ἀνάκτ-οιν	φωτ-οῖν

ფუძე: Ἀρτεμιδ არტემიდე (ღმერთქალი)
სახ. ἡ Ἄρτεμις
ნათ. Ἀρτέμιδ -ος
მიც. Ἀρτέμιδ -ι
აკუზ. Ἄρτεμι-ν
წოდ. Ἄρτεμι

	ფუძე: παιδ ბავშვი		ფუძე: ποδ ფეხი	
	მხოლ.	მრავლ.	მხოლ.	მრავლ.
სახ.	ἡ ან ὁ παῖς	οἱ αἱ παῖδ-ες	ὁ πούς	πόδ-ες
ნათ.	παιδ-ός	παιδ-ων	ποδ-ός	ποδ-ῶν
მიც.	παιδ-ί	παίσι(ν)	ποδ-ί	ποσί(ν)
აკუზ.	παῖδ-α	παῖδ-ας	ποδ-ά	πόδ-ας
წოდ.	ὦ παῖ	παῖδ-ες	πούς	πόδ-ες

ორობითი

სახ. აკუზ. წოდ.	τὼ παῖδ-ε	πόδ-ε
ნათ. მიც.	τοῖν παίδ-οιν	ποδ-οῖν

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი: 1. სიტყვებში νύξ და ἄναξ χერ ამოვარდნილია ფუძისეული τ, ხოლო შემდეგ ς შეერთებულია κ-სთან (νυκτς → νυκ + ς; ἀνακτς → ἀνακ+ ς).

2. სიტყვას ὁ, ἡ παῖς მიუხედავად იმისა, რომ ერთმარცვლოვანია, მრავლობითი რიცხვის ნათესაობითსა და ორობითი რიცხვის ნათესაობითსა და მიცემითში მკვეთრი მახვილი აქვს ბოლოდან მეორე მარცვალზე.

3. ფუძიდან ποδ სახელობითი ბრუნვა ნაწარმოებია სიგმატურად და ამავე დროს ფუძისეული ხმოვნის დაგრძელებით (ο → ου): ποδ + ς → πούς „ფეხი“.

4. ფუძე ἕλμινθ სახელობით ბრუნავს აწარმოებს ორგვარად: ς-ს წინა ν-ს შენარჩუნებით ἡ ἕλμινς (ნათ. ἕλμινθ-ος) „ნაწლავის ჭია“, ანდა ν-ს ამოგდებით ἕλμις (ἕλμινθ-ος).

5. სიტყვას ἡ κλείς ნათ. κλειδ-ός „გასაღები“ მხ. რიცხვის აკუზატივუსში ორი ფორმა აქვს: κλεῖν და κλεῖδα, ასევე მრავლობითი რიცხვის აკუზატივუსში: κλεῖς და κλεῖδας.

6. ერთმარცვლოვან სიტყვას ἡ δᾰ́ς (ნათ. δᾰδ-ός) „ჩირაღდანი“ მრავლ. და ორობით რიცხვში მახვილი აქვს ბოლოდან მეორე მარცვალზე, როგორც სიტყვას παῖς (δᾰ́δ-ων და δᾰ́δ-οιν).

7. ფუძიდან δαμαρτ სახელობითი ბრუნვა იწარმოება ასიგმატურად ἡ δάμαρ (ნათ. δάμαρτ-ος) „მეუღლე“, „ცოლი“.

საშუალო სქესის სახელები

		ფუძე: σωματ სხეული	στρατευματ ჯარი	γαλακτ რძე	μελιτ თაფლი
მხოლობითი	სახ.	τὸ σῶμα	στράτευμα	γάλα	μέλι
	ნათ.	τοῦ σώματ-ος	στρατεύματ-ος	γάλακτ-ος	μέλιτ-ος
	მიც.	τῷ σώματ-ι	στρατεύματ-ι	γάλακτ-ι	μέλιτ-ι
	აკუზ.	τὸ σῶμα	στράτευμα	γάλα	μέλι
	წოდ.	ὦ σῶμα	στράτευμα	γάλα	μέλι
მრავლობითი	სახ.	τὰ σώματ-α	στρατεύματ-α	—	—
	ნათ.	τῶν σωμάτ-ων	στρατευμάτ-ων		
	მიც.	τοῖς σώμασι(ν)	στρατεύμασι(ν)		
	კუზ.	τὰ σώματ-α	στρατεύματ-α		
	წოდ.	ὦ σώματ-α	στρατεύματ-α		
ორობითი	სახ. აკუზ.	τώ σώματ-ε	στρατεύματ-ε	—	—
	წოდ.				
	ნათ. მიც.	τοῖν σωμάτ-οιν	στρατευμάτ-οιν		

თავისებური სახელები

	ფუძე: φωτ შუქი, სინათლე		ფუძე: ὠτ ყური	
	მხოლ. მრავლ.		მხოლ. მრავ.	
სახ.	τὸ φῶς	τὰ φῶτ-α	τὸ οὖς	τὰ ὦτ -α
ნათ.	τοῦ φωτ-ός	τῶν φώτ-ων	τοῦ ὠτ-ός	τῶν ὤτ-ων
მიც.	τῷ φωτ-ί	τοῖς φωσί(ν)	τῷ ὠτ-ί	τοῖς ὠσί(ν)
აკუზ.	τὸ φῶς	τὰ φῶτ-α	τὸ οὖς	τὰ ὦτ-α
წოდ.	ὦ φῶς	ὦ φῶτ-α	ὦ οὖς	ὦ ὦτ-α

ორობითი

სახ. აკუზ. წოდ.	φῶτ-ε	ὦτ-ε
ნათ. მიც.	φώτ-οιν	ὤτ-οιν

	ფუძე: γονατ მუხლი	
	მხოლ.	მრავლ.
სახ.	τὸ γόνυ	τὰ γόνατ-α
ნათ.	τοῦ γόνατ-ος	τῶν γονάτ-ων
მიც.	τῷ γόνατ-ι	τοῖς γόνασι(ν)
აკუზ.	τὸ γόνυ	τὰ γόνατ-α
წოდ.	ὦ γόνυ	ὦ γόνατ-α

ორობითი

სახ. აკუზ. წოდ.	τὼ γόνατ-ε
ნათ. მიც.	τοῖν γονάτ-οιν

	ფუძე: δορατ შუბი, შუბის ტარი	
	მხოლ.	მრავლ.
სახ.	τὸ δόρυ	τὰ δόρατ-α
ნათ.	τοῦ δόρατ-ος	τῶν δοράτ-ων
მიც.	τῷ δόρατ-ι	τοῖς δόρασι(ν)
აკუზ.	τὸ δόρυ	τὰ δόρατ-α
წოდ.	ὦ δόρυ	ὦ δόρατ-α

ორობითი

სახ. აკუზ. წოდ.	δόρατ-ε
ნათ. მიც.	δοράτ-οιν

	ფუძე: ὑδατ წყალი		ფუძე: κερατ რქა, ჯარის ფრთა	
სახ.	τὸ ὕδωρ	τὰ ὕδατ-α	τὸ κέρας	τὰ κέρατ-α, κέρα
ნათ.	τοῦ ὕδατ-ος	τῶν ὑδάτ-ων	τοῦ κέρατ-ος κέρως	τῶν κεράτ-ων, κερῶν
მიც.	τῷ ὕδατ-ι	τοῖς ὕδασι(ν)	τῷ κέρατ-ι, κέρᾳ	τοῖς κέρασι(ν)
აკუზ.	τὸ ὕδωρ	τὰ ὕδατ-α	τὸ κέρας	τὰ κέρατ-α, κέρα
წოდ.	ὦ ὕδωρ	ὦ ὕδατ-α	ὦ κέρας	ὦ κέρατ-α, κέρα
ს.ა.წ.ნ.მ.	τὼ ὕδατ-ε τοῖν ὑδάτ-οιν		κέρατ-ε, κέρα κεράτ-οιν, κερᾷν	

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი: სიტყვაში τὸ φῶς (ნათ. φωτ-ός) „შუქი“ ბოლოკიდური ς τ-ს მონაცვლეა. ამ სიტყვას, მიუხედავად იმისა, რომ ერთმარცვლოვანია, მრავლ. რიცხ. ნათესაობითსა და ორობითის ნათ. მიც. მახვილი აქვს ბოლოდან მეორე მარცვალზე.

2. ასევეა მახვილის მიხედვით ერთმარცვლოვანი სიტყვა τὸ οὖς „ყური“. ς აქაც τ-ს მონაცვლე ჩანს. ფუძე ὠτ მომდინარეობს პირვანდელი *ὀ(F)ατ-ისაგან კონტრაქციით (ჰომეროსთან გვხვდება τὰ οὔατα „ყურები“).

3. სიტყვებს τὸ γόνυ „მუხლი“ და τὸ δόρυ „შუბი“ ორ-ორი ფუძე აქვთ: სახ. აკუზ. და წოდ. – γονυ და δορυ და ნათ. მიც. მხ და მრავ. და ორობ. – γονατ და δορατ.

4. τὸ ὕδωρ „წყალი“ ნათესაობითშია ὕδατ-ος, რაც მომდინარეობს ადრინდელი ფუძიდან ὑδα(ρ)τ. ამ ტიპისაა სიტყვები: τὸ ἧπαρ (ნათ. ἥπατ-ος) „ღვიძლი“, τὸ φρέαρ (ნათ. φρέατ-ος) „ჭა“, τὸ οὖθαρ (ნათ. οὔθατ-ος) „ჯიქანი“, τὸ πεῖραρ (ნათ. πείρατ-ος) „საზღვარი“, τὸ ὄνειαρ (ნათ. ὀνείρατ-ος) „სიზმარი“, τὸ ἦμαρ (ნათ. ἤματ-ος) „დღე“ (= ἡ ἡμέρα), τὸ εἶδαρ (ნათ. εἴδατος) „საჭმელი“, τὸ σκῶρ (ნათ. σκατ-ός) „ნეხვი“, „სკორე“. τὸ ἄλειφαρ ან ἄλειφα (ნათ. ἀλείφατ-ος) „მალამო“ .

5. სიტყვაში τὸ κέρας „რქა“ ς ფუძის ბოლოკიდურია, რომელსაც ენაცვლება τ. პარალელური ფორმები მხ. და ორობითი რიცხვის ნათესაობითსა და მიცემითში და მრავლ. და ორობ. რიცხვის სახ. აკუზ. და წოდებითში მიღებულია τ-ს ამოვარდნით და კონტრაქციით (κέρατος → κέραος → κέρως; κέρατ-οιν → κεράοιν → κερῷν, κέρατι → κέραϊ → κέρᾳ; κέρατα → κέραα → κέρα: κεράτων → κεράων → κερῶν, κέρατε → κέραε → κέρα: შერწყმული ფორმები ატიკური დიალექტისაა, შეურწყმელი – იონიურისაა).

ამ ტიპის სიტყვებია: τὸ τέρας (ნათ. τέρατ-ος), „სასწაული“, „ურჩხული“; τὸ κρέας „ხორცი“ (ნათ. κρέατ-ος → κρέαος → κρέως; მიც. κρέατι → κρέαϊ → κρέᾳ; მრ.რიცხვ. სახ. τὰ κρέατα → κρέαα → κρέα; ნათ. κρεάτων → κρεάων → κρεῶν; მიც. κρέασι(ν)); τὸ δέρας (ნათ. δέρατ-ος) „ტყავი“, „საწმისი“.

სავარჯიშო მაგალითები:

ὁ φυγάς (φυγάδ-ος) ლტოლვილი
ὁ γέλως (γέλωτ-ος) სიცილი
ἡ λαμπρότης (λαμπρότητ-ος) ბრწყინვალება
ἡ κακότης (κακότητ-ος) სიავე
ἡ Ἑλλάς (Ἑλλάδ-ος) ელადა, საბერძნეთი
ἡ τυραννίς (τυραννίδ-ος) ტირანია
ἡ κνημίς (κνημίδ-ος) საბარკული
ἡ ἀσπίς (ἀσπίδ-ος) ფარი
τὸ πρᾶγμα (πράγματ-ος) საქმე

ბ) ფუძეები ντ ბოლოკიდურით

1. ფუძე ντ ბოლოკიდურით შეიძლება ჰქონდეს არსებით სახელს, ზედსართავ სახელსა და მიმღეობას. ντ ფუძიანი არსებითი სახელები ყველა მამრობითი სქესისაა.

2. ντ კომპლექსის წინ შეიძლება იყოს ხმოვნები: ο (ω, ου), α, ε, υ, ე.ი. ფუძის ბოლოკიდურებია: οντ (ωντ, ουντ), αντ, εντ, υντ. οντ (ωντ) და αντ ბოლოკიდურები დამახასიათებელია არსებითი სახელებისათვის, რამდენიმე ზედსართავი სახელისათვის და მიმღეობებისათვის, εντ ბოლოკიდური კი – ზედასართავი სახელებისა და მიმღეობებისათვის, υντ – მიმღეობებისათვის.

3. οντ ფუძიანი სახელები სახელობით ბრუნვას აწარმოებს ς-ს დაურთველად (ასიგმატურად) და ფუძისეული მოკლე ხმოვნის დაგრძელებით (ο → ω) და τ ბოლოკიდურის მოკვეცით. მაგალითად: ფუძეა γεροντ, ამის სახელობითი ბრუნვა იქნება ὁ γέρων, ნათესაობითი – τοῦ γέροντος (მოხუცი).

4. თუ ფუძეში ντ კომპლექსს წინ უძღვის გრძელი ხმოვანი ω, მაშინ სახელობით ბრუნვაში მხოლოდ τ მოიკვეცება: Ξενοφωντ ფუძიდან სახელობითია Ξενοφῶν (ნათ. Ξενοφῶντ-ος) – ქსენოფონტი.

5. მრავლ. რიცხვის მიცემით ბრუნვაში σι ბოლოკიდურის წინ ντ ამოვარდება, ხოლო წინამდებარე ο დაგრძელდება (ο → ου): τοῖς γέροντ-σιν → γέρουσιν.

6. οντ ფუძიანი სახელები სახელობით ბრუნვას სიგმით აწარმოებს „კბილის“ აღმნიშვნელი სიტყვა; ფუძეა ὀδοντ, სახელობითში დაირთავს ς-ს, ხოლო ο დაგრძელდება და მოგვცემს ου დიფთონგს: ὁ ὀδούς (← ὀδοντ-ς), ნათ. ὀδόντ-ος.

7. αντ ფუძიანი სახელები სახელობით ბრუნვას აწარმოებენ ς-ს დართვით (სიგმატურად). ς-ს, წინ ωτ კომპლექსი ამოვარდება და წინამდებარე მოკლე α დარძელდება. მაგალითად: ფუძეა: γιγαντ, სახელობითი ბრუნვა იქნება ὁ γίγας, ნათესაობითი – γίγαντ-ος „გოლიათი“. ასევე ამოვარდება ντ მრავლ. რიცხვის მიცემით ბრუნვაში -σι ნიშნის წინ და α მოკლე → α გრძელს.

8. ντ ფუძიანი სახელები, რომელთაც მახვილი ბოლოდან პირველ მარცვალზე არ მოუდით (ე.წ. barytona სიტყვები), წოდებით ბრუნვაში წარმოდგენენ სუფთა ფუძეს τ-ს მოკვეცით.

9. თუ სახელს მახვილი ბოლოდან პირველ მარცვალზე აქვს, მაშინ მისი წოდებითი ბრუნვა ისეთივეა, როგორიცაა სახელობითი. ντ ფუძიანი ყველა მიმღეობის წოდებითი ბრუნვა ასევე სახელობითის ბადალია.

შენიშვნა: გამონაკლისით ყველა barytona სახელი წოდებით ბრუნვაში τ-სთან ერთად მოიკვეცს ν-საც. ὁ Ἄτλας, ნათ. Ἄτλαντ-ος (ტიტანი ატლანტი, იაპეტის ძე), წოდ. ὦ Ἄτλα.

10. მხ. რიცხვის სახელობითი ბრუნვის ბოლოკიდურები ντ ფუძიანი არსებითი სახელებისათვის არის: ων, ας, (ους).

		ფუძე: λεοντ ლომი	γιγαντ გოგანტი	ἀνδριαντ ქანდაკება	ὀδοντ კბილი	Ξενοφωντ ქსენოფონტი
სახ.	ὁ	λέων	γίγας	ἀνδριάς	ὀδούς[1]	Ξενοφῶν[2]
ნათ.	τοῦ	λέοντ-ος	γίγαντ-ος	ἀνδριάντ-ος	ὀδόντ-ος	Ξενοφῶντ-ος
მიც.	τῷ	λέοντ-ι	γίγαντ-ι	ἀνδριάντ-ι	ὀδόντ-ι	Ξενοφῶντ -ι
აკუზ.	τὸν	λέοντ-α	γίγαντ-α	ἀνδριάντ-α	ὀδόντ-α	Ξενοφῶντ -α
წოდ.	ὦ	λέον	γίγαν	ἀνδριάς	ὀδους	Ξενοφῶν
სახ.	οἱ	λέοντ-ες	γίγαντ-ες	ἀνδριάντ-ες	ὀδόντ-ες	
ნათ.	τῶν	λεόντ-ων	γιγάντ-ων	ἀνδριάντ-ων	ὀδόντ-ων	
მიც.	τοῖς	λέουσι(ν)	γίγασι(ν)	ἀνδριᾶσι(ν)	ὀδοῦσι(ν)	
აკუზ.	τοὺς	λέοντ-ας	γιγάντ-ας	ἀνδριάντ-ας	ὀδόντ-ας	
წოდ.	ὦ	λέοντ-ες	γιγάντ-ες	ἀνδριάντ-ες	ὀδόντ-ες	
სახ. აკ.წ.	τὼ	λέοντ-ε	γίγαντ-ε	ἀνδριάντ-ε	ὀδόντ-ε	
ნათ. მიც.	τοῖν	λεόντ-οιν	γιγάντ-οιν	ἀνδριάντ-οιν	ὀδόντ-οιν	

ντ ფუძიანი ზედსართავი სახელებისა და სახელზმნების – მიმღეობების ბრუნების შესახებ საუბარი გვექნება ქვემოთ.

სავარჯიშო მაგალითები:

ὁ δράκων (δράκοντ-ος) დრაკონი

ὁ ἐλέφας (ἐλέφαντ-ος) სპილო

ὁ θεράπων (θεράποντ-ος) მსახური

ὁ ἱμας (ἱμᾶντ-ος) ღვედი

Αἴας (Αἴαντ-ος) ეანტი

გეოგრაფიული სახელები სიგმიანი სახელობითით:

Ὀπους (Ὀποῦντ-ος) ოპუნტი (ლოკრიდიის ქალაქი)

Φλιοῦς (Φλιοῦντ-ος) ფლიუნტი (პელოპონესის ქალაქი)

Τραπεζοῦς (Τραπεζοῦντ-ος) ტრაპეზუნტი (ქალაქი შავი ზღვის სამხ. აღმოს. სანაპიროზე).

---

1 ჰეროდოტესთან გვხვდება ნორმალური ფუძე სახელობითისა: ὁ ὀδών (ὀδωντ-ος).

2 Ξενοφῶν მომდინარეობს ფორმიდან Ξενοφαων (ά + ω → ῶ).

ფუძეები λ, ρ და ν (ლიკვიდურ-ნაზალური თანხმოვნები)

ა) λ ფ უ ძ ე

λ ფუძიანია მხოლოდ ერთი სიტყვა მამრობითი სქესისა, რომელიც სახელობით ბრუნვას აწარმოებს სიგმით და არის ერთმარცვლოვანი. ფუძეა ἁλ, სახელობითია ὁ ἅλς.

	მხოლობითი	მრავლობითი
სახ.	ὁ ἅλ-ς	οἱ ἅλ-ες
ნათ.	τοῦ ἁλ-ός	τῶν ἁλ-ῶν
მიც.	τῷ ἁλ-ί	τοῖς ἁλ-σί(ν)
აკუზ.	τὸν ἅλ-α	τοὺς ἅλ-ας
წოდ.	ὦ ἅλ-ς	ὦ ἅλ-ες
	ორობითი	
	სახ. აკუზ. წოდ. τὼ ἅλ-ε	
	ნათ. მიც. τοῖν ἁλ-οῖν	

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სიტყვა ἅλς პოეტურ ენაში (მაგალითად, ჰომეროსთან) მდედრობითი სქესის არტიკილითაც გვხვდება (ἡ ἅλς) და ნიშნავს „ზღვას“.

ბ) ρ ფ უ ძ ე

1. ρ ფუძიანი არსებითი სახელები უმეტესად მ ა მ რ ო ბ ი თ ი ს ქ ე ს ი ს ა ა. მცირე ნაწილი არის მდედრობითი და საშუალო სქესისაც.

2. მამრობითი და მდედრობითი სქესის მხ. რიცხვის სახელობითი ბრუნვა იწარმოება უსიგმოდ ρ-ს წინამდებარე ფუძისეული მოკლე ხმოვნის დაგრძელებით. თუ ეს ხმოვანია ε, იგი მოგვცემს η-ს, ხოლო ο კი – ω-ს. ფუძეა αἐρ, სახელობითია ὁ ἀήρ (ჰაერი); ფუძეა Νεστορ, სახელობითია Νέστωρ (ნესტორი). თუ ρ-ს წინამდებარე ფუძისეული ხმოვანი გრძელია, მაშინ სახელობითი ბრუნვა სუფთა ფუძეს წარმოგვიდგენს: ფუძეა θηρ, სახელობითია ὁ θήρ (ნადირი).

3. მხ. რიცხვის წოდებითი ბრუნვა უდრის ფუძეს, თუ სიტყვა ბარიტონია (ანუ მახვილი არა აქვს ბოლოდან პირველ მარცვალზე). თუ სიტყვა ოქსიტონია, მაშინ წოდებითი ბრუნვა ისეთივე იქნება, როგორც სახელობითი. ამ წესს ახლავს გამონაკლისებიც.

4. საშუალო სქესის სახელთა მხ. რიცხვის სახელობითი ბრუნვა (ასევე აკუზატივუსი და წოდებითი)შეუცვლელი ფუძის ბადალია.

5. ρ ფუძიან სახელთა მხ. რიცხვის სახელობითი ბრუნვის ბოლოკიდურებია: ηρ, ωρ, αρ.

		ფუძე aiθερ ეთერი (ჰაერი)	ფუძე ῥήτορ ორატორი (რიტორი)	ფუძე κρατῆρ თასი	ფუძე φωρ ქურდი	ფუძე νεκταρ წმინდა სასმელი (ნექტარი)
მხოლობითი	სახ.	ὁ αἰθήρ	ὁ ῥήτωρ	ὁ κρατῆρ	ὁ φώρ	τὸ ἔαρ (ქმ.)
	ნათ.	τοῦ αἰθέρ-ος	ῥήτορ-ος	κρατῆρ -ος	φωρ-ός	τοῦ ἔαρ-ος (ქმნ.)
	მიც.	τῷ αἰθέρ-ι	ῥήτορ-ι	κρατῆρ - ι	φωρ-ί	τῷ ἔαρ-ι (ქმც.)
	ბრუნ.	τὸν αἰθέρ-α	ῥήτορ-α	κρατῆρ -α	φῶρ-α	τὸ ἔαρ (ქმ.)
	წოდ.	ὦ αἰθήρ	ῥῆτορ	κρατῆρ	φώρ	ὦ ἔαρ (ქმ.)
მრავლობითი	სახ.	οἱ αἰθέρ-ες	οἱ ῥήτορ-ες	οἱ κρατῆρ -ες	οἱ φῶρ-ες	τὰ νέκταρ-α
	ნათ.	τῶν αἰθέρ-ων	ῥητόρ-ων	κρατήρ-ων	φωρ-ῶν	τῶν νεκτάρ-ων
	მიც.	τοῖς αἰθέρσι(ν)	ῥήτορσι(ν)	κρατῆρσι(ν)	φωρσί(ν)	τοῖς νέκταρσι(ν)
	ბრუნ.	τοὺς αἰθέρ-ας	ῥήτορ-ας	κρατῆρ -ας	φῶρ-ας	τὰ νέκταρ-α
	წოდ.	ὦ αἰθέρ-ες	ῥήτωρ-ες	κρατῆρ -ες	φῶρ-ες	ὦ νέκταρ-α
ორთოგრაფია	სახ.ბრუნ. წოდ.	τὸ αἰθέρ-ε	ῥήτορ-ε	κρατῆρ –ε	φῶρ-ε	νέκταρ-ε
	ნათ. მიც.	τοῖν αἰθέρ-οιν	ῥητόρ-οιν	κρατήρ -οιν	φωρ-οῖν	νεκτάρ-οιν

სავარჯიშო მაგალითები:

ὁ οἰκήτωρ (οἰκήτορ-ος) მოსახლე	ὁ σωτήρ (σωτῆρ-ος) მხსნელი
ὁ δοτήρ (δοτῆρ-ος) მწყალობელი	τὸ ἦτορ (ἦτορ-ος) გული, სული, სულდგმა
ὁ ὁδηγητήρ (ὁδηγητῆρ-ος) მეგზური	ὁ ζωστήρ (ζωστῆρ-ος) სარტყელი
ὁ πάνθηρ (πάνθηρ-ος) პანთერა	ὁ θήρ (θηρ-ός) ნადირი, მხეცი

თავისებური სახელები:

1. ფუძიდან μαρτυρ- სახელობითი ბრუნვა იწარმოება ფუძის ბოლო-კიდური ρ-ს ამოგდებით: ὁ μάρτυς „მოწმე“, „მოწამე“, „მარტვილი“. ρ ამო-ვარდება მრ. რიცხვის მიცემითი ბრუნვის თ. ბოლოკიდურის წინაც. წოდებითი = სახელობითს:

	მხოლობითი	მრავლობითი
სახ.	ὁ μάρτυς	οἱ μάρτυρ-ες
ნათ.	τοῦ μάρτυρ-ος	τῶν μαρτύρ-ων
მიც.	τῷ μάρτυρ-ι	τοῖς μάρτυσι(ν)
ბრუნ.	τὸν μάρτυρ-α (μάρτυν)	τοὺς μάρτυρ-ας
წოდ.	ὦ μάρτυς	ὦ μάρτυρ-ες

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ჰომეროსთან ეს სიტყვა იხმარება ფორმით ὁ μάρτυρος (იბრუნვის მეორე კანკლედობით).

2. სიტყვა ὁ ἀστήρ, რომლის ფუძეა ἀστερ (ნათ. ἀστέρ-ος) – „ვარსკვლავი“ იბრუნვის წესის მიხედვით, მაგრამ მრავლ. რიცხვის მიც, ბრუნვაში არის არა ἀστέρσι(ν), არამედ τοῖς ἀστράσι(ν).

3. სიტყვას ὁ σωτήρ (σωτῆρ-ος)“მხსნელი“ ის თავისებურება ახასიათებს, რომ მხ. რიცხვის წოდებით ბრუნვაში ფუძისეულ ხმოვანს დაიმოკლებს და მახვილს ბოლოდან მეორე მარცვალზე მიიღებს (ὦ σῶτερ).

4. საშუალო სქესის არს. სახელი τὸ πῦρ “ცეცხლი“ მხ. რიცხვის სახელობით ბრუნვაში (და ასევე აკუზატივუსსა და წოდებითში) გრძელი ხმოვნითაა წარმოდგენილი მაშინ, როცა ფუძეში ეს ხმოვანი მოკლეა (ნათ. πυρ-ός) მეორე თავისებურება ისაა, რომ მრავლობით რიცხვს მეორე კანკლედობით აწარმოებს.

	მხოლობითი	მრავლობითი
სახ.	τὸ πῦρ	τὰ πυρά
ნათ.	τοῦ πυρ-ός	τῶν πυρ-ῶν
მიც.	τῷ πυρ-ί	τοῖς πυρ-οῖς
აკუზ.	τὸ πῦρ	τὰ πυρά
წოდ.	ὦ πῦρ	ὦ πυρά

5. სიტყვაში ὁ ἀνήρ „მამაკაცი“, რომლის ფუძეა ἀνερ, მხოლობითი რიცხვის წოდებითი ბრუნვის გარდა ყველა ფორმაში ამოვარდება ε და ν-სა და ρ-ს შორის ჩაისმის თანხმოვანი δ (ἀνδρ-ός < *ἀνρ-ός). მრავლობითი რიცხვის მიცემით ბრუნვაში ἀνδρ ფუძეს ბოლოკიდური σι დაერთვის მახვილიანი α ხმოვნით. მახვილის თვალსაზრისით ეს სიტყვა მისდევს მესამე კანკლედობის ერთმარცვლიან სახელებს. წოდებითი ბრუნვა წარმოდგენილია შეუკუმშველი ფორმით და მახვილით ბოლოდან მეორე მარცვალზე.

	მხოლობითი	მრავლობითი
სახ.	ὁ ἀνήρ	οἱ ἄνδρ-ες
ნათ.	τοῦ ἀνδρ-ός	τῶν ἀνδρ-ῶν
მიც.	τῷ ἀνδρ-ί	τοῖς ἀνδρ-άσι(ν)
აკუზ.	τὸν ἄνδρ-α	τοὺς ἄνδρ-ας
წოდ.	ὦ ἀνέρ	ὦ ἄνδρ-ες
ორობითი		
სახ. წოდ. აკუზ. τὼ ἄνδρ-ε		
ნათ. მიც. τοῖν ἀνδρ-οῖν		

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ეპიკურ დიალექტში (ჰომეროსთან) ἀνήρ სიტყვის შეუკუმშავი ფორმებიც იხმარება და შეკუმშულიც (ἀνέρ-ος და ἀνδρ-ός).

6. სიტყვას ἡ χείρ „ხელი“ გამარტივებული χερ ფუძე აქვს მრავლობითი რიცხვის მიცემითსა და ორობითის ნათესაობითსა და მიცემით ბრუნვებში.

	მხოლობითი	მრავლობითი
სახ.	ἡ χείρ	αἱ χεῖρ-ες
ნათ.	τῆς χειρ-ός	τῶν χειρ-ῶν
მიც.	τῇ χειρ-ί	ταῖς χερ-σί(ν)
აკუზ.	τὴν χεῖρ-α	τὰς χεῖρ-ας
ორობითი		
სახ. წოდ. აკუზ. τὼ χεῖρ-ε		
ნათ. მიც. τοῖν χερ-οῖν		

7. სიტყვებს ὁ πατήρ (მამა), ἡ μήτηρ (დედა), ἡ θυγάτηρ (ქალიშვილი), ἡ γαστήρ (კუჭი, სტომაქი) სახელობითი ბრუნვა ნაწარმოები აქვთ ნორმალურად – უსიგმოდ, ფუძისეული ε ხმოვნის დაგრძელებით. ამ სიტყვების ფუძეებია: πατερ, μητερ, θυγατερ, γαστερ.

ბრუნების დროს შემდეგ თავისებურებებს იჩენენ: ა) მხოლ. რიცხვის ნათესაობითსა და მიცემით ბრუნვებში ჰკარგავენ ფუძისეულ ε-ს (შეიკუმშებიან); ასევე ჰკარგავენ ε-ს მრავლ. რიცხვის მიცემითში და σι ბოლოკიდურის წინ ჩაირთავენ α-ს მკვეთრი მახვილით.

შეუკუმშველ ფორმებში მახვილი ε-ზეა, შეკუმშულ ფორმებში კი ბრუნვის ნიშანზე.

მხ. რიცხვის წოდებითი ბრუნვა = შეუკუმშველ ფუძეს მახვილით სიტყვის დასაწყის მარცვალზე:

მხოლობითი	სახ.	ὁ πατήρ	ἡ μήτηρ	ἡ θυγάτηρ	ἡ γαστήρ
	ნათ.	τοῦ πατρ-ός	τῆς μητρ-ός	τῆς θυγατρ-ός	τῆς γαστρ-ός
	მიც.	τῷ πατρ-ί	τῇ μητρ-ί	τῇ θυγατρ-ί	τῇ γαστρ-ί
	აკუზ.	τὸν πατέρ-α	τὴν μητέρ-α	τὴν θυγατέρ-α	τὴν γαστέρ-α
	წოდ.	ὦ πάτερ	ὦ μῆτηρ	ὦ θύγατερ	ὦ
მრავლობითი	სახ	οἱ πατέρ-ες	αἱ μητέρ-ες	αἱ θυγατέρ-ες	αἱ γαστέρ-ες
	ნათ.	τῶν πατέρ-ων	τῶν μητέρ-ων	τῶν θυγατέρ-ων	τῶν γαστέρ-ων
	მიც.	τοῖς πατρ-άσι(ν)	ταῖς μητρ-άσι(ν)	ταῖς θυγατρ-άσι(ν)	ταῖς γαστρ-άσι(ν)
	აკუზ.	τοὺς πατέρ -ας	τὰς μητέρ-ας	τὰς θυγατέρ-ας	τὰς γαστέρ-ας
	წოდ.	ὦ πατέρ-ες	ὦ μητέρ-ες	ὦ θυγατέρ-ες	ὦ

ორობითი

სახ. აკუზ. წოდ.	τὼ πατέρ-ε	τὼ μητέρ-ε	τὼ θυγατέρ-ε
ნათ. მიც.	τοῖν πατέρ-οιν	τοῖν μητέρ-οιν	τοῖν θυγατέρ-οιν

8. სიტყვაში Δημήτηρ (დემეტრე-ქალღმერთი), რომლის ფუძეა Δημητερ, ფუძე იკუმშება ყველა ბრუნვაში. წოდებითი = ფუძეს. მახვილი ბოლოდან მოშორებულ მარცვლებზეა:

სახ. Δημήτηρ
ნათ. Δήμητρ-ος
მიც. Δήμητρ-ι
აკუზ. Δήμητρ-α
წოდ. Δήμητερ

გ) ν ფუძე

1. ν ფუძიანი არსებითი სახელები უპირატესად მამრობითი სქესისაა; მცირე ნაწილი – მდედრობითი სქესისა.

2. სახელობითი ბრუნვა იწარმოება უსიგმოდ ν-ს წინამდებარე ფუძისეული მოკლე ხმოვნის დაგრძელებით. თუ ეს ხმოვანია ε, იგი მოგვცემს η-ს, ο კი ω-ს. ფუძეა ποιμεν, სახელობითია ὁ ποιμήν (მწყემსი). თუ ν-ს წინამდებარე ფუძისეული ხმოვნი გრძელია, სახელობითი ბრუნვა სუფთა ფუძეს წარმოადგენს: ფუძეა Ἑλλην, სახელობითია ὁ Ἕλλην (ბერძენი, ელინი).

3. მხ. რიცხვის სახელობითი ბრუნვის ბოლოკიდურებია: ην, ων, αν.

4. მრავლ. რიცხვის მიცემით ბრუნვაში ფუძისეული ბოლოკიდური ν ამოვარდება σι ნიშნის წინ.

5. მხ. რიცხვის წოდებითი ბრუნვა barytona სიტყვებში ფუძის ბადალია, oxytona სიტყვებში კი = სახელობითს.

		ფუძე				
		ποιμεν მწყემსი	δαιμον დემონი, ღვთაება	ἀγον შეჯიბრება	μην თვე	παιαν პეანი (სა-გუნდო ჰიმნი)
მხოლობითი	სახ.	ὁ ποιμήν	ὁ ἡ δαίμων	ὁ ἀγών	ὁ μήν	ὁ παιάν
	ნათ.	ποιμέν-ος	δαίμον-ος	ἀγῶν-ος	μην-ός	παιᾶν-ος
	მიც.	ποιμέν-ι	δαίμον-ι	ἀγῶν-ι	μην-ί	παιᾶν-ι
	აკუზ.	ποιμέν -α	δαίμον-α	ἀγῶν-α	μῆν-α	παιᾶν-α
	წოდ.	ποιμήν	δαῖμον	ἀγών	μήν	παιάν
მრავლობითი	სახ.	οἱ ποιμέν-ες	οἱ αἱ δαίμον-ες	οἱ ἀγῶν-ες	οἱ μῆν-ες	οἱ παιᾶν-ες
	ნათ.	ποιμέν-ων	δαιμόν-ων	ἀγών-ων	μην-ῶν	παιάν-ων
	მიც.	ποιμέσι(ν)	δαίμοσι(ν)	ἀγῶσι(ν)	μησί(ν)	παιᾶσι(ν)
	აკუზ.	ποιμέν-ας	δαίμον-ας	ἀγῶν-ας	μῆν-ας	παιᾶν-ας
	წოდ.	ποιμέν-ες	δαίμον-ες	ἀγῶν-ες	μῆν-ες	παιᾶν-ες
ორობ.	ს. აკ.წ.	τὼ ποιμέν-ε	δαίμον-ε	ἀγῶν-ε	μῆν-ε	παιᾶν-ε
	ნათ. მ.	τοῖν ποιμέν-οιν	δαιμόν -οιν	ἀγών-οιν	μην-οῖν	παιάν-οιν

სავარჯიშო მაგალითები:

ὁ γείτων (γείτον-ος) მეზობელი
ὁ ἡγεμών (ἡγεμόν-ος) წინამძღოლი, ჰეგემონი
ὁ χειμών (χειμῶν-ος) ზამთარი, ქარიშხალი
ὁ λειμών (λειμῶν-ος) მდელო,
ὁ λιμήν (λιμέν-ος) ნავსადგური
ὁ αὐχην (αὐχέν-ος)ქედი
ὁ Μακεδών (Μακεδόν-ος) მაკედონელი
ὁ, ἡ ἀηδών (ἀηδόν-ος) იადონი, ბულბული
ἡ χιών (χιόν-ος) თოვლი
ὁ αἰών (αἰῶν-ος) საუკუნე

თავისებური სახელები:

ν ფუძიანი ზოგიერთი არსებითი სახელი სახელობით ბრუნვას აწარმოებს ς დართვით და ფუძისეული ν-ს დაკარგვით ς-ს წინ. ეს სახელებია:

ἡ ῥίς (ῥιν-ός) ცხვირი, ὁ δελφίς (δελφῖν-ος) დელფინი, Σαλαμίς (Σαλαμῖν-ος) სალამინი, ἡ ἀκτίς (ἀκτῖν-ος) სხივი.

სახელებში Ποσειδῶν (Ποσειδῶν-ος) პოსეიდონი და Ἀπόλλων (Ἀπόλλων-ος) აპოლონი აკუზატივუსი ორგვარი ფორმისაა: Ποσειδῶν-α, Ἀπόλλωνα და Ποσειδῶ, Ἀπόλλων. მეორე ფორმა მიღებულია ν-ს ამოვარდნით და ωα ხმოვნების კონტრაქციით.

წოდებით ბრუნვაში ამ სახელებს ფუძისეული ხმოვანი უმოკლდებათ (ω → ο) და მახვილი თავმარცვალზე მოუდით: ὦ Πόσειδον, ὦ Ἄπολλον.

3. სახელებს Ἀγαμέμνων (Ἀγαμέμνον-ος) აგამემნონი, Ἀμφίων (Ἀμφίον-ος) ამფიონი წოდებით ბრუნვაში მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე აქვთ: ὦ Ἀγάμεμνον, ὦ Ἄμφιον.

4. ფუძიდან κυν სახელობით ბრუნვაში გვაქვს ὁ, ἡ κύων (ძაღლი). ეს სიტყვა შემდეგნაირად იბრუნვის

	მხოლობითი	მრავლობითი
სახ.	ὁ ან ἡ κύων	κύν-ες
ნათ.	κυν-ός	κυν-ῶν
მიც.	κυν-ί	κυσί(ν)
აკუზ.	κύν-α	κύν-ας
წოდ.	κύον	κύν-ες

5. ფუძიდან ἀρν სახელობითი ბრუნვაა ὁ, ἡ ἀρήν (კრავი, ბატკანი), ნათ. ἀρν-ός, მიც. ἀρν-ί, აკუზ. ἄρνα-α; მრავლ. მრიცხვ. : ἄρνες, ἀρνῶν, ἀρνάσι(ν), ἄρνας.

6. სიტყვას ἡ Πνύξ (პნიქსი – სახალხო კრების ადგილი ათენში) ირიბ ბრუნვებში აქვს ფუძე πυκν:

სახ. ἡ Πνύξ
ნათ. τῆς Πυκν-ός
მიც. τῇ Πυκν-ί
აკუზ. τὴν Πύκν-α
წოდ. ὦ Πνύξ

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: Πνύξ ფორმა მიღებულია ბგერათა გადასმით.

σ ფუძიანი სახელები

ა) εσ ფუძიანი არსებითი სახელები

1. არსებითი სახელები, რომელთაც ფუძის ბოლოკიდურად აქვთ εσ, საშუალო სქესისაა.

2. სახელობითი ბრუნვა (აგრეთვე აკუზატივუსი და წოდებითი) მხ. რიცხვისა წარმოდგენილია სუფთა ფუძით, ოღონდ ესაა, რომ ფუძის დაბოლოება ες შეცვლილია ος ბოლოკიდურით (ε და ο-ს მონაცვლეობის საფუძველზე); ფუძეა ἄνθες, სახელობითია τὸ ἄνθος (ყვავილი).

3. ბრუნვის დროს ფუძისეული σ ორ ხმოვანს შუა ამოვარდება და ხდება ε-ს შერწყმა ბრუნვათა ბოლოკიდურების ხმოვნებთან: ε + ο = ου, ε + ι= ει, ε + α = η, ε + ω = ω, ε + ε = ει, ε + οι = οι

4. მრ.რიცხვის მიც. ბრუნვაში σι ბოლოკიდურის წინ ფუძისეული σ ამოვარდება: εσ + σι = εσι.

	ფუძე: γενεσ გვარი, მოდგმა	
	მხოლობითი	მრავლობითი
სახ.	τὸ γένος	τὰ γένε[σ]α - γένη
ნათ.	τοῦ γένε[σ]ος - γένους	τῶν γένε[σ]ων - γενῶν
მიც.	τῷ γένε[σ]ι - γένει	τοῖς γένε[σ]σι - γένεσι(ν)
აკუზ.	τὸ γένος	τὰ γένε[σ]α - γένη
წოდ.	τὸ γένος	τὰ γένε[σ]α - γένη

ორობითი	
სახ. აკუზ. წოდ.	τὼ γένε[σ]ε – γένει
ნათ. მიც.	τοῖν γενέ[σ]οιν – γενοῖν

		ფუძე: τειχεσ კედელი	ფუძე: πελαγεσ ზღვა
მხოლობითი	სახ.	τὸ τεῖχος	τὸ πέλαγος
	ნათ.	τοῦ τείχους	τοῦ πελάγους
	მიც.	τῷ τείχει	τῷ πελάγει
	აკუზ.	τὸ τεῖχος	τὸ πέλαγος
	წოდ.	τὸ τεῖχος	τὸ πέλαγος
მრავლობითი	სახ.	τὰ τείχη	τὰ πελάγη
	ნათ.	τῶν τειχῶν	τῶν πελαγῶν
	მიც.	τοῖς τείχεσι(ν)	τοῖς πελάγεσι(ν)
	აკუზ.	τὰ τείχη	τὰ πελάγη
	წოდ.	τὰ τείχη	τὰ πελάγη

ორობითი		
სახ. აკუზ. წოდ. ნათ. მიც.	τὼ τείχει τοῖν τειχοῖν	τὼ πελάγει τοῖν πελαγοῖν

სავარჯიშო მაგალითები:

τὸ ἔπος სიტყვა, ამბავი	τὸ ὄρος მთა
τὸ ἔτος წელიწადი, წელი	τὸ μέγεθος სიდიდე
τὸ παθός ტანჯვა, ვნება	τὸ μῆκος სიგრძე
τὸ βέλος ისარი	τὸ πλῆθος სიმრავლე
τὸ ἔθνος ტომი	τὸ ψεῦδος ტყუილი
τὸ κάλλος სილამაზე	τὸ λαῖφος იალქანი
τὸ βαρός სიმძიმე	τὸ εἶδος სახე

შენიშვნები: 1. სიტყვაში τὸ ὄρος (მთა) მრავლ. რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში ხშირია შეურწყმელი ფორმა τῶν ὀρέων.

2. ფუძიდან τιτηρεσ მხ. რიცხვის სახელობითი ბრუნვა იწარმოება σ-ის წინამდებარე ხმოვნის დაგრძელებითა (ε → η): τιτήρης. ეს სიტყვა მდედრობითი სქესის გაარსებითებული ზედსართავი სახელია დააღნიშნავს სამრიგად გამწკრივებულ ხოფებიან ხომალდს (ტრიერი). მხ. რიცხვის წოდებითი = ფუძეს. მრავლ. რიცხვის აკუზატივუსში ε + α = ει-ს მრავლ. რიცხვის სახელობ. ბრუნვის ანალოგიით:

	მხოლობითი	მრავლობითი
სახ.	ἡ τιτήρης	αἱ τιτήρεις
ნათ.	τῆς τιτήρους	τῶν τιτήρων ან τιτηρῶν
მიც.	τῇ τιτήρει	ταῖς τιτήρεσι(ν)
აკუზ.	τὴν τιτήρη	τὰς τιτήρεις
წოდ.	ὦ τιτῆρες	ὦ τιτήρεις

ორობითი	
სახ. აკუზ. წოდ. ნათ. მიც.	τῷ τιτήρει τοῖν τιτήροιν ან τιτηροῖν

ბ) εσ ფუძიანი საკუთარი სახელები

1. εσ ფუძიანია საკუთარი სახელები რთული შედგენილობისაა – ორი ნაწილისგან შედგება. მეორე შემადგენელი ელემენტი უმრავლეს შემთხვევაში საშუალო სქესის არსებით სახელთა ფუძეებია. ეს ფუძეებია: γενεσ (τὸ γένος გვარი), κρατεσ (τὸ κράτος ძალა), σθενεσ (τὸ σθένος ძალა,

ძლიერება), τελεσ (τὸ τέλος დასასრული), μηδεσ (τὸ μῆδος აზრი, ზრახვა), μενεσ (τὸ μένος ძალა, ძლიერება), φανεσ (τὸ *φάνος ბრწყინვალება) და სხვა.

2. ამ სახელთა სახელობითი ბრუნვა წარმოდგენილია ფუძით, რომლის ხმოვანიც დაგრძლებულია (ε → η). ასე რომ, სახელობითი ბრუნვის ბოლოკიდურია ης.

3. ბრუნების დროს ორ ხმოვანს შუა σ ამოვარდება და ხდება ხმოვანთა შერწყმა.

4. აკუზატივუსის ჩვეულებრივი ბოლოკიდურია η (← ε + α), მაგრამ ხშირია დაბოლოება ην პირველი კანკლედობის საკუთარ სახელთა ანალოგიით (შდრ.: Ἀτρείδης – Ἀτρείδην).

5. წოდებითი ბრუნვა უდრის სუფთა ფუძეს εσ-ზე. ამ ბრუნვაში მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე გადადის!

	ფუძე: Διογενεσ	ფუძე: Σωκρατεσ
სახ.	Διογένης	Σωκράτης
ნათ.	Διογένους	Σωκράτους
მიც.	Διογένει	Σωκράτει
აკუზ.	Διογένη, Διογένην	Σωκράτη, Σωκράτην
წოდ.	ὦ Διόγενες	ὦ Σώκρατες

6. საკუთარ სახელებში, რომელთა შემადგენელი ელემენტია -κλεεσ (τὸ κλέος სახელი, დიდება), ბრუნების დროს პირველი ε რჩება, ხოლო მეორე – ინტერვოკალურ (ორხმოვანს შუა მდებარე) სიგმის ამოვარდნის შემდეგ შეერწყმის მომდევნო ხმოვანს. მიცემით ბრუნვაში ორმაგ შერწყმას აქვს ადგილი: εε(σ)ι → εε –ι → εῖ. აკუზატივუსში ε + α=α-ს და არა η-ს!

	ფუძე: Περικλεεσ
სახ.	(Περικλέης) Περικλῆς
ნათ.	(Περικλέεσος) Περικλέους
მიც.	(Περικλέεσι) Περικλεῖ
აკუზ.	(Περικλέεσα) Περικλέα
წოდ.	(Περίκλεες) Περίκλεις

საკუთარ სახელთა მაგალითები:

Ἀριστοφάνης არისტოფანე	Ἰσοκράτης ისოკრატე
Ἀριστοτέλης არისტოტელე	Καλλισθένης კალისთენე
Ἀρχιμήδης არქიმედე	Ἡρακλῆς ჰერაკლე
Εὐμένης ევმენე	Θεμιστοκλῆς თემისტოკლე

Δημοσθένης დემოსთენე Σοφοκλῆς სოფოკლე

Ἱπποκράτης ჰიპოკრატე Ἱεροκλῆς ჰიეროკლე (= „Святослав")

გ) σ ფუძიანი თავისებური სახელები

1. ფუძიდან αἰδοσ სახელობითია ἡ αἰδώς (სირცხვილი). ეს სიტყვა ასე იბრუნვის:

სახ. ἡ αἰδώς

ნათ. τῆς (αἰδόσος) αἰδοῦς

მიც. τῇ (αἰδόσι) αἰδοῖ

აკუზ. τὴν (αἰδόσα) αἰδῶ

წოდ. ὦ αἰδώς

შენიშვნა: მრავლობითი და ორობითი რიცხვები ამ სიტყვებს არა აქვს.

2. აკუზატივუსის ფორმა სიტყვას ἡ ἕως (აისი, განთიადი), რომელიც მეორე ატიკურ ბრუნებას განეკუთვნება, ზემოხსენებული სიტყვის მსგავსი აქვს (τὴν ἕω). ეპიკური ვარიანტი ატიკური ἕως-ისა – ἡ ἠώς (ფუძე: ἠοσ) ისევე იბრუნვის, როგორც ἡ αἰδώς.

3. თავისებურად იბრუნვის ომის ღმერთის სახელი ὁ Ἄρης, რომელიც სახელობით ბრუნვაში ხმოვანდაგრძელებული ფუძითაა წარმოდგენილი:

სახ. ὁ Ἄρης (ფუძეა Ἀρεσ)

ნათ. τοῦ Ἄρεως და Ἄρεος

მიც. τῷ Ἄρει

აკუზ. τὸν Ἄρη

წოდ. ὦ Ἄρες

II. ხმოვანფუძიანი სახელები

მარტივი ხმოვნები

ამ ჯგუფში შემოდის იმ არსებით სახელთა ბრუნება, რომელთა ფუძე ბოლოვდება მარტივ ხმოვნებზე: ι, υ, ο, ω.

ა) ι ფუძიანი არსებითი სახლები

1. ι ფუძიანი არსებითი სახელები უპირატესად მდედრობითი სქესისაა, ნაწილობრივ – მამრობითისა. თითო-ოროლა არსებითი სახელი საშუალო სქესისაც გვხვდება.

2. მდედრობითი და მამრობითი სქესის სახელთა მხ. რიცხვის სახელობითი ბრუნვა სიგმატურია – ფუძეს დაერთვის ς: ფუძეა ὑβρι, სახელობითია ἡ ὕβρις ქედმაღლობა.

3. ις ბოლოკიდურიანი თითქმის ყველა სიტყვა არის barytona.

4. ფუძისეული ι უცვლელია მხოლ. სახელობითსა, აკუზატივუსსა და წოდებით ბრუნვებში, სხვაგან კი მას შეენაცვლება ε, რომელიც ბრუნების დროს შეერწყმის ბრუნვის ნიშნისეულ მომდევნო ხმოვანს: მხ. მიცემითში ε + ι → ει დიფთონგს, მრავ. სახელობითში ε + ει → εις, ორობითის სახ. აკუზ. და წოდ. ε + ει → εις.

5. მხოლ. ნათესაობით ბრუნვაში ბოლოკიდურია εως (ესაა ე.წ. ატიკური ნათესაობითი – genetivus atticus); ასეთი დაბოლოება შედეგია რაოდენობრივი გადასმისა (metathesis quantitatis): ηο → εω. ბოლოკიდური εως მახვილისათვის ერთმარცვლად ითვლება და მახვილი მხ. ნათესაობითში ბოლოდან მესამე მარცვალზეა; ერთ მარცვლად ითვლება εων ბოლოკიდური მრავ. ნათესაობითშიც; აქაც მახვილი ბოლოდან მესამე მარცვლზეა (ὕβρεως, ὕβρεων).

6. ენკლიტიკურ სიტყვებთან εως, εων ორ მარცვლად მიიჩნევა.

7. მხოლ. აკუზატივუსში დაბოლოებაა ν (τὴν ὕβριν).

8. მრავლ. აკუზატივუსში უნდა ყოფილიყო ბოლოკიდური ας (ὕβρε-ας) მაგრამ ანალოგიით გვაქვს იგივე დაბოლოება, რაც სახელობითში (ὕβρεις).

9. მხ. წოდებითი = სუფთა ფუძეს. ერთმარცვლიანი სიტყვების წოდებითი = სახელობითს.

10. საშუალო სქესის არს. სახელთა მხოლ. სახელობითი წარმოდგენილია სუფთა ფუძით. მრავლ. სახელ. ε + α → η-ს.

		ფუძე: πολι ქალაქი	ძალა δυναμι	ὀφι გველი	σιναπι მდოგვი
მხოლობითი	სახ.	ἡ πόλις	δύναμις	ὁ ὄφις	τὸ σίναπι
	ნათ.	τῆς πόλεως	δυνάμεως	τοῦ ὄφεως	τοῦ σινάπεως
	მიც.	τῇ πόλει	δυνάμει	τῷ ὄφει	τῷ σινάπει
	აკუზ.	τὴν πόλιν	δύναμιν	τὸν ὄφιν	τὸ σίναπι
	წოდ.	ὦ πόλι	δύναμι	ὦ ὄφι	ὦ σίναπι
მრავლობითი	სახ.	αἱ πόλεις	δυνάμεις	οἱ ὄφεις	τὰ σινάπη (←σινάπ –α)
	ნათ.	τῶν πόλεων	δυνάμεων	τῶν ὄφεων	τῶν σινάπεων
	მიც.	ταῖς πόλεσι(ν)	δυνάμεσι(ν)	τοῖς ὄφεσι(ν)	τοῖς σινάπεσι(ν)
	აკუზ.	τὰς πόλεις	δυνάμεις	τοὺς ὄφεις	τὰ σινάπη
	წოდ.	ὦ πόλεις	δυνάμεις	ὦ ὄφεις	ὦ σινάπη
ორობ.	სახ. აკ. წოდ.	τὼ πόλει	δυνάμει	ὄφει	σινάπει
	ნათ. მიც.	τοῖν πολέοιν	δυναμέοιν	ὀφέοιν	σιναπέοιν

სავარჯიშო მაგალითები:

ἡ φύσις ბუნება
ἡ βάσις სვლა, ნაბიჯი, საფუძველი
ἡ ὄψις სახე
ἡ πίστις ნდობა, ერთგულება
ἡ ἀκρόπολις აკროპოლისი, ციხე-სიმაგრე
ἡ αἴσθησις გრძნობა, შეგრძნება
ἡ ποίησις პოეზია, შემოქმედება
ἡ πανήγυρις საზეიმო თავყრილობა
ἡ στάσις ამბოხება
τὸ πέπερι პილპილი
ἡ διώξις დევნა
ἡ πρόφασις საბაბი
ἡ φρόνησις ჭკუა, გონება
ἡ ἐξέτασις გამოცდა
ἡ Σάρδεις სარდე (ქალაქის სახელია. აქვს მხოლოდ მრავლობითი რიცხვი – pluralia tantum)
ὁ μάντις წინასწარმეტყველი, მკითხავი
ἡ ἔχις გველგესლა
ἡ πρύτανις გამგებელ, მბრძანებელი, პრიტანი
τὸ κιννάβαρι სინგური
ἡ τάξις წესი, რიგი

შენიშვნა: იონიურ დიალექტში ფუძისეული ι უცვლელია ყველა ბრუნვაში. აი, ნიმუში ასეთი ბრუნებისა:

	მხოლ.	მრავლ.
სახ.	ἡ πόλι-ς[1]	αἱ πόλι-ες
ნათ.	τῆς πόλι-ος	τῶν πολί-ων
მიც.	τῇ πόλι(←πολι-ι)	ταῖς πόλι-σι(ν)
აკუზ.	τὴν πόλι-ν	τὰς πόλις ან πόλι -ας
წოდ.	ὦ πόλ -ι	ὦ πόλι-ες

ორობითი

სახ. აკუზ. წოდ.	τὼ πόλι-ε
ნათ. მიც.	τοῖν πολί-οιν

ატიკურ დიალექტში ამგვარად იბრუნვის ι ფუძიანი ზოგიერთი სახელი: ὁ, ἡ πόρτις (πόρτιος) ხბო, უმობელი, ἡ μῆνις (μῆνιος) რისხვა, ὁ κῖς (κιός) ხორბლის ჭალა და სხვ. არს. სახელი ὁ ან ἡ οἶς (ცხვარი), რომელიც მიღებულია კონტრაქციით ფორმიდან ὄις < *οϜις (შდრ. ლათ. ovis, რუს. „овца“) იბრუნვის ასე:

[1] ჰომეროსის პოემებში ეს სიტყვა სხვადასხვაგვარად იბრუნვის:

სახ.	πόλις (πτόλις)	πόλιες, πόληες
ნათ.	πόλιος, πόληος	πολίων
მიც.	πόλι, πόληῖ, πόλεῖ	πολίεσσι(ν)
აკუზ.	πόλιν	πόλις, πόλιας, πόληας

	მხოლ.	მრავლ.
სახ.	ἡ ὀ ὀῖς	οἱ αἱ οἶες
ნათ.	οἰός	οἰῶν
მიც.	οἰΐ	οἰσί(ν)
აკუზ.	οἶν	οἶς ან οἴας
წოდ.	οἶς	οἶες

ორობითი

სახ. აკუზ. წოდ.	τὼ οἶε
ნათ. მიც.	τοῖν οἰοῖν

ბ) υ ფუძიანი არსებითი სახელები

1. υ ფუძიანი არსებითი სახელები მამრობითი და მდედრობითი სქესისაა. საშუალო სქესის არის სტყვა τὸ ἄστυ, რომელიც სახელობით ბრუნვაში სუფთა ფუძითაა წარმოდგენილი და აღნიშნავს „ქალაქს“.

2. მამრ. და მდედრ. სქესის არსებითი სახელები მხ. რიცხვის სახელობით ბრუნვას აწარმოებენ სიგმათი: ფუძეა ἰχθυ, სახელობითია ὁ ἰχθύς (თევზი).

3. არსებით სახელთა უმეტესობა υ-ს უცვლელად ინარჩუნებს ყველა ბრუნვაში.

4. მხოლ. რიცხვის აკუზატივუსის დაბოლოებაა ν (ἰχθύν).

5. მრავლ. რიცხვის აკუზატივუსში υ + ας = υς (ἰχθύ-ας → ἰχθῦς).

6. არსებითი სახელები: ὁ πῆχυς (იდაყვი), ὁ πέλεκυς (ცული), ὁ πρέσβυς (უხუცესი, წინამძღოლი, ელჩი), τὸ ἄστυ მისდევენ πόλις ტიპის სახელთა ბრუნებას. ამავე წესით იბრუნვის ორობითსა და მრავლობითში არს. სახელი ἡ ἔγχελυς (გველთევზა). ამ სახელებში υ-ს ენაცვლება ε მხ. რიცხვის ნათესაობითსა და მიცემითში (გარდა სიტყვისა ἔγχελυς, რომელიც υ-ს ინარჩუნებს მხოლობით რიცხვში) და ორობითსა და მრავლობითი რიცხვის ყველა ბრუნვაში. υ-ს მონაცვლე ε ბრუნვის ნიშნისეულ ხმოვნებს შეერწყმის ცნობილი წესით (ε + ι და ε + ε = ει).

7.სიტყვა ἄστυ მრავლ. რიცხვის სახელობითში ε + α = η-ს.

8.ნათესაობითი ბრუნვის ბოლოკიდურები εως და εων (genetivus aticus) მახვილის თვალსაზრისითაც აქაც ერთ მარცვლად ითვლება.

9. ერთმარცვლიანი ფუძეები მხოლ. რიცხვის სახელობითსა, აკუზატივუსსა და წოდებით ბრუნვაში ყოველთვის არის perispomena.

10. მხოლ. რიცხვის წოდებითი = სუფთა ფუძეს.

	ფუძე:	ἰχθυ თევზი	πιτυ ფიჭვი	συ (ὑ) ღორი	πηχυ იდაყვი	πελεκυ ცული	ἐγχελυ გველთევზა
მხოლობითი	სახ.	ὁ ἰχθύς	ἡ πίτυ-ς	ὁ ἡ σῦ-ς	ὁ πῆχυ-ς	ὁ πέλεκυ-ς	ἡ ἔγχελυς
	ნათ.	ἰχθύ-ος	πίτυ-ος	συ-ός	πήχε-ως	πελέκε-ως	ἐγχέλυ -ος
	მიც.	ἰχθύ -ι	πίτυ-ι	συ-ί	πήχ-ει	πελέκ-ει	ἐγχέλυ -ι
	აკუზ.	ἰχθύ -ν	πίτυ-ν	σῦ-ν	πῆχυ-ν	πέλεκυ-ν	ἔγχελυ-ν
	წოდ.	ἰχθύ	πίτυ	σῦ	πῆχυ	πέλεκυ	ἔγχελυ
მრავლობითი	სახ.	ἰχθύ -ες	πίτυ-ες	σύ-ες	πήχεις	πελέκεις	ἐγχέλεις
	ნათ.	ἰχθύ-ων	πιτύ-ων	συ-ῶν	πήχε-ων	πελέκε-ων	ἐγχέλε-ων
	მიც.	ἰχθύ-σι(ν)	πίτυ-σι(ν)	συ-σί(ν)	πήχε-σι(ν)	πελέκε-σι(ν)	ἐγχέλε-σι(ν)
	აკუზ.	ἰχθῦς	πίτυς	σῦς	πήχεις	πελέκεις	ἐγχέλεις
	წოდ.	ἰχθύ-ες	πίτυ-ες	σέ-ες	πήχεις	πελέκεις	ἐγχέλεις
ორობ.	სახ. ა.წ.	ἰχθύ-ε	πίτυ-ε	σέ-ε	πήχει	πελέκει	ἐγχέλει
	ნათ. მ.	ἰχθύ-οιν	πιτύ-οιν	συ-οῖν	πηχέ -οιν	πελεκέ -οιν	ἐγχελέ -οιν

	ფუძე: ἄστυ ქალაქი	
	მხოლობითი	მრავლობითი
სახ.	τὸ ἄστυ	τὰ ἄστη
ნათ.	τοῦ ἄστεως	τῶν ἄστεων
მიც.	τῷ ἄστει	τοῖς ἄστεσι(ν)
აკუზ.	τὸ ἄστυ	τὰ ἄστη
წოდ.	ὦ ἄστυ	ὦ ἄστη
ორობითი		
	სახ. აკუზ. წოდ.	τὼ ἄστε
	ნათ. მიც.	τοῖν ἀστέ-οιν

საშუალო სქესის ფორმით გვხვდება აგრეთვე სიტყვა τὸ δάκρυ (δάκρυος) „ცრემლი“; მრავლ. რიცხვი სახელ. τὰ δάκρυα ნათ. τῶν δακρύων, მიც. τοῖς δάκρυσι. ფორმამ δάκρυα, რომელიც II კანკლედობის მრავლ. რიცხვის სახელობით ბრუნვად იქნა მიჩნეული, უკვე ჰომეროსის დიალექტში წარმოქმნა მხ. რიცხვის სახელობითი τὸ δάκρυον. იგი დამკვიდრდა ატიკურ დიალექტშიც (იბრუნვის II კანკლედობით).

სავარჯიშო მაგალითები:

ἡ ὀφρύς –ύος წარბი
ὁ βότρυς –υος მტევანი (ყურძნისა)
ὁ μῦς, μυός თაგვი
ἡ γῆρυς – υος ბგერა, ხმა
ὁ στάχυς – υος თავთავი
ὁ νέκυς – υος გვამი
ἡ Ἐρινύς – ύος ერინია (შურისძიების ქალღმერთი)
ὁ Λίβυς – υος ლიბიელი
ἡ ἰσχύς – ύος ძალა

გ) ო ფუძიანი არსებითი სახელები

1. ო ფუძიანი არსებითი სახელები მდედრობითი სქესისაა. ფუძის ბოლოკიდური ο ისტორიული οι-ს გამარტივების შედეგია

2. სახელობითი ბრუნვა წარმოდგენილია უსიგმოდ ფუძისეული ხმოვნის დაგრძელებით: ο → ω

3. სახელობით ბრუნვაში ყველა სიტყვა ოქსიტონონია.

4. ბრუნების დროს ფუძისეული ο შეერწყმის ბრუნვის ნიშნისეულ ხმოვნებს: ο + ο = ου, ο + ι = οι, ο + α = ω.

5. აკუზატივუსში გამონაკლისით მკვეთრი მახვილია ბოლოდან პირველ მარცვალზე: ό + α = ώ (და არა ῶ!).

6. წოდებითი ბრუნვის ბოლოკიდურია οι (ჩანს, აქ შემონახულია ისტორიული ფუძე).

7. ო ფუძიან III კანკლედობის სახელებს არა აქვთ ოროზითი და მრავლობითი რიცხვები (მრავლ. რიცხვი დასაშვებია II კანკლედობის ფორმით: τὰς πειθούς).

8. ო ფუძიან სახელთა მეტი წილი საკუთარი სახელებია.

	ფუძე: πειθο დარწმუნება	ἡχο ეხო, გამოძახილი .
სახ.	ἡ πειθώ	ἡ ἠχώ
ნათ.	τῆς (πειθό-ος) πειθοῦς	τῆς ἠχοῦς
მიც.	τῇ (πειθό-ι) πειθοῖ	τῇ ἠχοῖ
აკუზ.	τὴν (πειθό-α) πειθώ	τὴν ἠχώ
წოდ.	ὦ πειθοῖ	ὦ ἠχοῖ

ფუძე Σαπφο (Ψαπφο) საპფო	
სახ.	Σαπφώ
ნათ.	Σαπφοῦς
მიც.	Σαπφοῖ
აკუზ.	Σαπφώ
წოდ.	ὦ Σαπφοῖ და Σάπφοι (ეოლიურ დიალექტში)

სავარჯიშო მაგალითები:

ἡ εὐεστώ კეთილდღეობა	Καλυψώ კალიფსო
Γοργώ გორგო	Ἐρατώ ერატო
Κλωθώ კლოთო	Κλειώ კლიო
Λετώ ლეტო	Ἰώ იო

დ) ω ფუძიანი სახელები

ω ფუძიანი სახელები მამრობითი სქესისაა. ასეთ სახელთა რაოდენობა მცირეა. მხოლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვა იწარმოება სიგმით. ბრუნების დროს ხდება ფუძისეული ხმოვნის შერწყმა ბრუნვის ნიშნისეულ ზოგიერთ ხმოვანთან:

		ფუძე	
		θω ტურა	ἡρω გმირი
სახ.	ὁ	θώς	ἥρως
ნათ.	τοῦ	θω -ός	ἥρω-ος
მიც.	τῷ	θω -ί	(ἥρω-ι) ἥρῳ
აკუზ.	τὸν	θῶ-α	(ἥρω-α) ἥρω
წოდ.	ὦ	θώς	ἥρως
სახ.	οἱ	θῶ-ες	ἥρω-ες
ნათ.	τῶν	θώ-ων	ἡρώ-ων
მიც.	τοῖς	θω-σι(ν)	ἥρω-σι(ν)
აკუზ.	τοὺς	θῶ-ας	ἥρω-ας ἥρως
წოდ.	ὦ	θῶ-ες	ἥρω-ες
სახ. აკუზ. წოდ.	τὼ	Οῶ-ε	ἥρω-ε
ნათ. მიც.	τοῖν	θώ-οιν	ἡρώ-οιν

სავარჯიშო მაგალითები:

ὁ πάτρως ბიძა (მამიდან)

ὁ μήτρως ბიძა (დედიდან)

ὁ δμώς მონა (მრავლ. ნათესაობითში და ოროზ. ნათ. მიც. მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე აქვს: δμώων, δμώοιν)

ὁ Τρώς ტროელი (მრავლ. ნათ. Τρώων, ოროზ. ნათ. მიც. Τρώοιν).

შენიშვნა: საკუთარი სახელი ὁ Μίνως (მინოსი) იბრუნვის III კანკლედობითაც და II ატიკური ბრუნებითაც.

სახ. Μίνως

ნათ. Μίνω-ος, Μίνω

მიც. Μίνῳ

აკუზ. Μίνωα, Μίνω, Μίνων

წოდ. Μίνως

რთული ხმოვნები

ამ ჯგუფში შემოდის იმ არსებით სახელთა ბრუნება, რომელთა ფუძე ბოლოვდება რთულ ხმოვნებზე – დიფთონგებზე: ευ, αυ, ου.

ა) ευ ფუძიანები

1. ευ ფუძიანი არსებითი სახელები უკლებლივ მამრობითი სქესისაა და ჩვეულებრივ აღნიშნავენ მოქმედ პირს nomina agentis). დიდი ნაწილი ზმნიდანაა ნაწარმოები (verbalia), ნაწილიც – სახელიდან (denominativa).

2. მხოლ. რიცხვის სახელობითი ბრუნვა იწარმოება ფუძეზე სიგმის დართვით: ფუძეა – βασιλευ, სახელობითია ὁ βασιλεύς (მეფე, ბასილევსი). ამგვარად, მხ. რიცხვის სახელობითი ბრუნვის ბოლოკიდურია ευς.

3. ευ ფუძიანი სახელები ყველა არის oxytona.

4. ფუძის ბოლოკიდური ευ უცვლელია მხოლობითი რიცხვის სახელობითსა და წოდებითში და მრავლობითი რიცხვის მიცემით ბრუნვაში. სხვა ბრუნვებში ბრუნვის ნიშნისეულ ხმოვანთა წინ ხდება დიფთონგის დაშლა: υ-ს ჯერ ენაცვლება F (დიგამა), შემდეგ F ამოვარდება და რჩება მოკლე ხმოვანი ε; სამაგიეროდ გრძელდება ბრუნვის ნიშნისეული მხ. რიცხვის ნათესაობითში (ω) და მრავლ რიცხვის აკუზატივუსში (α). მხ. რიცხვის მიცემითში ἑ + ι = εῖ დიფთონგს შემოსილი მახვილით; მრავლ. რიცხვის სახელობითსა და წოდებითში ἑ + ες = εῖς ასევე შემოსილი მახვილით. ორობით რიცხვში ε + ε ჩვეულებრივ არ შეირწყმება.

6. წოდებითი ბრუნვა = სუფთა ფუძეს და არის პერისპომენონი

	ფუძე: βασιλευ, ხმოვანთა წინ βασιλεF → βασιλε	
	მხოლობითი	მრავლობითი
სახ.	ὁ βασιλεύ-ς	οἱ βασιλεῖς
ნათ.	τοῦ βασιλέ-ως	τῶν βασιλέ-ων
მიც.	τῷ βασιλεῖ	τοῖς βασιλεῦ-σι(ν)
აკუზ.	τὸν βασιλέ-α	τοὺς βασιλέ-ας
წოდ.	ὦ βασιλεῦ	ὦ βασιλεῖς
	ორობითი	
სახ. აკუზ. წოდ.	τὼ βασιλέ-ε	
ნათ. მიც.	τοῖν βασιλέ-οιν	

შენიშვნები: 1. უძველეს ატიკურ დიალექტში მრავლ. რიცხვის სახელობითი ბრუნვის ბოლოკიდურია ῆς (οἱ βασιλῆς), ორობითის სახ. აკუზ. წოდებითისა – ῆ (τὼ βασιλῆ).

2. ფორმისათვის βασιλέως ამოსავალია βασιλῆος რაოდენობრივი გადასმით (methathesis quantitatis). ჰომეროსის დიალექტში ეს ფუძიან სახელებს ახასიათებს ε-ს დაგრძელება ხმოვანთა წინ. სახ. βασιλεύς. ნათ. βασιλῆ-ος, მიც. βασιλῆ-ι, აკუზ. βασιλῆ-α; მრავლ. სახ. βασιλῆ-ες, ნათ. βασιλή-ων, აკუზ. βασιλῆ-ας. მხ. რიცხვის ნათესაობითში გვხვდება ბოლოკიდურები: ῆος, έος და εῦς: Ὀδυσ(σ)εύς, ნათ. Ὀδυσ(σ)ῆος, Ὀδυσ(σ)έος, Ὀδυσ(σ)εῦς. მიცემითში – ῆι, εῖ; აკუზატივუსში – ῆα და ῆ: Ὀδυσ(σ)ῆα და Ὀδυσ(σ)ῆ. საკუთარ სახელს Τιδεύς (ტიდევსი) აკუზატივუსში აქვს Τιδῆ.

3. თუ ეს ბოლოკიდურის წინ ხმოვანი ზის, შერწყმა ხდება მხოლოდ მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ყველა ფორმაში (გარდა სიტყვისა ὁ ἅλιεύς „მეთევზე“, რომელიც იბრუნვის ისე, როგორც ὁ βασιλεύ-ς).

	ὁ Πειραιεύς პირეოსი	ὁ Ἐρετριεύς ერეტრიელი
სახ.	Πειραιεύς	οἱ (Ἐρετριέες) Ἐρετριεῖς
ნათ.	(Πειραιέως) Πειραιῶς	(Ἐρετριέων) Ἐρετριῶν
მიც.	(Πειραιέ-ϊ) Πειραιεῖ	Ἐρετριεῦσι(ν)
აკუზ.	(Πειραιέ-α) Πειραιᾶ	(Ἐρετριέας) Ἐρετριᾶς
წოდ.	Πειραιεῦ	(Ἐρετριέες) Ἐρετριεῖς

სავარჯიშო მაგალითები:

ὁ ἵππευς მხედარი, ცხენოსანი
ὁ ἱερεύς ქურუმი
ὁ νομεύς მწყემსი
ὁ γονεύς მშობელი
ὁ οἰκεύς მსახური
ὁ φονεύς მკვლელი
ὁ ἁλιεύς მეთევზე
ὁ ἑρμηνεύς მთარგმნელი
ὁ κορεύς დალაქი
ὁ γραμματεύς გადამწერი
ὁ γραφεύς მწერალი
ὁ συγγραφεύς მემატიანე, ისტორიკოსი
Ἀτρεύς ატრევსი
Ἀχι(λ)εύς აქილევსი
Ὀδυσσεύς ოდისევსი
Ὀρφεύς ორფევსი
Θεσεύς თესევსი
Προμεθεύς პრომეთე
ὁ Μεγαρεύς მეგარელი
ὁ Πλαταιεύς პლატეელი
ὁ Εὐβοεύς ევბეელი

ბ) ου და αυ ფუძიანები

სახელობითი ბრუნვა მხ. რიცხვისა იწარმოება სიგმით. დიფთონგები ου და αυ უცვლელია მხ. რიცხვის სახელობითსა, აკუზატივუსსა და წოდებითში და მრავლ. რიცხვის მიცემითსა და აკუზატივუსში. სხვა ბრუნვებში ეს დიფითონგები მარტივდება და ფუძის ბოლოკიდურად რჩება ο, რომელიც ბრუნვის ნიშნისეულ ხმოვნებს არ შეერწყმის. მხ. რიცხვის აკუზატივუსის დაბოლოებაა ν, მრავლ. რიცხვის აკუზატივისა – νς, სადაც ν ამოვარდება.

მხ. რიცხვის წოდებითი = ფუძეს;

		ფუძე: βου ხარი	ფუძე: γραυ დედაბერი
მხოლობითი	სახ.	ὁ βοῦ-ς	ἡ γραῦ-ς
	ნათ.	τοῦ βο-ός	τῆς γρα-ός
	მიც.	τῷ βο-ΐ	τῇ γρα-ΐ
	აკუზ.	τὸν βοῦν	τὴν γραῦν
	წოდ.	ὦ βοῦ	ὦ γραῦ
მრავლობითი	სახ.	οἱ βό-ες	αἱ γρᾶ-ες
	ნათ.	τῶν βο-ῶν	τῶν γρα-ῶν
	მიც.	τοῖς βουσί(ν)	ταῖς γραυσί(ν)
	აკუზ.	τοὺς βοῦς	τὰς γραῦς
	წოდ.	ὦ βό-ες	ὦ γρᾶ-ες
ორობ.	სახ. აკუზ. წოდ.	τὼ βό-ε	τὼ γρᾶ-ε
	ნათ. მიც.	τοῖν βο-οῖν	τοῖν γρα-οῖν

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი: 1. ου და αυ ფუძიან სახელებში დიფთონგის გამარტივების გზა ისეთივეა, როგორიც ευ ფუძიანებში: ხმოვანთა წინ υ-ს ჯერ შეენაცვლა F (დიგამა), ხოლო შემდეგ ამოვარდა: βου → βοF (შდრ. ლათ. bov-is), γραυ ← γραυF, ნათ. βο(F)-ός, γρα(F)-ός.

2. სახელი βοῦς აღნიშნავს „ძროხასაც“. ამ შემთხვევაში მისი არტიკლი იქნება ἡ.

3. ამ ჯგუფში შემოდის არს. სახელი ἡ ναῦς ხომალდი (ფუძე ναυ → νηF → νεώς || νηός შდრ. ლათ. navis), რომელიც ატიკურ დიალექტში ამრიგად იბრუნვის:

	მხოლობითი	მრავლობითი
სახ.	ἡ ναῦς	αἱ νῆες
ნათ.	τῆς νεώς	τῶν νεῶν
მიც.	τῇ νηΐ	ταῖς ναυσί(ν)
აკუზ.	τὴν ναῦν	τὰς ναῦς
ორობითი		
ნათ. მიც. τοῖν νεοῖν		

.

თავისებურად ბრუნებადი არსებითი სახელები

არაწესიერი ბრუნების სახელთა ნაწილი სათანადო ნიშნის თვალსაზრისით ზემოთ მოყვანილ პარადიგმებთან გვაქვს წარმოდგენილი.

ანომალიები სახელთა ბრუნებაში სხვადასხვა რიგისაა:

სახელობით ბრუნვაში ერთი ფორმის მქონე ზოგი სახელი ირიბ ბრუნვებში მთლიანად ან ნაწილობრივ სხვადასხვა კანკლედობით იბრუნვის. ასეთი სახის ანომალიას ბერძნულად ἑτεροκλισία ეწოდება.

მაგალითად, საკუთრი სახელი Οἰδίπους (ოიდიპოსი) მეორე კანკლედობითაც იბრუნვის და მესამე კანკლედობითაც.

სახ. Οἰδίπους

ნათ. Οἰδίπου – Οἰδίποδς

მიც. Οἰδίπῳ – Οἰδίποδ-ι

აკუზ. Οἰδίπουν – Οἰδίποδ -α

საკუთარი სახელს Μίνως ნათესაობით ბრუნვაში აქვს ორი ფორმა Μίνω (მეორე ატიკური ბრუნებისა) და Μίνω-ος (მესამე კანკლედობისა); ორ-ორი ფორმა აქვს ამ სახელს აკუზატივუსშიც: Μίνων (მეორე ატიკური ბრუნებისა) და Μίνωα და Μίνω (მესამე კანკლედობისა). ორი ფორმა აქვთ აკუზატივუსში ης ბოლოკიდურიან საკუთარ სახელებს: Διογένης (IIIკანკლედობისა) და Διογένην (პირველი კანკლედობისა).

არს. სახ. ὁ σκότος «წყვდიადი“ იბრუნვის მეორე კანკლედობით (ნათ. τοῦ σκότου) და მესამე კანკლედობითა: სახ. τὸ σκότος (ნათ. τοῦ σκότους).

2.ზოგი სახელი მხოლობით რიცხვში ერთი სქესისაა, მრავლობითში – მეორისა (ἑτερογενέα). მაგალითად: ὁ σῖτος (პური), მრავლ. τὰ σῖτα, τὸ στάδιον (სტადიონი, სიგრძის საზომი), მრავლ. οἱ στάδιοι (იშვიათად: τὰ στάδια). ὁ δεσμός (შეკვრა), მრავლ. τὰ δεσμά (ბორკილები); ὁ δάκτυλος (თითი), მრავლ. τὰ δάκτυλα (და οἱ δάκτυλοι).

3. ყველაზე ხშირი ანომალია ფუძის ცვალებადობაა. მესამე კანკლედობის ფუძემონაცვლე სახელებია: ὁ μάρτυς, ὁ ἀνήρ, ἡ χείρ, ὁ πατήρ, ἡ μήτηρ, ἡ θυγάτηρ, ἡ γαστήρ, τὸ οὖς, τὸ γόνυ, τὸ δόρυ, τὸ ὕδωρ, τὸ κέρας, ὁ κύων, ὁ, ἡ ἀρήν, Πνύξ, Ἄρης, ἡ ναῦς.

გარდა ამისა, დასამახსოვრებელია შემდეგ სახელთა ბრუნება:

1. Ζεύς „ზევსი“. ამ სახელს სახელობითისა და წოდებითის გარდა გამოყენებული აქვს ფუძე δι(F):

სახ.	ὁ Ζεύς
ნათ.	Δι-ός
მიც.	Δι-ί
აკუზ.	Δί -α
წოდ.	ὦ Ζεῦ

2. ὁ υἱός „ვაჟიშვილი“, „ძე“ იბრუნვის მეორე კანკლედობით (იშვიათად) და მესამე კანკლედობით (ხშირად). პირველ შემთხვევაში ამოსავალია ფუძე υἱο, მეორეში – υἱυ:

	მხოლობითი	მრავლობითი
სახ.	ὁ υἱός	οἱ υἱοί, υἱεῖς
ნათ.	τοῦ υἱοῦ, υἱέος	τῶν υἱῶν, υἱέων
მიც.	τῷ υἱῷ, υἱεῖ	τοῖς υἱοῖς, υἱέσι(ν)
აკუზ.	τὸν υἱόν, υἱέα	τοὺς υἱούς, υἱεῖς
წოდ.	ὦ υἱέ	ὦ υἱοί, υἱεῖς

ორობითი

სახ. აკუზ. წოდ.	τὼ υἱώ, υἱεῖ
ნათ. მიც.	τοῖν υἱέοιν

3. ἡ γυνή „ქალი“, „ცოლი“. მხ. რიცხვის სახელობითის გარდა, ყველა ფორმაში აქვს ფუძე γυναικ. წოდებითი ბრუნვა = ფუძეს (ბოლოკიდური κ მოკვეცილია). ყველა რიცხვის ნათესაობითსა და მიცემითში მახვილი ბრუნვის ნიშინზეა:

	მხოლობითი	მრავლობითი
სახ.	ἡ γυνή	αἱ γυναῖκ-ες
ნათ.	τῆς γυναικ-ός	τῶν γυναικ-ῶν
მიც.	τῇ γυναικ-ί	ταῖς γυναιξί(ν)
აკუზ.	τὴν γυναῖκ-α	τὰς γυναῖκ-ας
წოდ.	ὦ γύναι	ὦ γυναῖκ-ες

4. τὸ δένδρον „ხე“ და τὸ δάκρυον (τὸ δάκρυ) „ცრემლი“ მეორე კანკლედობით იბრუნვიან, მაგრამ მრავლ. რიცხვის მიცემითში მესამე კანკლედობის ფორმა აქვთ: δένδροσι(ν) და δάκρυσι(ν).

5. ὁ πρεσβευτής „ელჩი“ პირველი კანკლედობით იბრუნვის, მაგრამ მრავლობით რიცხვში მესამე კანკლედობის ფორმა აქვს (შდრ. οἱ πήχες).

სახ.	ὁ πρεσβευτής	οἱ πρεσβεῖς
ნათ.	τοῦ πρεσβευτοῦ	τῶν πρέσβεων
მიც.	τῷ πρεσβευτῇ	τοῖς πρέσβεσι(ν)
აკუზ.	τὸν πρεσβευτήν	τοὺς πρεσβεῖς
წოდ.	ὦ πρεσβευτά	ὦ πρεσβεῖς

უბრუნველი სახელები

უბრუნველი სახელები (ἄκλιτα ὀνόματα – indeclinabilia) ის სახელებია, რომლებიც ყველა რიცხვის ყველა ბრუნვაში უცვლელი ფორმით არიან წარმოდგენილნი. ფორმას იცვლის მხოლოდ მათი მხლებელი არტიკლი. ეს სახელებია:

τὸ χρεών (ბედისწერა, საჭიროება), τὸ ὄφελος (სარგებლობა – ამას ირიბ ბრუნვათაგან მხოლოდ აკუზატივუსი აქვს).

არტიკლის დართვით გაარსებითებული სიტყვები: ა) ზმნის განუსაზღვრელი ფორმა; მაგალითად: τὸ γράφειν „წერა“ (γράφω ვწერ), τὸ ἀδικεῖν „უსამართლობის ჩადენა“ (ἀδικέω უსამართლობას ჩავდივარ), τὸ λύειν „გახსნა“ (λύω ვხსნი) და ა.შ.

ბ)ზმნიზედა; მაგალითად: νῦν „ახლა“ – οἱ νῦν „თანამედროვენი“; οἴκοι „შინ“ – οἱ οἴκοι „შინაურები“; πάλαι „წინათ“ – οἱ πάλαι „უწინდელი ადამიანები“.

გ)ანბანის ასოთა სახელები: τὸ ἄλφα, τὸ βῆτα დ ა.შ.

3)ზოგი უცხოური წარმომავლობის სახელი: ὁ Ἀδαμ, τὸ Πάσχα, ὁ Ἰωσήφ და სხვა.

მეორე რიგის ზედსართავი სახელები

ზემოთ განხილულია პირველი რიგის ანუ პირველი და მეორე კანკლედობის ზედსართავი სახელები. მეორე რიგის ზედსართავი სახელები მესამე კანკლედობას განეკუთვნება და სამი ტიპისაა: სამბოლოკიდურიანი, ორბოლოკიდურიანი და ერთბოლოკიდურიანი.

I. სამბოლოკიდურიანი ზედსართავი სახელები

სამბოლოკიდურიან ზედსართავ სახელთა მამრობითი და საშუალო სქესის ფორმები იბრუნვის მესამე კანკლედობით, მდედრობითი სქესის ფორმა კი – პირველი კანკლედობით. მდედრობითი სქესის მაწარმოებელია სუფიქსი ια. მეორე რიგის ზედსართავ სახელთა მდედრობითი სქესის ფორმაში ბოლოკიდური α ყოველთვის მოკლეა (პირველი რიგის ზედსართავი სახელების მდედრობითი სქესის ბოლოკიდური α კი ყოველთვის გრძელია).

სამბოლოკიდურიანი ზედსართავი სახელების ფუძის დაბოლოებებია: υ, ν, ωτ.

1. υ ფუძიანები

1) მხ.რიცხვის სახელობითი ბრუნვის ბოლოკიდურებია: υς (მამრ. სქესისათვის), εια, (მდედრობითი სქესისათვის) და υ (საშუალო სქესისათვის).

2) მამრობითი და საშუალო სქესის ფორმები იბრუნვის არსებითი სახელების ὁ πέλεκυς ან ὁ πῆχυς მსგავსად: ფუძისეული υ უცვლელია მხ. რიცხვის სახელობითსა, აკუზატივუსსა და წოდებითში, სხვაგან კი მას ენაცვლება ε, რომელიც მომდევნო ι და ε-სთან ქმნის დიფთონგს ει.

3) ნათესაობითი ბრუნვის ბოლოკიდურია ος.

4) მხ. რიცხვის სახელობითი ბრუნვა მამრ. სქესისა იწარმოება სიგმით: ფუძეა γλυκ, სახელობითია γλυκύ-ος (ტკბილი); საშუალო სქესის სახელობითი აკუზატივუსი და წოდებითი ბრუნვები მხ. რიცხვის სუფთა ფუძის ბადალია γλυκύ.

5) მდედრობითი სქესის ფორმა იწარმოება ε-თი შენაცვლებულ ფუძეზე ια სუფიქსის დართვით: γλυκε + ια, სადაც ε + ι → დიფთონგს; ამგვარად სახელობითი ბრუნვა მხ. რიცხვისა იქნება γλυκεῖα (იბრუნვის როგორც ἡ σφαῖρα).

6) მამრობითი და საშუალო სქესის υ ფუძიანი ზედსართვი სახელები არის oxytona, მდედრობითი სქესის ზედსართავი კი – properispomena (გამონაკლისია: ἥμισυς, ἡμίσεια, ἥμισυ „ნახევარი“ და θῆλυς, θήλεια, θῆλυ „ქალისა“, „ქალური“).

7)საშუალო სქესის მრავლ. რიცხვში εα კომპლექსი არ შეირწყმება.

		ფუძე: γλυκυ ტკბილი		
		მამრ.	მდედრ.	საშ.
მხოლობითი	სახ.	γλυκύ-ς	γλυκεῖα	γλυκύ
	ნათ.	γλυκέ-ος	γλυκείας	γλυκέ-ος
	მიც.	γλυκεῖ	γλυκείᾳ	γλυκεῖ
	აკუზ.	γλυκύ-ν	γλυκεῖαν	γλυκύ
	წოდ.	γλυκύ	γλυκεῖα	γλυκύ
მრავლობითი	სახ.	γλυκεῖς	γλυκεῖαι	γλυκέ-α
	ნათ.	γλυκέ-ων	γλυκειῶν	γλυκέ-ων
	მიც.	γλυκέ-σι(ν)	γλυκείαις	γλυκέ-σι(ν)
	აკუზ.	γλυκεῖς	γλυκείας	γλυκέ-α
	წოდ.	γλυκεῖς	γλυκεῖαι	γλυκέ-α
ორობ.	სახ. აკ. წოდ.	γλυκεῖ	γλυκεία	γλυκεῖ
	ნათ. მიც.	γλυκέ-οιν	γλυκείαιν	γλυκέ-οιν

სავარჯიშო მაგალითები:

ἡδύς, εῖα, ύ სასიამოვნო, საამო
ταχύς, εῖα, ύ სწრაფი
εὐρύς, εῖα, ύ განიერი, ფართო
βραχύς, εῖα, ύ მოკლე
βραδύς, εῖα, ύ წყნარი
βαθύς, εῖα, ύ ღრმა
θρασύς, εῖα, ύ მხნე, მამაცი
ὀξύς, εῖα, ύ ბასრი
εὐθύς, εῖα, ύ სწორი
ἄδακρυς, ἄδακρυ უცრემლო (ორბოლო-კიდურიანი რთული ზედსართავია და მახვილიც თავისებური აქვს)

2. υ ფუძიანები

1) მხ. რიცხვის სახელობითი ბრუნვა მამრობითი სქესისა იწარმოება ფუძისეული სიგმის დართვით, υ-ს ამოვარდნით და ფუძისეული ხმოვნის დაგრძელებით: ფუძეა μελαν, სახელობითია μέλας (← μελαν + ς) „შავი“.

2) საშუალო სქესის სახელობითი, აკუზატივუსი და წოდებითი ბრუნვები მხოლ. რიცხვისა სუფთა ფუძის ბადალია: μέλαν.

3)მდედრობითი სქესის მხ. რიცხვის სახელობითი იწარმოება ფუძეზე ια სუფიქსის დართვით და სუფიქსის ι-ს გადანაცვლებით ფუძეში, სადაც

შეიქმნება დიფთონგი: μελαν + ια → μέλαινα (იბრუნვის როგორც ἡ θάλασσα).

		ფუძე: μελαν შავი		
		მამრ.	მდედრ.	საშ.
მხოლობითი	სახ.	μέλα-ς	μέλαινα	μέλαν
	ნათ.	μέλαν-ος	μελαίνης	μέλαν-ος
	მიც.	μέλαν-ι	μελαίνῃ	μέλαν-ι
	აკუზ.	μέλαν-α	μέλαιναν	μέλαν
	წოდ.	μέλαν	μέλαινα	μέλαν
მრავლობითი	სახ.	μέλαν-ες	μέλαιναι	μέλαν-α
	ნათ.	μελάν-ων	μελαίνων	μελάν-ων
	მიც.	μέλασι(ν)	μελαίναις	μέλασι(ν)
	აკუზ.	μέλαν-ας	μελαίνας	μέλαν-α
	წოდ.	μέλαν-ες	μέλαιναι	μέλαν-α
ორობ.	სახ. აკ. წოდ.	μέλαν-ε	μελαίνα	μέλαν-ε
	ნათ. მიც.	μελάν-οιν	μέλαιναιν	μελάν-οιν

შენიშვნა: ფუძიდან τερεν მამრობითი სქესის ფორმა იწარმოება უსიგმოდ, ფუძისეული ხმოვნის დაგრძელებით (ε → η): τέρην, τέρεινα, τέρεν „ნაზი“.

სავარჯიშო მაგალითი:

τάλας, τάλαινα, τάλαν „უბედური“, „ბედკრული“.

3. ντ ფუძიანები

1. მხ. რიცხვის სახელობითი ბრუნვა მამრობითი სქესისა იწარმოება სიგმით, თუ ντ ბოლოკიდურს წინ უძღვის ხმოვნები α ან ε. ς-ს დართვის შედეგად ντ ამოვარდება, ხოლო წინამდებარე დაგრძელდება: ᾰ → ᾱ, ε → ει. ფუძეა παντ, სახელობითია πᾶς (← παντ + ς), „ყველა“, „ყოველი“.(შდრ. არს. სახელს ὁ γίγας, γίγαντ-ος); ფუძეა χαριεντ, სახელობითია χαρίεις (← χαριεντ + ς) „მშვენიერი“.

თუ ντ ბოლოკიდურს წინ უძღვის ხმოვანი ο, სახელობითი იწარმოება უსიგმოდ, τ მოკვეცილი ფუძითა და ფუძისეული ხმოვნის დაგრძელებით (ο → ω): ფუძეა ἑκοντ, სახელობითია ἑκών, „მოხალისე“, „ნებაყოფლობითი“ (შდრ. არს. სახელს ὁ λέων, λέοντ-ος).

2) საშუალო სქესის მხ. რიცხვის სახელობითი, აკუზატივუსი და წოდებითი წარმოდგენილია τ მოკვეცილი ფუძით: πᾶν, χαρίεν, ἑκόν.

3) მხ. რიცხვის სახელობითი ბრუნვა მდედრობითი სქესისა იწარმოება ფუძეზე ια სუფიქსის დართვით. ι-ს წინამდებარე τ გვაძლევს α-ს, ι ამოვარდება, σ-ს წინამდებარე ν დაიკარგება და ფუძისეული ხმოვანი დაგრძელდება. αντ + ια → ανσ-α → ασα; οντ + ια → ονσ-α → ουσα, εντ + ια სახელზმნებში (მიმღეობებში) → ενσ-α → εισα, παντ-ια → πᾶσα, ἑκοντ-ια → ἑκοῦσα, λυθεντ-ια = λυθεῖσα.

ზედსართავი სახელი, რომელსაც მამრობით სქესის ფორმაში აქვს ბოლოკიდური ις (ფუძიდან εντ), მდედრობითი სქესის ფორმას წარმოქმნის მოკლე ფუძიდან ετ, რომელიც ια სუფიქსის დართვით გვაძლევს εσσα ბოლოკიდურს.

4) εντ ფუძიანი ზედსართავები მამრ. და საშ. სქესის მრავლ. რიცხვის მიცემით ბრუნვაში σι ნიშნის წინ კარგავენ ντ კომპლექსს უკვალოდ – ხმოვნის დაუგრძელებლად (სახელზმნებში – მიმღეობებში კი εντ + σι → εισι ბოლოკიდურს). οντ და αντ ფუძიანი სახელები σι-ს წინ ντ კარგავენ, მაგრამ წინამდებარე ხმოვანს დაიგრძელებენ (ο → ου, ᾰ → ᾱ).

მდედრ. სქესისათვის ფუძეა χαριετ, სახელობითია χαρίεσσα (← χαριετ + ια-τι → σσ), რომელიც იბრუნვის პირველი კანკლედობით (როგორც ἡ θάλασσα). εισα ბოლოკიდური მდედრობით სქესში მიმღეობებს აქვთ.

		მამრ.	მდედრ.	საშ.
მხოლობითი	სახ.	πᾶς ყველა, ყოველი	πᾶσα	πᾶν
	ნათ.	παντ-ός	πάσης	παντ-ός
	მიც.	παντ-ί	πάσῃ	παντ-ί
	აკუზ.	πάντ-α	πᾶσαν	πᾶν
მრავლობითი	სახ.	πάντ-ες	πᾶσαι	πάντ-α
	ნათ.	πάντ-ων	πασῶν	πάντ-ων
	მიც.	πᾶσι(ν)	πάσαις	πᾶσι(ν)
	აკუზ.	πάντ-ας	πάσας	πάντ-α

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : 1) მამრ. და საშ. სქესის მრ. რიცხვის ნათესაობითსა და მიცემითში მახვილი ამ სიტყვას ბოლოდან მეორე მარცვალზე აქვს. ამით დარღვეულია მესამე კანკლედობის ერთმარცვლოვან სახელთა მახვილის წესი.

2) მხ. რიცხვის საშუალო სქესის სახ. ბრუნვის ფორმაში πᾶν α გამონაკლისითაა დაგრძელებული.

		მამრ.	მდედრ.	საშ.
მხოლობითი	სახ.	χαρίεις მშვენიერი	χαρίεσσα	χαρίεν
	ნათ.	χαρίεντ-ος	χαριέσσης	χαρίεντ-ος
	მიც.	χαρίεντ-ι	χαριέσσῃ	χαρίεντ-ι
	აკუზ.	χαρίεντ-α	χαρίεσσαν	χαρίεν
	წოდ.	χαρίεν	χαρίεσσα	
მრავლობითი	სახ.	χαρίεντ-ες	χαρίεσσαι	χαρίεντ-α
	ნათ.	χαρίεντ-ων	χαριεσσῶν	χαριέντ-ων
	მიც.	χαρίεσι(ν)	χαριέσσαις	χαρίεσι(ν)
	აკუზ.	χαρίεντ -ας	χαριέσσας	χαρίεντ-α
	წოდ.	χαρίεντ -ες	χαρίεσσαι	χαρίεντ-α
ორიც.	სახ. აკ. წოდ.	χαρίεντ –ε	χαριέσσα	χαρίεντ –ε
	ნათ. მიც.	χαριέντ -οιν	χαριέσσαιν	χαριέντ -οιν

		მამრ,	მდედრ.	საშ.
მხოლობითი	სახ.	ἑκών მოხალისე, ნებაყოფლობითი	ἑκοῦσα	ἑκόν
	ნათ.	ἑκόντ-ος	ἑκούσης	ἑκόντ-ος
	მიც.	ἑκόντ-ι	ἑκούσῃ	ἑκόντ-ι
	აკუზ.	ἑκόντ-α	ἑκοῦσαν	ἑκόν
	წოდ.	ἑκών	ἑκοῦσα	ἑκόν
მრავლობითი	სახ.	ἑκόντ-ες	ἑκοῦσαι	ἑκόντ-α
	ნათ.	ἑκόντ-ων	ἑκουσῶν	ἑκόντ-ων
	მიც.	ἑκοῦσι(ν)	ἑκούσαις	ἑκοῦσι(ν)
	აკუზ.	ἑκόντ-ας	ἑκούσας	ἑκόντ-α
	წოდ.	ἑκόντ-ες	ἑκοῦσαι	ἑκόντ-α
ორიც.	სახ. აკ. წოდ.	ἑκόντ-ε	ἑκούσα	ἑκόντ-ε
	ნათ. მიც.	ἑκόντ-οιν	ἑκούσαιν	ἑκόντ-οιν

სავარჯიშო მაგალითები:

ἅπας, ἅπασα, ἅπαν
σύμπας, σύμπασα, σύμπαν
πρόπας, πρόπασα, πρόπαν
} ყველა უკლებლივ, მთელი, მთლიანად, ყველა

πτερόεις, πτερόεσσα, πτερόεν ფრთოსანი

φωνήεις, φωνήεσσα, φωνῆεν ხმიანი

ἄκων, ἄκουσα, ἄκον (← ἀ-ἑκων, სადაც α უარყოფითობისაა) უხალისო, არმსურველი.

ზედსართავ სახელთა ბრუნების ამ ტიპს მიჰყვება სახელზმნათა – მიმღეობათა შემდეგი ფორმები:

1. აწმყო დროის მოქმედებითი გვარის მიმღეობა
λύων, λύουσα, λῦον
2. მყოფადის მოქმედებითი გვარის მიმღეობა
λύσων, λύσουσα, λῦσον
3. I აორისტის მოქმედებითი გვარის მიმღეობა
λύσας, λύσασα, λῦσαν
4. II აორისტის მოქმედებითი გვარის მიმღეობა
λιπών, λιποῦσα, λιπόν
5. I აორისტის ვნებითი გვარის მიმღეობა
λυθείς, λυθεῖσα, λυθέν
6. II აორისტის ვნებითი გვარის მიმღეობა
γραφείς, γραφεῖσα, γραφέν

II. ორბოლოკიდურიანი ზედსართავი სახელები

ორბოლოკიდურიან ზედსართავ სახელებს მამრობითი და მდედრობითი სქესის ფორმა საზიარო აქვთ, საშუალო სქესი კი საკუთარი დაბოლოებითაა წარმოდგენილი. ამ ჯგუფში შედის ორი კატეგორიის ზედსართავი სახელები: ον ფუძიანები და ες ფუძიანები.

1. ον ფუძიანები

1) ον ფუძიან ზედსართავ სახელთა მამრობითი და მდედრობითი სქესის მხოლ. რიცხვის სახელობითი ბრუნვა იწარმოება უსიგმოდ. ფუძისეული ხმოვნის დაგრძელებით (ο → ω), ე.ი. ბოლოკიდურია ων. საშუალო სქესის მხოლ. რიცხვის სახელობითი წარმოდგენილია სუფთა ფუძით, ე.ი. ბოლოკიდურია ον. მაგალითად: ფუძეა εὐδαιμον, სახელობითია მამრ. და მდედრ. სქესისათვის εὐδαίμων, საშუალო სქესისათვის – εὔδαιμον (ბედნიერი). ბრუნება ისეთივეა, როგორც ν ფუძიანი არსებითი სახელისა (მაგ., ὁ δαίμων). მამრ. და მდედრ. სქესის მხოლ. რიცხვის წოდებითი ბრუნვა სუფთა ფუძის ბადალია. ასევე სუფთა ფუძეს = საშუალო სქესის მხ. რიცხვის სახელობითი, აკუზატივუსი და წოდებითი. საშუალო სქესის მრ. რიცხვის სახელობითის, აკუზატივუსისა და წოდებითის ბოლოკიდურია α.

2) მრ. რიცხვის მიცემით ბრუნვაში σι ნიშნის წინ ფუძისეული ν უკვალოდ იკარგება.

3) მამრობითი და მდედრობითი სქესის მხოლ. რიცხვის წოდებითი ბრუნვაში და საშუალო სქესის სახელობითსა, აკუზატივუსსა და წოდებითში სამმარცვლოვან სიტყვას მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე გადააქვს (გამონაკლისია რთული შედგენილობის ზედსართავები ბოლოკიდურით – φρων).

		ფუძე: εὐδαιμον ბედნიერი	
		მამრ. მდედრ.	საშ.
მხოლობითი	სახ.	εὐδαίμων	εὔδαιμον
	ნათ.	εὐδαίμον- ος	εὐδαίμον- ος
	მიც.	εὐδαίμον- ι	εὐδαίμον- ι
	აკუზ.	εὐδαίμον- α	εὔδαιμον
	წოდ.	εὔδαιμον	εὔδαιμον
მრავლობითი	სახ.	εὐδαίμον-ες	εὐδαίμον-α
	ნათ.	εὐδαιμόν-ων	εὐδαιμόν-ων
	მიც.	εὐδαίμοσι(ν)	εὐδαίμοσι(ν)
	აკუზ.	εὐδαίμον-ας	εὐδαίμον-α
	წოდ.	εὐδαίμον-ες	εὐδαίμον-α
ორობ.	სახ. აკ. წოდ.	εὐδαίμον-ε	εὐδαίμον-ε
	ნათ. მიც.	εὐδαιμόν-οιν	εὐδαιμόν-οιν

		ფუძე: σωφρον კეთლგონიერი, ჭკვიანი	
		მამრ. მდედრ.	საშ.
მხოლობითი	სახ.	σώφρων	σῶφρον
	ნათ.	σώφρον -ος	σώφρον -ος
	მიც.	σώφρον -ι	σώφρον -ι
	აკუზ.	σώφρον -α	σῶφρον
	წოდ.	σῶφρον	σῶφρον
მრავლობითი	სახ.	σώφρον -ες	σώφρον -α
	ნათ.	σωφρόν -ων	σωφρόν -ων
	მიც.	σωφρόσι(ν)	σωφρόσι(ν)
	აკუზ.	σώφρον -ας	σώφρον -α
	წოდ.	σώφρον -ες	σώφρον -α
ორობ.	სახ. აკ. წოდ.	σώφρον –ε	σώφρον –ε
	ნათ. მიც.	σωφρόν -οιν	σωφρόν -οιν

სავარჯიშო მაგალითები:

ἄφρων, ἄφρον უგუნური
ὑπέρφρων, ὑπέρφρον ქედმაღალი
πολυπράγμων, πολυπράγμον ფუსფუსა
ἀπράγμων, ἀπράγμον უქნარა
ἐπιστήμων, ἐπίστημον მცოდნე, გამოცდილი
μνήμων, μνῆμον კეთილმახსოვარი
ἐπίλησμων, ἐπίλησμον გულმავიწყი
πέπων, πέπον მწიფე
πίων, πῖον მსუქანი

2. εσ ფუძიანი სახელები

1) εσ ფუძიან ზედსართავ სახელთა მამრობითი და მდედრობითი სქესის მხოლ. რიცხვის სახელობითი ბრუნვა იწარმოება უსიგმოდ, ფუძისეული ხმოვნის დაგრძელებით (ε → η), ე.ი. ბოლოკიდურია ης. საშუალო სქესის მხოლ. რიცხვის სახელობითი წარმოდგენილია სუფთა ფუძით, ე.ი. ბოლოკიდურია ες. მაგალითად: ფუძეა εὐγενες, სახელობითია მამრ. და მდედრ. სქესისათვის εὐγενής, საშუალო სქესისათვის – εὐγενές (კეთილშობილი). ბრუნება ისეთივეა, როგორც εσ ფუძიანი არსებითი სახელისა (მაგ., τὸ γένος).

2) ბრუნების დროს ფუძისეული σ ორ ხმოვანს შუა ამოვარდება და ხდება ხმოვანთა შერწყმა: ε + ο = ου, ε + ι = ει, ε + α = η, ε + ω = ω, ε + ε = ει, ε + οι = οι.

3) მამრობითი და მდედრობითი სქესის წოდებითი ბრუნვა მხოლ. რიცხვისა სუფთა ფუძის ბადალია. ასევე სუფთა ფუძეს = საშუალო სქესის მხ. რიცხვის სახელობითი, აკუზატივუსი და წოდებითი.

4) მრ. რიცხვის მიცემით ბრუნვაში εσ + σι → εσι ბოლოკიდურს.

5) მრავლ. რიცხვის აკუზატივუსი მამრ. და მდედრ. სქესისა = მრავლ. რიცხვის სახელობით ბრუნვას ანალოგიის წესით.

6) მამრობითი და მდედრობითი სქესის მხოლ. რიცხვის წოდებითი ბრუნვაში და საშუალო სქესის სახელობითსა, აკუზატივუსსა და წოდებითში რთული შედგენილობის barytona ზედსართავ სახელებს მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე გადააქვთ (გამონაკლისია ზედსართავები ბოლოკიდურით -ήρης, -ώδης, -ώλης).

7) რთული შედგენილობის barytona ზედსართავ სახელებს მრავლ. რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში და ორობითი რიცხვის ნათესაობითსა და მიცემითში მახვილი აქვთ ბოლოდან მეორე მარცვალზე და არა პირველზე, როგორც მოსალოდნელი იყო. მაგალითად: αὐτάρκης (დამოუკიდე-

ბელი, თვითკმაყოფილი), მრავლ. ნათეს. *αὐταρκέσων → *αὐταρκέων → αὐτάρκων; ორობ. ნათ. მიც. αὐταρκέσοιν → αὐταρκέοιν → αὐτάρκοιν

8) თუ ფუძის ესˑ ბოლოკიდურის წინ ზედსართავ სახელს ε, ι, ან υ ხმოვანი უზის, ე.ი. ბოლოკიდურებია: -εης, -ιης და -υης, ε ˑ+ α შერწყმის შედეგად გვაძლევს α-ს. მაგალითად: ἐνδεής (ფუძიდან ἐνδεεσ გაჭირვებული), მხოლ. რიცხვის აკუზ. ἐνδεέσα → ἐνδεέα → ἐνδεᾶ; ὑγιής (ფუძიდან ὑγιεσ ჯანსაღი), მხ. რიცხვის აკუზ. ὑγιέσα → ὑγιέα→ ὑγιᾶ (პარალელურია ὑγιῆ ფორმა); ასევე: εὐφυής (ფუძიდან εὐφυεσ ჭიშიანი), მხ. რიცხ. აკუზ. εὐφυέσα → εὐφυέα → εὐφυᾶ (პარალელურია εὐφυῆ ფორმა).

		ფუძე: εὐγενεσ კეთილშობილი	
		მამრ. მდედრ.	საშ.
მხოლობითი	სახ.	εὐγενής	εὐγενές
	ნათ.	εὐγενέ[σ]ος–εὐγενοῦς	εὐγενέ[σ]ος–εὐγενοῦς
	მიც.	εὐγενέ[σ]ι– εὐγενεῖ	εὐγενέ[σ]ι– εὐγενεῖ
	აკუზ.	εὐγενέ[σ]α– εὐγενῆ	εὐγενές
	წოდ.	εὐγενές	εὐγενές
მრავლობითი	სახ.	εὐγενέ[σ]ες–εὐγενεῖς	εὐγενῆ
	ნათ.	εὐγενέ[σ]ων–εὐγενῶν	εὐγενέ[σ]ων–εὐγενῶν
	მიც.	εὐγενέ[σ]σι–εὐγενέσι	εὐγενέ[σ]σι–εὐγενέσι
	აკუზ.	εὐγενεῖς	εὐγενῆ
	წოდ.	εὐγενεῖς	εὐγενῆ
ორობ.	სახ. აკ. წოდ.	εὐγενέ[σ]ε–εὐγενεῖ	εὐγενέ[σ]ε–εὐγενεῖ
	ნათ. მიც.	εὐγενέ[σ]οιν–εὐγενοῖν	εὐγενέ[σ]οιν–εὐγενοῖν

სავარჯიშო მაგალითები:

Oxytona

ἀληθής ἀληθές ჭეშმარიტი, გულმართალი
εὐσεβής, εὐσεβές ღვთისნიერი
ἀσεβής, ἀσεβές უწმინდური, უღვთო
ἀσφαλής, ἀσφαλές მტკიცე
εὐτυχής, εὐτυχές ბედნიერი
δυστυχής, δυστυχές უბედური
ἀτυχής, ἀτυχές უბედური

ψευδής, ψευδές ცრუ
σαφής, σαφές აშკარა, ცხადი
δυσμενής, δυσμενές, მტრული
ἀκρατής, ἀκρατές უძლური
ἀφανής, ἀφανές უჩინარი
ἀκριβής, ἀκριβές ზუსტი
εὐκλεής, εὐκλεές სახელოვანი

Barytona

συνήθης, συνήθες მიჩვეული, ჩვეულებრივი
θηριώδης, θηριῶδες მხეცური

εὐήθης, εὔηθες გულმართალი, მიამიტი
πλήρης, πλῆρες სავსე

αὐτάρκης, αὔταρκες თვითკმაყოფილი

ἐξώλης, ἐξῶλες დამღუპველი
ἐλώδης, ἐλῶδες ჭაობიანი

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ორბოლოკიდურიან ზედსართავ სახელთა ერთ ჯგუფში განსაკუთრებული ფუძეები გვაქვს:

სახ. ἄῤῥην, ἄῤῥεν ან ἄρσην, ἄρσεν მამრი
ნათ. ἄῤῥενος ἄρσενος
სახ. ἵδρις, ἵδρι მცოდნე
ნათ. ἵδριος, ან ἵδρεως
სახ. ἄχαρις ἄχαρι გონჯი
ნათ. ἀχάριτος
სახ. ἐπίχαρις, ἐπίχαρι სასიამოვნო, ალერსიანი
ნათ. ἐπιχάριτος
სახ. εὔελπις, εὔελπι საიმედო
ნათ. εὐέλπιδος
სახ. φιλόπολις, φιλόπολι ქალაქის მოყვარული
ნათ. φιλοπόλεως ან φιλοπόλιδος
სახ. ἀπάτωρ, ἄπατορ უმამო
ნათ. ἀπάτορος
სახ. δίπους, δίπουν ორფეხა
ნათ. δίποδος

III. ერთბოლოკიდურიანი ზედსართავი სახელები

ერთბოლოკიდურიან ზედსართავ სახელებს ერთი და იგივე დაბოლოება აქვთ სამივე სქესისათვის. მნიშვნელობისა და ფორმის გამო ეს ზედსართავები ჩვეულებრივ მამრობითსა და მდედრობით სქესს გამოხატავენ. მათი გამოყენება საშუალო სქესის აღსანიშნავად ფრიად იშვიათია.

ფუძეები სხვადასხვაგვარი დაბოლოებებითაა წარმოდგენილი. ყველაზე უფრო ხშირია ფუძეთა დაბოლოებებში ხორხისმიერი და კბილისმიერი თანხმოვნები.

მხოლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვა ნაირნაირი ბოლოკიდურით ხასიათდება. ეს ბოლოკიდურებია: ας, ης, ις, υς, ως, ξ, ην, ρ.

ერთბოლოკიდურიანი ზედსართავი სახელები იბრუნვიან ისევე, როგორც შესაბამისი ფუძეების მქონე მესამე კანკლედობის არსებითი სახელები.

ხშირია ერთბოლოკიდურიან ზედსართავ სახელთა გაარსებითება.

სანიმუშოდ მოგვყავს ბრუნება ზედსართავი სახელისა φυγάς (იბრუნვის როგორც არსებითი სახელი ἡ λαμπάς λαμπάδ-ος):

	ფუძე: φυγαδ ლტოლვილი, გაქცეული		
	მხოლ.	მრავლ.	ორობითი
სახ.	φυγάς	φυγάδ-ες	სახ.აკუზ. წოდ. φυγάδ-ε
ნათ.	φυγάδ-ος	φυγάδ-ων	ნათ. მიც. φυγάδ-οιν
მიც.	φυγάδ-ι	φυγάσι(ν)	
აკუზ.	φυγάδ-α	φυγάδ-ας	
წოდ.	φυγάς	φυγάδ-ες	

სავარჯიშო მაგალითები:

πένης, πένητ-ος ღარიბი

γυμνής, γυμνῆτ-ος მსუბუქად შეიარაღებული

ἄπαις, ἄπαιδ-ος უშვილო

Ἕλληνίς, Ἑλλησίδ-ος ელინური, ბერძნული (νῆες Ἑλληνίδ-ες ელინური ხომალდები)

συμμαχίς, συμμαχίδ-ος მოკავშირე (πόλις συμμαχίς მოკავშირე ქალაქი)

πατρίς, πατρίδ-ος მშობლიური, მამისეული (ἡ πατρίς (scilicet – იგულისხმება γῆ, ე.ი. მშობლიური მიწა, მამული, სამშობლო)

νέηλυς, νέηλυδ-ος ახლახან მოსული (ἤλυθον)

ἀγνώς, ἀγνῶτ-ος უცნობი, უმეცარი

ἅρπαξ, ἅρπαγ-ος მტაცებელი

μῶνυξ, μώνυχ-ος ერთჩლიქიანი

ἀπτήν, ἀπτῆν-ος უფრთო, შეუბუმბლავი

μάκαρ, μάκαρ-ος ნეტარი

μακρόχειρ, μακρόχειρ-ος ხელგრძელი (მხარგრძელი).

თავისებური ზედსართავები

ზემოთ წარმოდგენილი სამბოლოკიდურიანი ზედსართავი სახელების μέγας (დიდი) და πολύς (მრავალი) გარდა ბრუნვათა წარმოების დროს თავისებურებას ამჟღავნებენ სხვა ზედსართავებიც.

1.ზედსართავი სახელი მნიშვნელობით „ნაზი“, „წყნარი“ ბრუნვათა ფორმებს აწარმოებს ორი ფუძიდან, ერთია πρᾳο- (πραο-), მეორეა არქაული πραΰ-.

πραΰ- ფუძიდან იწარმოება: მდედრობითი სქესის ყველა ფორმა, სა-შუალო სქესის მრავლობითი რიცხვი, მამრობითი სქესის მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი და მიცემითი ბრუნვები. დანარჩენი ფორმები მომდინარეობენ ფუძიდან πρᾳο- (πραο-).

		ფუძე: πρᾳο (πραο) და πραΰ		
		მამრ.	მდედრ.	საშ.
მხოლობითი	სახ.	πρᾳος (πρᾶος) ან πραῦς	πραεῖα	πρᾷον (πρᾶον) ან πραΰ
	ნათ.	πρᾴου	πραείας	πρᾴου
	მიც.	πρᾴῳ	πραείᾳ	πρᾴῳ
	აკუზ.	πρᾷον	πραεῖαν	πρᾷον
მრავლობითი	სახ.	πρᾷοι ან πραεῖς	πραεῖαι	πραέα
	ნათ.	πραέων ან πράων	πραειῶν	πραέων ან πράων
	მიც.	πραέσι(ν)	πραείαις	πραέσι(ν)
	აკუზ.	πρᾴους	πραείας	πραέα
ორობ.	სახ. აკ. ზოდ.	πρᾴω	πραεία	πρᾴω
	ნათ. მიც.	πρᾴοιν	πραείαιν	πρᾴοιν

2.ზედსართავი სახელი მნიშვნელობით „საღი“, „უვნებელი“ (ლათ. salvus), რომელიც წესისამებრ აწარმოებს ბრუნვებს სამბოლოკიდურიანი ფორმებიდან σῶος, σῶα, σῶον (მრავლ. რიცხვი σῶοι, σῶαι, σῶα), ხშირადაა წარმოდგენილი ორბოლოკიდურიანი ფორმით σῶσ, σῶν, რაც მიღებულია კონტრაქციით ფორმიდან σάος. თავისებურებებს ეს ფორმა წარმოგვიდ-გენს მხ. რიცხვის აკუზატივუსში მამრ. და მდედრ. სქესისათვის (σῶν), მრ. რიცხვის აკუზატივუსში მამრ. და მდედრ. სქესისათვის (σῶς), მრ. რიცხვის სახელობითში საშ. სქესისათვის (σᾶ).

ზედსართავ სახელთა ხარისხები

ზედსართავი სახელი მეტყველების სხვა ნაწილებთან ურთიერთობაში ფორმას იცვლის არა მარტო ბრუნვათა მიხედვით, არამედ ხარისხების მიხედვითაც. ქართულ ენაში ზედსართავი სახელი საგნის ნიშანს მეტ-ნაკლებობის თვალსაზრისით ორი ხარისხით გამოხატავს (დიდი – უდიდესი, შავი – უშავესი, კარგი – უკეთესი), ბერძნული ზედსართავი სახელს კი სამი ხარისხი გააჩნია. ესენია: დაწყებითი ანუ დადებითი ხარისხი (gradus positivus), შედარებითი ხარისხი (gradus comparativus) და აღმატებითი ხარისხი (gradus superlativus).

შედარებითი და აღმატებითი ხარისხების ფორმები ჩვეულებრივ მხოლოდ ვითარებით ზედსართავ სახელებს აქვთ.

ზემოთ მიმოხილული ზედსართავი სახელების ფორმები წარმოადგენენ დაწყებით ანუ დადებით ხარისხს. ესაა ამოსავალი ფორმა, რომლისგანაც სათანადო სუფიქსების დართვით შედარებითი და აღმატებითი ხარისხები იწარმოება.

ხარისხის წარმოებაში გამოიყოფა ორი მთავარი ტიპი.

ხარისხის წარმოების პირველი ტიპი

პირველი ტიპის ზედსართავი სახელების ხარისხთა წარმოების ყველაზე გავრცელებული ფორმაა:

შედარებითი ხარისხის საწარმოებლად ზედსართავი სახელის მამრობითი სქესის ფუძეს ემატება სუფიქსი -τερ-, აღმატებითი ხარისხის საწარმოებლად კი – სუფიქსი -τατ-.

ამ სუფიქსებს დაერთვის პირველი რიგის ზედსართავ სახელთა ბოლოკიდურები: -ος მამრობითი სქესისათვის, -α, -η მდედრობითი სქესისათვის და -ον საშუალო სქესისათვის. მივიღებთ შემდეგ დაბოლოებებს: -τερος, -τέρα, -τερον – შედარებით ხარისხში და -τατος, -τάτη, -τατον – აღმატებით ხარისხში.

ამ წესით ხარისხს აწარმოებენ: 1) პირველი რიგის (ე.ი. პირველი და მეორე კანკლედობის) ზედსართავი სახელები, რომელთა ფუძეც მამრობით სქესში ბოლოვდება ο-ზე (მხ. რიცხვის სახ. ბრუნვის ბოლოკიდურია ος); 2) მეორე რიგის (ე.ი. მესამე კანკლედობა) ზედსართავი სახელები, რომელთა ფუძეც ბოლოვდება: υ-ზე (მხ. რიცხვის სახ. ბრუნვის

ბოლოკიდურია υς), αν-ზე (მხ. რიცხვის სახ. ბრუნვის ბოლოკიდურია ας) და εσ-ზე (მხ. რიცხვის სახ. ბრუნვის ბოლოკიდურია ης).

დაწყებითი ხარისხი	ფუძე	შედარებითი ხარისხი	აღმატებითი ხარისხი
δίκαιος	δικαιο	δικαιό-τερος	δικαιό-τατος
δίκαια		δικαιο-τέρα	δικαιο-τάτη
δίκαιον		δικαιό-τερον	δικαιό-τατον
სამართლიანი		უფრო სამართლიანი	ყველაზე უფრო სამართლიანი
γλυκύς	γλυκυ	γλυκύ-τερος	γλυκύ-τατος
γλυκεῖα		γλυκυ-τέρα	γλυκυ-τάτη
γλυκύ		γλυκύ-τερον	γλυκύ-τατον
ტკბილი		უფრო ტკბილი	ყველაზე უფრო ტკბილი
ὀξύς	ὀξυ	ὀξύ-τερος	ὀξύ-τατος
ὀξεῖα		ὀξυ-τέρα	ὀξυ-τάτη
ὀξύ		ὀξύ-τερον	ὀξύ-τατον
ბასრი		უფრო ბასრი	ყველაზე უფრო ბასრი
μέλας	μελαν	μελάν-τερος	μελάν-τατος
μέλαινα		μέλαν-τέρα	μελαν-τάτη
μέλαν		μελάν-τερον	μελάν-τατον
შავი		უფრო შავი	ყველაზე უფრო შავი
εὐγενής, εὐγενές კეთილშობილი	εὐγενεσ	εὐγενέσ-τερος εὐγενεσ-τέρα εὐγενέσ-τερον უფრო კეთილშობილი	εὐγενέσ-τατος εὐγενεσ-τάτη εὐγενέσ-τατον ყველაზე უფრო კეთილშობილი
ἐνδεής, ἐνδεές გაჭირვებული	ἐνδεεσ	ἐνδεέσ-τερος ἐνδεεσ-τέρα ἐνδεέσ-τερον უფრო გაჭირვებული	ἐνδεέσ-τατος ἐνδεεσ-τάτη ἐνδεέσ-τατον ყველაზე უფრო გაჭირვებული

პირველი რიგის ზედსართავ სახელთა წარმოების დროს უნდა გვახსოვდეს შემდეგი წესი: ხარისხთა მაწარმოებელი სუფიქსების დართვისას ფუძისეული ο დაგრძელდება – მოგვცემს ω-ს, თუ მის წინამდებარე მარცვალი მოკლეა; მაგრამ ο უცვლელი დარჩება, თუ მის წინამდებარე მარცვალი გრძელია წარმომავლობით ან მდებარეობით (წარმომავლობით გრძელია მარცვალი, თუ შეიცავს დიფთონგს ან მარტივ გრძელ ხმოვანთაგანს: η, ω, α, ι, υ; მდებარეობით გრძელია მარცვალი, თუ მის შემადგენელ მოკლე ხმოვანს მოსდევს ორი ან მეტი თანხმოვანი, ანდა რთული

თანხმოვანთაგანი: ζ, ξ, ψ. მდებარეობით გრძელია მარცვალი იმ შემთხვევაშიც, თუ მის შემადგენელ მოკლე ხმოვანს ორი ისეთი თანხმოვანი მოსდევს, რომელთაგან პირველი ხშულია და მეორე ნარნარა).

ფუძისეული ο-ს დაგრძელებას იწვევს რიტმიკული კანონი, რომლის ძალითაც ბერძნული ენა გაურბოდა სიტყვაში რამდენიმე მოკლე ხმოვნის თავმოყრას.

მაგალითები:

ο-ს წინ გრძელი ხმოვანია, ο უცვლელი რჩება.

დაწყებითი ხარისხი	ფუძე	შედარებითი ხარისხი	აღმატებითი ხარისხი
κοῦφος მსუბუქი	κουφο	κουφό-τερος	κουφό-τατος
δεινός საშიში	δεινο	δεινό-τερος	δεινό-τατος
πονηρός ცუდი	πονηρο	πονηρό-τερος	πονηρό-τατος
πικρός მწარე	πικρο	πικρό-τερος	πικρό-τατος
λεπτός წვრილი	λεπτο	λεπτό-τερος	λεπτό-τατος
ἔνδοξος სახელოვანი	ἀνδοξο	ἀνδοξό-τερος	ἀνδοξό-τατος
ἐσθλός ძვირფასი	ἐσθλο	ἐσθλό-τερος	ἐσθλό-τατος
ἔντιμος საპატიო	ἀντιμο	ἀντιμό-τερος	ἀντιμό-τατος
πρόθυμος გულმოდგინე	προθυμο	προθυμό-τερος	προθυμό-τατος
ἰσχυρός ძლიერი	ἰσχυρο	ἰσχυρό-τερος	ἰσχυρό-τατος
ἀνιαρός უსიამოვნო	ἀνιαρο	ἀνιαρό-τερος	ἀνιαρό-τατος
ἐπικίνδυνός საშიში	ἐπικινδυνο	ἐπικινδυνό-τερος	ἐπικινδυνό-τατος

ο-ს წინ მოკლე ხმოვანია, ο → ω

დაწყებითი ხარისხი	ფუძე	შედარებითი ხარისხი	აღმატებითი ხარისხი
σοφός ბრძენი	σοφο	σοφώ-τερος	σοφώ-τατος
ἄξιος ღირსეული	ἀξιο	ἀξιώ-τερος	ἀξιώ-τατος
ἐχυρός მაგარი	ἐχυρο	ἐχυρώ-τερος	ἐχυρώ-τατος
πιθανός დამარწმუნებელი	πιθανο	πιθανώ-τερος	πιθανώ-τατος
τίμιος პატივსაცემი	τιμιο	τιμιώ-τερος	τιμιώ-τατος
πολεμικός მეომარი	πολεμικο	πολεμικώ-τερος	πολεμικώ-τατος

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : υ, αν და εσ ფუძიან ზედსართავ სახელთა გარდა, -τερ- და -τατ- სუფიქსებით აწარმოებენ ხარისხებს მეორე რიგის (მესამე კანკლედობის) შემდეგი ზედსართავებიც:

μάκαρ, (μακαρ), μακάρ-τερος, μακάρ-τατος ნეტარი

ἐπίχαρις, (ἐπιχαριτ), ἐπιχαριτώ-τερος, ἐπιχαριτώ-τατος თავაზიანი (ფუძედ გამოყენებულია ἐπιχαριτο)

χαρίεις, (χαριεντ), χαριέσ-τερος, χαριέσ-τατος შვენიერი (ττ კომპლექსი → στ-ს; σ-ს წინ ν ამოვარდა).

πένης, (πενητ), πενέσ-τερος, πενέσ-τατος ღარიბი (η → ε; ττ → στ)

πίων, (πιον), πιό-τερος, πιό-τατος მსუქანი (ფუძისეული ν ამოვარდა)

ἄχαρις, (ἀχαριτ), ἀχαρίσ-τερος, ἀχαρίσ-τατος გონჯი (ττ → στ)

πέπων, (πεπον), πεπαί-τερος, πεπαί-τατος მწიფე (ფუძის ον ბოლოკიდურს ენაცვლება αι)

თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა ნ ი

1. ქვემოთ მოყვანილ ος ბოლოკიდურიან ზედსართავ სახელებში -τερ- და -τατ-სუფიქსთა წინ იკარგება ფუძისეული ο:

დაწყ. ხ.	შედარ. ხ.	აღმატ. ხ.
γεραιός	γεραί-τερος	γεραί-τατος მოხუცი
παλαιός	παλαί-τερος	παλαί-τατος ძველი

(გვხვდება წესიერი წარმოებაც: παλαίο-τερος, παλαίο-τατος)

σχολαῖος	σχολαί-τερος	σχολαί-τατος უქმი

(გვხვდება წესიერი წარმოებაც: σχολαίο-τερος, σχολαίο-τατος)

περαῖος	περαί-τερος	περαί-τατος გადაღმა მდებარე
φίλος	φίλ-τερος	φίλ-τατος საყვარელი, მეგობრული

(გვხვდება ასევე ფორმებიც: φιλαί-τερος, φιλαί-τατος; იშვიათია: φίλω-τερος, φίλω-τατος).

2. ხარისხთა წარმოების დროს ος ბოლოკიდურიან ზოგიერთ ზედსართავ სახელში ფუძისეულ ο ხმოვანს ენაცვლება დიფთონგი αι:

დაწყ. ხ.	შედარ. ხ.	აღმატ. ხ.
μέσος შუა, საშუალო	μεσαί-τερος	μεσαί-τατος
ἴσος თანაბარი	ἰσαί-τερος	ἰσαί-τατος
ὄψιος გვიანი	ὀψιαί-τερος	ὀψιαί-τατος
πρώϊος (πρᾱος) ადრეული	πρωϊαί-τερος	πρωϊαί-τατος
εὔδιος მშვიდი	εὐδιαί-τερος	εὐδιαί-τατος
πλήσιος მახლობელი	πλησιαί-τερος	πλησιαί-τατος
παραπλήσιος მსგავსი	παραπλησιαί-τερος	παραπλησιαί-τατος
ἥσυχος წყნარი	ἡσυχαί-τερος	ἡσυχαί-τατος

(გვეხვდება წესიერი წარმოებაც: ἡσυχώ-τερος, ἡσυχώ-τατος).

3. მეორე რიგის (მესამე კანკლედობის) ον ფუძიანი ზედსართავი სახელები, რომელთაც დაწყებით ხარისხში ორი ბოლოკიდური აქვთ (ων მამრ. და მდედრ. სქესში და ον საშუალო სქესში), შედარებით ხარისხის საწარმოებლად ფუძეზე დაირთავენ -έστερος, -εστέρα, -έστερον სუფიქსებს, აღმატებით ხარისხში კი – -έστατο, -εστάτη, -έστατον:

დაწყებითი ხარისხი	ფ უ ძ ე	შედარებითი ხარისხი	აღმატებითი ხარისხი
σώφρων σῶφρον ჭკვიანი	σωφρον	σωφρον-έστερος σωφρον-εστέρα σωφρον – έστερον უფრო ჭკვიანი	σωφρον-έστατος σωφρον-εστάτη σωφρον – έστατον ყველზე უფრო ჭკვინია
εὐδαίμων εὔδαιμον ბედნიერი	εὐδαιμον	εὐδαιμον-έστερος εὐδαιμον-εστέρα εὐδαιμον- έστερον უფრო ბედნიერი	εὐδαιμον- έστατος εὐδαιμον- εστάτη εὐδαιμον- έστατον ყველზე უფრო ბედნიერი

ასევე აწარმოებენ ხარისხებს:

ა) ი ფუძიანი შემდეგი ზედსართავი სახელები, რომლებიც სუფიქსთა წინ ფუძისეულ ხმოვანს კარგავენ;

დაწყ. ხ.	ფუძე	შედარ. ხ.	აღმატ. ხ.
ἄκρατος	ἀκρατο	ἀκρατ-έστερος	ἀκρατ-έστατος
შეურეველი			
ἐῤῥέμενος	ἐῤῥεμενο	ἐῤῥεμενο-έστερος	ἐῤῥεμενο-έστατος
ღონიერი			
ἅσμενος	ἀσμενο	ἀσμεν- έστερος	ἀσμεν- έστατος
ხალისიანი			

ბ) ους ბოლოკიდურიანი ზოგიერთი შერწყმული ზედსართავი სახელი:

დაწყ. ხ.	შედარ. ხ.	აღმატ. ხ.
εὔνους	εὐνούστερος	εὐνούστατος
კეთილგანწყობილი	(< εὐνο + εστερος)	(< εὐνο + εστατος)
ἁπλοῦς	ἁπλούστερος	ἁπλούστατος
მარტივი	(< ἁπλο + εστερος)	(ἁπλο + εστατος)

4. რამდენიმე ი ფუძიანი ზედსართავი სახელი შედარებით ხარისხში დაირთავს სუფიქსს: -ίστερος, -ιστέρα, ίστερον, აღმატებითში კი – სუფიქსს: -ίστατος, -ιστάτη, -ίστατον. სუფიქსთა წინ ფუძისეული ი ამოვარდება:

დაწყ. ხ.	ფუძე	შედარ. ხ.	აღმატ. ხ.
λάλος	λαλο	λαλ-ίστερος	λαλ-ίστατος
ყბედი		λαλ-ιστέρα	λαλ-ιστάτη
		λαλ- ίστερον	λαλ- ίστατον
πτωχός	πτωχο	πτωχ-ίστερος	πτωχ-ίστατος
მათხოვარი, გლახაკი			
(გვიანდელ ბერძნულში გვხვდება ფორმები: πτωχό-τερος, πτωχό-τατος)			
ὀψοφάγος	ὀψοφαγο	ὀψοφαγ-ίστερος	ὀψοφαγ-ίστατος
პირწუწკი			
μονοφάγος	μονοφαγο	μονοφαγ-ίστερος	μονοφαγ-ίστατα
მარტოჭამია			

ასევე აწარმოებენ ხარისხებს:

κλέπτης	κλεπτ-ίστερος	κλεπτ-ίστατος
ქურდი		
πλεονέκτης	πλεονεκτ-ίστερος	πλεονεκτ-ίστατος

ქედმაღალი, ხარბი

მაგრამ სახელიდან ὑβριστής (თავხედი, ზვიადი) შედ. ხარისხი არის ὑβριστό-τερος, აღმატებითი – ὑβριστό-τατος.

ბრუნებისათვის:

ზედსართავ სახელთა პირველი ტიპის შედარებითი და აღმატებითი ხარისხის ფორმები იბრუნვიან პირველი კანკლედობით მდედრობით სქესში და მეორე კანკლედობით მამრობითსა და საშუალო სქესში, ე.ი. იბრუნვიან ზუსტად ისევე, როგორც პირველი რიგის სამბოლოკიდურიანი ზედსართავი სახელები; მაგალითად: δικαιό-τερος, δικαιο-τέρα, δικαιό-τερον იბრუნვის როგორც δίκαιος, δικαία, δίκαιον. ხოლო δικαιό-τατος, δικαιο-τάτη, δικαιό-τετον – როგორც ἀνθρώπινος, ἀνθρωπίνη, ἀνθρώπινον.

მახვილისათვის:

შედარებით და აღმატებით ხარისხებში მახვილი სიტყვას დაესმის რამდენადაც შესაძლებელია ბოლო მარცვლიდან მოშორებით.

ხარისხთა წარმოების მეორე ტიპი

ძველი ბერძნული ენის ატიკურ დიალექტში ნაკლებ გავრცელებული იყო ზედსართავ სახელთა ხარისხების წარმოების მეორე ტიპი:

შედარებითი ხარისხის საწარმოებლად ზოგიერთი ზედსართავი სახელის ძირს (და არა ფუძეს) ემატება სუფიქსი -ιων (მამრობითი და მდედრობითი სქესისათვის), -ιον (საშუალო სქესისათვის); აღმატებითი ხარისხის საწარმოებლად კი იმავე ძირს დაერთვის სუფიქსი -ιστος (მამრ. სქესისათვის), -ίστη (მდედრ. სქესისათვის), -ιστον (საშ. სქესისათვის).

შედარებითი ხარისხის მაწარმოებელი სუფიქსის კონსონანტური ι (j) ძირეულ თანხმოვანთან შეხვედრისას ზოგჯერ იწვევს ფონეტიკურ ცვლილებებს.

დაწყებითი ხარისხი	ძირი	შედარებითი ხარისხი	აღმატებითი ხარისხი
ἐχθρός მტრული (τὸ ἔχθος მტრობა)	ἐχθ	ἐχθ-ίων, ἔχθ -ιον (გვხვდება ფორმაც ἐχ-θρότερος)	ἔχθ –ιστος, -ίστη, -ιστον (გვხვდება ფორმაც ἐχ-θρότατος)
αἰσχρός, ά, όν სამარცხვინო (τὸ αἶσχος სირცხვილი)	αἰσχ	αἰσχ-ίων, αἴσχ-ιον	αἴσχ-ιστος, -ίστη, -ιστον

ἀλγεινός, ή, όν მტანჯველი (τὸ ἄλγος ტანჯვა, ტკივილი)	ἀλγ	ἀλγ-ίων, ἄλγ-ιον (გვხვდება ფორმაც ἀλγεινότερος)	ἄλγ-ιστος, -ίστη, -ιστον (გვხვდება ფორმაც ἀλγεινότατος)
κακός, ή, όν ცუდი, ბოროტი	κακ	κακ-ίων, κάκ – ιον	κάκ – ιστος, -ίστη, -ιστον
καλός, ή, όν ლამაზი (τὸ κάλλος სილამაზე)	καλ καλλ-εσ	καλλ- ίων, κάλλ-ιον (<καλ –jων; λ+j>λλ)	κάλλ-ιστος, – ίστη, -ιστον
ἡδύς, ἡδεῖα, ἡδύ სასიამოვნო	ἡδ-	ἡδ-ίων, ἥδ- ιον	ἥδ- ιστος, – ίστη, -ιστον
ταχύς, ταχεῖα, ταχύ სწრაფი	ταχ-	θάσσων, θᾶσσον ან θάττων, θᾶττον (<ταχ -jων; გუტურალური თანხმოვანი –χ+ι>σς ან τ-ს; თავკიდური θ შეენაცვლა τ-ს ძირეული ფშვინვიერი ბგერის–χ-ს დაკარგვის გამო: შდრ. θρίξ-τριχός)	τάχ-ιστος, – ίστη, -ιστον
ἐλαχύς, ἐλαχεῖα, ἐλαχύ უმნიშვნელო, პატარა	ἐλαχ -	ἐλάσσων, ἔλασσον (<ἔλαχ -jων)	ἐλάχ – ιστος, – ίστη, -ιστον
μεγάς, μεγάλη, μέγα დიდი	μεγ-	μείζων, μ εῖζον (<μεγ- jων; γ+j>ζ, ხოლო შემდეგ ι გადაინაცვლებს წინა მარცვალში და ε-სთან ქმნის დიფთონგს). იონიურ დიალექტში გვაქვს ფორმა μέζον.	μέγ- ιστος, – ίστη, -ιστον
ῥᾴδιος ადვილი	ῥα -	ῥάων, ῥάον (ῥά-jων)	ῥᾷστος, ῥᾷστη, ῥᾷστον (<ῥα-jστον)

ხარისხთა სუპლეტური წარმოება

მეორე ტიპის რამდენიმე ზედსართავი სახელი ჩვეულებრივ წესს უხვევს და ხარისხთა წარმოების დროს ფუძეს იცვლის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ზედსართავ სახელთა ხარისხებში მნიშვნელობით ერთმანეთთან ახლოს მდგომი ფუძეების ფორმები ერთმანეთს ავსებენ. ასეთი შემავსებელი ანუ სუპლეტური წარმოება მარტო ზედსართავ სახელებში როდი გვხვდება; იგი ხშირია ბერძნული ენის მეტყველების სხვა ნაწილებშიც და, საერთოდ, დამახასიათებელია ინდოევროპული ენებისათვის. ასე, მაგალითად, ლათინურ ენაში დაწყ. ხარისხია bonus, შედარებითია

melior. აღმატებითია optimus; რუსულ ენაში დაწყ. ხარისხია хороший, შედარებითია лучший; გერმანულში – gut – besser; ინგლისურში – good – better; ფრანგულში – bon – meilleur და სხვა. შემავსებელი წარმოება ქართულ ენაშიც გვაქვს: მაგალითად: ზედსართავი სახელისგან „კარგი“ უფროობითი ხარისხი არის არა „უ-კარგესი“, არამედ „უ-კეთ-ესი“. ეს ფორმა მომდინარეობს სახელისაგან „კეთ-ილი“, რომელსაც დაწყებით ხარისხში „კარგი“ ენაცვლება. ზედსართავი სახელი „პატარა“ უფროობითი ხარისხის ფორმად ხმარობს სიტყვას „უმცირესი“, ხოლო „ცუდისაგან“ „უცუდესიც“ გვაქვს და შემავსებელი „უარესიც“.

სუპლეტური წარმოების ზედსართავი სახელები ხარისხებს აწარმოებენ -ιων, -ιον და – ιστος, η, ον სუფიქსებით:

დაწყებითი ხარისხი	ფუძე	შედარებითი ხარისხი	აღმატებითი ხარისხი
ἀγαθός, ή, όν კარგი	ἀγαθο-	—	—
	ϝαμεν-	ἀμείνων, ἄμεινον (< ἀμεν-jων) უკეთესი (სიქველით)	—
	ἀρ-	[ჰომეროსთან: ἀρείων]	ἄριστος, η, ον ყველაზე უკეთესი
	βελτ-	βελτίων, βέλτιον უკე- თესი (ზნეობით)	βέλτιστος, η, ον ყველაზე უკეთესი
	κρετ-, κρατ-	κρείττων, κρεῖττον ან κρείσσων, κρεῖσσον (< κρετ-jων) უკეთესი (ძალით)	κράτιστος, η, ον ყველაზე უკეთესი სიძლიერით
	λω-	λῴων, λῷον (< λω-jων) უკეთესი (სარგებლიანობით)	λῴστος, λῴστη, λῴστον ყველაზე უკეთესი
κακός, ή, όν ცუდი, ბოროტი	κακ-	κακίων, κάκιον უარესი, უღირსი	κάκιστος, η, ον ყველაზე უარესი
	χερ-	χείρων, χεῖρον (< χερ-jων) უარესი, უღირსი	χείριστος, η, ον ყველაზე უღირსი
	ἡκ-	ἥττων, ἧττον ან ἥσσων, ἧσσον (< ἡκ-jων; κ + j > ττ ან σσ	ἥκιστος, η, ον ყველაზე ნაკლები (ზნეობით)

		უარესი, უფრო სუსტი	
μικρός, ά, όν პატარა	μικρο-	μικρότερος, α, ον	μικρότατος, η, ον ყველაზე პატარა (მოცულობით, ზომით)
	μι	μείων, μεῖον შედარებით პატარა	—
ὀλίγος, η, ον მცირე, მცირერიცხოვანი	ὀλιγο-	ὀλίζων, ὄλιζον (ὀλιγ-jων)	ὀλίγιστος, η, ον უმცირესი, ყველაზე მცირე (რიცხვით, რაოდენობით)
	ἐλαχ-	ἐλάσσων, ἔλασσον ან ἐλάττων, ἔλαττον (ἐλαχ-jων) შედარებით მცირე (რიცხოვნობით)	ἐλάχιστος, η, ον ყველაზე მცირე (რიცხვით, რაოდენობით) —
πολύς, πολλή, πολύ მრავალი	πολύ-, πολλο-	—	—
	πλε-	πλείων, πλεῖον ან πλέων, πλέον უმრავლესი, შედარებით მრავალი	πλεῖστος, πλείστη, πλεῖστον ყველაზე მრავალი (რაოდენობით)

ხარისხთა დეფექტური წარმოება

ზოგიერთ ზედსართავ სახელს არ მოეპოვება დაწყებითი ხარისხი. ამ ზედსართავთა შედარებითი და აღმატებითი ხარისხების ფორმები იწარმოება წინდებულებისა და ზმნიზედებისგან.

προ წინ	πρότερος (prior) პირველი (ორში)	πρῶτος (primus) პირველი (მრავალში)
—	δεύτερος (secundus) მეორე, მომდევნო	δεύτατος უკანასკნელი
—	ὕστερος (posterior) უკანა, მომდევნო	ὕστατος (postremus) უკანასკნელი, ყველაზე გვიანი
ἐξ (გან)	—	ἔσχατος (extremus) უკიდურესი
ὑπερ (ზე)	ὑπέρτερος (superior) ზედა, უფრო მაღალი	ὑπέρτατος (supremus, summus) ყველაზე ზედა, ყველაზე მაღალი

ὑπο (ქვეშ)	—	ὕπατος (summus) უმაღლესი, საუკეთესო
—	φέρτερος უკეთესი	φέρτατος საუკეთესო
ἄγχι (ახლოს)	ἄσσων, ἄσσον უფრო მახლობელი	ἄγχιστος უახლოესი
πρύργου (დროულად, სასარგებლოდ)	προυργιαίτερος უფრო სასარგებლო	—

ხარისხთა აღწერილობითი წარმოება

ბერძნულ ენაში, ისევე როგორც სხვა ენებში, ხარისხები იწარმოება არა მარტო სუფიქსებით, არამედ ანალიტიკური ხერხით ანუ აღწერილობით. ასეთი წარმოების დროს ზედსართავი სახელის დაწყებითი ხარისხის ფორმას დაერთვის ზმნიზედის შედარებითი და აღმატებითი ხარისხების ფორმები. ჩვეულებრივ გამოყენებულია ზმნიზედა μάλα, რომლის შედარებითი ხარისხია μᾶλλον (უფრო), აღმატებითი – μάλιστα (ძალიან).

მაგალითად, ზედსართავი სახელი φίλος (საყვარელი), შედარებით ხარისხში μᾶλλον φίλος (უფრო საყვარელი), აღმატებით ხარისხში μάλιστα φίλος (ყველაზე უფრო საყვარელი).

ზედსართავი სახელების ხარისხთა მეორე ტიპის ბრუნებისათვის

აღმატებითი ხარისხის ფორმა სუფიქსებით -ιστος, -ίστη, -ιστον იბრუნვის როგორც პირველი რიგის სამბოლოკიდურიანი ზედსართავი სახელი: პირველი კანკლედობით მდედრობით სქესში, მეორე კანკლედობით – მამრობითსა და საშუალო სქესში. რაც შეეხება შედარებითი ხარისხის ფორმას სუფიქსით -ιων, (-ων) მამრობითსა და მდედრობით სქესში, –ιον (-ον) საშუალო სქესში, იგი იბრუნვის მესამე კანკლედობით როგორც ον ფუძიანი ორბოლოკიდურიანი ზედსართავი სახელი (მაგალითად: εὐδαίμων, εὔδαιμον). განსხვავება ისაა, რომ ზემოხსენებული შედარებითი ხარისხის მამრობითი და მდედრობითი სქესის მხოლობითი რიცხვის აკუზატივუსში და მამრობითი, მდედრობითი და საშუალო სქესის მრავლობითი რიცხვის სახელობითში, აკუზატივუსსა და წოდებითში პარალელურად იხმარება შეურწყმელი და შერწყმული ფორმები. შერწყმულ ფორმებში ν-ს ამოვარდნის შედეგად ο + α > ω, ο + ε > ου, ο + α > ου.

მახვილი სიტყვას დაესმის რამდენადაც შესაძლებელია ბოლო მარცვლიდან მოშორებით:

		მამრ. და მდედრ. სქესი	სამ. სქესი
მხოლობითი	სახ.	βελτίων (უკეთესი)	βέλτιον
	ნათ.	βελτίον-ος	βελτίον-ος
	მიც.	βελτίον-ι	βελτίον-ι
	აკუზ.	βελτίον-α ან βελτίω	βέλτιον
	წოდ.	βέλτιον	βέλτιον
მრავლობითი	სახ.	βελτίον-ες ან βελτίους	βελτίον-α ან βελτίω
	ნათ.	βελτιόν-ων	βελτιόν-ων
	მიც.	βελτίοσι(ν)	βελτίοσι(ν)
	აკუზ.	βελτίον-ας ან βελτίους	βελτίον-α ან βελτίω
	წოდ.	βελτίον-ες ან βελτίους	βελτίον-α ან βελτίω
ორობითი	სახ. აკუზ. წოდ.	βελτίσν-ε	βελτίον-ε
	ნათ. მიც.	βελτιόν-οιν	βελτιόν-οιν

		მამრ. და მდედ. სქესი	სამუალო სქესი
მხოლობითი	სახ.	μείζων უფრო დიდი	μεῖζον
	ნათ.	μείζον-ος	μείζον-ος
	მიც.	μείζον-ι	μείζον-ι
	აკუზ.	μείζον-α ან μείζω	μεῖζον
	წოდ.	μεῖζον	μεῖζον
მრავლობითი	სახ.	μείζον-ες ან μείζους	μείζον-α ან μείζω
	ნათ.	μειζόν-ων	μειζόν-ων
	მიც.	μείζοσι(ν)	μείζοσι(ν)
	აკუზ.	μείζον-ας ან μείζους	μείζον-α ან μείζω
	წოდ.	μείζον-ες ან μείζους	μείζον-α ან μείζω
ორობითი	სახ. აკუზ. წოდ.	μείζον-ε	μείζον-ε
	ნათ. მიც.	μειζόν-οιν	μειζόν-οιν

სავარჯიშო მაგალითები

ἡδίων, ἥδιον უფრო სასიამოვნო

κρείττων, κρεῖττον უფრო ძლიერი

αἰσχίων, αἴσχιον უფრო სამარცხვინო

ზმნიზედა (ἐπίῤῥημα)

არსებობს ორი ტიპის ზმნიზედა: 1) პირველადი ანუ საკუთრივ ზმნიზედა და 2) ნაწარმოები ზმნიზედა.

პირველადი ანუ საკუთრივი ზმნიზედების წარმომავლობა მეტყველების რომელიმე ნაწილისაგან არ ჩანს. ასეთ ზმნიზედათა რიცხვი განსაზღვრულია.

ზმნიზედების დიდი უმეტესობა მეტყველების სხვადასხვა ნაწილისაგან არის ნაწარმოები, უპირატესად კი – ზედსართავი სახელებისგან.

1. ზედსართავი სახელისაგან ნაწარმოები ზმნიზედა. ზედსართავი სახელისაგან იწარმოება ვითარების ზმნიზედა. ზმნიზედის წარმოება შეიძლება ყველა რიგისა და ტიპის ზედსართავი სახელისაგან.

ზედსართავი სახელებისაგან ნაწარმოებ ზმნიზედას აქვს ბოლოკიდური -ως. ზმნიზედის საწარმოებლად პრაქტიკულად მივმართავთ შემდეგ წესს: ავიღებთ ზედსართავი სახელის მამრობითი (ან საშუალო) სქესის მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვას და დაბოლოებას -ων შევცვლით ბოლოკიდურით -ως, მახვილს უცვლელად დავტოვებთ:

ზედსართავი სახელი	მრავ. რიცხვის ნათესაობითი	ზმნიზედა
σοφός ბრძენი	σοφῶν	σοφῶς ბრძნულად
νέος ახალი	νέων	νέως ახლა, ახლახანს
δίκαιος სამართლიანი	δικαίων	δικαίως სამართლიანად
ἀναγκαῖος აუცილებელი	ἀναγκαίων	ἀναγκαίως აუცილებლად
ἁπλοῦς (ἁπλόος) მარტივი	ἁπλῶν	ἁπλῶς (ἁπλόως) მარტივად
μέγας დიდი	μεγάλων	μεγάλως დიდად
ἡδύς სასიამოვნო	ἡδέων	ἡδέως სასიამოვნოდ
πᾶς მთელი, ყველა	πάντων	πάντως მთლიანად, ყველა
χαρίεις მშვენიერი	χαριέντων	χαριέντως მშვენივრად
σώφρων ჭკვიანი	σωφρόνων	σωφρόνωςჭკვიანად
σαφής ცხადი, ნათელი	σαφῶν (σαφέων)	σαφῶς (σαφέως)ცხადად
συνήθης ჩვეულებრივი	συνήθων	συνήθως ჩვეულებრივად
ταχύς სწრაფი	ταχέων	ταχέως სწრაფად

-ως ბოლოკიდურით იწარმოება ზმნიზედები აწმყო დროისა და ნამყო დროის (პერფექტუმის) მიმღეობებიდანაც.

მიმღეობა	მრავ. რიცხვის ნათესაობითი	ზმნიზედა
ὤν	ὄντων	ὄντ-ως ნამდვილად, ჭეშმარიტად
συμφέρων	συμφερόντ-ων	συμφερόντ-ως სასარგებლოდ
διαφέρων	διαφερόντ-ων	διαφερόντ-ως გამორჩევით, უპირატესად
εἰκως	εἰκότ-ων	εἰκότ-ως შესაფერისად
ἐσκεμμέν-ος	ἐσκεμμέν-ων	ἐσκεμμέν-ως იჭვნეულად
κεχαρισμένος	κεχαρισμέν-ων	κεχαρισμέν-ως ხალისით

2. ზმნიზედის ხარისხები. ზმნიზედა იწარმოება აგრეთვე შედარებითი და აღმატებითი ხარისხის ზედსართავი სახელებისგანაც:

ა) შედარებითი ხარისხის ზედსართავი სახელის საშუალო სქესის მხოლობითი რიცხვის ფორმა გამოყენებულია ზმნიზედად და იგი ზმნიზედისთვისაც არის შედარებითი ხარისხი;

ბ) აღმატებითი ხარისხის ზედსართავი სახელის საშუალო სქესის მრავლობითი რიცხვის ფორმა გამოყენებულია ზმნიზედად და იგი ზმნიზედისთვისაც არის აღმატებითი ხარისხი:

დაწყებითი ხარისხი	შედარებითი ხარისხი	აღმატებითი ხარისხი
σοφῶς	σοφώτερον	σοφώτατα
ბრძნულად	უფრო ბრძნულად	ყველაზე უფრო ბრძნულად
δικαίως	δικαίοτερον	δικαίοτατα
სამართლიანად	უფრო სამართლიანად	ყველაზე სამართლიანად
ἁπλῶς	ἁπλούστερον	ἁπλούστατα
მარტივად	უფრო მარტივად	ძალიან მარტივად
χαριέντως	χαριέστερον	χαριέστατα
მშვენივრად, სასიამოვნოდ	უფრო მშვენივრად	ყველაზე მშვენივრად
σωφρόνως	σωφρονέστερον	σοφρονέστατα
გონივრულად	უფრო გონივრულად	ყველაზე გონივრულად
σαφῶς	σαφέστερον	σαφέστατα
ცხადად	უფრო ცხადად	ყველაზე ცხადად
αἰσχρῶς	αἴσχιον	αἴσχιστα
სამარცხვინოდ	უფრო სამარცხვინოდ	ყველაზე სამარცხვინოდ
ἡδέως	ἥδιον	ἥδιστα
სასიამოვნოდ	უფრო სასიამოვნოდ	ყველაზე სასიამოვნოდ
ταχέως	θᾶττον	τάχιστα
სწრაფად	უფრო სწრაფად	ძალიან სწრაფად
καλῶς	κάλλιον	κάλλιστα
ლამაზად	უფრო ლამაზად	ძალიან ლამაზად
πλέον, πλείω	πλεῖστον	πλεῖστα
მეტად	უფრო მეტად	ყველაზე მეტად

ზოგჯერ ზმნიზედის შედარებითი ხარისხის ფორმა იწარმოება ბოლოკიდურით -ως: βεβαιοτέρως (უფრო მტკიცედ), σαφεστέρως (უფრო ცხადად), μειζόνως (უფრო დიდად), καλλιόνως (უფრო ლამაზად); მაგრამ უფრო ხშირია ჩვეულებრივი ფორმა: βεβαιότερον, σαφέστερον, μεῖζον, κάλλιον.

3. ზმნიზედის ხარისხთა სუპლეტური წარმოება

დაწყებითი ხარისხი	შედარებითი ხარისხი	აღმატებითი ხარისხი
εὖ	ἄμεινον უკეთესად	ἄριστα ყველაზე უკეთესად
კარგად	βέλτιον უკეთესად	βέλτιστα ყველაზე უკეთესად
	κρεῖττον	κράτιστα
	უფრო ძლიერად	ყველაზე ძლიერად
κακῶς	ἧττον	ἥκιστα
ცუდად	უარესად	ყველაზე ნაკლებად, არამც და არამც
ἄγχι	ἄσσον ან ἀσσοτέρω	ἄγχιστα
ახლოს	უფრო ახლოს	ძალიან ახლოს
μάλα, πάνυ	μᾶλλον (magis, potius)	μάλιστα
ძალიან	(<μαλ-jον)	ყველაზე უფრო მეტად
	უფრო მეტად	

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: აღმატებითი ხარისხი შეიძლება გაძლიერდეს ნაწილაკით ὡς: ὡς τάχιστα – რაც შეიძლება უსწრაფესად.

4. ადგილის ზმნიზედები -ω ბოლოკიდურით

დაწყებითი ხარისხი	შედარებითი ხარისხი	აღმატებითი ხარისხი
ἄνω მაღლა	ἀνωτέρω	ἀνωτάτω
κάτω დაბლა	κατωτέρω	κατωτάτω
πρόῤῥω ან πρόσω შორს	πορρωτέρω, προσσωτέρω	πορρωτάτω, προσωτάτω
εἴσω ან ἔσω შიგნით	ἐσωτέρω	ἐσωτάτω
ἔξω გარეთ	ἐξωτέρω	ἐξωτάτω
ასევე:		
ἐγγύς ახლოს	ἐγγυτέρω ან ἐγγύτερον	ἐγγυτάτω ან ἐγγύταρα
ἔνδον შიგნით	ἐνδοτέρω	ἐνδοτάτω
ἑκάς შორს	ἑκαστέρω	ἑκαστάτω
πέρα გადაღმა	περαιτέρω ან περαίτερον	–
ἄπο (წინდ.) -გან	ἀπωτέρω	ἀπωτάτω

5. ზმნიზედა ბრუნვათა ფორმით. ბევრი ზმნიზედა ამა თუ იმ ბრუნვის გაქვავებულ ფორმას წარმოადგენს; ზმნიზედად ქცეულ სახელს დაკარგული აქვს ბრუნვის ფუნქცია:

ა) ნათესაობითის ფორმით ὁμοῦ „ერთად“, οὐδαμοῦ „არსად“, πολλαχοῦ „მრავალ ადგილას“, πανταχοῦ „ყველგან“, ἐξαίφνης „ანაზდად“, „უცბად“ და სხვა.

ბ) მიცემითის ფორმით: ἰδίᾳ „კერძოდ“, σπουδῇ „ბეჯითად“, παντάπασι(ν) „სრულიად“, πεζῇ „ქვეითად“, „ფეხით“, „პროზაულად“, δημοσίᾳ „საჯაროდ“ და სხვა.

გ) აკუზატივუსის ფორმით: ἄγαν, λίαν „ძლიერ“, δωρεάν „მუქთად“ αὖριον „ხვალ“, τέλος „ბოლოს“, εὐθύ (εὐθύς) „პირდაპირ“, παραχρῆμα „ახლავე“, πολύ „ბევრად“, „გაცილებით“, πρόφασιν „საბაბით“, οὐδέν „სრულებით არა“, πρῶτον „ჯერ“, „უწინ“, „პირველად“, χάριν „გულისთვის“ და სხვა.

6. ზმნიზედა არტიკლის თანხლებით. ზოგჯერ ზმნიზედას თან ახლავს არტიკლი: τὸ πρῶτον „პირველად“, τὸ νῦν „ახლა“, τὸ πάλαι „წინათ“ და სხვა.

7. ზმნიზედა ბოლოკიდურით α. ზმნიზედის უძველეს ფორმას აქვს ბოლოკიდური α: τάχα „სწრაფად“ (პარალელური ფორმებია: ταχέως, ταχύ), ἅμα „ერთად“, μάλα „ძალიან“, πέρα „გარდა“ და სხვა.

8. ზმნიზედები -δόν, -δην, -τι, -ει, -ξ მაწარმოებლებით:

ἀγελε-δόν „ჯოგ-ჯოგად“ (ἡ ἀγέλη „ჯოგი“, „ნახირი“)

ἀναφαν-δόν (ἀναφανδά) „აშკარად“, (ἀναφαίνω „ვააშკარავებ“)

κρύβ-δην (κρύβ-δα) „მალულად“ (κρύβω - κρύπτω „ვმალავ“)

συλλήβ-δην „თავმოყრით“ (συλλαμβάνω „ვკრებ“)

σπορ-άδην „გაბნეულად“, „გაფანტულად“ (σπείρω „ვთეს“)

μίγ-δην (μίγ-δα) „შერეულად“ (μίγνυμι „ვურევ“)

βά-δην „ნაბიჯ-ნაბიჯ“, „თანდათან“ (βαίνω „დავდივარ“)

νεωσ-τί „ახლახან“ (νέως „ახლა“)

ὀνομασ-τί „სახელდებით“ (τὸ ὄνομα „სახელი“)

ἑλληνισ-τί „ბერძნულად“ (ἑλληνίζω „ბერძნულად ვლაპარაკობ“)

ἀτιμωρη-τί „დაუსჯელად“ (ἀτιμώρητος „დაუსჯელი“)

πανδημ-εί (πανδημ-ί) „უკლებლივ“ (ἡ πανδημία „მთელი მოსახლეობა“)

ἀ-εί „მუდამ“

πέριξ „ირგვლივ“

πύξ „მუშტით“ (ἡ πυγμή „მუშტი“)

γνύξ „მუხლმოყრით“ (τὸ γόνυ „მუხლი“)

9. ზმნიზედები ადგილის გარემოების მაწარმოებელი ნაწილაკებით. ბერძნულ ენაში არის რამდენიმე ნაწილაკი (სუფიქსი), რომლებიც დაერთვიან მეტყველების სხვადასხვა ნაწილებს (არსებით სახელს, ნაცვალსახელს, ზმნიზედას) და ადგილის ზმნიზედებს აწარმოებენ. ეს ნაწილაკები (სუფიქსები) ბრუნვის ნიშნის ფუნქციისაა და ადგილის გარემოებას გამოხატავენ წინდებულების გარეშე.

ა) სუფიქსები -θι, -ι, -σι აწარმოებენ ზმნიზედებს, რომლებიც უპასუხებენ კითხვას სად? (ποῦ; ბერ.; где?) და ერთ ადგილას მყოფობას გამოხატავენ:

ἄλλο-θι – სხვაგან (მრავალ ადგილთა შორის)
ἑτέρω-θι – სხვაგან (მეორე ადგილას)
πολλαχό-θι – მრავალ ადგილას
ἑκατέρω-θι, ἀμφοτέρω-θι } ორივე მხარეს
οἴκο-θι – სახლში, შინ
Κορινθό-θι – კორინთოში

სუფიქსი -ι ადგილობრივი (ლოკალური) ბრუნვის მაწარმოებელი ელემენტი იყო. მისგან წარმოებული ფორმები ზმნიზედებად იქცნენ. -ι იხმარება მხოლობით რიცხვში, მრავლობითში მას ენაცვლება სუფიქსი -σι(ν):

οἴκοι – სახლში (რუს. дома, ლათ. domi), ნაწარმოებია არსებითი სახელისაგან ὁ οἶκος „სახლი“ (მახვილის თვალსაზრისით შეადარე ამ სიტყვის მრავლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვას οἱ οἶκοι „სახლები“).

χαμαί მიწაზე, ძირს
Ἰσθμοῖ ისთმოსზე
Μαραθῶνι მარათონში
Μεγαροῖ მეგარაში
Πυθοῖ პითონში
Ἀθήνη-σι(ν) ათენში
Πλαταιᾶ-σι(ν) პლატეაში
Ὀλυμπία-σι(ν) ოლიმპიაში, ოლიმპიურ დღეობებზე
θύρα-σι(ν) კარებთან, ეზოში, გარეთ (foris).

ბ) სუფიქსები -δε, -σε, -ζε აწარმოებენ ზმნიზედებს, რომლებიც უპასუხებენ კითხვას – სად? (საითკენ? куда?). ეს ზმნიზედები სხვა პუნქტისკენ მიმართულ მოძრაობას აღნიშნავენ. ენკლიტიკური ნაწილაკი (სუფიქსი) – δε ჩვეულებრივ დაერთვის აკუზატივუსი ბრუნვის ფორმას:

οἶκον-δε და οἴκ-α-δε – შინ, შინისკენ (რუს. домой, ლათ. domum)

οὐρανόν-δε – ზეცაში (ზეცისკენ)

Ἐλευσῖν-ά-δε – ელევსინში (ელევსინისკენ)

ἄλλο-σε – სხვა ადგილისკენ

πάντ-ο-σε – ყველგან, ყოველი მხრიდან

τηλό-σε – შორს

κυκλό-σε – ირგვლივ

ἐκεῖ-σε – იქითკენ

Ἀθήνα-ζε (< *Αθηνας-δε) – ათენისკენ

Θήβα-ζε (< *Θηβας-δε) – თებესკენ

θύρα-ζε (< *θυρας-δε) – გარეთ, კარ-გარეთ

χαμᾶ-ζε – მიწაზე, ძირს

გ) სუფიქსი -θεν აწარმოებს ზმნიზედას, რომელიც უპასუხებს კითხვას – საიდან? (πόθεν):

οἴκο-θεν – სახლიდან (რუს. из дому, ლათ. domo)

Ἀθήνη-θεν – ათენიდან

Οὐρανό-θεν – ზეციდან

ἄλλο-θεν – სხვა ადგილიდან

πάντο-θεν – ყოველი მხრიდან

ῥιζό-θεν – ფესვიდან, ძირიდან

იგივე სუფიქსია ზმნიზედებში: ἔωθεν – ალიონიდან, πατρόθεν -მამის მხრიდან, მამისგან, ἔνθεν, ἐντεῦθεν -აქედან.

10. პირველადი (საკუთრივ) ზმნიზედები: εὖ – კარგად, ἀ-εί – მუდამ, αὐτίκα – მყისვე, αὖθις – კვლავ, νῦν – ახლა, ἤδη – უკვე, αὔριον ხვალ, χθές – გუშინ, πρίν – წინათ და სხვა.

11. თანაფარდობითი ზმნიზედები (adverbia correlativa):

კითხვითი	განუსაზღვრელობითი (ენკლიტიკური)	ჩვენებითი	მიმართებითი	მიმართებითი-განუსაზღვრელობითი	უარყოფითი
ποῦ სად?	πού სადმე	ἔνθα, ἐνθάδε, ἐνταῦθα აქ; ἐκεῖ, αὐτοῦ იქ	οὗ, ἔνθα სადაც	ὅπου სადაც კი	οὐδαμοῦ არსად
τῇ სად, საითკენღაც, როგორ	τῇ სადმე, საითკენმე, როგორმე	τῇδε, ταύτῃ აქ, აქეთკენ	ᾗ საითკენაც, როგორც	ὅτῃ საითკენაც, როგორც კი	Οὐδαμῇ არსად, არავითარ შემთვევაში
ποῖ საით, საითკენ	ποί საითკენმე	ἐκεῖσε იქით, იქითკენ	οἷ საითკენაც	ὅποι საითკენაც კი	οὐδαμοῖ არსაითკენ
πόθεν საიდან?	ποθέν საიდანრაც	ἐνθένδε, ἐντεῦθεν აქედან; ἐκεῖθεν, αὐτόθεν იქიდან	ὁθεν, ἔνθεν საიდანაც	ὁπόθεν საიდანაც კი	οὐδαμόθεν არსაიდან
πότε როდის?	ποτέ როდისმე	τότε მაშინ	ὅτε როდესაც	ὁπότε როდესაც კი	οὐδέποτε არასოდეს
Πηνίκα რა დროს?	—	τηνικάδε, τηνικαῦτα იმ დროს	ἡνίκα როდესაც, რა დროსაც	ὁπηνίκα როდესაც კი, რა დროსაც კი	—
πῶς, როგორ? ვით? რანაირად?	πώς როგორმე, რამენაირად	ὧδε, οὕτως ასე, ამნაირად	ὡς როგორც, რანაირადაც	ὅπως რანაირადაც კი	οὐδαμῶς არავითარი გზით, არაფრით არ

ნაცვალსახელი (ἀντωνυμία)

ნაცვალსახელი მეტყველების ის ნაწილია, რომელიც სხვა სახელის (არსებითის, ზედსართავის, რიცხვითის) მაგივრობას ეწევა. ამიტომ დაერქვა მას „ნაცვალსახელი“ (ἀντι + ὄνυμα - ὄνομα). უპირატესად იგი არსებითისა და ზედსართავის ნაცვლად იხმარება.

შინაარსის მიხედვით ნაცვალსახელებში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები: პირისა, განსაზღვრებითი, ურთიერთობისა, უკუქცევითი, კუთვნილებითი, ჩვენებითი, მიმართებითი, კითხვითი, განუსაზღვრელობითი, უარყოფითი.

1. პირის ნაცვალსახელები (προσωπικαὶ ἀντινυμίαι)

		პირველი პირი	მეორე პირი	მესამე პირი
მხოლობითი	სახ.	ἐγώ მე	σύ შენ	- [ის]
	ნათ.	ἐμοῦ, μοῦ	σοῦ	οὗ
	მიც.	ἐμοί, μοί	σοί	οἷ
	აკუზ.	ἐμέ, μέ	σέ	ἕ
მრავლობითი	სახ.	ἡμεῖς ჩვენ	ὑμεῖς თქვენ	σφεῖς, σφέα ისინი
	ნათ.	ἡμῶν	ὑμῶν	σφῶν
	მიც.	ἡμῖν	ὑμῖν	σφίσι(ν)
	აკუზ.	ἡμᾶς	ὑμᾶς	σφᾶς, σφέα
ორობითი	სახ. აკუზ.	νώ ჩვენ (ორნი)	σφώ თქვენ (ორნი)	σφωέ ისინი (ორნი)
	ნათ. მიც.	νῷν	σφῷν	σφωΐν

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი: 1) ფორმები μου, μοι, με მუდამ ენკლიტიკურია; ასევე – οὑ, οἱ, ἑ, σφέα, σφίσι(ν), σφωΐν. ფორმები ἐμοῦ, ἐμοί, ἐμέ არაენკლიტიკურია, σου, σοι, σε კი ხან ენკლიტიკურია, ხან – არაენკლიტიკური. არაენკლიტიკური ფორმები მაშინ გამოიყენება, როცა ნაცვალსახელზე ლოგიკური მახვილია, ანდა, როცა ნაცვალსახელს წინ უსწრებს წინდებული: ἐμοὶ ἤ σοί; „მე თუ შენ?“, σὲ λέγω „შენზე ვლაპარაკობ“; „შენ გგულისხმობ“, διὰ σέ „შენი მეშვეობით“, ἐπὶ σέ „შენ წინააღმდეგ“.

2) თუ ქვემდებარე პირის ნაცვალსახელია, მისი სახელობითი ბრუნვა წინადადებაში ჩვეულებრივ არ იხმარება, თუ ამ ნაცვალსახელს ლოგიკური მახვილი არ მოუდის.

3) პირველი პირის ნაცვალსახელის მხოლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვა წარმოდგენილია ფორმით ἐγώ, რომელსაც დანარჩენ ბრუნვათა ფორმებისაგან განსხვავებული ფუძე აქვს. ასეთი სუპლეტივიზმი საერთოდ ახასიათებთ ინდოევროპულ ენებს: ლათ. ego – mei, ფრანგ. je – moi, გერმ. ich – meiner, ინგლ. I – me, რუს. я – меня. ეს სუპლეტივიზმი არის ქართულ ენაშიც: შეადარე სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვის „მე“ და ნათესაობითი ბრუნვის „ჩემ“ ფორმები; ორი სხვადასხვა ფუძე მოეპოვებათ ქართულშიც ჩვენებით ნაცვალსახელებსაც.

4) მესამე პირის ნაცვალსახელი, რომელმაც ადრევე უკუქცევითი ნაცვალსახელის მნიშვნელობა მიიღო, უპირატესად იონურ დიალექტში იხმარებოდა. მესამე პირის ნაცვალსახელის მაგივრობას ეწევიან: ირიბ ბრუნ-

ვათა ფორმები ნაცვალსახელისა αὐτός და ჩვენებითი ნაცვალსახელები: ἐκεῖνος, οὗτος, ὅδε.

5) პირის ნაცვალსახელთა ფორმებს ზოგჯერ ემატება გამაძლიერებელი ენკლიტიკური ნაწილაკი -γε. ამ ნაწილაკის დართვისას ფორმებში ἐγώ და ἐμοί მახვილი წინ გადაიწევს: ἔγωγε, ἔμοιγε. სხვა ფორმებში მახვილი უცვლელი რჩება: ἐμοῦγε, ἐμέγε.

2. განსაზღვრებითი ნაცვალსახელები (ὁριστικαὶ ἀντωνυμίαι). αὐτός, αὐτή, αὐτό. ეს ნაცვალსახელი იბრუნვის როგორც პირველი რიგის ზედსართავი სახელი (მაგალითად, ἀγαθός). განსხვავება ისაა, რომ საშუალო სქესის ფორმა მხ. რიცხვის სახელობითსა და აკუზატივუსში წარმოდგენილია წმინდა ფუძით -ν ბოლოკიდურის გარეშე (როგორც არტიკლი τό).

αὐτός, ή, ό აღნიშნავს იმას, რასაც ქართული „თვით“, „თვითონ“ (რუს. сам, самый. ლათ. ipse): αὐτός ὁ πατήρ „თვითონ მამა“; გარდა ამისა, ირიბ ბრუნვებში მესამე პირის ნაცვალსახელის მნიშვნელობაც აქვს: ἑρῶ αὐτούς „ვხედავ მათ“.

		მამრობითი	მდედრობითი	საშუალო
მხოლობითი	სახ.	αὐτός	αὐτή	αὐτό
	ნათ.	αὐτοῦ	αὐτῆς	αὐτοῦ
	მიც.	αὐτῷ	αὐτῇ	αὐτῷ
	აკუზ.	αὐτόν	αὐτήν	αὐτό
მრავლობითი	სახ.	αὐτοί	αὐταί	αὐτά
	ნათ.	αὐτῶν	αὐτῶν	αὐτῶν
	მიც	αὐτοῖς	αὐταῖς	αὐτοῖς
	აკუზ.	αὐτούς	αὐτάς	αὐτά
ორობითი	სახ. აკუზ.	αὐτώ	αὐτά	αὐτώ
	ნათ. მიც.	αὐτοῖν	αὐταῖν	αὐτοῖν

ეს ნაცვალსახელები არტიკლის თანხლებით ὁ αὐτός, ἡ αὐτή, τὸ αὐτό ნიშნავს „იგივე“-ს: ὁ αὐτὸς ἀνήρ („იგივე კაცი“), ἡ αὐτὴ χώρα („იგივე ქვეყანა“). ბრუნების დროს შეიძლება მოხდეს ხმოვნით დაბოლოებული არტიკლის ფორმის შერწყმა ნაცვალსახელთან კრასისის წესით:

		მამრობითი	მდედრობითი	საშუალო
მხოლობითი	სახ.	ὁ αὐτός – αὐτός	ἡ αὐτή – αὐτή	τὸ αὐτό(ν) – ταὐτό(ν)
	ნათ.	τοῦ αὐτοῦ – ταὐτοῦ	τῆς αὐτῆς	τοῦ αὐτοῦ – ταὐτοῦ
	მიც.	τῷ αὐτῷ – ταὐτῷ	τῇ αὐτῇ-ταὐτῇ	τῷ αὗτῷ – ταὐτῷ
	აკუზ.	τὸν αὐτόν	τὴν αὐτήν	τὸ αὐτό(ν) – ταὐτό(ν)
მრავლობითი	სახ.	οἱ αὐτοί – αὐτοί	αἱ αὐταί – αὐταί	τὰ αὐτά – ταὐτά
	ნათ.	τῶν αὐτῶν	τῶν αὐτῶν	τῶν αὐτῶν
	მიც.	τοῖς αὐτοῖς	ταῖς αὐταῖς	τοῖς αὐτοῖς
	აკუზ.	τοὺς αὐτούς	τὰς αὐτάς	τὰ αὐτά – ταὐτά
ორობითი	სახ. აკუზ.	τὼ αὐτώ – ταὐτώ	τὰ αὐτά – ταὐτά	τὼ αὐτώ – ταὐτώ
	ნათ. მიც.	τοῖν αὐτοῖν	ταῖν αὐταῖν	τοῖν αὐτοῖν

ἄλλος, ἄλλη, ἄλλο ნიშნავს: „სხვა“, „მეორე“ (მრავალში). იბრუნვის როგორც αὐτός. (ἄλλος < ἀλ-jος; ლათ. alius):

		მამრობითი	მდედრობითი	საშუალო
მხოლობითი	სახ.	ἄλλος	ἄλλη	ἄλλο
	ნათ.	ἄλλου	ἄλλης	ἄλλου
	მიც.	ἄλλῳ	ἄλλῃ	ἄλλῳ
	აკუზ.	ἄλλον	ἄλλην	ἄλλο
მრავლობითი	სახ.	ἄλλοι	ἄλλαι	ἄλλα
	ნათ.	ἄλλων	ἄλλων	ἄλλων
	მიც.	ἄλλοις	ἄλλαις	ἄλλοις
	აკუზ.	ἄλλους	ἄλλας	ἄλλα
ორობითი	სახ. აკუზ.	ἄλλω	ἄλλα	ἄλλω
	ნათ. მიც.	ἄλλοιν	ἄλλαιν	ἄλλοιν

შენიშვნა: ἄλλοι = „სხვები“; οἱ ἄλλοι = „დანარჩენები“. პირველი რიგის ზედსართავი სახელის მსგავსად იბრუნვიან აგრეთვე შემდეგი ნაცვალსახელებიც:

πρότερος, προτέρα, πρότερον „პირველი“ (ორში; ლათ. prior)

ἕτερος, ἑτέρα, ἕτερον „სხვა“, „მეორე“ (ორში; ლათ. alter)

οὐδέτερος, οὐδετέρα, οὐδέτερον „არც ერთი“ (ორში; ლათ. neuter)

μηδέτερος, α, ον = οὐδέτερος „ვერცერთი“ (ორში: ლათ. neuter)

ἕκαστος, ἑκάστη, ἕκαστον „ყოველი“, „თითოეული“ (ლათ. quisque)

ἀμφότερος, ἀμφοτέρα, ἀμφότερον „ორივე“, (ორში; ლათ. uterque)

ἑκάτερος, α, ον= ἀμφότερον

3. ურთიერთობის ნაცვალსახელი (ἀλληλοπαθεῖς ἀντωνυμίαι). ურთიერთობის ნაცვალსახელი იწარმოება ἄλλος ნაცვალსახელის ფუძის გაორკეცებით და მეორე ნაწილში α-ს დაგრძელებით (α → η): ἀλλ + ἀλλ - ἀλλ + ηλο → ἀλλήλων „ერთმანეთი“, ურთიერთი“ (ლათ. alius alium, გერმ. einander, რუს. друг друга). ეს ნაცვალსახელი გამოხატავს ორი ან მეტი პირის ურთიერთობას. იბრუნვის პირველი და მეორე კანკლედობით მრავლობითი და ორობითი რიცხვის ირიბ ბრუნვებში (მნიშვნელობის გამო არა აქვს სახელობითი ბრუნვა და მხოლობითი რიცხვი):

		მამრობითი	მდედრობითი	საშუალო
მხოლობითი	ნათ.	ἀλλήλων	ἀλλήλων	ἀλληλων
	მიც.	ἀλλήλοις	ἀλλήλαις	ἀλλήλοις
	აკუზ.	ἀλλήλους	ἀλλήλας	ἄλληλα
ორობითი	აკუზ.	ἀλλήλω	ἀλλήλα	ἀλλήλω
	ნათ. მიც.	ἀλλήλοιν	ἀλλήλαιν	ἀλλήλοιν

4. უკუქცევითი ნაცვალსახელი (αὐτοπαθεῖς, ἀναστροφαὶ ἀντωνυμίαι).

უკუქცევითი (რეფლექსური) ნაცვალსახელი ἐμαυτοῦ, σεαυτοῦ, ἑαυτοῦ მიღებულია პირის ნაცვალსახელების შეერთებით ნაცვალსახელთან αὐτός.

უკუქცევით ნაცვალსახელს მხოლოდ ირიბი ბრუნვები აქვს. პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებს აქვთ მამრობითი და მდედრობითი სქესი, მესამე პირისას კი სამივე სქესი: მამრობითი, მდედრობითი და საშუალოც.

მხოლობით რიცხვში ბრუნება შერთულია. მრავლობითში – განცალკევებული; ოღონდ მესამე პირის ნაცვალსახელს მრავლობით რიცხვში განცალკევებული ფორმებიც აქვს და შერთულ-შერწყმულიც.

მეორე და მესამე პირის ნაცვალსახელებს ორ-ორი ფორმა მოეპოვებათ: შერთული და შერწყმული.

ბრუნება პირველი და მეორე კანკლედობისაა. ორობითი რიცხვი უკუქცევით ნაცვალსახელს არა აქვს.

		მამრ. I პირი	მდედრ. I პირი	მამრ. II პირი	მდედრ. II პირი	მამრ. სამ. III პირი	მდედრ. III პირი
მხოლობითი	ნათ.	ἐμαυτοῦ	ἐμαυτῆς	σεαυτοῦ σαυτοῦ	σεαυτῆς σαυτῆς	ἑαυτοῦ αὑτοῦ	ἑαυτῆς αὑτῆς
	მიც.	ἐμαυτῷ	ἐμαυτῇ	σεαυτῷ σαυτῷ	σεαυτῇ σαυτῇ	ἑαυτῷ αὑτῷ	ἑαυτῇ αὑτῇ
	აკუზ.	ἐμαυτόν	ἐμαυτήν	σεαυτόν σαυτόν	σεαυτήν σαυτήν	ἑαυτόν αὑτόν	ἑαυτήν αὑτήν
მრავლობითი	ნათ.	ἡμῶν αὐτῶν	ἡμῶν αὐτῶν	ὑμῶν αὐτῶν	ὑμῶν αὐτῶν	σφῶν αὐτῶν ἑαυτῶν αὐτῶν	σφῶν αὐτῶν ἑαυτῶν αὐτῶν
	მიც.	ἡμῖν αὐτοῖς	ἡμῖν αὐτοῖς	ὑμῖν αὐτοῖς	ὑμῖν αὐταῖς	σφίσιν αὐτοῖς ἑαυτοῖς, αὐτοῖς	σφίσιν αὐταῖς ἑαυταῖς, αὐταῖς
	აკუზ.	ἡμᾶς αὐτούς	ἡμᾶς αὐτάς	ὑμᾶς αὐτούς	ὑμᾶς αὐτάς	σφᾶς αὐτούς ἑαυτούς αὐτούς საშუალო Σφέα αὐτά ἑαυτά αὐτά	σφᾶς αὐτάς ἑαυτάς αὐτάς

შენიშვნა: უკუქცევით ნაცვალსახელს სახელობითი ბრუნვა არ აქვს, იმიტომ, რომ ეს ნაცვალსახელი იხმარება იქ, სადაც ობიექტი (დამატება) სუბიექტთან ერთად ერთსა და იმავე პირს აღნიშნავს. მნიშვნელობით იგივეა, რაც რუს. „себя“, ქართ. „თავი“ („თავი დაიხსნა“). რუს. „себя“, ქართ. „თავი“ ყველა პირისთვის იხმარება, ბერძნულში კი ყოველი უკუქცევითი ნაცვალსახელი მხოლოდ ერთ პირს განეკუთვნება.

στέργω ἐμαυτόν „მიყვარს [ჩემი] თავი“, „я люблю себя“

στέργεις σεαυτόν „გიყვარს [შენი] თავი“, „ты любишь себя“

στέργει ἑαυτόν „უყვარს [თავისი] თავი“, „он любит себя“

στέργομεν ἡμᾶς αὐτούς „გვიყვარს [ჩვენი] თავი“, „мы любим себя“

στέργετε ὑμᾶς αὐτούς „გიყვართ [თქვენი] თავი“, „вы любите себя“

στέργουσιν ἑαυτούς „უყვართ [თავისი] თავი“, „они любят себя“

5. კუთვნილებითი ნაცვალსახელები (κτητικαὶ ἀντωνυμίαι). კუთვნილებითი ნაცვალსახელები ნაწარმოებია პირის ნაცვალსახელთა ფუძეებისგან და იბრუნვიან როგორც I-II კანკლედობის სამბოლოკიდურიანი ზედსართავი სახელები.

კუთვნილებითი ნაცვალსახელებია:

ἐμος, ἐμέ, ἐμόν – ჩემი

σός, σή, σόν – შენი

ὅς, ἥ, ὅν – მისი

ἡμέτερος, ἡμετέρα, ἡμέτερον – ჩვენი
ὑμέτερος, ὑμετέρα, ὑμέτερον – თქვენი
σφέτερος, σφετέρα, σφέτερον – მათი

შენიშვნები: 1) პირველი და მეორე პირის კუთვნილებით ნაცვალსახელთა მაგივრობა შეუძლიათ გასწიონ პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებმა ნათესაობით ბრუნვაში (μοῦ, σοῦ, ἡμῶν, ὑμῶν). მაგალითად: ὁ ἐμός φίλος = ὁ φίλος μοῦ „ჩემი მეგობარი“; ἡ ἡμέτερα μήτερ = μήτερ ἡμῶν „ჩვენი დედა“.

2) მესამე პირის კუთვნილებით-უკუქცევითი ნაცვალსახელები ὅς, ἥ, ὅν და σφέτερος, α, ον იშვიათად იხმარება. მათ ენაცვლება ნაცვალსახელი αὐτός ნათესაობით ბრუნვაში: αὐτοῦ, αὐτῆς და αὐτῶν, ანდა უკუქცევითი ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმები ἑαυτοῦ, ἑαυτῆς, ἑαυτῶν, მაგალითად:

ἀπέκτεινε τὸν ἀδελφὸν αὐτοῦ	ἀπέκτεινε τὸν ἑαυτοῦ ἀδελφόν
„მოკლა ძმა მისი“	„მოკლა თავისი ძმა“.

6. ჩვენებითი ნაცვალსახელები (δεικτικαὶ ἀντωνυμίαι). ჩვენებითი ნაცვალსახელი სამია: 1) ὅδε, ἥδε, τόδε – ეს (этот, эта, это); 2) οὗτος, αὕτη, τοῦτο – ეგ (этот, эта, это); 3) ἐκεῖνος, ἐκείνη, ἐκεῖνο – ის, იგი (тот, та, то).

თავდაპირველად ჩვენებითი ნაცვალსახელის მნიშვნელობა ჰქონდა არსებითი სახელის განსაზღვრულ წევრებს ანუ არტიკლებს: ὁ, ἡ, τὸ. ამას ადასტურებს თანხმოვანი τ, რომელიც საწყისი ბგერაა ირიბ ბრუნვებში (შდრ. ლათ. iste და რუს. тот – „ეგ“); ამასვე ადასტურებს არტიკლის ხმარება მაპირისპირებელ კავშირებთან: ὁ μὲν – ὁ δὲ „ეს – ის კი“, „ერთი – მეორე“.

ჩვენებითი ნაცვალსახელი ὅδε, ἥδε, τόδε შედგება არტიკლისა და ენკლიტიკური ნაწილაკისაგან δε, იბრუნვის როგორც არტიკლი. ბრუნვის ყოველ ფორმას ერთვის δε, რომელიც თავის მახვილს გადასცემს არტიკლის უმახვილო ფორმებს (ὁ, ἡ, οἱ, αἱ), სხვაგან კი მახვილი ეკარგება:

		მამრობითი	მდედრობითი	საშუალო
მხოლობითი	სახ.	ὅδε	ἥδε	τόδε
	ნათ.	τοῦδε	τῆσδε	τοῦδε
	მიც.	τῷδε	τῇδε	τῷδε
	აკუზ.	τόνδε	τήνδε	τόδε
მრავლობითი	სახ.	οἵδε	αἵδε	τάδε
	ნათ.	τῶνδε	τῶνδε	τῶνδε
	მიც.	τοῖσδε	ταῖσδε	τοῖσδε
	აკუზ.	τούσδε	τάσδε	τάδε
ორობითი	სახ. აკუზ.	τώδε	τάδε	τώδε
	ნათ. მიც.	τοῖνδε	ταῖνδε	τοῖνδ

ნაცვალსახელი οὗτος, αὕτη, τοῦτο იბრუნვის როგორც არტიკლი. დასაწყისში აქვს ან ძლიერი ასპირაცია, ან τ- არტიკლის შესაბამისად. ეს ნაცვალსახელი ორმარცვლიანია: პირველ ელემენტში გვაქვს დიფთონგი ου, თუ მეორე ელემენტი შეიცავს ხმოვანს „ო“ (ο, ου, ω, οι); თუ მეორეში α ან η არის, მაშინ პირველში იქნება დიფთონგი αυ (მეორე ელემენტი შეიცავს არქაულ მარტივ ჩვენებით ნაცვალსახელს τός, τή, τό, რომლისგანაც არტიკლი განვითარდა.

		მამრობითი	მდედრობითი	საშუალო
მხოლობითი	სახ.	οὗτος	αὕτη	τοῦτο
	ნათ.	τούτου	ταύτης	τούτου
	მიც.	τούτῳ	ταύτῃ	τούτῳ
	აკუზ.	τοῦτον	ταύτην	τοῦτο
მრავლობითი	სახ.	οὗτοι	αὗται	ταῦτα
	ნათ.	τούτων	τούτων	τούτων
	მიც.	τούτοις	ταύταις	τούτοις
	აკუზ.	τούτους	ταύτας	ταῦτα
ორობითი	სახ. ნათ.	τούτω	ταύτα	τούτω
	მიც. აკუზ.	τούτοιν	ταύταιν	τούτοιν

ჩვენებითი ნაცვალსახელი ἐκεῖνος, ἐκείνη, ἐκεῖνο იბრუნვის პირველი და მეორე კანკლედობით როგორც ნაცვალსახელი αὐτός, αὐτή, αὐτό. საშუალო სქესის მხ. რიცხვის სახელობითი და აკუზატივუსი = ფუძეს:

		მამრობითი	მდედრობითი	საშუალო
მხოლობითი	სახ.	ἐκεῖνος	ἐκεῖνη	ἐκεῖνο
	ნათ.	ἐκείνου	ἐκείνης	ἐκείνου
	მიც.	ἐκείνῳ	ἐκείνῃ	ἐκείνῳ
	აკუზ.	ἐκεῖνον	ἐκείνην	ἐκεῖνο
მრავლობითი	სახ.	ἐκεῖνοι	ἐκεῖναι	ἐκεῖνα
	ნათ.	ἐκείνων	ἐκείνων	ἐκείνων
	მიც.	ἐκείνοις	ἐκείναις	ἐκείνοις
	აკუზ.	ἐκείνους	ἐκείνας	ἐκεῖνα
ორობითი	სახ. აკუზ.	ἐκείνω	ἐκείνα	ἐκείνω
	ნათ. მიც.	ἐκείνοιν	ἐκείναιν	ἐκείνοιν

შენიშვნები: 1) ჩვენებით ნაცვალსახელთა რიგს განეკუთვნებიან შეფარდებითი მნიშვნელობის მქონე ნაცვალსახელები: τόσος „ამდენი“, τοῖς „ასეთი“, τηλίκος „ამ ხნისა“. ეს ნაცვალსახელები ამ სახით იშვიათად გვხვდება, მაგრამ ხშირია მათი ხმარება οὗτος ნაცვალსახელთან და δέ ნაწილაკთან შეერთებით:

τοσοῦτος, τοσαύτη, τοσοῦτο(ν) „ამდენი“, „ასე ბევრი“

τοιοῦτος, τοιαῦτη, τοιοῦτο(ν) „ასეთი“

τηλικοῦτος, τελικαύτη, τηλικοῦτο(ν) „ამ ხნისა“

τοσόσδε, τοσήδε, τοσόνδε „ამდენი“

τοιόσδη, τοιάδε, τοιόνδε „ასეთი“

τηλικόσδε, τηλικήδε, τηλικόνδε „ამ ხნისა“

ეს ნაცვალსახელები იბრუნვიან როგორც პირველი რიგის სამბოლოკიდურიანი ზედსართავი სახელები. მდედრობითი სქესის მრავლობითი რიცხვის ნათესაობითში გვაქვს მამრობითი სქესის მსაგავსი ფორმები: τοσούτων, τοιούτων, τηλικούτων. δέ ნაწილაკი დაერთვის ბრუნვის ფორმას: τοσοῦδε, τοσῶδε და ა. შ.

2) როცა ჩვენებითი ნაცვალსახელი არსებითი სახელის მსაზღვრელია, არსებით სახელს წინ უძღვის არტიკლი: οὗτος ὁ ἀνήρ ან ὁ ἀνήρ οὗτος „ეგ კაცი“; ἥδε ἡ γυνή ან ἡ γυνὴ ἥδε „ეგ ქალი“; ἐκεῖνο τὸ δῶρον ან τὸ δῶρον ἐκεῖνο „ეგ საჩუქარი“.

3) οὗτος, ὅδε და ἐκεῖνος ნაცვალსახელების ყველა ფორმას ზოგჯერ ერთვის მითითების ნაწილაკი ί მკვეთრი მახვილით, რომლის წინაც მოკლე

ხმოვანი ამოვარდება: οὑτοσί, αὐτηί, τουτί „აი ეგ“ (ნათ. τουτουί, ταυτησί); ὀδί, ἠδί, τοδί „აი ეს“; ἐκεινοσί, ἐκεινηί, ἐκεινί „აი ის“.

4) ὅδε ნაცვალსახელისაგან იწარმოება ზმნიზედა ὧδε „ასე“; οὗτος-დან – οὕτω ან οὕτως „ასე“, „ამგვარად“.

7. მიმართებითი ნაცვალსახელი (ἀναφορικαὶ ἀντωνυμίαι). მიმართებითი (რელატიური) ნაცვალსახელებია 1) ὅς, ἥ, ὅ ვინც, რომელიც; 2) ὅσπερ, ἥπερ, ὅπερ „ვინც სახელდობრ“, „რომელიც სახელდობრ“, 3) ὅστις, ἥτις, ὅ τι „ვინც კი“, „რომელიც კი“; ὅ τι იწერება ცალკ-ცალკე, რათა განსხვავდეს კავშირისაგან ὅτι („რომ“).

ნაცვალსახელი ὅς, ἥ, ὅ იბრუნვის როგორც არტიკლი, ოღონდ თავკიდურ τ-ს ნაცვლად ყველგან აქვს ძლიერი ასპირაცია:

		მამრობითი	მდედრობითი	საშუალო
მხოლობითი	სახ.	ὅς	ἥ	ὅ
	ნათ.	οὗ	ἧς	οὗ
	მიც.	ᾧ	ᾗ	ᾧ
	აკუზ.	ὅν	ἥν	ὅ
მრავლობითი	სახ.	οἵ	αἵ	ἅ
	ნათ.	ὧν	ὧν	ὧν
	მიც.	οἷς	αἷς	οἷς
	აკუზ.	οὓς	ἅς	ἅ
ორობითი	სახ. აკუზ.	ᾧ	ᾧ	ᾧ
	ნათ. მიც.	οἷν	οἷν	οἷν

ὅσπερ, ἥπερ, ὅπερ შედგება მარტივი ნაცვალსახელისგან, რომელსაც დართული აქვს ენკლიტიკური ნაწილაკი πέρ. იბრუნვის როგორც ზემოთ მოყვანილი ნაცვალსახელი. ნაწილაკი περ დაერთვის ბრუნვის ფორმას. ნაცვალსახელს ὅς, ἥ, ὅ შეიძლება დაერთოს ნაწილაკი -γε-ც.

ნაცვალსახელს ὅστις, ἥτις, ὅ τι აქვს განუსაზღვრელობით-მიმართებითი მნიშვნელობა. შედგება ორი ნაწილისაგან; მეორე ნაწილი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელია: ὅς + τις, ἥ + τις, ὅ + τι. იბრუნვის ორივე ნაწილი:

		მამრობითი	მდედრობითი	საშუალო
მხოლობითი	სახ.	ὅστις	ἥτις	ὅ τι
	ნათ.	οὑτινος ან ὅτου	ἧστινος	οὑτινος ან ὅτου
	მიც.	ᾧτινι ὅτῳ	ᾗτινι	ᾧτινι ან ὅτῳ
	აკუზ.	ὅντινα	ἥντινα	ὅ τι
მრავლობითი	სახ.	οἵτινες	αἵτινες	ἅτινα ან ἄττα
	ნათ.	ὧντινων ან ὅτων	ὧντινων ან ὅτων	ὧντινων ან ὅτων
	მიც.	οἷστισι ან ὅτοις	αἷστισι	οἷστισι ან ὅτοις
	აკუზ.	οὕστινας	ἅστινας	ὅτινα ან ἄττα
ორობითი	სახ. აკუზ.	ὥτινε	ὥτινε	ὥτινε
	ნათ. მიც.	οἷντινοιν	οἷντινοιν	οἷντινοιν

რაკიღა ამ ნაცვალსახელის მეორე შემადგენელი ელემენტი ენკლიტიკური ნაცვალსახელია, მახვილი ყველგან პირველ ელემენტზეა (მახვილის თვალსაზრისით აქ ორი სიტყვაა: οὔ τινος, ᾧ τινι და ა. შ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი:

1) მიმართებით ნაცვალსახელთა რიგს განეკუთვნებიან სიტყვები:

ὅσος, ὅση, ὅσον – „რამხელაც“

οἷος, οἵα, οἷον – „როგორიც“

ἡλίκος, ἡλίκη, ἡλίκον – „რა ხნისაც“

ესენი იბრუნვიან როგორც პირველი რიგის სამბოლოკიდურიანი ზედსართავი სახელები.

2) ნაცვალსახელისაგან ὅς ეწარმოება პროკლიტიკური ზმნიზედა ὡς.

8. კითხვითი ნაცვალსახელები (ἐρωτηματικαὶ ἀντωνυμίαι). კითხვითი ნაცვალსახელია τίς; ვინ? რომელი? τί; რა?

კითხვით ნაცვალსახელს აქვს მკვეთრი მახვილი და ეს მახვილი ყოველთვის ძირითად მარცვალზეა; სახელობითის მკვეთრი მახვილი მძიმე მახვილად არასოდეს არ შეიცვლება.

		მამრ. მდედრ.	საშუალო
მხოლობითი	სახ.	τίς ვინ? რომელი?	τί რა?
	ნათ.	τίνος ან τοῦ	τίνος ან τοῦ
	მიც.	τίνι ან τῷ	τίνι ან τῷ
	აკუზ.	τίνα	τί
მრავლობითი	სახ.	τίνες	τίνα
	ნათ.	τίνων	τίνων
	მიც.	τίσι(ν)	τίσι(ν)
	აკუზ.	τίνας	τίνα
	ორობითი		
ორობითი	სახ. აკუზ.	τίνε	τίνε
	ნათ. მიც.	τίνοιν	τίνοιν

ირიბ კითხვაში, გარდა ამისა, იხმარება ნაცვალსახელი ὅστις, ἥτις, ὅ τι ვინ? რა? რომელი? (ბრუნება იხილე ზემოთ).

კითხვით ნაცვალსახელთა რიგს განეკუთვნებიან სიტყვები:

πόσος, πόση, πόσον „რამდენი?“, „რამხელა?“

ποῖος, ποία, ποῖον „რანაირი?“

πηλίκος, πηλίκη, πηλίκον „რა ხნისა?“

ესენი იბრუნვიან პირველი და მეორე კანკლედობით როგორც სამბოლოკიდურიანი ზედსართავი სახელები.

9. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები (ἀόρισται ἀντωνυμίαι). განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელია τὶς ვინმე, რომელიმე, τὶ რამე. კითხვითი ნაცვალსახელისაგან იგი განსხვავდება მახვილით: სახელობითში აქვს ბლაგვი მახვილი, სხვა ფორმებში კი მკვეთრი ბოლოდან პირველ მარცვალზე. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი ენკლიტიკურია (გარდა ფორმისა ἄττα).

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი კითხვითისაგან განსხვავდება მდებარეობითაც: იგი სიტყვას მოსდევს, კითხვითი ნაცვალსახელი კი ჩვეულებრივ წინადადების დასაწყისში დაისმის.

		მამრ. მდედრ.	საშუალო
მხოლობითი	სახ.	τίς ვინმე, რომელიმე	τί რამე
	ნათ.	τινός ან τοῦ	τινός ან τοῦ
	მიც.	τινί ან τῷ	τινί ან τῷ
	აკუზ.	τινά	τί
მრავლობითი	სახ.	τινές	τινά ან ἄττα
	მიც.	τινῶν	τινῶν
	ნათ.	τισί(ν)	τισί(ν)
	აკუზ.	τινάς	τινά ან ἄττα
ორობითი	სახ. აკუზ.	τινέ	τινέ
	ნათ. მიც.	τινοῖν	τινοῖν

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით იხმარება სიტყვები:

ποσός, ποσή, ποσόν – „რამხელაც არ“

ποιός, ποιά, ποιόν – „რომელიმე“

განუსაზღვრელობით ნაცვალსახელის რიგს განეკუთვნება აგრეთვე ὁ, ἡ, τὸ δεῖνα „ვიღაც“, „რაღაც“.

ეს ნაცვალსახელი, რომელსაც თან სამივე სქესის მაჩვენებელი არტიკლი ახლავს, არსებითისებურია. იგი ხან უბრუნველად იხმარება, ხან კი – ბრუნვათა ფორმებით:

მხოლობითი რიცხვი		მრავლობითი რიცხვი
სახელობითი	δεῖνα	δεῖνες
ნათესაობითი	δεῖνος	δείνων
მიცემითი	δεῖνι	არა აქვს
აკუზატივუსი	δεῖνα	δεῖνας

10. უარყოფითი ნაცვალსახელები (ἀρνητικαὶ ἀντωνυμίαι). უარყოფითი ნაცვალსახელებია:

οὐδέτερος, ᾱ, ον ან μηδέτερος, ᾱ, ον „არც ერთი“ (ორში). იბრუნვის პირველი და მეორე კანკლედობით;

οὔτις (მამრ. და მდედრ. სქესისთვის), οὔτι (საშუალო სქესისთვის) „არავინ“, „არაფერი“. იბრუნვის როგორც τίς, τί (οὔτινος, οὔτινι და ა. შ.);

μήτις, μήτι „ნურავინ“, „ნურაფერი“. იბრუნვის როგორც τίς, τί (μήτινος, μήτινι და ა. შ.);

οὐδείς, οὐδεμία, οὐδέν, μηδείς, μηδεμία, μηδέν – „არავინ“, „არც ერთი“ (ბევრში).

იბრუნვის როგორც რიცხვითი სახელი „ერთი“ – εἷς, μία, ἕν (იხ. ქვემოთ).

11. ნაცვალსახელთა თანაფარდობა (συναναφορικαί, συσχετικαὶ ἀντωνυμίαι – pronomina correlativa). თანაფარდობა ეწოდება ისეთ დამოკიდებულებას ნაცვალსახელთა შორის, როდესაც ისინი თავისი მნიშვნელობით (ზოგჯერ ფორმითაც) ერთმანეთს უკავშირდებიან და ერთმანეთს განმარტავენ. ეს თანაფარდობაა წარმოდგენილი ამ ტაბულაში:

კითხვითი	განუსაზღვრელობითი	ჩვენებითი	მიმართებითი	მიმართებითი განზოგადებითი
τίς; ვინ?	τὶς ვინმე	ὅδε, οὗτος ეს, ეგ ἐκεῖνος ის	ὅς რომელიც, ვინც ὅσπερ ვინც	ὅστις რომელიც კი, ვინც კი
πότερος; რომელი (ორში)?		ἕτερος მეორე ორში) ἄλλος სხვა, მეორე (ბევრში)		ὁπότερος რომელიც, ვინც კი (ორში)
πόσος, რამხელა? რამდენი?	ποσός რამდენიმე	τοσόσδε, τοσοῦτος ამდენი	ὅσος, ὅσοσπερ რამხელაც, რამდენიც	ὁπόσος რამოდენაც კი
ποῖος; რანაირი?	ποίος რამენაირი	τοιόσδε τοιοῦτος; ასეთი, ამნაირი	οἷος როგორიც	ὁποῖος როგორიც კი
πηλίκος; რა ხნისა?		τηλικόσδε, τηλικοῦτος ამ ხნისა	ἡλίκος რა ხნისაც	ὁπηλίκος რა ხნისაც კი

რიცხვითი სახელი (τὰ ἀριθμητικά)

რიცხვითი სახელი აღნიშნავს საგნის რაოდენობას ან რიგს. რაოდენობითი რიცხვითი სახელი უპასუხებს კითხვაზე რამდენი? (πόσοι), რიგობითი რიცხვითი სახელი უპასუხებს კითხვაზე მერამდენე (πόστος).

ძველი ბერძნები რიცხვების გამოსახატავად ასოებს ხმარობდნენ. საამისოდ მთელი ანბანი იყო გამოყენებული და რამდენიმე დამატებითი

ნიშანიც. დამატებით ნიშნებად გამოყენებული იყო სამი უძველესი ასო, რომლებიც V საუკუნის ატიკურ ანბანში აღარ იხმარებოდა. ესენია ϛ (სტიგმა), რომელიც აღნიშნავს 6-ს, ϟ (კოპა) = 90 და ≠ (სამპი) = 900.

პირველი რვა ასო (სტიგმის დამატებით) α-დან θ-მდე ერთეულებს (მონადებს) გამოხატავს, მომდევნო რვა (კოპას დამატებით) ι-დან π-მდე – ათეულებს (დეკადებს), ბოლო რვა ასო (სამპის დამატებით) – ρ-დან ω-მდე ასეულებს.

1 – 1 0000-მდე ასოებს მარჯვნივ, ზემო კუთხეში, აქვს რიცხვის მაუწყებელი ხაზი (κεραία): α΄(1), β΄(2), γ΄(3) და ა. შ. 1 000-დან ანბანი კვლავ მეორდება და რიცხვის მაუწყებელი ხაზი დაისმის ასოს მარჯვნივ, ქვემო კუთხეში: ,α (1 000), ,β(2 000), ,γ(3 000) და ა. შ.

როდესაც რიცხვი ერთზე მეტი ასოთია გამოხატული, რიცხვის მაუწყებელი ხაზი დაესმის მხოლოდ ბოლო ასოს: μγ΄(43), πα΄(81), τμγ΄(343).

თუ რიცხვი ათასეულს შეიცავს, ხაზით აღინიშნება პირველი ასოც: ,ατμγ΄(1343), ,βρλα΄(2131), ,εψμβ΄(5742).

10 000-დან (ძველქართული ბევრიდან) აღრიცხვა იწყენა მირიადებით (ბევრეულებით): ¨α – ერთი მირიადი (10 000), ¨β – ორი მირიადი (20 000) და ა. შ. ბევრეულის აღსანიშნავად ასოს დაესმის ორი წერტილი.

ათენელებს ქონდათ განსაკუთრებული ნიშნებიც: Ι=1, Π=5, Δ=10, Η=100, Χ=1 000, Μ=10 000.

Π ნიშნის ქვეშ მოქცეული Δ, Η, Χ, Μ ნიშნები ხუთზე გამრავლებულ რიცხვს გამოხატავენ: $|\bar{\Delta}|$ =5×10=50, $|\bar{H}|$ = 5×100=500, $|\bar{X}|$ =5×1000=5000, $|\bar{M}|$=5×10 000=50 000.

დიდი რიცხვების გამომხატველ ნიშნებს ბერძნები მარცხნივ სვამდნენ:

Χ$|\bar{H}|$ΗΗΗ$|\bar{\Delta}|$ΔΔΔΙΙΙ=1887

ΜΧΧ$|\bar{H}|$ΗΗΗ$|\bar{\Delta}|$ΔΔΙΙΙ=12.873

ეს ნიშნები შემონახულია წარწერებში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ქართველებიც მე-18 საუკუნემდე რიცხვების გამოსახატავად ჩვეულებრივ ასოებს ხმარობდნენ. ქართული ასოების რიგი ქ-მდე თითქმის ბერძნული ანბანის რიგს მისდევს. ამიტომ თანაბარი ასოები ქართულსა და ბერძნულში (მაგალითად: ქართული თ და ბერძნული θ, ლ და λ, რ და ρ) ერთსა და იმავე რიცხვს გამოხატავენ.

მნიშვნელობა	ნიშანი	რაოდენობითი	რიგობითი
1	α΄	εἷς, μία, ἕν ერთი	πρῶτος, η, ον პირველი
2	β΄	δύο ორი	δεύτερος, ᾱ, ον მეორე
3	γ΄	τρεῖς, τρία სამი	τρίτος, η, ον მესამე
4	δ΄	τέτταρες (τέσσαρες), τέτταρα (τέσσαρα)	τέταρτος, η, ον
5	ε’	πέντε	πέμπτος
6	ς΄	ἕξ	ἕκτος
7	ζ΄	ἑπτα	ἕβδομος
8	η΄	ὀκτώ	ὄγδοος
9	θ’	ἐννέα	ἔνατος
10	ι΄	δέκα	δέκατος
11	ια΄	ἕνδεκα	ἑνδέκατος, η, ον
12	ιβ΄	δώδεκα	δωδέκατος
13	ιγ΄	τριῖς (τρία) καὶ δέκα ან τρισκαίδεκα	τρίτος καὶ δέκατος
14	ιδ΄	τέτταρες (τέτταρα) καὶ δέκα ან τετταρακαίδεκα	τέταρτος καὶ δέκατος
15	ιε΄	πέντε καὶ δέκα	πέμπτος καὶ δέκατος
16	ις΄	ἑκκαίδεκα	ἕκτος καὶ δέκατος
17	ιζ΄	ἑπτακαίδεκα	ἕβδομος καὶ δέκατος
18	ιη΄	ὀκτωκαῖδεκα	ὄγδοος καὶ δέκατος
19	ιθ΄	ἐννεακαίδεκα	ἔνατος καὶ δέκατος
20	κ΄	εἴκοσι(ν)	εἰκοστός, ή, όν
30	λ΄	τριάκοντα	τριακοστός, ή, όν
40	μ΄	τετταράκοντα	τετταρακοστός, «
50	ν΄	πεντήκοντα	πεντηκοστός, «
60	ξ΄	ἑξήκοντα	ἑξηκοστός, «
70	ο΄	ἑβδομήκοντα	ἑβδομηκοστός, «
80	π΄	ὀγδοήκοντα	ὀγδοηκοστός, «
90	ϟ΄	ἐνενήκοντα	ἐνενηκοστός, «
100	ρ΄	ἑκατόν	ἑκατοστός, «
200	σ΄	διακόσιοι, αι, α	διακοσιοστός, ή, όν
300	τ΄	τριακόσιοι, αι, α	τριακοσιοστός «
400	υ΄	τετρακόσιοι, αι, α	τετρακοσιοστός «
500	φ΄	πεντακόσιοι, αι, α	πεντακοσιοστός «
600	χ΄	ἑξακόσιοι, αι, α	ἑξακοσιοστός «
700	ψ΄	ἑπτακόσιοι, αι, α	ἑπτακοσιοστός «
800	ω΄	ὀκτακόσιοι, αι, α	ὀκτακοσιοστός «
900	ϡ΄	ἐνακόσιοι, αι, α	ἐνακοσιοστός «
1.000	,α	χίλιοι, αι, α	χιλιοστός «
2.000	,β	δισχίλιοι, αι, α	δισχιλιοστός, ή, όν
3.000	,γ	τρισχίλιοι, αι, α	τρισχιλιοστός, «
4.000	,δ	τετρακισχίλιοι, αι, α	τετρακισχιλιοστός, «
5.000	,ε	πεντακισχίλιοι, αι, α	πεντακισχιλιοστός, «

6.000	,ς	ἑξακισχίλιοι, αι, α	ἑξακισχιλιοστός, «
7.000	,ζ	ἑπτακισχίλιοι, αι, α	ἑπτακισχιλιοστός, «
8.000	,η	ὀκτακισχίλιοι, αι, α	ὀκτακισχιλιοστός, «
9.000	,θ	ἐνακισχίλιοι, αι, α	ἐνακισχιλιοστός, «
10.000	,ι	μύριοι, αι, α ან ἡ μυριάς, μυριάδος	μυριοστός, «
11.000	,ια	μύριοι καὶ χίλιοι	
12.000	,ιβ	μύριοι καὶ δισχίλιοι	
20.000	,κ	δισμύριοι, αι, α ან δύο μυριάδες	δισμυριοστός, ἡ, ὀν
30.000	,λ	τρισμύριοι, αι, α ან τρεῖς μυριάδες	τρισμυριοστός, «
100.000	,ρ	δεκακισμύριοι, αι, α ან δέκα μυριάδες	δεκακισμυριοστός «

1. „ერთის“ აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი მომდინარეობს ინდოევროპული *sem ფუძისგან (ლათ. semel “ერთხელ“): sem + s > ἕνς > εἷς (მამრ. სქესისათვის), sm + ια (ფუძის ნულოვანი საფეხური) > μία (მდედრ. სქესისათვის), წმინდა ფუძე > ἓν (საშუალო სქესისათვის).

„ოცის“ აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი εἴκοσι < δFεικοσι, Fί-κατι (ლათ viginti).

ἕκατον („ასი“) < ἑν + κατον, რაც = „ერთი ასი“;

κατον-ის შესატყვისია ლათინური centum („ასი“).

2. რიცხვით სახელთა ბრუნება. ბერძნულ ენაში რიცხვით სახელთაგან იბრუნვის: ა) „ერთის“, „ორის“, „სამისა“ და „ოთხის“ აღმნიშვნელი სახელები, ბ) ასეულები – დაწყებული „ორასის“ აღმნიშვნელი სახელიდან (როგორც პირველი რიგის სამბოლოკიდურიანი proparoxytona ზედსართავი სახელები), დ) რიგობითი რიცხვითი სახელები (როგორც პირველი რიგის სამბოლოკიდურიანი ზედსართავი სახელები)
რაოდენობითი რიცხვითი სახელები 5-დან 200-მდე არ იბრუნვის.

მხოლობითი	მამრ.	მდედრ.	საშუალო	ორობითი	მამრ. მდედრ. საშუალო
სახ.	εἷς	μία	ἕν	სახ.	δύο
ნათ.	ἑνός	μιᾶς	ἑνός	ნათ.	δυοῖν
მიც.	ἑνί	μιᾷ	ἑνί	მიც.	δυοῖν
აკუზ.	ἕνα	μίαν	ἕν	აკუზ.	δύο

მრავლობითი	მამრ. მდედრ.	საშუალო	მამრ. მდედრ.	საშუალო
სახ.	τρεῖς	τρία	τέτταρες	τέτταρα
ნათ.	τριῶν	τριῶν	τεττάρων	τεττάρων
მიც.	τρισί(ν)	τρισί(ν)	τέτταρσι(ν)	τέτταρσι(ν)
აკუზ.	τρεῖς	τρία	τέτταρας	τέτταρα

εἷς სახელის მსგავსად იბრუნვის „არც ერთისა“ და „არავითარის“ აღმნიშვნელი სახელები: οὐδείς და μηδείς (= οὐδὲ εἷς და μηδὲ εἷς).

მხოლობითი	მამრობითი	მდედრობითი	საშუალო	მრავლ. მამრ.
სახ.	οὐδείς	οὐδεμία	οὐδέν	οὐδένες
ნათ.	οὐδενός	οὐδεμιᾶς	οὐδενός	οὐδένων
მიც.	οὐδενί	οὐδεμιᾷ	οὐδενί	οὐδέσι(ν)
აკუზ.	οὐδένα	οὐδεμίαν	οὐδέν	οὐδένας

δύο-ს მსგავსად იბრუნვის ἄμφω (ლათ. ambo) „ორივე“, ამავე მნიშვნელობით იხმარება სახელი ἀμφότεροι, αι, α „ორნივე“, რომელიც იბრუნვის როგორც პირველი რიგის სამბოლოკიდურიანი proparoxytonon ზედსართავი სახელი.

3. რთული რაოდენობითი რიცხვითი სახელების გამოსახატავად შეიძლება მცირე წინ უძღოდეს დიდს, ანდა პირიქით, დიდი წინ უსწრებდეს მცირეს. პირველ შემთხვევაში აუცილებელია რიცხვთა შორის იყოს კავშირი καί, მეორე შემთხვევაში კი ამ კავშირის ხმარება აუცილებელი არ არის.

πέντε καὶ εἴκοσι καὶ διακόσιοι ან

διακόσιοι καὶ εἴκοσι καὶ πέντε ან

διακόσιοι εἴκοσι πέντε „ორას ოცდახუთი“.

4. რთულ რიგობით სახელში ყოველი შემადგენელი რიცხვი რიგობითია (ქართულში მხოლოდ ბოლო რიცხვი გამოხატავს რიგობითობას). რთულ რიგობით რიცხვით სახელშიც შეიძლება მცირე წინ უსწრებდეს დიდს, ანდა დიდი უსწრებდეს წინ მცირეს; მაგრამ ორივე შემთხვევაში შემადგენელ ნაწილთა შორის აუცილებელია καί კავშირის ჩასმა:

πέμπτος καὶ εἰκοστός ან

εἰκοστὸς καὶ πέμπτος „ოცდამეხუთე“

ἕκτός καὶ πεντηκοστός καὶ τριακοσιοστὸς καὶ χιλιοστός ან χιλιοστὸς καὶ τριακοσιοστὸς καὶ πεντηκοστὸς καὶ ἕκτός „ათას სამას ორმოცდამეთექვსმეტე“.

5. ყოველი ათეულის 8 და 9 (ე.ი. 18, 19, 28, 29 და ა.შ.) შეიძლება გამოიხატოს ათეულიდან ორისა და ერთის გამოკლებით. ამ შემთხვევაში გამოყენებულია δέω ზმნის (= „მაკლია“) მიმღეობა, რომელთანაც „ორი“ და „ერთი“ დაისმის ნათესაობით ბრუნვაში (δυοῖν, ἑνός, μιᾶς):

ὀκτωκαίδεκα = δυοῖν δέοντος (δέοντα) εἴκοσι „თვრამეტი“ (შდრ. ლათ duodeviginti);

νῆες μιᾶς (δυοῖν) δέουσαι τριάκοντα = „ოცდაცხრა (ოცდარვა) ხომალდი“,

ἑνὸς δέον εἰκοστὸν ἔτος = „ცხრამეტი წელი“

ἔτη δυοῖν δέοντα εἴκοσι = „თვრამეტი წელი“

πεντήκοντα μιᾶς δέουσαι τριήπεις = „ორმოცდაცხრა ტრიერი“.

6. ჯერობითი რიცხვითი სახელი. ესაა რიცხვითი სახელისგან ნაწარმოები ზმნიზდა, რომელიც უპასუხებს კითხვაზე რამდენჯერ? ποσάκις;

ἅπαξ ერთხელ, δίς ორჯერ, τρίς სამჯერ. დანარჩენთა საწარმოებლად რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძეს ემატება ნაწილაკი -άκις (-ჯერ, -გზის), რომლის წინაც ფუძისეული ხმოვანი ამოვარდება:

τετράκις, πεντάκις, ἑξάκις, ἑπτάκις, ὀκτάκις, ἐνάκις, δεκάκις; ἑνδεκάκις (11-ჯერ); εἰκοσάκις (20-ჯერ); ἑκατοντάκις (100-ჯერ); διακοσιάκις (200-ჯერ); χιλιάκις (1.000-ჯერ); μυριάκις (10.000-ჯერ).

ასეთივე წარმოებისაა ზმნიზედები: πολλάκις „ხშირად“, „მრავალგზის“. ἑκαστάκις „ყოველთვის“, ὀλιγάκις „იშვიათად“ და მისთ.

7. მთელის ნაწილი გამოიხატება არსებითი სახელებით τὸ μέρος (ნაწილი) და ἡ μοῖρα (ხვედრი). მრიცხველ-მნიშვნელის წინ დაისმის არტიკლი. მნიშვნელი არ აღინიშნება, თუ იგი ერთით მეტია მრიცხველზე:

τῶν πέντε αἱ δύο μοῖραι = 2/5

τὸ πέμπτον μέρος =1/5

τὰ δύο μέρη = 2/3

τὰ ὀκτὼ μέρη = 8/9

8. რიცხვით სახელთაგან ნაწარმოებია არსებითი სახელები:

ἡ μονάς, μονάδος „ერთეული“ (-μόνος, η, ον „მხოლოდ ერთი“ ლათ solus)

ἡ δυάς, άδος „ორეული“

ἡ τριάς, άδος „სამეული“

ἡ τετράς, άδος „ოთხეული“

ἡ δεκάς, άδος „ათეული“

ἡ χιλιάς, άδος „ათასეული“

ἡ μυριάς, άδος „მირიადი“, „ბევრეული“ – „ათიათასეული“.

9. არსებითი სახელის ხმარება რიცხვით სახელთან. ძველბერძნულში „ორთან“ არსებითი სახელი ჩვეულებრივ ორობით რიცხვშია, „სამთან“ და მეტთან – მრავლობითში:

δύο ἀνθρώπω – „ორი კაცი“

τρεῖς ἄνθρωποι – „სამი კაცი“

εἴκοσι ἄνθρωποι – „ოცი კაცი“

χίλιοι ἄνθρωποι – „ათასი კაცი“.

ზმნა

(ῥῆμα, verbum)

ბერძნულ ენას ახასიათებს ფორმათა საკმაოდ რთული სისტემა. ზმნას აქვს შემდეგი მორფოლოგიური კატეგორიები: პირი, რიცხვი, გვარი, კილო, დრო.

პირი (πρόσωπον, persona) სამია: პირველი, მეორე, მესამე. სამივე პირი თხრობით, კავშირებითსა და ნატვრით კილოებს აქვთ. ბრძანებით კილოს მხოლოდ მეორე და მესამე პირი მოეპოვება.

რიცხვი (ἀριθμός, numerus) სამია: მხოლობითი (ἑνικός, singularis), ორობითი (δυικός, dualis), მრავლობითი (πληθυντικός, pluralis). ორობითი რიცხვის გამოყენების შემთხვევები შედარებით იშვიათია. ორობითს ჩვეულებრივ მრავლობითი ენაცვლება.

გვარი. ბერძნულ ენაში გამოყოფენ სამ გვარს (διάθεσις, genus). ესენია: მოქმედებითი (ἐνεργετική, activum), საშუალი ანუ მედიუმი (μεσότης, medium) და ვნებითი (παθητική, passivum).

მოქმედებითი გვარისაა (აქტივია) ზმნა, თუ მას აწმყო დროის თხრობითი კილოს მხოლობითი რიცხვის პირველ პირში აქვს -ω ან -μι დაბოლოება (παιδεύω „ვზრდი“, τίθημι „ვდებ“).

მოქმედებითი გვარი გვიჩვენებს რეალური სუბიექტის (მოქმედი პირის) მოქმედებას, რომელიც უშუალოდ გადადის ობიექტზე (სამოქმედო პირზე); ამ შემთხვევაში ზმნა გარდამავალია (μεταβατικόν, verbum transitivum) და, ცხადია, ახლავს პირდაპირი დამატება, გამოხატული აკუზატივუსით: παιδεύω τὸν παῖδα „ვზრდი ბავშვს“.

მოქმედებითი გვარის ფორმის მქონე ზმნა ზოგჯერ ისეთ მოქმედებასაც გვიჩვენებს, რომელიც ობიექტზე არ გადადის; ამ შემთხვევაში ხმნა გარდაუვალია (ἀμετάβατον, verbum intransitivum) და ქართული ზმნის საშუალ გვარს შეესაბამება: τρέχω „დავრბივარ“.

საშუალი და ვნებითი გვარი (მედიუმი, პასივი) ფორმით მხოლოდ მყოფადსა და აორისტში განსხვავდება ერთმანეთისაგან, სხვაგან კი (აწმყოში, ნამყო უსრულში, ნამყო სრულა და ნამყო წინარეწარსულში) საზიარო დაბოლოებები აქვთ.

საშუალი ან ვნებითი გვარისაა ზმნა, თუ მას აწმყო დროის თხრ. კილოს მხოლობითი რიცხვის პირველ პირში აქვს -μαι დაბოლოება.

ვნებითი გვარი, როგორც საოპოზიციო ფორმა, მხოლოდ გარდამავალ ზმნებს აქვთ: παιδεύω τὸν παῖδα „ვზრდი ბავშვს“ – παιδεύομαι „ვიზრდები [მე]“.

ვნებითი გვარის ფორმა ზოგჯერ გარდაუვალ ზმნასაც მოეპოვება (მაგალითად, გარდაუვალ ზმნას πιστεύω „ვენდობი“, რომელიც დამატებას მიცემით ბრუნვაში მოითხოვს, აქვს ფორმა πιστεύομαι „მენდობიან“).

საშუალი გვარი (მედიუმი) მნიშვნელობით მოქმედებითი გვარის თანაბარია, მაგრამ მისგან განსხვავდება იმით, რომ გამოხატავს მოქმედებას, რომელიც ქვემდებარისთვის ხდება: παιδεύομαι τὸν παῖδα „ვიზრდი ბავშვს“. ბერძნული ზმნის საშუალი გვარი, როგორც ირკვევა, ქართული ზმნის სათავისო ქცევას შეესაბამება.

საშუალი გვარის ანუ მედიუმის რაობა ძველი ბერძნული ენის ზმნაში საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის დადგენილი. აკაკი შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ მკვეთრადაა დასმული ბერძნული ზმნის გვარზე, კერძოდ, მედიუმზე ტრადიციული შეხედულების გადასინჯვის საკითხი. არის თუ არა გვარის კატეგორია ის, რასაც ტრადიციული გრამატიკა მედიუმს უწოდებს? „ის ფორმა, რომელიც ბერძნულში მედიუმის სახელით არის ცნობილი, პირთა რაოდენობის თვალსაზრისით არ განსხვავდება არც აქტივისაგან და არც პასივისაგან, რადგანაც ისინი აქ ყველა ერთპირიანებია. მაგრამ ეს არაფერი, რადგან მრავალპირიანობა (პოლიპროსოპია) ბერძნულს არ მოეპოვება. მთავარია შემდეგი: იქ, სადაც მედიუმი ბერძნულში აშკარად განსხვავებულია ფორმით და ფუნქციით, როგორც აქტივისაგან, ისე პასივისაგან (მაგ., აორისტში), მას გარდამავლობასთან ერთად ახასიათებს მიმართება სამოქმედო ობიექტთან კუთვნილების ნიადაგზე. ეს კი სულ სხვა ამბავია და უნდა გაგებულ იქნეს არა გვარის ფორმად, ე.ი. არა დიათესის ფორმად, როგორც ესმით ხოლმე, არამედ სათავისო ქცევის ფორმად. ქცევა კი, ანუ ვერსია, სულ სხვა კატეგორიაა, ვიდრე გვარი“[1].

„ქცევა მკაფიოდ გამოხატული კატეგორიაა ქართულსა და მოძმე ენებში – მეგრულ-ჭანურსა და სვანურში: გარდამავალ ზმნებში აქ სამ-სამი ფორმა გვაქვს კუთვნილება-დანიშნულების მიხედვით განსხვავებული, გარდაუვალ ზმნებში კი – ორ-ორი. სხვა ენებში, რამდენადაც ვიცი, ეს კატეგორია აღნიშნული არ არის, მაგრამ ჩემთვის უეჭველია, რომ ის

[1] აკაკი შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1953, გვ. 317-318

ინდოევროპულ ენებსაც მოეპოვებათ, თუმცა არა ისე მკაფიოდ გამორჩეული, როგორც ეს ჩვენს ენებშია. მაგ., ძველი ბერძნულისათვის აშკარად უნდა დაისვას საკითხი იმის შესახებ, რომ მას ქცევის კატეგორია მოეპოვება გარდამავალ ზმნებში, რომელთაც გარკვეულ შემთხვევებში (მაგ., აორისტში) ორ-ორი ფორმა აქვთ ერთმანეთისაგან მკვეთრად გარჩეული კუთვნილება-დანიშნულების მიხედვით როგორც ფორმით, ისე ფუნქციით: საარვისო და სათავისო. მაგრამ ძველ გრამატიკოსებს ბერძნული სათავისო ქცევის ფორმები ისეთ ფორმებად მიაჩნდათ, რომლებიც თითქოს თანაბრად შეეზომებოდნენ მოქმედებითსა და ვნებითს. ამიტომ მიღებული იყო სამ-გვარიანი სქემა: მოქმედებითი-ვნებითი-საშუალი (აქტივი-პასივი-მედიუმი), რომელსაც დღევანდელი ევროპელი ენათმეცნიერებიც სავსევით იზიარებენ.

აქტივი	პასივი	მედიუმი
ἐπαίδευσε(ν)	ἐπαιδεύθη	ἐπαιδεύσατο

თუ ამ ფორმებს შევხედავთ გვარისა და ქცევის კატეგორიების შესწავლის შემდეგ ქართული ენის მასალებზე, აღმოჩნდება, რომ ისინი ერთი სიბრტყის მოვლენას კი არ ასახავენ, არამედ სხვადასხვისას: პირველი და მეორე ერთმანეთს კონვერსიის მიხედვით შეეზომება, პირველი და მესამე – კუთვნილება-დანიშნულების მიხედვით. ამიტომ განსხვავება პირველსა და მეორეს შორის გვარის მიხედვით არის, პირველსა და მესამეს შორის – ქცევის მიხედვით. მეორე და მესამე კი თანაშეუზომელი ფორმებია. ამ გარემოებას ქართული თარგმანი გამოააშკარავებს:

	აქტივი		პასივი
გვარი	ἐπαίδευσε(ν)	გვარი	ἐπαιδεύθη
	[მან აღზარდა (იგი)]		[იგი აღიზარდა]
	საარვისო		სათავისო (მედიუმი)
ქცევა	ἐπαίδευδε(ν)	ქცევა	ἐπαιδεύσατο
	[მან აღზარდა (იგი)]		[მან აღიზარდა (იგი)]

ერთადერთი განსხვავება ქართულსა და ბერძნულს შორის პირთა რაოდენობაა გარდამავალ ზმნაში. სხვამხრივ, ქართული და ბერძნული ზმნა თანაბარია. ცხადია, ბერძნულს ქცევის კატეგორია აქვს, მაგრამ მხოლოდ გარდამავალ ზმნებში და ისიც არა ყველა მწკრივში. მაგრამ თუ ქცევის კატეგორიის გვარიდან გამოთიშვა ვერც ძველმა გრამატიკოსებმა

მოახერხეს და ვერც ახლანდელმა ბერძნული ენის სპეციალისტებმა, ეს იმიტომ, რომ ბერძნულში ეს კატეგორია მკაფიოდ გამოხატული არ არის, ბევრგან წაშლილია განსხვავება სათავისო ქცევის ფორმასა და ვნებითი გვარის ფორმას შორის, ერთსა და იმავე „მედიალურ“ ფორმას შეუძლია გარდამავალიც იყოს (მაშასადამე სათავისოობა გასწიოს) და გარდაუვალიც (მაშასადამე, ვნებითი გვარის როლი შეასრულოს). აქედან დასკვნა: გვარის კატეგორიიდან უნდა გამოიყოს ქცევის კატეგორია და მას დამოუკიდებელი ადგილი მიეჩინოს ბერძნულში და სხვა ინდოევროპულ ენებში, სადაც სათავისო ფორმები, მედიუმად წოდებული, გადმონაშთის სახით არის მოღწეული“[1].

დეპონენსები. ზოგიერთ ზმნას ფორმა მედიუმისა და პასივისა აქვს, მნიშვნელობა კი – აქტივისა. ასეთ ზმნებს ეწოდებათ დეპონენსები ანუ „გადადებული ზმნები“ (ἀποθετικά, verba deponentia). თუ დეპონენტურ ზმნას აორისტში მედიალური ფორმა აქვს, ასეთი ზმნა მედიალურ-გადადებულია (deponens medium). მაგალითად, ზმნა δέχομαι „ვღებულობ“ მედიალურ-გადადებულია, ვინაიდან აორისტში აქვს გადადებული ფორმა ἐδεξάμην. თუ დეპონენტურ ზმნას აორისტში პასივის ფორმა აქვს, ასეთი ზმნა პასიურ-გადადებულია (deponens passivum). მაგალითად, ზმნა δύναμαι „შემიძლია“ პასიურ-გადადებულია, ვინაიდან აორისტში აქვს პასიური ფორმა ἐδυνήθην.

დეპონენსური ხასიათის ზმნები არის ქართულ ენაშიც: „იძლევა“, „იფიცება“, „იმუქრება“, „ირწმუნება“ და მისთ. ასეთი ზმნები მოიპოვება რუსულ ენაშიც: „нравлюс“, „смеюсь“, „боюсь“, „надеюсь“ და სხვა.

კილო. ბერძნულში არის ოთხი კილო (ἔγκλισις, modus): თხრობითი (ὁριστική ἀποφαντική, indicativus), კავშირებითი (ὑποτακτική, coniunctivus), ნატვრითი ანუ ოპტატივი (εὐκτική, optativus) და ბრძანებითი (προστακτική, imperativus).

დრო. (χρόνος, tempus). დრო ფაქტობრივად სამია: ახლანდელი (აწმყო), წარსული (ნამყო) და მომავალი (მყოფადი). ბერძნულ ენას თხრობით კილოში დროის ექვსი ფორმა მოეპოვება. ეს ფორმებია: აწმყო, ნამყო უსრული, მყოფადი, აორისტი, ნამყო სრული, ნამყო წინარეწარსული. დროთა ეს ფორმები ორ ჯგუფად იყოფა – მთავარ დროებად და ისტორიულ დროებად.

---

[1] აკაკი შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1953, გვ. 362-363

ა) მთავარი დროებია:
აწმყო (ἐνεστώς, praesens),
მყოფადი (μέλλων, futurum),
ნამყო სრული (παρακείμενος – συντελικός, perfectum)
ბ) ისტორიული დროებია:
ნამყო უსრული (παρατατικός, imperfectum),
აორისტი (ἀόριστος, aoristus),
ნამყო წინარეწარსული (ὑπερσυντελικός, plusquamperfectum).

დროთა რაობა. ბერძნული ზმნის აწმყო შეესაბამება ქართული ზმნის აწმყოს: γράφω „ვწერ“; ნამწო უსრული გამოხატავს იმასვე, რასაც ქართული ნამყო უწყვეტელი: ἔγραφον „ვწერდი“; აორისტი სრული ასპექტის (სრული სახის) წარსულ დროს აღნიშნავს და ქართული ზმნის ნამყო წყვეტილს შეესაბამება: ἔγραψα „დავწერე“. დროის ზმნიზედებთან (πολλάκις „ხშირად“, οὔποτε „არასოდეს“ და მისთ.) აორისტს შეუძლია გამოხატოს ისეთი მოქმედებაც, რომელიც განმეორებით ხდებოდა: πολλάκις ἔγραψα „ხშირად ვწერდი“ („ვწერდი ხოლმე“), πολλάκις ἐθαύμασα „ხშირად მიკვირდა“ („მიკვირდა ხოლმე“). ასეთ შემთხვევაში აორისტი ქართული ზმნის ნამყო ხოლმეობითს შეესაბამება; მყოფადი (futurum I და II, atticum და doricum) გამოხატავს იმასვე, რასაც ქართული ზმნის მომავალი დრო: γράψω „დავწერ“. [ბერძნულ ზმნას მოეპოვება ე.წ. მყოფადი III-ც (futurum III ანუ exactum – futurum perfectum – μέλλων τετελεσμένος), რომელსაც რეზულტატური მნიშვნელობა აქვს – ისეთ მდგომარეობას აღნიშნავს, რომელიც მომავალში მომხდარ მოქმედებას მოჰყვება: κεκτήσομαι „შევიძენ“ = „შეძენილი მექნება“, τετρώσεται „დაიჭრება“= დაჭრილი იქნება“]; ნამყო სრული წარსული დროის სრულასპექტიანი ფორმაა; იგი აღნიშნავს ისეთ შესრულებულ მოქმედებას ან მდგომარეობას, რომლის შედეგიც აწმყოში გვაქვს: πεπαίδευκα „აღვზარდე“ (ამიტომ ახლა აღზრდილია), ἔγνωκα „გავიგე“ ე.ი. „ვიცი“, γέγραφα „დავწერე“ (ამიტომ ახლა დაწერილი მაქვს), τέτρωται „დაჭრილია“ (იმიტომ, რომ დაჭრეს); ნამყო სრული ხშირად ასრულებს აწმყოს ფუნქციასაც (შდრ. ლათინურ perfectum – praesens-ს); ნამყო წინარეწარსული წარსული დროის სრულასპექტიანი ფორმაა; იგი გამოხატავს მდგომარეობას, რომელიც მოჰყვა შესრულებულ მოქმედებას როგორც შედეგი, და ეს შედეგი

ხსენებულ წარსულშია. ამის გამო ნამყო წინარეწარსული ხშირად ასრულებს ნამყო უსრულის ფუნქციას. ქართულში ბერძნული ზმნის ნამყო წინარეწარსულს ჩვეულებრივ თურმეობითი შეესაბამება: ἐπεπαιδεύκειν „აღმიზრდია“, ἐγεγράφειν „დამიწერია“.

თხრობით კილოს ყველა ფორმა მოეპოვება.

კავშირებით კილოს დროის სამი ფორმა აქვს: აწმყო, აორისტი და ნამყო სრული. ნამყო სრულის კავშირებითი იშვიათად გვხვდება. აწმყოს კავშირებითსა და აორისტის კავშირებითს შორის განსხვავება სახეობრივია და არა დროული: ἵνα γράφωμεν (აწმყოს კავშ.) „რათა ვწერდეთ“, ἵνα γράψωμεν (აორისტის კავშ.) „რათა დავწეროთ“.

ნატვრითი კილო – ოპტატივი და ზმნის განუსაზღვრელი კილო – ინფინიტივი დროთა ოთხ ფორმას მოეპოვება: აწმყოს, მყოფადს, აორისტსა და ნამყო სრულს (მყოფადი III ოპტატივში იშვიათია).

ბრძანებითი კილოს დროის სამი ფორმა აქვს: აწმყო, აორისტი და ნამყო სრული. აწმყოს ბრძანებითსა და აორისტის ბრძანებითს შორის განსხვავება სახეობრივია და არა დროული: γράφε (აწმყოს ბრძანებითი) „წერე“, γράψον (აორისტის ბრძანებითი) „დაწერე“.

ნამყო უსრულსა და ნამყო წინარეწარსულს მხოლოდ თხრობითი კილო აქვთ.

მეორე ანუ ძლიერი დროები (tempora secunda). ზოგიერთ ზმნას მოეპოვება დროთა ფორმები, რომელთაც მეორე ანუ ძლიერი დროები ეწოდება. ესენია: აორისტი II (მოქმედებით, საშუალსა და ვნებით გვარში), ნამყო სრული II, ნამყო წინარეწარსული II (მოქმედებით გვარში) და მყოფადი II (ვნებით გვარში). ამ ფორმებს ჩვეულებრივ იგივე მნიშვნელობა აქვთ, რაც ე.წ. პირველ დროებს (I აორისტი, I ნამყო სრულს, I ნამყო წინარეწარსულს და I მყოფადს). სხვაობა დროთა პირველსა და მეორე ფორმებს შორის მათ წარმოებაში მდგომარეობს.

იმ ფორმას, რომელიც ნაწარმოებია ზმნის ფუძეზე თანხმოვანი სუფიქსის (დროის ფორმის მაჩვენებელი ნიშნის) დართვით, სუსტი ანუ პირველი დრო ეწოდება. მაგალითად: ἐ-παίδευ-σ-α „გავზარდე“ არის სუსტი ანუ პირველი აორისტი, რომელიც ნაწარმოებია ფუძისაგან παιδευ- (აწმყო: παιδεύ-ω „ვზრდი“); σ პირველი აორისტის ნიშანია.

თუ ფორმა ნაწარმოებია ზმნის ფუძეზე თანხმოვანი სუფიქსის დაურთველად, მას ძლიერი ანუ მეორე დრო ეწოდება. მაგალითად: ἔ-λιπ-

ο-ν „დავტოვე“ არის ძლიერი ანუ მეორე აორისტი, მაწარმოები სუფიქსის დაურთველად მარტივი ფუძისგან λιπ- (აწმყოა λείπ-ω „ვტოვებ“); γέ-γραφ-α „დავწერე“ ასევე ძლიერი ანუ II ნამყო სრულია, ნაწარმოები ფუძისგან γραφ- (აწმყოა γράφ-ω „ვწერ“). მეორე დროებისთვის დამახასიათებელია ძირეული ხმოვნის თვისებრიობის ცვლა (აბლაუტი). მაგალითად: აწმყოა κλέπτ-ω „ვიპარავ“, ძირეული ხმოვანია ε, II აორისტია ἔ-κλάπ-ην, II ნამყო სრულია κέ-κλοφα, ე.ი. ε → α → ο[1].

თუ ზმნას დროთა ორივე ფორმა მოეპოვება, მაშინ ეს ფორმები ჩვეულებრივ მნიშვნელობითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ ასეთი შემთხვევები იშვიათია. ზოგჯერ ასეთი ფორმა პოეტური ენისთვისაა დამახასიათებელი, მეორე კი პროზაში გვხვდება.

სახელზმნები

ბერძნულ ენაში მოიპოვება სახელზმნების შემდეგი ფორმები:

1) განუსაზღვრელი ფორმა ანუ განუსაზღვრელი კილო (ἀπαρέμφατος, infinitivus);

2) მიმღეობა (μετοχή, participium – სიტყვასიტყვით – „მოზიარე“, „მონაწილე“);

3) ნაზმნარი ზედსართავი სახელი (ῥηματικὸν ἐπίθετον, adiectivum verbale).

ფუძე. ბერძნული ზმნა განასხვავებს ორგვარ ფუძეს: 1) ზმნის ფუძეს ანუ მარტივ ფუძეს და 2) დროის ფუძეს.

ზმნის ფუძე ზმნის ის ნაწილია, რომლისგანაც იწარმოება დროის ფუძეები და საერთოდ ზმნის ყველა ფორმა.

ზმნის ფუძისგან დროის ფუძე იწარმოება სხვადასხვა გზით. დროის ფუძეებია: აწმყოს ფუძე მყოფადის ფუძე, აორისტის ფუძე, ნამყო სრულის ფუძე.

მაგალითად, ზმნისათვის τάσσω „ვაწყობ“ ზმნის ფუძეს წარმოადგენს ταγ-, ხოლო აწმყო დროის ფუძეა τασσ-, რომელიც მიღებულია ზმნის ფუძის იოტიზაციით (ταγ + jω > τάσσω). აწმყო ფუძისგან იწარმოება ნამყო უსრული ἔτασσον და ზოგიერთი სხვა ფორმაც; ταγ- ფუძისგან კი იწარმოება მყოფადი (τάξω < τάγ σω), აორისტი (ἔταξα < ἔταγ-σα) და სხვა ფორმები.

---

[1] შდრ. გერმანულ ენაში არსებულ სუსტ და ძლიერ უღლებას: machen- mach-te – gemacht და singen – sang – gesungen. შდრ. ინგლის. sing-sang-sung.

ზოგჯერ ზმნის ფუძე და დროის ფუძე ერთი და იგივეა – იდენტურია. მაგალითად, ზმნისათვის παιδεύ-ω „ვზრდი“ ზმნის ფუძე და დროის ფუძეც არის παιδευ-, რომელიც ზმნას ყველა ფორმაში გაჰყვება.

ზოგჯერ ზმნის ფუძე წარმოგვიდგენს ძირს. მაგალითად, ზმნისათვის τί-ω „პატივს ვცემ“ τι არის ძირი. იმავე მნიშვნელობის ზმნაში τιμά-ω τιμა- არის ფუძე, რომელიც მიღებულია τι ძირზე μα სუფიქსის დართვით.

ზმნას, რომელიც დროის ფუძეს უშუალოდ ძირისგან აწარმოებს, მარტივი ზმნა ეწოდება.

ზმნის უმთავრესი ფორმები. უმთავრეს ფორმებად ჩვეულებრივად მიიჩნევენ დროთა ექვს ფორმას თხრობითი კილოს მხოლობითი რიცხვის პირველ პირში. ეს ფორმებია: აწმყო, მყოფადი, I აორისტი, I (ან II) ნამყო სრული მოქმედებით გვარში, ნამყო სრული საშუალ გვარში და I (ან II) აორისტი ვნებით გვარში. მყოფადი ზოგჯერ მოცემულია საშუალ გვარში (ეს მაშინ როცა მყოფადს მოქმედებითი გვარის ფორმა არ მოეპოვება). II აორისტი (მოქმედებით ან საშუალ გვარში) მოცემულია იმ შემთხვევაში, თუ ზმნას ეს ფორმა მოეპოვება.

მაგალითები:

აწმყო	მყოფადი	აორისტი I	ნ. სრული	აორისტი I ვნ.
παιδεύω	παιδεύσω	ἐπαίδευσα	πεπαίδευκα, πεπαίδευμαι	ἐπαιδεύθην
ვზრდი				
λείπω	λείψω	ἔλιπον (აორ. II)	λέλοιπα, λέλειμμαι	ἐλείφθην
ვტოვებ				
γράφω	γράψω	ἔγραψα	γέγραφα, γέγραμμαι	ἐγράφην (აორ. II ვნ.)
ვწერ				
σκώπτω	σκώψομαι	ἔσκωψα	— —	ἐσκώφθην
დავცინი				

დეპონენტური ზმნების უმთავრესი ფორმებია: აწმყო, მყოფადი, აორისტი, ნამყო სრული.

მაგალითები:

βούλομαι, მინდა	βουλήσομαι	ἐβουλήθην	βεβούλημαι (DP).
γίγνομαι ვიბადები, ვიქმნები	γενήσομαι	ἐγενόμην, γεγένημαι	γέγονα (DM)
ἐργάζομαι ვმუშაობ	ἐργάσομαι	εἰργασάμην, εἰργάσθην	εἴργασμαι

უღლება (συζυγία, coniugatio)

ბერძნულში ორი მთავარი უღლებაა. პირველ უღლებას განეკუთვნება ის ზმნები, რომელთაც აწმყო დროის თხრობითი კილოს მოქმედებითი გვარის მხოლობითი რიცხვის პირველ პირში აქვთ ბოლოკიდური -ω (λύ-ω „ვხსნი“).

პირველი ანუ -ω უღლება, რომელიც მეორეული წარმოშობისაა, თავისი მოცულობით მრავალრიცხოვანია.

მეორე უღლებას განეკუთვნება ის ზმნები, რომელთაც ზემოაღნიშნულ ფორმაში აქვთ ბოლოკიდური -μι (τίθη-μι „ვდებ“).

მეორე ანუ -μι უღლება უძველესი ტიპისაა და თავისი მოცულობით შედარებით მცირერიცხოვანია.

დროთა ფორმების წარმოება ზმნაში ხდება ფუძეზე მაწარმოებელი ელემენტების – დაბოლოებების დართვით.

პირველი ანუ -ω უღლების ზმნათა ზოგიერთი დროის ფუძეს დაბოლოებები დაერთვის ე.წ. შემაერთებელი ხმოვნების (თემატური ხმოვნების) მეშვეობით.

მეორე ანუ -μι უღლების ზმნებში დაბოლოებები დროთა ფუძეებს დაერთვის უშუალოდ – შემაერთებელი ხმოვნის გარეშე.

ფორმათა წარმოების თვალსაზრისით -μι უღლების ზმნები -ω უღლების ზმნებისგან განსხვავდება აწმყოში, ნამყო უსრულსა და II აორისტში. დანარჩენ დროთა ფორმები ორივე უღლების ზმნებისა ერთნაირად იწარმოება.

შემაერთებელი ხმოვნები. აწმყოში, ნამყო უსრულში, მყოფადსა და მეორე აორისტში ფუძისა და დაბოლოების შემაერთებელი ხმოვნებია: μ და ν-ს წინ თხრობით კილოში ο, კავშირებით კილოში ω; სხვა ბგერათა წინ – თხრობით კილოში ε, კავშირებითში – η.

ოპტატივის (ნატვრითი კილოს) მაჩვენებელია ხმოვანი ι (ზოგიერთ ფორმაში ιη [ιε]), რომელიც წინამდებარე ხმოვნებთან (ο, α, ε) ქმნის დიფთონგებს (οι, αι, ει).

დაბოლოებები. განსაზღვრულ კილოებში (თხრობითსა და კავშირებითში, ნატვრითსა და ბრძანებითში) ფუძეზე დართული დაბოლოებები მაჩვენებელია ზმნის პირის, რიცხვისა და გვარისა. დაბოლოებები ორ ჯგუფად იყოფა: 1. მთავარ დროთა დაბოლოებები (თხრობითი კილოს აწმყოს, მყოფადისა და ნამყო სრულისა და კავშირებითი კილოს დროთა

ფორმებისათვის). 2. ისტორიულ დროთა დაბოლოებები (თხრობითი კილოს ნამყო უსრულის, აორისტისა და ნამყო წინარეწარსულისა და ნატვრითი კილოს დროთა ფორმებისათვის).

დაბოლოებათა ადრინდელი სახე შემონახულია მეორე ანუ -μι უღლების ზმნებში; პირველი ანუ -ω უღლების ზმნებში კი ადრინდელი დაბოლოებები შეცვლილია ფონეტიკური პროცესების შედგად.

a. ადრინდელი დაბოლოებები

	მოქმედებითი გვარი activum		საშუალი და ვნებითი გვარი medium (passivum)	
რიცხვი	მთავარი დროები (აწ/ტ.)	ისტორიული დროები (ა;ქტ.)	მთავარი დროები (მ/პ.)	ისტორიული დროები (მ/პ.)
მხოლ. Sing.	1. -μι 2. -σι 3. -τι	-ν -ς -(τ)	-μαι -σαι -ται	-μην -σο -το
მრავლ. Plur.	1. -μεν 2. -τε 3. -ντι	-μεν -τε -ν(τ). -σαν(τ)	-μεθα -σθε -νται	-μεθα -σθε -ντο
ორობ. Dual.	1. -μεν 2. -τον 3. -τον	-μεν -τον -την	-μεθα -σθον -σθον	-μεθα -σθον -σθην

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი: 1. საშუალსა და ვნებით გვარს საზიარო დაბოლოებები აქვთ. აორისტის ვნებითს მოქმედებითი გვარის დაბოლოებები აქვს, მყოფადის ვნებითს კი – საშუალი გვარისა. 2. მრავლობით და ორობით რიცხვთა პირველი პირი ფორმით ერთნაირია (ორობითი რიცხვის საშუალ გვარში გვხვდება პირველი პირისთვის განსაკუთრებული ფორმა დაბოლოებით -μεθον, მაგრამ ეს ფრიად იშვიათია; იხ. ჰომ. „ილიადა“ XXIII, 485, περιδώμεθον).

b. ბრძანებითი კილოს ადრინდელი დაბოლოებები

რიცხვი	მოქმედებითი გვარი activum	საშუალი და ვნებითი გვარი Medium (passivum)
მხოლობითი რიცხვი Sing.	2. –θι 3. -τω	-σο -σθω
მრავლობითი რიცხვი Plur.	2. -τε 3. –ντων (-τωσαν)	-σθε -σθων (σθωσαν)
ორობითი რიცხვი Dual.	2. -τον 3. -των	-σθον -σθων

დროთა ფორმების ნიშნები. აწმყოსა და ნამყო უსრულს მოქმედებითში, საშუალსა და ვნებით გვარში, ხოლო ნამყო სრულსა და ნამყო წინარეწარსულს საშუალსა და ვნებით გვარში დროის მაჩვენებელი ნიშნები არ მოეპოვებათ.

მყოფადის ნიშანია σ.

I აორისტის ნიშანი მოქმედებითსა და საშუალ გვარში არის σ-ᾰ, ვნებით გვარში θε/θη.

I პერფექტუმის (ნამყო სრულის) ნიშანი მოქმედებით გვარში არის κ-ᾰ.

ეგრეთ წოდებულ მეორე დროებს დროის მაჩვენებელი ნიშნები არა აქვთ. იქ დროთა ფორმების წარმოება ფუძის ცვალებადობით ხდება.

დროთა ნიშნების (σ, σ-ᾰ, θε/θη, κ-ᾰ) დართვა ფუძეზე იწვევს ფონეტიკურ ცვლილებებს: ეს ნიშნები წინმდებარე მოკლე ხმოვნებს (ι, υ, α, ε, ο) აგრძელებენ, წინმდებარე თანხმოვანთან კი – ან ქმნიან რთულ თანხმოვნებს (ζ, ξ, ψ), ან ამოაგდებენ ამ თანხმოვანს, ანდა თვით ამოვარდებიან.

სახელზმნების მაწარმოებლები

1. განუსაზღვრელი კილოს (ინფინიტივის) საწარმოებლად ფუძეს ემატება შემდეგი დაბოლოებები:

a. -εν: -ω უღლების ზმნების აწმყოს, II აორისტისა და მყოფადის მოქმედებით გვარში. დაბოლოება εν ფუძეს დაერთვის შემაერთებელი ხმოვნის ε-ს მეშვეობით და ხდება ხმოვანთა შერწყმა: ε + εν ⟶ ειν (λύ-ε-εν = λύειν);

b. -αι: I აორისტის მოქმედებით გვარში (λῦ-σ-αι);

c. -ναι: -μι უღლების ზმნების აწმყოსა და II აორისტის მოქმედებით გვარში; ორივე უღლების ზმნების აორისტის ვნებით გვარში და პერფექტუმის (ნამყო სრული) მოქმდებით გვარში (τιθέ-ναι, θεῖ-ναι, λυθῆ-ναι, ἑστά-ναι, λελυκέ-ναι, εἰδέ-ναι);

d. -σθαι: ყველა დანარჩენ შემთხვევაში.

2. მიმღეობის საწარმოებლად დროის ფუძეს ემატება შემდეგი ფორმანტები:

a. -ντ: აწმყოს, მყოფადის, I და II აორისტის მოქმედებით გვარში და I და II აორისტის ვნებით გვარში;

b. -οτ: პერფექტუმის მოქმედებით გვარში;

ε. -μεν: საწყისისა და ვნებითი გვარის დროთა ფორმებში (აორისტის ვნებითი გვარის გარდა).

3. ნაზმნარი ზედსართავი სახელი. ნაზმნარი ზედსართავი სახელი ორი ჯგუფისაა. პირველი ჯგუფის სახელებს აქვთ დაბოლოება: -τός (მამრ, სქესში), -τή (მდედრ. სქესში), -τόν (საშ. სქესში); მეორე ჯგუფის სახელთა დაბოლოებაა -τέος (მამრ. სქესში), -τέα (მდედრ. სქესში), -τέον (საშ. სქესში).

ეს დაბოლოებები ჩვეულებრივ დაერთვის ვნებითი გვარის I ან II აორისტის ფუძეს. დაბოლოებათა თავკიდური τ ფუძის ბოლოკიდურ ბგერაზე ფონეტიკურ გავლენას ახდენს: წინამდებარე მოკლე ხმოვანს (α, ε, ο) აგრძელებს, წინამდებარე თანხმოვანთან კი იმ ცვლილებებს იწვევს, რაც ნაჩვენებია ზემოთ. ნაზმნარ ზედსართავ სახელს ვნებითი გვარის მნიშვნელობა აქვს. პირველი ჯგუფის სახელებს ჩვეულებრივ ნამყო დროის ან შესაძლებლობის გაგება აქვთ, მეორე ჯგუფისას კი – მყოფადისა (შდრ. ლათ gerundivum); τιμητός, -ή, -όν – პატივცემული; τιμητέος, -έα, -έον – პატივსაცემი (ἐ-τιμή-θην), παιδευτός, -ή, -όν – აღზრდილი“ – παιδευτέος. -έα, -έον აღსაზრდელი (ἐ-παιδεύθην), στατός, -ή, -όν დადგმული – στατέος, -έα, -έον დასადგმელი (ἐ-στά-θην), δοτός, ή, όν მიცემული – δοτέος, -έα, -έον მისაცემი (ἐ-δό-θην), θετός, -ή, -όν დადებული – θετέος, -έα, -έον დასადები (ἐ-θεθην → ἐ-τέ-θην).

ნაზმნარი ზედსართავი სახელი იბრუნვის I და II კანკლედობით როგორც სამბოლოკიდურიანი პირველი რიგის ზედსართავი სახელი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ნაზმნარი ზედსართავი სახელი ზოგჯერ იწარმოება სხვა ფუძეებისგანაც (აწმყოს ფუძისგან, მყოფადის ფუძისგან): φερ-τός (φέρ-ω), ἰ-τέον (εἶμι), μενετός (μενέ-ω → μενῶ).

აუგმენტი. ისტორიულ დროთა საწარმოებლად, სათანადო დაბოლოებათა გარდა, საჭიროა აგრეთვე ე.წ. აუგმენტი ანუ ნამატი (augmentum, αὔξησις). აუგმენტი ზმნას აქვს მხოლოდ თხრობით კილოში (ნამყო უსრულში, აორისტსა და ნამყო წინარეწარსულში). აუგმენტი ანუ ნამატი ორგვარია: მარცვლოვანი და დროული ანუ რაოდენობითი.

1. მ ა რ ც ვ ლ ო ვ ა ნ ი ნ ა მ ა ტ ი (augmentum syllabicum, συλλαβικὴ αὔξησις) მდგომარეობს იმაში, რომ თანხმოვნით დაწყებულ ზმნებს ზემოხსენებულ ისტორიულ დროთა ფორმებში ფუძის წინ ემატებათ ხმოვანი ε,

რის გამოც სიტყვა ერთი მარცვლით იზრდება. პლუსკვამპერფექტუმში (ნამყო წინარეწარსულში) ეს ε ემატება რედუპლიცირებულ ფუძეს:

Praesens	Imperfectum	Aorist.	Plusqu. Perfect.
λύω	ἔ-λυον	ἔ-λυσα	ἐ-λελύκειν
ვიხსნი	ვხსნიდი	გავხსენი	გამიხსნია
γράφω	ἔ-γραφον	ἔ-γραψα	ἐ-γεγράφειν
ვწერ	ვწერდი	დავწერე	დამიწერია

თუ ზმნა იწყება ρ თანხმოვნით, ε-ს მიმატების შემდეგ ρ გაორკეცდება

ῥίπτω: ვაგდებ	ἔ-ρριπτον	ἔ-ρριψα	ἐ-ρρίφειν
ῥήγνυμι ვამტვრევ	ἔ-ρρηξα	ἐ-ρράγην	
ῥέω ვმდინარებ	ἔ-ρρεον	ἔ-ρρευσα	ἐ-ρρύην

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: გაორკეცებული ρ (ρρ) შედეგია ასიმილაციისა. უძველეს ხანებში ρ თანხმოვნით დაწყებულ ზმნებს ჩვეულებრივ წინ უძღოდათ F (დიგამა) ან σ (ამის კვალი დაცულია ჰომეროსის პოემებში). ასიმილაცია მოხდა კომპლექსებში Fρ და σρ: ῥίπτω ← Fρίπτω, ῥήγνυμι ← Fρήγνυμι, ῥέω ← *σρέω.

2. დ რ ო უ ლ ი ა ნ უ რ ა ო დ ე ნ ო ბ ი თ ი ნ ა მ ა ტ ი (augmentum temporale, χρονικὴ αὔξησις) მდგომარეობს იმაში, რომ ხმოვნით დაწყებულ ზმნებს ისტორიულ დროთა ფორმებში ეს ხმოვანი უგრძელდებათ; თუ ზმნის ფუძე იწყება დიფთონგებით αι, αυ, οι, ამ დიფთონგთა შემადგენელი პირველი ხმოვანი დაგრძელდება:

	Praes.	Imperfect.	Aorist.	Plusqu. Perfect.
α>η:	ἄγω მიმყავს	ἦγον	ἦξα, ἤγαγον	ἦχειν
ε>η:	ἐλπίζω ვიმედოვნებ	ἤλπιζον	ἤλπισα	ἠλπίκειν
ᾰ>ῑ:	ἱκετεύω ვევედრები	ἱκέτευον	ἱκέτευσα	ἱκετεύκειν
ο>ω:	ὁρίζω ვსაზღვრავ	ὥριζον	ὥρισα	ὡρίκειν
ῠ>ῡ:	ὑβρίζω ვთავხედობ	ὕβριζον	ὕβρισα	ὑβρίκειν
αι>η:	αἱρέω ვიპყრობ	ᾕρουν	ἠρησάμην	ἠρήκειν

ᾳ>η:	ᾄδω	ἦδον	ἦσα	
	ვმღერი			ηὐλήκειν
αυ>ηυ:	αὐλέω	ηὔλουν	ηὔλησα	
	ფლეიტას ვუკრავ			ᾐκήκειν
οι>ῳ:	οἰκέω	ᾤκουν	ᾤκησα	
	ვსახლობ			

შენიშვნები: 1) ისტორიულ დროებში აუგმენტი არა აქვთ იმ ზმნებს, რომელთა ფუძეც იწყება გრძელი ხმოვნით: η, ω, ῑ, ῡ, ου; მაგალითად: ᾔκω „მოვდივარ“ ნ. უსრ. ᾔκον, ὠφελέω „სარგებლობა მომაქვს“ ნ. უსრ. ὠφέλουν, ἱπόω „ვჭყლეტ“ აორ. ἵπωσα, ὑπνόω „ვაძინებ“ აორ. ὕπνωσα, οὐτάζω [და]ვჭრი ნ. უსრ. οὔταζον.

2) ჩვეულებრივ აუგმენტი არა აქვთ ει და ευ დიფთონგებით დაწყებულ ზმნებს. გამონაკლისია ზმნა εἰκάζω (ვასახიერებ), რომელსაც უაუგმენტო ფორმების პარალელურად (εἴκαζον, εἴκασα) მოეპოვება აუგმენტიანი ფორმებიც: ნ. უსრ, ᾔκαζον, აორ. ᾔκασα; ასევე ზმნას εὔχομαι (ვემუდარები) აქვს აუგმენტიანი და უაუგმენტო ფორმებიც: ნ. უსრ. εὐχόμην და ηὐχόμην, აორ. εὐξάμην და ηὐξάμην; ასეთივეა ზმნა εὑρίσκω (ვპოულობ): ნ. უსრული εὕρισκον და ηὕρισκον, აორ. εὗρον და ηὗρον, აორ. ვნ. εὑρέθην და ηὑρέθην.

3) ზმნებს, რომლებიც αυ და οι დიფთონგებით იწყება, როგორც წესი, ნამატი არა აქვთ, თუ ამ დიფთონგებს ხმოვანი მოსდევს: αὐαίνω (ვახმობ) ნამყო უსრული αὔαινον (თუმცაღა გვხვდება ფორმა ηὐαινόμην); οἰακίζω (ვმართავ) ნამყო უსრული οἰάκιζον. ზოგჯერ οι დიფთონგით დაწყებულ ზმნას აუგმენტი არა აქვს მაშინაც, როცა ამ დიფთონგს თანხმოვანი მოსდევს: οἰκουρέω (ვდარაჯობ), აორისტი οἰκούρησα.

4) ზმნებს βούλομαι (მსურს), δύναμαι (შემიძლია) და μέλλω (მაქვს განზრახვა) აუგმენტად ხან ε აქვთ და ხანაც – η: ἐβουλόμην და ἠβουλόμην, ἐδυνάμην და ἠδυνάμην, ἔμελλον და ἤμελλον.

5) ქვემოთ ჩამოთვლილ ზმნებს დროული ანუ რაოდენობითი ნამატის ნაცვლად აქვთ მარცვლოვანი ნამატი.

ἄγνυμι (ვტეხ), აორისტი ἔαξα;

ἁλίσκομαι (მატყვევებენ); აორისტი ἑάλων (ან ἥλων) ნ. წინ. წარსული ἑαλώκειν.

ὠθέω (ვუბიძგებ, ვაოტებ), ნ. უსრული ἐώθουν, აორისტი ἔωσα.

ὠνέομαι (ვყიდულობ), ნ. უსრული ἐωνούμην, აორ. ვნებითი ἐωνήθην.

ἀνδάνω (სანუკვარი, მოსაწონი ვარ), ნ. უსრული ἤνδανον, მაგრამ იონურ დიალექტში არის ἐάνδανον, აორ. II ἔαδον.

οὐρέω, ნ. უსრული ἐούρουν, აორისტი ἐούρησα.

მარცვლოვანი ნამატის მიზეზი ამ ზმნებში ისაა, რომ თავის დროზე მათი ფუძე თანხმოვნით – დიგამით იწყებოდა (Fάγνυμι, Fαλίσκομαι, Fωθέω და ა. შ.).

6) ზოგიერთ ზმნას ორივე აუგმენტი აქვს – მარცვლოვანიცა და დროულიც; ὁράω (ვხედავ), ნ. უსრული ἑώρων. (ἀν)οίγνυμι ან (ἀν)οίγω (ვაღებ), ნ. უსრული (ἀν)έῳγον (გვხვდება ფორმაც ἤνοιγον), აორ. ἀνέῳξα (პარალელური ფორმაა ἤνοιξα); [*εἴκω] – ἔοικα (ჩანს), ნ. წინარ. წარსული ἐῴκειν (ἔοικα < FεFοικα).

7) ზმნას ἑορτάζω (ვზეიმობ) აუგმენტი აქვს თავიდან მეორე მარცვალზე: ნ. უსრული ἑώρταζον. ეს ფორმა მიღებულია ἡόρταζον ფორმისგან რაოდენობრივი გადასმით (metathesis quantitates).

8) ქვემოთ ჩამოთვლილ ზმნებს, რომლებიც ε-ით იწყებიან, აუგმენტად აქვთ არა η, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ – ει. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ამ ზმნების ფუძე იწყებოდა (F, σ, σF) და აუგმენტიც მარცვლოვანი, ე.ი. ε ჰქონდათ; შემდეგ ორ ხმოვანს შორის მდებარე თანხმოვანი (εFε, εσε, ზოგან εσFε) ამოვარდა და მოხდა ცნობილი კონტრაქცია – შერწყმა ε + ε > ει;

ἐάω (σεFαω), imperf. εἴων (<ἐσεFαον → ἑεαον → εἴαον), aor. εἴασα εἰάθην
ნებას ვრთავ (შდრ. ლათ. iubeo)
ἕζομαι (σεδιομαι), aor. εἰσάμην
ვზივარ (შდრ. ლათ. sedeo, რუს. сидеть)
ἐθίζω (σFεθιζω), imperf. εἴθιζον (< ἐσFεθιζον), aor. εἴθισα εἰθίσθην
ვაჩვევ (შდრ. ლათ. sue-sco)
ἑλίττω (Fελιττω), imperf. εἴλιττον, aor. εἵλιξα εἰλίχθην
ვაბრუნებ (შდრ. ლათ. vol-v-o)
ἕλκω = ἑλκύω (σελκω), imperf. εἷλκον, aor. εἵλκυσα εἱλκύσθην
მივათრევ (შდრ. რუს влек-у)
ἕπομαι (σεπομαι), imperf. εἱπόμην
მივყვები, მივდევ (შდრ. ლათ. sequor)
ἐργάζομαι (Fεργαζομαι), imperf. εἰργαζόμην[1], aor. εἰργασάμην

[1] ნამყო უსრულში გვხვდება *ἐργαζόμην* ფორმაც (აქ *η* გვაქვს როგორც დროული-დაოდენობრივი ნამატი)

ვმუშაობ (შდრ. გერმ. Werk)
ἕρπω (σερπω), imperf. εἷρπον
მივცოცავ (ლათ. serpo)
ἑστιάω (Γεστιαω), imperf. εἱστίων, aor. εἱστίασα εἱστιάσθην
ვუმასპინძლდები (შდრ. ლათ. კერის ქალღმერთის სახელი Vesta)
ἔχω (σεχω), imperf. εἶχον (< ἐσεχον → ἐεχον).

9) პრევერბიან (ზმნისწინიან) ზმნებს აუგმენტი მოუდით პრევერბის შემდეგ. თუ პრევერბი აწმყოში ასიმილირებულია, ნამატის დართვის შემდეგ ის პირვანდელ სახეს მიიღებს. ბოლოხმოვნიანი პრევერბები ნამატის წინ ბოლოკიდურ ხმოვანს კარგავენ ელიზიის წესით, გარდა პრევერბებისა προ და περι. προ პრევერბის ο ხშირად განიცდის კრასისს ნამატ ε-სთან (προ-ε- > πρου-). პრევერბი ἐκ აუგმენტის წინ იხმარება ფორმით ἐξ.

მახვილი პრევერბიან ზმნებში აუგმენტს მარცხნივ ვერ გადასცილდება.

მაგალითები:

Praesens	პრევერბი	Imperfectum
εἰσφέρω (შემაქვს)	εἰς	εἰσ-έ-φερον
ὑπερβαίνω (გადავდივარ)	ὑπερ	ὑπερ-έ-βαινον
προσάγω (მიმყავს)	προς	προσ-ἦγον
ἐγχέω (შიგ ვასხამ)	ἐν	ἐν-έ-χεον
ἐλλείπω (შიგ ვტოვებ)	ἐν	ἐν-έ-λειπον
ἐλλάμπω (ვაბრწყინებ)	ἐν	ἐν-έ-λαμπον
ἐμβαίνω (შევდივარ)	ἐν	ἐν-έ-βαινον
ἐμβάλλω (ვაგდებ)	ἐν	ἐν-έ-βαλλον
συγκομίζω (თავს ვუყრი)	συν	συν-ε-κόμιζον
συλλέγω (ვკრებ)	συν	συν-έ-λεγον
συμβάλλω (ვაგროვებ)	συν	συν-έ-βαλλον
συρρέω (შევერთვი)	συν	συν-έ-ρρεον
συσκευάζω (ვამზადებ, ვაწყობ)	συν	συν-ε-σκεύαζον
διαβάλλω (გადამაქვს, ვაბეზღებ)	δια	δι-έ-βαλλον
ἐπιβάλλω (დავაგდებ)	ἐπι	ἐπ-έ-βαλλον
παραβάλλω (მივუგდებ, ვუდარებ)	παρα	παρ-έ-βαλλον
ἀποβαίνω (ჩამოვდივარ)	ἀπο	ἀπ-έ-βαινον
ὑπογράφω (მივაწერ)	ὑπο	ὑπ-έ-γραφον
καταβαίνω (ჩავდივარ)	κατα	κατ-έ-βαινον
μεταβάλλω (ვცვლი)	μετα	μετ-έ-βαλλον
περιβάλλω (შემოვავლებ)	περι	περι-έ-βαλλον
περιγράφω (აღვწერ)	περι	περι-έ-γραφον

προβαίνω (წინ მივდივარ)	προ	προ-έ-βαινον ან προύβαινον
ἐκβάλλω (გამოვაგდებ)	ἐκ	ἐξ-έ-βαλλον
ἐκφέρω (გამომაქვს)	ἐκ	ἐξ-έ-φερον
ἐκλύω (გამოვიხსნი)	ἐκ	ἐξ-έ-λυον
ἐξάγω (გამომყავს)	ἐξ	ἐξ-ἦγον

შენიშვნები: 1) ზოგიერთ ზმნას ორი ნამატი აქვს – ერთი პრევერბის წინ, მეორე – ფუძის წინ:

ἀνέχομαι (გადამაქვს) ნ. უსრული ἠν-ειχόμαι, აორისტი ἠν-ε-σχόμην

ἐνοχλέω (ვაწუხებ), ნამყო უსრული ἠν-ώχλουν

ἐπανορθόω (აღვადგენ), ნამყო უსრული ἐπ-ην-ώρ-θουν

παροινέω (სიმთვრალით ვშმაგობ), ნამყო უსრული ἐ-παρ-ῴνουν

2) ზმნებს, რომელთაც ორი ან მეტი პრევერბი აქვთ, აუგმენტი მოუდით მეორე (ან მომდევნო) პრევერბის შემდეგ:

συν-ανα-βαίνω (ერთად ავდივართ) ნ. უსრული συν-αν-έ-βαινον

ὑπ-εξ-άγω (გამომყავს), ნ. უსრული ὑπ-εξ-ἦγον

ὑπ-εξ-ανα-δύομαι (თავს ამოვწევ), ნ. უსრული ὑπ-εξ-αν-ε-δυόμην.

3) ზოგიერთი პრევერბიანი ზმნა აღქმულია როგორც მარტივი – ერთწევრიანი და აუგმენტიც პრევერბის წინ მოუდის:

καθ-εύδω (მძინავს,) ნ. უსრული ἐκάθευδον (ან καθηῦδον)

καθ-ίζω (ვსვამ, ვჯდები) – ἐκάθιζον

καθ-έζομαι (ვჯდები) -ἐκαθεζόμην

ἐναντιόομαι (ვეწინააღმდეგები) – ἠναντιούμην.

4) ზმნებს ἀμφι-σβητέω (ვედავები) და ἀμφι-γνοέω (ვყოყმანობ) ან ორ-ორი ნამატი აქვთ, ანდა ერთი -პრევერბის წინ: აორისტი ἠμφ-ε-σβήτησα ან ἠμφι-σβήτησα, ἠμφ-ε-γνόουν ან ἠμφι-γνόουν. ასეთივეა ზმნა διακονέω (ვემსახურები): ნ. უსრული ἐδιηκόνεον ან διηκόνεον.

5) ზოგიერთი ზმნა პრევერბიანს ჰგავს, სინამდვილეში კი მარტივია და აუგმენტიც დასაწყისშია. ეს ზმნებია: ἀναγκάζω (ვაიძულებ) ნ. უსრული ἠνάγκαζον. ἀνιάω (ვაწყენინებ) აორისტი ἠνιάθην. ἀπατάω (ვატყუებ) ნ. უსრული ἠπάτων. ἀπαιλέω (ვემუქრები) აორისტი ἠπείλησα. διώκω (ვდევნი) აორისტი ἐδίωξα; ἐπείγω (ვაქეზებ) აორისტი ἐπείχθην. καθαίρω (ვწმენდ) აორისტი ἐκαθάρθην. ὑφαίνω (ვქსოვ) ნ. უსრული ὕφαινον.

ზმნა ἀπαντάω (ვეწინააღმდეგები) პრევერბიანია (ἀπο-), ამიტომ აუგმენტი ფუძის წინაა: აორისტი ἀπ-ήντησα.

6) უპრევერბო, მაგრამ სხვა წინსართის მქონე, ან სხვაგვარი რთული შემადგენლობის ზმნებს აუგმენტი დასაწყისში აქვთ, მაგალითად: ἀ-δικέω (უსამართლოდ ვიქცევი) აორისტი ἠδίκησα; ἀ-θυμέω (ვდარდობ) ნ. უსრული ἠθύμουν. δυσ-τυχέω (ბედუკუღმართი ვარ) ნ. უსრული ἐδυστύχουν (გამონაკლისია δυσαρεστέω „გულს მაკლია“ ნ. უსრული δυσηπέστουν). πολιορκέω (ალყას ვარტყამ) ნ. უსრული ἐπολιόρκουν. οἰκοδομέω (ვაშენებ) აორისტი ᾠκοδόμησα. μυθολογέω (ვყვები) ნ. უსრული ἐμυθολόγουν და სხვა.

7) ზოგიერთ ზმნას წინსართად აქვს ზმნიზედა εὖ (კარგად). თუ ამ წინსართს თანხმოვანი ან გრძელი ხმოვანი მოსდევს, ზმნას აუგმენტი ან არ ექნება, ანდა დასაწყისში მიიღებს მას; თუ ευ წინსართს მოკლე ხმოვანი მოსდევს, მაშინ აუგმენტი ფუძის წინ იქნება:

εὐ-τυχέω (ბედნიერი ვარ) ნ. უსრული εὐτύχουν (ηὐτύχουν). εὐωχέω (ვგულუხვობ) ნ. უსრული εὐώχουν. εὐεργετέω (კეთილს ვიქმ) ნ. უსრული εὐηργέτουν (ან εὐεργέτουν).

რედუპლიკაცია. რედუპლიკაცია ანუ გაორკეცება (reduplicatio, ἀναδιπλασιασμός) მაუწყებელია ზმნის მოქმედების დასრულებისა და დამახასიათებელია ნამყო სრულის ან პერფექტუმის ფუძისაგან ნაწარმოები ყველა ფორმისათვის (perfectum, plusquamperfectum, futurum III).

რედუპლიკაცია ზოგჯერ დამახასიათებელია ზმნებისთვის აწმყოში და მეორე აორისტშიც.

რ ე დ უ პ ლ ი კ ა ც ი ი ს წ ე ს ე ბ ი:

1. თუ ზმნა იწყება ერთი თანხმოვნით (ρ-ს გარდა), ან თანხმოვანთა კომპლექსით muta cum liquida (ხშული თანხმოვანი + ნარნარა: λ, μ, ν, ρ), დასაწყის თანხმოვანს დაერთვის ε და ამრიგად მიღებული მარცვალი ფუძეს დაემატება წინ:

λύω (ვხსნი)	Perfectum	λέ-λυκα
παιδεύω (ვზრდი)	–	πε-παίδευκα
λείπω (ვტოვებ)	–	λέ-λοιπα
κλίνω (ვხრი)	–	κέ-κλικα
κρίνω (ვსჯი)	–	κέ-κρινα
γράφω (ვწერ)	–	γέ-γραφα
τρέπω (ვაბრუნებ)	–	τέ-τροφα
πνέω (ვსუნთქავ)	–	πέ-πνευκα
βλάπτω (ვავნებ)	–	βέ-βλαφα
πρίω (ვხერხავ)	–	πέ-πρισμαι

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: a. ზმნა, რომელიც იწყება ხშული თანხმოვნისა და ნარნარას ისეთი კომპლექსით, როგორიცაა γν, რედუპლიკაციის ნაცვლად იღებს ჩეულებრივ მარცვლოვან ნამატს: γνωρίζω (შევიცნობ) – ἐ-γνώρικα, γιγνώσκω (ვცნობ) – ἔ-γνωκα. b. ხშული თანხმოვნისა და ნარნარას ისეთი კომპლექსით დაწყებულ ზმნებში, როგორიცაა γλ და βλ, შეიძლება რედუპლიკაციაც იყოს და მარცვლოვანი ნამატიც: γλύφω (ამოვღარავ) – ἔ-γλυφα ან γέ-γλυμμαι. βλαστάνω (აღმოვცენდები) – βε-βλάστηκα ან ἐ-βλάστηκα.

2. ρ თანხმოვნით დაწყებულ ზმნებს აქვთ ჩვეულებრივი მარცვლოვანი ნამატი ρ-ს გაორკეცებით: ῥίπτω (ვაგდებ) – ἔρριφα; ῥέω (ვმდინარებ) – ἐρρύηκα.

3. თუ ზმნა იწყება ფშვინვიერი თანხმოვნით (φ, χ, θ), ეს თანხმოვანი რედუპლიკაციის შედეგად გადადის შესაბამის მკვეთრში φ → π, χ → κ, θ → τ, მაგალითად:

φονεύω (ვკლავ) – πε-φόνευκα
χωρέω (მივდივარ) – κε-χώρηκα
θύω (მსხვერპლს ვწირავ) – τέ-θυκα

4. თუ ზმნა იწყება რთული თანხმოვნით (ζ, ξ, ψ), ან მარტივ თანხმოვანთა ისეთი კომპლექსით, სადაც რთულ თანხმოვანს არ მოსდევს ნარნარა, რედუპლიკაციას ენაცვლება ჩვეულებრივი მარცვლოვანი ნამატი:

ζητέω (ვეძებ) – ἐ-ζήτεκα
ξηραίνω (ვახმობ) – ἐ-ξήρασμαι
ψαύω (ვეხები) – ἔ-ψαυκα
στρατεύω (ვლაშქრობ) – ἐ-στράτευκα
κτίζω (ვაფუძნებ) – ἔ-κτικα
σπείρω (ვთესავ) – ἔ-σπαρκα
σχίζω (ვაპობ) – ἔ-σχισμαι
στέλλω (ვგზავნი) – ἔ-σταλκα

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ზმნებს μι-მიჭსკω (ვახსენებ) და κράομαι (ვიძენ) გამონაკლისით სრული რედუპლიკაცია აქვთ: μέ-μνημαι და κέ-κτημαι.

5. თუ ზმნა იწყება ხმოვნით, რედუპლიკაციას ენაცვლება დროული ანუ რაოდენობითი ნამატი (augmentum temporale), ე.ი. ხდება დასაწყისი ხმოვნის დაგრძელება. დაგრძელებული ხმოვანი შენარჩუნებულია პერფექტუმის ფუძისაგან ნაწარმოებ ყველა ფორმაში:

ἄγω (მიმყავს)	perfectum	ἦχα
ὀρθόω (ვასწორებ)	–	ὤρθωκα
ἐρίζω (ვდავობ)	–	ἤρικα
ἁμαρτάνω (ვცოდავ)	–	ἡμάρτηκα
αὐξάνω (ვზრდი)	–	ηὔξηκα

6. ზმნებს, რომლებიც თავის დროზე თანხმოვნით იწყებოდნენ, პერფექტუმში ჩვეულებრივი რედუპლიკაცია ჰქონდათ; შემდეგ რედუპლიცირებული თანხმოვანი გაქრა და ზოგ შემთხვევაში კონტრაქციაც მოხდა:

ἄγνυμι (ვტეხ)	perfectum	ἔαγα < Fε- Fαγα
ὠθέω (ვუბიძგებ)	–	ἔωσμαι < Fε- Fωσμαι
ἐθίζω (ვაჩვევ)	–	εἴθικα < Fε- Fεθικα
ἐλίττω (ვაბრუნებ)	–	εἵλιγμαι < Fε- Fελιγμαι
ἔχω (მაქვს)	–	ἔσχηκα < σε-σχηκα

7. ნარნარა თანხმოვნით დაწყებულ ზოგიერთ ზმნას რედუპლიკაციის ნაცვლად ფუძის წინ დაერთვის ει:

λαμβάνω (ვიღებ)	perfectum	εἴ-ληφα
λαγχάνω (წილი მხვდება)	–	εἴ-ληχα
συν-λέγω (ვკრებ)	–	συν-εί-λοχα
μείρομαι (ბედით მეწერება)	–	εἵ-μαρται (ბედით გადაწყვეტილი)
ფუძისაგან ερ-, ρη-	–	εἴ-ρηκα (ვთქვი)

8. პრევერბიან ზმნებს რედუპლიკაციაცა და ნამატიც მოუდით პრევერბის შემდეგ:

κατα-λύω (ვხსნი, ვშლი)	perfectum	κατα-λέ-λυκα
ἀπο-βάλλω (გადმოვაგდებ)	–	ἀπο-βέβληκα
ἐκ-βάλλω (ვაგდებ)	–	ἐκ-βέβληκα
περι-μένω (ველოდები)	–	περι-μεμένηκα
ἐπι-στρατεύω (ლაშქრად მივემართები)	–	ἐπ-ε-στράτευκα
προ-γράφω (თავში ჩავწერ)	–	προ-γέ-γραφα
συ-στέλλω (შემოვუჭერ)	–	συν-έ-σταλκα
ἐγγράφω (ჩავწერ)	–	ἐγγέγραφα

ნამატი ნამყო წინარეწარსულში. ნამყო წინარეწარსული ანუ პლუსკვამპერფექტუმი იწარმოება პერფექტუმის ფუძისგან: თუ ეს ფუძე რე-

დუპლიცირებულია, მას დაერთვის მარცვლოვანი ნამატი ε, მაგრამ თუ ხმოვნით იწყება, პერფექტუმის პრეფიქსაცია უცვლელი რჩება:

λύω (ვხსნი)	Perfect.	λέ-λυκα	Plusquamperf.	ἐ-λελύκειν
θύω (მსხვერპლს ვწირავ)	–	τέ-θυκα	–	ἐ-τεθύκειν
χωρέω (მივდივარ)	–	κε-χώρηκα	–	ἐ-κεχωρήκειν
στρατεύω (ვლაშქრობ)	–	ἐ-στράτευκα	–	ἐ-στρατεύκειν
στέλλω (ვგზავნი)	–	ἔ-σταλκα	–	ἐ-στάλκειν
ὀρθόω (ვასწორებ)	–	ὤρθωκα	–	ὠρθώκειν
ἀπ-αιτέω (უკან მოვითხოვ)	–	ἀπ-ῄτηκα	–	ἀπ-ῃτήκειν

ატიკური რედუპლიკაცია (ἀττικὸς ἀναδιπλασιασμός). ის ზმნები, რომლებიც იწყებიან მოკლე ხმოვნებით ᾰ ε ο, გამონაკლისით პერფექტუმსა და მისგან ნაწარმოებ ფორმებში იღებენ ე.წ. ატიკურ რედუპლიკაციას. ეს მდგომარეობს შემდეგში: დასაწყისი ხმოვანი მომდევნო თანხმოვნით წინ დაერთვის ფუძეს, ხოლო ფუძის დასაწყისი ხმოვანი გრძელდება (α → η, ε → η, ο → ω):

Praesens	Perfectum active	Perfectum med. (pass.)
ἀγείρω ვკრებ	ἀγ-ήγερκα	ἀγ-ήγερμαι
ἀκούω ვისმენ	ἀκ-ήκοα	ἤκουσμαι
ἀλείφω ვუსვებ	ἀλ-ήλιφα	ἀλ-ήλιμμαι
ἀλέω ვფქვავ	ἀλ-ήλεκα	ἀλ-ήλεμαι
ἀρόω ვხნავ	(ἀρ-ήροκα)	ἀρ-ήρομαι
ἐγείρω ვაღვიძებ	1. ἐγ-ήγερκα 2. ἐγρ-ήγορα	ἐγ-ήγερμαι
ἔδω ვჭამ	1. ἐδ-ήδοκα 2. ἔδ-ηδα	ἐδ-ήδεσμαι
ἐλάω - ἐλαύνω ვერეკები	ἐλ-ήλακα	ἐλ-ήλαμαι
ἐλέγχω ვამხელ	–	ἐλ-ήλεγμαι
ἐλυθ-(ἔρχομαι) მივდივარ	ἐλ-ήλυθα	–
ἐμέω ვანთხევ	ἐμ-ήμεκα	ἐμ-ήμεσμαι
ἐνεγκ-(φέρω) მომაქვს	ἐρ-ήνοχα	ἐν-ήνεγμαι
ἐρείδω მივაყრდნობ	ἐρ-ήρεικα	ἐρ-ήρεισμαι
ἐρίζω ვდავობ	(ἤρικα)	ἐρ-ήρισμαι
ὄζω (odoro)	ὀδ-ωδα	–
ὄλλυμι ვღუპავ	1. ὀλ-ώλεκα, 2. ὄλ-ωλα	
ὄμνυμι ფიცს ვდებ	ὀμ-ώμοκα	ὀμ-ώμο(σ)-μαι
ὀπ- (ὁράω) ვხედავ	ὄπ-ωπα	–
ὀρύσσω ვთხრი	ὀρ-ώρυχα	ὀρ-ώρυγμαι
ὄρνυμι ვაქეზებ	ὄρ-ωρα	ὀρ-ώρεμαι

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : როგორც დამოწმებული მაგალითებიდან ჩანს, თუ აწმყოში ზმნის ბოლოდან მეორე მარცვალი გრძელ ხმოვანს შეიცავს, რედუპლიცირებულ ფორმაში ამ მარცვლის შემადგენელი ხმოვანი ჩვეულებრივ მოკლეა (ἀγείρω – ἀγήγερκα, ἀλείφο – ἀλήλῐφα, ἀκούω – ἀκήκοα < ἀκηκο(υ) α...).

რედუპლიკაცია აწმყოში. ზოგიერთი ზმნა აწმყოს ფუძეს რედუპლიკაციის – გაორკეცების მეშვეობით აწარმოებს. ეს გამოიხატება იმაში, რომ ზმნის დასაწყის თანხმოვანს დაერთვის ხმოვანი ι და ამრიგად მიღებული მარცვალი დაემატება ფუძეს წინ. აწმყოში მოცემული რედუპლიკაცია ზმნას გადაჰყვება ნამყო უსრულშიც.

რედუპლიცირებული აწმყო მოეპოვება როგორც პირველი (-ω), ისე მეორე (-μι) უღლების ზმნებს.

მაგალითები:

1. -ω უღლების ზმნები:

γί-γνομαι ვიბადები, ვიქმნები, ვიმყოფები; γι-γνώσκω შევიცნობ, ვცნობ; μι-μνήσκω მოვაგონებ; δι-δράσκω გავრბივარ; βι-βρώσκω ვჭამ, ვთქვლეფ; τι-τρώσκω (და)ვჭრი; πι-πράσκω ვყიდი; πί-πτω (< πιπετ-ω) ვეცემი; τί-κτω (< τι-τ(ε)κ-ω) ვშობ.

2. -μι უღლების ზმნები:

τί-θη-μι (< θι-θη-μι) ვდებ; δί-δω-μι ვაძლევ; ἱ-στη-μι (< σι-στη-μι) ვდგამ; ἵ-η-μι (< σι-ση-μι) ვუშვებ. ზმნებში πί-μ-πλη-μι ვავსებ და πί-μ-πρη-μι ვწვავ, რედუპლიკაციის გარდა ჩართული გვაქვს თანხმოვანი μ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : ზოგიერთ ზმნაში რედუპლიკაცია ხდება არა აწმყოს ფუძეში, არამედ ზმნის ფუძეში, ასეთი რედუპლიკაცია ზმნას ყველა ფორმაში გადაჰყვება: βι-βάζω ამყავს, fut. βίβασω > βιβῶ, aor. ἐβίβασα, δι-δάσκω ვასწავლი, aor. ἐδίδαξα, perf. δεδίδαχα.

რედუპლიკაცია II აორისტში. II აორისტის ფორმებს რედუპლიკაციის მეშვეობით აწარმოებს შემდეგი ზმნები:

ἄγω (მიმყავს): aor. II ind. ἤγαγον, conj. ἀγάγω, opt. ἀγάγοιμι, inf. ἀγαγεῖν, part. ἀγαγών, med. ἠγαγόμην.

φέρω (დამაქვს): aor. II ind. ἦν-εγκον ან ἤν-εγκα (< ფუძისაგან ἐνεγκ-), ფუძისაგან ἐπ-(< Fεπ) aor. II ind. εἶπον (ვთქვი) მიღებულია Fε-Fεπον-ისგან → ἐ-επ-ον → εἶπον, conj. εἴπω, opt. εἴποιμι, part. εἰπών.

ἕπομαι (მივდევ): aor. II. Ind. ἑσπόμην (< σε-σπ-ο-μην).

მახვილი ზმნაში. ბერძნული ზმნისთვის დამახასიათებელია რეცესიული მახვილი. ეს იმას ნიშნავს, რომ ზმნურ ფორმებში მახვილი ცდილობს, იყოს ბოლოდან მოშორებულ მარცვალზე, რამდენადაც ამის საშუალებას ბოლოდან პირველი მარცვლის კვანტიტეტი იძლევა.

παιδεύω (ვზრდი) ბრძ. παιδεύε, ნ. უსრული ἐπαίδευον

λύω (ვხსნი) „ λῦε “ ἔλυον.

შენიშვნა: ბოლოკიდური αι მახვილისათვის მოკლე ხმოვნად ითვლება. αι და οι დიფთონგები გრძელ ხმოვნებად მიიჩნევა მხოლოდ ნატვრით კილოში – ოპტატივში.

პირველი აორისტის სამ მსგავს ფორმაში, სადაც ბოლოკიდური არის αι, განსხვავებას შეძლებისდაგვარად მახვილი ქმნის:

Praesens	Aoristus I		
	Aor 1. III პ. ნატვრ. მოქმ.	Aor 1. ინფინიტ. მოქმ.	Aor 1. II პ. ბრძ. საშ.
λύω ვხსნი	λύσαι	λῦσαι	λῦσαι
τελέω ვასრულებ	τελέσαι	τελέσαι	τέλεσαι
παιδεύω ვზრდი	παιδεύσαι	παιδεῦσαι	παίδευσαι

მახვილის მთავარ წესს ახლავს გამონაკლისები:

1. ენკლიტიკურ ზმნებს εἰμί (ვარ) და φημί (ვამბობ) მახვილი ყველა ფორმაში ბოლოდან პირველ მარცვალზე აქვს.

2. ბრძანებითი კილო: ა) ხუთ ზმნას მეორე აორისტის მოქმედებითი გვარის ბრძ. კილოს მს. რიცხვის მეორე პირში მკვეთრი მახვილი აქვს ბოლოდან პირველ მარცვალზე:

εἰπέ (თქვი!), ἐλθέ (მოდი!), εὑρέ (იპოვე!), ἰδέ (ნახე!), λαβέ (აიღე!)[1];

ამათი მრავლობითი რიცხვია: εἰπέτε, ἐλθέτε, εὑρέτε, ἰδέτε, λαβέτε.

პრევერბიან ფორმებში მახვილი რეცესიულია:

κάτειπε, ἄπελθε, ἔφευρε, κάτιδε, παράλαβε.

ბ) მეორე აორისტის საშუალი გვარის ბრძ. კილოს მხ. რიცხვის მეორე პირში შემოსილი მახვილია ბოლოდან პირველ მარცვალზე: λιποῦ (λείπω), λαβοῦ (λαμβάνω).

3. ხმოვანთა შერწყმა ზმნაში ჰქმნის მახვილის მთავარი წესის მოჩვენებით დარღვევას: τιμῶ (პატივს ვცემ) ← τιμάω, φανῶ (გამოვაჩენ) ← φανέω ← φανέσω.

[1] *ἰδέ* და *λάβε* გვიანდელი ფორმებია

4. აუგმენტისა და რედუპლიკაციის მარცხნივ მახვილი ვერ გადაიწევს: ἀπάγω (გამყავს) ნ. უსრული ἀπῆγον, ნ. სრული ἀπῆχα. როცა ზმნაში გრძელი ხმოვნის გამო აუგმენტი ან რედუპლიკაცია არ აღინიშნება, მახვილი ამ ხმოვანს მაინც ვერ გადაშორდება: ὑπείκω (ვუთმობ) ნ. უსრული ὑπεῖκον (მაგრამ გვაქვს ფორმა σύνοιδα ზმნისგან οἶδα „ვიცი“).

5. მახვილი პრევერბიან ზმნებში, რამდენადაც შესაძლებელია, ბოლოდან მოშორებულ მარცვალზე დაისმის, მაგრამ იგი ვერ გადაშორდება პრევერბის ბოლოკიდურ ხმოვანს: καταλύω (გამოვიხსნი) – აწმყო, მოქმედებითი ბრძანებითი κατάλυε, აორისტი, მოქმედებითი, ბრძანებითი κατάλυσον, აორისტი, საშუალო ბრძანებითი – κατάλυσαι, ἀπόδος (მიეც!), ἐπίσχες (დაიცა!) და არა ἄποδος და ἔπισχες.

6. სახელზმნებს – განუსაზღვრელ კილოს (infinitivus), მიმღეობასა (participium) და ნაზმნარ ზედსართავ სახელს (adiectivum verbale) ყოველთვის არა აქვთ რეცესიული მახვილი:

a. infinitivus: 1) განუსაზღვრელი კილოს ყველა ფორმას ბოლოკიდურით -ναι მახვილი აქვს ბოლოდან მეორე მარცვალზე; ეს მახვილი მკვეთრია, თუ მარცვალი მოკლეა და შემოსილი, თუ მარცვალი გრძელია: λελυκέναι, λυθῆναι, ἱστάναι, στῆναι (ეპიკურ დიალექტში ბოლოკიდურთან – μηναι მახვილი რეცესიულია: στήμεναι);

2) მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე აქვთ -ω უღლების ზმნათა მოქმ. გვ. პირველი აორისტის, საშ. გვ. მეორე აორისტის, საშ. და ვნ. გვ. პარფექტუმის განუსაზღვრელ კილოებს. ეს მახვილი მკვეთრია, თუ მეორე მარცვალი მოკლეა და შემოსილი, თუ მარცვალი გრძელია:

παιδεῦσαι, λῦσαι, κομίσαι, λιπέσθαι, λαβέσθαι, πεπαιδεῦσθαι, περοιῆσθαι, λελύσθαι, κεκομίσθαι;

3) ბოლოდან პირველ მარცვალზე შემოსილი მახვილი აქვთ შერწყმული ზმნების აწმყოს მოქმ. გვარისა და -ω უღლების ზმნათა მეორე აორისტის მოქმედებითი გვარის განუსაზღვრელ კილოებს: τιμᾶν (← τιμά-εν), ποιεῖν (← ποιέ-ειν), λαβεῖν (← λαβέ-εν), λιπεῖν (← λιπέ-εν);

b. Participium: 1) ბოლოდან პირველ მარცვალზე შემოსილი მახვილი აქვთ: მეორე აორისტის მოქმ. გვარის მიმღეობას მამრობითსა და საშუალო სქესში (λιπών, λιπόν), -μι უღლების ზმნათა აწმყოს მოქმედებითი გვარისა და მეორე აორისტის მოქმედებითი გვარის მიმღეობებს მამრობითსა და საშუალო სქესში (τθείς, τθέν. διδούς, διδόν, ἱστάς, ἱστάν. δεικνύς, δεκνύν. θείς, θέν. στάς, στάν) I და II აორისტის ვნებითი გვარის მიმღეობებს მამრობითსა

და საშუალო სქესში (λυθείς, λυθέν. γραφείς, γραφέν), პერფექტუმის მოქმედებითი გვარის მიმღეობას მამრობითსა და საშუალო სქესში (λελυκώς, λελυκός).

2) ბოლოდან მეორე მარცვალზე მკვეთრი მახვილი აქვს პერფექტუმის საშ. და ვნ. გვარის მიმღეობას სამივე სქესში (λελυμένος, λελυμένη, λελυμένον).

c. Adiectivum verbale: პირველი ჯგუფის ნაზმნარ ზედსართავ სახელს ბოლოკიდურით -τος, -τη, -τον მკვეთრი მახვილი აქვს ბოლოდან პირველ მარცვალზე (λυτός, λυτή, λυτόν); მეორე ჯგუფის ნაზმნარ ზედსართავ სახელს ბოლოკიდურით -τεος, τεα, τεον მკვეთრი მახვილი აქვს ბოლოდან მეორე მარცვალზე (λυτέος, λυτέα, λυτέον).

პირველი ანუ -ω-ზე დაბოლოებული ზმნების უღლება

-ω ჯგუფის ზმნები. ω უღლების ზმნები ფუძის ბოლოკიდური ელემენტის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა – ხმოვანფუძიანებად და თანხმოვანფუძიანებად.

1. ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი ანუ „წ მ ი ნ დ ა ზ მ ნ ე ბ ი“ (verba vocalia sive verba pura) ორ ქვეჯგუფად იყოფა:

A. შეურწყმელი ზმნები (verba non contracta, ἀσυναίρετα ῥήματα). ამ ქვეჯგუფს განეკუთნება ის ზმნები, რომელთა ფუძე ბოლოვდება ι, υ, αι, ει, αυ, ευ, ου ხმოვნებზე (მაგალითები: χρί-ω „ვცხებ“, λύ-ω „ვხსნი“, παί-ω „ვცემ“, σεί-ω „ვარხევ“, παύ-ω „ვწყვეტ“, παιδεύ-ω „ვზრდი“, κρού-ω „ვაკაკუნებ“, „ვარტყამ“);

B. შერწყმული ზმნები (verba contracta, συνῃρημένα ῥήματα). ამ ქვეჯგუფში შემოდის ზმნები, რომელთა ფუძე ბოლოვდება ᾰ, ε, ο ხმოვნებზე (მაგალითები: τιμά-ω „პატივს ვცემ“, κινέ-ω „ვძრავ“, δηλό-ω „ვაცხადებ“).

2. თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი ზ მ ნ ე ბ ი (verba consonantia sive impura) თავის მხრივ ორ ქვეჯგუფად იყოფა:

A. პირველ ქვეჯგუფს განეკუთვნებიან ზმნები, ე.წ. verba muta, რომელთა ფუძე ხშულ თანხმოვანზე ბოლოვდება. ფუძის ბოლოს შეიძლება იყოს: ა) გუტურალური თანხმოვანი γ, κ, χ (მაგალითად: λέγ-ω „ვამბობ“, διώκ-ω „ვდევნი“, ἄρχ-ω „ვიწყებ“, „განვაგებ“), ბ) ლაბიალური თანხმოვანი β, π, φ (მაგალითად: τρίβ-ω „ვსრეს“, λείπ-ω „ვტოვებ“, γράφ-ω „ვწერ“), გ) დენტა-

ლური თანხმოვანი – δ, τ, θ (მაგალითად: ψεύδ-ω „ვატყუებ“, θάπτ-ω „ვმარხავ“, πέρθ-ω „ვანადგურებ“);

B. მეორე ქვეჯგუფს განეკუთვნება სონორფუძიანი ანუ ლიკვიდურ-ნაზალურფუძიანი ზმნები. ამ ზმნათა ფუძის ბოლოს შეიძლება იყოს λ, μ, ν, ρ თანხმოვნები (მაგალითად: ἀγγέλ-ω „ვაცნობებ“, μέν-ω „ვრჩები“, νέμ-ω ვყოფ, φθείρ-ω „ვსპობ“).

-ω უღლების ზმნათა დაბოლოებები აწმყოსა და ნამყო უსრულში. ზემოთ ნაჩვენებია ზმნის ადრინდელი დაბოლოებები, რომლებიც მეორე ანუ -μι უღლების ზმნებშია შემონახული. პირველი ანუ -ω უღლების ზმნებში ეს დაბოლოებები შეცვლილია ფონეტიკური პროცესების შედეგად. ცვლილება გამოიწვია ფუძესთან შემაერთებელმა ხმოვნებმა. შემაერთებელი ხმოვნებია: μ-ს და ν-ს წინ თხრობით კილოში ο, კავშირებითში – ω, სხვა ბგერათა წინ – თხრობით კილოში – ε, კავშირებითში – η.

ქვემოთ ტაბულაში წარმოდგენილია მთავარი დროისა (აწმყოს) და ისტორიული დროის (ნამყო უსრულის) დაბოლოებები შემაერთებელი ხმოვნებითურთ: მარცხნივ ადრინდელი ვითარებაა წარმოდგენილი, მარჯვნივ – მერმინდელი.

მოქმედებითი გვარის დაბოლოებები (Activum)

აწმყო (Praesens)

	თხრობითი კილო Indicativus	კავშირებითი კილო Coniunctivus	ნატვრითი კილო Optativus	ბრძანებითი კილო Imperativus
მხ. რიცხვი Sing.	1 -ο-μι→ω 2 -ε-σι→εις 3 -ε-τι→ει	-ω-μι→ω -η-σι→ῃς -η-τι→ῃ	-ο-ι-μι→οιμι -ο-ι-ς→οις -ο-ι-(τ)→ῃ	 -ε-θι→ε -ε-τω→έτω
მრ. რიცხვი Plur.	1 -ο-μεν→ομεν 2 -ε-τε→ετε 3 -ο-ντι→ουσι(ν)	-ω-μεν→ωμεν -ε-τε→ητε -ω-ντι→ωσι(ν)	-ο-ι-μεν→ιομεν -ο-ι-τε→οιτε -ο-ι-ε-ν(τ)→οιεν	 -ε-τε→ετε -ο-ντων→όντων ან -ε-τωσαν→έτωσαν
ორობითი Dual.	1 -ο-μεν→ομεν 2 -ε-τον→ετον 3 -ε-τον→ετον	-ω-μεν→ωμεν -η-τον→ητον -η-τον→ητον	-ο-ι-μεν→οιμεν -ο-ι-την→οίτην -ο-ι-την→οίτην	 -ε-τον→ετον →ετων→έτων

განუსაზღვრელი კილო – Infinitivus

-ε-εν→ειν

მიმღეობა – Participium		
მამრ. სქესი	მდედრ. სქესი	საშ. სქესი
-ο-ντ→ων	-ο-ντ-σα→ουσα	-ο-ντ→ον

საშუალი და ვნებითი გვარის დაბოლოებები Medium (Passivum)

აწმყო (Praesens)

	თხრობითი კილო Indicativus	კავშირებითი კილო Coniunctivus	ნატვრითი კილო Optativus	ბრძანებითი კილო Imperativus
მხ. რიცხვი Sing.	1 -ο-μαι→ομαι 2 -ε-σαι→ει, η 3 -ε-ται→εται	-ω-μαι→ωμαι -η-σαι→ η -η-ται→ηται	-οι-μην→οίμην -οι-σο→οιο -οι-το→οιτο	 -ε-σο→ου -ε-σθω→έσθω
მრ. რიცხვი Plur.	1 -ο-μεθα→όμεθα 2-ε-σθε→εσθε 3 -ο-νται→ονται	-ω-μεθα→ώμεθα -η-σθε→ησθε -ω-νται→ωνται	-οι-μεθα→οίμεθα -οι-σθε→οισθε -οι-ντο→οιντο	 -ε-σθε→εσθε -ε-σθων→έσθων ან -ε-σθωσαν→ -έ-σθωσαν
ორობითი Dual.	1 -ο-μεθα→όμεθα 2 -ε-σθον→εσθον 3 -ε-σθον→εσθον	-ω-μεθα→ώμεθα -η-σθον-ησθον -η-σθον→ησθον	-οι-μεθα→οίμεθα -οι-σθον→οισθον -οι-σθην→οισθην	 -ε-σθον→εσθον -ε-σθων→έσθων

განუსაზღვრელი დრო – Infinitivus

-ε-σθαι→εσθαι

მიმღეობა – Participium			
მამრ. სქესი	მდედრ. სქესი	–	საშ. სქესი
-ό-μενος	-ο-μένη		ό-μενον

ნამყო უსრული – Imperfectum

	მოქმ. გვარი Activum	საშ. და ვნ. გვარი Medium (passivum)
მხ. რიცხვი Sing.	1-ο-ν→ον 2 -ε-ς→ες 3 -ε-(τ)→ε(ν)	-ο-μην→όμην -ε-σο→ου -ε-το→ετο
მრ. რიცხვი Plur.	1 -ο-μεν→ομεν 2 -ε-τε→ετε 3 -ο-ν(τ)→ον ან -ε-σαν(τ)→εσαν	-ο-μεθα→όμεθα -ε-σθε→εσθε -ο-ντο→οντο
ორობითი Dual.	1 -ο-μεν→ομεν 2 -ε-τον→ετον 3 -ε-την→έτην	-ο-μεθα→όμεθα -ε-σθον→εσθον -ε-σθην→έσθην

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი: 1. Praes. Indic. Activi: მხ. რიცხვის I პირის დაბოლოება ω მიღებულია μι ბოლოკიდურის დაკარგვით და შემაერთებელი ხმოვნის ο-ს დაგრძელებით: λύ-ο-μι > λύω. მხ. რიცხვის მე-2 პირის დაბოლოებაში იოტამ (ι) ადგილი გადაინაცვლა და შემაერთებელ ხმოვანთან შექმნა დიფთონგი: λύ-ε-σι > λύεις (indic.), λύ-η-σι > λύ-ῃς (coniunct.). მხ. რიცხვის მე-3 პირის დაბოლოების წარმოშობა მთლად ნათელი არ არის: ჩვეულებრივ ხსნიან ასე: იოტამ აქაც გადაინაცვლა ადგილი, შემაერთებელ ხმოვანთან შექმნა დიფთონგი, ხოლო τ დაიკარგა: λύ-ε-τι > λύ-ει-τ > λύ-ει (indic), λύ-η-τι > λύ-η-ι-τ > λύ-ῃ (coniunct.). მრ. რიცხვის მე-3 პირის დაბოლოებამ -ο-ντι ჯერ მოგვცა -ο-νσι, ხოლო შემდეგ ν ამოვარდა და შემაერთებელი ხმოვანი ο შენაცვლებითი დაგრძელების წესით იქცა ου დიფთონგად: λύ-ο-ντι > λύ-ο-νσι > λύ-ουσι.

2. C o n i u n c t i v u s-ში შემაერთებელი ხმოვნებია η და ω.

3. O p t a t i v u s-ს ისტორიულ დროთა დაბოლოებები აქვს. მისი დამახასიათებელია ხმოვანი ι, რომელიც წინმდებარე ο-სთან გვაძლევს დიფთონგს οι. ეს οι გრძელ მარცვლად ითვლება. მრ. რიცხვის მე-3 პირში დაბოლოებისა და οι დიფთონგს შორის ჩართულია ხმოვანი ε: λύ-οι-ε-ν.

4. I m p e r a t i v u s: მხ. რიცხვის მე-2 პირის დაბოლოება θι დაიკარგა და ბოლოკიდურად შემაერთებელი ხმოვანი დარჩა: λυ-ε-θι > λῦ-ε. (ზოგგან -θι დაბოლოება შემონახულია).

5. M e d. P a s s i v u m: ა) საშუალო და ვნებითი გვარის მხ. რიცხვის მე-2 პირის მთავარ დროთა დაბოლოებაში -σαι, რომელსაც წინ შემაერთებელი ხმოვანი უძღვის, σ იკარგება, ხოლო შემაერთებელი ხმოვანი და დაბოლოების ნაშთი αι შერწყმის შედეგად ქმნის ει ან η დიფთონგებს: praes. Indic. λύ-ε-σα ι> λύ-ει ან λύ-ῃ, praes. coniunct. λύ-η-σαι > λύ-ῃ.

Praes. Indic. λύ-ει და λύ-ῃ პარალელური ფორმებია, მაგრამ ზოგიერთ ზმნაში მხოლოდ პირველი ფორმა გვხვდება: οἴομαι (ვფიქრობ) – οἴ-ει, βούλομαι (მინდა) – βούλ-ει, ὄψομαι (ვნახავ) – ὄψ-ει, δέομαι (მჭირდება) – δέ-ει.

ბ) მე-2 პირის ისტორიულ დროთა დაბოლოებაში -σο ასევე იკარგება σ შემაერთებელ ხმოვანთან. შემდეგ ხდება შემაერთებელი ხმოვნისა და დაბოლოების ნაშთის ο-ს შერწყმა, რაც გვაძლევს დიფთონგს ου: imperfect. Indic. ἐλύ-ε-σο > ἐλύ-ε-ο > ἐλύ-ου, praes. imperat. med. pass. λύ-ε-σο > λύ-ου.

O p t a t i v u s-ის მე-2 პირის დაბოლოებაში -σο σ იკარგება, მაგრამ ხმოვანთა შერწყმა არ ხდება: λύ-οι-σο > λύ-οιο.

6. ისტორიულ დროთა მოქმ. გვარის მხ. რიცხვის I პირის ნიშანი ოდესღაც იყო μ (შდრ. ლათ. era-m), მაგრამ რაკიღა შემდეგ დამკვიდრდა წესი, რომ ბერძნული სიტყვის ბოლოს μ თანხმოვანი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, იგი ν-მ შეცვალა.

Optativus-ს, რომელიც ისტორიულ დროთა დაბოლოებებით ხასიათდება, მოქმ. გვარის მხ. რიცხვის I პირში ν-ს ნაცვლად -μι დაბოლოება აქვს.

7. მოქმ. გვარის მხ. რიცხვის მე-3 პირის დაბოლოებას ხშირად ახლავს დანართი ν. ესაა ე.წ. ν ἐφελκυστικόν.

8. Infinitivus praesentis activi-ს დაბოლოება -ειν, რაც მიღებულია infinitivus-ის უძველესი დაბოლოებისა (-εν) და შემაერთებელი ხმოვნის (-ε-) შერწყმის შედეგად: λύ-ε-εν > λύ-ειν.

ხმოვანფუძიანი ზმნები

ხმოვანფუძიანი ანუ „წმინდა“ ზმნები (verba pura) წესიერი უღლების ზმნათა ჯგუფს განეკუთვნება. ამ ჯგუფის ზმნებში დროის ფუძე და ზმნის ფუძე თითქმის ყოველთვის ერთი და იგივეა. ხმოვანფუძიანი ზმნები ჩვეულებრივ მხოლოდ პირველ დროებს აწარმოებენ.

A. შეურწყმელი ზმნები

შეურწყმელია ზმნები, რომელთა ფუძეც ბოლოვდება ხმოვნებზე: ι, υ, αι, ει, αυ, ευ, ου. ამ ხმოვანთაგან ι და υ შეიძლება იყოს გრძელი ან მოკლე; სიგრძე-სიმოკლეს ეს ხმოვნები ან ყველა ფორმაში ინარჩუნებენ, ან ფორმათა ნაწილში.

ქვემოთ ნიმუშად წარმოდგენილია ευ ფუძიანი ზმნის παιδεύω-ს უღლება.

1. აწმყო – Praesens. აწმყო მთავარი დროა, რომელსაც სპეციალური ნიშანი არ მოეპოვება. იგი შემაერთებელ ხმოვანთა მეშვეობით ფუძეზე პირის დაბოლოების დართვით იწარმოება.

აწმყოს ფუძის გამოსაცნობად საჭიროა, მხოლობითი რიცხვის პირველი პირის ფორმას ჩამოვაცილოთ დაბოლოება ω: παιδεύω აწმყოს ფუძეა παιδευ-; λύ-ω აწმყოს ფუძეა λυ-.

აწმყოს მოქმედებითში, საშუალსა და ვნებით გვარში აქვს: ოთხივე კილო (თხრობითი, კავშირებითი, ნატვრითი, ბრძანებითი), ინფინიტივი და მიმღეობა. საშუალი და ვნებითი გვარის ფორმები საზიაროა.

Praesens

Activum

		Indicativus	Cnoniuctivus	Optativus	Imperativus
Sing.	1	παιδεύ-ω ვზრდი	παιδεύ-ω	παιδευ-οι-μι	
	2	παιδεύ-εις	παιδεύ -ῃς	παιδευ-οι-ς	παίδευ-ε
	3	παιδεύ-ει	παιδεύ-ῃ	παιδεύ-οι	παιδευ-έ-τω
Plur.	1	παιδεύ-ο-μεν	παιδεύ-ω-μεν	παιδεύ-οι-μεν	
	2	παιδεύ-ε-τε	παιδεύ-η-μεν	παιδεύ-οι-τε	παιδεύ-ε-τε
	3	παιδεύ-ουσι (ν)	παιδεύ-ω-σι(ν)	παιδεύ-οι-ε-ν	παιδευ-ό-ντων ან παιδευ-έ-τωσαν
Dual.	1	παιδεύ-ο-μεν	παιδεύ-ω-μεν	παιδεύ-οι-μεν	
	2	παιδεύ-ε-τον	παιδεύ-η-τον	παιδεύ-οι-τον	παιδεύ-ε-τον
	3	παιδεύ-ε-τον	παιδεύ-η-τον	παιδευ-οί-την	παιδευ-έ-των

Infinitivus

παιδεύ-ειν

Participium

masc. მამრ.	femin. მდედრ.	neutr. სამ.
παιδεύ-ων	παιδεύ-ουσα	παιδεῦ-ον

Medium-Passivum

		Indicativus	Coniuctivus	Optativus	Imperativus
Sing.	1	παιδεύ-ο-μαι ვიზრდი, ვიზრდები	παιδεύ-ω-μαι	παιδευ-οί-μην	
	2	παιδεύ-ει ან παιδεύ- ῃ	παιδεύ- ῃ	παιδεύ-οι-ο	παιδεύ-ου
	3	παιδεύ-ε-ται	παιδεύ-η-ται	παιδεύ-οι-το	παιδευ-έ-σθω
Plur.	1	παιδευ-ό-μεθα	παιδευ-ό-μεθα	παιδευ-οί- μεθα	
	2	παιδεύ-ε-σθε	παιδεύ-η-σθε	παιδεύ-οι- σθε	παιδεύ-ε-σθε
	3	παιδεύ-ο-νται	παιδεύ-ω-νται	παιδεύ-οι-ντο	παιδευ-έ-σθων ან παιδευ-έ-σθωσαν
Dual.	1	παιδευ-ό-μεθα	παιδευ-ώ-μεθα	παιδευ-οί-μεθα	
	2	παιδεύ-ε-σθον	παιδεύ-η-σθον	παιδεύ-οι-σθον	παιδεύ-ε- σθον
	3	παιδεύ-ε- σθον	παιδεύ-η- σθον	παιδευ-οί- σθην	παιδευ-έ-σθων

Infinitivus		
παιδεύ-ε-σθαι		
Participium		
masc.	femin.	neutr.
παιδευ-ό-μενος	παιδευ-ο-μένη	παιδευ-ό-μενον

აწმყოს მიმღეობათა ბრუნება. აწმყოს მოქმედებითი გვარის მიმღეობა (participium praesentis activi) მამრობითსა და საშუალო სქესში იბრუნვის III კანკლედობით, როგორც -οντ ფუძიანი სახელი (მაგალითად, ἑκών), ხოლო მდედრობით სქესში – I კანკლედობით, როგორც სახელი α impurnm-ით (მაგალითად, ἡ θάλασσα).

საშუალო სქესში მახვილი რჩება იმ მარცვალზე, რომელზედაც იყო მამრობითი სქესის მხოლ. რიცხვის სახელობით ბრუნვაში. თუ ეს მარცვალი მოკლეა, მახვილი მკვეთრი იქნება, თუ გრძელია – შემოსილი (κομίζων – κομίζον; παιδεύων – παιδεῦον).

აწმყოს საშუალი და ვნებითი გვარის მიმღეობა (participium mediipassivi) იბრუნვის როგორც პირველი რიგის სამბოლოკიდურიანი ზედსართავი სახელი: მამრობითი და საშუალო სქესში II კანკლედობით, მდედრობით სქესში – I კანკლედობით.

a. Participium praesentis activi

		Masculinum	Femininum	Neutrum
Sing.	Nom. Voc.	παιδεύ-ων	παιδεύουσα	παιδεῦ-ο-ν
	Gen.	παιδεύ-ο-ντ-ος	παιδευούσης	παιδεύ-ο-ντ-ος
	Dat.	παιδεύ-ο-ντ-ι	παιδευούσῃ	παιδεύ-ο-ντ-ι
	Acc.	παιδεύ-ο-ντ-α	παιδεύουσαν	παιδεῦ-ο-ν
Plur.	Nom.Voc.	παιδεύ-ο-ντ-ες	παιδεύουσαι	παιδεύ-ο-ντ-α
	Gen.	παιδευ-ό-ντ-ων	παιδευουςῶν	παιδευ-ό-ντ-ων
	Dat.	παιδεύ-ουσι(ν)	παιδευούσαις	παιδεύ-ουσι (ν)
	Acc.	παιδεύ οντ-ας	παιδευούσας	παιδεύ-ο-ντ-α
Dual.	N.Ac.V.	παιδεύ-ο-ντ-ε	παιδεύουσα	παιδεύ-ο-ντ-ε
	Gen. Dat.	παιδευ-ό-ντ-οιν	παιδευούσαιν	παιδευ-ό-ντ-οιν

b. Participium praesentis medii-passivi

		Masculinum	Femininum	Neutrum
Sing.	Nom.	παιδευ-ό-μενος	παιδευ-ο-μένη	παιδευ-ό-μενον
	Gen.	παιδευ-ο-μένου	παιδευ-ο-μένης	παιδευ-ο-μένου
	Dat.	παιδευ-ο-μένοφ	παιδευ-ο-μένῃ	παιδευ-ο-μένφ
	Acc.	παιδευ-ό-μενον	παιδευ-ο-μένην	παιδευ-ό-μενον
	Voc.	παιδευ-ό-μενε	παιδευ-ο-μένη	παιδευ-ό-μενον

Plur. Nom.Voc.	παιδευ-ό-μενοι	παιδευ-ό-μεναι	παιδευ-ό-μενα
Gen.	παιδευ-ο-μένων	παιδευ-ο-μένων	παιδευ-ο-μένων
Dat.	παιδευ-ο-μένοις	παιδευ-ο-μέναις	παιδευ-ο-μένοις
Acc.	παιδευ-ο-μένους	παιδευ-ο-μένας	παιδευ-ό-μενα
Dual. N. Acc. V.	παιδευ-ο-μένω	παιδευ-ο-μένα	παιδευ-ο-μένω
Gen.Dat.	παιδευ-ο-μένοιν	παιδευ-ο-μέναιν	παιδευ-ο-μένοιν

2. ნამყო უსრული – Imperfectum. ნამყო უსრული ერთ-ერთი ისტორიული დროა. იგი იწარმოება აწმყოს ფუძისაგან. დროის მაჩვენებელი ნიშანი არც მას მოეპოვება, მაგრამ ახასიათებს ნამატი და ისტორიულ დროთა პირის დაბოლოებები. დაბოლოებები ფუძეს აქაც შემაერთებელ ხმოვანთა მეშვეობით დაერთვის.

ნამყო უსრულს მხოლოდ თხრობითი კილო აქვს. უპირო ფორმები (ინფინიტივი და მიმღეობა) მას არ მოეპოვება.
საშუალი და ვნებითი გვარის ფორმები აქაც საზიაროა.

Imperfectum

		Activum	Medium- Passivum
S.	1	ἐ-παίδευ-ο-ν ვზრდიდი	ἐ-παιδευ-ό-μην ვიზრდიდი, ვიზრდებოდი
	2	ἐ-παίδευ-ε-ς	ἐ-παιδεύ-ου
	3	ἐ-παίδευ-ε(ν)	ἐ-παιδεύ-ε-το
P.	1	ἐ-παιδεύ-ο-μεν	ἐ-παιδευ-ό-μεθα
	2	ἐ-παιδεύ-ε-τε	ἐ-παιδεύ-ε-σθε
	3	ἐ-παίδευ-ο-ν	ἐ-παιδεύ-ο-ντο
D.	1	ἐ-παιδεύ-ο-μεν	ἐ-παιδευ-ό-μεθα
	2	ἐ-παίδεύ-ε-τον	ἐ-παιδεύ-ε-σθον
	3	ἐ-παιδευ-έ-την	ἐ-παιδευ-έ-σθην

3. მყოფადი I – Futurum I. მყოფადი მთავარი დროა. I მყოფადის საწარმოებლად ზმნის ფუძეს დაერთვის დროის მაჩვენებელი ნიშანი – სუფიქსი σ. ზმნის ფუძე უცვლელი რჩება, თუ σ-ის წინ გრძელი ხმოვანია; თუ ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი მოკლეა, σ-ის დართვის შემდეგ იგი დაგრძელდება: ῐ → ῑ, ῠ → ῡ (μην ἰ-ω „ვმრისხანებ“, მყოფ. μην ἱ σ-ω; φν-ω წარმოვშობ, მყოფ. φ ν́ σ-ω); ᾰ, რომელსაც წინ უძღვის ε, ι, ρ ან ρο მარცვალი, გვაძლევს ᾱ-ს, სხვა შემთხვევებში -η-ს; ε გვაძლევს -η-ს, ο – ω-ს (არის გამონაკლისებიც).

მყოფადს არ მოეპოვება ორი კილო: კავშირებითი და ბრძანებითი.

მყოფადში ვნებითსა და საშუალ გვარს განსხვავებული ფორმები აქვთ.

I მყოფადის ვნებითი გვარი I აორისტის ვნებითი გვარის ფუძისაგან იწარმოება; ამ ფუძის ბოლოკიდურია θη, რომელსაც ერთვის მყოფადი დროის მაჩვენებელი ნიშანი σ და შემაერთებელ ხმოვანთა მეშვეობით – საშუალი გვარის დაბოლოებები (παιδευ-θή-σ-ο-μαι).

სუფიქსი θη წინამდებარე ხმოვნებზე ისეთსავე გავლენას ახდენს, როგორსაც სუფიქსი σ.

უღლება მყოფადში ისეთივეა, როგორიც აწმყოში: მყოფადის ფუძეს შემაერთებელ ხმოვანთა მეშვეობით თხრობით კილოში დაერთვის მთავარ დროთა დაბოლოებები, ნატვრით კილოში – ისტორიულ დროთა დაბოლოებები.

საშუალი გვარის მყოფადს, მცირე გამონაკლისის გარდა, ვნებითი გვარის მნიშვნელობა არა აქვს.

არის ზმნები, რომელთაც მყოფადში ფორმა საშუალი გვარისა აქვთ, მნიშვნელობა კი – მოქმედებითისა.

მყოფადის ნატვრითი და განუსაზღვრელი კილოები მხოლოდ დამოკიდებულ წინადადებებში იხმარება.

Futurum I

		Activum		Medium	
		Indicativus	Optativus	Indicativus	Optativus
S.	1	παιδεύ-σ-ω	παιδευ-σ-οι-μι	παιδεύ-σ-ο-μαι	παιδευ-σ-οί-μην
	2	παιδεύ-σ-εις	παιδευ-σ-οι-ς	παιδεύ-σ-ει ან παιδεύ-σ-η	παιδεύ-σ-οι-ο
	3	παιδεύ-σ- ει	παιδευ-σ-οι	παιδεύ-σ-ε –ται	παιδευ-σ-οι-το
თანხმოვანფუძიანი ზმნები, ფუძის ბოლოკიდური ელემენტის გარდა, ხმოვანფუძიანი ზმნებისაგან განსხვავედება იმითაც, რომ ა) თანხმოვანფუძიან ზმნათა გარკვეულ ნაწილს აქვს როგორც პირველი ანუ სუსტი, ისე – მეორე ანუ ძლიერი დროები (ხმოვანფუძიან ზმნებს მხოლოდ პირველი ანუ სუსტი დროები მოეპოვება); ბ) თანხმოვანფუძიანი ზმნები მეორე დროებში ხასიათდება ძირისეული ხმოვნის თვისებრიობის ცვლით (მაგალითად: τρέπω – ἔτραπον-τέτροφα „ვაბრუნებ“, κλέπτω, -ἔκλάπην – κέκλοφα „ვიპარავ“; გ) თანხმოვანფუძიან ზმნათა დიდი ნაწილის აწმყოს ფუძე ანუ დროის ფუძე განსხვავებულია ზმნის ფუძისაგან ანუ მარტივი ფუძისაგან: ზმნის ფუძე ანუ მარტივი ფუძე აწმყოში გაძლიერებულია ან თანხმოვანი ელემენტის დართვით, ან იოტიზაციით, ანდა ძირისეული ხმოვნის რაოდენობრივი ან თვისობრივი ცვლით, ან კიდევ სხვა ფონეტიკური პროცესებით (მაგალითად: ზმნაში κόπτ-ω „ვკვეთ“ ზმნის ფუძეა κοπ-, აწმყოსი – κοπτ-; ზმნაში λείπ-ω „ვტოვებ“ ზმნის ფუძეა λίπ-, აწმყოსი – λείπ-). აწმყოს ფუძე შეიძლება გაძლიერებული იყოს რედეპლიკაციითაც (მაგალითად, πίπτω (ვეცემი) ზმნის მარტივი ფუძეა π(ε)τ-.

თანხმოვანფუძიან ზმნათა უღლების დროს სავალდებულოა ვიცოდეთ, როგორც აწმყოს ფუძე (რომლისგანაც აწმყო ან ნამყო უსრული იწარმოება), ისე ზმნის ფუძე ანუ მარტივი ფუძე (რომლისგანაც დროთა დანარჩენი ფორმებია ნაწარმოები); საერთოდ კი ბერძნული ზმნის უღლების ხასიათის გაგებას აადვილებს ზმნის უმთავრეს ფორმათა ცოდნა და ზმნათა კლასიფიკაციის გათვალისწინება.

ბერძნულ ზმნათა კლასიფიკაცია

(I-IV კლასი)

ბერძნული ზმნები იყოფა რვა კლასად. ამათგან აწმყოს ფუძის (ანუ დროის ფუძის) წარმოების თვალსაზრისით გამოყოფილია შვიდი კლასი, მერვე კლასი კი წარმოადგენს ნარევ კლასს, რომელშიც გაერთიანებულია მრავალფუძიანი ზმნები.

ზმნათა დიდი ნაწილი შედის პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კლასებში. ეს ის ზმნებია, რომელთაც წესიერ ან ტიპურ ზმნებს ვუწოდებთ.

პირველ კლასს განეკუთვნება ის ზმნები, რომელთა აწმყოს ფუძე (დროის ფუძე) და ზმნის ფუძე (მარტივი ფუძე) ერთი და იგივე – იდენტურია. ამ კლასში შემოდის ხმოვანფუძიანი ზმნები (verba pura) და თანხმოვანფუძიან ზმნათა ნაწილი. პირველი კლასის თანხმოვანფუძიანი ზმნების ფუძე უპირატესად ხშულ თანხმოვანზე ბოლოვდება (verba muta); ლიკვიდურ-ნაზალური თანხმოვანი ფუძის ბოლოს მხოლოდ რამდენიმე ზმნას აქვს.

პირველი კლასისაა, მაგალითად, შემდეგი ზმნები:

ἄγ-ω მიმყავს	τρέπ-ω ვაბრუნებ
λέγ-ω ვამბობ	τρέφ-ω ვასაზრდოებ
ἄρχ-ω ვმართავ, ვიწყებ	διώκ-ω ვდევნი
γράφ-ω ვწერ	δέρ-ω ვატყავებ
πέρθ-ω ვანადგურებ	μέν-ω ვრჩები
ψεύδ-ω ვატყუებ	νέμ-ω ვყოფ

მეორე კლასის ზმნები ორფუძიანებია. ამ კლასის ზმნათა ფუძე (მარტივი ფუძე) ბოლოვდება ბაგისმიერ (ლაბიალურ) თანხმოვანზე (β, π, φ). აწმყოს ფუძის (დროის ფუძის) მისაღებად მარტივ ფუძეს ემატება τ,

რომლის დართვის შედეგად ბაგისმიერი თანხმოვნები β და φ გამკვეთრდება და მოგვცემს π-ს: β + τ → πτ, φ + τ → πτ; მკვეთრი π, რომელსაც τ დაერთვის, უცვლელი რჩება. მეორე კლასის ზმნათა აწმყოს პირველი პირის მხოლობითი რიცხვის დაბოლოება არის πτω.

მაგალითები:

ზმნის ფუძე	აწმყო
βλαβ-	βλάπτ-ω ვავნებ
καλυβ-	καλύπτ-ω ვფარავ
τυπ-	τύπτ-ω ვცემ, ვტვიფრავ
κοπ-	κόπτ-ω ვკვეთ, ვარტყამ
βαπ-	βάπτ-ω ვღებავ, ამოვავლებ
κρυφ-	κρύπτ-ω ვმალავ
ῥιφ-	ῥίπτ-ω ვაგდებ
ταφ-	θάπτ-ω ვმარხავ (τ-ს θ-თი შენაცვლება).

მესამე კლასის ზმნებიც ორფუძიანებია. ამ კლასის ზმნათა მარტივი ფუძე ბოლოვდება როგორც გუტურალურ და დენტალურ თანხმოვნებზე, ისე ლიკვიდურ-ნაზალურ თანხმოვნებზე. აწმყოს ფუძის საწარმოებლად მარტივ ფუძეს ემატება იოტა -j (ι). იოტის დართვა იწვევს სათანადო ფონეტიკურ ცვლილებებს.

1. ფუძის ბოლოს ხშული თანხმოვანია

ა) გუტურალური თანხმოვანი (γ, κ, χ) + ι = σσ ან ττ[1]:

ზმნის ფუძე	იოტიზაცია	აწმყო
πραγ-	πραγ-j-ω	πράσσω(πράττω) ვაკეთებ
ταγ-	ταγ-j-ω	τάσσω განვაწყობ
φυλακ-	φυλακ-j-ω	φυλάσσω ვიცავ
κηρυκ-	κηρυκ-j-ω	κηρύσσω ვაცხადებ
ταραχ-	ταραχ-j-ω	ταράσσω ვაშფოთებ, ვაღელვებ
ὀρυχ-	ὀρυχ-j-ω	ὀρύσσω ვთხრი

არის რამდენიმე ზმნა, რომელთა მარტივი ფუძე ბოლოვდება გუტურალური γ-თი, მაგრამ იოტის დართვით ვღებულობთ ζ-ს. ესაა ე.წ. –ζω ზმნები:

[1] σσ დამახასიათებელი ძველი ატიკური დიალექტისა და კოინესათვის

Κραγ – κραγ-j-ω	κράζω	ვყვირი
οἰμωγ –οἰμωγ-j-ω	οἰμώζω	ვხვნეში
σαλπιγγ – σαλπιγγ-j-ω	σαλπίζω	ბუკს ვკრავ
κλαγγ – κλαγγ-j-ω	κλάζω	ვხმაურობ, ვყვირი
στεναγ – στεναγ-j-ω	στενάζω	ვკვნესი
στιγ – στιγ-j-ω	στίζω	ვჩხვლეტ

ბ) დენტალური თანხმოვანი (δ) + ι = ζ:

παιδ – παιδ-j-ω	παίζω	ვთამაშობ
ἐλπιδ – ἐλπιδ-j-ω	ἐλπίζω	ვიმედოვნებ
ἐριδ – ἐριδ-j-ω	ἐρίζω	ვდავობ
σχιδ – σχιδ-j-ω	σχίζω	ვაპობ
φραδ – φραδ-j-ω	φράζω	ვუხსნი, განვმარტავ.

ზოგიერთ ზმნაში დენტალურ თანხმოვანზე იოტის დართვით ვღებულობთ σσ(ττ)-ს:

πλατ – πλατ-j-ω	πλάσσω	ვასახიერებ
ἁρμοτ – ἁρμοτ –j-ω	ἁρμόττω	ვუფარდებ, ვუხამებ
ἐρετ – ἐρετ-j-ω	ἐρέσσω	ვნიჩბავ
πατ – πατ-j-ω	πάσσω	მოვაბნევ
πτιτ – πτιτ-j-ω	πτίσσω	ვფშვნი
κορυθ – κορυθ-j-ω	κορύσσω	ვაიარაღებ

შენიშვნა: 1. ლაბიალური ფუძისაგან πεπ- იოტიზაციით (πεπ-j-ω) მიღებულია πέσσω (πέττω) „ვამწიფებ“ („ვაცხობ“, „ვხარშავ“). არის მოსაზრება, რომ πέσσω მიღებულია ფუძისგან πεκ- (πεκ-j-ω).

აწმყოს ფორმა νίζω „ვბან“ მიღებულია იოტიზაციით ფუძისგან νιβ- (νιβ-j-ω). ამ ზმნის ფუძედ ვარაუდობენ აგრეთვე νιγ-ს (νίζω < νιγ-j-ω).

2. ფუძის ბოლოს სონორი (ლიკვიდურ-ნაზალური) თანხმოვანია: ა) როდესაც ზმნის ფუძე ბოლოვდება λ-თი, მისი შეერთებით იოტასთან ასიმილაციის შედეგად მივიღებთ ორ λ-ს:

λ + ι = λλ:

βαλ – βαλ-j-ω	βάλλω	ვისვრი
ἀγγελ – ἀγγελ-j-ω	ἀγγέλλω	ვაუწყებ
στελ – στελ-j-ω	στέλλω	ვგზავნი

ἀλ	–	ἀλ-j-ο-μαι	ἄλλομαι	ვხტი
τελ	–	τελ-j-ω	τέλλω	აღმოვაცენებ.

ბ) ამ ქვეჯგუფის ზმანათა ფუძე ბოლოვდება მარცვლებით: αν, εν, αρ, ερ, ιν, ιρ, υν, υρ. როდესაც ასეთი დაბოლოების მქონე ფუძეს დაერთვის იოტა, იგი წინა მარცვალში გადაინაცვლებს და α და ε ხმოვნებთან შექმნის αι და ει დიფთონგებს, ხოლო მოკლე ι და υ დაგრძელდება.

μιαν	–	μιαν-j-ω	μιαίνω	ვბილწავ
ὀνομαν	–	ὀνομαν-j-ω	ὀνομαίνω	სახელს ვდებ, ვუწოდებ
μελαν	–	μελαν-j-ω	μελαίνω	ვაშავებ, ვამუქებ
κυδαν	–	κυδαν-j-ω	κυδαίνω	ვადიდებ, სახელს ვუთქვამ
φαν	–	φαν-j-ω	φαίνω	ვაჩენ
κτεν	–	κτεν-j-ω	κτείνω	ვკლავ
τεν	–	τεν-j-ω	τείνω	ვჭიმავ
κλιν	–	κλιν-j-ω	κλίνω	ვხრი
κριν	–	κριν-j-ω	κρίνω	ვსჯი
αἰσχυν	–	αἰσχυν-j-ω	αἰσχύνω	ვარცხვენ
ἀμυν	–	ἀμυν-j-ω	ἀμύνω	ვიცავ

რფუძიანი ზმნები

καθαρ	–	καθαρ-j-ω	καθαίρω	განვწმენდ
χαρ	–	χαρ-j-ω	χαίρω	მიხარია
ἀρ	–	ἀρ-j-ω	αἴρω	ზევით ვწევ
σπερ	–	σπερ-j-ω	σπείρω	ვთეს
κερ	–	κερ-j-ω	κείρω	ვკრეჭ
φθερ	–	φθερ-j-ω	φθείρω	ვსპობ
ἐγερ	–	ἐγερ-j-ω	ἐγείρω	აღვაგზნებ
ἀγερ	–	ἀγερ-j-ω	ἀγείρω	ვკრებ
οἰκτιρ	–	οἰκτιρ-j-ω	οἰκτίρω (οἰκτείρω)	ვწუხვარ
μαρτυρ	–	μαρτυρ-j-ο-μαι	μαρτύρομαι	ვიმოწმებ

შენიშვნები: 1. ფუძისაგან ὀφελ- იოტიზაციით (ὀφελ-j-ω) მიღებულია ὀφείλω „ვალდებული ვარ“. ὀφελ- ფუძისაგან წესიერად იწარმოება აწმყოს ფორმა ὀφέλλω (λ + ι = λλ) ვზრდი“, „ვამრავლებ“.

2.ზმნები καίω „ვწვავ“ და κλαίω „ვტირი“ ნაწარმოებია იოტიზაციით ფუძეებისაგან καυ, καF და κλαυ, κλαF (καF-j-ω, κλαF-j-ω). ამ ზმნათა ფუძეები καυ- და κλαυ- უცვლელი რჩება იმ ფორმებში, სადაც მათ თანხმოვანი მოსდევს. ატიკურ პროზაში ხშირია პარალელური ფორმები κάω და κλάω (κάεις, κάει ..., κλάεις, κλάει...), რომლებშიც იოტა გამქრალია და დაგრძელებულია ფუძისეული α.

მეოთხე კლასის ზმნების ფუძე ერთმარცვლიანია და, როგორც წესი, ხშულ თანხმოვანზე ბოლოვდება. ამ კლასის ზმნათა აწმყოს ფუძე იწარმოება ძირისეული ხმოვნის რაოდენობრივი ან თვისობრივი ცვლით. აწმყოში შეცვლილი ხმოვანი ჩვეულებრივ შენარჩუნებულია დანარჩენ დროებშიც, გარდა II აორისტისა.

მაგალითები:

მარტივი ფუძე	აწმყოს ფუძე	აწმყო	
τακ	τηκ	τήκ-ω	ვადნობ
σαπ	σηπ	σήπ-ω	ვალპობ
τραγ	τρωγ	τρώγ-ω	ვხრავ, ვჭამ
πιθ	πειθ	πείθ-ω	ვარწმუნებ
λιπ	λειπ	λείπ-ω	ვტოვებ
τρῑβ	τρῑβ	τρίβ-ω	ვსრეს
πνῑγ	πνῑγ	πνίγ-ω	ვახრჩობ
φυγ	φευγ	φεύγ-ω	გავრბივარ

შენიშვნები: 1) აწმყოს ფუძის თვალსაზრისით ამ კლასს განეკუთვნება ზმნები: πλέω „ვცურავ“, πνέω „ვსუნთქავ“, νέω „ვცურავ“, ῥέω „ვმდინარებ“, θέω „დავრბივარ“ და χέω „ვღვრი“. ამ ზმნათა მარტივი ფუძეებია πλυ-, πνυ, νυ-, ῥυ-, θυ-, და χυ-. აწმყოში ძირისეულმა ხმოვანმა υ-მ დაგრძელების შედეგად მოგვცა დიფთონგი ευ (*πλεύ-ω, *πνεύ-ω, და ა. შ.), რომლის υ ელემენტი შემაერთებელ ხმოვნებთან ჯერ დიგამმად (F) იქცა (*πλέF-ω, *πνέF-ω და ა.შ.), შემდეგ კი სულ დაიკარგა[1]. ამის გამო ეს ექვი ზმნა ხმოვანფუძიან – შერწყმულ ზმნათა ჯგუფში მოექცა. ამ ზმნების აწმყოს ოდინდელი ფუძე ευ დიფთონგით (πλευ-, πνευ- და ა. შ.) შენარჩუნებულია რიგ დროებში (გამონაკლისია ამ მხრივ ზმნა χέω).

[1] შდრ. *γλυκυ-γλυκέων, βασιλευ-βασιλέων*

2) მეოთხე კლასის ერთი ზმნის ფუძე ორმარცვლიანია. ეს არის ზმნა ἀλείφ-ω „ვცხებ“. მისი მარტივი ფუძეა ἀλιφ-, რომლის ხმოვანი ι დაგრძელების შედეგად აწმყოში გვაძლევს ει დიფთონგს.

3) V-VIII კლასებში შემავალი ზმნები თავისებური ანუ „უწესო“ ზმნებია. მათი მიმოხილვა წარმოდგენილი იქნება ქვემოთ.

თანხმოვანფუძიან ზმნათა უღლება

თანხმოვანფუძიანი ზმნების უღლება ძირითადად ისეთივეა, როგორიც ხმოვანფუძიანებისა; ოღონდ, გასათვალისწინებელია ის ფონეტიკური მოვლენები, რომელთაც იწვევს ფუძის ბოლოკიდური თანხმოვნის უშუალო შეხვედრა ზმნის ფორმების მაწარმოებელ სუფიქსთა თანხმოვან ელემენტებთან.

1. **აწმყო და ნამყო უსრული.** აწმყოსა და ნამყო უსრულში, როგორც ზემოთაა ნათქვამი, დაბოლოებები ფუძეს შემაერთებელ ხმოვანთა მეშვეობით დაერთვის; ამის გამო თანხმოვანთა უშუალო შეხვედრა ამ ფორმებში არ ხდება და თანხმოვანფუძიანი ზმნების უღლება აბსოლუტურად ემთხვევა ხმოვანფუძიანი შეურწყმელი ზმნების უღლებას. მაგალითად, ზმნა πέμπω „ვაგზავნი“ იუღლება ისევე, როგორც παιδεύ-ω ან λύ-ω ზმნები. ქვემოთ სანიმუშოდ წარმოდგენილია πέμπ-ω ზმნის უღლება.

Praesens

Activum

	Indicativus	Coniunctivus	Optativus	Imperativus
S. 1	πέμπ –ω ვგზავნი	πέμπ -ω	πέμπ -οι-μι	
2	πέμπ –εις	πέμπ -ης	πέμπ -οι-ς	πέμπ –ε
3	πέμπ -ει	πέμπ -η	πέμπ-οι	πεμπ-έ-τω
P. 1	πέμπ–ο-μεν	πέμπ -ω-μεν	πέμπ -οι-μεν	
2	πέμπ-ε -τε	πέμπ -η-τε	πέμπ -οι-τε	πέμπ -ε-τε
3	πέμπ –ουσι(ν)	πέμπ -ω-σι (ν)	πέμπ-οι-ε -ν	πεμπ-ό-ντων . πεμπ-έ-τωσαν
D. 1				
2				
3				

Infinitivus

πέμπ-ειν

Participium		
πέμπ-ων	πέμπ-ουσα	πέμπ-ον

Medium- Passivum				
	Indicativus	Coniunctivus	Optativus	Imperativus
S. 1	πέμπ –ο-μαι ვიგზავნი, ვიგზავნები	πέμπ –ω-μαι	πεμπ -οί-μην	
2	πέμπ –ει (πέμπ-η)	πέμπ -η	πέμπ -οι-ο	πέμπ –ου
3	πέμπ –ε-ται	πέμπ –η-ται	πέμπ-οι-το	πεμπ-έ-σθω
P. 1	πεμπ–ό-μεθα	πεμπ -ώ-μεθα	πεμπ -οί-μεθα	
2	πέμπ-ε -σθε	πέμπ -η-σθε	πέμπ -οι-σθε	πέμπ -ε-σθε
3	πέμπ –ο-νται	πέμπ -ω-νται	πέμπ-οι-ντο	πεμπ-έ-σθων ან πεμπ-έ-σθωσαν
D. 1	πεμπ –ό-μεθα	πεμπ -ώ-μεθα	πεμπ -οί-μεθα	
2	πέμπ–ε-σθον	πέμπ -η-σθον	πέμπ -οι-σθον	πέμπ-ε-σθον
3	πέμπ-ε-σθον	πέμπ -η-σθον	πεμπ -οί-σθην	πεμπ-έ-σθων

Infinitivus
πέμπ-ε-σθαι

Participium		
πεμπ-ό-μενος	πεμπ-ο-μένη	πεμπ-ό-μενον

Imperfectum		
	Activum	Medium-Passivum
S. 1	ἔ-πεμπ-ο-ν ვგზავნიდი	ἐ-πεμπ-ό-μην ვიგზავნიდი, ვიგზავნებოდი
2	ἔ-πεμπ-ε-ς	ἐ-πέμπ-ου
3	ἔ-πεμπ-ε-(ν)	ἐ-πέμπ-ε-το
P. 1	ἐ-πεμπ-ο-μεν	ἐ-πεμπ-ό-μεθα
2	ἐ-πεμπ-ε-τε	ἐ-πέμπ-ε-σθε
3	ἔ-πεμπ-ο-(ν)	ἐ-πέμπ-ο-ντο
D. 1	ἐ-πέμπ-ο-μεν	ἐ-πεμπ-ό-μεθα
2	ἐ-πέμπ-ε-τον	ἐ-πέμπ-ε-σθον
3	ἐ-πεμπ-έ-την	ἐ-πεμπ-έ-σθην

2. **მყოფადი I მოქმედებითი და საშუალი გვარისა.** მყოფადი I, როგორც ვიცით, იწარმოება ზმნის ფუძეზე დროის მაჩვენებელი σ სუფიქსის დართვით (λύ-ω ვხსნი, λύ-σ-ω გავხსნი). იმ ზმნებში, რომელთა ფუძე ხშულ

თანხმოვანზე ბოლოვდება, სუფიქსი σ დაერთვის მარტივ ფუძეს. ამას თან ახლავს შემდეგი ფონეტიკური მოვლენები: გუტურალურ თანხმოვნებთან (γ, κ, χ) შეერთებული σ გვაძლევს ξ-ს, ლაბიალურ თანხმოვნებთან (β, π, φ) შეერთებული გვაძლევს ψ-ს, ხოლო დენტალური თანხმოვნები (δ, τ, θ) σ-ის წინ უკვალოდ იკარგება. ამ ფონეტიკური პროცესების შედეგად მიღებულ მყოფადის ფუძეს დაბოლოებები დაერთვის შემაერთებელ ხმოვანთა მეშვეობით.

აღნიშნულ თანხმოვანფუძიან ზმნათა უღლება I მყოფადში ისეთივეა, როგორიც ხმოვანფუძიანი ზმნებისა. ამის გამო სანიმუშო მაგალითები ქვემოთ მხოლოდ პირველ პირში მოგვაქვს:

Praesens	მარტივი ფუძე (ხშული)	Futurum I	
		Activum	Medium
ἄγ-ω მიმყავს	ἀγ	ἄξω	ἄξομαι
λέγ-ω ვამბობ	λεγ	λέξω	λέξομαι
φλέγ-ω ვწვავ	φλεγ	φλέξω	φλέξομαι
τήκ-ω ვადნობ	τακ	τήξω	τήξομαι
διώκ-ω ვდევნი	διωκ	διώξω	διώξομαι
πλέκ-ω ვწნავ	πλεκ	πλέξω	πλέξομαι
ἄρχ-ω ვმართავ, ვიწყებ	ἀρχ	ἄρξω	ἄρξομαι
βρέχ-ω ვრწყავ	βρεχ	βρέξω	βρέξομαι
τάσσ-ω განვაწყობ	ταγ	τάξω	τάξομαι
φυλάσσω ვიცავ	φυλακ	φυλάξω	φυλάξομαι
ταράσσω ვამფოთებ	ταραχ	ταράξω	ταράξομαι
τρίβ-ω ვსრეს	τριβ	τρίψω	τρίψομαι
βλάπτ-ω ვაგნებ	βλαβ	βλάψω	βλάψομαι
καλύπτ-ω ვფარავ	καλυβ	καλύψω	καλύψομαι
λείπ-ω ვტოვებ	λιπ	λείψω	λείψομαι
κόπτ-ω ვკვეთ	κοπ	κόψω	κόψομαι
τύπτ-ω ვცემ	τυπ	τύψω	τύψομαι
βάπτ-ω ვღებავ, ამოვავლებ	βαφ	βάψω	βάψομαι
γράφ-ω ვწერ	γραφ	γράψω	γράψομαι
θάπτ-ω ვმარხავ	ταφ	θάψω	θάψομαι
στίζ-ω ვჩხვლეტ	στιγ	στίξω	στίξομαι
ψεύδ-ω ვატყუებ	ψευδ	ψεύσω	ψεύσομαι
ἀνύτ-ω ვასრულებ	ἀνυτ	ἀνύσω	ἀνύσομαι
πέρθ-ω ვანადგურებ	περθ	πέρσω	πέρσομαι
φράζ-ω ვუხსნი	φραδ	φράσω	φράσομαι
πλάσσ-ω ვასახიერებ	πλατ	πλάσω	πλάσομαι
πείθ-ω ვარწმუნებ	πιθ	πείσω	πείσομαι
κορύσσ-ω ვაიარაღებ	κορυθ	κορύσω	κορύσομαι

ის ზმნები, რომელთა აწმყოს ფუძე სონორ (ლიკვიდურ-ნაზალურ) თანხმოვანზე (λ, μ, ν, ρ) ბოლოვდება, მყოფადის საწარმოებლად მარტივ ფუძეზე დაირთავენ ნიშანს -εσ (ლიკვიდურ-ნაზალური თანხმოვანი σ-ს უშუალოდ ვერ დაირთავს!). ამგვარად მიღებულ მყოფადის ფუძეს პირის დაბოლოებები დაერთვის შემაერთებელი ხმოვნების მეშვეობით. დროის ნიშანი σ, რომელიც ამის გამო ორ ხმოვანს შორის აღმოჩნდება, ამოვარდება და ხდება ε-ს შერწყმა მომდევნო ხმოვანთან იმავე წესით, როგორსაც ადგილი აქვს έω-ზე დაბოლოებულ შერწყმულ ზმნებში. მაგალითად, βάλλω (ვისვრი) ზმნის მარტივი ფუძეა βαλ-; აქედან მყოფადი მოქმედებითი გვარისა იქნება βαλ-έσ-ω → βαλ-έ-ω → βαλῶ, საშუალი გვარისა βαλ-έσ-ο-μαι → βαλ-έ-ο-μαι → βαλοῦμαι. მყოფადის ფორმები βαλῶ და βαλοῦμαι იუღვლის ისე, როგორც შერწყმული ზმნა κινέω → κινῶ. ასეთ მყოფადს – უსიგმო ანუ მეორე მყოფადი (futurum II, asigmaticum), ანდა შერწყმული მყოფადი (futurum contractum) ეწოდება.

სხვა მაგალითები:

Praesens	მარტივი ფუძე	Futurum	
		Activum	Medium
ἀγγέλλ-ω ვაუწყებ	ἀγγέλ	ἀγγέλῶ	ἀγγέλοῦμαι
στέλλ-ω ვგზავნი	στελ	στελῶ	στελοῦμαι
τέλλ-ω აღმოვაცენებ	τελ	τελῶ	τελοῦμαι
σφάλλ-ω ვანარცხებ	σφαλ	σφαλῶ	σφαλοῦμαι
ἅλλ-ο-μαι ვხტი	ἁλ	–	ἁλοῦμαι
νέμ-ω ვყოფ	νεμ	νεμῶ	νεμοῦμαι
φαίν-ω ვაჩენ	φαν	φανῶ	φανοῦμαι
τείν-ω ვჭიმავ	τεν	τενῶ	τενοῦμαι
κρίν-ω ვსჯი	κριν	κρινῶ	κρινοῦμαι
ἀμύν-ω ვიცავ	ἀμυν	ἀμυνῶ	ἀμυνοῦμαι
καθαίρ-ω განვწმენდ	καθαρ	καθαρῶ	καθαροῦμαι
αἴρ-ω ზევით ვწევ	ἀρ	ἀρῶ	ἀροῦμιαι
σπείρ-ω ვთეს	σπερ	σπερῶ	σπεροῦμαι
φθείρ-ω ვსპობ	φθερ	φθερῶ	φθεροῦμαι

ატიკური მყოფადი. -ιδ ფუძიან ზმნებში, რომელთა აწმყო -ίζω-ზე ბოლოვდება და ორზე მეტ მარცვალს შეიცავს, მყოფადი იწარმოება მარტივ ფუძეზე σε ნიშნის დართვით: σ-ის წინ მდებარე δ ამოვარდება, ასევე იკარგება ორ ხმოვანს შუა მოხვედრილი σ, ხოლო ε შეერწყმის მომდევნო ხმოვნებს ისე, როგორც ეს ხდება έω დაბოლოებიან შერწყმულ ზმნათა

აწმყოში. მაგალითად, κομίζω (მომაქვს) ზმნის მარტივი ფუძეა κομιδ-; აქედან მყოფადი მოქმედებითი გვარისა იქნება κομιδ-σέ-ω → κομι-έ-ω → κομιῶ, საშუალი გვარისა – κομιδ-σέ-ο-μαι → κομι-έ-ο-μαι → κομιοῦμαι. უღლება ისეთივეა, როგორიც ზმნისა κινέω → κινῶ. ასეთ მყოფადს ეწოდება ატიკური მყოფადი (Futurum atticum).

სხვა მაგალითები:

Praesens	მარტივი ფუძე	Futurum	
		Activum	Medium
νομίζω ვფიქრობ	νομιδ	νομιῶ	νομιοῦμαι
ἐλπίζω ვიმედოვნებ	ἐλπιδ	ἐλπιῶ	
καθίζω ვსვამ, ვჯდები	(καθ)ιδ	καθιῶ	
ἀγονίζομαι ვიბრძვი	ἀγωνιδ	—	ἀγωνιοῦμαι
ἐθίζω ვაჩვევ	ἐθιδ	ἐθιῶ	
οἰκίζω ვასახლებ	οἰκιδ	οἰκιῶ	

ატიკური მყოფადი შეინიშნება სხვა ზმნებშიც. მაგალითად: βιβάζω (აღვავლენ) ზმნის მარტივი ფუძეა βιβάδ-, აქედანაა მყოფადი βιβῶ (< βιβαδσέ-ω). ასევეა მიღებული ἐζετάζω (ვიკვლევ) ზმნის მყოფადის ფორმა ἐζετῶ. ატიკურ მყოფადად მიიჩნევენ ზემოთ მიმოხილულ ლიკვიდურ- ნაზალური თანხმოვნით ფუძედაბოლოებულ ზმნებსაც.

დორიული მყოფადი. ზოგიერთი ზმნის მყოფადი იწარმოება სიგმატიზმისა და კონტრაქციის (შერწყმის) კომბინაციით. ასეთ მყოფადს ეწოდება დორიული მყოფადი (futurum doricum). ფორმა მას მედიუმისა აქვს, მნიშვნელობა კი- აქტივისა.

დორიული მყოფადის საწარმოებლად ფუძეს დაერთვის ნიშანი σε და შემაერთებელ ხმოვანთა მეშვეობით საშუალი გვარის პირის დაბოლოებები. უღლების დროს ε შეერწყმის შემაერთებელ ხმოვნებს. მაგალითად, πλέω (ვცურავ) ზმნის ფუძეა πλυ-, πλευ-; აქედან დორიული მყოფადი იქნება πλευ-σέ-ο-μαι → πλευσοῦμαι. აქვე შევნიშნავთ, რომ სათანადო ზმნებისათვის ატიკურ დიალექტში დორიული ფორმის პარალელურად იხმარება ნორმალურად წარმოებული I მყოფადი, ე.ი. πλευσοῦμαι-ს გვერდით გვხვდება πλεύσομαι (გამონაკლისია νέω და πίπτω ზმნები).

შენიშვნა: დორიულ დიალექტში მყოფადი საერთოდ იწარმოება სიგმატიზმისა და კონტრაქციის კომბინაციით. მაგალითად, ატიკური

მყოფადი λύσω დორიულში გვაძლევს ფორმას λυσῶ (< λυσέω), რომელიც ასე იუღვლის:

Activum	Medium
λυσῶ – λουσοῦμες	λυσοῦμαι – λυσούμεθα
λυσεῖς –λυσεῖτε	λυσῇ – λυσεῖσθε
λυσεί – λυσοῦντι	λυσεῖται – λυσοῦνται
Part. λυσῶν	Part. λυσούμενος
Infinit. λυσεῖν	Infinit. λυσεῖσθαι

მაგალითები დორიული მყოფადისათვის

Praesens	ფუძე	Futurum
νέω ვცურავ	νυ-, νευ-	νευσοῦμαι
πνέω ვსუნთქავ	πνυ-, πνευ-	πνευσοῦμαι
φεύγω გავრბივარ	ψυγ-, φευγ-	φευξοῦμαι
πυνθάνομαι ვტყობილობ	πυθ-, πευθ-	πευσοῦμαι
πίπτω ვეცემი	πετ-	πεσοῦμαι (< πετέομαι)
κλαίω ვტირი	κλαυ	κλαυσοῦμαι

შენიშვნა: არის რამდენიმე ზმნა, რომელთაც მყოფადში აწმყოს ფორმა აქვთ (მყოფადის საწარმოებელი სუფიქსი არ მოეპოვებათ). ეს ზმნებია:

ἐσθίω	ვჭამ,	მყოფადი	–	ἔδομαι
πίνω	ვსვამ,	–	–	πίομαι
χέω	ვღვრი,	–	–	χέω

[ჰომეროსთან: βιόω „ვცოცხლობ“ – βέομαι//βείομαι, δήω (preas. = fut.) „ვიპოვი“, κήω//κείω „დავიძინებ“. ἐξανύω „მივაღწევ“, „შევასრულებ“, ἐρύω „გავათრევ“, ταινύω „გავჭიმავ“, ἀλεύεται „აიცდენს“, νέομαι (= νέσομαι) „წავალ“]. როგორც ჩანს, ესაა უძველესი აწმყოს კავშირებითი კილო, რომელმაც მყოფადის მნიშვნელობა შემოინახა: მყოფადი ნასესხებია კავშირებითისგან. ამ მოვლენის ანალოგია გვაქვს ლათინურ ენაში. მაგალითად, აწმყოს კავშირებითია legam „ვკითხულობდე“, მყოფადია ასევე legam „წავიკითხავ“. საყურადღებო ფაქტია, რომ ეს მოვლენა დამახასიათებელია ძველი ქართული ენისათვის: „ახალ ქართულში ხმარებული მყოფადი (დავწერ, გავაკეთებ...) შედარებით ახალი ფორმაციისაა. ძველი ქართულისთვის „ვწერ“ და „დავწერ“ – ორივე აწმყოა და არა აწმყო-

მყოფადი, ხოლო მყოფადის მნიშვნელობით ძველი ქართული ხმარობს კავშირებითს – ვწერდე, ვწერო“[1].

3. აორისტი I მოქმედებითი და საშუალი გვარისა. აორისტი I, როგორც ვიცით, იწარმოება ზმნის ფუძეზე დროის მაწარმოებელი σα სუფიქსის დართვით (λύ-ω ვხსნი, ἔ-λυ-σα გავხსენი).

იმ ზმნებში, რომელთა ფუძე ხშულ თანხმოვანზე ბოლოვდება, σα სუფიქსი დაერთვის მარტივ ფუძეს. გუტურალური (γ, κ, χ) + σ გვაძლევს ξ-ს, ლაბიალური (β, π, φ) + σ – ψ-ს. ხოლო დენტალური (δ, τ, θ) σ-ის წინ ამოვარდება. ამ ფონეტიკური პროცესების შედეგად აორისტის ფუძეს დაბოლოებები დაერთვის შემაერთებელ ხმოვანთა გარეშე.

ხშულთანხმოვანფუძიან ზმნათა უღლება I აორისტში ისეთივეა, როგორიც ხმოვანფუძიანი ზმნებისა. მაგალითები მოგვაქვს მხოლოდ პირველ პირში:

Praesens	მარტივი ფუძე	Aoristus I	
		Activum	Medium
ἄγ-ω მიმყავს	ἀγ	ἦξα	ἠξάμην
λέγ-ω ვამბობ	λεγ	ἔλεξα	ἐλέξάμεν
διώκ-ω ვდევნი	διωκ	ἐδίωξα	ἐδιωξάμην
ἄρχ-ω ვმართავ, ვიწყებ	ἀρχ	ἦρξα	ἠρξάμην
τάσσ-ω განვაწყობ	ταγ	ἔταξα	ἐταξάμην
φυλάσσ-ω ვიცავ	φυλακ	ἐφύλαξα	ἐφυλαξάμην
τήκ-ω ვადნობ	τικ	ἔτηξα	ἐτηξάμην
ταράσσ-ω ვაშფოთებ	ταραχ	ἐτάραξα	ἐταραξάμην
βλάπτ-ω ვავნებ	βλαβ	ἔβλαψε	ἐβλαψάμην
τρίβ-ω ვსრეს	τριβ	ἔτριψα	ἐτριψάμην
πέμπ-ω ვგზავნი	πεμπ	ἐπέμψα	ἐπεμψάμην
κόπτ-ω ვკვეთ	κοπ	ἔκοψα	ἐκοψάμην
βάπτ-ω ვღებავ, ამოვავლებ	βαφ	ἔβαψα	ἐβαψάμην
γράφ-ω ვწერ	γραφ	ἔγραψα	ἐγραψάμην
θάπτ-ω ვმარხავ	ταφ	ἔθαψα	ἐθαψάμην
στίζ-ω ვჩხვლეტ	στιγ	ἔστιξα	ἐστιξάμην
ψεύδ-ω ვატყუებ	ψευδ	ἔψευσα	ἐψευσάμην
φράζ-ω ვუხსნი	φραδ	ἔφρασα	ἐφρασάμην
σκεύαζ-ω ვამზადებ	σκευαδ	ἐσκεύσα	ἐσκευασάμην
πλάσσω ვასახიერებ	πλατ	ἔπλασα	ἐπλασάμην

[1] სიმ. ყაუხჩიშვილი, ლათინური ენის სახელმძღვანელო, 1967, გვ. 58.

შენიშვნა: თუ ფუძის ბოლოკიდურია -νδ, -ντ, -νθ, σ-ს წინ ისინი ამოვარდებიან და წინამდებარე მოკლე ხმოვანი დაგრძელდება:

σπένδ-ω „ზედაშეს (წა)ვუქცევ“ – ἔσπεισα, ἐσπεισάμην

ის ზმნები, რომელთა აწმყოს ფუძე სონორ (ლიკვიდურ-ნაზალურ) თანხმოვნებზე (λ, μ, ν, ρ) ბოლოვდება, I აორისტის საწამოებლად მარტივ ფუძეზე დაირთავენ σα სუფიქსს; წინამდებარე ლიკვიდურ-ნაზალურ თანხმოვნებიან სუფიქსეული σ ამოვარდება, სამაგიეროდ ფუძისეული მოკლე ხმოვანი დაგრძელდება: ᾰ → η (ι, ρ-ს შემდეგ → ᾱ-ს), ε → ει, ῐ → ῑ, ῠ → ῡ. ამგვარად მიღებულ აორისტის ფუძეს პირის დაბოლოებები დაერთვის უშუალოდ. მაგალითად: φαίν-ω (ვაჩენ), მარტივი ფუძეა φαν-, I აორისტი მოქმ. გვარისა – ἔφανσα → ἔφηνα, საშ. გვარისა – ἐφανσαμην → ἐφηνάμην. ესაა ე.წ. ასიგმატური (უსიგმო) აორისტი, რომელიც იუღვლის ისევე, როგორც I აორისტი ხმოვანფუძიანი შეურწყმელი ზმნებისა.

მაგალითები:

Praesens	მარტივი ფუძე	Aoristus I	
		Activum	Medium
στέλλ-ω ვგზავნი	στελ	ἔστειλα	ἐστειλάμην
ἀγγέλλ-ω ვაუწყებ	ἀγγελ	ἔγγειλα	ἐγγειλάμην
σφάλλ-ω ვანარცხებ	σφαλ	ἔσφηλα	ἐσφηλάμην
νέμ-ω ვყოფ	νεμ	ἔνειμα	ἐνειμάμην
περαίν-ω ვასრულებ	περαν	ἐπέρανα	ἐπερανάμην
τείν-ω ვჭიმავ	τεν	ἔτεινα	ἐτεινάμην
κρίν-ω ვსჯი	κριν	ἔκρινα	ἐκρινάμην
ἁμύν-ω ვიცავ	ἀμυν	ἤμυνα	ἠμυνάμην
καθαίρ-ω გაწმენდ	καθαρ	ἐκάθηρα	ἐκαθηράμην
φθείρ-ω ვსპობ	φθερ	ἔφθειρα	ἐφθειράμην
σπείρ-ω ვთეს	σπερ	ἔσπειρα	ἐσπειράμην
αἴρ-ω ვღებით ვწევ	ἀρ	ἦρα	ἠράμην
ἅλλ-ο-μαι ვხტი	ἅλ	_	ἡλάμην

4. აორისტი I ვნებითი გვარისა. ვნებითი გვარის I აორისტის ფუძე, როგორც ვიცით, იწარმოება ზმნის ფუძეზე θη (θε) სუფიქსის უშუალო დართვით (παιδεύ-ω ვზრდი, ἐ-παιδεύ-θην აღვიზარდე). იმ ზმნებში, რომელთა ფუძე ხშულ თანხმოვანზე ბოლოვდება, θη (θε) სუფიქსი დაერთვის მარტივ ფუძეს. ამას თან ახლავს შემდეგი ფონეტიკური მოვლენები: გუტურალური γ და κ სუფიქსეულ θ-სთან გვაძლევს χθ-ს, გუტურალური χ უცვლელი რჩება; ლაბიალური β და π θ-სთან გვაძლევს φθ-ს,

ლაბიალური φ უცვლელი რჩება; დენტალური თანხმოვნები სუფიქსეულ θ-სთან გვაძლევს σ-ს. იმ ზმნებში, რომელთა ფუძე სონორ (ლიკვიდურ-ნაზალურ) თანხმოვანზე (λ, ν, ρ) ბოლოვდება, θη (θε) სუფიქსი ასევე მარტივ ფუძეს დაერთვის, მაგრამ ეს ფონეტიკურ ცვლილებებს არ იწვევს (სონორი თანხმოვანი θ-სთან უცვლელი რჩება).

ვნებითი გვარის I აორისტის ფუძეს დაბოლოებები დაერთვის უშუალოდ. უღლება ისეთივეა, როგორიც ხმოვანფუძიანი ზმნების I აორისტისა.

მაგალითები:

Praesens	მარტივი ფუძე (ხშული)	Aoristus I passivi
ἄγ-ω მიმყავს	ἀγ	ἤχθην
λέγ-ω ვამბობ	λεγ	ἐλέχθην
διώκ-ω ვდევნი	διωκ	ἐδιώχθην
ἄρχ-ω ვმართავ, ვიწყებ	ἀρχ	ἤρχθην
τάσσ-ω განვაწყობ	ταγ	ἐτάχθην
φυλάσσ-ω ვიცავ	φυλακ	ἐφυλάχθην
ταράσσ-ω ვაშფოთებ	ταραχ	ἐταράχθην
τρίβ-ω ვსრეს	τριβ	ἐτρίφθην
βλάπτ-ω ვაგნებ	βλαβ	ἐβλάφθην
κόπτ-ω ვკვეთ	κοπ	ἐκόφθην
κρύπτ-ω ვმალავ	κρυφ	ἐκρύφθην
ψεύδ-ω ვატყუებ	ψευδ	ἐψεύσθην
πλάσσ-ω ვასახიერებ	πλατ	ἐπλάσθην
πείθ-ω ვარწმუნებ	πιθ	ἐπείσθην
σχίζ-ω ვაპობ	σχιδ	ἐσχίσθην
ἀθροίζ-ω ვკრებ	ἀθροιδ	ἠθροίσθην
κομίζ-ω მომაქვს	κομιδ	ἐκομίσθην
ἀναγκάζ-ω ვაიძულებ	ἀναγκαδ	ἠναγκάσθην
σκευάζ-ω ვამზადებ	σκευαδ	ἐσκευάσθην
σπένδ-ω ზედაშეს (ღა)ვუქცევ	σπενδ	ἐσπείσθην

Praesens	მარტივი ფუძე (ლიკვიდურ-ნაზალური)	Aoristus I passivi
ἀγγέλ-ω ვაუწყებ	ἀγγελ	ἠγγέλθην
μιαίν-ω ვბილწავ	μιαν	ἐμιάνθην
φαίν-ω ვაჩენ	φαν	ἐφάνθην
περαίν-ω ვასრულებ	περαν	ἐπεράνθην
ἀμύν-ω ვიცავ	ἀμυν	ἠμύνθην
αἰσχύν-ω ვარცხვენ	αἰσχυν	ἠσχύνθην
καθαίρ-ω განვწმენდ	καθαρ	ἐκαθάρθην
ἀγείρ-ω ვკრებ	ἀγερ	ἠγέρθην
αἴρ-ω ზევით ვწევ	ἀρ	ἤρθην

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი: 1. θη (θε) სუფიქსის დართვის შედეგად ზოგიერთი ზმნის ფუძეში იკარგება ν:

κρίν-ω ვსჯი κριν ἐκρί-θην

κλίν-ω ვხრი κλιν ἐκλί-θην

2. ერთმარცვლოვან სონორფუძიან ზოგიერთ ზმნაში ε გვაძლევს α-ს: τείν-ω „ვჭიმავ“ – τεν- ἐτάθην.

5. მყოფადი I ვნებითი გვარისა. ვნებითი გვარის I მყოფადის ფუძე თანხმოვანფუძიან ზმნებში მიიღება I აორისტის ვნებითი გვარის ფუძისგან, რომელსაც დაერთვის დროის ნიშანი σ და შემაერთებელ ხმოვანთა მეშვეობით საშუალი გვარის დაბოლოებები: λέγ-ω ვამბობ, მარტ. ფუძე λεγ-, აორ. I ვნ. ἐλέχθη-ν, მყოფ. I ვნ. λεχ-θή-σ-ο-μαι (შდრ. λύ-ω ვხსნი, λυ-θή-σ-ο-μαι გავიხსნები). უღლება ისეთივეა, როგორიც ხმოვანფუძიანი ზმნების ვნებითი გვარის I მყოფადისა.

Praesens	Aoristus I passivi	Futurum I passivi
ἄγ-ω მიმყავს	ἤχθην	ἀχθήσομαι
ἄρχ-ω ვმართავ. ვიწყებ	ἤρχθην	ἀρχθήσομαι
τάσσ-ω განვაწყობ	ἐτάχθην	ταχθήσομαι
βλάπτ-ω ვავნებ	ἐβλάφθην	βλαφθήσομαι
τρίβ-ω ვსრეს	ἐτρίφθην	τριφθήσομαι
κρύπτ-ω ვმალავ	ἐκρύφθην	κρυφθήσομαι
γράφ-ω ვწერ	ἐγράφθην	γραφθήσομαι
κομίζ-ω მომაქვს	ἐκομίσθην	κομισθήσομαι
ἀναγκάζ-ω ვაიძულებ	ἠναγκάσθην	ἀναγκασθήσομαι
πλάσσ-ω ვასახიერებ	ἐπλάσθην	πλασθήσομαι
πείθ-ω ვარწმუნებ	ἐπείσθην	πεισθήσομαι
ἀγγέλ-ω ვაუწყებ	ἠγγέλθην	ἀγγελθήσομαι
μιαίν-ω ვბილწავ	ἐμιάνθην	μιανθήσομαι
φαίν-ω ვაჩენ	ἐφάνθην	φανθήσομαι
περαίν-ω ვასრულებ	ἐπεράνθην	περανθήσομαι
καθαίρ-ω განვწმენდ	ἐκαθάρθην	καθαρθήσομαι
αἴρ-ω ზევით ვწევ	ἤρθην	ἀρθήσομαι
αἰσχύν-ω ვარცხვენ	ᾐσχύνθην	αἰσχυνθήσομαι
τείν-ω ვჭიმავ	ἐτάθην	ταθήσομαι

6. ნამყო სრული I მოქმედებითი გვარისა. პირველი ნამყო სრული, როგორც ვიცით, იწარმოება ზმნის რედუპლიცირებულ ან აუგმენტირებულ ფუძეზე κ-α სუფიქსის დართვით (λύ-ω ვხსნი, λέ-λυ-κα გავხსენი; ῥθώ-ω ვასწორებ, ὤρθω-κα გავასწორე).

თანხმოვანფუძიან ზმნათაგან I ნამყო სრული მოეპოვება მხოლოდ იმ ზმნებს, რომელთა ფუძე დენტალურ და სონორ (ლიკვიდურ-ნაზალურ) თანხმოვნებზე ბოლოვდება. გუტურალურ და ლაბიალურ თანხმოვნებზე დაბოლოებული ზმნების ნაწილს აქვს II (უნიშნო) ნამყო სრული, ნაწილს კი არც პირველი და არც მეორე ნამყო სრული არ მოეპოვება.

დენტალურ თანხმოვანზე (δ, τ, θ) დაბოლოებულ ზმნებს მარტივ ფუძეს სუფიქსი κα დაერთვის უშუალოდ. ამის შედეგად κ-ს წინმდებარე დენტალური თანხმოვანი ამოვარდება:

მაგალითები:

Praesens	მარტივი ფუძე	Perfectum I activi
κομίζ-ω მომაქვს	κομιδ	κεκόμικα
σπουδάζ-ω ვბეჭითობ	σπουδαδ	ἐσπούδακα
σκευάζ-ω ვამზადებ	σκευαδ	ἐσκεύακα
ὁρίζ-ω ვსაზღვრავ	ὁριδ	ὥρικα
ἐρίζ-ω ვდავობ	ἐριδ	ἤρικα
ἀνύτ-ω (ἀνύ-ω) ვასრულებ	ἀνυτ	ἤνυκα
πλάσσ-ω ვასახიერებ	πλατ	πέπλακα

IV-VIII კლასების ზმნათაგან I ნამყო სრული აქვს მხოლოდ πείθ-ω (ვარწმუნებ) ზმნას; ფუძე – πειθ-, πιθ-, ნამყო სრული I – πέπεικα.

იმ ზმნათა დიდ ნაწილს, რომელთა ფუძე ლიკვიდურ-ნაზალურ (λ, μ, ν, ρ) თანხმოვანზე ბოლოვდება, ან სულ არ მოეპოვება ნამყო სრული, ანდა აქვს II (უნიშნო) ნამყო სრული. ზმნათა ის ნაწილი კი, რომელიც I ნამყო სრულს აწარმოებს, აწარმოებას მას მარტივ ფუძეზე κα სუფიქსის უშუალო დართვით. I ნამყო სრულის რეგულარული წარმოება თითო-ოროლა ზმნას აქვს, დანარჩენები – თავისებურებას ამჟღავნებენ:

Praesens	მარტივი ფუძე	Perfectum I activi
ἀγγέλ-ω ვაუწყებ	ἀγγελ	ἤγγελκα
σφάλλ-ω ვანარცხებ	σφαλ	ἔσφαλκα
αἴρ-ω ზევით ვწევ	ἀρ	ἦρκα
ἀγείρ-ω ვკრებ	ἀγερ	ἀγήγερκα
ἐγείρ-ω აღვაგზნებ	ἐγερ	ἐγήγερκα
φαίν-ω ვაჩენ	φαν	πέφαγκα (←πε-φαν-κα)

შენიშვნები: 1. ზოგიერთ ზმნაში κα სუფიქსის დართვა იწვევს ფუძის ბოლოკიდურ ν-ს დაკარგვას:

κρίν-ω	ვსჯი	κριν	κέκρικα
κλίν-ω	ვხრი	κλιν	κέκλικα
τείν-ω	ვჭიმავ	τεν	τέτακα (ε → α)

2. ერთმარცვლიან ფუძეებში ε გვაძლევს α-ს:

στέλλ-ω ვგზავნი	στελ	ἔσταλκα
σπείρ-ω ვთეს	σπερ	ἔσπαρκα
φθείρ-ω ვსპობ	φθερ	ἔφθαρκα

3. ზოგიერთი ზმნის ფუძეში ხდება მეტათეზისი; ფუძისეული ხმოვანი შეინაცვლებს ადგილს – ჩაჯდება სონორი თანხმოვნის შემდეგ და დაგრძელდება (α → η, ε → η):

βάλλ-ω ვისვრი	βαλ → βλη	βέβληκα
κάμν-ω ვიღლები	καμ → κμη	κέκμηκα
τέμν-ω ვჭრი	τεμ → τμη	τέτμηκα

4. ზოგიერთი ზმნის ფუძეს ემატება ε, რომელიც κα სუფიქსის წინ გრძელდება და გვაძლევს η-ს:

νέμ-ω ვყოფ	νεμ-ε	νενέμηκα
μέν-ω ვრჩები	μεν-ε	μεμένηκα

თანხმოვანფუძიან ზმნათა მოქმედებითი გვარის I ნამყო სრულის უღლება ყველა ფორმაში ისეთივეა, როგორიც ხმოვანფუძიანი ზმნებისა.

7. **ნამყო წინარეწარსული I მოქმედებითი გვარისა.** ნამყო წინარეწარსული იწარმოება ნამყო სრულის ფუძისგან (παιδεύ-ω ვზრდი, πεπαίδευ-κ-α აღვზარდე, ἐ-παιδεύ-κ-η//ἐ-πεπαιδεύ-κ-ει-ν აღმიზრდია; λύ-ω ვხსნი, λέλυ-κ-α გავხსენი, ἐ-λελύ-κ-η//ἐ-λελύ-κ-ει-ν გამიხსნია).

თანხმოვანფუძიან ზმნათა მოქმედებითი გვარის I ნამყო წინარეწარსული იწარმოება ზმნის რედუპლიცირებულ ან აუგმენტირებულ ფუძეზე ძველი ფორმისათვის κ-ε-, მერმინდელი ფორმისათვის კი κ-ει- ელემენტებისა და სათანადო დაბოლოებათა დართვით. ამასთან რედუპლიცირებულ ფუძეს, თუ იგი თანხმოვნით იწყება, წინ დაესმის ნამატი ε. უღლება ისეთივეა, როგორიც ხმოვანფუძიანი ზმნების I ნამყო წინარეწარსულისა.

იმ ზმნებს, რომლებიც არ აწარმოებენ I ნამყო სრულს, არც I ნამყო წინარეწარსული მოეპოვებათ.

მაგალითები:

Praesens	Plusquamperfectum I activi	
	ძველი ფორმა	მერმინდელი ფორმა
κομίζ-ω მომაქვს	ἐκεκομίκη	ἐκεκομίκειν
σπουδάζ-ω ვზეკითობ	ἐσπουδάκη	ἐσπουδάκειν
σκευάζ-ω ვამზადებ	ἐσκευάκη	ἐσκευάκειν
ὁρίζ-ω ვსაზღვრავ	ὡρίκη	ὡρίκειν
ἐρίζ-ω ვდავობ	ἠρίκη	ἠρίκειν
ἀνύτ-ω ვასრულებ	ἠνύκη	ἠνύκειν
πλάσσ-ω ვასახიერებ	ἐπεπλάκη	ἐπεπλάκειν
πείθ-ω ვარწმუნებ	ἐπεπείκη	ἐπεπείκειν
ἀγγέλ-ω ვაუწყებ	ἠγγέλκη	ἠγγέλκειν
σφάλλ-ω ვანარცხებ	ἐσφάλκη	ἐσφώλκειν
αἶρ-ω ზევით ვწევ	ἦρκη	ἦρκειν
ἀγείρ-ω ვკრებ	ἀγηγέρκη	ἀγηγέρκειν
ἐγείρ-ω აღვაგზნებ	ἐγηγέρκη	ἐγηγέρκειν
φαίν-ω ვაჩენ	ἐπεφάγκη	ἐπεφάγκειν
κρίν-ω ვსჯი	ἐκεκρίκη	ἐκεκρίκειν
κλίν-ω ვხრი	ἐκεκλίκη	ἐκεκλίκειν
τείν-ω ვჭიმავ	ἐτετάκη	ἐτετάκειν
στέλλ-ω ვგზავნი	ἐστάλκη	ἐστάλκειν
σπείρ-ω ვთეს	ἐσπάρκη	ἐσπάρκειν
φθείρ-ω ვსპობ	ἐφθάρκη	ἐφθάρκειν
βάλλ-ω ვისვრი	ἐβεβλήκη	ἐβεβλήκειν
κάμν-ω ვიღლები	ἐκεκμήκη	ἐκεκμήκειν
τέμν-ω ვჭრი	ἐτετμήκη	ἐτετμήκειν
νέμ-ω ვყოფ	ἐνενεμήκη	ἐνενεμήκειν
μέν-ω ვრჩები	ἐμεμενήκη	ἐμεμενήκειν

8. მყოფადი III მოქმედებითი გვარისა. თანხმოვანფუძიან ზმნათა მოქმედებითი გვარის III მყოფადი (futurum exactum) იწარმოება აღწერილობით, ე.ი. ანალოგიურად „წმინდა“ ზმნების მოქმ. გვარის III მყოფადისა; სახელდობრ: საუღლებელი ზმნის ნამყო სრულის მოქმედებითი გვარის მიმღეობას დაემატება εἰμί ზმნის მყოფადი; მაგალითად: κεκομικὼς ἔσομαι (= „მომტანი ვიქნები“, ე.ი. „მივიტან“; შდრ. ლათ. tulero).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მოქმედებითი გვარის III მყოფადს სინთეზური წესით მხოლოდ ორი ზმნა აწარმოებს. ეს ზმნებია: ἵστημι „ვდგამ“ და θνῄσκω

„ვკვდები“. ამათი მოქ. გვარის III მყოფადია: ἐστήξω „დავდგები“ და τεθνήξω „მოვკვდები“.

9. ნამყო სრული და ნამყო წინარეწარსული საშუალი და ვნებითი გვარისა. A. საშუალი და ვნებითი გვარის ნამყო სრულის საწარმოებლად ზმნის რედუპლიცირებულ ან აუგმენტირებულ ფუძეს დროის ნიშნისა და შემაერთებელ ხმოვანთა გარეშე დაერთვის მთავარ დროთა პირის დაბოლოებები (მხ. რიცხვში -μαι, -σαι, -ται; მრ. რიცხვში -μεθα, -σθε, [-νται]; ორ. რიცხვში -μεθα, -σθον, -σθον).

თანხმოვანფუძიან ზმნებში ფუძის ბოლოკიდური თანხმოვნისა და პირის დაბოლოების ან სუფიქსის თავკიდური თანხმოვნის შეხვედრის შედეგად ხდება კანონზომიერი ფონეტიკური პროცესები. ფონეტიკურ ცვლილებებს განიცდის ფუძის ბოლოკიდური თანხმოვანი. ეს ცვლილებებია: სრული ან ნაწილობრივი ასიმილაცია და ზოგიერთი ბგერის ამოვარდნა.

ხშული თანხმოვნები:

ა) გუტურალური (γ, κ, χ) + μ → γμ
„ „ + σ → ξ
„ „ + τ → κτ
„ „ + σθ → χθ (σ-ს ამოვარდნის შედეგად)

ბ) ლაბიალური (β, π, φ) + μ → μμ
„ „ + σ → ψ
„ „ + τ → πτ
„ „ + σθ → φθ (σ-ს ამოვარდნის შედეგად)

გ) დენტალური (δ, τ, θ) + μ → σμ
„ „ + σ იწვევს დენტალურის ამოვარდნას
„ „ + τ → στ
„ „ + σθ იწვევს დენტალურის ამოვარდნას

სონორი (ლიკვიდურ-ნაზალური) თანხმოვნები

λ, ρ + μ → λμ, ρμ	ν + μ → σμ (იშვიათად νμ)
„ + σ → λσ, ρς	ν + σ → [νσ]
„ + τ → λτ, ρτ	ν + τ → ντ
λ, ρ + σθ → λθ, ρθ (σ-ის ამოვარდნით)	ν + σθ → νθ (σ-ს ამოვარდნით)

B. საშუალი და ვნებითი გვარის ნამყო წინარეწარსულის საწარმოებლად ზმნის რედუპლიცირებულ ან აუგმენტირებულ ფუძეს დროის ნიშნისა და შემაერთებელ ხმოვანთა გარეშე დაერთვის

ისტორიულ დროთა პირის დაბოლოებები (მხ. რიცხვში -μην, -σο, -το; მრ. რიცხვში -μεθα, -σθε, [-ντο]; ორ. რიცხვში -μεθα, -σθον, -σθην). ამასთან რედუპლიცირებულ ფუძეს, თუ იგი თანხმოვნით იწყება, წინ დაესმის ნამატი ε. ფუძის ბოლოკიდური თანხმოვნები დაბოლოებათა და სუფიქსთა თავკიდურ თანხმოვნებთან ისეთივე ცვლილებებს განიცდიან, როგორსაც საშუალი და ვნებითი გვარის ნამყო სრულში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი: 1) მრავლობითი რიცხვის III პირის დაბოლოებები -νται და -ντο თანმხოვნით დამთავრებულ ფუძეს ვერ დაერთვის: ამის გამო მრავლობითი რიცხვის III პირები აღწერილობით იწარმოება: საუღლებელი ზმნის ნამყო სრულის საშუალი და ვნებითი გვარის მიმღეობას დაემატება εἰμί ზმნის აწმყოს მრ. რიცხვის III პირის ფორმა εἰσί(ν) – ნამყო სრულისათვის და იმავე ზმნის ნამყო უსრულისა III პირის ფორმა ἦσαν – ნამყო წინარეწარსულისათვის.

2) ატიკურ დიალექტში თანხმოვან ფუძეებთან -νται და -ντο დაბოლოებათა ნაცვლად გვხვდება -αται და -ατο დაბოლოებები, მაგალითად:

τάττ-ω	განვაწყობ	ταγ-	τετάχατα – ἐτετάχατο
τρέπ-ω	ვაბრუნებ	τρεπ-	τετράφατα – ἐτετράφατο
δια-φθείρ-ω	ვსპობ	φθερ-	διεφθάραται – διεφθάρατο

-αται და -ατο დაბოლოებები ხშირია ჰომეროსის პოემებსა და ჰეროდოტეს თხზულებაში. ამ ავტორებთან ეს დაბოლოებები დაერთვის არა მარტო თანხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებს, არამედ ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებსაც.

3) ზოგიერთ ერთმარცვლიან ფუძეში ε გვაძლევს α-ს.

4) თავისებური ვითარება იქმნება დაბოლოებათა μ თანხმოვნის წინ ზოგიერთი ზმნის ფუძეში:

κάμπτ-ω	ვღუნავ,	ფუძე καμπ-, κέκαμμαι (< κεκαμμμαι)
πέμπ-ω	ვგზავნი,	– πεμπ-, πέπεμμαι (< πεπεμμμαι)
ὀξύν-ω	ვაქეზებ,	– ὀξυν-, ὤξυμμαι (< ὠξυμμμαι)
ἐλέγχ-ω	უკუვაგდებ	– ἐλεγχ-, ἐλήλεγμαι (< ἐληλεγγμαι)

5) ν თანხმოვნით დაბოლოებული ფუძეები გაურბიან -ν-σαι და -ν-σο ფორმებს (ნამყო უსრულისა და ნამყო წინარეწარსულის მეორე პირის ფორმებს) აღწერილობითი წარმოებით. მაგალითად: πέφανσαι-სა და ἐπέφανσο-ს სანაცვლოდ ჩვეულებრივ იხმარება ანალიტიკური πεφασμένος εἶ და πεφασμένος ἦσθα.

მაგალითები:

Praesens	მარტივი ფუძე	Perfectum medii (passivi)	Plusquamperfectum medii (passivi)
ἄγω მომყავს	ἀγ	ἦγμαι	ἤγμην
λέγω ვამბობ	λεγ	λέλεγμαι	ἐλελέγμην
διώκω ედევნი	διωκ	δεδίωγμαι	ἐδεδιώγμην
ἄρχω ვიწყებ, ვმართავ	ἀρχ	ἦργμαι	ἤργμην
τρίβω ვსრეს	τριβ	τέτριμμαι	ἐτετρίμμην
βλάπτω ვავნებ	βλαβ	βέβλαμμαι	ἐβεβλάμμην
κρύπτω ვმალავ	κρυφ	κέκρυμμαι	ἐκεκρύμμην
θάπτω ვმარხავ	ταφ	τέθαμμαι	ἐτεθάμμην
λείπω ვტოვებ	λιπ	λέλειμμαι	ἐλελείμμην
τάσσω განვაწყობ	ταγ	τέταγμαι	ἐτετάγμην
φυλάσσω ვიცავ	φυλακ	πεφύλαγμαι	ἐπεφυλάγμην
ταράσσω ვაშფოთებ	ταραχ	τετάραγμαι	ἐτεταράγμην
κομίζω მომაქვს	κομιδ	κεκόμισμαι	ἐκεκομίσμην
ἀναγκάζω ვაიძულებ	ἀναγκαδ	ἠνάγκασμαι	ἠναγκάσμην
πλάσσω ვასახიერებ	πλατ	πέπλασμαι	ἐπεπλάσμην
πείθω ვარწმუნებ	πειθ-, πι0	πέπεισμαι	ἐπεπείσμην
τρέπω ვაბრუნებ	τρεπ	τέτραμμαι	ἐτετράμην
τρέφω ვასაზრდოებ	τρεφ	τέθραμμαι	ἐτεθράμην
στρέφω ვაბრუნებ	στρεφ	ἔστραμμαι	ἐστράμμην
ἀγγέλω ვაუწყებ	ἀγγελ	ἤγγελμαι	ἠγγέλμην
σφάλλω ვანარცხებ	σφαλ	ἔσφαλμαι	ἐσφάλμην
αἴρω ზევით ვწევ	ἀρ	ἦρμαι	ἤρμην
καθαίρω განვწმენდ	καθαρ	κεκάθαρμαι	ἐκεκαθάρμην
μιαίνω ვბილწავ	μιαν	μεμίασμαι	ἐμεμιάσμην
περαίνω ვასრულებ	περαν	πεπέρασμαι	ἐπεπεράσμην
φαίνω ვაჩენ	φαν	πέφασμαι	ἐπεφάσμην
στέλλω ვგზავნი	στελ	ἔσταλμαι	ἐστάλμην
σπείρω ვთეს	σπερ	ἔσπαρμαι	ἐσπάρμην
φθείρω ვსპობ	φθερ	ἔφθαρμαι	ἐφθάρμην
δέρω ვატყავებ	δερ	δέδαρμαι	ἐδεδάρμην
βάλλω ვისვრი	βαλ → βλη	βέβλημαι	ἐβεβλήμην
τέμνω ვჭრი	τεμ → τμη	τέτμημαι	ἐτετμήμην
κρίνω ვსჯი	κριν	κέκριμαι	ἐκεκρίμην
κλίνω ვბრი	κλιν	κέκλιμαι	ἐκεκλίμην
τείνω ვჭიმავ	τεν	τέταμαι	ἐτετάμην

თანხმოვანფუძიან ზმნათა უღლება საშუალი და ვნებითი გვარის ნამყო უსრულისა და ნამყო წინარეწარსულში ისეთივეა, როგორიც „წმინდა“ ზმნებისა. ქვემოთ წარმოდგენილია ამ უღლების ნიმუშები.

Perfectum medii (passivi)

	Indicativus	Coniunctivus	Optativus	Imperativus
S. 1	τέταγμαι	τεταγμένος ὦ	τεταγμένος εἴην	
2	τέταξαι	" ᾖς	" εἴης	τέταξο
3	τέτακται	" ᾖ	" εἴη	τετάχθω
P. 1	τετάγμεθα	τεταγνένοι ὦμεν	τεταγνένοι εἶμεν	
2	τέταχθε	" ἦτε	" εἶτε	τέταχθε
3	τεταγμένοι εἰσί(ν)	" ὦσι(ν)	" εἶεν	τετάχθων
D. 1	τετάγμεθα	τεταγνένω ὦμεν	τεταγνένω εἶμεν	
2	τέταχθον	" ἦτον	" εἶτον	τέταχθον
3	τέταχθον	" ἦτον	" εἴτην	τετάχθων

Infinitivus	Participium
τετάχθαι	τεταγμένος τεταγμένη τεταγμένον

Plusquamperfectum medii (passivi)	
S. 1	ἐτετάγμην
2	ἐτέταξο
3	ἐτέτακτο
P. 1	ἐτετάγμεθα
2	ἐτέταχθε
3	τεταγμένοι ἦσαν
D. 1	ἐτετάγμεθα
2	ἐτέταχθον
3	ἐτετάχθην

Adiectiva verbalia

1. τακτός, τακτή, τάκτον
2. τακτέος, τακτέα, τακτέον

γράφω ვწერ. ფუძეა γραφ.

Perfectum medii (passivi)

	Indicativus	Coniunctivus	Optativus	Imperativus
S. 1	γέγραμμαι	γεγραμμένος ὦ	γεγραμμένος εἴην	
2	γέγραψαι	" ᾖς	" εἴης	γέγραψο
3	γέγραπται	" ᾖ	" εἴη	γεγράφθω
P. 1	γεγράμμεθα	γεγραμμένοι ὦμεν	γεγραμμένοι εἶμεν	
2	γέγραφθε	" ἦτε	" εἶτε	γέγραφθε
3	γεγραμμένοι εἰσι(ν)	" ὦσι(ν)	" εἶεν	γεγράφθων
D. 1	γεγράμμεθα	γεγραμμένω ὦμεν	γεγραμμένω εἶμεν	
2	γέγραφθον	" ἦτον	" εἶτον	γέγραφθον
3	γέγραφθον	" ἦτον	" εἴτην	γεγράφθων

Infinitivus	Participium
γεγράφθαι	γεγραμμένος γεγραμμένη γεγραμμένον

Plusquamperfectum medii (passivi)	
S. 1	ἐγεγράμμην
2	ἐγέγραψο
3	ἐγέγραπτο
P. 1	ἐγεγράμμεθα
2	ἐγέγραφθε
3	γεγραμμένοι ἦσαν
D. 1	ἐγεγράμμεθα
2	ἐγέγραφθον
3	ἐγεγράφθην

Adiectiva verbalia

1. γραπτός, γραπτή, γραπτόν
2. γραπτέος, γραπτέα, γραπτέον

Perfectum medii (passivi)

	Indicativus	Coniunctivus	Optativus	Imperativus
S. 1	πέπλασμαι	πεπλασμένος ὦ	πεπλασμένος εἴην	
2	πέπλασαι	" ᾖς	" εἴης	πέπλασο
3	πέπλασται	" ᾖ	" εἴη	πεπλάσθω
P. 1	πεπλάσμεθα	πεπλασμένοι ὦμεν	πεπλασμένοι εἶμεν	
2	πέπλασθε	" ἦτε	" εἶτε	πέπλασθε
3	πεπλασμένοι εἰσι(ν)	" ὦσι(ν)	" εἶεν	πεπλάσθων
D. 1	πεπλάσμεθα	πεπλασμένω ὦμεν	πεπλασμένω εἶμεν	
2	πέπλασθον	" ἦτον	" εἶτον	πέπλασθον
3	πέπλασθον	" ἦτον	" εἴτην	πεπλάσθων

Infinitivus	Participium
πεπλάσθαι	πεπλασμένος πεπλασμένη πεπλασμένον

Adiectiva verbalia

1. πλαστός, πλαστή, πλαστόν
2. πλαστέος, πλαστέα, πλαστέον

	Plusquamperfectum medii (passivi)
S. 1	ἐπεπλάσμην
2	ἐπέπλασο
3	ἐπέπλαστο
P. 1	ἐπεπλάσμεθα
2	ἐπέπλασθε
3	ἐπεπλασμένοι ἦσαν
D. 1	ἐπεπλάσμεθα
2	ἐπέπλασθον
3	ἐπεπλάσθην

Perfectum medii (passivi)

	Indicativus	Coniunctivus	Optativus	Imperativus
S. 1	ἤγγελμαι	ἠγγελμένος ὦ	ἠγγελμένος εἴην	
2	ἤγγελσαι	” ᾖς	” εἴης	ἤγγελσο
3	ἤγγελται	” ᾖ	” εἴη	ἠγγέλθω
P. 1	ἠγγέλμεθα	ἠγγελμένοι ὦμεν	ἠγγελμένοι εἶμεν	
2	ἤγγελθε	” ἦτε	” εἶτε	ἤγγελθε
3	ἠγγελμένοι εἰσι(ν)	” ὦσι(ν)	” εἶεν	ἠγγέλθων
D. 1	ἠγγέλμεθα	ἠγγελμένω ὦμεν	ἠγγελμένω εἶμεν	
2	ἤγγελθον	” ἦτον	” εἶτον	ἤγγελθον
3	ἤγγελθον	” ἦτον	” εἴτην	ἠγγέλθων

Infinitivus	Participium
ἠγγέλθαι	ἠγγελμένος ἠγγελμένη ἠγγελμένον

Plusquamperfectum medii (passivi)	
S. 1	ἠγγέλμην
2	ἤγγελσο
3	ἤγγελτο
P. 1	ἠγγέλμεθα
2	ἤγγελθε
3	ἠγγελμένοι ἦσαν
D. 1	ἠγγέλμεθα
2	ἤγγελθον
3	ἠγγέλθην

Adiectiva verbalia

1. ἀγγελτός, ἀγγελτή, ἀγγελτόν
2. ἀγγελτέος, ἀγγελτέα, ἀγγελτέον

Perfectum medii (passivi)

	Indicativus	Coniunctivus	Optativus	Imperativus
S. 1	ἦρμαι	ἠρμένος ὦ	ἠρμένος εἴην	
2	ἦρσαι	" ᾖς	" εἴης	ἦρσο
3	ἦρται	" ᾖ	" εἴη	ἤρθω
P. 1	ἤρμεθα	ἠρμένοι ὦμεν	ἠρμένοι εἶμεν	
2	ἦρθε	" ἦτε	" εἶτε	ἦρθε
3	ἠρμένοι εἰσι(ν)	" ὦσι(ν)	" εἶεν	ἤρθων
D. 1	ἤρμεθα	ἠρμένω ὦμεν	ἠρμένω εἶμεν	
2	ἦρθον	" ἦτον	" εἶτον	ἦρθον
3	ἦρθον	" ἦτον	" εἴτην	ἤρθων

Infinitivus	Participium
ἦρθαι	ἠρμένος ἠρμένη ἠρμένον

Adiectiva verbalia
1. ἀρτός, ἀρτή, ἀρτόν 2. ἀρτέος, ἀρτέα, ἀρτέον

	Plusquamperfectum medii (passivi)
S. 1	ἤρμην
2	ἦρσο
3	ἦρτο
P. 1	ἤρμεθα
2	ἦρθε
3	ἠρμένοι ἦσαν
D. 1	ἤρμεθα
2	ἦρθον
3	ἤρθην

Perfectum medii (passivi)

	Indicativus	Coniunctivus	Optativus	Imperativus
S. 1	πέφασμαι	πεφασμένος ὦ	πεφασμένος εἴην	
2	[πέφανσαι]	” ᾖς	” εἴης	[πέφανσο]
3	πέφανται	” ᾖ	” εἴη	πεφάνθω
P. 1	πεφάσμεθα	πεφασμένοι ὦμεν	πεφασμένοι εἶμεν	
2	πέφανθε	” ἦτε	” εἶτε	πέφανθε
3	πεφασμένοι εἰσι(ν)	” ὦσι(ν)	” εἶεν	πεφάνθων
D. 1	πεφάσμεθα	πεφασμένω ὦμεν	πεφασμένω εἶμεν	
2	πέφανθον	” ἦτον	” εἶτον	πέφανθον
3	πέφανθον	” ἦτον	” εἴτην	πεφάνθων

Infinitivus	Participium
πεφάναι	πεφασμένος πεφασμένη πεφασμένον

	Plusquamperfectum medii (passivi)
S. 1	ἐπεφάσμην
2	[ἐπέφανσο]
3	ἐπέφαντο
P. 1	ἐπεφάσμεθα
2	ἐπέφανθε
3	ἐπεφασμένοι ἦσαν
D. 1	ἐπεφάσμεθα
2	ἐπέφανθον
3	ἐπεφάνθην

10. **მყოფადი III ვნებითი გვარისა.** თანხმოვანფუძიანი ზმნების ვნებითი გვარის III მყოფადი ისევე იწარმოება, როგორც „წმინდა“ ზმნებისა: ნამყო სრულის ფუძეს დაერთვის მყოფადის ნიშანი σ და ο და ε შემაერთებელ ხმოვანთა მეშვეობით თხრობით კილოში მთავარ დროთა პირის დაბოლოებები, ნატვრით კილოში კი – ისტორიულ მთავარ დროთა პირის დაბოლოებები. ზმნის ფუძის ბოლოკიდური თანხმოვანი σ-ის წინ შემდეგ ცვლილებებს განიცდის: გუტურალური γ, κ, χ + σ → ξ, ლაბიალური β, π, φ + σ → φ, დენტალური δ, τ, θ ამოვადება.

თანხმოვანფუძიან ზმნათა უღლება ვნებითი გვარის III მყოფადში „წმინდა“ ზმნების უღლების ანალოგიურია.

მაგალითები:

Praesens	მარტივი ფუძე	Futurum (exactum) passivi
διώκω ვდევნი	διωκ	δεδιώξομαι
λέγω ვამბობ	λεγ	λελέξομαι
λείπω ვტოვებ	λιπ	λελείψομαι
βλάπτω ვავნებ	βλαβ	βεβλάψομαι
θάπτω ვმარხავ	ταφ	τεθάψομαι
τρέπω ვაბრუნებ	τρεπ	τετράψομαι
τάσσω განვაწყობ	ταγ	τετάξομαι
ταράσσω ვაშფოთებ	ταραχ	τεταράξομαι
κομίζω მომაქვს	κομιδ	κεκομίσομαι

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ვნებითი გვარის III მყოფადი შეიძლება იწარმოოს აღწერილობით – საუღლებელი ზმნის ნამყო სრულის საშუალი და ვნებითი გვარის მიმღეობისა და εἰμί ზმნის მყოფადის მეშვეობით; მაგალითად:

βλάπτω – βλαβ – βεβλαμμένος ἔσομαι (= βεβλάψομαι)

მეორე ანუ ძლიერი დროები
(Tempora secunda)

როგორც ზემოთაც ითქვა, პირველი ანუ სუსტი დროების (tempora prima) გარდა, ზოგიერთ ზმნას აქვს მეორე ანუ ძლიერი დროები (tempora secunda). ეს დროები, როგორც წესი, არ მოეპოვება ხმოვანფუძიან – ე.წ. „წმინდა“ ზმნებს. მეორე დროების წარმოება დამახასიათებელია თანხმოვანფუძიან ზმნათათვის, რომელთაც ორი და მეტი ფუძე აქვთ. მეორე დროთა ზმნური ფორმები იწარმოება მარტივი ფუძისგან უსუფიქსოდ. სახელწოდება „მეორე დროები“ პირობითია, ფიქრობენ, რომ ამ დრო-

ებისათვის დამახასიათებელი უსუფიქსო წარმოება უძველეს ვითარებას ასახავს: იგი ზმნურ ფორმათა სუფიქსიან წარმოებაზე ადრინდელი ჩანს.

მეორე ანუ ძლიერი დროები მხოლოდ ზოგიერთ ფორმას მოეპოვება. ეს ფორმებია: აორისტი II (მოქმედებითი გვარი, საშუალი გვარი, ვნებითი გვარი), მყოფადი II (ვნებითი გვარი), ნამყო სრული II (მოქმედებითი გვარი), ნამყო წინარეწარსული II (მოქმედებითი გვარი).

ზმნებს, რომელთაც პირველი დროები აქვთ, მეორე დროები ჩვეულებრივ არ მოეპოვებათ და პირიქით – მეორე დროების მქონე ზმნებს საპირისპირო პირველ დროთა ფორმები არა აქვთ. ზმნას დროთა ორივე ფორმა იშვიათად ახასიათებს; ასეთი პარალელური ფორმები, როგორც წესი, ერთმანეთისგან მნიშვნელობითაც განსხვავდებიან.

მეორე დროები ჩვეულებრივ გვხვდება ყველა კლასის ხშულთანხმოვანფუძიან ზმნებში და რამდენიმე ზმნაში, რომელთა ფუძე სონორ თანხმოვანზე ბოლოვდება.

1. აორისტი II მოქმედებითი და საშუალი გვარისა. მეორე აორისტი მოქმედებითი და საშუალი გვარისა – თხრობითი კილოსი – იწარმოება აუგმენტიზაციით და მარტივ ფუძეზე ο და ε შემაერთებელი ხმოვნების მეშვეობით ნამყო უსრულის დაბოლოებათა დართვით. დანარჩენ ფორმათა (კავშირებითი, ნატვრითი და ბრძანებითი კილოების, განუსაზღვრელი ფორმისა და მიმღეობის) საწარმოებლად მარტივ ფუძეს შემაერთებელ ხმოვანთა მეშვეობით დაემატება აწმყოს შესაბამის ფორმათა დაბოლოებები. მაგალითად, βάλλ-ω (ვისვრი) ზმნის მარტივი ფუძეა βαλ-; ამის II აორისტი მოქმ. გვარისა არის ἔ-βαλ-ο-ν, საშუალი გვარისა – ἐ-βαλ-ό-μην. უღლების სრული სქემა ასეთია:

Aoristus II					
Activum					
	Indicativus	Coniunctivus	Optativus	Imperativus	Infinitivus
S. 1	ἔβαλον	βάλω	βάλοιμι		
2	ἔβαλες	βάλῃς	βάλοις	βάλε	βαλεῖν
3	ἔβαλε(ν)	βάλῃ	βάλοι	βαλέτω	
P. 1	ἐβάλομεν	βάλωμεν	βάλοιμεν		Participium
2	ἐβάλετε	βάλητε	βάλοιτε	βάλετε	
3	ἔβαλον	βάλωσι(ν)	βάλοιεν	βαλόντων	βαλών βαλοῦσα βαλόν
D. 1	ἐβάλομεν	βάλωμεν	βάλοιμεν		
2	ἐβάλετον	βάλητον	βάλοιτον	βάλετον	
3	ἐβαλέτην	βάλετον	βαλοίτην	βαλέτων	

Medium

	Indicativus	Coniunctivus	Optativus	Imperativus	Infinitivus
S. 1	ἐβαλόμην	βάλωμαι	βαλοίμην		
2	ἐβάλου	βάλῃ	βάλοιο	βαλοῦ	
3	ἐβάλετο	βάληται	βάλοιτο	βαλέσθω	βαλέσθαι
P. 1	ἐβαλόμεθα	βαλώμεθα	βαλοίμεθα		Participium
2	ἐβάλεσθε	βάλησθε	βάλοισθε	βάλεσθε	
3	ἐβάλοντο	βάλωνται	βάλοιντο	βαλέσθων	βαλόμενος βαλομένη βαλόμενον
D. 1	ἐβάλομεθα	βαλώμεθα	βαλοίμεθα		
2	ἐβάλεσθον	βάλησθον	βάλοισθον	βάλεσθον	
3	ἐβαλέσθην	βάλησθον	βαλοίσθην	βαλέσθων	

ἄγ-ω „მიმყავს“, მარტივი ფუძე – ἀγ; II აორისტში რედუპლიცირებული ფუძეა ἀγ-αγ.

Activum

	Indicativus	Coniunctivus	Optativus	Imperativus	Infinitivus
S. 1	ἦγαγον	ἀγάγω	ἀγάγοιμι		
2	ἤγαγες	ἀγάγῃς	ἀγάγοις	ἄγαγε	
3	ἤγαγε(ν)	ἀγάγῃ	ἀγάγοι	ἀγαγέτω	ἀγαγεῖν
P. 1	ἠγάγομεν	ἀγάγωμεν	ἀγάγοιμεν		Participium
2	ἠγάγετε	ἀγάγητε	ἀγάγοιτε	ἀγάγετε	
3	ἦγαγον	ἀγάγωσι(ν)	ἀγάγοιεν	ἀγαγόντων	ἀγαγών ἀγαγοῦσα ἀγαγόν
D. 1	ἠγάγομεν	ἀγάγωμεν	ἀγάγοιμεν		
2	ἠγάγετον	ἀγάγητον	ἀγάγοιτον	ἀγάγετον	
3	ἠγαγέτην	ἀγάγητον	ἀγαγοίτην	ἀγαγέτων	

Medium

	Indicativus	Coniunctivus	Optativus	Imperativus	Infinitivus
S. 1	ἠγαγόμην	ἀγάγωμαι	ἀγαγοίμην		
2	ἠγάγου	ἀγάγῃ	ἀγάγοιο	ἀγαγοῦ	ἀγαγέσθαι
3	ἠγάγετο	ἀγάγηται	ἀγάγοιτο	ἀγαγέσθω	
P. 1	ἠγαγόμεθα	ἀγαγώμεθα	ἀγαγοίμεθα		Participium
2	ἠγάγεσθε	ἀγάγησθε	ἀγάγοισθε	ἀγάγεσθε	
3	ἠγάγοντο	ἀγάγωνται	ἀγάγοιντο	ἀγαγέσθων	ἀγαγόμενος ἀγαγομένη ἀγαγόμενον
D. 1	ἠγαγόμεθα	ἀγαγώμεθα	ἀγαγοίμεθα		
2	ἠγάγεσθον	ἀγάγησθον	ἀγάγοισθον	ἀγάγεσθον	
3	ἠγαγέσθην	ἀγάγησθον	ἀγαγοίσθην	ἀγαγέσθων	

როგორც ამ სქემიდან ჩანს, II აორისტის უღლება ემთხვევა -ω ზმნების უღლებას ნამყო უსრულსა და აწმყოში; განსხვავება მხოლოდ ფუძეშია (ნამყო უსრ. ἔ-βαλλ-ο-ν – აორ. II ἔ-βαλ-ο-ν აწმყოს კავშ. βάλλ-ω – აორ. II კავშ.

βάλ-ω და ა.შ.), ოღონდ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ II აორისტის ოთხი ფორმა მახვილით განსხვავდება აწმყოს შესაბამისი ფორმებისაგან: 1) მოქმედებითი გვარის განუსაზღვრელ ფორმას შემოსილი მახვილი აქვს ბოლოდან პირველ მარცვალზე, 2) მოქმედებითი გვარის მამრ. და საშ. სქესის მიმღეობას მკვეთი მახვილი აქვს ბოლოდან პირველ მარცვალზე, 3) საშუალ გვარში ბრძანებითი კილოს მეორე პირს შემოსილი მახვილი აქვს ბოლოდან პირველ მარცვალზე და 4) საშუალი გვარის განუსაზღვრელ ფორმას მკვეთრი მახვილი აქვს ბოლოდან მეორე მარცვალზე.

ქვემოთ მოტანილ სქემაში შესადარებლად წარმოდგენილია აწმყოსა და II აორისტის მახვილით განსხვავებული ფორმები:

	Infinitivus	Participium
Praes. act.	βάλλειν	βάλλων, βαλοῦσα, βάλλον
Aor. II act.	βαλεῖν	βαλών, βαλοῦσα, βαλόν
	Imperativus	**Infinitivus**
Praes. med.	βάλλου	βάλλεσθαι
Aor. II med.	βαλοῦ	βαλέσθαι

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი: 1) პირველი კლასის ზმნათაგან, ე.ი. იმ ზმნათაგან, რომელთა აწმყოს ფუძე და მარტივი ფუძე იდენტურია, II აორისტს აწარმოებენ ზმნები τρέπ-ω „ვაბრუნებ“ და ἄγ-ω „მიმყავს“. τρέπ-ω ზმნის II აორისტი იწარმოება ძირისეული ხმოვნის ცვლით – ε → α: ἔ-τραπ-ο-ν, ἐ-τραπ-ό-μην, ἄγ-ω ზმნისა კი – ფუძის რედუპლიკაციით – ἀγ → ἀγ-αγ: ἤγ-αγ-ο-ν, ἠγ-αγ-ό-μην.

2) ზმნა τρέπ-ω „ვაბრუნებ“ ერთადერთი ზმნაა, რომელსაც აქვს აორისტის ექვსი ფორმა, სამი – პირველი აორისტისა და სამიც – მეორესი:

აორისტი	I მოქმ. გვარისა	ἔτρεψα
„—“	საშ. გვარისა	ἐτρεψάμην
„—“	ვნ. გვარისა	ἐτρέφθην
აორისტი	II მოქმ. გვარისა	ἔτραπον
„—“	საშ. გვარისა	ἐτραπόμην
„—“	ვნ. გვარისა	ἐτράπην

3) პირველი ანუ ω უღლების წესიერ ანუ ტიპურ ზმნათაგან ატიკურ დიალექტში (ატიკურ პროზაში) მოქმედებითი და საშუალი გვარის II აორისტს აწარმოებენ შემდეგი ზმნები:

Praesens	მარტივი ფუძე	Aoristus II	
		activi	medii
ἄγω მიმყავს	ἀγ	ἤγαγον	ἠγάγόμην
(ἀνα)κράζω ვყვირი	κραγ	(ἀν)ἔκραγον	
λείπω ვტოვებ	λιπ	ἔλιπον	ἐλιπόμην
βάλλω ვისვრი	βαλ	ἔβαλον	ἐβαλόμην
τρέπω ვაბრუნებ	τρεπ	ἔτραπον	ἐτραπόμην
φεύγω გავრბივარ	φυγ	ἔφυγον	
πείθω ვარწმუნებ	πιθ	ἔπιθον (ἔπεισα)	ἐπιθόμην
πέρθω ვანადგურებ	περθ	ἔπραθον	ἐπραθόμην
ἅλλομαι ვხტი	ἁλ		ἡλόμην (ἡλάμην)
ἐγείρω აღვაგზნებ	ἐγερ		ἠγρόμην (სინკოპირებულია)
τίκτω (←π-τεκ-ω) ვშობ	τεκ	ἔτεκον	

2. აორისტი II ვნებითი გვარისა. ვნებითი გვარის მეორე აორისტი აქვს ზოგიერთ ზმნას, რომელთა ფუძე გუტურალურ, ლაბიალურ და სონორ თანხმოვანზე ბოლოვდება. აორისტის ამ ფორმის თხრობითი, კავშირებითი. ნატვრითი და ბრძანებითი კილოები, ინფინიტივუსი და მიმღეობა იწარმოება ისევე, როგორც I აორისტის ვნებითი გვარისა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მარტივ ფუძეს დაერთვის θη (θε) სუფიქსის მხოლოდ ხმოვანი ელემენტი η (ε). η (ε) ელემენტი და სათანადო დაბოლოებები მარტივ ფუძეს დაერთვის უშუალოდ; ამასთან ერთმარცვლიან ფუძეებში ძირისეული ხმოვანი ε აბლაუტის წესით გვაძლევს α-ს (გამონაკლისია ზმნა λέγ-ω „ვამბობ“).

ბრძანებითი კილოს მხოლ. რიცხვის მეორე პირის დაბოლოება არის θι, რომელიც არ გადადის π-ში, ვინაიდან წინ არ უძღვის სუფიქსეული θ.

ვნებითი გვარის II აორისტის ფუძისეული ხმოვანი წესისამებრ მოკლეა (გამონაკლისია ზმნა πλήττ-ω „ვარტყამ“ – „ვცემ“, რომელიც ინარჩუნებს აწმყოს ფუძის გრძელ ხმოვანს, მაგრამ პრევერბიან ფორმებში – ἐκ-πλήττομαι, κατα-πλήττομαι ხმოვანი მოკლდება).

ვნებითი გვარის II აორისტის უღლება ანალოგიურია ვნებითი გვარის I აორისტის უღლებისა „წმინდა“ ზმნებში. მოგვაქვს უღლების ნიმუში: φαίν-ω „ვაჩენ“, მარტივი ფუძე φαν:

Aoristus II passivi				
	Indicativus	Coniunctivus	Optativus	Imperativus
S. 1	ἐφάνην	φανῶ	φανείην	
2	ἐφάνης	φαῇς	φανείης	φάνηθι
3	ἐφάνη	φανῇ	φανείη	φανήτω
P. 1	ἐφάνημεν	φανῶμεν	φανεῖμεν φανείημην	φάνητε
2	ἐφάνητε	φανῆτε	φανεῖτε φανείητε	φανέντων
3	ἐφάνησαν	φανῶσι(ν)	φανεῖεν φανειησαν	φανήτωσαν
D. 1	ἐφάνημεν	φανῶμεν	φανεῖμεν φανείημεν	
2	ἐφάνητον	φανῆτον	φανεῖτον φανείητον	φάνητον
3	ἐφανήτην	φανῆτον	φανείτην φανειήτην	φανήτων

Infinitivus
φανῆναι

Participium		
φανείς φανέντος	φανεῖσα φανείσης	φανέν φανέντος

3. მყოფადი II ვნებითი გვარისა. ვნებითი გვარის II მყოფადი იწარმოება ვნებითი გვარის I მყოფადის ანალოგიურად: ვნებითი გვარის II აორისტის ფუძეს, რომელიც ნაწარმოებია სუფიქსით η, დაერთვის მყოფადის ნიშანი σ და შემაერთებელ ხმოვანთა მეშვეობით საშუალი გვარის პირის დაბოლოებები. უღლება ისეთივეა, როგორიც „წმინდა“ ზმნებისა. მოგვაქვს უღლების ნიმუში:

φαίν-ω „ვაჩენ“, მარტივი ფუძე φαν-, ვნებითი გვარის II აორისტის ფუძე φανη-

Futurum II passivi			
	Indicativus	Optativus	Infinitivus
S. 1	ἀφανήσομαι	φανησοίμην	
2	φανήσει ან φανήσῃ	φανήσοιο	φανήσεσθαι
3	φανήσεται	φανήσοιτο	
P. 1	φανησόμεθα	φανησοίμεθα	Participium
2	φανήσεσθε	φανήσοισθε	
3	φανήσονται	φανήσοιντο	φανησόμενος

D. 1	φανησόμεθα	φανησοίμεθα	φανεσομένη
2	φανήσεσθον	φανήσοισθον	φανεσόμενον
3	φανήσεσθον	φανησοίσθην	

შენიშვნები: 1) ატიკურ დიალექტში (ატიკურ პროზაში) ვნებითი გვარის II აორისტისა და ვნებითი გვარის II მყოფადს პირველი ოთხი კლასის შემდეგი ზმნები აწარმოებენ:

Praesens	მარტივი ფუძე	Aoristus II passivi	Futurum II passivi
λέγω ვამბობ	λεγ	– ἐλέγην	– λεγήσομαι
πλέκω ვწნავ	πλεκ	ἐπλάκην (ἐπλέκην)	πλακήσομαι
ἀλλάττω ვცვლი	ἀλλαγ	ἠλλάγην	ἀλλαγήσομαι
σφάττω (σφάζω) ვკლავ	σφαγ	ἐσφάγην	σφαγήσομαι
πλήττω ვცემ	πλαγ	ἐπλήγην	πληγήσομαι
ἐκπλήττω ვძრწი	πλαγ	ἐξεπλάγην	ἐκπλαγήσομαι
μάσσω ვზელ	μαγ	ἐμάγην	μαγήσομαι
πνίγω ვახრჩობ	πνικ	ἐπνίγην	πνιγήσομαι
τήκω ვადნობ	τακ	ἐτάκην	τακήσομαι
βλάπτω ვავნებ	βλαβ	ἐβλάβην	βλαβήσομαι
τρίβω ვსრეს	τριβ	ἐτρίβην	τριβήσομαι
σήπω ვალპობ	σαπ	ἐσάπην	σαπήσομαι
κόπτω ვკვეთ	κοπ	ἐκόπην	κοπήσομαι
τρέπω ვაბრუნებ	τρεπ	ἐτράπην	τραπήσομαι
τύπτω ვცემ	τυπ	ἐτύπην	τυπήσομαι
κλέπτω ვიპარავ	κλεπ	ἐκλάπην	κλαπήσομαι
βάπτω ვღებავ, ამოვავლებ	βαφ	ἐβάφην	βαφήσομαι
θάπτω ვმარხავ	ταφ	ἐτάφην	ταφήσομαι
ῥάπτω ვკერავ	ῥαφ	ἐρράφην	ῥαφήσομαι
σκάπτω ვთხრი	σκαφ	ἐσκάφην	σκαφήσομαι
κρύπτω ვმალავ	κρυφ	ἐκρύφην	κρυφήσομαι
ῥίπτω ვაგდებ	ῥιφ	ἐρρίφην	ῥιφήσομαι
στρέφω ვატრიალებ	στρεφ	ἐτράφην	στραφήσομαι
τρέφω ვასაზრდოებ	τρεφ	ἐτράφην	τραφήσομαι
γράφω ვწერ	γραφ	ἐγράφην	γραφήσομαι
σφάλλω ვანარცხებ	σφαλ	ἐσφάλην	σφαλήσομαι
στέλλω ვგზავნი	στελ	ἐστάλην	σταλήσομαι
μαίνομαι ვგიჟდები	μαν	ἐμάνην	μανήσομαι
φαίνω ვაჩენ	φαν	ἐφάνην	φανήσομαι
κλίνω ვხრი	κλιν	ἐκλίνην	κλινήσομαι
δέρω ვატყავებ	δερ	ἐδάρην	δαρήσομαι
κείρω ვკრეჭ	κερ	ἐκάρην	καρήσομαι
σπείρω ვთესავ	σπερ	ἐσπάρην	σπαρήσομαι
φθείρω ვსპობ	φθερ	ἐφθάρην	φθαρήσομαι

2) ზოგიერთ ზმნას ვნებითი გვარის ორივე აორისტი აქვს. ეს ზმნებია:

Praesens	მარტივი ფუძე	Aoristus I passivi	Aoristus II passivi
λέγω ვამბობ	λεγ	ἐλέχθην	ἐλέγην
ἁλλάττω ვცვლი	ἁλλαγ	ἠλλάχθην	ἠλλάγην
πλήττω ვცემ	πλαγ	ἐπλήχθην	ἐπλήγην
τήκω ვადნობ	τακ	ἐτάχθην	ἐτάκην
πλέκω ვწნავ	πλεκ	ἐπλέχθην	ἐπλάκην
τρίβω ვსრეს	τριβ	ἐτρίφθην	ἐτρίβην
βλάπτω ვავნებ	βλαβ	ἐβλάφθην	ἐβλάβην
τρέπω ვაბრუნებ	τρεπ	ἐτρέφθην	ἐτράπην
ῥίπτω ვაგდებ	ῥιφ	ἐῤῥίφθεν	ἐῤῥίφην
τρέφω ვასაზრდოებ	τρεφ	ἐθρέφθην	ἐτράφην
στρέφω ვატრიალებ	στρεφ	ἐστρέφθην	ἐστράφην
γράφω ვწერ	γραφ	ἐγράφθην	ἐγράφην
κόπτω ვკვეთ	κοπ	ἐκόφθην	ἐκόπην
τύπτω ვცემ	τυπ	[ἐπλήγην]	ἐτύπην
κρύπτω ვმალავ	κρυφ	ἐκρύφθην	ἐκρύφην
θάπτω ვმარხავ	ταφ	ἐθάφθην	ἐτάφην
κλίνω ვბრი	κλιν	ἐκλίθην	ἐκλίνην
φαίνω ვაჩენ	φαν	ἐφάνθην	ἐφάνην

ამ ზმნებს პარალელურად ვნებითი გვარის ორივე მყოფადის – პირველისა და მეორის – წარმოებაც შეუძლიათ.

4. **ნამყო სრული II მოქმედებითი გვარისა.** მოქმედებითი გვარის II ნამყო სრული აქვს იმ ზმნათა ნაწილს, რომელთა ფუძე გუტურალურ (γ, κ, χ) და ლაბიალურ (β, π, φ) თანხმოვნებზე ბოლოვდება. დროის ეს ფორმა რამდენიმე სონორფუძიან ზმნასაც მოეპოვება.

მოქმ. გვარის II ნამყო სრულის საწარმოებლად ზმნის რედუპლიცირებულ ან აუგმენტირებულ ფუძეს მოქმ. გვარის ნამყო სრულის დამახასიათებელი ნიშნისაგან κ-α მხოლოდ ხმოვანი ელემენტი α დაერთვის. მაგალითად, γράφω (ვწერ) ზმნის (ფუძე γραφ-) მოქმ. გვარის II ნამყო სრულია γέ-γραφ-α.

ზმნის ფუძის ხმოვანი II ნამყო სრულში ჩვეულებრივ უცვლელი რჩება; ოღონდ ესაა, რომ მარტივი ფუძის ε გვაძლევს ο-ს, აწმყოს ფუძისეული ει კი – οι-ს; მარტივი ფუძის α, რომელიც ზოგჯერ η-ს გვაძლევს, II ნამყო სრულშიც η-თია წარმოდგენილი. IV კლასის ზმნებს მეორე ნამყო სრულში აწმყოში შეცვლილი ხმოვანი გადაჰყვება და არა მარტივი ფუძისა.

ფუძის ბოლოკიდური გუტურალური γ, κ და ლაბიალური β, π თანხმოვნები მეორე ნამყო სრულში შესაბამის ფშვინვიერებად იქცევიან

და ქმნიან ე.წ. perfectum aspiratum-ს. გამონაკლისს წარმოადგენენ ერთმარცვლიანი ზმნური ფუძეები, რომელთაც ნამყო სრულში აქვთ მარტივი გრძელი ხმოვანი ან დიფთონგი. ასეთ შემთხვევებში ფუძის ბოლოკიდური გუტურალური და ლაბიალური თანხმოვნები უცვლელი რჩება.

მოქმედებითი გვარის II ნამყო სრულის უღლება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ κ-ს უქონლობას, ყველა ფორმაში ემთხვევა „წმინდა“ ზმნების მოქმედებითი გვარის I ნამყო სრულის უღლებას.

ატიკურ დიალექტში მოქმედებითი გვარის II ნამყო სრული აქვთ პირველი ოთხი კლასის შემდეგ ზმნებს:

10. στόρνυμι ვფენ	στορ	στορῶ	ἐστόρεσα	ἐστορέσθην	–

-μι უღლების მეორე ჯგუფის ხმოვანფუძიანი ზმნები

Praesens	ფუძე	Fut. act. med.	Aor. act.	Aor. pass.	Perf. act. med. (pass.)
1. κρεμάννυμι ვკიდებ	κρεμα	κρεμῶ	ἐκρέμασα	ἐκρεμάσθην	
2. κεράννυμι ვურევ	κερα-, κρα	κερῶ (κεράσω)	ἐκέρασα	ἐκεράσθην ἐκράθην	κέκραμαι
3. πετάννυμι ვავრცელებ	π(ε)τα	πετῶ (πετάσω)	ἐπέτασα	ἐπετάσθην	πέπταμαι
4. σκεδάννυμι ვაბნევ	σκεδα	σκεδῶ	ἐσκέδασα	ἐσκεδάσθην	ἐσκέδασμαι
5. ἕννυμι ვიცვამ (ἀμφι-ἕννυμι)	ἑ	ἕσω ἀμφιῶ	ἔσσα ἠμφίεσα	– –	εἷμαι ἠμφιέσμαι
6. σβέννυμι ვაქრობ	σβε	σβέσω σβήσομαι	ἔσβεσα ἔσβην (II)	ἐσβέσθην	ἔσβηκα ἔσβεσμαι
7. κορέννυμι ვაძღობ	κορε	κορέσω	ἐκόρεσα	ἐκορέσθην	κεκόρεσμαι
8. ζώννυμι ქამარს ვარტყამ	ζω	(ζώσω)	ἔζωσα	–	ἔζω(σ)μαι
9. στρώννυμι დავფენ	στρω	στρώσω	ἔστρωσα	ἐστρώθην	ἔστρωμαι

10. ῥώννυμι ვაძლიერებ	ῥω	(ῥώσω)	ἔρρωσα	ἐρρώσθην	ἔρρωμαι
11. χρώννυμι ვღებავ	χρω	–	ἔχρωσα	ἐχρώσθην	κέχρωσμαι

ბერძნულ ზმნათა კლასიფიკაცია

(V-VIII კლასი)

ზემოთ მიმოხილულია პირველი ოთხი კლასის ზმნები. ამ კლასებში გაერთიანებულია პირველი ანუ ω უღლების წესიერი (ტიპური) ზმნები.

V-VIII კლასებში თავმოყრილია თავისებური ზმნები, ამ ზმნათა თავისებურება, წესიერ ზმნებთან შედარებით, მარტივი ფუძისაგან აწმყოს ფუძის წარმოებაში გამოიხატება. გარდა ამისა, მრავალ ზმნას ერთმა. ნეთისაგან განსხვავებული ორი და მეტი მარტივი ფუძე მოეპოვება. ეს ფუძეები ხშირად სულ სხვადასხვა ძირისაგან მომდინარეობს. მრავალფუძიან ზმნებში დროთა წარმოება გარკვეულ წესს არ ექვემდებარება: დროები აქ სხვადასხვა ფუძისაგან იწარმოება.

V კლასი

ამ კლასის ზმნები აწმყოს ფუძეს აწარმოებენ მარტივ ფუძეზე ნაზალური სუფიქსის დართვით. ეს სუფიქსია ν, რომელსაც შეიძლება ხმოვანიც ახლდეს და მაშინ მარტივ ფუძეს დაემატება მთელი მარცვალი. ეს მარცვლებია: αν, νε, νι და νυ (ννυ) (ნაზალური ელემენტი აწმყოს ფუძეში ახასიათებს ლათინური ენის ზოგიერთ ზმნასაც. მაგალითად: fra-n-g-o, fi-n-g-o, con-tem-n-o და სხვ.).

1) -ν-

Praesens	ფუძე	Futurum act. med.	Aoristus act. med. pass.	Perfectum act. med. (pass.)
1. δάκνω ვკბენ	δακ, δηκ	δήξομαι	ἔδακον ἐδήχθην	δέδηγμαι
2. τέμνω ვჭრი	τεμ, τμη	τεμῶ	ἔτεμον (ἔταμον) ἐτμήθην	τέτμηκα τέτμημαι
3. φθάνω ვასწრებ	φθα, φθη	φθήσομαι	ἔφθασα (I) ἔφθην (II)	ἔφθακα
4. πίνω ვზღავ	τι (τει)	τίσω (τείσω) τίσομαι (τείσομαι)	ἔτισα (ἔτεισα) ἐτισάμην (ἐτεισάμην) ἐτίσθην (ἐτείσθην)	τέτικα (τέτεικα) τέτισμαι (τέτεισμαι)
5. πίνω ვსვამ	πι, πο, πω	πίομαι	ἔπιον ἐπόθην	πέπωκα πέπομαι

6. φθίνω ვიღუპები	φθι	φθίσω (დავღუპავ)	ἔφθισα (დავღუპე) ἔφθίμην ἐφθίθην	ἔφθιμαι (დავიღუპე)
7. κάμνω ვიღლები	καμ, κμη	καμοῦμαι	ἔκαμον ἐκαμόμην	κέκμηκα
8. δύνω (δύω) ვიძირები	δυ	δύσω δύσομαι	ἔδυσα (I) ἔδυν (II) ἐδυσάμην ἐδύθην	δέδυκα δέδυμαι

2) -αν-

9. αἰσθάνομαι ვგრძნობ	αἰσθ, αἰσθη	αἰσθήσομαι	ᾐσθόμην	ᾔσθημαι
10. ἁμαρτάνω ვცდები	ἁμαρτ, ἁμαρτη	ἁμαρτήσομαι	ἥμαρτον ἡμαρτήθην	ἡμάρτηκα ἡμάρτημαι
11. αὐξάνω (= αὔξω) ვზრდი	αὐξ, αὐξη	αὐξήσω αὐξήσομαι (= αὐξηθήσομαι)	ηὔξησα ηὐξήθην	ηὔξηκα ηὔξημαι
12. βλαστάνω ვიზრდები	βλαστ, βλαστη	βλαστήσω	ἐβλάστησα (I) ἔβλαστον (II)	βεβλάστηκα (=ἐβλάστηκα)
13. δαρθάνω ვიძინებ	δαρθ, δαρθη	(καθευδήσω ← καθεύδω)	ἔδαρθον	δεδάρθηκα
14. ὀφλισκάνω მეკისრება	ὀφλισκ, ὀφλη, ὀφλ	ὀφλήσω	ὤφλησα (I) ὦφλον (II)	ὤφληκα ὤφλημαι
15. ἀπ-εχθάνομαι საძულველი ვხდები	ἐχθ, ἐχθη	ἀπ-εχθήσομαι	ἀπ-ηχθόμην	ἀπ-ήχθημαι
16. ὀλισθάνω (და)ვცურდები	ὀλισθ, ὀλισθη	ὀλισθήσω	ὠλίσθησα (I) ὤλισθον (II)	ὠλίσθηκα

-αν- სუფიქსის დართვისას მარტივი ფუძის შიგნით კიდევ ერთი ნაზალური ბგერა -ν- ჩაისმის, თუ მარტივი ფუძე ერთი თანხმოვნით ბოლოვდება. ამ თანხმოვანთან ხდება ჩართული ν-ს ასიმილაცია: γ, κ, χ-ს წინ ν გვაძლევს ნაზალურ γ-ს, β, π, φ-ს წინ კი – μ-ს:

17. λαμβάνω ვიღებ	λαβ. ληβ	λήψομαι	ἔλαβον ἐλήφθην	εἴληφα εἴλημμαι
18. λανθάνω დაფარული ვარ ἐπι-λανθάνομαι მავიწყდება	λαθ, ληθ	λήσω -λήσομαι	ἔλαθον -ἐλαθόμην	λέληθα -λέλησμαι
19. λαγχάνω წილად მხვდება	λαχ, ληχ	λήξομαι	ἔλαχον ἐλήχθην	εἴληχα εἴληγμαι
20. μανθάνω ვსწავლობ	μαθ, μαθη	μαθήσομαι	ἔμαθον	μεμάθηκα

21. τυγχάνω ვაღწევ, მხვდება, შემემთხვევა	τυχ, τευχ, τυχη	τεύξομαι	ἔτυχον	τετύχηκα
22. ἀνδάνω მოსაწონი ვარ	ἀδ, ἀδη	ἀδήσω	ἔαδον	ἔαδα
23. θιγγάνω ვეხები	θιγ	θίξομαι	ἔθιγον	
24. κιγχάνω (= κιχάνω) ვხვდები	κιχ, κιχη	κιχήσομαι	ἔκιχον ἐκιχησάμην	
25. πυνθάνομαι ვიგებ	πυθ, πευθ	πεύσομαι	ἐπυθόμην	πέπυσμαι

3) -νε-

26. ἀφ-ικνέομαι მოვდივარ	ἱκ	ἀφ-ἵξομαι	ἀφ-ικόμην	ἀφ-ῖγμαι
27. ὑπ-ισχνέομαι ვპირდები	ἰσχ, σχη	ὑπο-σχήσομαι	ὑπ-εσχόμην	ὑπ-έσχημαι
28. βυνέω თაგს ვუცობ	βυ	βύσω	ἔβυσα	βέβυσμαι
29. κυνέω ვკოცნი προσ-κυνέω თაყვანს ვცემ	κυ	κυνήσομαι	ἔκυσα	

4) -νι-

30. βαίνω (<βανj-ω) დავდივარ	βα, βη	(βήσω) βήσομαι	(ἔβησα) (I) ἔβην (II) ἐβάθην	βέβηκα βέβαμαι
31. κερδαίνω (<κερδανj-ω) ვსარგებლობ	κερδ, κερδη, κερδαν	κερδαμῶ (κερδήσω) κερδήσομαι	ἐκέρδανα	κεκέρδηκα
32. τε- τραίνω (<τε-τρανj-ω) ვხვრეტ	τερ, τρη, τετραν	-	ἔτρησα (I) ἐτέτρανα	τέτρημαι

5) -νυ- (-ννυ-)

33. ἐλαύνω (<ἐλα-νυ-ω)	ἐλα	ἐλῶ (ἐλάσω)	ἤλασα ἠλασάμην ἠλάθην (ἠλάσθην)	ἐλήλακα ἐλήλαμαι (ἐλήλασμαι)

შენიშვნა: -νυ- (-ννυ-) სუფიქსით ნაწარმოები დანარჩენი ზმნები იხილე -μι უღლების ზმნათა მეორე ჯგუფში.

VI კლასი

ამ კლასის ზმნათა აწმყოს ფუძე იწარმოება მარტივ ფუძეზე -σκ- (-ισχ-) სუფიქსის დართვით. თუ მარტივი ფუძე ხმოვნით ბოლოვდება, მას დაემა-

ტება -σκ-, თუ მარტივი ფუძე თანხმოვნით ბოლოვდება, მაშინ დაერთვის -ισκ-. იმ ზმნებს, რომელთა მარტივი ფუძე ორი ისეთი თანხმოვნით იწყება, რომელთაგან პირველი ხშულია და მეორე ნარნარა (muta cum liquida), აწმყოში ახასიათებს გაორკეცებაც – რედუპლიკაცია.

VI კლასის ზმნების აწმყო ჩვეულებრივ აღნიშნავს მოქმედების დაწყებას, მდგომარეობის დასაწყის საფეხურს; ამიტომ ამ ზმნებს „დაწყებითი ზმნები“ (verba incohativa) ეწოდება. მათ შეესაბამება ლათინური ზმნები სუფიქსით -sco (nosco, cresco, quiesco და მისთ.).

ა) ხმოვანფუძიანები

Praesens	ფუძე	Futurum act. med.	Aoristus act. med. pass.	Perfectum act. med. (pass.)
1. γηράσκω ვბერდები	γηρα	γηράσω γηράσομαι	ἐγήρασα (I) ἐγήρα	γέγηρακα
2.ἡβάσκω ვვაჟკაცდები	ἡβα	(ἐφ-)ἡβήσω	ἥβησα	παρ-ήβηκα
3. ἀρέσκω მოვწონვარ	ἀρε	ἀρέσω	ἤρεσα ἠρεσάμην (ἠρέσθην)	-
4. φάσκω ვამბობ მიმღ. φάσκων დანარჩენი ფორმები ფიმί ზმნისაგან აქვს ნასესხები	φα	–	–	–
5. χάσκω პირს ვაღებ	χα, χαν, χην	= χανοῦμαι	ἔχανον	κέχηνα
6. μεθύσκω ვათრობ	μεθυ	–	ἐμέθυσα ἐμεθύσθην	–
7. ἱλάσκομαι ვილმობიერებ, შევირიგებ	ἱλα	ἱλάσομαι	ἱλασάμην ἱλάσθην	–
8. ἀνα-βιώσκομαι ვცოცხლდები	βιο, βιω	–	ἀν-εβίωσα (I) ἀν-εβίων (II) ἀν-εβιωσάμην	–
9. ἀπο-θνήσκω (<-θνη-ισκ-ω) უფრო ძველი ფორმაა ἀπο-θνησκω	θαν, θνη	ἀπο-θανοῦμαι (fut. III τεθνήξω)	ἀπ-έθανον	τέθνηκα
10. βόσκω ვაძოვებ	βο	βοσκήσω	–	–

11. μιμνῄσκω (=μιμνήσκω) მოვაგონებ μιμνῄσκομαι გავიხსენებ	μνα, μνη	μνήσω μνησθήσομαι (fut. III μεμνήσομαι)	ἔμνησα ἐμνησάμην ἐμνήσθην	μέμνημαι
12. βιβρώσκω ვჭამ, ვთქვლეფ	βρω	(fut. III βεβρώσομαι)	ἔβρων ἐβρώθην	βέβρωκα βέβρωμαι
13. γιγνώσκω ვცნობ	γνω	γνώσομαι	ἔγνων ἐγνώσθην	ἔγνωκα ἔγνωσμαι
14. ἀπο-διδράσκω ვუსხლტები, გავრბივარ	δρα	ἀπο-δράσομαι	ἀπ-έδραν	ἀπο-δέδρακα
15. πιπράσκω ვყიდი	πρα	(fut. III: πεπράσομαι)	ἐπράθην	πέπρακα πέπραμαι
16. τιτρώσκω დავჭრი	τρω	τρώσω	ἔτρωσα ἐτρώθην	τέτρωμαι

ბ) თანხმოვანფუძიანები

17. ἁλίσκομαι მატყვევებენ	ἁλ(ω)	ἁλώσομαι	ἑάλων (ἥλων)	ἑάλωκα (ἥλωκα)
18. ἀν-αλίσκω ვხარჯავ	ἁλ(ω)	ἀν-αλώσω	ἀν-ήλωσα ἀν-ηλώθην	ἀν-ήλωκα ἀν-ήλωμαι
19. εὑρίσκω ვპოულობ	εὑρ, εὑρε, εὑρη	εὑρήσω	ηὗρον (εὕρον) ηὑρέθην (εὑρέθην)	ηὕρηκα (εὕρηκα) ηὕρημαι (εὕρημαι)
20. στερίσκω (=στερέω) ვართმევ, აღუკვეთ	στερ(ε)	στερήσω στερήσομαι	ἐστέρησα ἐστερήθην	ἐστέρηκα ἐστέρημαι
21. διδάσκω (←δι-δαχ-σκ-ω) ვასწავლი	διδαχ	διδάξω	ἐδίδαξα ἐδιδαξάμην ἐδιδάχθην	δεδίδαχα δεδίδαγμαι
22. ἁραρίσκω ვუსადაგებ	ἁρ, ἁραρ	–	ἦρσα (I) ἤραρον (II) ἤρθην part. ἄρμενος	ἄραρα (ἄρηρα)

VII კლასი

VII კლასს განეკუთვნება ზმნები, რომლებშიც მონაცვლეობს ორი ფუძე: ერთი მარტივი და მეორე – ε(η) სუფიქსით გავრცობილი. თუ აწმყოს ფუძე ε(η) სუფიქსითაა გაძლიერებული, დანარჩენი დროები უპირატესად მარტივი ფუძისაგან იწარმოება და პირიქით, თუ აწმყო მარტივი ფუძითაა წარმოდგენილი, დანარჩენ დროებში ჩვეულებრივ თავს იჩენს ε(η)

სუფიქსით გავრცობილი ფუძე. ქვემოთ მოცემულია ამ კლასის ზმნათა ნუსხა:

Praesens	ფუძე	Futurum act. med.	Aoristus act. med. pass.	Perfectum act. med. (pass.)
1. γαμέω ვქორწინდები (ცოლს ვირთავ) γαμέομαι ვთხოვდები	γαμ	γαμῶ γαμοῦμαι	ἔγημα ἐγημάμην	γεγάμηκα γεγάμημαι
2. δοκέω ვფიქრობ δοκεῖ μοι მგონია	δοκ	δόξω (δοκήσω)	ἔδοξα (ἐδόκησα) κατ-εδόχθην (ἐδοκήθην)	δέδογμαι (δεδόκημαι)
3. ὠθέω უკუვაგდებ, ვაოკებ	ὠθ (<Fωθ)	ὤσω (ὠθήσω)	ἔωσα (ὦσα) ἐωσάμην ἐώσθην	ἔωσμαι (ὦσμαι)
4. γηθέω ვხარობ	γηθ	γηθήσω	ἐγήθησα	γέγηθα
5. καλέω ვეძახი, ვუწოდებ, ვუხმობ	καλ-ε-	καλῶ (fut III: κεκλήσομαι)	ἐκάλεσα ἐκλήθην	κέκληκα κέκλημαι
6. ἀλέξω უკუვაგდებ ἀλέξομαι თავს ვიცავ	ἀλεξ, ἀλεξη, ἀλ(ε)κ	ἀλεξήσω ἀλεξήσομαι	ἤλεξα (I) (ἠλέξησα) ἠλεξάμην (ἠλεξησάμην) ἄλαλκον (II)	-
7. ἄχθομαι ვწყრები	ἀχθ(ε)	ἀχθέσομαι ἀχθεσθήσομαι	ἠχθέσθην	-
8. βούλομαι მსურს, მინდა	βουλ(η)	βουλήσομαι	ἐβουλήθην (ἠβουλήθην)	βεβούλημαι
9. μάχομαι ვიბრძვი	μαχ(ε)	μαχοῦμαι	ἐμαχεσάμην	μεμάχημαι
10. οἴχομαι მივდივარ, ვცილდები	οἰχ(η)	οἰχήσομαι		οἴχωκα
11. οἴομαι (οἶμαι) ვფიქრობ, ვთვლი	οἰ(η)	οἰήσομαι	ᾠήθην	-
12. ἐθέλω = θέλω მსურს, მინდა	ἐθελ(η)	ἐθελήσω = θελήσω	ἐθέλησα	ἠθέληκα
13.εἴρομαι = ἔρομαι = ἐρωτάω ვეკითხები	ἐρ(ι)	ἐρήσομαι ἐρωτήσω	ἠρόμην ἠρώτησα ἠρωτήθην	ἠρώτηκα ἠρώτημαι

14. ἕψω ვხარშავ	ἑψ(η)	ἑψήσομαι (ἑψήσω)	ἥψησα ἡψήθην	-
15. καθ-εύδω მძინავს	εὑδ(η)	καθ-ευδήσω	-	-
16. χαίρω მიხარია	χαρ(η), χαιρ(η)	χαιρήσω	ἐχάρην	κεχάρηκα κεχάρημαι
17. δέω მჭირდება δεῖ საჭიროა δέομαι მჭირდება, მაკლია	δε(η)	δεήσω δεήσομαι	ἐδέησα ἐδεήθην	δεδέηκα δεδέημαι
18. μέλλω (გან)ვიზრახავ	μελλ(η)	μελλήσω	ἐμέλλησα (ἠμέλλησα)	-
19. μέλω საზრუნავი ვარ μέλει μοι ჩემი საზრუნავია ἐπι-μέλομαι (ἐπι-μελέομαι) ვზრუნავ	μελ(η)	μελήσω ἐπι-μελήσομαι	ἐμέλησα ἐπ-εμελήθην	μεμέληκα (I) μέμηλα (II) ἐπι-μεμέλημαι
20. ὀφελ-ίσκω (ὀφέλλω) მოვალე ვარ	ὀφελ ὀφειλ(η)	ὀφειλήσω	ὠφείλησα (I) ὤφηλον (II)	ὠφείληκα
21. γίγνομαι (=γίνομαι) ვიბადები, ვიქმნები, ვხდები, ვარ	γεν(η) γον	γενήσομαι	ἐγενόμην ἐγενήθην	γέγονα γεγένημαι

VIII კლასი

ამ კლასს განეკუთვნება ნაკლულოვანი ზმნები, რომლებიც დროთა წარმოებისას სხვადასხვა ფუძეებს იყენებენ. ამავე კლასშია გაერთიანებული ის ზმნებიც, რომლებიც დროებს სხვადასხვა ფუძისაგან არ აწარმოებენ, მაგრამ ერთისა და იმავე ფუძის ფარგლებში სხვადასხვა ვარიანტებს იძლევიან. გარდა ამისა, VIII კლასის ზმნებისათვის დამახასიათებელია სხვა თავისებურებანიც, რომლებიც უღლების დროს იჩენს თავს.

ქვემოთ VIII კლასის უმთავრეს ზმნათა ნუსხა.

Praesens	ფუძე	Futurum act. med.	Aoristus act. med. pass.	Perfectum act. med. (pass.)
1. αἱρέω ვიღებ	αἱρε, αἱρη, ἑλ	αἱρήσω αἱρήσομαι	εἷλον εἱλόμην ἡρέθην	ᾕρηκα ᾕρημαι
2. ἀγορεύω (=λέγω, φημί; ჰომეროსთან: εἴρω) ვლაპარაკობ ἀπ-αγορεύω უარვყოფ	*ἀγορευ, ἐρ, ῥη* (<Fερ, Fρη; შდრ. ლათ. verbum; რუს. речь); *ἐπ* (<*Fεπ*; ამ ფუძისაგან > *Fεπος → τὸ ἔπος* სიტყვა, ამბავი)	ἐρῶ pass. ῥηθήσομαι fut. III: εἰρήσομαι	εἶπον (<რედუპლიცირებ ულიო FεFεπον ფორმისაგან) ἐῤῥήθην	εἴρηκα εἴρημαι
3. βλώσκω [<μ(β)λω-σκ-ω] მოვდივარ	βλω, μολ	μολοῦμαι	ἔμολον	μέμβλωκα
4. ἔρχομαι მოვდივარ	ἐρχ, ἐλευθ, ἐλθ, ἐλυθ	ἐλεύσομαι (<ἐλευθ-σ-ο-μαι) ენაცვლება: εἶμι, ἀφίξομαι, ἴξω	ἦλθον (ἤλυθον) ენაცვლება: ἦκον (imperf.)	ἐλήλυθα (εἰλήλυθα) ენაცვლება: ἥκω (praes.)
5. ἐσθίω (<ἐδ-θι-ω) პოეზიაში: ἔδω (შდრ. ლათ. edo; რუს. еда) ვჭამ	ἐσθι, ἐδ(ε), φαγ	ἔδομαι	ἔφαγον ἠδέσθην	ἐδήδοκα κατ-εδήδεσμαι
6. ἔπομαι (<σεπ-ο-μαι) მივდევ	ἑπ (<σεπ)	ἕψομαι	ἑσπόμην (<σε-σεπ-ο-μην)	-
7. ἔχω (-ἴσχω <σι-σ(ε)χ-ω) მაქვს. მიჭირავს med. ἔχομαι	ἐχ, ἑχ (<σεχ) σχ, σχη	ἕξω ან σχήσω ἕξομαι და σχήσομαι	ἔσχον (<ἐ-σ(ε)χ-ο-ν) ἐσχόμην	ἔσχηκα παρ-έσχημαι
8. ζάω, βιόω ვცოცხლობ, ვცხოვრობ	ζα, βιο	ζήσω βιώσομαι	ἔζησα ἐβίωσα (I) ἐβίων (II)	ἀπ-έζεσμαι βεβίωκα
9. ἵζω (<σι-σ(ε)δ-ω. შდრ. ლათ. sedeo; რუს. сидеть) καθ-ίζω [და]ვსვამ, ვზივარ καθ-ίζομαι = καθ-έζομαι ვჯდები	ἰδ, ἱζ, ἑδ, ἑζ (<σιδ, σεδ)	καθιῶ καθιζήσομαι καθεδοῦμαι	ἐκάθισα (καθῖσα) ἐκαθισάμην = εἱσάμην	κάθημαι (=praes.)
10. ὁράω ვხედავ	*ὁρα* (<*Fορα*), *ἰδ* (<*Fιδ*); შდრ. ლათ. video;	ὄψομαι pass. ὀφθήσομαι	εἶδον ὤφθην	ἑόρακα და ἑώρακα (I) ἑώραμαι ὄπωπα (II)

	рус. видеть. ов. ზმნა *οἶδα. ὀπ (ὀφθαλμὸς)* „თვალი“; лат. oc-ulus, рус. око)			ὤμμαι
11. πάσχω (<παθ-σκ-ω) განვიცდი, ვითმენ	παθ, πενθ, πονθ	πείσομαι (<πενθ-σ-ο-μαι)	ἔπαθον	πέπονθα
12. πίνω ვსვამ	πι, πο, πω	πίομαι და πιοῦμαι pass. ποθήσομαι	ἔπιον ἐπόθην	πέπωκα πέπομαι
13. πίπτω (<πι-π(ε)τ-ω) ვეცემი, ვვარდები	π(ε)τ, πτω	πεσοῦμαι (<πετ-σουμαι)	ἔπεσον (<ἐ-πετ-ον)	πέπτωκα
14. πέτομαι ვფრინავ	π(ε)τ, πτη, πτα (შდრ. рус. пт-ица, пт-ахa. tò πτερόν „ფრთა“)	πτήσομαι (πετήσομαι)	ἐπτόμην და ἐπτάμην (II) ἔπτην (II)	
15. τρέχω დავრბივარ	τρεχ (<θρεχ), δραμ	δραμοῦμαι	ἔδραμον (II) (ἔθρεξα I)	δεδράμηκα δεδράμημαι
16. φέρω დამაქვს, ვატარებ	φερ, οἰ, ἐνε(γ)κ (<ἐν-ενεκ)	οἴσω οἴσομαι pass. οἰσθήσομαι და ἐνεχθήσομαι	ἤνεγκα (I) ἤνεγκον (II) ἠνεγκάμην (I) ἠνεγκόμην (II) ἠνέχθην	ἐνήνοχα (II) ἐνήνεγμαι
17. ὠνέομαι ვიძენ	ὠνε, πρια	ὠνήσομαι	ἐπριάμην ἐωνήθην	ἐώνημαι

შენიშვნები: 1. εἶπον და ἤνεγκον აორისტებში ზოგი ფორმა პირველი აორისტისა იხმარება, ზოგი კი – მეორე აორისტისა, სახელდობრ:

ind. S.	1	εἶπον	P.	1.	εἴπομεν	conj.	εἴπω	imper.	εἰπέ	inf.	εἰπεῖν
	2	εἶπας		2.	εἴπατε	opt.	εἴποιμι		εἰπάτω	part.	εἰπών
	3	εἶπε(ν)		3.	εἶπον				εἴπατε		
									εἰπόντων		

ind. S.	1.	ἤνεγκον (ἤνεγκα)	P.	1.	ἠνέγκομεν (ἠνέγκαμεν)
	2.	ἤνεγκας		2.	ἠνέγκατε

conj. ἐνέγκω. opt. ἐνέγκοιμι და ἐνέγκαιμι. imper. ἔνεγκε (ἔνεγκον), ἐνεγκάτω, ἐνέγκατε. inf. ἐνεγκεῖν. part. ἐνεγκών. med. ἠνεγκάμην.

2. ზმნებს – λαμβάνω (ვიღებ), εὑρίσκω (ვპოულობ), ἔρχομαι (მოვდივარ), ὁράω (ვხედავ) და εἶπον (ვთქვი) II აორისტის მოქმ. გვარის ბრძანებითი კილოს მხოლობითი რიცხვის მეორე პირში მკვეთრი მახვილი აქვთ ბოლოდან პირველ მარცვალზე: λαβέ, εὑρέ, ἐλθέ, ἰδέ, εἰπέ (მრავლ. რიცხვის მეორე პირში მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზეა: λαβέτε, εὑρέτε და ა.შ.). პრევერბიან ფორმებში მახვილი რეცესიურია: παράλαβε, ἔφευρε, ἄπελθε. κάτιδε. κάτειπε.

ფორმანაკლი ზმნები

არის რამდენიმე ზმნა, რომელთაც მხოლოდ ნამყო სრულისა და ნამყო წინარეწარსულის ფორმები მოეპოვებათ; ამასთან, ნამყო სრული აწმყოს მნიშვნელობით იხმარება, ნამყო წინარეწარსული კი – ნამყო უსრულისა. ეს ზმნებია:

1. perf. II ἔ – οικ – α (< Fε -Foικα-α; ფუძე: εἰκ-, οἰκ-, -ἰκ < Fεικ-, Foικ-, Fικ-) „ვგავარ“, „ვეჩვენები“; უპიროდ – impers. (ὡς) ἔοικε(ν) „(როგორც) ჩანს“, „(როგორც) ჩანს“, „(როგორც) ჰგავს“; III პ. მრ.: ἐοίκασι (εἴξασι); conj. ἐοίκω; opt. ἐοίκοιμι; inf. ἐοικέναι (εἰκέναι); part. ἐοικώς, ἐοικυῖα, ἐοικός (εἰκώς, εἰκυῖα, εἰκός) „მსგავსი“. საშ. სქ. ἐοικός (εἰκός) ἐστι = „ბუნებრივია“, „შეესაბამება“. ზმნიზედა: εἰκότως „შესაბამისად“. Plqp. ἐώκη (ἐώκειν) ან ᾔκη.

(ამ ზმნისგანაა ნაწარმოები არს. სახელი ἡ εἰκών, -όνος „ხატი“, „სურათი“; შდრ. რუს. „икона“).

2. perf. II εἶ – ωθ – α (< ἐ-σFωθ-α; ფუძე: σFεθ-) „მჩვევია“ (აწმყოსათვის იხმარება ἐθίζομαι „ვეჩვევი“); Plqp. εἰώθη (εἰώθειν).

(ამ ზმნისგანაა ნაწარმოები არს. სახელი τὸ ἔθος (ἦθος) „ჩვევა“, „ხასიათი“).

perf. εἶ – μαρ – ται (< σε-σμαρ-ται; ფუძე: μερ- (σμερ-),μορ-, μαρ-) უპიროდ – impers. „ბედით გადაწყვეტილია“ (აწმყოსათვის იხმარება μείρομαι „წილად მხვდება“).

(ამ ზმნისგანაა ნაწარმოები ἡ εἱμαρμένη = ἡ μοῖρα „ბედი“, „ხვედრი“. „წერა“).

4. perf. pass. πέ – πρω – ται (ფუძე: προ-, πρω-: ποίζω „ვაწვდი“, „ვარგუნებ“) უპიროდ – impers. „ბედით გადაწყვეტილია“ (აქედანაა ნაწარმოები ἡ πεπρωμένη ან τὸ πεπρωμένον „ბედი“, „ხვედრი“, „წერა“).

ზმნის გვარის ხმარების თავისებურებანი

1. კლასიკური ხანის ბერძნულში ზოგიერთ ზმნას აწმყო დროში მხოლოდ მოქმედებითი გვარის ფორმა აქვს (მაგალითად: βαίνω „დავდივარ“, ἕρπω „მივცოცავ“, τρέω „ვკანკალებ“), ზოგიერთს კი მხოლოდ – საშუალი გვარისა (მაგალითად: ἄλλομαι „ვხტი“, βούλομαι „მინდა“,κάθημαι „ვზივარ“, κεῖμαι „ვწევარ“).

2. მყოფადის მედიუმი აქტივის მნიშვნელობით. მოქმედებითი გვარის საკმაოდ მრავალ ზმნას მყოფადში ფორმა მედიუმისა აქვს, მნიშვნელობა კი – აქტივისა. ქვემოთ წარმოდგენილია ასეთი ზმნები:

Praesens	Futurum
ᾄδω ვმღერი	ᾄσομαι ვიმღერებ
ἀκούω მესმის	ἀκούσομαι მოვისმენ
ἀλαλάζω ვყვირი	ἀλαλάξομαι ვიყვირებ
ἁμαρτάνω ვცდები	ἁμαρτήσομαι შევცდები
ἀπαντάω ვხვდები	ἀπαντήσομαι შევხვდები
ἀπολαύω გემოს ვატან	ἀπολαύσομαι ვიგემებ
ἁρπάζω ვიტაცებ	ἁρπάξομαι მოვიტაცებ
βαδίζω ვვალ	βαδιοῦμαι ვივლი
βαίνω დავდივარ	βήσομαι ვივლი
βλέπω ვხედავ	βλέψομαι დავინახავ
βοάω ვყვირი	βοήσομαι ვიყვირებ
γελάω ვიცინი	γελάσομαι გავიცინებ
γιγνώσκω ვცნობ	γνώσομαι შევიცნობ
δάκνω ვკბენ	δήξομαι დავკბენ
διαιτάω ვმკურნალობ	διαιτήσομαι ვიმკურნალებ
διδράσκω გავრბივარ	δράσομαι ვირბენ
διώκω ვდევნი	διώξομαι დავედევნები
εἰμί ვარ	ἔσομαι ვიქნები
ἐπαινέω ვაქებ	ἐπαινέσομαι შევაქებ
ἐσθίω ვჭამ	ἔδομαι შევჭამ
θαυμάζω მიკვირს	θαυμάσομαι გავიკვირვებ
κάμνω ვიღლები	καλοῦμαι დავიღლები
κλαίω ვტირი	κλαύσομαι ვიტირებ
κλέπτω ვიპარავ	κλέψομαι მოვიპარავ
λαμβάνω ვიღებ	λήψομαι ავიღებ
μανθάνω ვსწავლობ	μαθήσομαι ვისწავლი
ὄμνυμι ვფიცავ	ὀμοῦμαι დავიფიცებ
οἰμώζω ვკვნესი	οἰμώξομαι დავიკვნესებ
ὁράω ვხედავ	ὄψομαι დავინახავ
πάσχω ვითმენ, განვიცდი	πείσομαι მოვითმენ
παίζω ვთამაშობ	παίσομαι ვითამაშებ
πηδάω ვხტი	πηδήσομαι ვიხტუნებ

πίνω ვსვამ	πόμαι დავლევ
πίπτω ვვარდები, ვეცემი	πεσοῦμαι დავვარდები, დავეცემი
πλέω ვცურავ	πλεύσομαι ვიცურებ
πνέω ვსუნთქავ	πνεύσομαι ვისუნთქებ
σιγάω ვდუმვარ	σιγήσομαι ვიდუმებ
σιωπάω ვდუმვარ	σιωπήσομαι ვიდუმებ
σπουδάζω ვბეჯითობ	σπουδάσομαι ვიბეჯითებ
τίκτω ვბადებ, ვშობ	τέξομαι დავიბადები, ვშობ

ამ ნუსხაში დამოწმებულ და სხვა ზმნათა დიდი ნაწილის მედიუმის სემანტიკურ მხარეს თუ დავაკვირდებით, იგი უფრო სათავისო ქცევის შესაბამისია, ვიდრე საშუალი გვარისა. როგორც ნუსხიდან ჩანს, ბერძნული მყოფადის მედიუმს უმრავლეს შემთხვევაში ქართული ზმნა ი ნიშნიანი ფორმით (სათავისო ქცევით) შეესატყვისება.

3. მყოფადის მედიუმი პასივის მნიშვნელობით. ზოგიერთ ზმნას მყოფადში ფორმა საშუალი გვარისა აქვს, მნიშვნელობა კი – ვნებითისა. ამ ზმნათა ნაწილს პარალელურად ორივე ფორმა მოეპოვება – მედიუმისა და პასივისა; მნიშვნელობა ორივე შემთხვევაში ვნებითი გვარისაა. ეს ზმნები უმრავლეს შემთხვევაში ხმოვანფუძიანებია.

მაგალითები:

Praesens	Futurum
οἰκέω ვასახლებ	οἰκήσομαι დავსახლდები
κωλύω ვაბრკოლებ	κωλύσομαι დავბრკოლდები
τρέφω ვკვებავ	τρέφομαι გამოვიკვებები
βλάπτω ვავნებ. ვაზიანებ	βλάψομαι – βλαβήσομαι დავზიანდები
ζημιόω ვსჯი	ζημιώσομαι – ζημιωθήσομαι დავისჯები
λείπω ვტოვებ	ἀπο-λείψομαι – ἀπο-λειφθήσομαι დატოვებულ ვიქნები

4. დეპონენსები. როგორც ზემოთ გვაქვს აღნიშნული, დეპონენსები (verba deponentia) ანუ „გადადებული ზმნები“ ეწოდება ისეთ ზმნებს, რომელთაც ფორმა მედიოპასივისა აქვთ, მნიშვნელობა კი აქტივისა. დეპონენსები ორი რიგისაა: საშუალი გვარისეული – deponentia media და ვნებითი გვარისეული – deponentia passiva.

თუ დეპონენტურ ზმნას აორისტში მედიუმის ფორმა აქვს აქტივის ან მედიუმისვე მნიშვნელობით, ასეთი დეპონენსი იქნება საშუალი გვარისეული – deponens medium (DM). მაგალითად: ἰάομαι „ვკურნავ“, აორისტი – ἰασάμην „გავკურნე“.δέχομαι „ვღებულობ“, აორისტი – ἐδεξάμην „მივიღე“.

ზოგჯერ საშუალი გვარისეულ დეპონენსს აორისტში პასივის ფორმაც მოეპოვება პასივისვე მნიშვნელობით. მაგალითად: βιάζομαι „ვაიძულებ“, აორისტი მედ. – ἐβιασάμην „ვაიძულე“, აორისტი პას. – ἐβιάσθην „იძულებულ ვიქენი“.

თუ დეპონენტურ ზმნას აორისტში პასივის ფორმა აქვს აქტივის ან მედიუმის მნიშვნელობით. ასეთი დეპონენსი იქნება ვნებითი გვარისეული – deponens passivum (DP). მაგალითად: ἀρνέομαι „უარვყოფ“, აორისტი – ἠρνήθην „უარვყავი“; βούλομαι „მსურს“, აორისტი – ἐβουλήθην „მოვისურვე“; δύναμαι „ძალმიძს“, აორისტი – ἐδυνήθην „შევძელ“.

Deponentia media

αἰτιάομαι ვაბრალებ	λυμαίνομαι ვაზიანებ
βιάζομαι ვაიძულებ	λωβάομαι შეურაცხვყოფ
δέχομαι ვღებულობ	μέμφομαι ვკიცხავ
δωρέομαι ვასაჩუქრებ	μιμέομαι ვბაძავ
ἐργάζομαι ვმუშაობ	μετα-πέμπομαι მოვუხმობ
ἡγέομαι მივუძღვი	ὀλοφύρομαι ვჩივი, ვდარდობ
θεάομαι ვხედავ	χειρόομαι ვიმორჩილებ
ἰάομαι ვკურნავ	χράομαι ვსარგებლობ
κτάομαι ვიძენ	ὠνέομαι ვყიდულობ
λογίζομαι განვსჯი	

Deponentia passiva

ἄγαμαι ვიხიბლები	ἔραμαι (= ἐράω) მიყვარს
αἰδέομαι მრცხვენია	εὐλαβέομαι ვერიდები
ἁμιλλάομαι ვეტოქები	ἥδομαι ვხარობ
ἀρνέομαι უარვყოფ	ἡττάομαι ვემორჩილები
ἄχθομαι ვწყრები	(ἐν-)θυμέομαι მოვისაზრებ
βούλομαι მსურს	(ἐπι-)μέλομαι ვზრუნავ
δέομαι მჭირდება, მაკლია	οἴομαι (οἶμαι) ვფიქრობ
δύναμαι ძალმიძს, შემიძლია	πειράομαι ვცდილობ
ἐναντιόομαι ვეწინააღმდეგები	φιλοτιμέομαι მივისწრაფი
ἐπίσταμαι მესმის, ვიცი	(პატივმოყვარეობის გამო)

5. მედიოპასივი ზმნები. მოქმედებითი გვარის მრავალ ზმნას აორისტის ვნებითი გვარის ფორმაში ხშირად რეფლექსური (უკუქცევითი) ან მედიალური მნიშვნელობა აქვს. მათი მყოფადი უპირატესად მედიუმის (ზოგჯერ კი პასივის) ფორმითაა წარმოდგენილი. ასეთ ზმნებს ეწოდებათ მედიოპასივი ანუ საშუალ-ვნებითი ზმნები – media passiva (MP).

Media passiva (ნიმუშები)

Praesens	Aoristus pass.	Futurum med. pass.
αἰσχύνω ვარცხვენ	ἠσχύνθην შევრცხვი	αἰσχυνοῦμαι, αἰσχυνθήσομαι შევრცხვები
ἀνιάω ვაწუხებ	ἠνιάθην	ἀνιάσομαι
ἐπείγω ვაჩქარებ	ἠπείχθην	ἐπείξομαι
εὐφραίνω ვხარობ	ἠυφράνθην	εὐφρανοῦμαι, εὐφρανθήσομαι
κοιμάω ვაძინებ	ἐκοιμήθην	κοιμήσομαι
λυπέω ვადარდიანებ	ἐλυπήθην	λυπήσομαι
ὀργίζω ვაბრაზებ	ὠργίσθην	ὀργιοῦμαι, ὀργισθήσομαι
πείθω ვარწმუნებ	ἐπείσθην	πείσομαι
πλανάω ვახეტიალებ	ἐπλανήθην	πλανήσομαι
πορεύω წარვმართავ. გადამყავს	ἐπορεύθην	πορεύσομαι
φοβέω ვაშინებ	ἐφοβήθην	φοβήσομαι, φοβηθήσομα

6. Ზოგიერთი ზმნური ფორმების გარდამავალი და გარდაუვალი მნიშვნელობა. თუ გარდამავალ ზმნას აორისტსა და ნამყო სრულში ორ-ორი ფორმა მოეპოვება (I და II აორისტი, I და II ნამყო სრული), მაშინ პირველ ფორმებს ჩვეულებრივ გარდამავალი მნიშვნელობა აქვს, მეორე ფორმებს კი – გარდაუვალი.

თუ ნამყო სრულს მხოლოდ ერთი – პირველი ფორმა აქვს. იგი ზოგჯერ გარდაუვალი მნიშვნელობით იხმარება.

მაგალითები: ἵστημι (ვდგამ) ზმნას აორისტში ორი ფორმა აქვს გარდამავალი და გარდაუვალი მნიშვნელობით, ნამყო სრულში კი ერთი ფორმა – გარდაუვალი მნიშვნელობით: aor. I ἔστησα „დავდგი“, aor. II ἔστην „დავდექი“; perf. I ἕστηκα „დავდექი“ = „ვდგავარ“; σβέννυμι „ვაქრობ“, aor. I ἔσβεσα „ჩავაქრე“, aor. II ἔσβην „ჩავქრი“; perf. I ἔσβηκα „ჩავქრი“.

წინდებული

ბერძნულ ენაში წინდებული (πρόθεσις, praepositio) ადგილის ზმნიზედისაგან განვითარდა.

წინდებული სახელს დაერთვის და აღნიშნავს მდებარეობას, მიმართულებას, დანიშნულებას ან სხვა რაიმე დამოკიდებულებას საგანთან. წინდებული ბერძნულში, ისევე როგორც თანდებული ქართულ ენაში, სათანადო ბრუნვის ფორმასთან დაკავშირებას მოითხოვს. ბრუნვის ეს ფორმებია: ნათესაობითი, მიცემითი და აკუზატივუსი.

ზოგი წინდებული მხოლოდ ერთ ბრუნვას უკავშირდება (ან ნათესაობითს, ან მიცემითს, ან აკუზატივუსს), ზოგი – ორ ბრუნვას (ნათესაობითსა და აკუზატივუსს), ზოგი წინდებული კი შეიძლება სამივე ბრუნვასთან იყოს დაკავშირებული (ნათესაობითთან, მიცემითთან და აკუზატივუსთან).

პროზაში წინდებული ყოველთვის წინ უსწრებს იმ სიტყვას, რომელსაც განეკუთვნება; გამონაკლისია წინდებული περί, რომელიც ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან ხმარების დროს შეიძლება უკუგდებულის (თანდებულის) როლშიც გამოვიდეს. ასეთ შემთხვევაში მახვილი მას ბოლოდან მეორე მარცვალზე ექნება (πέρι).

I. ერთ ბრუნვასთან დაკავშირებული წინდებულები

1) ნათესაობითთან: ნათესაობით ბრუნვას უკავშირდება წინდებულები: ἀντί, ἀπο, ἐκ (ἐξ) და πρό.

ἀντί – მაგიერ, ნაცვლად: ἀντὶ τοῦ ἀδελφοῦ „ძმის მაგიერ“; ἀντὶ πολέμου εἰρήνη „ომის ნაცვლად მშვიდობა“.

ἀπό – გან, დან (აღნიშნავს დაშორებას, დაცილებას): ἀπὸ τῆς πόλεως „ქალაქიდან“; ἀπ' ἐκείνης τῆς ἡμέρας „იმ დღიდან“, ἀφ' ἵππου κατεπήδησε „ჩამოხტა ცხენიდან“; ἀπὸ παίδων (= ἐκ παίδων) „ბავშვობიდან“.

ἐκ (ἐξ) – გან, დან; ἐκ დაისმის თანხმოვანთა წინ, ἐξ კი – ხმოვანთა წინ: τὰ ἀγάλματα ἐκ χαλκοῦ πεποίηται „ქანდაკებები გაკეთებულია სპილენძისაგან“; ἐκ τῆς Ἀσιας „აზიიდან“; ἐξ οὗ „იმ დროიდან, რაც...“.

πρό – წინ, თვის: πρὸ τῆς μάχης „ბრძოლის წინ“; πρὸ τοῦ ἄστεως „ქალაქის წინ“; πρὸ παίδων μάχεσθαι „ბრძოლა ბავშვებისათვის“.

2) მიცემითთან: მიცემით ბრუნვას უკავშირდება წინდებულები: ἐν, σύν (ξύν).

ἐν – ში, ზე: ἐν τῇ πόλει „ქალაქში“; ἐν Ἀθήναις „ათენში“; ἐν τούτῳ τῷ ἔτει „იმ წელს“ („იმ წელში“); ἐν Σάμῳ τῇ νήσῳ „კუნძულ სამოსზე“.

σύν (ξύν) – თან, ურთ, ერთად. ამ წინდებულის ორივე ფორმა ერთი მნიშვნელობისაა. ξύν უძველესი ფორმაა. ატიკურ პროზაში σύν წინდებული იშვიათად იხმარება (შედარებით ხშირია ქსენოფონტთან); მას ჩვეულებრივ ენაცვლება წინდებული μετά ნათესაობით ბრუნვასთან. σύν წინდებულიან მიცემითს ხშირად ინსტრუმენტალისის მნიშვნელობა აქვს: σὺν τῷ φίλῳ „მეგობართან ერთად“; Μένων

καί οἱ σὺν αὐτῷ „მენონი და მასთან მყოფნი“; ἐπαιδεύετο σὺν τῷ ἀδελφῷ „გაიზარდა ძმასთან ერთად“; σὺν κραυγῇ „ყვირილით“; σὺν γέλωτι „სიცილით“; σὺν θεοῖς „ღმერთთა შემწეობით“.

3) აკუზატივუსთან: აკუზატივუსს უკავშირდება წინდებულები: εἰς (ἐς), ἀνά.

εἰς (ἐς) – კენ, ში, ზე. ეს წინდებული უპირატესად მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან იხმარება და უპასუხებს კითხვას „საითკენ?“ ἐς ფორმა უძველესია, εἰς – უფრო ახალი (<ἐν +ς): εἰς τὴν πόλιν „ქალაქისაკენ“, „ქალაქში“; εἰς τὴν Ἰταλίαν „იტალიისაკენ“, „იტალიაში“; εἰς τὰ ὄρη ἔφυγον „გაიქცნენ მთებში“; ἐστράτευσαν ἐς τὴν Ἀττικήν „გაილაშქრეს ატიკაზე“.

ἀνα – ზე, ზემოთ: ἀνὰ τὰ ὄρη „მთებზე“; ἀνὰ κράτος „მთელი ძალით“.

II. ორ ბრუნვასთან დაკავშირებული წინდებულები

ნათესაობითსა და აკუზატივუსს უკავშირდება წინდებულები: διά, κατά, μετά და ὑπέρ.

διά: ნათესაობითთან – ზე, მეშვეობით: διὰ τῆς χώρας πορεύεσθαι „გავლა ქვეყანაზე“; ὁ ποταμὸς ῥεῖ διὰ μέσης τῆς πόλεως „მდინარე ქალაქის შუაგულზე მიედინება“; διὰ κηρύκων „მაცნეთა მეშვეობით“.

აკუზატივუსთან – გამო, მიზეზით, მეშვეობით, წყალობით: διὰ τοῦτο „ამის გამო“; δι᾽αἰσχύνην „სირცხვილის გამო“; δι᾽ἡμᾶς ἔχετε τήνδε τὴν χώραν „ჩვენი წყალობით გიკავიათ ეს ქვეყანა“.

κατά: ნათესაობითთან აღნიშნავს პერპენდიკულარულ მიმართულებას (ზემოდან ქვევით), აკუზატივუსთან – ჰორიზონტალურს.

ნათ. -დან, ქვეშ, წინააღმდეგ: κατὰ τοῦ ὄρους „მთიდან“. κατὰ γῆς δῦναι „მიწის ქვეშ ჩასვლა“; λέγειν κατὰ Φιλίππου „ფილიპეს წინააღმდეგ ლაპარაკი“.

აკუზატ. -ში, -ზე, შესაბამისად, წინააღმდეგ: κατὰ τὴν πόλιν πλανᾶται „ქალაქში ხეტიალობს“; ἔπλεον κατὰ ποταμόν „მდინარეზე მიცურავდნენ“; οἱ Ἕλληνες ἐνίκων τοὺς Πέρσας καὶ κατὰ γῆν καὶ κατὰ θάλατταν „ელინებმა დაამარცხეს სპარსები ხმელეთსა და ზღვაზე“ (κατὰ γῆν καὶ κατὰ θάλατταν = terra marique); κατὰ τοὺς νόμους „კანონთა შესაბამისად“; κατ᾽ἀξίαν

„ღირსებისამებრ“; οἱ κατὰ τοὺς Ἕλλενας τεταγμένοι „ელინთა წინააღმდეგ დარაზმულნი“.

καθ᾽ἡμέραν „ყოველდღე“; κατὰ τυχὴν „შემთხვევით“; κατὰ πάντα τρόπον „ყოველნაირად“.

μετά: ნათეს. – თან, ურთ: μετὰ τῶν συμμάχων „მოკავშირეებთან ერთად“; μετὰ πολλῶν δακρύων „მრავალი ცრემლითურთ“.

აკუზატ. – შემდეგ: μετὰ ταῦτα „ამის შემდეგ“; μετὰ τὴν μάχην „ბრძოლის შემდეგ“; μεθ᾽ἡμέραν „დღისით“ (=„დღის დადგომის შემდეგ“).

ὑπέρ (ლათ. super): ნათეს. – ზემოთ, ზე, თვის ὑπὲρ τῆς γῆς „დედამიწაზე“; ὑπὲρ τῆς κώμης γήλοφος ἦν „სოფელს ზემოთ გორაკი იყო“; Δημοσθένους λόγος ὑπέρ Κτησιφῶντος „დემოსთენეს სიტყვა კტესიფონტისთვის (დასაცავად)“; ὑπὲρ τῆς πατρίδος ἀποθανεῖν „სამშობლოსათვის სიკვდილი“.

აკუზატ. -ზე, ზემოთ, გადაღმა, მეტად, წინააღმდეგ: ὑπὲρ τὴν γῆν „დედამიწაზე“; οἱ ὑπὲρ Ἑλλήσποντον οἰκοῦντες „ჰელესპონტს გადაღმა მოსახლენი“; ὑπὲρ τὴν δύναμιν „ძალაზე მეტად“; ὑπὲρ μοῖραν „ბედის წინააღმდეგ“.

III. სამ ბრუნვასთან დაკავშირებული წინდებულები

ნათესაობითს, მიცემითსა და აკუზატივუსს უკავშირდება წინდებულები: ἀμφί, ἐπί, παρά, περί, πρός და ὑπό.

ἀμφί – ეს წინდებული ატიკურ პროზაში იშვიათად იხმარება (გვხვდება ქსენოფონტთან). მას ჩვეულებრივ წინდებული περί ენაცვლება. ნათეს. – ირგვლივ, გარშემო, შესახებ: διαφέρεσθαι ἀμφί τινος „რისამე გარშემო დავა“; ἀμφὶ φιλότητος ἀείδειν „მღერა სიყვარულის შესახებ“.

მიცემ. – თან, ირგვლივ, გამო: ἀμφὶ πυρί „ცეცხლთან“, „ცეცხლის ირგვლივ“; ἀμφὶ φόβῳ „შიშის გამო“;

აკუზატ. ირგვლივ, გარშემო, მახლობლად: ἀμφὶ Μίλητον „მილეტის ირგვლივ“; ἀμφὶ πῦρ καθῆσθαι „ცეცხლის ირგვლივ ჯდომა“; οἱ ἀμφὶ Κῦρον „კიროსის გარშემო მყოფნი“; ἀμφὶ τοῦτον τὸν χρόνον „ამ დროის მახლობლად“.

ἐπί: ნათეს. – ზე, ში (კენ), -თან, დროს: ἐπὶ τῶν νεῶν „ხომალდებზე“; ἔπλεον ἐπὶ Λέσβου „მიცურავდნენ ლესბოსისაკენ“; ἀνεχώρουν ἐπ᾽οἴκου

„ბრუნდებოდნენ შინ (სახლისაკენ)“; ἐπὶ τοῦ ποταμοῦ „მდინარესთან“; ἐπὶ Κύρου „კიროსის დროს“; ἐπὶ γήρως „სიბერის დროს (=სიბერეში)“; οἱ ἐφ᾽ ἡμῶν „ჩვენი თანამედროვენი“.

მიცემ. ზე, -თან; οἰκοῦσιν ἐπὶ τῷ Ἰσθμῷ „ცხოვრობენ ისთმოსზე“; τὸ ἐπὶ θαλάσσῃ τεῖχος „კედელი ზღვასთან“; ἐπὶ ταῖς ναυσίν „ხომალდებთან“.

აკუზატ. – ზე, კენ, თან, წინააღმდეგ: ἐναβαίνειν ἐφ᾽ ἵππον – ἀναβῆναι ἐπὶ ἵππον „შეჯდომა ცხენზე“; ἐπὶ τὴν θάλατταν ἄγομεν αὐτόν „იგი მიგვყავს ზღვისაკენ (ზღვასთან)“; Ξέρξης ἦλθεν ἐπὶ τὴν Ἑλλάδα „ქსერქსე მოვიდა ელადის წინააღმდეგ“.

παρά: ნათეს. – გან: παρὰ τῶν φίλων „მეგობრებისაგან“; παρὰ βασιλέως „მეფისაგან“.

მიცემ. – თან: οἱ παρὰ Κύρῳ βάρβαροι „კიროსთან (მყოფი) ბარბაროსები“.

აკუზატ. – თან (-კენ), წინააღმდეგ: παρὰ τὸν ποταμόν „მდინარესთან“; παρὰ βασιλέα „მეფესთან“; (= „მეფისაკენ“); παρὰ τοὺς νόμους „კანონთა წინააღმდეგ“.

περί: ნათეს. – შესახებ (-თვის), გამო: περὶ τοῦ πολέμου „ომის შესახებ“ („ომისათვის“), περὶ τῆς εἰρήνης „მშვიდობის შესახებ“, „მშვიდობისათვის“).

მიცემ. გარშემო, თან, გამო: περὶ Πατρόκλῳ „პატროკლეს გარშემო“; νεκρὸς περὶ νεκρῷ „გვამი გვამთან“; περί φόβῳ „შიშის გამო“.

აკუზატ. ირგვლივ, მიმართ: περὶ τὴν πόλιν „ქალაქის ირგვლივ“; οἱ περὶ Σωκράτη „სოკრატეს ირგვლივ მყოფნი“ (= „სოკრატეს მოწაფეები“); εὐσεβεῖν περὶ θεούς „მოწიწება ღმერთების მიმართ“.

πρός: ნათეს. – გან, მხრივ, გულისთვის, წინაშე: πρὸς τῶν φίλων „მეგობრებისაგან“; πρὸς ὑμῶν „თქვენგან“, „თქვენი მხრივ“; πρὸς θεῶν „ღვთის გულისთვის“; πρὸς θεῶν καὶ ἀνθρώπων „ღმერთებისა და ადამიანების წინაშე“.

მიცემ. – თან, გარდა: αἱ πρὸς θαλάττῃ πόλεις „ზღვასთან (მდებარე) ქალაქები“; πρὸς τούτῳ, πρὸς τούτοις „ამას გარდა“.

აკუზატ. – თან, მიმართ, წინააღმდეგ: πρὸς σέ „შენთან“; οἱ Ἀθηναῖοι πρέσβεις ἔπεμψαν πρὸς τοὺς Λακεδαιμονίους „ათენელებმა ელჩები გაგზავნეს ლაკედემონელებთან“; διαβάλλει αὐτὸν πρὸς τὸν ἀδελφόν „იგი დააბეზღა ძმასთან“; ἐγὼ πρὸς σὲ ἔχω φιλικῶς „მე შენს მიმართ მეგობრულად ვარ

განწყობილი“. ἰέναι πρὸς τοὺς πολεμίους „მტერზე (= მტრის წინააღმდეგ) წასვლა“.

ὑπό: ნათეს. – ქვეშ (კითხვაზე „სად?“), მიერ (-გან): ὑπὸ γῆς „მიწის ქვეშ“; οἱ Πέρσαι ἐνικήθησαν ὑπὸ τῶν Ἑλλήνων „სპარსები დამარცხებულ იქნენ ელინების მიერ“; ὑπὸ λύπης „დარდისაგან“.

მიცემ. ქვეშ (კითხვაზე „სად?“): ὑπὸ τῷ δένδρῳ „ხის ქვეშ“: ὑπὸ τῷ οὐράνῳ „ცის ქვეშ“.

აკუზატ. ქვეშ (კთხვაზე „საითკენ?“) ἀπῆλθον ὑπὸ τὰ δένδρα „წარემართნენ ხეთა ქვეშ“; Αἴγυπτος πάλιν ὑπὸ βασιλέα ἐγένετο „ეგვიპტე კვლავ მეფის (ძალაუფლების) ქვეშ მოექცა“.

ზემოთ დასახელებული წინდებულები მონაწილეობენ რთული სიტყვის წარმოებაში. წინდებულს წინსართის როლში შეუძლია სახელისაგან ახალი სახელი აწარმოოს (θέατρον – ἀμφι-θέατρον), ხოლო როგორც ზმნისწინს ანუ პრევერბს შეუძლია ზმნისაგან განსხვავებული შინაარსის მქონე ზმნა წარმოქმნას (βάλλω „ვისვრი“: μετα-βάλλω „შევცვლი“, δια-βάλλω „ვაბეზღებ“; χωρέω „მივდივარ“: ὑπο-χωρέω „ვუთმობ“, „ვემორჩილები“, προσ-χωρέω „ვუახლოვდები“).

ამ წინდებულთა გარდა ბერძნულში გვაქვს ეგრეთ წოდებული „არასაკუთრივ წინდებულები“, რომლებიც სათანადო ბრუნვის ფორმებს უკავშირდებიან, მაგრამ პრევერბთა როლის შესრულება არ ძალუძთ. ასეთი წინდებულებია: ἄνευ, ἄχρι, μέχρι, ἕνεκα, μεταξύ, πλήν, ἅμα, ὑμοῦ, ὡς.

1) ნათესაობითთან:

ἄνευ – უ: ἄνευ σου „უშენოდ“.

ἄχρι ანუ μέχρι – მდე: μέχρι θαλάττης „ზღვამდე“

ἕνεκα (ἕνεκενμ εἵνεκα, εἵνεκεν) – გამო, გულისთვის. ეს წინდებული უპირატესად უკუდებულად იხმარება: τούτου ἕνεκα „ამის გამო“; „ამის გულისთვის“; στεφάνῳ σε σοφίας ἕνεκα στεφάνουσι „გვირგვინით გამკობენ შენ სიბრძნის გულისთვის“.

μεταξύ – შორის, შუა: μεταξὺ τοῦ Ἰονίου κόλπου καὶ τοῦ Εὐξείνου πόντου „იონიის უბესა და ევქსინის პონტოს შორის“.

πλήν – გარდა πάντες λπήν ἡμῶν „ყველა ჩვენ გარდა“.

2) მიცემითთან:

ἅμα – თანავე (დროის აღსანიშნავად): ἅμα τῷ ἡλίῳ ἀνίσχοντι „მზის ამოსვლისთანავე“; ἅμα ἦρι ἀρχομένῳ „გაზაფხულის დადგომისთანავე“. ἅμα ἡμέρᾳ „დღის დადგომისთანავე“; ἅμ(α) ἕω „განთიადისთანავე“.

ὁμοῦ – ერთად: ὁμοῦ τοῖς συμμάχοις νικῶ „ვიმარჯვებ მოკავშირეებთან ერთად“.

ὡς – კენ (კითხვაზე „საითკენ“?): πορεύεται ὡς βασιλέα „მიემართება მეფისკენ“.

ზმნიზედა წინდებულის მნიშვნელობით

ზოგიერთი ზმნიზედა გამოყენებულია წინდებულად. ასეთებია, განსაკუთრებით ადგილის ზმნიზედები. წინდებულად გამოყენებული ზმნიზედა მოითხოვს ნათესაობით ბრუნვას. ეს ზმნიზედებია:

ἀμφοτέρωθεν (ორივე მხრივ); ἐκτός, ἔξω (გარეთ); ἐντός, εἴσω, ἔσω (შიგნით); ἔμπροσθεν (წინ); ἐναντίον (წინაშე); ἐγγύς, πλησίον, ἀγχοῦ (ახლოს); ὄπισθεν (უკან); πέραν (გადაღმა, იქით); πόῤῥω, πρόσω (შორს); χάριν (=ἕνεκα გულისთვის); χωρίς (ცალკე, განცალკევებით); λάθρᾳ (შეუმჩნევლად).

მაგალითები:

ἀμφοτέρωθεν τῆς ὁδοῦ „გზის ორივე მხარეს“; ἔξω τῆς πόλεως „ქალაქის გარეთ“; ἐγγὺς τῆς πολέως „ქალაქის ახლოს“; παιδιᾶς χάριν „ხუმრობის გულისთვის“.

კავშირები და ნაწილაკები

კავშირი და ნაწილაკი დამხმარე სიტყვებია. კავშირი ერთმანეთთან აკავშირებს წინადადების ორ წევრს ან ორ წინადადებას; ნაწილაკი კი დაერთვის წინადადების წევრს ან მთელ წინადადებას და საჭირო ელფერს აძლევს მას.

I. მაერთებელი კავშირები: καί, τέ (და, აგრეთვე); უარყოფით გამოთქმებში მათ ნაცვლად იქმნება: οὔτε, μήτε, οὐδέ, μηδέ (არც).

მაცალკევებელი კავშირებია; ἤ (ან); ἤ – ἤ (ან – ან); πότερον – ἤ (ან – ან); εἴτε – εἴτε (ან – ან).

მაპირისპირებელი კავშირებია: ἀλλά (მაგრამ, არამედ); ἀλλά γε (ყოველ შემთხვევაში); ἀλλ᾽οὐ (მაგრამ არ); οὐ μόνον – ἀλλὰ καί (არა მარტო – არამედ); οὐ μήν – ἀλλά (მაგრამ მაინც); μέντοι, μήν (თუმცა კი); οὐδὲ μήν (თუმცა არ); ὅμως (თუმცა); ἀτάρ (მაგრამ); οὐ μάλλον – ἤ (იმდენად არ –

რამდენადაც); καίπερ, καίτοι (მაინც); μέν – δέ (ერთი მხრივ – მეორე მხრივ); αὖ (ასევე).

მაიგივებელი კავშირებია: ὡς (როგორც); ὥσπερ (ვითარცა); ὅπως (როგორც); ὡστε (ისე რომ); ἠὔτε (ვითარცა).

II. მაქვემდებარებელი კავშირები: დ რ ო ი ს ა: ὅτε, ὁπότε (როდესაც, როცა); ἡνίκα, ὁπηνίκα (როცა; იმ დროს, როცა); ἧμος (როცა); ἐπεί (როცა; იმის შემდეგ, რაც); ἐπειδή (მაშინ, როცა); ἕως (სანამ); ὄφρα (სანამ); πρίν (უწინ).

მ ი ზ ე ზ ი ს ა: ὅτι (რომ, იმიტომ რომ); διότι (იმის გამო რომ); οὕνεκα (ვინაიდან, იმიტომ რომ).

მ ი ზ ნ ი ს ა: ἵνα (რათა); μή (რათა არ).

პ ი რ ო ბ ი ს ა: εἰ (თუ); ἐάν = εἰ ἄν = ἄν = ἤν (თუ); ἄν (განა).

დ ა თ მ ო ბ ი ს ა: εἰ καί = ἐὰν καί (თუკი); καὶ εἰ = καὶ ἐάν → κἄν (და თუ).

დ ა ს კ ვ ნ ი ს ა: ἄρα = ἄρ= ῥα = პოეტ. ἆρα (ამიტომ, ამგვარად); οὖν = ახალ იონიურში ὦν (ამგვარად); μὲν οὖν (ცხადია); ამავე მნიშვნელობით იხმარება: ἀλλ᾽οὖν γὰρ οὖν; უარყოფით გამოთქმაში: οὔκουν (ამგვარად არ); νύν (ახლა კი); τοίνυν (ამის გამო, თუმცა); τοίγαρ (და ასე).

III. ნაწილაკები: γέ (ხშირად უდრის ქართული ც ნაწილაკს; ზოგჯერ = „ხომ“); γοῦν (ნამდვილად); πέρ (მეტად); δή (ახლა, და ასე); δήπου (რა თქმა უნდა); ναί (დიახ); νή (ჭეშმარიტად); νή ხშირად ახლავს ღმერთების სახელს აკუზატივუსში და აღნიშნავს ფიცს: νὴ Δία „ვფიცავ ზევსს“.

სიტყვანარმოება

სიტყვა შეიძლება იყოს მარტივი და რთული. მარტივია სიტყვა, თუ იგი ერთი ფუძისაგანაა ნაწარმოები. მაგალითად, არსებითი სახელი λόγο-ς („სიტყვა“) ნაწარმოებია λέγ-ω („ვამბობ“) ზმნის λεγ ფუძისაგან. რთულია სიტყვა, თუ იგი ორი ან მეტი სიტყვის შეკავშირებითაა მიღებული. რთული შედგენილობისაა, მაგალითად, არსებითი სახელები: λογο-γράφο-ς („მემატიანე“), βατραχο-μου-μαχία („თაგვთა და ბაყაყთა ომი“).

ახალ სიტყვათა შექმნის ორი გზა არსებობს: ერთია – წარმოქმნა ანუ დერივაცია (derivatio), მეორე – თხზვა ანუ კომპოზიცია (compositio). მარტივ სიტყვათა წარმოება დერივაციის საშუალებით ხდება, რთული სიტყვებისა კი – კომპოზიციით.

I. წარმოქმნა. წარმოქმნა ანუ დერივაცია არის ახალი სიტყვის შექმნა ფუძეზე მნიშვნელობის მცვლელი აფიქსის დართვით. დერივაცია

ბერძნულში ჩვეულებრივ ზმნის ან სახელის ფუძეზე სუფიქსთა დართვის მეშვეობით ხდება. ასეა მიღებული ნაზმნარი სახელები (verbalia), ნასახელარი სახელები და ნასახელარი ზმნები (denominativa).

A. წარმოქმნილ არსებით სახელთა ჯგუფები

1. მოქმედი პირის ანუ ხელობის სახელები (nomina agentis). ასეთი სახელები იწარმოება ზმნის ან სახელის ფუძეზე შემდეგ სუფიქსთა დართვით (ფრჩხილებში ნაჩვენებია სახელობითი ბრუნვის დაბოლოება, სქესი და მახვილის რაგვარობა):

1) ο (-ος; მამრ. სქ. oxytona): τροφ-ός „მარჩენალი“ (τρέφ-ω); ἀρχ-ός „გამგებელი“ (ἄρχ-ω); πομπ-ός „ელჩი“ (πέμπ-ω).

2) ευ (-εύς; მამრ. სქ. oxytona): γραφ-εύς „მწერალი“ (γράφ-ω); ἱππ-εύς „მხედარი“ (ἵππο-ς „ცხენი“); χαλκ-εύς „მჭედელი“ (χαλκό-ς „სპილენძი“).

-εύς ბოლოკიდურიან სახელებს ხშირად შეესაბამება მდედრობითი სქესის სახელები -ειᾱ ბოლოკიდურით; მახვილი ასეთ სახელებს ბოლოდან მესამე მარცვალზე აქვთ: ἱερεύς „ქურუმი“ – ἱέρεια „ქურუმი ქალი“„ქურუმიხე“: βασιλεύς „მეფე“ – βασίλεια „დედოფალი“.

3) -τηρ (-τήρ; მამრ. სქ. oxytona): δο-τήρ „მიმცემი“ (δί-δω-μι „ვაძლევ“) σω-τήρ „მხსნელი“ (σώ-ζω „ვიხსნი“). მდედრ. სქესის შესაბამისი ბოლოკიდურია -τειρᾱ: σώ-τειρα „მხსნელი ქალი“.

4) τορ (-τωρ; მამრ. სქ.) ῥή-τωρ „მჭევრმეტყველი“ (ῥε-); κτίσ-τωρ „დამფუძნებელი“ (κτίζω „ვაფუძნებ“).

5) τρο (-τρό-ς; მამრ. სქ. oxytona): ἰα-τρό-ς „ექიმი“ (ἰά-ομαι „ვკურნავ“).

6) τᾱ (-τη-ς; მამრ. სქ. ხშირად oxytona): κρι-τή-ς „მსაჯული“ (κρίνω „განვსჯი“); ποιη-τή-ς „პოეტი“, „შემოქმედი“ (ποιέ-ω „ვქმნი“); κλέπ-τη-ς „ქურდი“ (κλέπ-τ-ω „ვიპარავ“); μαθη-τή-ς „მოსწავლე“ (μανθάνω „ვასწავლი“ μαθ-ε-); αὐλη-τή-ς „ავლეტი“„სალამურის დამკვრელი“ (αὐλέ-ω „სალამურზე ვუკრავ“).

მდედრ. სქესის შესაბამისი ბოლოკიდურია -τριᾱ: ποιή-τρια „პოეტი ქალი“; ψάλ-τρια „ჩანგზე დამკვრელი ქალი“.

7) τριδ (-τρίς; მდედრ. სქ. oxytona): αὐλη-τρί-ς „ავლეტი ქალი“, „სალამურზე დამკვრელი ქალი“.

8) τιδ (-τις; მდედრ. სქ.): ἱκ-έ-τι-ς „მავედრებელი ქალი“ (ἱκετεύ-ω „ვევედრები“).

2. მოქმედების ან მდგომარეობის სახელები (nomina actionis). მოქმედებისა და მდგომარეობის სახელები ხშირად გამოხატავენ აბსტრაქტულ ცნებებს (omnia abstracta). ამ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსებია:

1) α (-α, -η, მდ. სქ.): μάχ-η „ბრძოლა“ (μάχ-ομαι „ვიბრძვი“); φορ-ά „ტარება“ (φέρ-ω „დამაქვს“).

2) τι (-τι-ς; მდ. სქ. barytona): πίσ-τι-ς „ერთგულება“ (πείθ-ω „ვარწმუნებ“); φά-τι-ς „დარხეული ხმა“ (φη-μί „ვამბობ“).

3) σι (-σι-ς; მდ. სქ.) μίμη-σι-ς „მიბაძვა“ (μιμέομαι „ვბაძავ“); ποίη-σι-ς „შემოქმედება“, „პოეზია“ (ποιέ-ω „ვქმნი“); θέ-σι-ς „დადება“ (τί-θη-μι „ვდებ“; πρᾶξις „ქმედობა“(πράττω „ვაკეთებ“).

სუფიქსი σι მომდინარეობს τι-საგან; σι ჩვეულებრივ დაისმის ხმოვნის შემდეგ.

4) σια (-σια; მდ. სქ. barytona): δοκιμα-σία „გამოცდა“ (δοκιμάζ-ω „ვცდი“).

5) τυ (-τυ-ς; მდ. სქ. oxytona): ὀρχησ-τύ-ς „ცეკვა“ (ὀρχέ-ομαι „ვცეკვავ“; ἑδη-τύ-ς „საჭმელი“ (ἔδ-ω „ვჭამ“).

6) μο (-μό-ς; მამრ. სქ. oxytona: σπασ-μό-ς „კრუნჩხვა“: διωγ-μό-ς „დევნა“ (διώκ-ω „ვდევ“); δεσ-μό-ς „შეკვრა“, „ბორკილი“ (δέ-ω „ვკრავ“).

7) μα (-μη, -μα; მდ. სქ.): τι-μή „პატივი“ (τί-ω „პატივს ვცემ“); τόλ-μα „გამბედაობა“ (τλᾶ-ναι „გაბედვა“).

3. მოქმედების შედეგის სახელები (nomina rei actionis). ასეთ სახელთა სუფიქსებია:

1) ματ (-μα; ლათ. men; რუს. мя; საშ. სქ.): ποίη-μα „თხზულება“ (ποιέ-ω „ვქმნი“) δέρ-μα „ტყავი“ (δέρ-ω „ვატყავებ“).

2) ες (-ος; საშ. სქ.): ἔθ-ος „ჩვეულება“, „ხასიათი“ (ἐθ-ίζ-ω „ვაჩვევ“); γέν-ος „გვარი“, „მოდგმა“ (γί-γν-ομαι „წარმოვშობ“); τέκ-ος „ნაშიერი“ (τί-κτ-ω „ვშობ“); ψεῦδ-ος „ტყუილი“ (ψεύδ-ω „ვცრუობ“).

3) λα, ρα, μα, (α)να (-λη, -ρα, -μη, -νη; მდ. სქ.): στή-λη „სვეტი“ (ἵστημι „ვდგამ“); ἕδ-ρα „სავარძელი“ (καθ-έζομαι „ვჯდები“); γνώ-μη „აზრი“ (γι-γνώ-σκω „ვცნობ“); τέχ-νη „ხელოვნება“ (τέκ-των „მშენებელი“).

4) λο, (α)νο, ρο (-λο-ς. -λο-ν, -ρο-ς, -ρο-ν, -νο-ς, -νο-ν; მამრ. და საშ. სქ.): ἄθ-λο-ς „შეჯიბრი“; ἄθ-λο-ν „ჯილდო“; τάφ-ρο-ς „თხრილი“ (θάπτω „ვმარხავ“); δῶ-ρο-ν „საჩუქარი“ (δί-δω-μι „ვაძლევ“); στέφ-ανο-ς „გვირგვინი“ (στέφ-ω „შემოვავლებ“); δρέπ-αν-ο-ν „ნამგალი“ (δρέπ-ω „ვწყვეტ“).

4. იარაღისა და მოქმედების საშუალების სახელები:

1) τρο (-τρον: საშ. სქ.): ἄρο-τρο-ν „გუთანი“ (ἀρό-ω „ვხნავ“).

2) θρο (-θρον; საშ. სქ.): κλεῖ-θρο-ν „ურდული“ (κλεί-ω „ვკეტავ“).

5. ადგილის სახელები (nomina loci):

1) τρα (-τρα; მდ. სქ.); ὀρχή-σ-τρα „საცეკვაო ადგილი“ (ὀρχέ-ομαι „ვცეკვავ“); παλαί-σ-τρα – პალესტრა – „სავარჯიშო სკოლა“ (παλαί-ω „ვჭიდაობ“.)

2) τηρ-ιο (-τηρ-ιο-ν; საშ. სქ. proparoxytona); δικασ-τήρ-ιο-ν „სამსჯავრო“ (δικάζ-ω „განვსჯი“); ἀκροα-τήρ-ιο-ν ლათ. auditorum „მოსასმენი ადგილი“ (ἀκροά-ομαι „ვისმენ“).

3) (ε)ιο (-(ε)ιον; საშ. სქ. ხშირად properispomena): κουρ-εῖο-ν „სადალაქო“ (κουρεύς „დალაქი“); μυσ-εῖο-ν მუზეუმი, „მუზათა სამყოფელი“ (μοῦσα მუზა); γυμνάσ-ιο-ν გიმნაზია – „სავარჯიშო ადგილი“ (γυμνάζ-ω „ვვარჯიშობ“).

4) ων (-ων; მამრ. სქ. oxytona): ἀμπελ-ών „ვენახი“, „ზვარი“ (ἄμπελος „ყურძენი“); παρθεν-ών პართენონი, „ქალწულთა სადგომი“ (παρθένος „ქალწული“).

6. თვისების სახელები (nomina qualitatis). ეს სახელები ჩვეულებრივ იწარმოება ზედსართავი სახელების ფუძეთაგან და აბსტრაქტულ ცნებებს გამოხატავენ. მაწარმოებელი სუფიქსებია:

1) τητ (-της; მდ. სქ.): νέος-της „ახალგაზრდობა“ (νέος „ახალი“); ἰσότης „თანასწორობა“ (ἴσος „თანასწორი“).

2) συνα (συνη; მდ. სქ. paroxytona): δικαιο-σύνη „სამართლიანობა“ (δίκαιος „სამართლიანი“); σωφρο-σύνη „კეთილგონიერება“ (σώφρων „გონიერი“).

3) ια (-ιᾱ, -ιᾶ): ἀλήθει-ια „ჭეშმარიტება“ (ἀληθής „ჭეშმარიტი“; εὐδαιμον-ία „ნეტარება“ (ευδαίμων „ნეტარი“).

7. კნინობითი სახელები (nomina deminutiva):

1) ιο (ιον; საშ. სქ. paroxytona): παιδ-ίο-ν „ბიჭუნა“ (παῖς „ბავშვი“).

2) ιδ-ιο (-ιδ-ιο-ν; საშ. სქ: proparoxytona): οἰκ-ίδ-ιο-ν „პატარა სახლი“ (οἰκία „სახლი“).

3) αρ-ιο (-αρ-ιο-ν; საშ. სქ. proparoxytona): παιδ-άρ-ιο-ν „ბიჭუნა“ (παῖς „ბავშვი“).

4) υδριον (-υδριον; საშ. სქ. proparoxytona): μελ-ύδριον „პატარა სიმღერა“ (μέλος „სიმღერა“).

5) υλλιον (-υλλιον; საშ. სქ. proparoxytona): εἰδ-ύλλιο-ν „პატარა სურათი“-იდილია (εἶδος „სახე“); ἐπ-ύλλιο-ν „პატარა პოემა“ – ეპილიონი (ἔπος „ამბავი“).

6) ισκο, ισκα (-ισκο-ς მამრ. სქ. ίσκη მდ. სქ.): παιδ-ίσκο-ς „ბიჭუნა“; παιδ-ίσκη „გოგონა“.

8. ჩამომავლობის სახელები (patronymica): წინაპართაგან (მამის, პაპის, იშვიათად დედის) ჩამომავლობას აღნიშნავენ სუფიქსები:

1) δα (-δη-ς მამრ. სქ. I კანკლ. paroxytona); δ (-ς → άς, -ίς მდ. სქ. III კანკლ. oxytona): Βορεά-δη-ς „ბორეას ვაჟი“; Βορεάς, Βορεάδος „ბორეას ასული“ (Βορέας); Κεκροπ-ί-δη-ς „კეკროპსის ვაჟი“; Κεκροπίς „კეკროპსის ასული“ (Κέκροψ); Πηλε-ί-δη-ς „პელევსის ძე“ – „აქილევსი“ (Πηλεύς); Λητο-ί-δη-ς „ლეტოს ძე“ – აპოლონი (Λητώ). Κρον-ί-δη-ς „კრონოსის ძე“ – ზევსი (Κρόνος).

2) ιον ιων (-ιων; მამრ. სქ.): Κρον-ίων=Κρονίδης „კრონოსის ძე“ (Κρόνος); Πηλε-ίων=Πηλείδης „პელევსის ძე“.

9. სადაურობის სახელები (nomina gentilia).

1) ιο (-ιος) – ამ სუფიქსით იწარმოება გაარსებითებული ზედსართავი სახელები: Ἀθηναῖος „ათენელი“; Θηβαῖος „თებელი“ (ლათ.=Atheniensis, Thebanus). მდ. სქესში: Ἀθηναία, Θηβαία. ამავე ტიპისაა სუფიქსი -(ι)κός, ((ι)κά): Ἰων-ικός (Ἴωνες) „იონიელი“. ასეთივეა სუფიქსი -νό-ς, (-νή): Σαρ-δι-ανό-ς „სარდელი“ (Σάρδεις), Λαμψακ-ηνό-ς „ლამფსაკელი“; Βυζαντ-ῖνο-ς „ბიზანტიონელი“, „ბიზანტიელი“ (Βυζάντιον).

2) ευ (-ευς; მამრ. სქ. oxytona): Πλαταιεύς, Πλαταιέως „პლატეელი“ (ἡ Πλάταια); Ἐρετριεύς „ერეტრიელი“ (ἡ Ἐρέτρια), Μεγαρεύς „მეგარელი“ (τὰ Μέγαρα), Αἰολεύς – Αἰολεῖς „ეოლიელები“ (Αἴολος – ეოლოსი – ეოლიელთა მითიური წინაპარი).

3) τα (-τη-ς; მამრ. სქ. paroxytona): Τηγεά-τη-ς „ტეგეელი“ (ἡ Τεγέα); Αἰγινή-τη-ς „ეგინელი“ (ἡ Αἴγινα); Σικελιώ-τη-ς „სიცილიელი“ (ἡ Σικελία).

მდედრობითი სქესის სახელთა მაწარმოებელი სუფიქსებია: -αδ, -ιδ, -τιδ: Δηλι-άς, Δηλι-άδ-ος „დელოსელი ქალი“; Μεγαρ-ίς, Μεγαρ-ίδ-ος „მეგარელი ქალი“; Πλαταιῖς, Πλαταιῖδ-ος „პლატეელი ქალი“; Τεγεα-τίς, Τεγεα-τίδ-ος „ტეგეელი ქალი“; Σικελιῶ-τις, Σικελιώ-τιδ-ος „სიცილიელი ქალი“.

B. ზედსართავ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსები

ფრჩხილებში ნაჩვენებია სახელობითი ბრუნვის ბოლოკიდურები და მახვილის რაგვარობა:

1) ο, α (-ος, -η ან -α, -ον; ხშირად oxytona): λοιπ-ό-ς „დანარჩენი“ (λείπ-ω „ვტოვებ“); λευκ-ό-ς „თეთრი“ (λεύσσ-ω „ვათეთრებ“).

2) ιο, ια (ιος; proparoxytona): ἄγ-ιο-ς „წმიდა“; οὐράν-ιο-ς „ზეციური“ (οὐρανός „ცა“); θε-ῖο-ς „ღვთაებრივი“ (θεός „ღმერთი“).

3) εντ (-εις, -εσσα, -εν; paroxytona): ὑλή-εις „ტყიანი“ (ὕλη „ტყე“); ἡμαθό-εις „ქვიშიანი“ (ἄμαθος „ქვიშა“).

4) εο (-εος proparoxytona; შერწყმული ους – perispomena): χρύσεος=χρυσοῦς „ოქროსი“ (χρυσός „ოქრო“).

5) εσ (-ης, -ες; ხშირად oxytona): ἀληθ-ής „ჭეშმარიტი“, ψευδ-ής „ცრუ“.

6) κο, ακο, ικο (-κος; oxytona): μαντι-κό-ς „წინასწარმეტყველური“ (μάντι-ς „მისანი“); βασιλ-ι-κό-ς „მეფური“ (βασιλεύ-ς „მეფე“); φυσι-κό-ς „ბუნებრივი“ (φύσι-ς „ბუნება“); πολει-μ-ι-κό-ς „საომარი“, „მეომრული“ (πόλεμο-ς „ომი“).

7) λο (-λος; ხშირად oxytona): δει-λό-ς „მხდალი“, ἀπατη-λό-ς „მატყუარა“; τυφ-λό-ς „ბრმა“.

8) μο (-μο-ς: oxytona და proparoxytona): θερ-μό-ς „თბილი“; μάχι-μο-ς „მებრძოლი“.

9) μον (-μων, -μον; barytona): ἐπιλήσ-μων ἐπιλῆσ-μον „გულმავიწყი“; τλή-μων „მომთმენი“.

10) νο (-νος; oxytona): δει-νός „საშიში“; ἱκ-ανό-ς „საკმაო“; πιθ-ανό-ς „დამარწმუნებელი“.

11) ινο (-ινο-ς; proparoxytona): λίθ-ινο-ς „ქვისა“ (λίθος „ქვა“); ἀνθρώπ-ινο-ς „ადამიანური“ (ἄνθρωπος „ადამიანი“).

12) ρο, ρα (-ρος, -ρα; oxytona): ἐχθ-ρό-ς „მტერი“, „მტრული“; λαμπρό-ς „ბრწყინვალე“.

13) τηρ-ιο (-τηριος; proparoxytona): θελκ-τήριο-ς „მომაჯადოებელი“ (θέλγ-ω „ვაჯადოებ“).

14) υ (-ύς, -εῖα, -ύ oxytona): ἡδ-ύς „საამო“; ταχ-ύς „სწრაფი“.

15) ωδεσ (-ώδης, ῶδες barytona): αἱματ-ώδη-ς „სისხლისებრი“; πρεπώδη-ς „შესაფერი“„რიგიანი“.

C. ნასახელარი ზმნები

ზმნები იწარმოება როგორც არსებითი, ისე ზედსართავი სახელების ფუძეებისაგან. ნასახელარ ზმნათა დაბოლოებებია:

1) -αω: τιμά-ω „პატივს ვცემ“ (τιμή „პატივი“).

2) -εω: ἀριθμέ-ω „ვთვლი“ (ἀριθμός „რიცხვი“).

3) -οω: ζημιό-ω „ვსჯი“ (ζημία „სასჯელი“).

4) -ευω: παιδεύ-ω „ვზრდი“ (παῖς „ბავშვი“).

5) -υω: δακρύ-ω „ვტირი“ (δάκρυ=δάκρυον „ცრემლი“).

6) -αζω, -ιζω: ἑλληνίζ-ω „ბერძნულად ვლაპარაკობ“ (Ἕλλην „ბერძენი“); ἐλπίζ-ω „ვიმედოვნებ“ (ἐλπίς „იმედი“).

7) -αινω: χαλεπαίν-ω „ვწყრები“ (χαλεπός „მძიმე“, „მკაცრი“).

8) -υνω: λαμπρύν-ω „ვაპრიალებ“ (λαμπρός „ბრწყინვალე“).

II. თხზვა. თხზვა ანუ კომპოზიცია (compositio) არის ახალი სახელის შექმნა ორი და მეტი სიტყვის შეერთებით.

რთული სიტყვის ანუ კომპოზიტის პირველი შემადგენელი ნაწილი შეიძლება იყოს სახელის ფუძე, ზმნის ფუძე, რიცხვითი სახელი, წინდებული, ზმნიზედა, გამოუყოფელი პრეფიქსი.

რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი ჩვეულებრივ ინახავს თავის ფუძეს: σακέσ-παλος „ფარის მრხეველი“ (τὸ σάκος „ფარი“); χορο-διδάσκαλος „გუნდის მასწავლებელი“ (ὁ χορός „გუნდი“).

თანხმოვანფუძიანი სახელები კომპოზიტის მომდევნო ნაწილს ჩვეულებრივ უკავშირდება ο შემაერთებელი ხმოვნით: πατρ-ο-κτόνος „მამის მკვლელი“. ამ ხმოვნის მეშვეობით უერთდება მომდევნო ნაწილს ι და υ ხმოვნებზე დაბოლოებული ფუძეებიც: φυσι-ο-λόγος „ბუნების-მეტყველი“; ἰχθυ-ο-φάγος „თევზის მჭამელი“.

შემაერთებელი ο ხშირად ენაცვლება ფუძისეულ α-ს: χωρο-γράφος „ქვეყნის აღმწერი“ (ἡ χώρα „ქვეყანა“).

მომდევნო სიტყვის თავკიდური მოკლე ხმოვანი ჩვეულებრივ გრძელდება: στρατ-ηγός „სარდალი“ (ἄγω „მომყავს“); κατ-ήγορος „ბრალმდებელი“ (ἀγορεύω „ვლაპარაკობ“); ἀν-ών-υμος „უსახელო“ (τὸ ὄνομα „სახელი“).

თუ რთული სიტყვა ზედსართავი სახელია, მომდევნო სიტყვის დაბოლოება ხშირად შეცვლილია: φιλό-τιμος „პატივმოყვარე“ (ἡ τιμή „პატივი“).

წინდებული (პრევერბი), რომელიც ზმნას უკავშირდება, არამყარ კომპოზიტს ჰქმნის: ἀπο-βάλλω „ვაგდებ“ – ἀπ-έ-βαλον „გადავაგდე“; აქ წინდებული ზმნისაგან აუგმენტმა გათიშა. წინდებულისა და ზმნის განცალკევება ხშირია პოეზიაში ე.წ. ტ მ ე ს ი ს ი ს (τμῆσις) მეშვეობით: κατὰ βοῦς... ἧσθιον (κατ-ήσθιον).

კ ო მ პ ო ზ ი ტ თ ა მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა. რთული შედგენილობის არსებითი და ზედსართავი სახელები მნიშვნელობის მიხედვით სამ ჯგუფად იყოფა:

1. Composita determinativa (განსაზღვრებითი კომპოზიტები). ასეთ კომპოზიტებში პირველი შემადგენელი ნაწილი განსაზღვრავს მეორეს, რომელიც ძირითადია რთულ სიტყვაში: μεσ-ημβρία „შუადღე“ (=μέση ἡμέρα); ἀκρό-πολις აკროპოლისი „ციხე-სიმაგრე“ (ἄκρα πόλις).

2. Composita possessiva. პოსესიურ კომპოზიტში პირველი სიტყვა განსაზღვრავს მეორეს, ხოლო ორივე ერთად გამოხატავს ახალ ცნებას, რომელიც განკუთვნილია სხვა სიტყვისათვის: ἀργυρό-τοξος „ვერცხლმშვილდოსანი“ (=„ვერცხლის მშვილდის მქონე“, ე.ი. აპოლონი), γλαυκ-ῶπις „ნათელთვალა“ (=„ნათელი თვალების მქონე“, ე.ი. ღმერთქალი ათენა); ῥοδο-δάκτυλος „ვარდთითა“ (=„ვარდისფერ თითთა მქონე“, ე.ი. ეოსი „განთიადი“).

3. Composita obiectiva – მართულ-მსაზღვრელიანი კომპოზიტი. ასეთ კომპოზიტებში ან პირველი შემადგენელი სიტყვა მართავს მეორეს გრამატიკულად, ანდა პირიქით – მეორე პირველს:

ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა: στρατό-πεδον „ბანაკი“ (=στρατοῦ πέδον „ჯარის ადგილი“); ἀξιό-λογος „ღირსსახსოვარი“ (=ἄξιος λόγου „ღირსი სიტყვისა“).

მ ი ც ე მ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა: ἰσό-θεος „ღვთისსწორი“ (=ἴσος θεῷ).

ა კ უ ზ ა ტ ი ვ უ ს ი: ἡνί-οχος „მეეტლე“ (=τὰ ἡνία ἔχων „სადავეთა მპყრობელი“); φιλό-μουσος „მუზათა მოყვარული“ (φιλῶν τὰς μούσας).

პრეფიქსაცია. რთულ სიტყვაში პირველ შემადგენელ ნაწილად ხშირადაა გამოყენებული წინდებულები და ზმნიზედები.

წ ი ნ დ ე ბ უ ლ ე ბ ი, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, მონაწილეობენ რთული შედგენილობის ზმნის წარმოებაში: ἐκ-λέγω „ვარჩევ“ (ეკლექტიკა); ἀπο-στέλλω „ვგზავნი“ (აპოსტოლი – მოციქული); ἀπο-βάλλω „გადმოვაგდებ“; ἐκ-βάλλω „გა-ვაგდებ“, κατα-βάλλω „ჩამო-ვაგდებ“.

ზოგჯერ ზმნას წინ ერთვის ორი და ხან სამი წინდებულიც მოქმედების მიმართულების დასაზუსტებლად: ἐξ-αν-ίσταμαι „ვდგები“; ἐξ-υπ-αν-ίσταμαι „ვდგები“; συν-επ-αν-ίσταμαι „ვდგები ვინმესთან ერთად“ (შდრ. რუს. из-рас-ходовать, по-об-за-вестись, по-раз-с-просить და სხვ.).

წინდებულებით პრეფიქსაცია ჩვეულებრივ ნაზმნარ სახელებს ახასიათებს: εἴσ-οδος „შესავალი“ (εἰσ-ιέναι); ἀντί-θεσις „დაპირისპირება“ – ანტითეზა (ἀντι-τίθημι); σύν-ταξις „შედგენა“ – სინტაქსი (συν-τάσσω); μεταμορφῶσις „გარდაქმნა“ – მეტამორფოზა; (μετα-μορφέω); περί-οδος „შემოვლა“ (περι-οδεύω) ὑπό-θεσις „ვარაუდი“ – ჰიპოთეზა (ὑπο-τίθημι) და სხვ.

ზმნიზედები პრეფიქსებად:

1) εὖ (კარგად): εὐ-σεβής „ღვთისმოსავი“; εὐ-γενής „კეთილშობილი“; εὐ-κλεής „სახელოვანი“; εὔ-κομος „ლამაზთმიანი“.

2) πάλιν (კვლავ): παλίν-σοος „კვლავ დახსნილი“ („გადარჩენილი“); παλίμ-ψηστος „კვლავ გადაფხეკილი“ (პალიმფსესტი).

3) πᾶν (მთლად): παν-τελής „მთლიანად დასრულებული“; πάν-θειον „ყველა ღმერთის ტაძარი“ (პანთეონი); πάν-νυχα „მთელ ღამეს“; πάμ-πολυς „მთლად ბევრი“.

4) πολύ (მრავლად): πολυ-άνθρωπος „ხალხმრავალი“; πολύ-γλωσσος (πολύ-γλωττος) „მრავალენოვანი“ (პოლიგლოტი).

5) ἄγαν (ხმოვანთა წინ – ν და ρ-ს გამოკლებით – იხმარება ἄγα: ძალზე, მეტად, ფრიად): ἀγα-κλειτός „ფრიად სახელოვანი“; ἀγάν-νιφος „თოვლმრავალი“; ἀγά-ῥ-ροος „მძლავრად მდინარე“.

6) δίς (ზოგჯერ δι-: ორგზის): δισ-θανής „ორგზის მკვდარი“; δί-γλωσσος „ორენოვანი“.

7) τρίς (ზოგჯერ τρι-: სამგზის): τρίσ-μακαρ „სამგზის ნეტარი“; τρί-πους „სამფეხი“, τρί-πτουχος „სამკეცი“ (ტრიპტიხი).

გამოუყოფელი ნაწილაკები. ეს ისეთი ნაწილაკებია, რომლებიც დამოუკიდებლად არ იხმარება და მხოლოდ რთული სიტყვის საწარმოებლად გამოიყენება.

1) ἀ(ν)- (ἀν – ხმოვანთა წინ, ἀ – თანხმოვანთა წინ) ეს არის ეგრეთ წოდებული alpha privativum – უკუთქმითი (უარყოფითი) ალფა: ἀν-άξιος „უ-ღირსი“; ἄ-θεος „უ-ღმერთო“; ἄν-αιδής „უ-რცხვი“; ἄ-παις „უ-შვილო“.

შენიშვნა: იმ სიტყვათა წინ, რომლებიც თავის დროზე F, σ, ან σF ბგერებით იწყებოდა, დაისმის ἀ: ἀ-ἑκων (<ἀ-F-ἑκων) „უ-ხალისო“; ἄ-υπνος (<ἀ-συπνος; შდრ. ლათ. somnus<sop-nus; რუს. сон < сопн, у-соп-ший) „უ-ძილო“ ἀ-ήθης (<ἀ-σFηθ-) „უ-ჩვევი“.

უკუთქმითი ალფასაგან უნდა გავარჩიოთ: ა) მაკავშირებელი ἀ – α copulativum (<ἀ<σα): ἄ-πας „ყველა ერთად“; ἄ-κοιτις, ἄ-λοχος „თანამეცხედრე“, „მეუღლე“ (შდრ. су-пруга). ἀ-κόλουθος „თანამგზავრი“ (შდრ. с-путник); ბ) გამაძლიერებელი ἀ – α intensivum: ἄ-βρομος „მეტად ხმაურიანი“, ἀ-σπερχές „ფრიად ძლიერ“, „შეუწყვეტლივ“; გ) კეთილ-ხმოვნობის ἀ – α protheticum ანუ α euphonicum: ἀ-στεροπή იგივეა, რაც στεροπή „ელვა“.

2) ἡμι (ლათ. semi, რუს. полу-, ნახევრად): ἡμι-θνής „ნახევრად მკვდარი – ცოცხალმკვდარი“; ἡμί-ονος „ნახევრად ვირი“ – „ჯორი“.

3) δυσ (გამოხატავს εὖ ზმნიზედის საპირისპირო ცნებას და მიუთითებს უარყოფითობასა და სიძნელეზე): δυσ-τυχής=ἀ-τυχής „უ-ბედური“ (εὐ-τυχής „ბედნიერი“); Δύσ-παρις „უბედური პარისი“.

4) νη – უკუთქმითი ნაწილაკი: νηλεής (νη-ἔλεος) „უწყალო“, „შეუბრალებელი“; νώνυμος (νη-όνυμος) „უსახელო“; νηνεμία (νη-ἄνεμος) „უქარობა“; νημερτής „შეუცდომი“ (νη-ὁμαρτάνω).

5) ἀρι, -ἐρι (ფრიად): ἀρι-πρεπής „მშვენიერი“, ἐρι-κυδής „ფრიად სახელოვანი“.

6) ὁμο- (თანა): ὁμο-εθνής (τὸ ἔθνος) „თანამემამულე“; ὁμο-γενής „ერთგვაროვანი“.

7) περι – გამაძლიერებელი ნაწილაკი: περι-καλλής „ფრიად მშვენიერი“ (შდრ. пре-красный), περι-μήκης „ფრიად გრძელი“ (пре-длинный).

სინტაქსი

(ძირითადი ცნობები)

ქვემდებარე და შემასმენელი

1. ბერძნულ ენაში ქვემდებარე (subiectum) ყოველთვის სახელობით ბრუნვაში დგას. შემასმენელი – ზმნა (praedicatum) შეთანხმებულია ქვემდებარესთან პირსა და რიცხვში. თუ შემასმენელი შედგენილია, მისი სახელადი ნაწილი (nomen praedicati: ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი, ბრუნებადი რიცხვითი სახელი, მიმღეობა) შეთანხმებულია ქვემდებარესთან სქესში, რიცხვსა და ბრუნვაში.

2. თუ ქვემდებარე საშუალო სქესის სახელია და მრავლობით რიცხვში დგას, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი სრულადაა შეთანხმებული ქვემდებარესთან (სქესში, რიცხვსა და ბრუნვაში). ზმნური ნაწილი კი ჩვეულებრივ მხოლობით რიცხვში დაისმის:

ζῷα πάντα θνητά ἐστιν „ყველა ცხოველი მოკვდავია (მოკვდავნი არის)“.

τὰ Ἀλεξάνδρου ἔργα θαυμάσιά ἐστιν „ალექსანდრე [მაკედონელის] საქმენი საკვირველნი არიან (არის)“.

3. თუ ქვემდებარე ორობით რიცხვშია, შემასმენელი შეიძლება ორობით რიცხვშიც დაისვას და მრავლობითშიც.

δύο στρατηγὼ τέθνατον (ან τεθνᾶσι) „ორი სარდალი დაიღუპა (დაიღუპნენ)“.

4. თუ ქვემდებარე ცოცხალ არსებათა გამომხატველი კრებითი სახელია (მაგალითად: τὸ πλῆθος „ხალხმრავლობა“, ἡ στρατιά „ჯარი“, ἡ πόλις „ქალაქი“, ὁ δῆμος „ხალხი“ და მისთ.), შემასმენელი ხშირად მრავლობით რიცხვში დაისმის (ესაა ე.წ. აზრობრივი შეთანხმება – constructio κατὰ σύνεσιν): ταῦτα ἀκοῦσασα ἡ πόλις Ἀγησίλαον εἵλοντο βασιλέα „როცა ქალაქმა (მოქალაქეობამ) ეს მოისმინა, აგესილაე მეფედ აირჩია (აირჩიეს)“.

5. თუ ქვემდებარე ნაცვალსახელია, იგი ჩვეულებრივ გამოტოვებულია წინადადებაში და დაისმის მხოლოდ მაშინ, თუ მასზე ლოგიკური მახვილია: ἐγώ τε καὶ σὺ ταὐτὰ λέγομεν „მეცა და შენც ერთსა და იმავეს ვამბობთ“.

6. მამრობითი ან მდედრობითი სქესის ქვემდებარესთან შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი (ზედსართავი სახელი) ზოგჯერ

საშუალო სქესში დაისმის. ასეთი ზედსართავი სახელი ჩვეულებრივ გაარსებითებულია: ἡ πατρὶς φίλτατόν (ἐστι) βροτοῖς „სამშობლო ყველაზე ძვირფასი (რამაა) მოკვდავთათვის“.

7. თუ წინადადებაში რამდენიმე ქვემდებარეა, შემასმენელი, როგორც წესი, შეთანხმებულია მასთან ახლოს მდგომთან: ἐστρατήγει Ἀριστεὺς καὶ Καλλικράτης καὶ Τιμάνωρ „სარდლობდა (სარდლობდნენ) არისტევსი, კალიკრატე და ტიმანორი“.

8. გარემოება (დროისა, ვითარებისა, ადგილისა), რომელიც ქართულ ენაში ზმნიზედითაა გამოხატული, ბერძნულში ქვემდებარესთან ან დამატებასთან დაკავშირებული ზედსართავი სახელით გადმოიცემა: δευτεραῖος „მეორე დღეს“ ὄρθριος „ადრე“, νύχιος „ღამით“, σκοταῖος „წყვდიადში“, πρῶτος, πρότερος „უწინარეს“, „პირველად“, ὕστατος, ὕστερος, τελευταῖος „ბოლოს“, ἄσμενος „ხალისით“, ἑκών „ნებით“, ἄκων „უნებლიეთ“, τριταῖος „მესამე დღეს“ და სხვ.

τριταῖοι ἀφίκοντο εἰς τὴν πόλιν „მესამე დღეს (ისინი) მოვიდნენ ქალაქში“; Κορίνθιοι ἔπεμπον εἰς Ἐπίδαμνον ἄσμενοι τὴν βοήθειαν „კორინთელებმა ხალისით წარგზავნეს ეპიდამნოსში დახმარება“.

9. შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი ἐστί(ν) და εἰσί(ν) ხშირადაა გამოტოვებული სენტენციებში, ანდაზებში უქვემდებარო წინადადებებში: ἔργον δ᾽οὐδὲν ὄνειδος, ἀεργίη δέ τ᾽ὄνειδος (Hes.) „შრომა არაა სირცხვილი, სირცხვილი უქნარობაა“; ὥρα (ἐστι) „დროა“.

ართრონი (არტიკლი)

ართრონი ბერძნულში ჩვენებითი ნაცვალსახელისაგან განვითარდა (ძველ ქართულ ენაშიც განსაზღვრული ნაწევრები – ესე, ეგე და იგი წარმოშობით ჩვენებითი ნაცვალსახელებია)[1].

1. ართრონი – ὁ მამრობითი სქესისა, ἡ მდედრობითი სქესისა და τό საშუალო სქესისა თან ახლავს უკვე ცნობილ არსებით სახელს როგორც მისი განმსაზღვრელი. მაგალითად, წინადადებაში φυλάττεσθαι δεῖ ἡμᾶς τὸν ἄνθρωπον' ართრონის მქონე სახელი გულისხმობს ცნობილ პირს (ფილიპე მაკედონელს) – „საჭიროა, რომ ჩვენ დავიცვათ კაცი იგი“.

[1] ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 658.

2. ართრონი ჩვეულებრივ თან ახლავს ისეთ არსებით სახელს, რომელიც გამოხატავს ერთგვაროვან საგანთა ჯგუფს, კლასს: ὁ ἄνθρωπος θνητός ἐστιν „ადამიანი მოკვდავია“ (იგულისხმება ყოველი ადამიანი).

3. შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს ართრონი არ დაესმის: Εὐριπίδης ἦν μαθητὴς Ἀναξαγόρου „ევრიპიდე ანაქსაგორას მოწაფე იყო“.

4. საკუთარ სახელს ართრონი ხან დაესმის, ხან – არა. გეოგრაფიულ და სატომო სახელებს, როგორც წესი, თან ახლავთ ართრონი: ἡ Ἀττική „ატიკა“, ἡ Ἑλλάς „ელადა“, οἱ Ἀθηναῖοι „ათენელები“.

5. მდინარეთა სახელები ჩაისმის „მდინარის“ აღმნიშვნელ სიტყვასა (ποταμός) და მის განმსაზღვრელ ართრონს შორის: ὁ Κῦρος ποταμός „მდინარე მტკვარი“, ὁ Εὐφράτης ποταμός „მდინარე ევფრატი“.

6. ადგილისა და დროის აღმნიშვნელ (უპირატესად წინდებულიან) გამოთქმებში ართრონი, როგორც წესი, არ დაისმის:

ἅμ᾽ ἕῳ „ალიონიდან“
ἅμ(α) ἡλίῳ ἀνίσχοντι „მზის ამოსვლისას“
ἡμέρας „დღისით“
νυκτός „ღამით“
ἐκ δεξιᾶς „მარჯვნიდან“
ἐξ ἀριστερᾶς „მარცხნიდან“
κατὰ γὴν καὶ κατὰ θάλατταν „ზღვასა და ხმელეთზე“.

7. ართრონი არ დაესმის აკუზატივუსში მდგარ გამოთქმებს: βάθος „სიღრმით“, εὖρος „სიგანით“, μῆκος „სიგანით“, ὄνομα „სახელით“ და სხვ.

8. ართრონის დასმით მეტყველების ყოველი ნაწილი შეიძლება გაარსებითდეს. ართრონი დაესმის და არსებით სახელად აქცევს: ზედსართავ სახელს, ნაცვალსახელს, ზმნიზედას, მიმღეობას, ზმნის უპირო ფორმას (ინფინიტივს) და სხვ. მაგალითად:

πλούσιος „მდიდარი“ – οἱ πλούσιοι „მდიდრები“
ἡμέτερος „ჩვენი“ – τὰ ἡμέτερα „ჩვენი ქონება“
παιδεύειν „აღზრდა“ – τὸ παιδεύειν „აღზრდა“
τότε „მაშინ“ – οἱ τότε „მაშინდელი ადამიანები“
παιδεύων „ის, ვინც ზრდის“ – ὁ παιδεύων „აღმზრდელი“.

9. ართრონის დასმით სიტყვა იცვლის მნიშვნელობას:

πολλοί „მრავალნი“ – οἱ πολλοί „უმრავლესობა“, „ხალხმრავლობა“
ἄλλοι „სხვები“ – οἱ ἄλλοι „დანარჩენნი“

ὀλίγοι „მცირენი“ – οἱ ὀλίγοι „ოლიგარქები“.

10. ზოგჯერ ართრონი არ დაესმით განსაზღვრული მნიშვნელობის მქონე სახელებს:

ἀκρόπολις „ციხე-სიმაგრე“ (ათენისა), ἄστυ „ქალაქი“ (ე.ი. ათენი): Κομίσαντες τὰ χρήματα εἰς ἄστυ κατέθεντο ἐν ἀκροπόλει „მოიტანეს განძი და დადეს ქალაქში (ათენში) აკროპოლისზე. სიტყვა ὁ βασιλεύς ართრონი საზოგადოდ „მეფეს“ აღნიშნავს, ართრონის გარეშე (βασιλεύς) კი – „სპარსთა მეფეს“.

11. ართრონი ჩვეულებრივ არ დაესმის განყენებული ცნებისა (nomina abstracta) და ნათესაობის აღმნიშვნელ სახელებს:

νόσων χαλεπώτατος φθόνος „სენთაგან ყველაზე უმძიმესია შური“

Οἱ Καρδοῦχοι ἔχοντες γυναῖκας καὶ παῖδας ἔφυγον ἐπὶ τὰ ὄρη „კარდუხები, რომელთაც ცოლები და შვილები ჰყავდათ, მთებში გაიქცნენ“.

12. ზოგჯერ ართრონი გამოხატავს მთელ სიტყვას, რომელსაც ეკუთვნის, თვით სიტყვა კი იგულისხმება. მაგალითად: ὁ τοῦ Φιλίππου „ფილიპეს ძე“; აქ იგულისხმება ὁ υἱός „შვილი“.

13. განმსაზღვრელი სიტყვა (ზედსართავი სახელი, მიმღეობა, კუთვნილებითი ნაცვალსახელი, ნათესაობით ბრუნვაში მდგარი სახელი) დაისმის ართრონსა და საზღვრულ სიტყვას შორის:

οἱ ἀγαθοὶ ἄνθρωποι „კარგი ადამიანები“; ὁ ἐμὸς πατήρ „ჩემი მამა“; ἡ τῶν Περσῶν ἀρχή „სპარსთა გამგებლობა“; τὸ τοῦ ὄνου φορτίον „ვირის ტვირთი“.

მსაზღვრელი შეიძლება საზღვრულის შემდეგაც დაისვას, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ართრონი განმეორდება: οἱ ἄνθρωποι οἱ ἀγαθοί „კარგი ადამიანები“: ὁ πατὴρ ὁ ἐμός „მამა ჩემი“; ἡ ἀρχὴ ἡ τῶν Περσῶν „გამგებლობა სპარსთა“. ეს არის ე.წ. ატრიბუტული განსაზღვრება.

14. თუ მსაზღვრელი ჩვენებითი ნაცვალსახელია, საზღვრულ არსებით სახელს ყოველთვის ახლავს ართრონი. მსაზღვრელი ჩვენებითი ნაცვალსახელი შეიძლება საზღვრულის წინაც დაისვას და მის შემდეგაც: οὗτος ὁ ἀνήρ ან ὁ ἀνὴρ οὗτος „ეს კაცი“.

15. ატიკურ პროზაში ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქცია აქვს ართრონს გამოთქმებში:

ὁ μέν – ὁ δέ „ერთი – მეორე“ („ეს – ის“); τὸ μέν – τὸ δέ (τὰ μέν – τὰ δέ) „ერთი მხრივ – მეორე მხრივ“, „ნაწილობრივ – ნაწილობრივ“; πρὸ τοῦ „აქამდე“, „იმ დრომდე“, (ე.ი. „იმ დროში), „უწინ“.

ბრუნვები და ბრუნვათა ფუნქციები

1. სახელობითი ბრუნვა. ბერძნულ ენაში სახელობითი ბრუნვა, ისევე როგორც სხვა ინდოევროპულ ენებში (ლათინურში, რუსულში...), არის ქვემდებარის ბრუნვა. ბერძნულ სახელობით ბრუნვას შეესაბამება ქართული სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვები, ვინაიდან ქართულ ენას შეუძლია ქვემდებარე ამ სამ ბრუნვაში ჰქონდეს.

გარდა ამისა, ბერძნულში სახელობით ბრუნვაში დაისმის აგრეთვე შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილიც. შედგენილი შემასმენლის ზმნურ ნაწილში გამოყენებულია ხოლმე ზმნები:

εἰμί ვარ, γίγνομαι ვიქმნები, ვხდები, μένω ვრჩები, δοκέω, φαίνομαι ვჩანვარ, λέγομαι, καλέομαι, ὀνομάζομαι ვიწოდები, νομίζομαι ვითვლები, αἱρέομαι ვირჩევი და სხვ.

ამრიგად, წინადადებაში იქმნება კონსტრუქცია ორი სახელობითი ბრუნვისა. შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ართრონი არ დაესმის:

Εὐριπίδης ἦν μαθητὴς Ἀναξαγόρου „ევრიპიდე ანაქსაგორას მოწაფე იყო“.

ამ წინადადებაში Εὐριπίδης არის ქვემდებარის სახელობითი, ხოლო μαθητής -სახელობითი ბრუნვა შედგენილი შემასმენლისა.

Κῦρος ἐγένετο βασιλεὺς τῶν Περσῶν „კიროსი სპარსთა მეფე გახდა“.

აქ ქვემდებარის სახელობითია Κῦρος, შედგენილი შემასმენლისა – βασιλεύς.

Περικλῆς ὑπὸ τῶν Ἀθηναίων στρατηγὸς ᾑρέθη „პერიკლე ათენელთა მიერ სარდლად იქნა არჩეული“ – ქვემდებარის სახელობითია Περικλῆς, შედგენილი შემასმენლისა – στρατηγός.

2. ნათესაობითი ბრუნვა. ბერძნულ ენაში ნათესაობით ბრუნვას სხვადასხვა დანიშნულება აქვს; მაგრამ ძირითადად იგი მსაზღვრელის გამოსახატავად იხმარება – აღნიშნავს კუთვნილებას და უპასუხებს კითხვაზე ვისი? რისი? ესაა ე.წ. genetivus possessivus, რომელიც ქართულად ნათესაობითივე ბრუნვით გადმოიცემა: ἡ τῶν Περσῶν χώρα „სპარსთა ქვეყანა“, ὁ Περικλέους λόγος „პერიკლეს სიტყვა“, ἡ Κύρου στρατιά „კიროსის ჯარი“.

გარდა ამისა, ბერძნულში ყველაზე უფრო დამახასიათებელია ნათესაობითი ბრუნვის ხმარების შემდეგი შემთხვევები:

ა) Genetivus subiectivus. ამ ნათესაობითით აღნიშნულია ლოგიკური ქვემდებარე: ὁ φόβος τῶν πολεμίων „შიში მტრებისა“, ე.ი. სუბიექტია მტრები, რომელთაც ეშინიათ.

ბ) Genetivus obiectivus. ამ ნათესაობითით აღნიშნულია დამატება, რომელზედაც ვრცელდება გამონათქვამში მოხსენებული აქტი. ზემოთ დამოწმებული გამონათქვამი ὁ φόβος τῶν πολεμίων შეიძლება ნიშნავდეს „მტრების შიშს“, ე.ი. შიშს, რომელსაც ვიღაცა განიცდის მტრების წინაშე.

ნათესაობითი ბრუნვა დამატებას გამოხატავს შემდეგ გამონათქვამებში: ἡ τῆς πόλεως ἅλωσις „ქალაქის აღება“, ἡ τῆς πατρίδος σωτηρία „მამულის ხსნა“, Θεῶν ὅρκοι „ღმერთების ფიცი“, ἐλπὶς σωτηρίας „იმედი ხსნისა“ და სხვ.

„ობიექტის ნათესაობითი“ დაისმის შემდეგ ზედსართავ სახელებთან და ზმნებთან:

ἔμπειρος გამოცდილი	αἴτιος დამნაშავე
ἄπειρος გამოუცდელი	ἔρημος აღკვეთილი
ἐπιστήμων მცოდნე	ὑπήκοος მორჩილი
μνήμων მხსომებელი	μιμνήσκομαι ვიხსენებ
ἀμνήμων გულმავიწყი	μέμνημαι მახსოვს
ἐπιμελής მზრუნველი	ἐπιλανθάνομαι მავიწყდება
ἀμελής უგულებელმყოფელი	φροντίζω ვზრუნავ
μέτοχος მონაწილე	ἀμελέω უგულებელვყოფ
ἄξιος ღირსეული	φείδομαι ვზოგავ
πλήρης სავსე	ἐπιθυμέω მსურს
ἐγκρατής თავშეკავებული	ἁμαρτάνω ვცდები
ἱερός შეწირული	ἅπτομαι ვეხები და სხვ.

გ) Genetivus partitivus – „გამოყოფითი ნათესაობითი“. ეს არის მრავლობით რიცხვში დასმული, მთელი ერთეულის აღმნიშვნელი ნათესაობითი, რომლისგანაც გამოიყოფა ნაწილი, რაც მსაზღვრელი სიტყვით გამოიხატება. ასეთი ნათესაობითი ქართულად გადმოიცემა მრავლობითი რიცხვის გან- თანდებულიანი ნათესაობითი ბრუნვით.

პარტიტიული ანუ გამოყოფითი ნათესაობითი უფრო ხშირად იხმარება აღმატებითი ხარისხის ზედსართავ სახელთან, კითხვითსა და განუსაზღვრელ ნაცვალსახელებთან, ზედსართავ სახელებთან: πολλοί „მრავალნი“, ὀλίγοι „მცირენი“, ἕκαστος „თითოეული“, რიცხვით სახელთან: εἷς „ერთი“, μόνος „მხოლოდ ერთი“.

„გამოყოფითი ნათესაობითი“ არასდროს არ დაისმის ართრონსა და არსებით სახელს შორის: იგი ან ართრონს უსწრებს წინ, ანდა არსებითი სახელის შემდეგ დგას.

მაგალითები:

ὁ σοφώτατος τῶν ἀνθρώπων „უბრძნესი ადამიანთაგან“;

Ἀριστείδης ἦν δικαιότατος πάντων τῶν Ἀθηναίων „არისტიდე ყველაზე სამართლიანი იყო ათენელთაგან“;

οὐδεὶς τῶν πολιτῶν „არც ერთი მოქალაქეთაგან“;

πολλοὶ τῶν ἀνθρώπων „მრავალნი ადამიანთაგან“.

დ) Genetivus comparationis – „შედარების ნათესაობითი“ (შდრ. ლათინური ablativus comparationis). ეს ნათესაობითი დაისმის ზედსართავი სახელების ან ზმნიზედების შედარებით ხარისხთან ἤ კავშირის ნაცვლად, რომელიც სახელობითს ან აკუზატივუსს (იშვიათად მიცემითს) მოითხოვს:

ἀναρχίας γε μεῖζον οὐκ ἔστιν κακόν (Soph.) „ანარქიაზე უფრო დიდი ბოროტება არ არსებობს“ (ἀναρχίας=ἢ ἀναρχία);

πολλῶν χρημάτων κρείττων ὁ παρὰ τοῦ πλήθους ἔπαινος (Isocr.) „მრავალ ფულზე უკეთესია ქება ხალხისაგან“ (πολλῶν χρημάτων=ἢ πολλὰ χρήματα).

ე) Genetivus temporis – „დროის ნათესაობითი“. ასეთი ნათესაობითი იხმარება დროის აღსანიშნავად: ἡμέρας „დღისით“, νυκτός „ღამით“, ἦρος „გაზაფხულზე“. θέρους „ზაფხულში“, χειμῶνος „ზამთარში“.

3. მიცემითი ბრუნვა. ბერძნული მიცემითი ქართულში გადმოიცემა საკუთრივ მიცემითი ბრუნვით, -თვის თანდებულიანი სახელით და მოქმედებითი ბრუნვით.

მიცემითი ბრუნვა ბერძნულ ენაში უპირატესად ირიბი დამატების გამოსახატავად იხმარება. გარდა ამისა, მიცემითს აქვს სხვა სპეციალური მნიშვნელობებიც:

ა) Dativus commodi და incommodi. ამ მიცემითით აღინიშნება საგანი, რომლის სასარგებლოდ ან საზიანოდ ხდება მოქმედება:

γεγενήμεθα τῇ πατρίδι „[ჩვენ] დავიბადეთ სამშობლოსათვის“;

ὁ πόλεμος τοῖς ἄνθρωποις πενίαν φέρει „ომს ადამიანებისათვის სიღარიბე მოაქვს“.

ბ) Dativus possessivus – „კუთვნილების მიცემითი“. ეს მიცემითი აღნიშნავს პირს, რომელსაც რაიმე განეკუთვნება:

ἔστι μοι βίβλιον „მე მაქვს წიგნი“ (სიტყვა-სიტყვით: „ჩემთვის არის წიგნი“); ἦσαν Κροίσῳ δύο παῖδες „კრეზეს ორი შვილი ჰყავდა“ (სიტყვა-სიტყვით: „კრეზესათვის ორი შვილი იყო“).

გ) Dativus instrumenti – „იარაღის მიცემითი“ (ინსტრუმენტალისი). ამ მიცემითით აღინიშნება საგანი, რომლის შემწეობითაც რაიმე ხდება. ასეთ მიცემითს ლათინურში შეესაბამება ablativus instrumenti, ქართულში კი – მოქმედებითი ბრუნვა:

ὁ βοῦς κέρατι παίει „ხარი რქით სცემს“ (Xen.);

τρέφεται ψυχὴ μαθήμασι „სული მეცნიერებებით იკვებება“ (Plat.);

ὁρῶμεν τοῖς ὀφθαλμοῖς, ἀκούομεν ὠσίν „ვხედავთ თვალებით, ვისმენთ ყურებით“.

დ) Dativus causae – „მიზეზის მიცემითი“. იგი აღნიშნავს მიზეზს: Παυσανίας ἐτελεύτησε νόσῳ „პავსანია მოკვდა ავადმყოფობით“ (ავადმყოფობის გამო).

ე) Dativus relationis – „მიმართების მიცემითი“ აღნიშნავს საგანს, რომლითაც განისაზღვრება მოქმედება ან მდგომარეობა: φύσει „ბუნებით“, γένει „წარმომავლობით“, ὀνόματι „სახელით“, προφάσει „საბაბით“, ἀριθμῷ „რიცხვით“.

Ἀχιλλεὺς μὲν ποσὶν ταχὺς ἦν, χερσὶ δὲ ἰσχυρός „აქილევსი ფეხებით სწრაფი იყო. ხელებით კი ძლიერი“.

ვ) Dativus temporis – „დროის მიცემითი“ უპასუხებს კითხვაზე „როდის?“ τῇ τρίτῃ ἡμέρᾳ „მესამე დღეს“, τῇδε τῇ νυκτί „ამ ღამეს“ და სხვ.

4. აკუზატივუსი. აკუზატივუსი ბერძნულ ენაში, ისევე როგორც სხვა ინდოევროპულ ენებში (ლათინურში, რუსულში...) არის პირდაპირი დამატების ბრუნვა. ქართულად ბერძნული აკუზატივუსი, რომელიც პირდაპირ დამატებას გამოხატავს, გადმოიცემა სახელობითი ან მიცემითი ბრუნვით, ვინაიდან პირდაპირი დამატება ქართულში ამ ორი ბრუნვით აღინიშნება:

οἱ Ἕλληνες τοὺς Πέρσας ἐνίκησαν „ელინებმა დაამარცხეს სპარსები“;

Κῦρος ἐκέλευσε τοὺς ὁπλίτας ἰέναι „კიროსმა ჰოპლიტებს წასვლა უბრძანა“;

ἡ διαβολὴ χωρίζει τοὺς φίλους „ცილისწამება მეგობრებს სთიშავს“.

თუ აქტიურ კონსტრუქციას ვნებითში გადავიყვანთ, პირდაპირი დამატება სახელობით ბრუნვაში გადავა და ქვემდებარედ იქცევა; აქტიური კონსტრუქციის ქვემდებარე კი, თუ სულიერ საგანს აღნიშნავს, ნათესაობით ბრუნვაში დადგება წინდებულით ὑπό, თუ უსულო საგანს გამოხატავს, მიცემით ბრუნვაში დადგება უწინდებულოდ (dativus instrumenti):

οἱ Πέρσαι ἐνικήθησαν ὑπὸ τῶν Ἑλλήνων „სპარსები დამარცხებულ იქნენ ელინების მიერ“;

οἱ φίλοι χωρίζονται τῇ διαβολῇ „მეგობრები ცილისწამებით (ცილისწამების წყალობით) ითიშებიან“.

„ორმაგი აკუზატივუსი“ (accusativus duplex). იმ ზმნებთან, რომელთაც აქვთ მნიშვნელობები: „ვუწოდებ“ (λέγω, καλέω, ὀνομάζω), „ვთვლი“ (νομίζω, ἡγέομαι, κρίνω), „ვხდი“, „ვნიშნავ“, „ვადგენ“ (ποιέω, καθίστημι, ἀποδείκνυμι და სხვ.), „ვირჩევ“ (αἱρέομαι), დაისმის ორი აკუზატივუსი, – ერთი პირდაპირი დამატებისა, მეორე – შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილისა:

νομίζω Κῦρον φίλον „[მე] კიროსს მეგობრად ვთვლი“;

οἱ στρατιῶται Ἀλκιβιάδην στρατηγὸν εἵλοντο „ჯარისკაცებმა ალკიბიადე სარდლად აირჩიეს“.

თუ ამ წინადადებებში აქტიურ კონსტრუქციას ვნებითში გადავიყვანთ, ორივე აკუზატივუსი სახელობით ბრუნვაში დადგება და მივიღებთ იმ კონსტრუქციას, რომელსაც ეწოდება nominativus duplex – „ორმაგი სახელობითი“ (იხ. ზემოთ):

Κῦρος νομίζεται φίλος „კიროსი მეგობრად ითვლება“;

Ἀλκιβιάδης ὑπὸ τῶν στρατιωτῶν στρατηγὸς ᾑρέθη „ალკიბიადე ჯარისკაცების მიერ სარდლად იქნა არჩეული“.

„მიმართების აკუზატივუსი“ (accusativus relaitionis). ასეთ აკუზატივუსში უფრო ხშირად იხმარება სიტყვები: (τὸ) γένος „წარმოშობით“, (τὸ ὄνομα „სახელად“, (τὸν) ἀριθμόν „რიცხვით“, (τὴν) φύσιν „ბუნებით“, (τὸ) πρόσωπον „სახით“, (τὸ) εὖρος „სიგანით“, (τὸ) μῆκος „სიგრძით“, (τὸ) βάθος „სიღრმით“, (τὸ) ὕψος „სიმაღლით“, (τὸ) μέγεθος „სიდიდით“, (τὸ) πλῆθος „სიმრავლით“ და სხვ.

მაგალითები:

ῥεῖ ποταμὸς Κύδνος ὄνομα, εὖρος δύο πλέθρων „მიედინება მდინარე სახელად კიდნოსი, სიგანით ორი პლეთრონი“;

καλὸν τὸ πρόσωπον „ლამაზი სახით“;

πόδας ὠκύς „მარდი ფეხებით“;

τυφλὸς τά τ᾽ὦτα τόν τε νοῦν τά τ᾽ὄμματ᾽εἶ „[შენ] ბრმა ხარ ყურებითაც, გონებითაც და თვალებითაც“ (Soph. Oed. Tyr. 371).

„დროის აკუზატივუსი“ (accusativus temporis) გამოხატავს დროის ხანგრძლივობას: ἐνταῦθα Κῦρος ἔμεινεν ἡμέρας ἑπτά „იქ კიროსი დარჩა ხუთ დღეს“.

სიტყვების რიგი წინადადებაში

სიტყვების რიგი ბერძნულში შედარებით თავისუფალია. უფრო ხშირად დაცულია სიტყვათა შემდეგი გრამატიკული რიგი: ქვემდებარე – დამატება – შემასმენელი, შემასმენელი შეიძლება სხვა ადგილზეც დაისვას: αἱ Ἀθῆναι ἀγορὰν εἶχον „ათენს მოედანი ჰქონდა“. და αἱ Ἀθῆναι εἶχον ἀγοράν „ათენს ჰქონდა მოედანი“.

მსაზღვრელი (ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი, ნათესაობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელი და სხვ.) დაისმის ართრონსა და არსებით სახელს შორის. მსაზღვრელი შეიძლება დაისვას არსებითი სახელის შემდეგაც, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ართრონი განმეორდება: ἡ Ἑλληνικὴ θεά=ἡ θεὰ ἡ Ἑλληνική „ბერძენი ქალღმერთი“; ἡ τῶν Ἀθηνῶν ἀγορά=ἡ ἀγορὰ ἡ τῶν Ἀθηνῶν

„ათენის მოედანი“.

გარემოების აღმნიშვნელ სიტყვებს შეუძლიათ წინადადებაში სხვადასხვა ადგილი დაიკავონ.

ბერძნულ ენაში გვხვდება აგრეთვე სიტყვათა განლაგების რიტორიკული ხერხები. ერთი ამათგანია ეგრეთ წოდებული ხიასმოსი (χιασμός) – ერთგვაროვან წევრთა ჯვარედინი განლაგება წინადადებაში. მაგალითად:

πολλάκις ἡδονὴ βραχεῖα

μακρὰν λύπην τίκτει

„ხანმოკლე სიამოვნება ხშირად დიდ დარდს შობს“.

ამ რიტორიკული ხერხის სახელწოდება χιασμός χ ასოს სახელისაგან მომდინარეობს.

დრო-კილოთა ხმარება წინადადებაში

ბერძნულ ენაში ოთხი კილოა (modus): თხრობითი (indicativus), კავშირებითი (coniunctivus), ნატვრითი (optativus), ბრძანებითი (imperativus). ყოველი კილოს ზმნა შეიძლება იყოს შემასმენელი როგორც მთავარ, ისე დამოკიდებულ წინადადებაში. შემასმენელი შეიძლება იყოს სახელზმნაც – ინფინიტივი.

თხრობითი კილო იხმარება რეალური ფაქტის კონსტანტაციისათვის. თუ წინადადება უარყოფითია, იგი გამოიხატება უარყოფის ნაწილაკით οὐ (οὐκ, οὐχ) „არ“.

თხრ. კილოს აწმყო ისტორიულ ამბავთა გადმოცემის დროს ხშირად იხმარება ნამყო დროის (ნამყო უსრულის, აორისტის) მნიშვნელობით. ასეთ აწმყოს ეწოდება praesens historicum: Δαρείου καὶ Παρυσάτιδος γίγνονται παῖδες δύο (Xen. Anab. I, 1, 1) „დარიოსსა და პარისატისს ეშვათ ორი ძე“.

ბრძანებითი კილო გამოხატავს ბრძანებას ან აკრძალავს. აკრძალვა გამოხატულია ნაწილაკით μή „ნუ“: μὴ λέγετε „ნუ ამბობთ“.

კავშირებითი კილო მთავარ – დამოუკიდებელ წინადადებაში გამოხატავს: ეჭვს (dubitativus), მოწოდებას (hortativus), აკრძალვას (prohibitivus), კავშირებით კილოსთან უარყოფა არის μή.

ნატვრითი კილო – ოპტატივი გამოხატავს სურვილს. უარყოფა არის μή. ნატვრით კილოს ზოგჯერ თან ახლავს ნაწილაკები εἰ γάρ, εἴθε. ოპტატივთან უფრო ხშირია შესაძლებლობის ნაწილაკი ἄν (modus potentialis): τοῦτο γένοιτο ἄν „ეს შეიძლება მომხდარიყო“; τίνι ἂν πόλις ἀρέσκοι ἄνευ νόμων „განა შეიძლება ვინმესთვის მოსაწონი იყოს სახელმწიფო კანონთა გარეშე?“.

ბერძნული ზმნის დრო-მწკრივები ორ ჯგუფად განიყოფება: 1) მთავარი დროები (აწმყო – praesens, ნამყო სრული – perfectum, მყოფადი – futurum), 2) ისტორიული დროები (ნამყო უსრული – imperfectum, აორისტი – aoristus, ნამყო წინარეწარსული – plusquamperfectum).

თუ მთავარ წინადადებაში რომელიმე მთავარი დროა, დამოკიდებულ წინადადებაში იხმარება კავშირებითი კილო (coniunctivus); თუ მთავარ

წინადადებაში ისტორიული დროა, მაშინ დამოკიდებულ წინადადებაში უნდა იყოს ნატვრითი კილო (optativus). ეს არის ეგრეთ წოდებული „კილოთა თანამიმდევრობა“ – consecutio modorum (შდრ. ლათ. „დროთა თანმიმდევრობა“- consecutio temporum).

ზემოაღნიშნულ წესს თან ახლავს გამონაკლისები. „კილოთა თანამიმდევრობა“ მტკიცედ არის გატარებული მხოლოდ მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში და იმ დამატებით წინადადებებში, რომლებიც დამოკიდებულია ე.წ. „შიშის“ აღმნიშვნელ ზმნებზე (verba timendi).

ინფინიტივის ხმარება

ზმნის განუსაზღვრელი ფორმა ანუ განუსაზღვრელი კილო (modus infinitivus) თავისი ძირითადი მნიშვნელობით ნაზმნარი არსებითი სახელია. ამავე დროს მას აქვს ზმნის ძირითადი თვისებები (მოეპოვება დროის გაგება, გვარის გაგება; დამატებას შეითანხმებს იმავე ბრუნვაში, რომელშიც შეითანხმებდა პირიან ფორმაში).

როგორც არსებით სახელს, ინფინიტივს შეიძლება დავურთოთ საშუალო სქესის მაჩვენებელი ართრონი τό. ართრონიანი ინფინიტივი შეიძლება დავსვათ მხოლობითი რიცხვის ყველა ბრუნვაში (ბრუნვის დროს ფორმას იცვლის მხოლოდ ართრონი). მაგალითად: ინფინიტივია παιδεύειν „აღზრდა“ (воспитывать), არსებითი სახელია τὸ παιδεύειν „აღზრდა“ (воспитание), ნათ. ბრ. τοῦ παιδεύειν, მიც. τῷ παιδεύειν, აკუზ. τὸν παιδεύειν.

სუბსტანტივირებული ინფინიტივი წინადადებაში შეიძლება იყოს ქვემდებარე, დამატება, განსაზღვრება, შემასმენლის სახელი.

არსებით სახელად ჩვეულებრივ იხმარება infinitivus praesentis და infinitivus aoristi (იშვიათად – infinitivus perfecti, არასოდეს – infinitivus futuri).

ქვემდებარის როლში ინფინიტივი გაგებულია როგორც საშუალო სქესის არსებითი სახელი მხოლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში: νόσον πολὺ κρεῖττόν ἐστιν, ἢ λύπην, φέρειν „ბევრად უმჯობესია ავადმყოფობის გადატანა, ვიდრე დარდისა“. τί χρὴ ποιεῖν; „რის გაკეთება არის საჭირო?“

დამატების როლში ინფინიტივი იხმარება მრავალ გარდამავალ და გარდაუვალ ზმნასთან: οὐκ ἐπίσταται (τὸν) ζῆν „(მან) არ უწყის ცხოვრება“; ἰχθὺν νήχεσθαι διδάσκεις; „(შენ) თევზს ცურვას ასწავლი?“

დამოუკიდებელ წინადადებაში ინფინიტივი ჩვეულებრივ ართრონის გარეშე იხმარება: ὡς ἐμοὶ δοκεῖν „როგორც მე მიმაჩნია“, „ჩემი აზრით“; ὡς εἰπεῖν „ასე ვთქვათ“. ესაა ე.წ. infinitivus absolutus.

ზოგჯერ ინფინიტივით გამოხატულია მიზანი (infinitivus finalis): καταλείπω ὑμᾶς φυλάττειν τὴν οἰκίαν „გტოვებთ თქვენ სახლის დასაცავად“; οἱ Ἕλληνες εἵλοντο Ξενοφῶντα διάγειν αὐτοὺς εἰς τὴν Ἑλλάδα „ბერძნებმა ქსენოფონტი აირჩიეს საბერძნეთში მათ წასაყვანად“ (=„... რათა ისინი საბერძნეთში წაეყვანა“).

ინფინიტივი ზედსართავ სახელთან აღნიშნავს, თუ რა მიმართებაშია საგანი ან პირი ზედსართავი სახელით გამოხატულ ვითარებასთან. ესაა ე.წ. infinitivus relationis: Περικλῆς δεινότατος ἦν λέγειν „პერიკლე ძლიერი იყო ლაპარაკში“ (Перикл был силен говорить).

Accusativus cum infinitivo

Accusativus cum infinitivo (აკუზატივუსი ინფინიტივთან) ბერძნულისათვის დამახასიათებელი გამონათქვამია, რომელსაც გავრცობილი პირდაპირი დამატების გაგება აქვს. ამ გამონათქვამში გარკვეული რიგის ზმნებთან დასახელებულია პირი (საგანი) და მისი მოქმედება (მდგომარეობა): პირველი ლოგიკური ქვემდებარეა და დასმულია აკუზატივუსში, ხოლო მეორე ლოგიკურ შემასმენელს წარმოადგენს და ინფინიტივში დგას.

მაგალითად:

Σωκράτης ἡγεῖτο θεοὺς πάντα εἰδέναι „სოკრატე თვლიდა, რომ ღმერთებმა ყველაფერი იციან“.

ამ წინადადებაში ქვემდებარეა „სოკრატე“ (Σωκράτης), შემასმენელი – „თვლიდა“ (ἡγεῖτο). დანარჩენი სიტყვებით გამოთქმულია ის, თუ რას თვლიდა სოკრატე, ე.ი. გამოთქმა θεούς πάντα εἰδέναι „(რომ) ღმერთებმა ყველაფერი იციან“ არის მთლიანად დამატება ზმნისათვის ἡγεῖτο „თვლიდა“. ამ გამონათქვამში შემასმენელი გამოხატულია ინფინიტივით (εἰδέναι), რომელსაც თავისი დამატება აქვს (πάντα), ხოლო ქვემდებარე დასმულია აკუზატივუსში (θεούς).

აი, ამგვარ გამონათქვამს, რომელშიც ქვემდებარე აკუზატივუსშია, ხოლო შემასმენელი – ინფინიტივში, ეწოდება accusativus cum infinitivo (ანალოგიური სინტაქ-

სური საქცევი სხვა ინდოევროპულ ენებსაც აქვთ; მაგალითად: ლათინურს, გერმანულს და სხვ.).

გამონათქვამი accusativus cum infinitivo ქართულად უნდა გადმოვცეთ დამატებითი დამოკიდებული წინადადებით, რომელსაც მთავარ წინადადებას „რომ“ კავშირით შევუერთებთ. ინფინიტივში დასმული შემასმენელი პირიანი ფორმით უნდა გადმოვცეთ. წინადადებაში Σωκράτης ἠγεῖτο θεοὺς πάντα εἰδέναι მთავარია Σωκράτης ἠγεῖτο „სოკრატე თვლიდა“, ხოლო θεοὺς πάντα εἰδέναι „რომ ღმერთებმა ყველაფერი იციან“ – დამოკიდებული.

Accusativus cum infinitivo, როგორც დამატება, იხმარება ისეთი ზმნების შემდეგ, რომლებიც აღნიშნავენ:

1) „ფიქრს“ (verba putandi): ἡγέομαι, νομίζω, οἴομαι „ვფიქრობ“, „ვთვლი“ და მისთ.

2) „სურვილს“ (verba voluntatis): βούλομαι „მინდა“, κελεύω „ვუბრძანებ“, ἐάω „ნებას ვრთავ“ და მისთ.

3) „თქმას“ (verba dicendi): λέγω, φημί „ვამბობ“, ἐγγέλλω „ვაუწყებ“. ὑπισχνέομαι „ვპირდები“ და მისთ.

ამას გარდა, accusativus cum infinitivo იხმარება უპირო ზმნებთან: χρή, δεῖ „საჭიროა“, „უნდა“ და მისთ.; ცალკეულ გამოთქმებთან: καλόν ἐστι „კარგია“, δίκαιόν ἐστι „სამართლიანია“, δεινόν ἐστι „საშიშია“, ὥρα (ἐστι) „დროა“, ἀνάγκη (ἐστι) „აუცილებელია“ და მისთ.

როდესაც accusativus cum infinitivo-ს ქვემდებარე იგივეა, რაც მმართველ წინადადებაში, რომლის შემასმენელი „ფიქრსა“ და „თქმას“ გამოხატავს, ინფინიტივთან ქვემდებარე აღარ გამოიხატება. ასეთ კონსტრუქციას „ინფინიტივური კონსტუქცია“ ეწოდება.

Accusativus cum infinitivo-ს მაგალითები:

νομίζω τὸν ἀδελφὸν γράφειν ἐπιστολήν „ვფიქრობ, რომ ძმა წერს წერილს“;

νομίζω τὸν ἀδελφὸν γράψαι ἐπιστολήν „ვფიქრობ, რომ ძმამ დაწერა წერილი“;

νομίζω τὸν ἀδελφὸν γράψειν ἐπιστολήν „ვფიქრობ, რომ ძმა დაწერს წერილს“;

νομίζω τὸν ἀδελφὸν γεγραφέναι ἐπιστολήν „ვფიქრობ, რომ ძმას დაუწერია წერილი“;

Πρωταγόρας φησί, πάντων χρημάτων μέτρον ἄνθρωπον εἶναι (Plat. Theaet. 152 A). „პროტაგორა ამბობს, რომ ყველა საგანთა საზომი ადამიანია“;

Ἀριστοτέλης τῆς παιδείας ἔφη τὰς μὲν ῥίζας εἶναι πικράς, γλυκεῖς δὲ τοὺς καρπούς (Diog. Laert. 5, 1, 11, 18). „არისტოტელე ამბობდა, რომ აღზრდა-განათლების ძირი მწარეა, ნაყოფი კი – ტკბილი“.

οἱ Αἰγύπτιοι ἔλεγον τὸν ἥλιον θεὸν εἶναι „ეგვიპტელები ამბობდნენ, რომ მზე ღმერთი არის“;

οἱ Αἰγύπτιοι λέγουσι, τὸν ἥλιον καὶ τὴν σελήνην θεοὺς εἶναι „ეგვიპტელები ამბობდნენ, რომ მზე და მთვარე ღმერთები არიან“;

καλόν ἐστι, τὸν ἄνθρωπον ἀληθῆ λέγειν „კარგია, რომ ადამიანმა სიმართლე ილაპარაკოს“;

χρὴ τὸν ἄνθρωπον ἀγαθὸν εἶναι „საჭიროა ადამიანი კარგი იყოს“;

κακὸν γὰρ ἄνδρα χρὴ κακῶς πάσχειν ἀεί (Eur. fragm. 1049) „საჭიროა, რომ ავი კაცი მუდამ ავს განიცდიდეს“.

ინფინიტივური კონსტრუქცია:

Ἀλέξανδρος ἔφασκε Διὸς υἱός εἶναι „ალექსანდრე [მაკედონელი] ამბობდა, რომ [იგი] ზევსის შვილია“.

ὁ ἄνθρωπος οἴεται εἶναι σοφός „ადამიანი ფიქრობს, რომ [იგი] ბრძენია“.

Nominativus cum infinitivo

Nominativus cum infinitivo (სახელობითი ინფინიტივთან) არის დამატებითი დამოკიდებული წინადადება, რომლის ქვემდებარე სახელობით ბრუნვაში დგას, შემასმენელი კი – ინფინიტივში. ეს სინტაქსური საქცევი, როგორც accusativus cum infinitivo, იხმარება „ფიქრისა“ და „თქმის“ აღმნიშვნელ ზმნებთან, ოღონდ ეს ზმნები ასეთი საქცევის შემთხვევაში დასმულია ვნებით გვარში.

ყველაზე ხშირად nominativus cum infinitivo იხმარება ზმნებთან: λέγομαι „ჩემზე ამბობენ“ და δοκέω „ვჩანვარ“.

ქართულად თარგმნის დროს მმართველი შემასმენელი უნდა დავსვათ მოქმედებითი გვარის მრავლობითი რიცხვის III პირში, რომელსაც ქვემდებარე არ ექნება; ამას უნდა მიჰყვეს „რომ“ კავშირით დაწყებული დამატებითი დამოკიდებული წინადადება, რომლის შემასმენელს გამოვხატავთ ზმნის პირიანი ფორმით შესატყვის დროში.

δοκέω ზმნას ვთარგმნით სიტყვით „ჩანს“.

მაგალითები:

ὁ ἥλιος λέγεται θεὸς εἶναι „ამბობენ, რომ მზე ღმერთი არის“;

Κῦρος λέγεται τῇ χειρὶ τοῦ στρατιώτου ἀποσφαγῆναι „ამბობენ, რომ კიროსი ჯარისკაცის ხელით იქმნა მოკლული“;

ὁ στρατηγὸς δοκεῖ νικῆσαι „ჩანს, რომ სარდალმა გაიმარჯვა“;

ἡ ἀρχὴ λέγεται ἥμισυ εἶναι παντός (Arist. Pol. p. 1303 b. 29) „ამბობენ, რომ დასაწყისი ნახევარია ყველაფრისა“.

მიმღეობის ხმარება

მიმღეობა არის ნაზმნარი ზედსართავი სახელი, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ზმნის თვისებები: მოეპოვება დროისა და გვარის ამსახველი ფორმები და შეუძლია ზმნის პირიან ფორმასავით შეითანხმოს დამატება.

განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ეგრეთ წოდებული „დაკავშირებული მიმღეობა“ (participium coniunctum), რომელიც იხმარება როგორც არსებითი სახელის მსაზღვრელი და როგორც შემოკლებული გარემოებითი წინადადება.

როგორც არსებითი სახელის მსაზღვრელი participium coniunctum უდრის მსაზღვრელ წინადადებას:

ἡ ἐποῦσα ἡμέρα „მომავალი დღე“ (=„დღე, რომელიც მოდის“).

οἱ τὴν Ἀσίαν κατοικοῦντες Ἕλληνες „აზიაში მოსახლე ელინები“ (=„ელინები, რომლებიც აზიაში მოსახლეობენ“).

ატრიბუტული მიმღეობა ართრონის დართვით შეიძლება არსებით სახელად იქცეს: ὁ βουλόμενος (=ὃς βουλέται) „მსურველი“: ὁ καθεύδων (=ὃς καθεύδει) „მძინარე“; ὁ τεθνηκώς „მკვდარი“; τὰ πάροντα „არსებული ვითარება“.

როგორც შემოკლებული გარემოებითი წინადადება participium coniunctum აღნიშნავს: დროს (participium temporale), მიზეზის (participium causale), მიზანს (participium finale). მაგალითები:

ὁ κυνηγός, διώκων τὸν λέοντα, ἀπέθανεν „მონადირე ლომის დევნის დროს მოკვდა“ (დროისა);

Κῦρος, ἅτε παῖς ὤν, ἄνευ φόβου διελέγετο τῷ πάππῳ „კიროსი, რადგან ბავშვი იყო, უშიშრად ელაპარაკებოდა პაპას“ (მიზეზისა);

Κῦρος ὁρμᾶτο εἰς τοὺς Πισίδας ὡς ἐκβαλῶν αὐτοὺς ἐκ τῆς χώρας „კიროსმა გაილაშქრა პისიდებზე, რათა განედევნა ისინი ქვეყნიდან“ (მიზნისა).

მყოფადის „დაკავშირებული მიმღეობა“

Participium futuri coniunctum – ეს მიმღეობა იხმარება მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან და აღნიშნავს მოძრაობის მიზანს. ასეთი მიმღეობა ენაცვლება „რათა“ (ἵνα, ὅπως) კავშირით დაწყებულ მიზნის გარემოების წინადადებას (ლათინურ ენაში მისი შესატყვისია მიზნის გარემოების წინადადებები კავშირებით ut finale და qui finale):

βαδίζω ποιήσων=βαδίζω, ἵνα (ὅπως) ποιῶ ან ἵνα (ὅπως) ποιήσω „მივდივარ“, რათა ვაკეთო (გავაკეთო)“ ანუ „მივდივარ გასაკეთებლად“.

Ξενοφῶν τοὺς λοχαγοὺς ἔπεμπε διαβιβάσοντας τοὺς ὁπλίτας (Xen. Anab. 5, 2, 10) „ქსენოფონტმა რაზმის უფროსები (ლოხაგოსები) წარგზავნა, რათა ჰოპლიტები გადაეყვანათ“ ანუ „ქსენოფონტმა რაზმის უფროსები (ლოხაგოსები) ჰოპლიტების გადასაყვანად წარგზავნა“.

Genetivus absolutus

Genetivus absolutus ანუ „დამოუკიდებელი ნათესაობითი“ არის შემოკლებული გარემოებითი წინადადება (დროის, მიზეზის ვითარების, პირობითი, დათმობითი), რომელშიც ქვემდებარე დასმულია ნათესაობით ბრუნვაში, ხოლო შემასმენელი მიმღეობის ფორმითაა წარმოდგენილი და შეთანხმებულია ქვემდებარესთან ბრუნვაში, რიცხვსა და სქესში.

Genetivus absolutus იხმარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მიმღეობა არ არის დაკავშირებული მმართველი შემასმენლის ქვემდებარესა და დამატებასთან.

როდესაც მოქმედება მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებში თანადროულია, დამოკიდებულ წინადადებაში იხმარება აწმყო დროის მიმღეობა, ხოლო თუ დამოკიდებული წინადადების მოქმედება წინ უსწრებს მთავარისას, დამოკიდებულ წინადადებაში იქნება ნამყო დროის მიმღეობა.

გამონათქვამი genetivus absolutus უნდა ვთარგმნოთ შემდეგნაირად:

1. აღვადგინოთ გარემოებითი წინადადების კავშირი (როდესაც, რადგან, თუ, თუმცა...);

2. ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი გამოვიყენოთ ქვემდებარედ;

3. მიმღეობის ფორმით წარმოდგენილი შემასმენელი დავაყენოთ პირიან ფორმაში.

მაგალითები:

Ἀρταξέρξου βασιλεύοντος Κῦρος ἦρχε τῆς Λιδίας „როდესაც არტაქსერქსე მეფობდა, კიროსი მართავდა ლიდიას“;

ἐμοῦ θανόντος γαῖα μιχθήτω πυρί (Tragic. fragm. adesp. 513) „როდესაც მე მოვკვდები, დედამიწა ცეცხლს შეერიოს“;

θεοῦ διδόντος οὐδὲν ἰσχύει φθόνος, καὶ μὴ διδόντος οὐδὲν ἰσχύει πόνος „როდესაც ღმერთი წყალობას იძლევა, შური უძლურია, თუ არ იძლევა, შრომა ვერარას ხდება“.

დამოკიდებულ წინადადებათა სახეები

I. დამატებითი დამოკიდებული წინადადება. დამატებითი წინადადება მთავარს უერთდება კავშირებით: ὅτι, ὡς („რომ“) და დამოკიდებულია ზმნებზე, რომლებიც გამოხატავენ „გრძნობას“ (verba sentiendi) „თქმას“ (verba dicendi), სულიერ განცდებს (verba affectum).

თუ მთავარ წინადადებაში მთავარი დროა, დამატებითში ჩვეულებრივ თხრობითი კილო იხმარება, ხოლო თუ მთავარში ისტორიული დროა, მაშინ დამატებითი დამოკიდებული წინადადების შემასმენელი ნატვრითი კილოთი – ოპტატივითაა გამოხატული.

ამ წესს ახლავს გამონაკლისები:

1. თუ დამოკიდებულ წინადადებაში ეჭვია გამოთქმული, მისი შემასმენელი უთუოდ ოპტატივში უნდა იყოს;

2. „შიშის“ აღმნიშვნელ ზმნებთან იხმარება უარყოფის კავშირები μή და μὴ οὐ. ამათგან μή (ლათ. ne) „რომ არ“, „რათა არ“ არასასურველ რამეს გამოხატავს, ხოლო μὴ οὐ (ლათ. ut, ne non) „რომ არ“ – სასურველს. თუ მთავარ წინადადებაში მთავარი დროა, მაშინ დამოკიდებულში ნატვრითი კილო – ოპტატივი უნდა იყოს.

მაგალითები:

λέγω, ὅτι δεῖ μάχεσθαι „ვამბობ, რომ საჭიროა ბრძოლა“.

ἀνέκραγον, ὡς εὖ λέγοι „იყვირეს, რომ [ის] კარგად ლაპარაკობს“.

οἱ φύλακες ἤγγειλαν, ὅτι ἴδοιεν τοὺς πολεμίους „მცველებმა აუწყეს, რომ ნახეს მტრები“.

δέδοικα, μὴ ἐπιλαθώμεθα τῆς οἴκαδε ὁδοῦ „მეშინია, რომ არ დაგვავიწყდეს შინისაკენ გზა“.

ἐφοβεῖτο, μὴ οὐ δύναιτο ἐκ τῆς χώρας ἐξελθεῖν „ეშინოდა, რომ ვერ შეძლებდა ქვეყნიდან გასვლას“ (გამონათქვამი accusativus cum infinitivo).

II. მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები მთავარს უერთდება კავშირებით ἵνα, ὡς, ὅπως, („რათა“) – ἵνα μή, ὡς μή, ὅπως μή, μή („რათა არ“).

„თუ მთავარ წინადადებაში მთავარი დროა, დამოკიდებულში კავშირებითი კილო – კონიუნქტივია; ხოლო თუ მთავარში ისტორიული დროა, დამოკიდებულში ნატვრითი კილო – ოპტატივი იქნება“.

მაგალითები:

ὁ στρατηγὸς αἱρεῖται, ἵνα οἱ στρατιῶται εὖ πράττωσιν „სარდალს ირჩევენ, რათა ჯარისკაცებმა კარგად შეასრულონ საქმე“.

οἱ μὲν λοιποὶ ζῶσιν, ἵνα ἐσθίωσιν, αὐτὸς δὲ ἐσθίω, ἵνα ζῶ (Stob. Floril. 17, 22: სოკრატეს გამონათქვამი) „სხვები ცოცხლობენ, რათა ჭამონ, მე კი ვჭამ, რათა ვიცოცხლო“.

οἱ στρατιῶται ἐπέμφθησαν τρὸς τὸν ποταμόν, ὅπως φυλάττοιεν τὴν διάβασιν „ჯარისკაცები გაგზავნილ იქნენ მდინარისაკენ, რათა დაეცვათ გადასასვლელი“.

Σωκράτης ἔλεγε, τοὺς μὲν ἄλλους ἀνθρώπους ζῆν, ἵνα ἐσθίοιεν, αὐτὸς δὲ ἐσθίειν, ἵνα ζῷη (Diog. Laert. 2, 5, 16, 34) „სოკრატე ამბობდა, რომ სხვა ადამიანები ცოცხლობენ, რათა ჭამონ, თვითონ კი ჭამს, რათა იცოცხლოს“.

μὴ σπεῦδε πλουτεῖν, μὴ ταχέως πένης γένῃ (Monost. 358) „ნუ ჩქარობ, იყო მდიდარი, რათა სწრაფად ღარიბი არ გახდე“.

III. მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავარს უერთდება კავშირებით: ὅτι, διότι, ὡς („იმიტომ რომ“), ἐπεί, ἐπειδή („რადგანაც“, „ვინაიდან“). უარყოფაა οὐ.

მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში დაისმის ის კილო, რომელიც დაისმოდა იმ შემთხვევაში, თუ დამოკიდებული წინადადება დამოუკიდებელი გახდებოდა. უპირატესად ესაა თხრობითი კილო, მაგრამ, თუ მთავარ წინადადებაში ისტორიული დროა, მაშინ მიზეზის დამოკიდებულ წინადადებაში შეიძლება ნატვრითი კილო – ოპტატივი იდგეს.

მაგალითები:

Ἀριαῖος ἐφ᾽ἁμάξης ἐπορεύετο, διότι ἐτέτρωτο (Xen. Anab. 2, 2, 14) „არიეოსი ურმით მიემართებოდა, ვინაიდან დაჭრილი იყო“.

οἱ Ἕλληνες ἐθαύμαζον, ὅτι οὐδαμοῦ Κῦρος φαίνοιτο „ბერძნებს უკვირდათ, რადგან კიროსი არსაით ჩანდა“.

IV. კითხვითი წინადადება. კითხვითი წინადადება ორგვარია: პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდაპირი კითხვა მთავარი წინადადებაა (მაგალითად: „რას აკეთებ?“), არაპირდაპირი კითხვა კი – დამატებითი დამოკიდებული წინადადება („გეკითხები, რას აკეთებ?“).

არაპირდაპირი კითხვა მთავარ წინადადებას უერთდება კითხვითი ნაცვალსახელებით და ზმნიზედებით, ანდა კითხვითი ნაწილაკებით: εἰ „განა“, πότερον – ἦ, εἰ – ἢ „ან – ან“.

თუ მთავარ წინადადებაში მთავარი დროა, დამოკიდებული წინადადების შემასმენლის კილო ისეთია, როგორიც იქნებოდა მაშინ, არაპირდაპირი კითხვა პირდაპირით რომ შეგვეცვალა (ე.ი. indicativus, optativus potentialis, modus irrealis, coniunctivus dubitativus).

თუ მთავარ წინადადებაში ისტორიული დროა, დამოკიდებულში იქნება ნატვრითი კილო – ოპტატივი, ზოგჯერ კი – კავშირებითი კილო – კონიუნქტივი.

უარყოფითი ნაწილაკია οὐ, კავშირებით კილოსთან – μή.

მაგალითები:

ὁ στρατηγὸς ἠρώτησε τὸν φύλακα, ὅπου εἶεν οἱ πολέμιοι „სარდალმა ჰკითხა დარაჯს, სად არიან მტრები“.

οἱ Ἕλληνες ἠρώτων τοὺς ἄρχοντας, τί ποιήσωσι „ბერძნები ეკითხებოდნენ არქონტებს, თუ რა ექნათ“.

ὁ Κλέαρχος ἐβουλεύετο, Πρόξενον καλέσας, εἰ πέμποιέν τινας, ἢ πάντες ἴοιεν ἐπὶ τὸ στρατόπεδον (Xen. Anab. 1, 10, 5) „კლეარქე, მოიხმო რა პროქსენე, ეთათბირებოდა მას, გაეგზავნათ ვინმეები, თუ ყველანი წასულიყვნენ ბანაკისაკენ“.

V. პირობითი დამოკიდებული წინადადება. პირობითი დამოკიდებული წინადადება მთავარს უერთდება კავშირებით: εἰ, εἴπερ, ἐάν (=εἰ ἄν, ἄν, ἤν) „თუ“, εἴτε – εἴτε „ან – თუ“.

რთულ წინადადებას, რომლის დამოკიდებულში პირობაა დასახელებული, მთავარში კი – შედეგი, პირობითი პერიოდი ეწოდება.

პირობით პერიოდში ორი წინადადებაა: პირველს, რომელშიც პირობაა წარმოდგენილი, პ რ ო ტ ა ს ი ს ი (πρότασις) ანუ წ ი ნ ა მ დ ე ბ ა რ ე ეწოდება, მეორეს კი, რომელიც შედეგს გამოხატავს, – ა პ ო დ ო ს ი ს ი (ἀπόδοσις) ანუ მ ო მ დ ე ვ ნ ო.

პ რ ო ტ ა ს ი ს ში იხმარება უარყოფითი ნაწილაკი μή და მისგან ნაწარმოები სიტყვები; μηδέ, μήτε, μηδείς, μήποτε და მისთ. ა პ ო დ ო ს ი ს ში იხმარება უარყოფითი ნაწილაკი οὐ და მისგან ნაწარმოები სიტყვები: οὐδέ, οὔτε οὐδείς, οὔποτε და მისთ. მაგრამ, თუ ზმნის ფორმაში გვაქვს imperativus, coniunctivus prohibitivus და optativus, უარყოფა ყოველთვის μή ნაწილაკითაა გამოხატული.

მნიშვნელობისა და ფორმის თვალსაზრისით პირობითი პერიოდები ოთხ ჯგუფად იყოფა: 1. პირობა და შედეგი სინამდვილეს გამოხატავს (casus realis), 2. პირობაში გამოთქმულია მოსალოდნელი მოვლენა (casus futuralis), 3. პირობაში გამოხატულია შესაძლებლობა (casus potentialis), 4. პირობა და შედეგი სინამდვილის საწინააღმდეგოს, შეუძლებელს აღნიშნავს (casus irrealis).

1. რ ე ა ლ უ რ ი ფ ო რ მ ა (casus realis) პროტასისში არის კავშირი εἰ და თხრობითი კილო, ხოლო აპოდოსისში თხრობითი კილო ანდა მთავარი წინადადების შემასმენლის ყველა სხვა ფორმა:

εἰ τοῦτο λέγεις, ἁμαρτάνεις „თუ ამას ამბობ, სცდები“.

εἰ ζητεῖς καλῶς, εὑρίσκεις „თუ კარგად ეძებ, პოულობ“.

ἀπολοίμην, Ξανθίαν εἰ μὴ φιλῶ (Aristoph. Ran. 579) „დე, დავიღუპო, თუ ქსანთია არ მიყვარს“.

εἰ θεοί τι δρῶσιν αἰσχρόν, οὐκ εἰσὶν θεοί (Eur. fragm. 292) „თუ ღმერთები რასმე სამარცხვინოს სჩადიან, არ არიან ღმერთები“.

2. ფ უ ტ უ რ ა ლ უ რ ი ფ ო რ მ ა (casus futuralis) პროტასისშია კავშირი ἐάν (ἄν, ἤν) და კავშირებითი კილო (praes. ან aor.), აპოდოსისში კი – indicativus futuri ან imperativus: ἐὰν (ἂν, ἢν) ζητῇς καλῶς, εὑρήσεις „თუ კარგად ეძებ, იპოვი“.

ἐὰν ᾖ φιλομαθής, ἔσει πολυμαθής (Isocr. I, 18) „თუ იქნები სწავლის მოყვარე, იქნები მრავლის მცოდნე“.

3. პ ო ტ ე ნ ც ი ა ლ უ რ ი ფ ო რ მ ა (casus potentialis) პროტასისშია კავშირი εἰ და ნატვრითი კილო – ოპტატივი (praes. ან aor), ხოლო აპოდოსისში – optativus (praes. ან aor) ἄν ნაწილაკით:

εἰ ζητοίης καλῶς, εὑρίσκοις ἄν „რომ კარგად ეძებო, იპოვი“.

εἰ τοῦτο λέγοις, ἁμαρτάνοις ἄν „თუ ამას იტყვი, შეცდები“.

4. ირეალური ფორმა (casus irrealis) პროტასისშია კავშირი εἰ და indicativus praeteriti (imperfecti ან aoristi), აპოდოსისში – indicativus imperfecti ან aoristi ἄν ნაწილაკით:

εἰ τοῦτο ἔλεγες, ἡμάρτανες ἄν „ეს რომ გეთქვა, შეცდებოდი“.

εἰ ἐζήτεις καλῶς, ηὕρισκες ἄν „კარგად რომ გეძებნა, იპოვიდი“.

εἰ μὴ ὑμεῖς ἤλθετε, ἐπορευόμεθα ἂν ἐπὶ βασιλέα „თქვენ რომ არ მოსულიყავით, [სპარსთა] მეფის წინააღმდეგ გავემართებოდით“.

VI. დათმობითი დამოკიდებული წინადადება. დათმობითი დამოკიდებული წინადადება მთავარს უერთდება კავშირებით: εἰ καί, καὶ εἰ, κἄν (=καὶ ἐάν), ἐὰν καί, καίπερ, καίτοι „თუმცა“, „თუმცაღა“; უარყოფის შემთხვევაში იხმარება: εἰ καὶ μή, οὐδ'εἰ, οὐδ'ἐάν „თუ არ“; εἰ μηδὲ, ἐὰν μηδέ „თუმცა არ“.

დათმობით წინადადებებში იხმარება ის დრო-კილოები, რაც პირობით წინადადებებში.

γελᾷ ὁ μῶρος, κἄν τι μὴ γελοῖον ᾖ „ბრიყვი იცინის, თუმცა არაფერია სასაცილო“.

ποιήσομεν, κἂν ἀποθανεῖν ἡμᾶς δέῃ (Aristoph. Lys. 123) „გავაკეთებთ ამას, ჩვენი დახოცვაც რომ იყოს საჭირო“.

φήσουσί με σοφὸν εἶναι, εἰ καὶ μή εἰμι (Plat. Apol. 38 c) „იტყვიან, რომ მე ბრძენი ვარ, თუმცაღა არა ვარ [იგი]“.

დათმობითი წინადადება ხშირად გამოხატულია მიმღეობით (participium coniunctum და genetivus absolutus), რომელსაც შეიძლება თან ახლდეს კავშირი καίπερ:

συμβουλεύω σοι καίπερ νεώτερος ὢν „რჩევას გაძლევ შენ, თუმცაღა შენზე ახალგაზრდა ვარ“.

συμβουλεύω σοι καίπερ πρεσβυτέρῳ ὄντι „რჩევას გაძლევ შენ, თუმცაღა ჩემზე უფროსი ხარ“.

οἱ πρέσβεις ἀπέπλευσαν οἴκαδε, καίπερ μέσου χειμῶνος ὄντος „ელჩები გაცურდნენ შინისაკენ, თუმცა შუა ზამთარი იყო“.

VII. შედეგობითი დამოკიდებული წინადადება. შედეგობითი დამოკიდებული წინადადება გვიჩვენებს შედეგს, რომელიც მოჰყვება (ან მოჰყვა)

მთავარ წინადადებაში ნათქვამს. მისი კავშირია ὥστε (ώς) „ასე რომ“, „რათა“.

თუ შედეგობითი დამოკიდებული წინადადება გამოხატავს რეალურ ფაქტს, მაშინ ჩვეულებრივ თხრობითი კილო დაისმის. უარყოფაა οὐ.

თუ შედეგობითი დამოკიდებული წინადადება აღნიშნავს შესაძლებლობას, მაშინ ერთგვაროვან ქვემდებარეებთან დაისმის ინფინიტივი, სხვადასხვა ქვემდებარეებთან კი – accusativus cum infinitivo. უარყოფაა μή.

მაგალითები:

ἦν ψῦχος δεινόν, ὥστε τὸ ὕδωρ ἐπήγνυτο „საშინელი სიცივე იყო, ასე რომ წყალი გაიყინა“.

οἱ στρατιῶται κραυγὴν πολλὴν ἐποίουν, ὥστε καὶ τοὺς πολεμίους ἀκούειν „ჯარისკაცებმა დიდი ყვირილის ატეხა დაიწყეს, რათა მტრებსაც გაეგონათ“.

πάντα ποιοῦσιν, ὥστε δίκην μὴ διδόναι „ყველაფერს აკეთებენ, რათა არ დაისაჯონ“.

VIII. დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავარს უერთდება კავშირებით: ὅτε, ὁπότε, ἡνίκα, ὡς, ἐπεί, ἐπειδή „როცა“; ἐξ οὗ, ἀφ᾽οὗ, ἐξ ὅτου „იმ დროიდან რაც“; ὡς τάχιστα, ἐπεὶ τάχιστα, ἐπειδὴ τάχιστα, ἐπειδὴ πρῶτον „როგორც კი“; ἕως, ἕστε, μέχρι „სანამ“: πρίν „ვიდრე, სანამ“.

თუ დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში საუბარია სინამდვილეზე, დაისმის თხრობითი კილო. უარყოფაა οὐ. თუ საუბარია შესაძლებელ ან მოსალოდნელ ფაქტზე, მაშინ დაისმის კავშირებითი კილო ἄν ნაწილაკით, ზოგჯერ კი – ოპტატივი. უარყოფაა μή.

კავშირებითი კილო დაისმის იმ შემთხვევაში, თუ მთავარ წინადადებაში მთავარი დროა; თუ მთავარში ისტორიული დროა, მაშინ შემასმენელი ოპტატივით გამოიხატება.

მაგალითები:

ἐπεὶ Δαρεῖος ἐτελεύτησε, οἱ παῖδες αὐτοῦ εἰς διαφορὰν ἦκον „როცა დარიოსი გარდაიცვალა, მისი შვილები განხეთქილებამდე მივიდნენ“;

ἐπειδὰν διαπράξωμαι, ἃ δέομαι, ἥξω ἀπάξων ὑμᾶς εἰς τὴν Ἑλλάδα (Xen. Anab. II, 3, 29) „როცა შევასრულებ იმას, რაც მევალება, მოვალ, რათა თქვენ ელადაში წაგიყვანოთ“.

Κῦρος ἐθήρευεν ἀφ᾽ ἵππου τὰ θηρία, ὁπότε γυμνάσαι βούλοιτο ἑαυτόν τε καὶ τοὺς ἵππους (Xen. Anab. I) „კიროსი ცხენზე ამხედრებული ნადირობდა ხოლმე ნადირებზე, როცა კი სურდა საკუთარი თავისა და ცხენების გავარჯიშება“.

ταῦτα ἐποίουν, μέχρι σκότος ἐγένετο (Xen. Anab. 4, 2, 4) „ამას აკეთებდნენ, სანამ წყვდიადი არ ჩამოდგა“.

περιμένετε, ἕστε ἂν ἐγὼ ἔλθω (Xen. Anab. 5, 1, 4) „ელოდეთ, სანამ მე არ დავბრუნდები“.

ბერძნული მეტრიკა

მეტრიკა (ἡ μετρικὴ τέχνη) არის მოძღვრება სალექსო საზომების შესახებ (τὸ μέτρον „საზომი“). ბერძნულისათვის დამახასიათებელია მეტრული ლექსწყობა, რომელიც ემყარება მარცვალთა სიგრძე-სიმოკლეს (კვანტიტეტს). ძველ ბერძნულ ლექსში რიტმს ქმნის არა მარცვლების რაოდენობა, არამედ გრძელ და მოკლე მარცვალთა გარკვეული თანმიმდევრობა. ქართული ლექსის რიტმულობის საფუძველი ძირითადად მარცვალთა რაოდენობაა, ბერძნულ ლექსში კი რიტმულობისათვის მარცვალთა რაოდენობას მნიშვნელობა არა აქვს. ჰომეროსის პოემების სალექსო სტრიქონები – ტაეპები შეიძლება იყოს 17, 16, 15, 14 ან 13 მარცვლიანი, მაგრამ ყველა ტაეპში ერთნაირია ეგრეთ წოდებული მ ო რ ა თ ა რაოდენობა. მ ო რ ა (mora, χρόνος πρῶτος) ეწოდება დროის იმ მონაკვეთს, რომელიც მოკლე ხმოვნის წარმოთქმას სჭირდება. მორების რაოდენობას გარკვეული თანმიმდევრობით აგებული გრძელი და მოკლე მარცვლები ქმნიან. გრძელი მარცვალი (–) ორ მორას შეიცავს, მოკლე მარცვალი (˘) კი – ერთს.

ბერძნული ლექსის ერთეულებია მარცვალი, ტერფი, ტაეპი.

მ ა რ ც ვ ა ლ ი შეიძლება იყოს გრძელი (–) და მოკლე (˘). გრძელი ხმოვნის შემცველი გრძელია, მოკლე ხმოვნის შემცველი კი – მოკლე. მარცვლის ოდენობის გასარკვევად საჭიროა ვიცოდეთ სათანადო ხმოვნის სიგრძე-სიმოკლე.

მორათა შეერთება ერთი რიტმული (მეტრული) ხმის ამაღლებისა და დაწევის ქვეშ ქმნის იმ რიტმულ-მელოდიურ ერთეულს, რომელსაც ტ ე რ ფ ს (მუსიკაში – ტაქტს) უწოდებენ. ტერფთა რიტმულ-მელოდიური ერთიანობა იძლევა სალექსო სტრიქონს – ტ ა ე პ ს (versus. στίχος).

ტ ე რ ფ ი (pes, πούς) შეიძლება იყოს ორმარცვლიანი, სამმარცვლიანი და ოთხმარცვლიანი. ბერძნულ ლექსწყობაში ყველაზე უფრო ხშირად შემდეგი სახის ტერფები გვხვდება:

– ◡ ქორე ანუ ტროქე (χορεῖος. τροχαῖος)

◡ – იამბი (ἴαμβος)

– ◡◡ დაქტილი (δάκτυλος)

– – სპონდე (σπονδεῖος)

⏑⏑ – ანაპესტი (ἀνάπαιστος)

⏑⏑⏑ ტრიბრაქი (τρίβραχυς)

⏑ – ⏑ ამფიბრაქი (ἀμφίβραχυς)

ქორე, იამბი და ტრიბრაქი სამმორიანი ტერფებია; დაქტილი, სპონდე, ანაპესტი და ამფიბრაქი კი – ოთხმორიანი. მორათა განლაგება ამ ტერფებში ასეთია: ქორე = 2:1; იამბი = 1: 2; დაქტილი = 2:1:1; სპონდე = 2:2; ანაპესტი = 1:1:2; ტრიბრაქი = 1:1:1; ამფიბრაქი = 1:2:1.

ყოველი ტერფი ორი ნაწილისაგან შედგება: ერთ ნაწილს მოუდის მეტრული მახვილი, ხმის აწევა ანუ არსისი (ἄρσις), ხოლო მეორეზე ხდება ხმის დადაბლება, დაწევა, რასაც თესისი (θέσις) ეწოდება. მეტრული მახვილის ანუ არსისის ნიშანი სქემაში არის ' (ictus). არსისისა და თესისის ურთიერთობა ზემოაღნიშნულ ტერფებში ასე გამოიხატება: ´⏑ (ქორე), ⏑´ (იამბი), ´⏑⏑ (დაქტილი), ´– (სპონდე), ⏑⏑ ´ (ანაპესტი), ⏑´⏑ (ტრიბრაქი), ⏑ ´⏑ (ამფიბრაქი).

გრამატიკულ მახვილს ბერძნულ ლექსში მნიშვნელობა არა აქვს, იგი ანაზდად თუ ემთხვევა მეტრულ მახვილს – არსისს.

ბერძნულ პოეზიაში ყველაზე გავრცელებული საზომებია: დაქტილური ჰექსამეტრი, ელეგიური დისტიქი, იამბიკური ტრიმეტრი, ტროქეული ტეტრამეტრი და სხვ.

1. დაქტილური ჰექსამეტრი. ბერძნული ეპიკური ძეგლები (ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“, ჰესიოდეს „სამუშაონი და დღენი“ და „თეოგონია“, აპოლონიოს როდოსელის პოემა „არგონავტიკა“, თეოკრიტეს იდილიები და სხვ.) შეთხზულია იმ სალექსო საზომით, რომელსაც დაქტილური ჰექსამეტრი (ἑξάμετρος στίχος) ეწოდება. ჰექსამეტრი არის ექვსი ტერფის შემცველი ტაეპი (ἕξ „ექვსი“ τὸ μέτρον „ზომა“), ასეთ ტაეპში ხუთი ტერფი დაქტილურია, მეექვსე კი შეკვეცილია ანუ კატალექტიკური და ორ მარცვალს შეიცავს (hexameter dactylicus catalecticus in dissyllabum). ეს ბოლო ტერფი ხან ქორეულია (´⏑), ხანაც – სპონდეური (´–), რაც დამოკიდებულია ამ ტერფის მეორე მარცვლის კვანტიტეტზე: ეს მარცვალი კი შეიძლება იყოს მოკლე ან გრძელი (syllaba anceps).

ხმის მეტრული ამაღლება – არსისი ჰექსამეტრში ყოველთვის ტერფის პირველ ნაწილზე მოდის. მთელ ტაეპში ასეთი ხმის ამაღლება იქნება ექვსი. აი დაქტილური ჰექსამეტრის სქემა (σχῆμα):

⏑⏑|–⏑⏑|–⏑⏑|–⏑⏑|–⏑⏑|–⏓
1 2 3 4 5 6

მაგალითი:

νοῦσον ἀ|νὰ στρατὸν | ὦρσε κα|κὴν, ὀλέ|κοντο δὲ | λαοί (A, 10)[1]

ბერძნული ჰექსამეტრის ჟღერადობის ქართული შესატყვისი საზომი შეიძლება გაკეთდეს ჩვიდმეტმარცვლიანი ტაეპით, რომელშიც ხუთი ტერფი სამმარცვლიანი უნდა იყოს (მახვილით ბოლოდან მესამე მარცვალზე), ხოლო მეექვსე – ორმარცვლიანი (მახვილით ბოლოდან მეორე მარცვალზე). „ილიადას“ ზემოთ დამოწმებული ტაეპის ქართული შესატყვისი ასეთი იქნებოდა:

შეჰყარა | მხედრობას | სენი შე|მმუსვრელი, | წყდებოდა | ხალხი.

ბერძნული ჰექსამეტრის რუსულ შესატყვისში არსისსა და თესისს მახვილიანი და უმახვილო მარცვლები შეესაბამება:

Я́зву на войнство злу́ю наве́л; погибали́ наро́ды.

რადგანაც ყოველი გრძელი მარცვალი ბერძნულ ლექსში მუსიკალური ოდენობით ორ მოკლე მარცვალს უდრის, დაქტილური ტერფი შეიძლება შეცვალოს სპონდემ. ეს შენაცვლება შეიძლება მოხდეს ყველა ტერფში, ოღონდ იშვიათად – მეხუთეში. მეხუთე ტერფი ჩვეულებრივ დაქტილურია; მაგრამ ჰომეროსის პოემებში არის შემთხვევები, როცა მეხუთე ტერფში დაქტილის ნაცვლად სპონდეა. ისეთ ტაეპს, რომლის მეხუთე ტერფი სპონდეს წარმოგვიდგენს, სპონდეური ტაეპი (στίχος σπονδειακός) ეწოდება.

დაქტილის შეცვლა სპონდეური ტერფით შესაძლებელია ერთსა და იმავე დროს რამდენსამე მუხლში: ორ, სამ და ოთხ მუხლშიც:

–⏓|–⏓|–⏓|–⏓|–⏑⏑|–⏓

უკანასკნელი მუხლიც, როგორც ითქვა, შეიძლება იყოს სპონდე.

მარტო სპონდეური ტერფებით შეთხზული ჰექსამეტრი ძალზე იშვიათია: უფრო ხშირია წმინდა დაქტილური ტერფებით გამართული ტაეპი. ხშირია დაქტილ-სპონდეს მონაცვლეობაც.

დაქტილების სიუხვე ლექსს სიცოცხლეს ანიჭებს და დინამიკურს ხდის (შდრ. ქართული მაღალი შაირი), სპონდეური ტერფებით დატვირ-

[1] „ილიადის“ სიმღერები ბერძნული მთავრული ასოებით აღინიშნება (A, B, Γ...), „ოდისეის“ სიმღერები კი - ნუსხურით (α, β, γ...)

თვა კი ტაეპს მძიმე და ნაღვლიან ხასიათს აძლევს. ასეთი ტაეპი ჩვეულებრივ დაძაბულ სულიერ ვითარებას გადმოგვცემს (შდრ. ქართული დაბალი შაირი).

დაქტილურ ჰექსამეტრს ახასიათებს შესასვენებელი განკვეთა ანუ ცეზურა (caesura, ტომή); ესაა ტერფის განკვეთა სიტყვის დაბოლოებით. თუ განკვეთა არსისს ემთხვევა, მას ვაჟური ცეზურა ეწოდება, თუ თესისს – ქალური. ცეზურის ნიშანი ასეთია ||.

ჰექსამეტრში ორი მთავარი ცეზურაა:

1. პენთემიმერისი (τομὴ πενθημιμερής) – ვაჟური ცეზურა „ხუთი ნახევარი ტერფის", ე.ი. ორნახევარი ტერფის ანუ მესამე ტერფის გრძელი ნახევრის (არსისის) შემდეგ:

ἀλλὰ κα|κῶς ἀφ|ει. || κρατε|ρὸν δ' ἐπὶ| μῦθον ἔτελλεν
– ᴗ ᴗ |– ᴗᴗ|– || ᴗ ᴗ| – ᴗᴗ | –ᴗ ᴗ|– ᴗ

(A. 25)

მუქარით განაგდო იგი, გააყოლა მრისხანე სიტყვა.

2. ტროქეული ცეზურა (τομὴ ἡ κατὰ τρίτον τροχαῖον) – ქალური ცეზურა „მესამე ტროქეს" (–ᴗ) ანუ მესამე ტერფის პირველი მოკლე მარცვლის (თესისის) შემდეგ:

τῇ δεκά|τῃ δ' ἀγο|ρήνδε || καλέσσατο λαὸν Ἀ|χιλλεύς
– ᴗ ᴗ|– ᴗᴗ| – ᴗ|| ᴗ |– ᴗᴗ | –ᴗ ᴗ| – ᴖ

ლაშქარი მოიხმო კრებად აქილევსმა მეათე დღეზე.

იშვიათად ცეზურა შეიძლება იყოს მეოთხე ტერფის გრძელი ნახევრის (არსისის) შემდეგ: ასეთ ცეზურას ეწოდება ჰეფთემიმერისი (τομὴ ἑφθημιμερής – „განკვეთა შვიდი ნახევრი ტერფის შემდეგ"). ამ ცეზურას ჩვეულებრივ წინ უძღვის ვაჟური ცეზურა მეორე ტერფში ე.წ. ტრითემიმერისი (τομὴ τριθημιμερής – „განკვეთა სამი ნახევარი ტერფის შემდეგ"). ასეთ შემთხვევაში ტაეპში ორი ცეზურა გვაქვს:

λυσόμε|νός || τε θύ|γατρα φέ|ρων || τ' ἀπε|ρείσι' ἄ|ποινα
– ᴗ ᴗ| – || ᴗ ᴗ| – ᴗ ᴗ | – || ᴗᴗ | – ᴗ ᴗ| – ᴗ

(A. 13)

მრავლად მოიტანა ჯილდო, ქალიშვილი რომ გამოეხსნა.

ცეზურის გარდა ჰექსამეტრულ ტაეპში გვხვდება აგრეთვე განყოფა – დიერესისი (διαίρεσις) ანუ სიტყვის დაბოლოებისა და ტერფის

დასასრულის დამთხვევა. დიერესისი ტაეპში შეიძლება ხუთამდე იყოს; მაგრამ ყველაზე ხშირია იგი მეოთხე ტერფის შემდეგ. ასეთ დიერესისს ბუკოლიკური ეწოდება (bucolica, τομὴ βουκολική):

τοῦτ' ἄρ' ἀ οἰδὸς ἄειδε || πε|ρικλυτός· αὐτὰρ Ὀδυσσεύς
– ⏑ ⏑ | – ⏑ ⏑ |– ⏑ || ⏑ |– ⏑ ⏑ | – ⏑ ⏑ | – –

ჰექსამეტრულ ტაეპში ტერფების შეუცდომლად გამოყოფისათვის მტკიცედ უნდა გვახსოვდეს კვანტიტეტის (ხმოვნის რაოდენობის) კანონი, სახელდობრ, უნდა ვიცოდეთ შემდეგი ძირითადი წესები:

1. მარცვალი გრძელია წარმომავლობით, თუ გრძელ ხმოვანს შეიცავს. გრძელი ხმოვნებია: η, ω, αι, αυ, ει, ευ, ηυ, οι, ου, υι, ᾳ, ῃ, ῳ, ზოგჯერ – α, ι, υ.

   შ ე ნ ი შ ვ ნ ა: αι და οι დიფთონგები ლექსში გრძელია იქაც, სადაც მახვილის ნიშნისა და ადგილისათვის მოკლედ ითვლებიან (μοῦσαι, ἄνθρωποι).

2. მარცვალი მოკლეა, თუ მოკლე ხმოვანს შეიცავს. მოკლე ხმოვნებია: ε, ο, ზოგჯერ – α, ι, υ.

   შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მოკლე მარცვალი ჰექსამეტრში გრძლად მიიჩნევა შემდეგ შემთხვევებში:

   1) თუ მარცვლის მოკლე ხმოვანს, რომლითაც სიტყვა მთავრდება, მოსდევს ხმოვნით დაწყებული ისეთი სიტყვა, რომელსაც ორი თავკიდური თანხმოვანი დაუკარგავს (ἀπὸ ἕο = ἀπὸ σFεο), ან ერთი შემორჩენია (ἔτι δηρόν = ἔτι δFηρον). ასეთი შემთხვევა შეიძლება იყოს სიტყვის შიგნითაც;
   2) თუ მარცვლის მოკლე ხმოვანს, რომელსაც თანხმოვანი ახლავს, მოსდევს სიტყვა, რომელიც F-ით (დიგამმით) იწყებოდა (οἳ μὲν οἶνον = Foινον, πρῶτος ἴδε = Fιδε).
   3) თუ მოკლე მარცვალს არსისში ცეზურა მოუდის.

      შ ე ნ ი შ ვ ნ ა: გრძელი მარცვალი ჰექსამეტრში მოკლედ მიიჩნევა:

      1) თუ თესისში (ტერფის მეორე ნახევარში) მყოფ გრძელ ღია მარცვალს, რომლითაც სიტყვა მთავრდება, ხმოვნით დაწყებული სიტყვა მოსდევს (Ἄνδρα μοι ἔννεπε...; πλάγχθη ἔπει...);

2) თუ გრძელი მარცვლის ხმოვანს სიტყვის შიგნით უშუალოდ ხმოვანი მოსდევს (βέβληαι –⏑⏑; ἥρως –⏑⏑; ἔμπαιον –⏑⏑; υἱός ⏑⏑)

აღნიშნულ წესებს თან ახლავს მრავალი გამონაკლისი.

ელიზია. თუ სიტყვა ბოლოვდება ხმოვნით და მომდევნო სიტყვა იწყება აგრეთვე ხმოვნით, რომლის წინ დიგამმა არ იგულისხმება, წინმდებარე სიტყვის ბოლოკიდური ხმოვანი მოიკვეცება, ამ მოვლენას ეწოდება ელიზია (elisio „ამოგდება“). ელიზიის ნიშანია ' ე.წ. აპოსტროფი. ჰექსამეტრში ელიზიას განიცდიან მოკლე ხმოვნები α, ε, ο და ზოგჯერ ι. ელიზია არ მოუდით υ და ι-ს სიტყვებში: περί, τί, τἰ, ὅτι (ამიტომ ὅτ' = ὅτε და არა ὅτι, τ' = τέ და არა τί ან τἰ). დიფთონგებიდან ელიზიას განიცდის αι ზმნის დაბოლოებებში (-μαι, -ται, -νται -σθαι). ელიზიას განიცდის οι ნაცვალსახელებში μοί და σοί (τοί).

სინიძესისი (συνίζησις). ჰექსამეტრულ ტაეპში ხშირია სიტყვის შიგნით ორი მომიჯნავე ხმოვნის შერწყმა გამოთქმის დროს. ამ მოვლენას ეწოდება სინიძესისი. ცალკე სიტყვათა შორის სინიძესისს მაშინ აქვს ადგილი, თუ პირველი სიტყვა არის δή, ἤ, ἦ, μή, ἐπεί და ὦ.

მაგალითები: Πηληϊάδεω გამოითქმის Πηληϊάδω: δὴ αὖτε გამოითქმის δαῦτε.

დაქტილური ჰექსამეტრის ნიმუშები:

Ἄνδρα μοι | ἔννεπε, | μοῦσα, || πο|λύτροπον, | ὃς μάλα | πολλά
– ⏑ ⏑ | – ⏑ ⏑ | – ⏑ || ⏑ | – ⏑ ⏑ | – ⏑ ⏑ | – ⏓

(α, 1)

ტროქეული ცეზურა,
დაქტილური ტერფები

Μῆνιν ἄ|ειδε, θε|ά, || Πη|ληϊά|δεω Ἀχι|λῆος
– ⏑ ⏑ | – ⏑ ⏑ | – || – | – ⏑ ⏑ | – ⏑ ⏑ | – ⏑

პენთემიმერისი,
დაქტილურ-სპონდეური ტერფები

(A, 1)

Ὣς ἄρα | φωνή|σας || ἀπέ|βη πρὸς | δώματα | πατρός
– ⏑ ⏑ | – – | – || ⏑ ⏑ | – – | – ⏑ ⏑ | – ⏑

(δ, 657)
